

114  
1968



# მეცნიერება

8

1968



# მნათობი

სოციალური ლიტერატურული-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუკნალი

წელიწადი 45-ე

№ 8

აგვისტო, 1968 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## პ ი ნ ა კ ს ი

### 150 ნიკოლოზ ბარათაშვილი 150

ნიკოლოზ ბარათაშვილი — ვირანი. ლექსი . . . . .	3
პრიგოლ ორგანიზაციის წარმომადგენელი ილია ორგანიზაციისა და	5
ბარათაშვილის ღვაწლის ეფემერის წარმომადგენელი	5
ვახუშტი ჯაფარიძე — ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწარმი. ლექსი	6
სიტყვა ილია ჯავახიშვილისადმი . . . . .	7
სიტყვა აკაკი წერეთლისადმი . . . . .	9
პალატიონი ტაბიძე — მთაწმინდის მთავარი. ლექსი . . . . .	10
გიორგი ლომიძე — ბარათაშვილი. ლექსი . . . . .	11
სიმონ კვიციანი — ნიკოლოზ ბარათაშვილის საგანგებო. ლექსი	14
არჩილ სულაიაშვილი — ღვაწლმწიფი. მოთხრობა . . . . .	16
გივი მალაქაძე — ღვაწლმწიფი ანუ სოფლის. მოთხრობა . . . . .	26
გიორგი ჯიბლაძე — ლიტერატული გივი ბარათაშვილისადმი . . . . .	43
მთარ ვილაძე — ახალი ცა . . . . .	74
ავლიანი ჯუჯუაშვილი — პრინციპული პოეტიკური კონკლუზიები ნიკოლოზ ბარათაშვილის შემთხვევებზე . . . . .	79
მთარ ხაჩიკიანი — ნიკოლოზ ბარათაშვილი და სოლომონ დოდაშვილი . . . . .	84
პ. გოჯალიშვილი — 1832 წლის შემთხვევა და რუსეთის ლიტერატურის მომართვა . . . . .	89
აკაკი სურგულაძე — 1832 წლის შემთხვევების შემთხვევის საკითხისათვის . . . . .	104
ლევან ებანიძე — „ზადი მართლისა“ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი საკითხი . . . . .	121
გიორგი ბაჩიანი — მართლის ზადი და „ვირანი“ . . . . .	129

10680



როსტომ ბაქანიშვილი — რომანტიკული სულის ამგონება	143
ილია შაინუჩაძე — „მერანი“ ენობრივ-სტილისტიკური ძარბა	149
პონდო პრეზაძე — „მერანი“ და „აგუ-ლალა-მარაი“	153
იაკობ ზალხაშვილი — ნიკოლოზ ბარათაშვილი თანამედროვეთა მიმოხილვაში	156



**კ რ ი ტ ი კ ა**

ალექსანდრე ბაკანიძე, ძველი მხატვრული, სარკის ცაიშვილი — ვეზისტაოს- ნის ავტორის ვინაობისათვის	164
---	-----

**ფ ა ქ ტ ა ბ ი, მ ი მ ო ნ ე ბ ა ნ ი**

3. ზაკარიაშვილი — თეიანი, 1943 წ. ვაგრძელეზა	179
--	-----

**წ ი მ ნ ე ბ ი ს მ ი მ ო ს ი ლ ვ ა**

მამია ჯიჯეიშვილი — სოციალიზმის ისტორიის მემნიშვნელოვანი შესწავლის სათვის	186
ალ. სანადირაძე — რომანი ბარდუღბის წლებზე	189



მთავარი რედაქტორი ელგუჯა შალვაძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი თ კ ო ლ ე გ ი ა :

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, ბ. ფლენტი,  
ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენ-  
გელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჭაფარიძე, გ. ჭიბლაძე.

ტექნიკური რ. ჩაყვატაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/VIII-68 წ.  
ქალაქის ზომა 70x108. ინაწყოების ზომა  
7 1/4 x 12 1/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12.  
პირობით ფორმათა რაოდენობა 16.  
უკ 10564. ტირაჟი 9.300. შეკვ. № 2584.

რედაქციის მისამართი: თბილისი,  
რუსთაველის პროსპექტი № 12.

ბეჭდვითი: რედაქციის — 98-55-11,  
პ/მგ. მდივანის — 98-55-13, განყოფილებებ-  
ის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

საქ. კბ ცკ-ის გამოცემლობის სტამბა  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



## მ ე რ ა ნ ი

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,  
უკან მომწნავის თვალებედიით შავი უორანი!  
გასწი, მერანო, შენს ჰენებას არ აქვს სამძღვარი,  
და ნიაუს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

გაკვეთე ქარი, გააბე წვალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,  
გასწი, გაკურცხლე და შემოიკოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!  
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუვა სიცხესა, ნუცა ავდარსა,  
ნუ შემიბრალვებ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მსედარსა!

რანა, მოეშორდე ჩემსა მამულსა, მოეკლდე სწორთა და მეგობარსა  
ნულა ვინილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს, ტკბილმოუბარსა.  
საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იუოს ჩემი მიწა სამშობლო,  
მსოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, გამცნო გულისა მე საიდუმლო!

— კენესა გულისა, ტრფობისა ნაჰით, მიეცე ზღვის ღელვას,  
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიგურსა ღტოლვას!  
გასწი, მერანო, შენს ჰენებას არ აქვს სამძღვარი,  
და ნიაუს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავეებს შორის,  
ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუსარის.  
შავი უორანი გამითხრის საფლავს მღელვოთა შორის ტიალის მინდურის,  
და ქარიშხალი ძვალთა მთენილთა ზარით, ღრიალით მიწას მამაურის!

სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი,  
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალაღებენ სვანნი მუივარნი!  
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,  
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მსედარი!

დაე მოგვედო შე უპატრონოდ მისგან ოსერი!  
 ვერ შემადინოს მისმა ბასრმა მოხისსლე მტერი!  
 გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,  
 და ნიაფს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!



ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება,  
 და გ'სა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;  
 და ჩემს შემდგომად მომშენა ჩემსა სიმნელე გზისა გაუადვილდეს,  
 და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავი ბედის წინ გამოუქროლდეს!

მირბის, მიმაფრენს უგ'ხო-უკვლოდ ჩემი მერანი,  
 უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ეორანი!  
 გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,  
 და ნიაფს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

1842



## პრიგოლ ორბელიანის წერილი ილია ორბელიანისადმი

ჩემო ილია! არ ვიცი რა უნდა ვპქნა მე, რომ ხანდახან შენი წიგნი მომივიდეს? სწორედ ვითხრა ვერა მომიფიქრებია რა, მე ასეთი, რომელმანცა ძალად აგაღებინოს კალამი ჩემდა მოსაწერად. — აღარა გყვედრი ამისათვის, და აღარცა ვწუხვარ შენის ჩემდამი უზრუნველობისათვის; მაგრამ დროსა მოაქუს ესრეთი შემთხვევა, რომლისა ცნობა ჩემთვის საჭირო არის ისე, როგორც შენთვის; მაგალითებრ — ოჯახის მდგომარეობის ცნობას დავეხსნათ, თავის დღეში არ მოგიწერია — ტატოს ამბავი, ჩემი გულით საყვარელის ტატოს ამბავი მომწერე, ცოცხალია თუ მკვდარი? — უცნობლობა მკლავს; შენ მიხაკოსთვის მოგეწერა ტატოს უიმედოდ ავადმყოფობა, ამანაც წიგნი არ მაჩვენა, ისე ზეპირად ვითხრა, მაგრამ ასე ვითხრა, რომ თითქმის მკვდარი უნდა იყოს. — ახრ ეს დამალვა რა არის? — თუ მიხაკოს ჰქნერ, მე რაღა ვარ? — აქაურმა ცხოვრებამ, ძაღლის ცხოვრებამ და ამ უცნობლობამ ტატოსათვის მე ავად გამხადეს; ეს ექუსი დღეა ვწევარ გარიაჩკითა მიხაკოსთან. — თუ ხატი გრწამს მომწერე ტატოს ამბავი სიწირფლებით და მასუკან — რადგანაც შენთვის დიდი შრომაა — ნულარ მოიწერე-ბი, იყავ შენთვის მშვიდობიანად.

შენი ძმა გრიგოლი

12-ს ნომბერს  
თემირხანშურით.

„...მე უბედური უბედურად ქმნილი მოვაკლდი ჩემს სიხარულს შეილსა და რა შეილს, რომლისაგანაც მოველოდი ყოველ სიხარულს. ვუი და ვაი ჩემს მოსწრებას, ჩემს თვალების დაბნელებას.

ღმერთმან ასე უბედურად შემქმნა...

ბარათაშვილის დედის ეფეშეას წერილიდან



პაპა შავაძე

## ნიკოლოზ ბაჩათაშვილის ნაშტს

მშვიდობა შენს ნეშტს, მგოსანო,  
ქართლისა წყლულთა მოზარე,  
მშვიდობა, სულო ძლიერო,  
თავის სამშობლოს მოყვარე!...  
დიდება შენს ჩანგს, რომ ბევრჯელ  
თვალზე ცრემლები მომგვარე...  
არ დაივიწყა სამშობლომ  
შენი მის ბედზე ტირილი,  
მედგარი სულის კვეთება,  
შავბედობაზედ ჩივილი,  
დაუშრეტელი ნაღველი,  
წყრომა და გულის ტკივილი.  
მადლი შენს თანამოქმეთა, —  
მიწა გახილეს მშობელი,  
შენი სატრფო და სადარდო,  
გულს ლახვარ-დამასობელი.

შენი მერანი კვლავაც რბის,  
მისი ნავალიც შთენილა,  
უმაღლოდ არ დაკარგულა,  
თუ ოდეს ცრემლი დენილა.  
მიიღე ჩემი სალამიც,  
გამოგზავნილი მთიდანა,  
„ჩვენი არაგვიც“ მუხლს გიყურის,  
გადმოშტუხარე კლდიდანა,  
თვის „ატეხილი ქალები“  
ცრემლით ატირა ცხარითა,  
სმენად გადიქცნენ ისინიც  
გრგინვა რო ესმათ ბარითა,  
ქედებმა თავი იდრიკეს,  
ფიქრით მოიცვნენ მწარითა,  
ამწვანებულნი მწვანითა,  
განათებული მთვარითა.

1893



## სიხყვა ილია ჭავჭავაძისა

„თვითმეული ცემა გულის ძარღვისა გვჭრის და გვაწყლულებს ჩვენ. და ჩვენი სიცოცხლე ჭრილობით ამ სისხლის შეუწყვეტელი დენა იჭნებოდა, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო“ — სიტყვა ერთმა ბრძენმა. ღმერთი რომ ერს, ქვეყანას მოწყალეების თვალით გადმოხედავს, მოუვლენს ხოლმე კაცს, პოეზიის მადლით ცხებულსა, როცა ადამიანს ჰსურს შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოველთ უწინარეს ამას იკითხავს, — რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო, ღირსებას და სიდიადეს ერისას მართო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი. რაკი ესეა, ესლა ცხადი უნდა იყოს, რა ძვირფასი განძია ჩვენთვის იგი მტვერი, რომლის წინაშე ვდგევართ ჩვენ დღეს.

პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულთა. მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის, — რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს.

ამ მადლს, ამ ტვირთს დიდი ძალღონე უნდა სულისა და ხორცისა და ამიტომაც, როცა ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავმოსაწონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი, უკურთხა ენა მეტყველებისადავის, თვალნი ხედვისათვის, ყურნი სმენისათვის, გულს ჩაუდგა გაუჭრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობლად და უბრძანა, წადი და კაცთა ნათესავს ამცნე უზენაესი მცნება ჩემი და სიტყვით გული აუნთო. კიდევ ვიტყვი, პოეზია მადლია, ნიჭია, მაგრამ, ხომ ხედავთ, იგი დიდი ტვირთიც არის.

დიდ ტვირთადვე იცნო იგი ამ ჩვენმა სახელოვანმა კაცმა და მას ყველაფერი ანაცვალა. ოღონდ ეგ ტვირთი დაულალავად ვზიდო, ოღონდ ერთგულად ვემსახურო და ყველაფერს შეესწირავ განწირულის სულისკვეთებამდგომ. ამ განწირულებამ გარდაცვალების ერთი წლის წინათ ეს სიტყვები ამოაკენესა, რომლებიც წინასწარმეტყველებად გადაეცა ბოლოს:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში  
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;  
ნუ დამიტვიროს სატრფომ გულისა,  
ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის, —  
შვიი ყოჩანი გამითხრის საფლავს  
მდელოთა შორის ტილის მინდვრის,  
და ქარიშხალი ძვალთა შეთნილთა  
ზარით, ღრიალით მიწას მამაყრის!  
სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა ოხერსა,  
დამეცემიან ცოურნი ცვარნი,  
• ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად  
მივალალებენ სევანი მყივარნი.

ეს მწვავე წინასწარმეტყველება გაუმართლდა: იგი არ დაიმარხა თავის მამულში; მას არ დაედინა ცრემლი თავის ქვეყნის შეილიხს. ეს ჯაფრი თან ჩაიყოლია ამ ჩვენმა

განმადიდებელმა კაცმა და დღეს ჩვენ, ჩვენდა სასახელოდ, მოვასვენეთ აქ მისი მტკვერი, მისი ნაშთი, რომ დღეის ამას იქით მისმა სამშობლო ცამ თვისი ნაში ცრემლად ზედა აღინოს, მისმა სამშობლო დედამიწამ გული გადაიხსნას და მისი მტკვერი ამოიპაროს მისდა განსახვენებლად და ჩვენდა სალოცავად.

მართალია, ეს მოგვიხდა ორმოცდა შვიდ წელიწადს შემდეგ და იქნება სთქვან გვიან არისო, მაგრამ რა არის ორმოცდა შვიდი წელიწადი უკვდავებისათვის? მხოლოდ ერთი წამია. ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია და უკვდავისათვის არც რაიმე ქვეყნიერებაზე გვიანია, არც რაიმე ადრე. ეს დიდებული წამი, რომელმაც დღეს აქ შექარიბა წარმოამდგენლობა მთელი საქართველოსი, მაგალითია იმისა, რომ ჩვენი ერი ამაღლებულა სულითა და გულითა, რადგანაც მარტო ჭკუა-გახსნილმა და გულგაწმენდილმა კაცმა იცის ეს ღირსეულად დაფასება და ესეთის პატივით ხსენება დიდ-ბუნებოვან კაცისა.

დიდ-ბუნებოვანი იყო იგი, ვის სამარესაც გარს ვარტყვივართ დღეს და აკი იწინასწარმეტყველა კიდევ:

ცუდალ ხომ მაინც არ ჩაივლის  
ეს განწირული სულის კვეთება!  
და გზა უვალი, შენგან თელილი,  
მურანო ჩემო, მათნე დარჩება...

და დარჩა კიდევ. ეს გზა უვალი, თვითველი ქართველის გულია, საცა მისმა მურანმა ღრმად ჩააჭდია მისი ანდერძი, მისი ნათქვამი. ვაპირობთ აქ ძეგლის დადგმას, ხოლო რა დასადარია ხელთ-ქმნილი ძეგლი, თუნდ დიდფასიანი, იმ ხელთ-უქმნელ ძეგლთან, რომელიც მისმა ბუნებოვანობამ ჩვენს გულში ალაგო.

მე არ ვიტყვი საუკუნოდ ხსენებას, იმიტომ, რომ თვითველის ქართველის გული მისი საუკუნოდ სახსენებელია. „სატრფოს ცრემლის წილ დამეცემა ციურნი ცვარნი და ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად სვაენი მყივარნი მივალალუებნო“. ასრულდა ეს წინასწართქმული მისი მამინ და დღეს კი მის მტკვერს, მის ნაშთს, მის კუბოს, მის საფლავს დასტირიან მისნი ტრფიალნიცა, მისნი ნათესავნიცა და ამათს ცრემლს ზედ დასდის დიდებული ცრემლი მთელი საქართველოსი.<sup>1</sup>



<sup>1</sup> „ივერია“, 1893, № 85.

## სიხყვა აკაკი წერეთლის

მინდა, რომ ეყო ვარსკვლავი,  
განთიადისა შორბედი,  
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ  
ტყუთა ფრინველნი და ეარდნენ  
მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი  
ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო.  
საღამოს მისთვის შთავიდე,  
რომ დილა უფრო ვაცხოველო...

ეს ინატრა ახალგაზრდა მგოსანმა ამ ნახევარ საუკუნის წინეთ და ეს ნატვრა წინ-  
ასწარმეტყველებად გადაექცა; გახდა წინამორბედად ჩვენი ახალი ცხოვრების განთი-  
ადისა და იქ, შორს, სამშობლოდან უცხო მხარეს, მზესავით ჩაესვენა, რომ დღეს აქ  
უფრო მეტის ძლიერებით აღმობრწყინებულყო. ამას ვხედავთ და დღევანდელი ჩვე-  
ნი მიგებება გლოვა და ზარი კი არ არის, ლიტანიობაა და მზე-შინა. დიად, არავის გე-  
გონოთ აქ ეს ნამდვილი სამარე და კუბო ბარათაშვილისა, იმისა კუბოა ყველა ქართ-  
ველის გული და ისე ხშირი, როგორც მგოსნის მთელ საქართველოსადმი სიყვარულით  
აფსებული გულის-ძვერა. ეს ადგილი არის მხოლოდ ნიშანი, სადაც ამიერიდან უნდა  
დაესვენოს ჩვენი მნათობი, რომ მთელ საქართველოს სხივი ჭვინოს და მართლაც, რომ  
უკეთეს ადგილს ვერ გამოვძებნიდით.

მართალია, ყოველი კუთხე საქართველოსი წმინდაა, მაგრამ ეს ადგილი, ეს დი-  
დუბე წმინდა-წმინდათაა. აქ დაიდგა პირველად ძღვევის გვირგვინი უპირველესმა ჩვენ-  
მა საისტორიო მნათობმა თამარ მეფემ. მართალია, დღეს დიდუბეს ის ფერი აღარ  
ადევს, აღარც ის ტაძარი, აღარც ის სასახლე, აღარც ის წალკოტია. ეამთა მსვლელო-  
ბამ, დროთა ვითარებამ ის გადაასხვაფერა, მაგრამ დიდებული ხატი-კი მაშინდელი  
შეუცვლელად დარჩა საქართველოს ხსოვნაში. აქამოდე ჩვენ წარმოვიდგენდით თა-  
მარს თავზე ძღვეამოსილ გვირგვინით, რომელსაც გვერდით უდგა ძლიერის ჩანგით სა-  
კადრის მისი მწერალი რუსთველი. დღეიდან უფრო დასრულებული იქნება ეს ხატი,  
მეორე გვერდით ვდგომება ბარათაშვილი, როგორც ამ შვიდასის წლის წინეთ დასავ-  
ლეთ საქართველოდან, ესე იგი იმერეთიდან, მოვიდა ხალხი, რომ თავყანი ეცა დიდუ-  
ბულ თამარისათვის და საზოგადო საერო ლიტანიაში მონაწილეობა მიეღო, დღესაც  
მოსვლევართ იმერეთით, რომ ნიშნად სამარადისო ძმობისა და განუყრელი ერთობისა  
დავადვათ გვირგვინი ბარათაშვილის კუბოს, გვირგვინი შეკონილი პურის თავთავისა-  
გან, საგულისხმოდ იმისა, რომ მგოსანი იყო უპირველესი მთესველი გონებრივის ნაყო-  
ფისა, არა მარტო ერთი კუთხისა, — მთელი საქართველოსი, ნაყოფიერი იყოს ეს ხორ-  
ბალი, როგორც დღემდე, ამიერიდანაც, რომელთანაც ერთად დაუვიწყარი იქნება სახ-  
სუნებელი ნიკოლოზ ბარათაშვილისა.<sup>1</sup>

## მ თ ა ნ ე მ ი ნ ე რ ი ს მ თ ვ ა რ ე

ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!  
 მღუმარებით შემოსილი შეღამების ქნარი,  
 ქროლვით იწვევს ცისფერ ლანდებს და ხეებში აქსოვს...  
 ასე ჩუმი, ასე ნაზი ჯერ ცა მე არ მახსოვს!  
 მთვარე თითქო ზამბახია შუქთა მკრთალი მძივით  
 და მის შუქში გახვეული მსუბუქ სიზმარივით  
 მოჩანს მტკვარი და მეტეხი თეთრად მოელვარე,  
 ოჰ! არასდროს არ შობილა ასე ნაზი მთვარე!  
 აქ ჩემს ახლოს მოხუცის ლანდს სძინავს მეფურ ძილით,  
 აქ მწუხარე სასაფლაოს ვარდით და გვირილით  
 ეფინება ვარსკვლავების კრთომა მზიარული,  
 ბარათაშვილს აქ უყვარდა ობლად სიარული...  
 დე მეც მოგვედე სიმღერებში ტბის სვედიან გედად,  
 ოღონდ ვთქვა თუ ღამემ სულში როგორ ჩაიხედა,  
 თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები  
 და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები, —  
 თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს  
 მომაკვდავი გედის ქანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,  
 თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა,  
 სიკვდილის გზა არ-რა არის ვარდისფერ გზის გარდა.  
 რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,  
 რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე.  
 რომ აჩრდილნო, მე თქვენს ახლოს სიკვდილს ვეგებები,—  
 რომ მეფე ვარ და პოეტი, და სიმღერით ვკვდები,—  
 რომ წაყვება საუკუნეს თქვენთან ჩემი ქნარი...  
 ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!



# ბ ა რ ა თ ა შ ე ნ ი ღ ი

განჯის ღამე, 1845 წ. 9 ოქტომბერი

მე მოვიგონებ უღმერთო ღამეს,  
როცა დაგვიცხრა ყველა ტკივილი,  
როცა განჯიდან შუალამისას  
ქართლს შეუძახე გედის ყივილით.

თითქოს ყორანმა უზარმაზარმა  
ფრთებით დარდილა მთელი ქვეყანა.  
მაშინ სიკვდილი შეენაბდიანი  
ჯვარედინ გზაზე შემოგვეყარა.

საორბედოა! — მამის ვალებს ვთხოვეს,  
ვაი, გადახდა გამხდარა ძნელი!  
ბუდფეშურ თვალებს თვით დაგიბუჭავს,  
სულს გაგიწომავს ელვარე ცელით.

მისი ნავარდი უფრო სწრაფია,  
ვიდრე შენს ლექსში ლომის ნახტომი.  
დაუთმე, რაც კი უთმობელია,  
შესწირე გულის გადანახტომი!

— დედისებრთა ვარ, იტყვი, ნუ მომკლავ...  
— განა ყაზახის არის საღამო?  
არა, მოგერტყა ყოველი მხრიდან  
სიკვდილის ღამე დაუსაბამო.

რა მოჩვენებამ დაგაარტახა  
და რა შესძახე ახლა მთვარესა?  
რომელ ანგელოზს მკერდს უშვერ ახლა  
ან რომელ მახვილს გამკვეთარესა!

თავზე ღმერთივით დაგადგა ერთი,  
ქარიშხლის ფრთაზე შემოპარული —  
ქალის აირდილი, — გულს რომ ვითხრიდა,  
როგორც აფთარის ჭანგი ფარული.

იმ თვალებს შეხვდი! იმ თვალთა ელვით  
გზა სიკვდილისა დაგლოცება.  
ცეცხლის ტბებია უნაპირონი,  
მიგ რომ ჩამწვარა შენი ოცნება...

ტახტზედ იწეჭი და გედო თავქვეშ  
შენი მერანის თოქალთო სველი.  
წინ რა გელოდა, წინ სხვა რა იყო?  
გზა დახვეული იბობას ქსელით.

ქართლის უდაბნო, სიკალიფრე.  
ჭორი, სიცრუე, ფუჭი ალერსი.  
ყინულის ხელი, პირუშტიცილობა.  
ზღვა საწამლავე გულზე ნალესი.

და ნარიყალას ზღუდის ნამსხვრევი,  
ქვეშ მოქცეული ქართლის საფლავეთ,  
კატინას შემლის მშვენიერება,  
ამაოებით დასადაფნავეი...

და დოდაშვილი ციმბირის ქარში...  
როზენის როზგი ქართლზე დაკრული,  
გავერნებული შენი მთაწმინდა,  
შავის ოცნებით გადანამქრული...

უსულგულობით სავსე თბილისი  
ჭრალებით თვალში შემოგცქეროდა,  
გულგაგლეჯილი იადონივით  
შენს ლექსს სათარა ცრემლით მღეროდა.

ლოგინთან მთვარის მარგალიტებით  
შეფიჭულია ცივად სარკმელი,  
ელავს ციმციმით ოქროს საყურე,  
შენი ოცნების გადამსარკველი!

მა, მოიბრუნე სუნთქვა მის ჩრდილქვეშ  
და გაიგრილე სიცხე გულისა.  
მთელი ქვეყანა ბრწყინავს იმ ჩრდილში,  
წამალი არის გათანგულისა!

შენი მსუდრავე ახლა მთვარეა  
და ქარი შენი დამმარხავია:  
განჯის ქუჩებში ალვის რაზმები  
ნიშამს მღერიან, ომარ-ხაიამს...

— ნუ გძინავს! — აკი შესახა გულმა  
და დიდებისა ანთე ლამპარი!  
— ბედმა დამიხშო ნუგეშის კარი  
და დაელო მწირი, მიუსაფარი!

— იპოვე, ყრმაო, შენ ხვედრი შენი,  
ან ციურობის იპოვე სწორი? —  
— ნუ დაეიძარხო ჩემსა მამულში,  
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,  
ნუ დამიტვიროს სატრფომ გულისა,  
ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის...

ლანდი ფანჯარას დაჯახებული  
მოგიანლოვდა ანაზღვეული!  
— დაე, დაბნელდეს, გულში მზე არი  
დაუქრობელად განათებული!

— მშვიდობით, ქარო, მშვიდობით,  
ქართლო.  
წინანდლის ღმერთავ, ბედი მერვეა.  
მე გტოვებ მტკვარის მზიარულ კიდეს  
და ჩემს დატანჯულ ბედნიერებას!

მაგრამ კედელზე თვალის შეფრფინებით  
გულმა ოცნება ისევ მოძებნა:  
ნინა, მანანა, ეკატერინა  
დაგლულუნებენ ანგელოზებად!

შეაშრიალა მთვარემ რუშების  
და არშიების ნაზი ჩანჩქერი,  
ბრწყინავს დაწვევებ ნაფურცლი ვარდი,  
თვალში კი არა, სულში ჩაგვქერის!

რად გაუწოდე მაჯა უძლური,  
მათი სინაზე ველარ გიშველის.  
თავზე დაგადგნენ თეთრ ეტრატებით  
შოთა, ბესიკი, გურამიშვილი

და წასაყვანად ჩაგვიდეს ხელი  
საგალობლებით, ლოცვით, შერლოებით,  
მიბყვე, მიენდევ, გულით უმძღვრებელს  
სხვას კი ნურავის ნუ მიენდობი!

ნაცისკრალია.  
უკანასკნელი  
შხამის წვეთები სულმა დალია,  
თეთრი შროშანა დაგვეცა გულზე  
და ლურჯი ფერით თვალი მთვრალია.

შენი ვარსკვლავი უკვე გაშავდა  
და შენი ზეცა ვსრედ მზარავი.  
ახლა სად გინდა, რომელ ტრამპლზე,  
დასცე მხედრული შენი კარავი?

იქნებ, ელისეს მიმდევრებს ვადაღმა  
თანავარსკვლავედს შეხვედე ყარიბი? —  
ნაწყულულალებით იქნებ სამშობლოს  
უფრო უმეტეს შევეყარები?..

უკვე სარკმელმა შემოინათლა!  
რა ახლოს იყო წვლან ცისკარი!  
შენი ვარსკვლავიც სულ ახლოს იყო,  
ოლონდ შეგელო მისი ბჭისკარი.  
მაგრამ ახალი გზა გეძახოდა  
განათებული ირმის რძის ღვარით.

მინაზებული ციაგის ბროლი  
ვარდრეულ შუქმა როცა შედება,  
შენ უკვდავების თრთოლა იგრძენი,  
სულში გავლემულ შანთის შეხება!

უკვე გათავდა. კმარა, სიკვდილო,  
შენთან კამათი და საუბარი...  
ალარც განჯა და ავი ციება,  
არც ანჩისხატის ვიწრო უბანი!

ალარც გამოვლილ უფსკრულთა სიღრმე,  
ალარც გადახდა მძიმე ვალისა,  
ალარც საყურე... მის ნაცვლად მუბღზე  
ბრწყინავს ბეჭედი მომავალისა.

ალარც სატრფომ და არც მეგობარი,  
ალარც მშობელი ცრემლის დამღვრელი,  
შენს სულს დაქანცულს, ფრთა შემოღწეილს  
გადეხსნას სივრცე განუსაზღვრელი...

შენს წინ გაბრწყინდა დიდი მწვერვალი,  
სადაც უჭკნობი სიტუარფენია,  
ვინ აღწევნილა, მითხარ, შენამდის,  
ან რომელ არწივს იქ უფრენია?

ან შენს მომთვარულ ხმას სერაბიმულს  
იტყვის რომელი ლერწამის წბილი?  
შენი აჩრდილი თრთის მთაწმინდაზე,  
შენი ნაქროლი აჩნია თბილისს...

დავიემბაზეთ შენი ნათელი,  
შენს დაუჭკნობელ სახელს ვიფიცავთ.  
განჯას დამწვარმა გულის ნამწვავმა  
ქართლში კოცონად გამოიღვიძა.

მამინ გათენდა შენი დიდი დღე...  
მზეს შეუერთდი შუქმიწვეული.  
სურდა ცხოვრებას შენი დამხობა,  
შენ აღადგინე იგი ძლეული!

ცხოვრების წყარომ შენ გასვა შხამი,  
და სიჩუმეში როცა იწვოდეს  
ჩვენ რომ აქედან გვირგვინს გიწმინდოდა  
ტაშს რომ გიკრავდით, განა იცოდნი?

შენ ჩვენი იყავ,  
არა იმ დროის.  
იმ შემოდგომის დაღლილი შვილი.  
შენ ისწრაფოდი ჩვენს შესახვედრად,  
ქართულ ოცნების სუმბული შლილი.

ძველი ყაბაზის მოედანიდან  
შენ მოაჭენე ჩვენთან პირველმა,  
საკუთარ გულის დამნაცრებელმა,\*  
საკუთარ ფერფლის შემომწირველმა!

შენ შეგაგებეთ ახალი ქართლი,  
ახალ ოცნებით, ახალი ბედით.  
დღეს შენც ანათებ მის შარავანდედს,  
ქართლის ბრწყინვალე წინამორბედი!



სიომე ჩიქოვანი

## ნიქოლოზ ბაჩათაშვილის საპანეში

მე გადავყურებ მტკვარზე საღამოს, —  
შენი თვალებით ხილულ ბუნებას.  
მტკვართან ჩინარი ჰაერს გააპობს  
და მწუნხრში ფიქრით მოილუნება.

თითქოს სტრიქონიც მტკვარში ირხვეა,  
როგორც ელვარე სატრფოს საყურე.  
მოვდივარ, მყუდრო ჟამი ირღვევა,  
შემხვდის და ჩრდილი გადამახურე.

მიხშობს, შეძახის სული ობოლი,  
ახლა არავციც მორბის ანკარა.  
სატრფოს ყური თუ თემები წყობილი  
ბეჭდის თვალცივით ლექსში ჩამჯდარა.

შიგ ჩამწყვდევულა ტალღის დუდენი,  
ხმები სანთურის, ფიქრი ფარული.  
შორს გატყორცნილი, როგორც შურდული,  
შავი მერანი ნიაჭარული.

გარდასულ დროდან შენ გეძახოდა  
მულღაზანზარის ველზე მხედარი.  
მისმა სიმღერამ გული დაჰკოდა,  
გული მშფოთვარე, გული ნეტარი.

გული, რა გული! მთლად დადაგული.  
ყორნის ფრთიანი ბედი ვერანი,  
სივრცე ტიალი და უდაბური  
და მოჭიხვინე შავი მერანი.

მტკვარი მოგყვება მორჩილ ლანდივით,  
გეხშაურება ქართლის ბუნება.





მულაზანზარზე ჩანს ავთანდილი  
და შენს ვარსკვლავებს ესაუბრება.

მიჰქრის და მიჰქრის ბრძენი ვეზირი,  
რომ დაგვიამოს წყლული მრავალი,  
შორს სამშობლოდან გადახვეწილი  
და ვარსკვლავებთან თანამავალი.

შენც მისებრ იყავ ბედის მგმობელი,  
აღარ იგუე არსად სამარე,  
საფლავს ებრძოდი დაუდგრომელი,  
სანამ მთაწმინდას არ მიგაბარეს.

აწ მოისვენე მშობლის უბეში,  
თავზე დაგნათის ბრძენის ნათელი,  
როგორ ჩასტიე მაინც კუბოში  
შენი შფოთვა და კორიანტელი.

როგორ ჩასტიე სული მზიანი,  
ფრთიანი მერნის ჭროლვა ხშიანი,  
არაგვის რბენა, არაგვიანი,  
და მოგუგუნე მთანი ტყიანი.

მე მეჩვენება, შენი მერანი  
ტორთა თქარუნით მივსებს საველეს.  
სუროსთან მოსთქვამს ქალი კენარი  
და შენს საფლავზე სტოვებს საყურეს.

მერნის ფრთებივით მოშხუის ლექსი,  
ალიმართება, ყალყზე დადგება.  
ცრემლის წვეთ-წვეთად წკარუნი მესმის  
და ნეტარ მთაზე დამიღამდება.

აგვახშიანებს ქარი ჩონგურის  
და მთაწმინდაზე შენი აირდილი,  
კაცი უცხოეთს გადაკარგული,  
ორჯერ კუბოდან წამოვარდნილი.

ჩანგი გვიხმობს თუ გული ანკარა?  
ხე შრიალებს თუ ქალი კენარი?  
შენი სამშობლო მკედრეთით ამდგარა,  
შვებით ჭიხვინებს შენი მერანი.

## ღ ა მ ე ყ ა ბ ა ხ ე ე

### • მოთხრობა

„არ დაიჯერებ, მაიკო სიცოცხლე მამძულეზია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც. მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერავის მიჰკარებია, მაინც კიდევ თბოლია ამ საესე და ვრცელ სოფელში!“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილიდან  
მაიკო ორბელიანისადმი

სამართლისა და განჩინების ექსპედიციის ახალგაზრდა მოხელემ კანცელარიაშივე ივახშმა. ვახშამი არ შეეფერებოდა მის თავადურ წარმომავლობას, მეტად ღარიბული იყო: ერთი ფინჯანი ნელ-თბილი ჩაი, ყველი და პური...

ჩინოვნიკები, რახანია, ხმაურით გაიკრიფნენ. ისეთი სიხარულით გარბოდნენ, თითქოს საუკუნეების მანძილზე თავიანთ მაგიდებს მიჰკავებულნი თუ ოთახებში გამოქვეყნდებულნი თავისუფლების ამ წუთს ელოდნენ და, აჰა, როგორც იქნა, ეღირსათ.

შინ მიმავალმა ერთმა მოხელემ ჰკითხა: როდემდე აპირებ აქ დარჩენას, რატომ არ მოდიხარო? მან საქმე მოამიჯეზა — ქალაღები მაქვს მოსაწესრიგებელიო. მაგრამ მოხელეს პასუხისათვის არ დაუცდია, სულაც არ აინტერესებდა, როდემდე აპირებდა ეს ყმაწვილი აქ დარჩენას. ყველა წავიდა. იგი

მარტო დარჩა საკანივით დახუთულ ოთახში.

გამუდმებულმა სიცხეებმა ქალაქი მოსაწყენი გახადა, ხოლო მტვერმა და ბულმა — სულის შემხუთველი. მას უკვირდა, ჩინოვნიკები რომ ისევ ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მტერიანი ზეატისაგან არავის ეხუთებოდა სული და მომამბერებლად ერთფეროვანი, ცხელი დღეები არავის ჰგვრიდა სევდას... ახალგაზრდა მოხელეს არა მარტო უკვირდა, აღიზიანებდა კიდევ გარემოსთან მათი შეგუების უნარი. უფრო სწორად, ყოფის მორევში დანთქმულებს დაჩლუნგებული ჰქონდათ აღამიანური გრძობები და ისე ცხოვრობდნენ, რომ თავის გარშემო ვერავისა და ვერაფერს გრძობდნენ.

როგორც კი ხელში მოხვედრილ პირველსავე ოქმს გადაავლო თვალი, მამინვე დარწმუნდა: მაგიდაზე დახვავე-

ბულ ყველა საბუთთან საქმე წელანვე ჰქონდა მოთავებული. ახლავე შეეძლო, დამტვერილი დაეთრების სუნით გაი-  
ლენთილი, ცხელი ოთახი დაქტოვებინა და შინ წასულიყო. რამდენჯერმე გა-  
დაწყვიტა კიდევ შინ წასვლა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. პირიქით, კან-  
ცელარიის ძველი და გამოცდილი მოხე-  
ლის კინით ხსნიდა საქალღდეებს და უფრო მეტი გულმოდგინებით ათვი-  
ლიერებდა ლითონის სამაგრებით აკინ-  
ძულ საბუთებს.

სხვა დროს ასეთი საქმიანობა გულს ურევდა. მალე იქანცებოდა, იფიტებო-  
და. მარტოობისა და სიცარიელის მტან-  
ჯველი გრძნობა ეუფლებოდა. დაეთრე-  
ბითა და საქალღდეებით გამოტენილი კარადები და თაროები აძრწუნებდა. მოულოდნელი შიშით, რომ სიძველისა-  
გან გაყვითლებულ, თავებისა და ტა-  
რაკანების დაჭმულ ქალღდეებს ველა-  
რასოდეს დააღწევდა თავს, სულს ურ-  
ყვედა და ფეხქვეშ ნიადაგს აცილიდა. ამ გრძნობას უმაღლავდა ყველას — მშობ-  
ლებს, ნათესაებს, მეგობრებს, ნაც-  
ნობებს... უმაღლავდა იმიტომ, რომ რაცხვენოდა საკუთარი გრძნობებისა, ხოლო რაცხვენოდა იმიტომ, რომ არ უჭერებდნენ.

კარგახანია, რაც მთელი არსებით იგ-  
რძნო მისი ასაკისათვის უჩვეულო სუ-  
ლიერით მოთხოვნილება: დაუჭერონ და ერწმუნონ... როდის გაუჩნდა ეს მოთ-  
ხოვნილება, აღარ ახსოვდა, მაგრამ ჩვიდმეტი წლის ჰაბუკის სიცოცხლეს უამისოდ უკვე აღარ ჰქონდა აზრი. მი-  
სი ტკივილები, ტკივილისმიერი ზმანე-  
ბები, ხილვები, ფიქრები უნდა დაიჭე-  
რონ და ირწმუნონ.

უნდა დაიჭერონ და ირწმუნონ...  
ყველაზე მახლობელ ადამიანებს უდი-  
დესი სიფრთხილით უღებდა ხანდახან გულს, ხან — უშუალო საუბრით, ხან — ბარათით. ამგვარი აღსარებანი ორივე შემთხვევაში იქნეულ დიმილს იწყევდა. მერმე სწყინდებოდათ, ერთს — სატბრის მოსმენა, მეორეს — წერი-

ლის კითხვა და ორივე იწყებდა მტქნა-  
რებას.

თავზარსა სცემდა მათი გულგრილუ-  
ბა, უნდობლობა, თუ ურწმუნობა, სხვი-  
სი ფიქრისა და საზრუნავის არად ჩაგ-  
ღება, თუ აბუჩად აგდება.

ღრმავად სჯეროდა: ამქვეყნად სხვა მდგომარეობისათვის ვარ გაჩენილიო. რახან არ უნდოდა და არც არასოდეს უფიქრია, ამიტომ თითქოს ამცირებდა და აკნინებდა კანცელარიის მოხელედ ყოფნა. დარწმუნებული იყო, მის ღირ-  
სებას, ნიჭსა და შესაძლებლობას სამხე-  
დრო მუნდირი უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ჩინოვნიკის სერათუკი. მაგრამ სა-  
ქმეს მარტო საკუთარი ძალისადმი რწმე-  
ნა არ შეელოდა, უნდა მოსულიყო ყოვ-  
ლისშემძლე კაცი, რომელიც ხელს მოპ-  
კიდებდა და ამ ჰაობიდან ამოიყვანდა. ასეთი კაცი კი ქვეყანაზე არ არსებობ-  
და... თუმცა როგორ არა, იყვნენ ასეთე-  
ბიც, მაგრამ მათ ან არ ეცალათ, ანდა არ სჯეროდათ ჩვიდმეტი წლის ჰაბუ-  
კისა.

უფრო, არ სჯეროდათ!  
აღმათ ამიტომაც აღმოაჩინა მეორე, თითქოს უზრუნველი და უღარღელი ცხოვრება: ქორწილები, დამისთვევნი. უაზრო ქეიფებში ღროსტარება... კარ-  
დაკარ სიარული, ლაებობა და ჭორიკა-  
ნობა... აქ უკვე ადვილად უჭერებდნენ ყველაფერს. და ისიც გაერია მარაქაში: ქეიფობდა და ღრეობდა, დადიოდა კარ-  
დაკარ, ოჯახიდან ოჯახში და გასართო-  
ბად ჰყვებოდა ათასგვარ სისულელეს. ამ დროს უდიდესი გულისყურით უს-  
მენდნენ. უფალი მამაკაცები თავშეუა-  
ვებლად იცინოდნენ, ხოლო უტურფე-  
სი და ჰაეროვანი ქალბატონები ილიმე-  
ბოდნენ მოწონებისა და კმაყოფილების ნიშნად, ოღონდ ძალზე თავშეკავებუ-  
ლად ილიმებოდნენ. კნენები სიამოვ-  
ნებით გულთანად გაიცინებდნენ კი-  
ლევ, მაგრამ ეშინოდათ: დრო ისედაც ულმობელია, უსიცოლოდაც დაგვასვამს თავის დაღს სახეზეო.

ზოგჯერ აქაც არ უმართლებდა, ნა-  
თესავის ან ნაცნობის სახლს მიადგებ-

108901

და და სალაცხოდ განწყობილი კარს დააკეუნებდა. მოახლე ან ფარეში კარის გაუღებლად მოახსენებდა: ბატონმა ბრძანა, შინ არა ვართო.

ასეთი ცხოვრებაც ფიტავდა და სულელოვრად აცინებდა, ყველა უღირსთან ათანაბრებდა, მაგრამ მოჩვენებით კმაყოფილებას მაინც განიცდიდა: აქ სწორად უსმენდნენ და უჭერებდნენ.

მაგიდაზე დასტა-დასტა ეწყო დავთრები და სასამართლოს ოქმებით დატყენილი საქალაქელები. ახალგაზრდა მოხელე მოთმინებით ფურცლავდა ქალაქებს, თან ცდილობდა მიმხვდარიყო: ოქმები, აქტები, საბუთები, ყველაფერი, რაც აქამდე გულს ურევდა და ტკივილს აყენებდა, ახლა რატომ გახდა ასატანი? მიხედვრას ცდილობდა, მაგრამ საკუთარი თავისთვის ძალა მაინც და მაინც არ დაუტანებია. დაღლილი იყო და თანაც საშინლად ცხელოდა, სიცხემ მოთენთა და დააოსა, სული შეუხუთა. ასე ეგონა, ეს ქალაქელები თათაში რომ მოესროლა, ჰერს ისე დაეფინებოდა, როგორც წყლის ზედაპირს.

თითქმის მთელი ქალაქი გარეთ იყო გამოფენილი, საღამოს ცხოვრებას ქუჩებსა და ეზოებში, აივნებსა და ბანებზე აგრძელებდა. ქალაქს უდარდელი კაცის იერი დაჰკრავდა. თავისი ბედი თითქმის უკვე მოგვარებული ჰქონდა და ახლა, სხვათაშორის, ხმამაღლა ლაპარაკითა და სიცილ-ხარხარით წყვეტდა დანარჩენი ქვეყნის ბედ-იღბალს.

ხის რიკულებიან აივნებზე ვახშობდნენ, ვახშობდნენ ტროტუარებზეც, თავთავიანთი საბუთების წინ მოქალაქეებს სკამები გამოედგათ და ნეტარებით წრუპავდნენ ჩაის. ვისაც ვახშამი მოეთავებინა, საქმიანად მისჯდომოდა ნარდს და ტყაცანიოთა და ხმაურით გადაჰქონდა ქვები ნარდის ერთი დაფიდან მეორეზე. თუ ნარდს არ ამღერებდნენ, აივნიდან აივანზე, ქუჩიდან ქუჩაზე საუბრობდნენ მეზობლები ბაზრის მახანდისა ანდა სხვა საქირბოროტო სა-

კითხთა გამო. ვინ ყალიფს აბოლებდა მამაპაპურად. ვინ თვლემად წასულიყო და სკამზე მჭდარი ყვინთავდა: დედაკაცები უმეტესად ქურქველს რუცხავდნენ და ნარეცხი წყლით ქვაფენილს რწყავდნენ.

ახალგაზრდა მოხელისათვის ეს ბინდმორეული, ვიწრო და ოღრთოღრო ქუჩა იმდენად იყო უცხო, რამდენადაც აქ არავინ იცნობდა. იგი არავის გაურბოდა, მაგრამ ახლა რატომღაც სიამოვნებდა, ქუჩაში ნაცნობთაგანი რომ არ ხვდებოდა და სალაცხოდ არ აჩერებდა, სოლოლაკიდან შუა ბაზრისკენ მიდიოდა.

დაგვიანებული სახედრები, რომლებსაც დაცლილი მაწვნის ქილებით დაბერილი ხურჯინები ეკიდათ, მოკლე და სწრაფი ნაბიჯებით მიბაკუნებდნენ ოქროყანისა თუ წავეისისაკენ. შემთვრალი პატრონები ლანძღვა-გინებით მისდევნენ უკან, დაგვიანებას ვირებს აბრალებდნენ. ბაზარში ღვინის სმის დროს დაკარგულ დროის ანაზღაურებას სახრეების ქნევითა და ყვირილით აპირებდნენ.

შუა ბაზარში ცხვირწინ ჩაუარა ცარიელმა ეტლმა. მეეტლემ ახალგაზრდა მოხელეს იმედიანად მოხედა, მაგრამ საიმედო რომ ვერა ნახა რა, ცხენებს შოლტი გადაუჭირა და სიონისაკენ დაეშვა. ახალგაზრდა მოხელემ თავისი გზა განაგრძო.

მთელი დღე რასაც ქვეშეცნულად უმაღავდა საკუთარ თავს, ბოლოს და ბოლოს, ძლივს გაუმხილა. თურმე შინ მისვლაც არ უნდოდა. ეს იყო და ეს. როგორც ჩანს, გზაც ამიტომ გაკრძელა, სამსახურშიც ამის გამო დარჩა და დღის ბოლოდან დაბინდებამდე უაზროდ ფურცლავდა სასამართლოს ოქმებსა და აქტებს. ამ აღმოჩენით გაოცებული იყო, თუმცა ერთგვარად მაინც გაუხარდა. ქალაქელებში ჩაფლულს ზოგჯერ შიში გაეყწლავდა ხოლმე, ვაითუ ყველაფერ ამას, რასაც ვერ ვურიგდებოდი, უკვე შევეჩვიე და შევეგუეო. იგი თავის მდგომარეობას ვერაფრით

ურიგდებოდა, თუმცა ამავე დროს მკაცრად გრძნობდა: მისი ყოფა-ცხოვრების სარბიელი განგების მცდარი ხელით დაუნდობლად იყო უკვე მოხაზული და ამ რკალიდან, ამ წრიდან ვეღარ გამოვიდოდა... მამამისმა სულის ერთი შებერვით ჩაუჭრო ყველა სანთელი და ყელზე გამობმული საბელი, რამდენადაც შეეძლო, დაუმოკლა. მაგრამ თუ კაცი მონა არ არის, სიკვდილამდე ბედს არ უნდა დანებდეს. ხანდახან მასაც გაუელვებდა იმედი, აღეგზნებოდა და აენთებოდა. მაგრამ ეს იყო ძალზე ბუნდოვანი და შორეული ნუგეში, რომლის ნათლად და მკაფიოდ წარმოდგენა ამჯერად მის გონებას არ შეეძლო.

ზემო უბანში რომ გავიდა, უკვე საკმაოდ ჩამოზნეულა, ცაზე გაწოლილი ვეებერთელა მუქ-ლურჯი ღრუბელი შიგნიდან იყო ვერცხლისფრად განათებული. მთვარე ღრუბლის წიაღში განისვენებდა.

ახისხატის კარი ღია იყო. ცოტა ხანს ღია კართან შეჩერდა, სიცარიელისა და საკმევლის სუნი იგრძნო. შეიხედა, ეკლესიაში არავინ ჩანდა. შანდღებში უკანასკნელი სანთლები იღვენებოდნენ, კედლებსა და ხატებზე ცახცახებდნენ მოლურჯო ჩრდილები. ისე მოეჩვენა, თითქოს ტყეში მიტოვებული კოცონი იფერფლებოდა.

გართუბანში გამოსულმა მარჯვნივ გაუხვიო. ჯერ თავის სახლს, მერმე მუხრანთან ძველ სასახლეს ჩაუარა გვერდით და მტკვრის ნაპირზე აღმოჩნდა.

მტკვარი მისი ბავშვობის მდინარე იყო. ბავშვობიდანვე ესმოდა ეს ხმაური და სულ ეგონა, ამ ხმებით მტკვარი რაღაცის თქმას აპირებდა, წვალობდა, იტანჯებოდა და მიინც ვერ აგებინებდა... მერმეც ასე ფიქრობდა: ტალღების სრბოლაში იმალებოდა რაღაც დიდმნიშვნელოვანი, მარადმკმუნვარი და მარადშეუცნობელი. მდინარის მოძრავი და ცოცხალი სხეული, დაუხშობელი ხმა იზიდავდა და ეძახდა, აღელვებდა, როგორც ცხოვრება ან ქალი.

მტკვარი ბნელი და გულჩათხრობილი

მოეჩვენა. ეტყობოდა, დღეს ვეღარ გაუგებდნენ ისინი ერთმანეთს. დღეს მტკვრის დღე არ იყო. უაზროდ მდგარმა გაღმა ნაპირს გახედა: ჩუღურეთში აქა-იქ საცოდავად კიაფობდა სინათლე და მდინარის ზედაპირზე მკრთალად ირეკლებოდა.

გაწილებული გაბრუნდა უკან, თითქოს მეგობართან მოვიდა და მეგობარი შინ არ დახვდა.

მარტოდ მარტო დაეხეტებოდა ყველასთვის გაუგებარი და უცხო, ღამეულ სივრცეში თუ სიცალიერეში მოსროლილი სული...

ამოუხსნელი, შეუცნობელი, ცხოვრების იღუმალი ხმა ესმოდა და ამაოდ ცდილობდა მის შეცნობასა და ამოხსნას, დარწმუნებული, რომ ამ საწუთროში, ამ ამოუებათა ამოებაში თავისი წილი თუ ხვედრი ვერ მიიღო. უკვე განცდილი და ნაგრძნობი ჰქონდა და იცოდა: ღმერთისკენ გატყორცნილი მისი ფიქრი ღმერთამდე ვერ მიადწევდა... ეს, რა თქმა უნდა, იცოდა, ოღონდ ვერ მიხვდარიყო, რატომ ხდებოდა ასე.

ხეტიალისა და ფიქრისაგან დაღლილი ახლა ყაბახისაკენ გაემურა. უკვე საკმაოდ გვიან იყო, თითქმის მთელ ქალაქს ეძინა. მაგრამ ყაბახზე უსათუოდ იქნებოდა ვინმე — ან ნაცნობი, ან მეგობარი, ან ნათესავი. ცოტას წაილაყებდა და გულს გადააყოლებდა.

ყაბახმა სამშობლოდან გახვეწილი ბიძა—გრიგოლ ორბელიანი მოაგონა და უფრო მეტი სიმძაფრით იგრძნო სიმართლევ. ძალიან შორს იყო ის კაცი, რომლის ზეგარდმო მომადლებულ ნიჭსა და სულის სიმტკიცეს თაყვანსა სცემდა. ძია გრიგოლი რომ აქ ყოფილიყო, ალბათ, ცხოვრებაც სხვაგვარად წარიმართებოდა. ყოველ შემთხვევაში, იმხანად ასე ეგონა, ისიც ეგონა, რომ ბიძაყისი ძალე დაბრუნდებოდა სამშობლოში და... ხანდახან იმედის ზავსიან ნაპირებს ებლაუქებოდა.

უცებ მოეჩვენა, თითქოს მთელი საუ-

კუნე დადიოდა ყველასაგან მიტოვებულ უკაცრიელ ქალაქში. ოღონდ უნიზნოდ კი არ დაეხეტებოდა, ვილაცას დაეძებდა ამოდ. უდაბურების ეს გრნობა გულს შიგნიდან აწვებოდა და ტკივილს უორკვეცებდა. იქნებ ამიტომაც გაახსენდა ყაბახი. ყაბახმა კმუნებისა და ნალველის გაქარება იცოდა. ყოველთვის მზიარული იყო, განსაკუთრებით გაზაფხულზე და ზაფხულში. მიმწუხრის ლურჯ ბინდ-ბუნდში განხვეული, კოჭრის ვრილი ნიავით ატორტმანებული, გვიანობამდე არ ცხრებოდა. იცინოდა, მღეროდა, ლაყბობდა, ქორაობდა... ვაგების სიტყვას გონებამახვილობას, ეშხსა და ლაზათს მატებდა, ხოლო ქალოშვილებს მსუბუქი და საამო ქათინაურებით უთრთოლებდა გულს.

ამგვარი იყო მაშინ ყაბახი.

ძველებს კი უფრო სხვანაირი ახსოვდათ.

ყაბახის თავსა და ბოლოში ორი ქვა იღო. ქვებზე ორ თასს შემოდგამდნენ ხოლმე. რა თქმა უნდა, ერთს — თავში, მეორეს — ბოლოში. მხედრები გაკუნებული ცხენებიდან ესროდნენ ჯირითს, ეინც მოარტყამდა, ჯილდოდ გამარჯვებისა: თანიც მისი იყო. თასის ჩამოდება ვაგკაცის სახელს დიდებით მოსავდა და ამის გამო მარჯვედ ნასროლი ჯირითი ბევრ ლამაზ ქალსაც უკოდავდა გულს.

ვარაუდმა გაუმართლა. შორიდანვე გაიგონა ხმამაღალი სიცილი. ახალგაზრდებს ძილი და ქალაქი ხნიერთათვის დაეთმოთ. თვითონ ყაბახის წყნარსა და მთვარიან ღამეს შეხიზნებოდნენ. ქალაქის შნოსა და სილამაზეს აქ მოეყარა თავი... ორბელიანები და ჭავჭავაძეები, ჯორჯაძეები და ანდრონიკაშვილები, სავარსამიძეები და ციციშვილები, ჩოლოყაშვილები და ერისთავები, გურამიშვილები, თუმანიშვილები, საგინაშვილები... მთვარის სუნთქვით გაუღმნთილ ყაბახს კოჭრის ნიავი არხვედა. მოვერცხლისფერო-მოლურჯო ბურუსში გახვეული ქალები მშვენიერ ზმანებებივით მოჩანდნენ, სახედველს ატკბობდნენ, გულსა და გონებას იტაცებდნენ.

ისინი წყვილ-წყვილად თუ გუნდ-გუნდად იდგნენ ან სეირნობდნენ. ყველგან ანრდილებივით ახლდნენ ვაგები. ვაგთაგან ზოგს უგუნებობა შეჰყაროდა უნუგეშო ტრფიალის გამო, ზოგს ჯერ ვერ გაემხილა სატრფოსათვის ზრახვანი გულისა და იმედიანად აგზნებული შეფოფონებდა თავის სწორფერს. ზოგი კი ანცობდა, არც ერთი ცეცხლი სწავდა და არც მეორე. ჩვეულებრივად ერთობოდა და სხვებსაც ართობდა. მისთვის ისიც კმაროდა, თუ რომელიმე მშვენიერ ასულს გააცინებდა ანდა ღიმილიან კეკლუც გამოხედვას დაიმსახურებდა.

ყველა თავისი „საკმით“ იყო გართული და ახლადმოსული ჯერჯერობით ვერავენი შენიშნა. კმაყოფილი, რომ ვერ შენიშნეს, მათ შორის ლანდივით დაღროდა. ამ სანახაობამ დღევანდელი ფიქრები დააიწყა და დაამშვიდა, გაამზიარულა კიდევ. გრიგოლ ორბელიანის ლექსი გაახსენდა და გუნებში რამდენჯერმე გაიფეორა: „გაცხელე-ბულთა ღვინისგან შუბლთა კოჭრის ნიავი განგვიგრილებდეს“. ამ ღამემ შარშანდელი მანისის ღამეც მოაგონა. ამგვარი იყო შარშან ყაბახი, თვალად საამო, ლურჯად მიბუნდვილი, მთვარის შუქით მოფენილი, გრილი.

ყურადღება ახლა ქალების ერთმა ჩგუფმა მიიქცია. ქალები უცნაურად ირეოდნენ და კისკისებდნენ. შორს იყო და კარგად ვერ გააჩნია, რას აკეთებდნენ, როგორც ჩანს, ვილაცას ეხვეოდნენ.

მიუაზლოვდა და გარკვევით გაიგონა:

— ყაფლან, თავსა უფლად...  
თავსა უფლად...

ასეც ფიქრობდა, სხვას ვის დაეხვეოდა ამდენი ქალი, თუ არა ყაფლან ორბელიანს — დიდმომღზენსა და მომღერალს, დარდიმანდსა და აშოკს... ქალები აღექსანდრე ჭავჭავაძის სიმღერას თხოვდნენ, ყაფლანს სიამოვნებდა ქალების ხეყწა-მუდარა და თავი ისე ეჭირა, თითქოს დაიღალა და მღერა აღარ შეეძლო.

— მხოლოდ თ ა ვ ს ა უ ფ ლ ა დ, ყაფლან, სხვა აღარ, მხოლოდ ეგ ერთი! — არ ეშვებოდნენ ქალები.

ყაფლანმა ოხერას გული ამოატანა. ვითომ ამკვეყნად საშველი არ არისო და ღიღინით დაიწყო:

თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ,  
ყოველთა ესრეთ გათონეთ!  
ერთგზის თქვენცა ტრფილუბა  
ჩემებრ მწარედ დაგიმონებთ:

მერმე ყელი მოიღერა, მთელი ხმით ამღერდა:

შეცა ვიყავ მოქაღული,  
ვიდრე ჩემად მქონდა გული.

ყაბახი ჯერ შეიშმუშნა, შემდეგ გაინაბა, ყველამ დაძაბა სმენა, ქალებს განსაკუთრებით მოსწონდათ ეს სიმღერა. სიმღერა აღელვებდა მათ და სასიამოვნოდ გამაბრუებელ სევდას ჰგვრიდა.

ზაგრამ ჩემი სულის ძალა  
ერთმან წამმან სრულად სცვალა:  
გნახე და მყის შენმა სხემ  
შემიბურა და შეცამსკვალა.  
მომესია სევდათ გუნდი,  
შემომერტუა ბნელი ბუნდა...

უცერად თეთრკაბიანი ქალი დაინახა, იგი სხვა ქალებისაგან ცოტა მოშორებით იდგა მორცხვად და ყაფლანის სიმღერას ყურს უგდებდა. ამ ქალის დანახვა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ჰაბუკი დაიბნა. მერმე მეყვსეულად აღეგზნო და ოდნავ დაბარბაცდა — წონასწორობა დაკარგა. როდესაც გონს მოეგო, გაახსენდა: ოდესღაც ამ ქალს უკვე შეხვედროდა და იცნობდა კიდევცოლონდ ვერაფრით გაიხსენა, სად შეხვდა პირველად. მაშინაც ასე მორცხვად იდგა ქალთა შორის და მათგან ისევე გამოირჩეოდა, როგორც ახლა.

დაიწინებოდა უმხერდა, დაიმედებული იყო, ამ დამეში თეთრკაბიანი ქალი მის შერას ვერ შეამჩნევდა. მაგრამ ქალმა ზვალი შეასწრო და გაუცინა. ამან გაამხნევა, რამდენიმე ნაბიჯი წადგა

წინ და მიუახლოვდა. გული გამალუბრით უცემდა.

— ბედნიერი ვარ, კვლავ შეიძლება თქვენი ნახვა, მით უმეტეს, რომ აგრე რიგად მზიარულს გხედავთ. — უთხრა მთრთოლვარე ხმით.

— მაღლობელი ვარ, — მიუგო ქალმა და ბაგეებზე ნაღვლიანმა ღიმილმა გადაურბინა, — ახლა მოდაა, ნაცნობებს მალე ივიწყებენ ხოლმე. ჩვენს დროში დავიწყება დიდად ფასობს... თუნდაც გახსოვდეთ, თავი ისე უნდა დაიჭიროთ, ვითომ დაგავიწყდათ. თან ყველაფერი დროს უნდა დააბრალოთ: „ხომ იცით, ახლა ისეთი დროა...“ ანდა „ღმერთო, მას შემდეგ რა დიდი დრო გასულა...“

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ვერც დრო და ვერც მოდა ვერ მომიშლის თქვენს ხსოვნას. განა იპოვება ამკვეყნად კაცი, რომელსაც ძალუძს თქვენი შშვენების დავიწყება?...

ქალს სახეზე ვარდისფერმა ალმა გადაჰკრა და თვალი მოარიდა. ვაჟს კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ გუშანი მიხედა, მეტის თქმა აღარ შეიძლებოდა. რაც უთხრა, ალბათ, ისიც ბევრი იყო. მათ შორის მესამე კაცივით ჩადგა დუმილი. დუმილმა აგრძნობინა: ქალი მალე წავიდოდა, სულ წამიც და გატრაალდებოდა. მაინც რით შეეძლო ამ ნეტარი წამის გახანგრძლივება? ასე გარინდებით დგომა კი სიკვდილამდე უნდოდა, თუმცა მისი სიახლოვე, თმისა და კაბისაგან მომჭროლავი სურნელი თავგზას უზნევდა, თავისუფლად ყოფნასა და სილაღეს თანდათან აკარგვილებდა.

ამ დროს ნიავმა დაუბერა და ქალს თეთრი კაბა მიმოუჭროლა. მთვარის შუქზე ორი პატარა, კონტა ფეხი გაერთა და ვაჟმა კიდევ ერთხელ დაჰკარგა წონასწორობა. თითქოს ყაბახის ჯირითში გამარჯვებულს ვერცხლის გრილი თასებით ასმევდნენ მთვარის სხივებს და თერებოდა. საოცრად მათრობელი იყო ეს ნათელი და გრილი სხივები, სხეულს შიგნიდან ბანგივით უკიდებდა

ცეცხლს და აბრუებდა. იმ წუთს ბედნიერი იყო. რადგან ღმერთმა მოჰმადლა ამგვარი თრობით დატკობის ნიჭი.

ქალი უხმოდ გატრიალდა და წავიდა. ყაფლანს სიმღერა გაეთავებინა და ქალთა მშვენიერი ამალით წასულიყო. ალბათ თეთრკაბიანიც მათ დაედევნა. ღამის სიღურჯეში, რამდენჯერმე გაივლვა თეთრმა კაბამ და გაუჩინარდა.

ყაბახი მთლად დაცარიელებულიყო. ეს იგრძნო მაშინვე, როგორც კი ქალი თვალს მიეფარა. ირგვლივ მიმოიხედა, ყაბახზე მარტო აღმოჩნდა. ამჯერად სიმარტოვისგან ტკივილი არ უგრძენია. ჯერ კიდევ ესმოდა ნაღვლიანი ხმა, რომელიც ქალურად მომხიბლავი საყვედურებით ავსებდა მთელ ქვეყანას. ქალის ხმა საყურესავით ეკიდა ჰაერში და ნიავის უმნიშვნელო რბევებზე უცნაურად თრთოდა. ამ ხმას დავიწყების შიში ათრთოლებდა და ამიტომ მალავდა თავის წიაღში საყვედურს.

მაგრამ ვინ იფიწყებდა და აღარ ცდილობდა გახსენებას? ვის ეკუთვნოდა ეს საყვედური, ვის მიმართ იყო თქმული? თითქოს ახლა-ღა მიხვდა: მას არ ეხებოდა და იმ უცნობისადმი უეცარი შურით განიშკვალა. თვალნათლივ დაინახა, სასაყვედურო სიტყვები როგორ მოუახლოვდნენ, მერე სხეულზე გადაუარეს და ყაბახის სიბნელეში გაიფანტნენ, რათა მოენახათ ის, ვისთვისაც იყვნენ განკუთვნილი. ღრმად იყო დარწმუნებული, იმ უცნობს მოხელის ძველი და გახუნებული სერთუკი არ ეცვა... რა თქმა უნდა... რა თქმა უნდა...

სადაც პირველმა მამალმა იყივლა.

და უცებ:

იქვე,

სულ ახლოს,

მარჯვნივ,

მარცხნივ,

წინ,

უკან,

ქალაქის თავში,

შუა ქალაქში,

ქალაქის ბოლოს, —

ქვეყნის კიდემდე აყივლდნენ მამლები...

იგი შინ ბრუნდებოდა. ღმერთმა მოლობით მიდიოდა მთვარით განათებულ ყაბახის გულზე. მიდიოდა და ყოველი მხრიდან ერთად მიჰყივდა ათასი მამალი. როგორც ბურუსში, მამლების დაუსრულებელ ყივილში მარტოდ მარტო მიიკვლევდა გზას.

ღმერთო, გინახავს შენ ოდესმე ასეთი მარტოსული ქაბუკი? ხედავ, რა მოწყენილი მიდის, მხრებში მოხრილი, კოჭლი. მან ჯერ კიდევ არ იცის, ეს გახუნებული და გაცვეთილი სერთუკი მხოლოდ იმიტომ აცვია, რომ ყმაწვილურ სხეულზე ამოხეთქილი ბრძენის ტკივილები დამალოს. ქაბუკს ამ ღამით შენ ერთხელ კიდევ აწყენინე, ღმერთო!...

სამართლისა და განჩინების ექსპედიციის ახალგაზრდა მოხელე კანცელარიამში თავის სამუშაო მაგიდას უჯდა.

თებერვლის სუსხიანი დღე იყო.

სწორედ ორი თვის წინათ შეუსრულდა თერამეტი წელი და მეცხრამეტეში გადადგა. როგორც ხედავთ, უკვე არც ისე ახალგაზრდა გახლდათ.

სხვა მოხელეებს აჩვენებდა, თითქოს მუშაობდა. სინამდვილეში გრიგოლ ორბელიანს წერდა წერილს. წინ ედო ფურცელი, რომელზეც ჯერ მხოლოდ თარიღი და „საყვარელო ძიავს“ ეწერა. დიდი ხანი იყო, რაც ძია გრიგოლისათვის წერილი არ გაეგზავნა. ძალიან ეუხერხულებოდა, თანაც აწუხებდა ამდენი ხნის მიუწერლობა. საჭიროდ მიიჩნია, ბოდიში მოეხადა და აეხსნა მიზეზი, თუ რატომ დაუგვიანა ბარათის გაგზავნა. „გთხოვთ მომიტევოთ ამდენს ხანს ჩემგან მოუწერლობა; ეს გარემოების ბრალია: ხან არ ვიცოდი ადგილი, თუ სად იმყოფებოდით, ხან საქმეებში გავერთობოდი სამსახურისა გამო...“ აქ ცოტა ხანს შეეყოვნდა და ფრჩხილებში



ჩაწერა „(Я чиновник экспедиции суда и расправы)“ შემდეგ ჩვეულებრივად გააგრძელა: „...და ამობაში ორშაბათი გამომეპარებოდა ხვალმე, როდესაც მანდაური ფოჩტა მოდის. ასე, ძიავ, ვიცი მომიტევებ...“ დაწერილი გადაიკითხა, შეამოწმა, გამოდგებოდა თუ არა, გრიგოლ ორბელიანის წინაშე თავის გასამართლებლად.

ახლა უკვე შეეძლო მიეწერა ის, რაც აწუხებდა. ძია გრიგოლმა არაფერი არ იცოდა, ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა გაეგო, ხომ უნდა სცოდნოდა, როგორ წარიმართა მისი დისწულის ცხოვრება? „აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სუდაირასპარავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ რაც პანციონში ყოფნის დროს, когда будущность моя представлялась мне в радужных мечтаниях, და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქომამდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამეპარება ხვალმე გულში. მაშ რაღამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომდეს, რომ კოვლი ხარო და თუ არ ინვალიდის კომანდაში სხვაგან არ მიგიღებენო...“ რატომღაც კოვლ ფეხზე დაიხედა და გამართა. რა თქმა უნდა, ფეხი ტყუილი მიზეზი იყო. ამ ფეხზე დილიდან დაღამებამდე შეეძლო მდგარიყო ან ეხტუნა. მისებურად დახტოდა და ცეკავდა კიდევ: „...მაგრამ რადგანაც შევიტყუე უარი მათი და მით უამოვნება, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც ვაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო...“

კანცელარიის კარი სწორად იღებოდა და იხურებოდა. ათასი ჯურის ხალხი ირუოდა ოთახში. უცებ ვიღაც მოადგა მის საწერ მაგიდას და რაღაც ჰკითხა. ახალგაზრდა მოხელემ თავი აიღო და მიაჩერდა. უცნობი ერთხანს ელოდა პა-

სუხს, მერმე იმედი დაჰკარგა ან ჩვეულებრივ გაიფიქრა: „გიჟიო“ და მავიდას მოშორდა.

მთავარი სათქმელი უკვე გაუხშილა. ძია გრიგოლი გაუგებს, უბრალოდ დაწერილ სტრიქონებში მიმალულ ტყვილებს ამოკრებს, დაინახავს, მისი დისწულო როგორ გაჟირეს ახლობლებმა, დაუმსხვრიეს სიყმაწვილის ოცნებები და დიდი სარბიელი შეუზღუდეს და შეუფიქროვეს.

მამამ ავადმყოფობა მოიმინებოდა და უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაზეც უარი უთხრა: „...შვილო, ხომ მხედავ შენის სახლის გარემოებასო, იქნება მე ველარც კი ვაგაწიო ამ სხეულებასო, შენს სახლს არ უპატრონებო?..“ მამამ ცხოვრება სტუმრიანობაში, ლხინსა და ქეიფში გაატარა. მერმე ლოგინად და ვალებში ერთდროულად ჩავარდნილმა იოლად გადაწყვიტა შვილის ბედობლა. მაგრამ ასეთი რამ წერილში არ ჩაუწერია, რადგან მამის ამბავი ძია გრიგოლს სხვაზე უკეთ მოეხსენებოდა. „...ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით, დავრჩი ისევე ჩემს მამულში; განეწესდი სამსახურში და დაუმორჩილო ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხვალმე მასთან შებმას, ან ჩემი ბედი ან სურვილის აღსრულება...“ შემდეგ განუმარტა: ვისაც სამოქალაქო სამსახური უნდოდა, მისთვის ეს ადგილი ზედ გამოჭრილი იყო, აქ გაივლიდა მოხელეობის პირველ სკოლას, ოღონდ მოხელეთა ყოფაში არ უნდა გათქვეფილიყო, რადგან «Круг чиновников не выгоден для образования нравственности».

წერილის წერა, თუნდაც ერთი დღით ადრე, და წინასწარ გამზადება, არ უყვარდა. წერდა იმ დღეს, რომელ დღესაც აგზავნიდა, ამიტომ დრო არ ყოფნოდა და ყოველთვის ჩქარობდა. „...ამისთვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ. ღმერთმა დამიფაროს: ეგ თვისება სხვისაც მეჯავრება. ჭეშმარი-

ტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა გქნა რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას... მახლას!..“

ამდენი წუწუნით, ალბათ, მოაბეზრა კიდევ ძია გრიგოლს თავი. ჩრდილოეთში გადასახლებულს უთუოდ ეამებოდა აქაური ამბები, წუხილს განუქარვებდა. მაინც რა ეამებოდა, რა გაამზიარებებდა ყველაზე მეტად. ალბათ ყაბახის გახსენება.. „...ამ წარსულს ზაფხულში. ერთს მშვენიერს, მთავარიან ღამეში, ყაბახზედ დაეიარებოდი, სადაც მისმან მშვენიებამ, სატრფოთ მარაქამ, მათმა კიდევ დარდიმანდობამ სრულად განატკბეს სახედველი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონება. კოჭრის ნიაგის ქროლვაზე, ძიავ, მერწმუნეთ, თქვენ მომაგონდით, მაშინ მომაგონდა: „განცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა კოჭრის ნიაგი განგვიგრილებდეს“ და მაშინვე განვიზარაზე, რომ ამ ღამეს უთუოდ აღეწერ და გაუგზავნი ძია გრიგორის მეთქი, კიდევ აღვასრულე: მით უფრო ჩქარად, რომ ერთმა საგამა პირველ დამასო გულს კაემანი.

შენი არს ყაბახი, ძიავ, შენ გიყვარს იგი, და ამისათვის მასზედ წარმოებული შემთხვევაეც შენ მოგექძენის...“

სხვათაშორის, იგი ლექსებსაც წერდა. თუ ბავშვობის დროინდელს არ ჩავთვლით, ამ დროისათვის ექვსიოდ ლექსი უკვე დაწერილი ჰქონდა. სხვათაშორის, მის მახლობლებსა და ნათესავებს არც ამ ლექსებისა სჯეროდათ. ყოველ შემთხვევისათვის, ყმაწვილის ახირებად თვლიდნენ და არაკითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. ამიტომ განსაკუთრებით, დეღავდა, როდესაც წერილის ბოლოს ორი ლექსი გადაწერა: „ძია გ...ს-თან“. და „ღამე ყაბახზედ“. დიდი იმედი ჰქონდა, ძია გრიგოლი უყურადღებოდ არ დატოვებდა და თავის აზრს შეატყობინებდა.

ამ ლექსების გაგზავნას ადრევე აპირებდა. მაგრამ ფოსტას არ ენდო, უფრო სწორად, ცენზურას, რადგან ყაბახი, რომელიც ძია გრიგოლს წაართვეს, იგივე სამშობლო იყო. ეს გარემოება,

რა თქმა უნდა, ცენზურას არ გამოუკარებოდა და, შესაძლოა, ორივეს ბეძასაც და დისწულსაც უსჯობდებოდა ვედროდით.

„...მშვიდობით! ღმერთმა ინებოს, რომ კვლავ მამულში გიხილოთ. თქვენი უმორჩილესი ნ. ბარათაშვილი“. ასე დაასრულა წერილი.

ნაწერი კიდევ ერთხელ გადაათვალიერა, კონვერტი სასწრაფოდ დაბეჭდა და სერთუკის ჭიბეში ჩაიღო. მერმე საკიდიდან მოსასახამი ჩამოხსნა და თავქუდმოგლეჯილი გავარდა გარეთ.

ბარათი რუსეთში მიმავალ ნაცნობ ოფიცერს გაატანა. გამობრუნდა ფრიად კმაყოფილი. გზაში ისეთ გუნებაზე დადგა, თითქოს დიდი და მძიმე ტვირთი შოიხსნა მხრებიდან. სამსახურში მისვლას აღარ აპირებდა. ამ საღამოს მხიარულად გაატარებდა მეგობრებისა და ამხანაგების წრეში.

ცივი, ნესტიანი დღე იყო, თოვლყაბიანი. ასეთ ამინდში, მთავარია კაცმა თბილ ბუხარს მიივანოს. ამგვარი ბუხრები უკვე აღმოჩენილი ჰქონდა და წინდაწინვე აწყობდა საღამოს გეგმებს.

ქუჩაში ლუკა ისარლიშვილი შეხვდა, გიშნაზიელ ამხანაგს ეჩქარებოდა და არ გაუჩერდა. თან თავის ტანსაცმელზე შეახედა, — ნახე, რა დღეში ვარო. ნახევარი გვერდი მართლა დასერილი ჰქონდა, ეტყობა. ეტლს ტალახი მიეშხეფებინა.

ქუჩის გადაჭრა მოინდომა და ისეთ ადგილს დაუწყო ძებნა, სადაც ნაკლები ტალახი იქნებოდა. ამ წრიალში გაახსენდა, რომ ძია გრიგოლის ლექსის სტრიქონში ერთი სიტყვა სწორად არ მოიტანა. უნდა დაეწერა „გაცხელე-ბულთა“ და ამის ნაცვლად „განცეცხლებულთა“ დაწერა... ნამდვილად ასე დაწერა „განცეცხლებულთა“, კარგად ახსოვდა. მაინც სად მომებნა ეს სიტყვა?! გუშინვე რომ გაეშხადებინა წერილი. დღეს ასე აღარ აჩქარდებოდა. მაგრამ წუხილი გვიან იყო, ვერაფერს გააწყობდა. წერილი თავისი გზით, დანიშნულებისამებრ მიდიოდა. მაინც რამ დააწერინა ეს „განცეცხლებულთა?“

გუნება შეეცვალა. ასეთი მცირე რამ აღიზიანებდა და გუნებას უცვლიდა. ახლა ეჩვენებოდა, რომ მთელი დღე უგუნებობა აწუხებდა და თბილი ბუხრები და საღამოს მეგობრებთან დროსტარების მოსალოდნელი სიამოვნება თვითონვე გამოიგონა. არავითარი ბუხრები და შხიარული ღამისთევები არ ახივებდა სიხარულს. ყველაფერი ტყუილი და გამოგონილი იყო.

ცხოვრებაში უკვე ბევრი რამის დაკარგვა მოასწრო და დანაკარგს ვერაფრით აინახლავდებოდა. ასე უნდა ეწინააღმდეგებოდა ქუჩა-ქუჩა, კარდაკარ, საჯუთარ თავში უნდა ჩაეკლა მარტოობის ტკივილი. იგი განწირული იყო, სხვისი ნებასურვილის მორჩილად აღმსრულებელი ქვეყნად ვერ ჰპოვებდა სულის სიმშვიდეს.

მერმე მოულოდნელმა აზრმა დააბნია. თუნდაც ახლომოდა სიყრმის ოცნებები და ერთ დღეს ქვეყანას მხედრობის ბრწყინვალე მუნდირით მოვლენოდა, ნუთუ მისი სული გათავისუფლდებოდა ამდენი შფოთვისაგან და შევებს იგრძნობდა? ნუთუ ყველა ტკივილი დაუამდებოდა. ტკივილისმიერი ხილვები და ზმანებები გაჰქრებოდა და საწუთროთი კმაყოფილი მოისვენებდა?!

იქნებ ამ წუთისაოფლად ტკივილისაოვის მოვიდა და ბედნიერია, რადგან სიტყვაში ტკივილის გამჟღავნება შეუძლია...

ტროტუარიდან ქვაფენილზე გადავი-

და. შუა ქუჩაში ტალახის გუბებს გადასვტა. ფიქრებიდან ცხენების ფლოქვითა თქარათქარმა და მეეტლის ქვირთმა გამოარკვია. გვერდზე მოინედა აღვირებადკომული ცხენები მიძიმედ სუნთქავდნენ და ცხელ პაერს სახეში აორთქლებდნენ. მეეტლეს შოლტი მოემარჯვებინა და ხმამაღლა იგინებოდა. ამ დროს მეორე მხრიდანაც მოადგა ეტლი... მეორეს მესამე მოყვა, მესამეს — მეოთხე...

ქუჩა ეტლებით გაიქცა.

თავგზადაბნეული ეტლებს შორის იდგა და გასასვლელს ვერ პოულობდა, ოფლიან ცხენებს აწუხებოდა. მეეტლები მთელი ხმით უყვიროდნენ, ლანძღავდნენ. ქუჩის ორივე მხარეს აივინებსა და ფანჯრებზე ცნობისმოყვარე ხალხი გამოეფინა.

ერთ ეტლში ქალის ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი. ქალმა გაუცინა. სწორედ ისე გაუცინა, როგორც იმ ღამეს ყაბახზე...

მერმე ქუჩა დამშვიდდა...

ეტლები თავის გზით წავიდნენ.

შუა ქუჩაში მდგარი დიდხანს უმზერდა ერთ ეტლს, რომელიც ყველაზე სწრაფად მიჰქროდა... და მან უკვე იცოდა, როგორ უცინოდა ნაცნობებს ერთი ლამაზი ქალი, რა ნაღვლიანი ხმა ჰქონდა, როცა მომხიბლავი საყვედურებით ავსებდა წარმავალ ქვეყანას...

მაინც სად მოძებნა, რამ დააწერინა ეს „განცეცხლებულთა“.





# დალაშქვა ახალ სოფლის

მ ო თ ხ რ ბ ა

ასე გულცივად ჯერ განსჯა არა მქონია, ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცი წლის მოხუცებულები ვერ იქნება ჩემისთანა უსასყიდლო მსახური.

ნ. ბარათაშვილი

იმ საღამოს ხანგრძლივი ციებცხელებისა და ბოდვის შემდეგ პირველად დაუბრუნდა ცნობიერება. თვალს აღარ უჭირდა საგანთა გამოცალკეეება, ბნელისა და ნათელის გარჩევა. მოიჩრდო, დაიღწა ოთხივე მხრივ აღმართული კედლები, გაფართოვდა ორმო, რომელშიც ხან აუტანელი სიციხე იდგა, ხანაც გამთოშავი სიცივე. ვიღაცას შუა ოთახში მრგვალი მაგიდა დაედგა, შანდალი მოეტანა, ორი სანთელი აენთო. პირველად ვერ მიხვდა, სად იყო, ვისა და რას ებრძოდა, მაგრამ როცა იატაკზე გაწოლილ ჩრდილებს დააკვირდა, დარწმუნდა, რომ ადგილსამყოფელი არ გამოუცვლია. ტალახით შეღესილი, შეთეთრებული, უსწორმასწორო კედლები აღარ ირყეოდნენ, აღარც ფერს იცვლიდნენ, მაგრამ მთელი ამ ქოხისუბადრუკობას ძველებურად იტევდნენ. ფანჯარა ისე გაუშავებინა გარედან მომდგარ ბნელს, თითქოს ქვეყანა ეკუპრის ზღვაში იყო ჩაძირული. ახლა მას არც იმაში ეპარებოდა ეჭვი, რომ გარეთ წვიმდა, წვიმდა გადაუღებ-

ლად, წვიმდა ისე, როგორც ეს ოქტომბერში იცის. სინესტე ყველა ხერხიდან, ყველა ჭეშურტანიდან ეონავდა და ირგვლივ ობის, სისველისა და სიღამპლის სუნს აყენებდა. ამ ერთი თვის წინათ იგი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ გადახვეწილიყო ცხრა მთას იქით, როგორ მიეტოვებინა ეს გაძარცვული, გაპარტახებული ქალაქი, მაგრამ ახლა საამისოდ არ ეცალა. ყველა ჯებირი მოიჩრდვა. ყოველი შემოსილი არსება გაშიშვლდა, ყოველი იმედი გაქარწყლდა. მის სულში სიმკაცრემ და სიმშვიდემ დაისადგურა. მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი, გადამახალისებელი, სხვა განწყობის შემქმნელი სიმშვიდე. ეს უფრო ზეციურ სიმშვიდეს გავდა — ყოვლისმომცველს, ყოვლისგადამფასებელს. ტკივილი და სულის ხუთვა საღლაც გაქრა, თვალმა სიმახვილე დაიბრუნა, შეგნებამ ცნობიერება, გონებამ აზროვნების უნარი. აწეწილი, არეულდარეული სამყარო ისევ დალაგდა, შეიქცა, დროს დაედევნა. სანამ გარეშე ხმა-

ური გარკვეულ ელერადობას შეიძენდა, მან საბნიდან ხელი გამოიღო და ისე გადაისვა შუბლზე, თითქოს მძიმე ტვირთი მოიშორა თავიდან. მთელი კვირა ებრძოდა ბნელს, მაჯლაჯუნებს, კოშმარებს. მთელი კვირა ჰყუტდნენ, აღრჩობდნენ, შანთავდნენ და მაინც ვერ მოუღეს ბოლო. ახლა ირგვლივ არავინ ჩანდა, მაგრამ სიკარგილის ყრუ გამოძახილი მკვეთრად ისმოდა ყოველ მხრივ დახშულ სივრცეში. მიუხედავად ამისა, შეუპყრობელის შეპყრობა მაინც არ უცდია. ოცდარვა წლის მანძილზე მისთვის არავის არაფერი უპატიებია, არაფერი შეუწავლია, არაფერი შეუშუბუქებია. ამის იმედი არც ახლა ქონდა. მალე ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა. ჯერ ყინულივით ცივ საბანში გაახვევდნენ, დაჯორგავდნენ, შემდეგ ცეცხლს შეუთებდნენ ქვემოდან და ისევ დატრიალდებოდა თვალწინ წითელი ბურთულები. მაგრამ ამდამ იგი მათ ადვილად არ დანებდება. კისერზე მარყუჟს არ ჩამოიკიდებს. მარცხი ჯერ კიდევ არ ნიშნავს დამარცხებას, ლოგინში წოლა — უძლურებას, ღუმელი — მორჩილებას. მას ჯერ კიდევ შესწევს ძალა თვალი გაუსწოროს სიკვდილსაც და ცხოვრებასაც, იბრძოლოს ყოველი წუთის, ყოველი წამისათვის. გარდაიქმნას ისე, რომ შემოჩენილმა აჩრდილებმა ვერ იცნონ, ვერ მიხვდნენ, საიდან დაუბერა ქარმა. მართალია, წინ თითქმის აღარაფერია, ქვიშა უმოწყალოდ ცვივა ბურთულიდან ბურთულაში, მაგრამ უკან მთელი განვლილი ცხოვრება დევს და მას კიდევ ერთხელ შეუძლია იცხოვროს ამ ცხოვრებით.

წვიმის მძიმე წვეთები სახურავს ეცემოდა, თიხის სქელ ფენას რეცხდა, წყალი ტალახივით მოედინებოდა. ასეთ ამინდში იგი არაერთხელ შემჯდარა ცხენზე, გრძელი ნაბადი მოუხურავს და ავაზაკივით შეიარაღებული ვიწრო ქუჩას გაჰყვია. ყოველი ასეთი გასიერება უკვალოდ გაქრობა უფრო იყო, ვიდრე გასიერება, რადგან შინ არაფე-

რი რჩებოდა. ანდა რა უნდა დარჩენოდა. საკუთარი არაფერი გააჩნდა, სხვისი კი ზედმეტ ტვირთად მიწინდობდა. ნამ ქალაქს გასცდებოდა, გული ყოველთვის დამძიმებული ქონდა. ირგვლივ ერთი ხეირიანი სახლი არ ჩანდა, ერთი ხე არ იყო ისეთი, რომ ჩრდილს შეჰფარებოდა. ქუჩები ლაფში იღრჩობოდა, ადამიანები კი მიწურებში და სიბინძურეში. აქა-იქ მიტოვებული კარმიდამოც ჩანდა. მათი პატრონები ან აბას-მირზას გაჰყვნენ, ან ლეკებმა მოჰკლეს. ანდა შიმშილმა იმსხვერპლა. სპარსელები სამუდამოდ განდევნეს მათ მიერ არაერთხელ გადაბუჯული მიწიდან, შიმშილს და ლეკებს ცოტათი უკან დაახვეინეს, მაგრამ ყაჩაღებს ჯერჯერობით ვერაფერი მოუხერხეს. ვისაც გული ერჩოდა და ძალა შესწევდა, ტყეში გარბოდა. შინ ჯდომას, პატიოსნად შრომას და ყოველ დღე იმაზე ფიქრს, როდის დაგესხმიან თავს, როდის გაგძარცვავენ, მათ ისევ ის ამჯობინეს, რომ სხვები ეძარცვათ. მთელ ამ მხარეს დაშოშმინება, მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა, მაგრამ ადგილობრივი მოხელეები საკუთარ ჯიბეზე უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე საქმეზე. ამის გამო მასაც ეჭვის თვალით, ალმაცერად უყურებდნენ. არ სჯეროდათ, რომ ქრთამს არ იღებდა, დაჩაგრულს არ ჩაგრავდა, ძლიერთა წინაშე ქედს არ იხრიდა. ერთი-ორჯერ ბრთვოკაციაც კი მოუწყვეს, მაგრამ პროვოკაციაზე მეტად მას სულ სხვა რამ წამლავდა. მონებსა და ლაქიებს შორის თვითონაც მონად და ლაქიად გრძნობდა თავს. მარტო დარჩენილს გული ეკუმშებოდა, მელანქოლია ეძალეებოდა, ხოლო ზოგჯერ ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს სადაცაა ჰყუდიდან გადავიდოდა. ერთხანს კედლიდან კედლამდე დადიოდა, ჩრდილებს აფრთხობდა, საკუთარ თავს ელაპარაკებოდა, შემდეგ გარეთ გამოვარდებოდა, ცხენს მოაბტებოდა და, როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, მაინც მთებისაკენ გასწევდა. წვიმა სახეში სცემდა, ნაბდის კალ-

თებს ჩაბლაუჭებული ქარი უკან ექაჩებოდა, ცხენიდან გადმოვადებას უპირებდა, მაგრამ მას სწორედ ამგვარი ქიდილი ანიჭებდა სიამოვნებას, გაცივებულ სისხლს უთბობდა, თავს ავიწყებდა. ამ დროს იგი ცას, ქარს, შინდერებსა და ტყეებს უფრო ეკუთვნოდა, ვიდრე რომელიმე არსებას ან სხვა რომელიმე გარემოს. მაგრამ ასეთ გასეირნებას ერთი უსიამოვნებაც თან ახლდა ყოველთვის. ნაავადმყოფარი, მარტოობისაგან გაწამებული ადვილად ცივდებოდა და ლოგინად ჩაეარდნის კვლავ ეძალეობოდა ნაღველი. იწვა ჩუმად, დასჯილი ბავშვივით. ძილი არც დღე ეკარებოდა და არც ღამე. რამდენიმე დღეში ისე იღლებოდა, რომ თმენის ძალა აღარ შესწავდა. ამასწინათ ამბავი მოუტანეს, ყაჩაღებმა მწყემსები დახოცესო. სიცხიანმა სამი დღე იხეტიალა ტყელრეში. მთელი მაზრა შემოიარა, მაგრამ ყაჩაღების კვალს ვერსად მიაგნო. თავი უხურდა, გული ერეოდა, ბავშვობაში მოტეხილი ფეხი ტკიოდა. ყავარივით გამოშრალს ყელში არაფერი გადასდიოდა, მხოლოდ არაყს წრუპავდა დროდადრო, შეუმჩნევლად ემზადებოდა რაღაც ისეთისათვის, რასაც აღარაფერი ეშველებოდა. მეოთხე დღეს უკან გამობრუნდა, მაგრამ განჯამდე ვეღარ მიადგინა და მურუთში ჩამოხტა. დაბუყებული ფეხები ძლივს ამოქონდა სქელი ლაფიდან, ბნელ ოთახში ხელისფათურით მიიკვლევდა გზას. ბოლოს, როგორც იქნა, მიადგინა საწოლამდე, იარალი და ტანსაცმელი იქვე, იატაკზე დაყარა და მოცელოლივით წაიჭვა. მას შემდეგ ფეხზე აღარ წამოდგარა, მოწყდა, მოეშვა, საკუთარ თავს გაემიჯნა.

ქარი წყნარად გაიღო. ოთახში შუახნის ქალი შემოვიდა. იგი პირველად არ ხედავდა ამ ნაყვავილარ, ხელებდაწითლებულ დედაკაცს. თუ ამ ოთახში რაიმე თავის ადგილას იღო, მხოლოდ ამ დიდი, ღონიერი ხელების წყალობით მათთვის ამქვეყნად მძიმე და ბინძური სამუშაო არ არსებობდა. ყველა-

ფერს ეხებოდნენ, ყველაფერს ერეოდნენ, დაერდომოდ ავადმყოფს უვლიდნენ. განჯაში ეს უთვისტომო ქალი მოვლიციელს თუ ჯარისკაცს ჩამოყვავა, ქოხი აიშენა, ოჯახის შექმნა მოაწადინა, მაგრამ პოლიციელი ლეკების ტყვიამ იმსხვერპლა და იგი კვლავ მარტო დარჩა. მას შემდეგ ხან მაზრის უფროსს ემსახურებდა, ხან მის მოადგილეს. უფრო ხშირად მოადგილეს, რადგან მაზრის უფროსი მეტწილად თბილისშიათუმცა რა უნდა აკეთოს თბილისში გარდღილმა, ცოლშვილიანმა კაცმა ამ გადაბუყულ უდაბნოში, როგორ გასძლოს მახლობლებისა, საზოგადოებისა და უღარდელი სიცილის გარეშე. მიუჩქეველი კაციისათვის მარტოობა ისევე ძნელი ასატანია, როგორც ტყვეობა. რამდენიმე თვეში ფიტავს, აჩლუნგებს, ასწეულებს. ამიტომაც ისწრაფვის დღენიადაგ იმათკენ, ვისი ალერსი, ზრუნვა და ყურადღება ჰაერივით სჭირდება. ამას წინათ იგი ვერც კი გააცილა. შეცივებულს ზემოდან ორი ნაბადი ეხურა და მაინც კანკალებდა. მეორე დღეს ისევე მოუხდა ცხენზე შეჯდომა. ერთ-ერთი სოფლის მახლობლად ყელგამოჭრილი ვაჭრები იპოვეს. წელამდე მიწაში ჩამჭვრალი, საკმაოდ მოზრდილი სოფელი ავის მომსწავებელი ღუმლით შეეგება. ყოველი ვიწრო ფანჯრის უკან შეიარაღებული სილუეტები იყვნენ ჩასაფრებულნი. მათი შტერა ჭვარდინა ცეცხლივით სერავდა ქუჩას. მიუხედავად ამისა, რამდენიმე კაცი მაინც დააპატიმრა, მაგრამ ვერაფერი დაადგინა. ხელისუფლებასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის ნდობა არ არსებობდა. არ სწამდათ მექრთამე მოხელეების სამართლიანობის, დაწერილი ქაღალდის ძალის. არ სჯეროდათ, რომ მათ საკეთილდღეოდ ვინმე ხელს გაანძრევდა. ძალადობა ისეთივე ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდათ, როგორც უამინდობა. პატიმართა უმრავლესობა პირქუში, გაბოროტებული, გამამაძალტებელი ავაზაკი იყო, საკუთარი თავის გარდა არავის

ენდობოდა და ცდილობდა, რაც შეიძლება ძვირად გაეყიდა თავისუფლება. სხვა როგორმე შესძლებდა ალბათ მათ გამოტყუებას, მაგრამ მისი სისუსტე ის იყო, რომ კარგად ესმოდა მათი, რაც თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც ნიშნავს პატიებას. გარდა ამისა, ძალადობა და ადამიანის ფიზიკური წამება ქირის დღესავეთ სძულდა ყოველთვის და ამის გამო მეტი ჯაფა ადგებოდა. თუმცა ამისათვის არც მზარს უფროსი ვარგოდა. ყაჩაღების დევნას და ექვმიტანილთა დაკითხვას მას ისევ თბილისში ეტლით სეირნობა და ქეიფი ერჩია. ამიტომაც დააკისრა თანაშემწეს უცხო, გაუგებარი და უზარო ტვირთი. თუ ბედისწერა არა, რამ გადაპყარა იმ დღეს მამუკას, რატომ დათანხმდა, რატომ შეაქცია ზურგი თელავს. რომელი ჭკუათმყოფელი გარბის სამშობლოდან, როცა სხვაგან უკეთესი არაფერი ეგულება. თუ აუხსნელი შემთხვევითობა არა, რისთვის მოაშურა ამ გაპარტახებულ ქალაქს, რა უნდა ეპოვნა აქ ისეთი, რომ თავის შესაქცევად ან მოსატყუებლად გამოსდგომოდა. იქნებ მოეხატრა და უარი ვერ უთხრა, ან იქნებ მშობლიურ ქალაქში სული ეხუთებოდა და უნდოდა რაც შეიძლება შორს გადახვეწილიყო, გასცლოდა ყველას და ყველაფერს, განთავისუფლებულიყო მერყეობისაგან, რასაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ვერაფერი მოუხერხა, რის გამოც საკუთარ მოწოდებას ლალატობდა. ლალატი რომ ცალმხრივი არაა, ეს მან აქ ჩამოსვლამდე იცოდა. ვინც თავს ლალატობს — ლალატობს სხვებსაც, მაგრამ ეს არ ესმოდათ მისი ოჯახის წევრებს, ნათესაეებს, ნაცნობ-შეგობრებს. პირიქით, მუდამ იმას ჩასჩინებდნენ, რომ ხელი აეღო ღვთით მონიჭებულ მადლზე და უხილავ, გამომფიტავ, გამრყენელ ძალას დამორჩილებოდა, ფეხი შეედგა ისეთ ლაბირინთში, რომელსაც ვეღარასოდეს დაადწევდა თავს. აქი ასეც მოხდა. მთელი ძალდონე სამსახურს შეაღია, არ და-

ზოგა არც დრო, არც ჯანმრთელობა და მაინც ვერაფერს ვერ შეუძლებუქვ მძიმე ხვედრი, ვერაფერს იხსნა ძალადობრივად სიკვდილისაგან. ბოლო დროს სიცილსაც კი გადაეჩვია. სიცილი დანაშაულის გრძნობას უმძაფრებდა ამ სისხლით მორწყულ, გავერანებულ, გაუხარებლ მიწაზე.

ღამე ისე პირქუშად იმზირებოდა გარედან, თითქოს აღარასოდეს დაიხვედა უკან. ამის გამო ყოველი ნივთი, ყოველი საგანი, რომელთაც სანთლების გამკვირვალე შუქი დამოუკიდებლობას ანიჭებდა, უფრო მძაფრად იკვეთებოდა, განუმეორებელ თავისუფლებას იძენდა. მას რომ მხარი ექცა, ახლა ეს სადღო არ იყო. მაგრამ რაღა მაინცდამაინც მის მხრებს დააწვა დროის სიმძიმე, რაღა მის სულში ჩასახლდა უნდობლობა, სხვათა ტყვეობის სიმძაფრე, დაუცხრომელი პროტესტი. კიბეზე მანამდეც დაგორებულა სკოლაშიც და სახლშიც, უხეიროდაც დაცემულა, მაგრამ ამჯერად წამოდგომა ვერ შესძლო. მთელ ტანზე ცივმა ოფლმა დაასხა, გაფორდა, გმინვა აღმოხდა. სანამ ტყვილი ღამეებს თეთრად ათევენებდა, სანამ ლოგინში იწვა, ფეხის დარდი არ ქონდა, მაგრამ როგორც კი ყავარჯნები გადაყარა და სწორად გავლა სცადა, მიხვდა, რომ სამუდამოდ დაკოჭლდა. დაირღვა სიმეტრია, სწორხაზოვნება და შიგნით რაღაც გაიბზარა. ფეხი დამოკლდა, მაგრამ ამით მის ნიჭს, მის ენერჯიას არაფერი მოკლებია. პირიქით, შემკიდროვდა, დაიმუხტა, გამძაფრდა. დაიწყო რაღაც ისეთის ძიება, რაც ცხრა მთას იქით იდო, რაც ღიდ შრომას და თითქმის მთელ სიცოცხლეს მოითხოვდა. აღზნებას დებრესია ცვლიდა, ნაყოფიერებას უნაყოფობა. ამ დროს ყველაფერი აღიზიანებდა, ყველაფერი აფრთხობდა, იღუმალეობით შოცხული სამყარო ისე ფერდებოდა ცალ მხარეს, თითქოს ცალი ფეხი მასაც მოკლე ქონდა. მაგრამ ნუთუ ყველა კოჭლი და გონჯი თავის გზას ეძებს, ნუთუ ყველა მათ-

განის სულში გიზგიზებს ის ცეცხლი, რომელმაც იგი დასწვა და დაფარულა? არა, ბევრ რამეში იგი ალბათ ახლაც ისევე ცდება, როგორც ადრე ცდებოდა. სად არის აზრის სისწორის, ქვეშაირტების საზომი, სად ემთხვევა ერთმანეთს გარე და შინა სამყარო, სად გარბიან თითქმის ჩამოყალიბებული ფაქტები, სად იმალებიან... უეცრად ორ ერთმანეთისაყენ მოძრავ წერტილებს შორის ნისლი ჩამოდგა და სწორედ იმ ადგილას შესქელდა, სადაც ცოცხალი აზრი იზადება. უფერული მასა მთელ ქვეყანას მოედო, უსუსური შუქი დაისაყურთა, ჩრდილები დათრგუნა. დატყვევებული შუქი ორთის, ძალას იკრებს, უფერულ მასას ცოტათი აფერადებს. დასუსტებული, ყოველ მხრივ დახშული მონდომებით ცდილობს კვლავ მოიპოვოს სათამაშოსავით წართმეული სამყარო, დაძლიოს უფერულობა, თუ იმედი არა, ფორმა მაინც დაუბრუნოს ამ ქვეყანას. ნისლი ქაღალდივით თხელდება, იცრიცება, იფლითება. პიტალო კლდის ფონზე ისე მოსჩანან გამოქვაბულები, როგორც დროის ჩაშავებული კბილები. ჩაშავებული კბილები შიდა მხრიდან ერთმანეთს ებმიან, სიღრმეში იჭრებიან, თავიანთ თავს იმეორებენ. მიუხედავად კოქლობისა, მან მაინც ბევრი იიარა, ბევრი იხთხა და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ამ ბნელ ქვაბებს ბოლო არა აქვთ და არც შეიძლება ქონდეთ, როცა ტანსაცმელი შემოაცვდა, მუხლები გადაეყლიფა, მყესები დააწყდა. მას შემდეგ მარტო წეშ და ყოველ უფორმო სხეულს ებრძვის. რაც მოხდა მოხდა, უსაშველოს არაფერი ეშველება. ამერიიდან ყვირილს არ აბიგრებს. მისი ძახილი ყოველთვის სამყაროდ წოდებულ ყრუ კედელს ასკდებოდა და მტკრად იფანტებოდა.

საწოლის წინ აჩრდილი აღიშართა. აჩრდილს არც არავინ ახლდა და არც არაფერი ეჭირა ხელში, მაგრამ მაინც რაღაცას თუ ვიღაცას მოუძღოდა წინ, დაუმაღლავს მაღავდა. ამის მიზეზი სიბ-

რალული უფრო იყო, ვიდრე ცნობის-მოყვარეობა. თვალები ცრემლით ევესებოდა, მუცელზე დაწყობილი ჩელები უთრთოდა უნდოდა რაღაც გაეკეთებია, უმწეობის გრძნობა დაეძლია, ლოდინი დაეთრგუნა. საწოლისაკენ დახრილმა ბეჭებზე ხელი მოხვია, ოდნავ წამოსწია და სასთუმალი ისე გაუსწორა, რომ არაფერი უკითხავს. მისი სახე გაცილებით მეტს გამოხატავდა, ვიდრე ეს საჭირო იყო. დაუნახავის დანახვა მან ჯერ კიდევ მაშინ ისწავლა, როცა ყვარჯნებს დაათრევდა, წინაპართა პორტრეტებს და ძველ ნივთებს ავირდებოდა, როცა ოცნებას ჯერ კიდევ არ ქონდა ფრთა შეკვეცილი. ფაქტების გადაადგილება ადვილი საქმე იყო. ქვეყანა სწორედ იმ კუთხით ბრუნდებოდა მისკენ, როგორც ამას მისი ფანტაზია მოითხოვდა. დამარცხებას გამარჯვება ცვლიდა, ვაპარტახებას — აყვავება, უმეცრებას — საყოველთაო განათლება. რა გზები, რა ნავსადგურები, რა ქალაქები არ მოჩანდა ზღვიდან ზღვამდე, სად ჩამოსხმული ზარები არ რეკავდნენ ეკლესიებში, ვის არ იწვევდნენ ტაძრებისა და სასახლეების ასაგებად, კედლებს მოსახატავად, ქანდაკებების გამოსაკვეთად. ნიჟს ყველა გზა ხსნილი ქონდა, მუხანათობას დახშული და დაბეჭდილი. მაგრამ მაშინ მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რა ძნელია ავისა და კარგის გარჩევა, სხვის სულში ჩახედვა, დაურვებულობა ფეხზე წამოყენება. ვინც ერთ დროს „მაღალი გრძნობის მქონე ეგონა, იგი ნახა უგულო, ვისიც სული განვითარებული ეგონა, მას სული არ ქონია, ვისიც გონება სწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არც თუ განსჯა ქონია, ვისიცა ცრემლნი ეგონა ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა“. ნაცნობი გარემო ყოველდღიურად იძარცვებოდა, ვერანდებოდა და უეცრად იგი სიცრუესა და სიკვდილს შორის აღმოჩნდა. მათ გარდა აღარაფერი დარჩა ასარჩევი ამ



ქვეყნად. არ იცოდა, რისთვის დგებოდა დილით, რისთვის იბარსავდა წვერს, რისთვის მიდიოდა სამსახურში, სადაც ყველაფერი ისევე გამოწმარალი იყო, როგორც ღერბიანი ქაღალდები და მათი შესანახი კარადები. მისტიფიკაცია ყველაფერს თხელ გარსში ახვევდა, ადამიანებს სალტესავით ერთყმოდა. ქაღალდის სამეფო უზარმაზარი, თავისებური და ყოველსმომცველია. ქაღალდს უნდა ემსახურო, ყოველ ასოს, ყოველ ნიშანს მეტი ანგარიში უნდა გაუწიო, ვიდრე აზრსა და გრძობას, რადგან ადამიანების ბედს ქაღალდი წყვეტს და არა სადი აზრი. მოხელის დაწინაურებაც ქაღალდზეა დამოკიდებული. მთავარია, როგორ ექცევა მას, უვლი, თვალის ჩინივით უფროხილდები თუ ჯღაბნი. რამდენიმე კაცმა ნაწილობრივ მაინც აუარა გვერდი ამ უზარმაზარ ქსელს — შემდეგ მათ სულ სხვაგვარად ექირათ თავი, მაგრამ მისთვის ბედმა არც ეპოლეტები გაიმეტა და არც ჩინ-მედლები. ამისთვის თავის დროზე, რამდენიმე წლის წინათ იზრუნა, კიბეებიდან თავდაყურა დააგორა, შეიძლება მისი საქმე არც ხმლის ქნევა იყო, მაგრამ სერთუკი და საწერი მაგიდა აბუჩად აგდებას, დაციწვას უფრო გავდა, ვიდრე რაიმეს გამეტებას. ბევრს არც ის სჯეროდა, რომ იგი ამ უზრალს, უნაყოფო სამუშაოს თავს გართმევდა, დიდ ხანს გაუძლებდა ქაღალდების ქექვას, უფროსების წინაშე მორჩილად დგომას, განჩინების პალატაში სამსახურის დაწყება გამოცდა უფრო იყო, ვიდრე ცხოვრების სარბიელზე გასვლა. ფარდის უკან ყოველთვის უამრავი თვალი, უამრავი ყური, უამრავი დამანჭული სახეა. მათ წინასწარ იციან, რა მოხდება, ვის რა მოუვა, მით უმეტეს, ისეთ კაცს, ვისაც დაუდგარი ხასიათი და მწარე ენა აქვს, ვინც ძნელად ეგუება ადამიანებს. ამიტომაც არ ეპარებოდნენ ეჭვი, რომ მისი კარიერა კრახით დამთავრდებოდა. შეიძლება სწორედ ეს იყო ერთადერთი მიზეზი იმი-

სა, რომ ორიოდე თვის შემდეგ მან არა თუ დიდებულად გაართვა თავი დაცირებულ მოვალეობას, არამედ საუკეთესო მოხელედაც კი ითვლებოდა. ილინსკი ყოველთვის მას ავალბდა მთავარმართებლის კანცელარიაში ან უფრო მაღალ ინსტანციებში გასაგზავნი ქაღალდის შედგენას. ერთხელ ისიც კი უთხრა, ჩემი ადგილი შენ დაგრჩებაო. ილინსკი კანცელარიაში დაბერებული კაცი იყო და ამიტომ არ ესმოდა, რომ მის ხელქვეითს რომელიმე რეგვენთან უზრო დაეკას, თავმოყვარეობის დათმობას, ზედმეტი შრომა ერჩია. საქმარისი იყო ერთი ხმამაღალი შელაპარაკება, ერთი უკადრისი სიტყვა და ყველაფერი თავისთავად დამთავრდებოდა. ჯერ გულწასულ ილინსკის გაიტანდნენ ოთახიდან, შემდეგ კი მას დაითხოვდნენ სამსახურიდან. ამის შემდეგ სადაც უნდა გადახვეწილიყო, რადგან მამის საყვედურებს და ღრიას ისედაც ველარ იტანდა.

უეცრად ჩრდილი შეტრიალდა, ბეჭებში მოიხარა და კარებისაკენ წავიდა. ნაცნობი ხმით წარმოთქმულმა ბგერებმა გამოკვეთა ორი სიტყვა, რომელთა ქლერადობა ცოტათი განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მარტო დარჩენილმა ბევრი იმტერია თავი, მაგრამ მაინც ვერ მიხვდა, რომელი იყო ამ ორს შორის სწორი: „Какой молодой“ თუ „Какой милый“. მცირე ხნის შემდეგ მისი ყურადღება სანთლების ციმციმმა მიიპყრო. მყრალ სოროში ჯერ კიდევ ტოკავდა ორი ცოცხალი სვეტი, რომელთა არსებობას ზღვარი დაუდევს და რაღაც ისეთთან დააკავშირეს, რასაც დიდი დღე არ ქონდა: იქნებ ეს მცირე დრო იმისათვის უწყალობეს, რომ საკუთარი თავი ჰგომს, საკუთარ სულს გაემიჯნოს, უსიტყვოდ დამოორჩილოს ბედს. იქნებ იმისათვის მოიყვანეს გონს, რომ თვალნათლივ დაინახოს, რას ნიშნავს ყოფილი ხანების აგარაკზე უპატრონოდ წოლა. რამდენი უდანაშაულო ადამიანისათვის დაუთ-

ხრათ აქ თვალები, მოუტრიათ ენა, გაუ-  
 უპატიურებიათ, გაუთელიათ. რამდენი  
 ვერაგობის და მუხანათობის მოწმეა ეს  
 დატყვენილი თიხა. ამ ძველისძველ  
 სახანოში საუკუნეების მანძილზე ბატო-  
 ნობლენ ტირანები, სატრაპები, უზურ-  
 პატორები, თავს მუჰამედის შთამომავ-  
 ლებად აცხადებდნენ და პარამხანების  
 მორთვა-მოკაზმვის, მამაკაცების დასა-  
 ჭურისების და მტაცებელი მხეცების  
 მოწინაურების მეტს არაფერს აკეთებ-  
 დნენ. მათი უზნეობის, უმცრებობისა და  
 სიმხეცის კვალი ახლაც აჩნდა მათ ყო-  
 ფილ ქვეშევრდომებს. რამდენჯერ გამო-  
 ლაპარაკებია ბახარში ცხვირმოჭრილ,  
 ენამოჭრილ, დასაჭურისებულ ბერიკა-  
 ცებს, რომელთაც ამქვეყნად საშინე-  
 ლების მეტი არაფერი იქნაბათ. ერთერთ  
 მათგანს მთელი ინდოეთი და წინა აზია  
 ქონდა შემოვლილი, ღერვიშობდა, სიბ-  
 რძნეს ეწაფებოდა, მაგრამ რად უნდა  
 სიბრძნე იმას, ვისაც ღღენიდაც ლუქმა  
 პური და თბილი კუთხე ენატრება. წუ-  
 ხელ სახიზრები დაუპატიებლად ეს-  
 ტუმრენ, შუა ოთახში დასხდნენ და კა-  
 მათელის თამაში დაიწყეს. ყოველი გა-  
 გორების შემდეგ ვიღაც თავივით წრი-  
 ბინებდა. წაგებულს შუა ცეცხლიდან  
 გამოღებულნი რკინის ჯოხით შანთავ-  
 დნენ. პერი დამიძიდა, ოთახში ოფლი-  
 სა და დამწვარი ხორცის სუნი დადგა.  
 რა ქნას, როგორ გაყაროს ვარეთ ეს მა-  
 ჭლაჭუნები, ვის დაუძახოს, ვის თხოვოს  
 შეველა. ცეცხლის პირას მოჭრილი ყუ-  
 რები და ცხვირები ყრია. რკინის ნაქერს  
 სიმხურვალისაგან თავი ვაქელებია.  
 კამაოლები უზარმაზარ ლოდებივით  
 გორავენ და ერთმანეთის მახლობლად  
 სხდებიან. მის სმენამდე ისევ აღწევს თა-  
 გვის საცოთადვი წრიბინი. უნდა წამოდ-  
 ვეს, ბნელი კუთხე მონახოს, ისე დაი-  
 მალოს, რომ ვერაფერს მიაგნოს, მაგრამ  
 ადგილიდან ვერ დაძრულა, მუხლები  
 ვერ მოუხრია. უცრად შუბლზე გა-  
 ხურებული რკინის ნაცვლად ცივი ლო-  
 დი დაადეს და თვალის ჩინი წაართვეს.  
 მას შემდეგ ისე ეშინია ძილის, როგორც

სასჯელის. სასიამოვნო და სასიხარულო  
 დიდი ხანია არაფერი მოღანდებოდა.  
 ნიეთთა სამყარო ღუმდა, ადგილიდან  
 არ იძროდა, მაგრამ ჩრდილებმა კარგა  
 ხანია მოინაცვლეს ადგილი. მოგრძო  
 ოთახი იწელებოდა, სინათლეს გაურ-  
 ბოდა, ღერეფანს ემსგავსებოდა. მსხვი-  
 ლი ფიცრებისაგან შეკრული კარები  
 ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თით-  
 ქოს დაჭედილი იყო რამდენჯერ უვ-  
 ლია ამ კარებსა და ყრუ კედელს შო-  
 რის, რამდენჯერ ჩამოქვდარა მაგიდას-  
 თან, ხელში კალამი აუღია და ისევ გა-  
 დაუფდია. სიტყვასთან, აზრთან, საყუ-  
 თარ თავთან ამაო კიდილი ადრეც ბე-  
 რჯერ განუცდია, მაგრამ ასე დიდხანს  
 არასოდეს გაგრძელებულა. ამ ბოლო  
 დროს ერთი სიტყვა ვერ დასწერა, წე-  
 რილი რა არის, მისი დაჯღაბნაც კი  
 ვერ მოახერხა. დაიხშო ის წყარო, რო-  
 მელიც სიცოცხლით ავსებდა, ამოებ-  
 ზე ამარჯვებინებდა, შეიძლება, ამიტო-  
 მაც დაჩაგრა ავადმყოფობამ. ბოლო  
 დროს სხეული დაუმძიმდა. იმ ადგილას,  
 სადაც გრძნობა იღებდა სათავეს, უზარ-  
 მაზარი სიცარიელე წარმოიშვა. ამგეა-  
 რი რამ პირველად არ გამოვლინდა.  
 ორიოდ წლის წინათ ზუსტად ასევე  
 დაიწვინდა, დასევდიანდა, ავადაც კი  
 გახდა, მაგრამ გამოჯანსაღების შემდეგ  
 ულვევი ენერჯის მოხლვავება იგრძნო  
 და შთაბეჭდილებებს გზა გაუხსნა, არ-  
 არსებულს არსებობა მიანიჭა. რამდენი-  
 მე კვირის შემდეგ ცეცხლი ცოტათი შე-  
 ნელდა, მაგრამ ყველაზე მეტად სწო-  
 რედ მაშინ დასწყდა გული, რომ დღის  
 სინათლეზე მის ქმნილებებს არაფერს გა-  
 მოიტანდა. ერთი სტრიქონი რომ მაინც  
 ენახა დაბეჭდილი, შეიძლება ამ უცხო  
 მხარეში არ გადმოხვეწილიყო, კოლოე-  
 ბისათვის თავი არ გაემეტებია. მუდამ  
 მოუცლელმა ბევრი ედავა საყუთარ  
 თავსაც და სხვებსაც, ბევრი დრო და-  
 ხარჯა იმისათვის, რომ შინაგანი თავი-  
 სუფლება მოეპოვებია, საყუთარი ჭკუ-  
 ით შეეფასებია ყველაფერი, მაგრამ მო-  
 წოდებისა და მოვალეობის შეთავსებამ  
 დაღალა და ბოლოს სულ მარტო დარ-

ჩა. დაბალი ქერი თავზე აწევა, კედლის მონაკვეთი იბრტყება, შორს დარჩენილი, მოვერცხლილი გუმბათი ჩამავალ მხესავით იღვევა და მთელი მისი ძალღონე ირგვლივ შემომდგარ სამყაროს მიიქვს.

თვალის დახუჭვასა და ვახელას ერთ წამზე მეტი არ დასჭირებია, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში სინათლემ იკლო, კედლები განაცრისფერდა, რაღაცამ საზრისი დაკარგა. ამაღამ მან თვითონ უნდა უთიოს ღამე საკუთარ თავს და ამიტომ თვალის მოხუჭვის, მოღუწების უფლება არა აქვს. აღმა სველა დამთავრდა, ზღვარი სულიერსა და უსულო საგნებს შორის გაბუნდოვანდა, ნაღველი შემსუბუქდა, გაქარწყულდა. შიში და იმედი ერთმანეთის გარეშე არასოდეს არსებულა ამქვეყნად და როცა ქრება ერთი — ქრება მეორეც. მაგრამ ერთი სურვილი ჯერ კიდევ ბოგინობს მის სულში. უნდა დაირღვეს, ნაწილაკებად დაიშალოს, მთლიანად გაითქვიფოს ქართული აგურით. ნაგები შენობების, რიყის კვით მოკირწყლული ქუჩების, იავარქმნილი ციხეებისა და სასახლეების მოზაზულობაში, შეერწყას, შეეზარდოს სიონისა და ანჩისხატის ზარების რეკვას, ისე გაეხვიოს კოჭრის გრილ ნიავეში, როგორც გამკვირვალე სუღარაში. სამწუხაროდ, სიკვდილს მხოლოდ ერთი სახე აქვს და ადამიანი მოკლებულია არჩევანს. სანამ თბილისში იყო, სანამ მის ცას შემკურებდა, სხვაგან ყოფნა ეწადა, განმარტობას ეძებდა, ხან სასაფლაოს აფარებდა თავს, ხან მთაწმინდას. ბოლოს ესეც არ იკმაბრა, მობეზრებულ საყვარელივით მიატოვა, გაეცალა და ახლა ცხადად გრძნობს, რომ ყველაფრის თან წაღება არ ხერხდება, ცხოვრების ანარეკლი — ცხოვრება არაა კალთუბანი აქედან ისევე შორსაა, როგორც დღის სინათლე. ერთხელ აჩრდილი ეწვია, წარსული მოავონა, რაღაც დაათმობინა, მაგრამ სამაგიერო არაფერი დაუტოვა, ერთხელ კი ბუნდოვანი კონტურები გა-  
3. „მნათობი“, № 8.

მოიკვეთა და პეიზაჟმა ხორცი შერსხა, ქუჩაში გადმოკიდებული აივნები მოუჩუქუჩოთმდა, ნათელი ფერებით შეიცვალა, გამომზეურდა ზურგშექცეული სამყარო კიდევ ერთხელ შემობრუნდა მისკენ, სმენამაამებელი ჩურჩულის აღსაქმელად მოემზადა, თვალი მოლიმარი სახის ელვარებას წაებოტინა. მაგრამ მკირე ხნის შემდეგ იგი უკვე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სახლები, ქუჩები, ეკლესიები, აივნები და მახლობელთა სახეები ისევე მიედინებიან და ქრებიან, როგორც წლები. მოგონებათა მთლიანობა ყოველწლიურად ირღვეოდა, ზოგი რამ ცხადად ვლინდებოდა, ზოგი კი უამრავ შთაბეჭდილებათა მორეცეში იძირებოდა. მნიშვნელობას კარგავდა. ხან თვითონ იყო სხვისი შემფასებელი და მსაჯული, ხანაც მას აფასებდნენ და აამართლებდნენ, ხან თვითონ გაუბრბოდა ყველას, ხანაც მას გაუბრბოდნენ, ხან თვითონ აწვალებდა სხვებს, ხანაც მას აწვალებდნენ. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა თანხმობას ხელს თითქმის არაფერი უშლიდა, მაგრამ შემდეგ იმდენი უთანხმოება, იმდენი უსიამოვნებრილიმანი წამოყოფდა თავს, რომ არა თუ სხვა, საკუთარი თავიც უცხო ეჩვენებოდა. ერთხელ სასტუმრო ოთახში დაიმართებოდა ის, ვინც ხორცშესხმულ ანგელოსად მიიჩნდა, ვისი მკერდის რბევა და ყელის მოღერება გონებას აკარგვინებდა, ვინც ყველაზე ნატიფი და ფაქიზი არსება ეგონა. მისი თეთრი, ღამაში, მოვლილი ხელები მოთვინიერებულ ფრინველივით ეწყო მათდგადაკრულ მაგიდაზე, ცისფერი აბრეშუმის კაბა მოლივით შრიალებდა. საუბარი ყოველგვარი უხერხულობის გარეშე დაიწყო და ძალდაუტანებლად მიმდინარეობდა. შეიძლება ამის მიზეზი ისიც იყო, რომ თავადის ასული ბევრ მამაკაცს ჯობდა ჰკუით და გონება მამახვილობით, მაგრამ მასთან საუბარში ამ უპირატესობას კარგავდა და სიამოვნებით ეწაფებოდა წმინდა წყაროს, იძენდა რაღაც ისეთს, რასაც ვერავისაგან შეიძენდა. სამწუხაროდ, იგი მხოლ-

ოდ გარეგნულ მოკაზმულობას ხედავდა იმისას, რასაც ღრმა, მტკივნეული, განსტოებული ძირი ქონდა და მუდამ რაღაც ისეთისაკენ ისწრაფოდა, რასაც გარეგნულ მოკაზმულობასთან საერთო არაფერი ქონდა. მაგრამ მაშინ ამდენს თვითონაც ვერ ამჩნევდა. ჭერ კიდევ იმედოვნებდა, რომ დაფარულსა და ღრმად დამარხულს ფარდას ახდიდა, ამ ამაყ ქალს სულიერი ცხოვრების ტანჯვასა და ნეტარებას გააცნობდა, ყოველდღიურ უხამსობას და უაზრობას ჩამოაშორებდა იმ დღეს იმდენ თანაგრძნობას ხედავდა სევდით დაბინდული თვალების ციაგში, ისე ახლო იყო მიზანთან, რომ ვერც კი შენიშნა, როგორ შემოვიდა ოთახში მოახლე. „ქალბატონო, მკერავი გელოდებოდა“, თავადის ასული სწრაფად წამოდგა, ბოლიში მოიხადა და ისე გავიდა ოთახიდან, თითქოს განხორციელებული ოცნება მოართევს. შუაზე გაწყვეტილი ფრაზა ერთხანს ქვეწარმავალივით იქლავებოდა, შემდეგ გაუფერულდა და რომელიღაც ნაოქს ამოეფარა.

ერთი სანთელი რატომღაც უფრო ჩქარა იწოდა, ვიდრე მეორე. ჩამონადენი ცვილი გაყინულ წყაროებს ვაედა. მის შეგნებაში კვლავ იჭრებოდა რაღაც ისეთი, რასაც სინამდვილეში ან სხვაგვარი სახე ქონდა, ანდა სულ არ არსებობდა. სისხლძარღვები იბერებოდა, შხამით იცხებოდა. რომელიღაც კუთხეში გაწამებული სიჩუმე კვნესოდა. ზურგზე წოლით დადლილმა გამხდარი, ფრჩხილებწამოზრდილი ხელი სახეზე ჩამოისვა. რამდენხანია წვერი არ გაუპარსავეს, საკუთარი სახე არ უძებნია. ერთადერთი, რაც მას ახლა ალბათ ნიღაბისაგან ანსხვავებს — ტანჯვის კვალია. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს როგორ გამოიყურება ის, ვინც ზღვარს გადასცდა, ვისაც თვალთმაქცობა და სიმართლის დამალვა აღარ სჭირდება. ქეშმარიტ თავისუფლებას ადამიანი მხოლოდ მაშინ იხვეჭს, როცა სიკვდილის ბირისპირ დგას, როცა უკან დასახევი გზა აღარ აქვს. მანამდე კი ვინ

არ გელოდება წინ, ვინ არ მოიფრთხილავს ანგარიშის გაწევას, ვინ არ გეცხვინებს ყოველ წამს, რომ მოვალე ხარ დაიცვა, საკუთარი ოჯახის, საკუთარი გვირის ღირსება, არ ჩამორჩე სხვებს ფასეულობათა დატაცებაში, შეიზღუდო იმისათვის, რომ სხვის მიერ წამხდარი საქმე გამოასწორო. ერთხანს მედგრაღეწინააღმდეგებოდა გარეგან დაწოლას, ცდილობდა ერთსახოვანი დარჩენილყო, მაგრამ როცა სილატაკემ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ოჯახში, როცა ცხოვრებაზე გული აუცრუვდა, გაორდა, ცაშა და მიწას შორის გამოვიდა. ღარიბი ოჯახი რომ ათასგვარი უთანხმოების და უკმაყოფილების წყაროა, ეს მან აღრეც იცოდა, მაგრამ არ ეგონა თუ ვალაობებული თავადის ოჯახი ჯოჯოხეთისაგან არაფრით განსხვავდებოდა. მამის ყვირილი მთელ უბანს ესმოდა, დედა და დები ტიროდნენ, მოახლეები კარს უკან იმალებოდნენ, გაგულსებულმა მამამ არავის დანდობა, არავის შეწყალება არ იცოდა, განუსჯელი, თავაშვებული იყო. წარბი არ შეუხრია, როცა მის ახასრულწლოვან ვაჟს თავზე ეკრეცტორი დაადგა და როზგები აწივლდა. საჯაროდ დასჯამ მის სულში აღმოუფხვრელი კვალი დასტოვა. უფრო დიდი დამცირება მის შემდეგ აღარ უგრძნია. ბოლო ღროს სახლში მისვლა ისე ეზარებოდა, როგორც მოხსენებითი ბარათის შედგენა. შინაურებს კიდევ უფრო ნაკლებად ესმოდათ მისი, ვიდრე გარეშე ადამიანებს. ცხოვრება მათთვის მხოლოდ ის იყო, რასაც ირგვლივ ხედავდნენ, რასაც ისმენდნენ, რასაც ფასს ალბდნენ. ზოლო ის, რაც ამ ფარგლებს სცდებოდა, რაც მათ არ გაეგებოდათ, უგუნურობად და მანკიერებად მიიჩნდათ. მისდამი დამოკიდებულებაში ბევრი რამ ისე იცვლიდა სახეს, რომ თავი და ბოლო არ უჩანდა. დანაშაული ლექსის წერა კი არ იყო — ლექსს ბევრი მათი ნათესავი და ახლობელი წერდა, — არამედ ის, რომ მისთვის უფრო ღირსეული და სერიოზუ-

ლი საქმე არ არსებობდა, სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანი და უმნიშვნელო ეჩვენებოდა. დროთა განმავლობაში უფსკრული კიდევ უფრო გარღმავდა და იგი იძულებული შეიქნა მიეტოვებინა დამბლადაკმული მამა, გარეთუბანი, მთაწმინდა და ამ ციხეებიან მხარეში გადმობეჭვილიყო. ერთხანს თავს იტყუებდა, ეგონა, თვითონაც მოისვენებდა და ოჯახსაც მოსვენებდა, მაგრამ რა აზრი აქვს გაქცევას, როცა შენი თავი ყველგან თან გახლავს.

ნაცნობ სიბრტყეთა ზედაპირზე აღარ სჩანდა ის ორნამენტები, რომელთა მოხაზულობას თვალი შეაჩვიდა. მათი ადგილი იღუმალმა, მისდამი მტრულად განწყობილმა ნიშნებმა დაიკავა. სიციარიელე უამრავ ნაფლეთს, ნაგლეჯს, ნამეხარს ირეკლავდა, უხეიროდ აკოწიწებდა, გამოცდილებით შექმენილსა და ნოცნებარს ერთმანეთში ურევდა. ღამე იმუჭრებოდა, იყე მწყრალად იმზირებოდა ვიწრო ნაპრალიდან, თითქოს ქვეყნის დასაქცევად იყო მოვლინებულნი. სუნთქვა ჭირდა, ფილტვები ველარ იტევდნენ დაგროვილ შხამს. სიკვდილის მოახლოება მან ბევრად უფრო ადრე იგრძნო, ვიდრე აღსასრულის დადგომა. იგრძნო, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფეხზე დადიოდა ამ რამდენიმე კვირის წინათ მის სხეულში უცხო, უხილავი, შემშუსტრელი ძალა ჩასახლდა და თავის საზარელ საქმეს შეუდგა. ტკივილი აღვილს ინაცვლებდა, ფერდიდან თავში აბობლდებოდა, დაბლაგვდებოდა, საფეთქლების გამომტრრევას ცდილობდა, შემდეგ ღვიძლს მონახავდა და მთელი ღამე აღესილ დანასავეით ტრიალებდა. ექიმების მას არც მანამდე სწამდა, მაგრამ როცა ახლოს გაიციო ის, ვინც ამ ქვეყნად არავის ეპუება, როცა საკუთარი არსებობის ხარჯზე შეისწავლა მისი მზაკვრული ხასიათი, მიხვდა, რომ უკან ვეღარ დაახვეინებდა. ამიტომაც არ დაუწყია ექიმებთან სიბრბილი, არ გაქცეულა თბილისში, არავისთვის უთხოვია შეველა და შემწეობა. იმ დღიდან არა მარტო საკუთარი თვალებით უყუ-

რებდა სამყაროს, არამედ მისი თვალე-ბითაც. შეიძლება ეს ხანგრძლივი ღონის მოქმედება მის განწყობილებაზე უარყოფითად, შეიძლება ქვეშეცნული წინათგრძნობა იყო იმის მიზეზი, რომ თავისი დროის ტკივილი იტვირთა. ახლა, როცა ყველაფერი დასასრულს უახლოვდება, იგი სულ უფრო მეტად რწმუნდება, რომ სხვაგვარად ცხოვრება არ შეეძლო. რა მდგომარეობისათვისაც არ უნდა მიეღწია, სიმშვიდესა და კმაყოფილებას მაინც ვერ ჰპოვებდა, საკუთარ თავს თვითონვე გასტანჯავდა. მისი დანიშნულება ბოძება იყო და არა ხვეჭა. ყველაფერი უნდა დაერიგებია, მიეცა იმ ცხოვრებისათვის, რომელშიც წილი არ ედო. მისი სული პირად მარტონ, სიღარიბეს და სიყვარულში ხელის მოკარვას არ დაუშვამებია, მძიმე ტვირთად მთელი ერის, მთელი კაცობრიობის ცხოვრება დააწვა.

მერყევი შუქი სიჩუმესა და სიციარიელეს ალაქიანებდა, კუთხეში მდგარ სკოტის გაქვავებულ ცხოველს ამსავსებდა. უეცრად საიდნადაც სქელი ნისლი დაიძრა, მთელ ოთახს მოედო და ყველაფერი შთანთქა. იგი არ დაბრმავებულა, მაგრამ ველარაფერს ხედავდა. სიცივე ფეხის ტერფებიდან თანდათან მალდა იწყებდა, კრისტალდებოდა, მუნღებს საღტესავით ერთყმობდა. მწუხარება იცრიცებოდა, ნისლში იძირებოდა. ახლა უკვე აღარც იმის შეგრძნება აწუხებდა, რომ დაუბანელი იყო. თბილისის აბანოებს მხოლოდ მაშინ აფხსებდა, როცა სხვაგან იყო გადახვეწილი. რამდენჯერ უქეიფია ზეწარმოხურულს ამხანაგებთან ერთად თაღს ქვეშ, რამდენჯერ წარმოუთქვამს საღტეგრძელოები. მექისეს ჩაციებული ღვინო, ახალდაკრეფილი მწვანილი და შიშხინა მწვადები მოქონდა. მედულუკეები გუმანით გრძნობდნენ, საღ იყო მათი ადგილი. სახელდახელოდ გაშლილ სუფრას შნო და ლაზათი ემატებოდა. იწყებოდა ჯიბრი, მამაბაბური ქეიფი. თასები ხელიდან ხელში გადადიოდა, აგუგუნებული სიმღერა თაღს აწვებოდა. ამქვე-

ყნიერი ჭირ-გარამი აღარავის ახსოვდა. იქმნებოდა სხვაგვარი გარემო, სხვაგვარი განწყობილება, შიგნით რაღაც ღღვებოდა და იგი თავდაუზოგავად ეტანებოდა ცხოვრებას, ღვინოსავით სვამდა. მაგრამ მეორე დღეს ისეთი გრძნობა ქონდა, თითქოს დანაშაული ჩაიდინა, ყრუ კედელს შუბლით შეასკდა და არა იმიტომ, რომ მხიარულობა და გართობა სძულდა, არამედ იმის გამო, რომ არ უყვარდა რაღაც ისეთის ძიება, რაც სინამდვილეს აბუნდოვანებს, ადამიანს შორჩილსა და მამებელს ხდის. სიბრძნისა და სიბრძივის საზომი გამარჯვება და დამარცხება კი არაა, არამედ ის, თუ რას ირჩევს ადამიანი, რას ემალება და რას ეძალება, სანამ გულის რევას ებრძოდა, სანამ საკუთარ თავს არაობად თვლიდა, უსახლკარო გადამთიელივით დხეტილობდა ვიწრო ქუჩებში და ყურადღება გარეშე საგნებზე გადაქონდა. ქალაქი ყოველთვის ირად იზრდებოდა, რაღაც ახალს იძენდა, მაგრამ მაინც ჭრელი და არასიმეტრიული სჩანდა, რაც განუმეორებელ თავისებურებას ანიჭებდა. ერთ-მანეთზე შეკოწიწებულ, ბანიან სახლებს რომელიმე სომეხი ან აღმოსავლელი ვაჭრის კარმიდამო ცვლიდა, აღმოსავლურ კარმიდამოს ქართული აივნისი სახლები, აივნის სახლებს ევროპული ნაგებობები. მოქალაქეებიც ასევე ჭრულად იყვნენ შორთულნი. ერთმანეთში ირგოდა ჩოხა, სერთუცი, მუნღირი, ანაფორა, ხალათი, ქართული კაბა, „ხაბარდა“, ნაირფეროვანი აღმოსავლური შორთულობა, ევროპული ქუდები, ჩიბტიკოები და ჩადრები. მიდიოდა რაღაც ძველი და მოდიოდა ახალი. ირგეოდა დრომოქმული ტრადიციები, ზნეჩვეულებანი, აზიას ევროპა ცვლიდა და ყოველი ნათელი შტრიხი მის მიერ განჭვრეტილ მომავალს აპართლებდა. მიუხედავად ამისა, თვალი მაინც შორს იმზიარებოდა, ცის კიდურს ეტანებოდა, სივიწროვესა და აღრეულობას ვაჯობოდა. ღია ფანჯრების მიწებზე ჩამავალი მზის სხივები თამაშობდნენ, მაგრამ იგი

სიხარულის საძებნელად არ გამოსულა ქუჩაში. წუხელი საკუთარე, თვე-და-კარგა და მანამდე ვერ მოსვენებდა, ვერ გაექცეოდა მარტობას, სანამ ხელახლა არ იპოვიდა. საზოგადოებაში ყოველთვის იმდენი სახე ქონდა, რამდენიც სურდა, მაგრამ საკუთარ თავთან თამაში არ უყვარდა, სიცრუით ტვირთს შემსუბუქება უნაყოფო შრომად მიიჩნდა გამკვრივებულ სევედს სიცილი და არშიყობა ვერ არბილებდა, მოქნილი სხეული და ბრჭყვილა ნივთები ამქვეყნიურ სიამოვნებათა მონად ვერ ხდოდა. რამდენჯერ წაჩხუბებია ამის გამო ის, ვინც თითქმის ყოველ საღამოს ელოდებოდა, ვისთვისაც წარმავლობა და უმიზეზოდ მოწყენა არ არსებობდა. მისი ახალგაზრდა, ოდნავ არასიმეტრიული, ცხოვრების ავ-კარგიანობაში ცოტათი გამოცდილი სახე მხოლოდ მაშინ იღრუბლებოდა, როცა იგი რამდენიმე დღე არ გამოჩნდებოდა. ერთხანს ბავშვივით იბუტებოდა, თავი ისე ეჭირა, თითქოს დაივიწყა, გადაიყვარა, მაგრამ საკმარისი იყო ხელი მოეხვია, მოფერებოდა, თვალი ვიწროებია და ყველაფერი თავიდან იწყებოდა. მყუდრო, სუფთა, მარტოხელა ქალის სურნელებით გაქლენთილი ოთახი ისე აღელვებდა, რომ სხვაგან წასვლა, სხვა რამეზე ფიქრი არ უნდოდა. აქ მას არც საკუთარი თავის დაიმობას თხოვდნენ, არც მომავლის იმედით ვალის აღებას და არც გრძნობათა დაოკებას. ტრადიციული პირობითობის საპყრობილედან გამოქცეული დილაშდევ უსხლტებოდა ხელიდან საკუთარ თავს, უკიდურესად იძაბებოდა, ცარიელდებოდა და ისევ იძაბებოდა. მაგრამ დილით ისე გამოდიოდა ქუჩაში, თითქოს ვიღაცას თუ რაღაცას უღალატა, ამოდ დაიქანცა, საკუთარ ანკესს წამოეგო. შინ დაბრუნებული მამის ბუზღუნს ყურადღებას არ აქცევდა, წვერს უხალისოდ იბარსავდა და სამსახურში მიდიოდა. ქალაქის ჩუმი შრიალი ისე მოქმედებდა მასზე, როგორც ცივი წყალი მთვარეულზე.

საფეთქლის მახლობლად რომელიდაც ძარღვი გაწყდა, დაიკლანა და სანამ დამწვინდებოდა, ჩაქუჩივით ცემდა. კენესა ყრუ გამოძახილს უფრო გავდა, ვიდრე მისივე ყელიდან ამოსულ ბგერათა შედედებულ კოშტს. საბედნიეროდ, ტკივილმა ჭერჭერობით ტვინის მხოლოდ მცირე ნაწილი დაისაკუთრათ ულატეს კუნთებმა, სახსრებმა, ნაკვთებმა და არა გონებამ. ფეხები მოსწყდა, ხელები დაუძძინდა, ენა აღარ ემორჩილება. ახლა რომ ესტუმროს კიდევ ვინმე, უეტრად რომ დაადგეს თავზე, მაინც ვერაფერს ეტყვის. თუმცა რა უნდა უთხრას ვარედან მოსულს იმან, ვინც შინაგანმა წინააღმდეგობამ გააწამა, ვინც მოშამული და სასიკვდილოდ გადადებულა. ერთადერთი, რის თავიც ჭერ კიდევ აქვს, საკუთარი ტკივილისათვის ყურის გდებაა. ჭერ არცერთი ცვლილება, არცერთი კუნთის მოდუნება არ გამოჩინია მხედველობიდან. დადლილი, დაფლეთილი ნებისყოფა უშამაზარ ძალას ეღობება წინ და ყოველი კვანძის, ყოველი უჭრედისათვის იბრძვის. სწრაფად აკოწიწებს მორღვეულ ტიხრებს, ელასტიურობა უბრუნებს გახეგებულ სისხლძარღვებს. მაგრამ ყველგან მაინც ვერ ასწრებს. ერთხანს არაფერი ესმოდა, ყურები ამოეგლისა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ისე გაუმახვილდა სმენა, რომ თვალთ უხილავი მწერის ზუზუნიც კი ვაიგონა. მოდის გუნდებად დაწყობილი, რუხი და მოლისფერი ლაშქარი. მათი რიცხვი მილიარდია, მადა დაუცხრომელი, სისასტიკე განუზომელია. ცა იღრუბლება. მზის სხივები ვერ ატანს სქელ მასაში. ყოველი მხრიდან ისმის გაბმული ზუზუნის, ერთი გრძელი, ამაზრზენი ბგერა, რომელსაც ვერაფერი აღმოძბს. ჭერ ერთი გუნდი ეშვება დაბლა, ერთხანს საწოლის ირგვლივ ტრიალებს და შემდეგ გამეტებით ესხმის თავს. სიკვდილისიჭილივით გაფითრებული ცხადად გრძნობს, როგორ იჭრება მის სხეულში ათასობით ნესტარი, როგორ თხელდება სისხლი, როგორ ივსება სხეული შხა-

მით. გუნდს გუნდი მოსდევს, მწერის გამძლარს დევნის, ასხდებიან ქუთუთოებზე, ტუჩებზე, ნესტოებზე, სწრაფად ბილწავენ, ალაქიანებენ, ხშირ წვერში გზას იკვლევენ და ხორცამდე ატანენ. გაბმული ზუზუნის აყრუებს, სხეული იზრდება, იბერება, დაგროვილი შხამის ისე აწევა შიგნიდან თვალებს, თითქოს სადაცაა უბეებიდან გადმოყრის, აჩრდილებს ფეხით გაათელინებს. იქნებ გადმოყარა კიდევ, რამდენიმე წამით ველარაფერს ხედავს, დაბრმავდა, ქვეყანას რუხი ფერის სუღარა გადაეფარა.

მძიმე კარების ჭრიალი ისე მოესმა, თითქოს მახლობლად რაღაც გატყდა. გონს მოსულმა ჰაერი ხარბად შეისუნთქა და თვალები გაახილა. სანთლები განახევრებულიყო, ჩამონადენი ცვილის ლოლუები გასქელებულიყო, კარებთან ატუზული სილუეტი მყარ საფენებს შეზრდოდა. ახალ გახელილ თვალებს უჭირდათ აცახცახებული ზოლების დალაგება, აჩრდილის ვინაობის დადგენა. მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა იგი, რომ კარებთან ატუზული სილუეტი ცოცხალი არსებაა, ერთადერთი ცოცხალი არსება, რომელმაც იცის, რომ მისი მაღალკეთილშობილება დილაღე ვერ მიიტანს. მაგრამ იქნებ ამჯერადაც ცდება, იქნებ სწორედ ის ესტუმრა, ვინც სხვას გაჰყავა, ვინც დედოფლობის ღირსი იყო და გადედოფლდა კიდევ. ასეთი თეთრი, ბაფთიანი კაბა მხოლოდ ერთ საღამოს ეცვა, სწორედ იმ საღამოს, როცა მისი დანიშვნა გამოაცხადეს. საცხე ლოყები ოდნავ შეუფაკლდა, თვალებზე ჩრდილმა გადაურბინა ბრილიანტის საყურემ ჭალების შექვი აირეკლა. სხვებისათვის იგი ახალგაზრდა, ლამაზი, მდიდარი ქალი იყო, მისთვის კი სიყვარულისათვის გაჩენილი არსება მიუხედავად ამისა, სიყვარულზე და მომავალზე მათ შორის ერთი სიტყვაც არ თქმულა. თავადის ასულს სამახლეები, დიდება და ძალა უფლება იტაცებდა, მის სულში კი პროტესტი, განუკურნებელი ტკივილი და ამქვეყნიური სიამოვნებისადმი უნდობ-

ლობა სუფევდა. გუმანით გრძნობდა, რომ შეუძლებელია იმის დასაკუთრება, რაც ყოფას ეკუთვნის, რაც შენგან ყოველთვის დაშორებულია. თუმცა იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ქალი მის გვერდით უკეთ გრძნობდა თავს, ვიდრე წარჩინებულ, ფიზიკურად შემკულ, ბრწყინვალე კავალრებს შორის. მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავდა, არაფერს არ ცვლიდა. საკუთარი თავის გარდა მას არაფერი გააჩნდა ისეთი, რომ თავადის ასულის ყურადღება მიექცია, მისი პატივმოყვარეობა დაექმაცოფილებია. რა უნდა მიეცა კვლავ, გადარბიებულ, მოხელედ გამწესებულ პოეტს იმისათვის, ვისაც საქართველო ეპატარავებოდა, ვისაც ქართველ ქალებს შორის ტოლი არ ეგულებოდა. სად წაყვანა, სად მიეჩინა ბინა? მამისეულ სახლში, ნახჭევანში, განჯაში? რა ტყბილად დაეძინებოდა კოლოების ზუზუნში და თავების წრიბინში. ბოდვა, ბოდვა და ზმანება იყო ყველაფერი, რასაც ეჭიდებოდა, რასაც მალულად ელოლიავებოდა. როგორც არ უნდა გამოედო თავი, რა იმედებითაც არ უნდა აღესილიყო, ყველაფერი მაინც ისე დამთავრდა, როგორც თავდება.

თუ გზაში არ იყო, ამ დროს ყოველთვის ლოგინში იწვა, გვერდს იცვლიდა და ძილი ღვთის წყალობად მიაჩნდა. მაგრამ ახლა ძილი არ არსებობდა, არაფერი აღარ არსებობდა, გარდა ბურუსით მოცული სამყაროსი, რომელიც თანდათან ილეოდა, ხელიდან უსხლტებოდა, დამნაშავესავით მიიპარებოდა. ერთ დროს მასაც აწუხებდა ამგვარი გრძნობა. საკუთარი თავისადმი უქმაცოფილება აღიზიანებდა, ისე აფორიაქებდა, რომ ვერც სახლში პოულობდა აღვლს და ვერც გარეთ. მერყეობა აღუნებდა, ერთი უკიდურესობიდან მეორისაკენ დევნიდა, მაგრამ დადებითი პასუხი ყოველთვის იმდენივე იყო, რამდენიც უარყოფითი და ამის გამო დიდი ვაივაგლახით შეკოწიწებული ხუხულა ინგრეოდა, ღორღად ხვავდებო-

და. მისთვის აუცილებელი შეიქნა ნიღბის აფარება, სახიობობა, კრავდგანცხოვრება ყოველდღიურად ანწმუნებოდა, რომ სხვაგვარად არსებობა შეუძლებელია, მახლობლებსა და საზოგადოების შეურაცხყოფელია. თუმცა სხვებს ეს ხელს არ უშლიდა ეცხოვრათ და ეხარათ ილუზიების ხარჯზე. ღია ფანჯრები საბურველივით იწოვდნენ პაერში გაფანტულ ოცნებებს და ამ დროს მას უაღრესად დიდი სურვილი ქონდა სხვის სულში გადასახლებულიყო, სხვისი თვალებით ეცქირა ქვეყნისათვის. შეიძლება მაშინ მასაც მოეკიდა ფეხი მიწაზე, დაემშვიდებია სინდისი შემთხვევიდან შემთხვევამდე. ასეთ წუთებში ნათელი შუქი მკაცრ ხაზებს არბილებდა, სევდა იფანტებოდა, ჰორიზონტი ფართოვდებოდა, სადღაც რაღაც მკერძივდებოდა, მაგრამ რასაც კი მოეჭიდებოდა, ყველაფერი ისევ ადნებოდა ხელში, როგორც ამადამდელი დამე. უძრავი, მძიმე, მხუთავი დამე, რომელსაც ვერაფერს წაართმევ. ყოველი ჩრდილი მისი განუყრელი ნაწილია, ყოველი აჩრდილი მისი მოციქული.

სინათლე მძაფრად შექანდა. კუთხიდან ისე წამოიწია სიბნელემ, როგორც ბანალაბურძენილმა ძაღლმა. ჭერი შეტორტმანდა, საწოლისაკენ დაქანდა. ახლა მას არაფრის შეჩერება, არაფრის გასწორება აღარ შეეძლო. ძალა მხოლოდ იმისთვის ქირდებოდა, რომ თავი გვერდზე არ გადაეარდნოდა. ყველა არსება გაქრა, ლანდალ იქცა, მხოლოდ ერთადერთმა ქალმა, მისმა მოსამსახურემ შეინარჩუნა ხორცი და თავის ნებაზე მოძრაობის უნარი. ერთხანს მაგიდასთან ფუსფუსებდა, სანთლებს ასწორებდა, შემდეგ კიქაში რაღაც დაასხა და მისკენ წამოვიდა. უნდოდა კიდევ ერთხელ დაეხედა მომაცქდავისათვის, რითიმე მაინც შეემსუბუქებია მისი ტანჯვა. უეცრად გულზე რაღაც დააწვა, სუნთქვა შეუქრა, ცეცხლივით მოედო. აუტანელი სიმხურვალე ტყინისაკენ მიიწევდა და გზადაგზა ყველაფერს ანგრევდა. გამწარებული ორივე



ხელით სიცარიელეს ჩაეჭიდა, საწოლი-  
დან წამოიწია და ყველაფერი, რაც ზედ  
ეხურა, ძირს ვადმოყარა. აღარ უნდო-  
და ლოგინში წოლა, გაუთავებელი ლო-  
დინი, სასტიკი, უაზრო თამაში იმასთან,  
ვინც მის სხეულს არღვევდა. ერთხელ  
გაბრძოლება ჭერ კიდევ შეუძლია, შეუ-  
ძლია ფეხზე წამოდგეს და ისე შეეგე-  
ბოს სისხლისმსმელ მტარვალს, რო-  
მელსაც იმის თავიც კი არა აქვს, რომ  
ვაუჭიანურებლად მოუღოს ბოლო. ცა-  
ლი ფეხი უკვე ჩამოშვებული ჰქონდა  
საწოლიდან, როცა წინ უზარმაზარი ან-  
რდილი აეფარა და ღონიერი ხელები  
მხრებზე მოხვია. მათი ბრძოლა სასტი-  
კი და ხანმოკლე აღმოჩნდა. ერთხელ  
თითქოს სძლია კიდევ, მოიშორა თავი-  
დან, მაგრამ ამ ერთ წამს იმდენი ძალ-  
ღონე შეაღია, რომ ხელები მოსწყდა,  
ხერხემალი გაუმრუტდა. სუნთქვა შე-  
კრულმა თავი უკან გადაავლო, ბალიშზე  
დაეცა და სხვის ნებას მიენდო. ამ დროს  
დამსკდარ, გამშრალ ტუჩებს რაღაც ცი-  
ვი შეეხო. ღიად დარჩენილი პირი კი-  
დევ უფრო ფართოდ გაღო და გრი-  
ლი მურქლიდან მცირეოდენი სითხე  
მოწრუბა. ღვინის ვემო ესიაშოვნა, ისე-  
თი გრძნობა ჰქონდა, თითქოს უკანას-  
კნელი სურვილი შეუსრულეს. „Батю-  
шку, батюшку надо позвать“, მო-  
ესმა ამ დროს ნაცნობი ხმით წარ-  
მოთქმული სიტყვები და ბუნდოვნად  
დაინახა კარებისაკენ მიმავალი სილუე-  
ტი. დიდხანს, დიდხანს აცილებდა კარე-  
ბისაკენ მიმავალ ბნელს და როცა მრუ-  
ჰე მასა მთლიანად გაიციოდა, მან კვლავ  
დაისაკუთრა ორი ნათელი სვეტი და  
მრგვალი მაგიდის კიდე.

შორიდან ძაღლების ყეფა მოისმა.  
ყეფდნენ ბანჯგელიანი, ყურებდაჭრილი  
ძაღლები, რომელთაც სიბნელე და უა-  
ზინდობა ისევე აღიზიანებდათ, რო-  
გორც სოფელში უცხო კაცის გამოჩენა.  
ღამე იწელებოდა, სიჩუმე ყოველ ჩქამს,  
ყოველ ბგერას ეხმაურებოდა. აზრი  
ხან მთლიანად იპყრობდა გონებას, ხა-  
ნაც შრეებს ქვეშ იმალებოდა. უკან მო-  
ხედვამ, რაღაც ისეთის ძიებამ, რაც აღ-

რე მხედველობიდან გამოჩნა — საშინ-  
ლად დაღალა. მესსიერებაში დაუზიანე-  
ბელი აღარაფერი დაჩნა, ყველაფერი  
რაც აღრე სამყაროს დასტყუა, რაც ბი-  
რად საკუთრებად მიიჩნდა, ახლა უმო-  
წყალოდ ეცლებოდა ხელიდან და კვლავ  
მშრალზე რჩებოდა, თეთრი ლაქების  
მეტს ვერაფერს ხედავდა. ყელიდან  
მღვრივ ბგერები ამოსდიოდა, გახშირე-  
ბული სუნთქვა ცხადყოფდა, რომ დად-  
გა ძრწოლისა და ვაივაგლახის ფაში.  
ირგვლივ რომ ღამე არ ყოფილიყო, თა-  
ვი ალბათ გვერდზე ექნებოდა გადაგ-  
დებული, მაგრამ არ უნდოდა ისე წასუ-  
ლიყო ამ ქვეყნიდან, რომ დღის სინათ-  
ლე არ ეხილა, თვალი არ გაესწორებია  
იმისათვის, ვისიც არაფერი ემართა,  
ვინც არ აცალა ქაღალდზე გადმოღვეა-  
რა დაოკებული რისხვა და ვნებათ-  
ღელვა. უწინ აჩრდილივით ყველგან  
თან დასდევდა, ლბინშიც და ჭირშიც მის  
ზურგს უკან იდგა, ახლა კი დრო უშოვა  
და ისე დაიმართობელა, როგორც ეს ნა-  
ცადმა მკვლელმა იცის. განთიადზე  
რაც უნდა ის უქნას, მაგრამ სანამ ბნე-  
ლი საბურველს არ მოიშორებს, სანამ  
ცოტათი არ შეფერადდება — სიცოც-  
ხლეს არ დათმობს, ყურს არ მოაჭრევი-  
ნებს.

თვალეებს სიმრუდე დაეტყო, უჩვეუ-  
ლოდ გაფართოებულნი მძიმედ მოძ-  
რაობდნენ დაწითლებულ ჭეთუთოებს  
შორის. ლოგინი გამაგრდა, გახეხვშდა,  
კენჭებითა და ეკლებით აივსო. საბანი  
ისე დამძიმდა, თითქოს შიგ მატყლას  
მაგიერად რიყის ქვეები ეყარა. სიცა-  
რიელე მას თითქმის ყველგან თან დაჰ-  
ქონდა, მაგრამ არასოდეს უცდია შეეგ-  
სო იგი მისტიციოზმით, სხვისთვის გა-  
დაელოცა ტვირთი. ამის სურვილი არც  
ახლა ჰქონდა და თუ სცოდავდა, სცო-  
დავდა შეგნებულად. არსებობს, არ-  
სებობს — ეს საკითხი არც ისე უმნიშ-  
ვნელო იყო, რომ ბრძიდ ეწამა. შეც-  
დომა მთლიანად ცვლიდა ყოფიერე-  
ბის არსს, ამიტომ ამჯობინა ბრმა რწმე-  
ნას ურწმუნოება. იცავდა არა იმას, რა-  
საც ვარაუდი ებღაუჭებოდა, არამედ

იმას, რაც გულს ხედებოდა, რაც მის ხალხს სისხლის ფასად დაუჯდა. განზე გადგომა სიკვდილის უღრიდა, ხსნა მხოლოდ უფალ გზაზე ფეხის შედგმას შეეძლო. საჭირო იყო მხოლოდ აქეთ, ამ მიმართულებით სიარული... წვერი აღრეც მოუშვია, ერთ დროს ატარებდა კიდევ, მაგრამ ასე არასოდეს შეწყუბულა. ვინ უშვებს აძღვრ ნისლს ოთახში, ვინ აკავებს ჰაერს, ვინ უჭერს ყელში ხელს? რაღაც უნდა გაუჩინარდეს, ამოიშალოს, ამოიარეცხოს შეგნებიდან, თორემ ყოველი კედელი, ყოველი სიბრტყე, ყოველი უაზრობა აღსდგება, წამოიქცევა და არა მარტო აჩრდილებს მოიტანიებს ქვეშ, არამედ მის უხემს საწოლსაც.

მან ვერც კი შენიშნა, როგორ შემოვიდა ოთახში მღვდელი მოსამსახურე ქალის თანხლებით. ცნობიერება ახლა ისე ხშირად ეთიშებოდა, რომ გონს მოსვლა ნაპერწყლის უსუსურ ბეჭტვას გავდა. ბურუსიდან ჭერ თხელი, მოწითალო წვერი გამოცოცდა, შემდეგ კი გამხდარი, უფერული სახის ნაკეთები. ეკლესიის ეს ნაშაბულები, მორჩილი მსახური ისევე მოძულებული იყო, როგორც მისი მრევლი. სხვები-საგან მხოლოდ გახუნებული ანაფორით და ჩამჭრალი, ღრმადღამჯდარი თვალეზით გამოირჩეოდა. დადიოდა მოკლე, შებორკილი ნაბიჯებით. თუ კი ვინმეს ამ ქვეყნად ღმერთი სჭირდებოდა, უპირველეს ყოვლისა — თვით მოძღვარს. იგი მხოლოდ ერთხელ დაესწრო წირვას სახელდახელოდ აშენებულ, ბნელ ეკლესიაში, რომელიც ადამიანობრივ გარნიზონს ემსახურებოდა და მაშინვე მიხვდა, რომ ამ ჩია ღვთის მსახურს აქედან აღარსად გადარჩებოდნენ, მისი საფლავი მისივე ეკლესიის ეზოში გაითხრებოდა. იმ საღამოს მხოლოდ ერთი რამ ვერ გაითვალისწინა. არ ეგონა მისი საზიარებელი თუ გახდებოდა... თუმცა რისთვის ირჩებოდა ამ თავსხმაში. მას უზიარებლადაც შეეძლო მიეტოვებინა ეს ქვეყანა. ახლა არავის გამოსარჩლება, არავის შემ-

წეობა არ სჭირდებოდა. სიზარული, მწუხარება, იმედი და უიმედობა საცდელად უკან დარჩა, წინ კი მხოლოდ უკუნა, კედლებს შორის გამოკეტილ სიკვდიელში გამეფებული უკუნი, რომლის გაფანტვა აღარავის შეუძლია. ამ ცოტა ხნის წინათ სქელი ფარდის ცალკუთხეში თვალმა ქუჭრუტანა იპოვა და მიღმა დარჩენილ ცხოვრებას გახედა. ეგონა ქალაქის ვიწრო ქუჩებს, აყვავებულ ბაღებს და მტკვრის ხეობას დაინახავდა, მაგრამ ფსადმორღვეულ სახლისა და კავკასიის უმაღლესი სასამართლოს კანცელარიის მეტი ვერაფერი აღმოაჩინა. წვერმოშვებული, სერთუეებში გამოწყობილი მოხელები მტერიან ჰაერს ისუნთქავენ, კალმებს აწრიპინებენ და მას ისე უყურებენ, როგორც ბოროტმოქმედს. ერთხანს ვერ მიხვდა, რას ერჩოდნენ, რას აბრალებდნენ, დაგვიანება არც ისეთი დიდი დანაშაული იყო, რომ ამის გამო მთელი პალატა განსდგომოდა. დაღლილი, ვაფითრებული მაგიდებს შორის დახეტიალობდა, აზრის მოკრებას ცდილობდა და უეცრად მოაგონდა, რომ რაღაცის გაკეთება დააფიქრდა, დაავიწყდა უადრესად მნიშვნელოვანი ქალაქის შედგენა, რომელზედაც რამდენიმე უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლეა დამოკიდებული. მისი დაუდევრობა მხოლოდ მაშინ გამოემტკიცა, როცა განაჩენის სისრულეში მოყვანამდე მხოლოდ რამდენიმე წუთიღა დარჩა. ქალაქი უნდა დაიწეროს სწრაფად, ერთი ამოსუნთქვით და ამავე დროს ისე, რომ წყალი არ გაუფიციდეს, ვერსად ვერ დააკავონ. კურიერი მოსაცდელში ზის და იცდის. ქალაქი ხელიდან ხელში გადავა, ცოტათი დაისვრება, დაიქმუქნება და ბოლოს მიადწევს იმ იმსტანციამდე, სადაც ადამიანის ყოფნა-არყოფნის საკითხს წყვეტენ. ახლა ყველაფერი მის უნარზე, მის გამჭრიახობაზეა დამოკიდებული. შეიძლება ქალათი უკვე ემზადება, ხელთათმანებსა და წითელ ბალახონს იცვამს. სხვა დროს ამგვარი დაუდევრობისათვის სამსა-

ხურიდან დაითხოვდნენ, ახლა კი მოთმინებით ელოდებიან, როდის შეუდგება წერას, როდის დაიღებს ქალაქს წინ. დაუდევრობა სხვებსაც გამოუჩენიათ, მაგრამ ამის გამო ისინი არაფერს დაუყენებია საკუთარ სინდისსა და საბრძობელს შორის. ქალაქი თეთრი, ზომაზე დაჭრილი და ვატკეცილია, კალამი — საგანგებოდ შერჩეული, მსუბუქი, მახვილი, მელანი — შავი, მკვეთრი, გაუხვევბელი. წინადადება წინადადებას ერწყმის, ყოველი ფაქტი, ყოველი არგუმენტი თანამიმდევრულად ლაგდება, დამაჯერებლობას იძენს, ერთმანეთს აესებს. უზომო გარჯისა და დაძაბულობისაგან ცივი ოფლი ასხამს, სუნთქვა ეკვრის, ფეხები უშეშდება. კიდევ რამდენიმე წინადადება და ქალაქი კანონად იქცევა, ჯალათის ხელს შეაჩერებს. დარჩა მხოლოდ ორიოდ ფრაზა, ერთი უკვე ჩამოყალიბდა, გამოიკვეთა, დასრულდა, ახლა მეორე, და მოიცილებს თავიდან მძიმე პასუხისმგებლობას, აღარავის დააჩაგვრინებს თავს. მხოლოდ ერთი სიტყვაა შესაცვლელი, სხვებთან შედარებით როგორღაც წინაა გამოჩრილი. და სანამ იგი შესაფერის სიტყვას ეძებდა, ქალაქს ზემოდან უხილაგმა ტალღამ გადაუარა და ყველაფერი წაშალა, გადაარეცხა. თანამშრომლებმა ერთმანეთს რაღაც ანიშნეს, მხრები ჭინჭილებიანი ეპოლეტებით დაიმშვენეს, დამცინავად აქირქილდნენ. ფანჯარას ბნელი მოადგა, საღვალც მწუხრის ზარებმა დარეკეს, ილინსკიმ ოთახში სანთლები შემოიტანა. ახლა მას არაფრის გამორკვევის, არავისთან ანგარიშის გასწორების თავი არ აქვს. რაღაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა იხსნას განწირულნი, რადგან ამგვარი ბრალდებისაგან არავინაა დაზღვეული. კიდევ ნახევარი გვერდი, ერთი მესამედი, უკანასკნელი ფრაზა და შეუძლიათ იხმონ კურთხეა, ჩააბარონ ხელმოწერილი ქალაქი. ღონემიხილმა კალამი გვერდზე გადასდო, წელში გასწორდა და ქალაქს სილა მოაყარა, მაგრამ სილამ ისე შეიწოვა მელანი, რომ ქალაქ-

ღზე ერთი ასოც არ დარჩა. ქვეყანა გაფითრდა, გამხმარ ხესავით, გაშიშვლდა და მან ნათელმხილველივით, ამოგითხათანამშრომელთა მხერაში, რომ ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც სასჯელი ელის, თვითონაა.

ყნოსვა თითქმის დახშული ჭონდა, მაგრამ როცა მღვდელი საწოლს მიუახლოვდა, მან ცხადად იგრძნო სველი ტანსაცმლის სუნი. მალე მისი ბუტბუტიც გაიგონა. ბრტყელი სახე ისე ირყეოდა ბნელში, როგორც დიდი, მღვროე ლაქა. პარველი ორი ბეგრა გარკვევით იხმოდა, შემდეგ სიტყვები სულ უფრო მეტად კარგავდნენ დამახასიათებელ ელვადობას და სხვადასხვა ტონალობის ნაწილაკებად იშლებოდნენ. ეცურად თვალწინ ბრწყინვალე საგანმა იელვა. ვერცხლის მოზრდილი ჭვარი ერთხანს ცხადად მოსჩანდა, შემდეგ გვერდები შემოაცვდა, უხილაგი სიმხურვალის რკალში მოექცა, დნობა დაიწყო და აბოლდა. შავმა კვამლმა მთელი სამყარო შთანთქა, მძიმე მასის წონა შეიძინა. მისი სხეული ცივდებოდა, ისე შემდებოდა, რომ აღარაფერს გრძნობდა, თითქმის აღარც კი არებობდა. მაგრამ ამას სხვა კი არ ამჩნევდა, არამედ მისივე ბურუსით მოცული გონება. მღვდელი არსად წასულა, იგი უბრალოდ გაქრა. მისი ადგილი დაიჭირა სიცარიელემ, უკიდევანო ბნელმა კედელმა, რომელსაც აქა-იქ ვიწრო კარები აქვს შებმული. კედლის გასწვრივ ფერმკრთალი არჩილები დაბორიანლებენ, ერთმანეთს რაღაცას ანიშნებენ, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ ბედავს შეალოს კარი, შეიხედოს სიცარიელეში, თუ ვერ დაინახავს, მიხვდეს მაინც, რას ქვია მარადისობა, რა კავშირი აქვს ადამიანთან, რატომაა ერთი გულგრილი, ხოლო მეორე მუდამ მგრძნობიარე, დაძაბული, უკმაყოფილო. უეტრად ცარიელ ლიობში სინათლის მკრთალმა შექმმა იელვა და ერთი წამით სამყაროს გაქვავებული ნაგლეჯი დასტყუა. ბეჭობი, სახელდახელოდ აგებული ეკლესია, გაღავანი, სამრეკლო, საფლავეები, უწ-

ყოველები, მტკვრის ხეობა, მაღალი, ტყით დაფარული, ლურჯად მოვლვარე მთები, რომელთაც მარადისობა ტანზე შემოუნხვევიათ, შეუსისხლხორციებიათ. რამდენჯერ დადევნებია ამ მთებს, რამდენჯერ დაუმარტოხლებია ტყის იდუმალი ჩურჩული, რამდენჯერ გაუჩინარებულა რძისფერ ნისლში. მესხიერებამ ბევრი რამ გადაურჩინა ისეთი, რასაც სხვაგვარი ფერი და ფორმა არასოდეს ექნება, მაგრამ იგი ვერც ამ მყარ, გაქვავებულ ნაგლეგს წაიღებს თან და ვერც გამოუთქმელ აზრებს. მზე მისთვის აღარ ამოვა, აღარასოდეს იარსებებს სიცხადე.

მღვდელი დაზეპირებულ სიტყვებს იმეორებდა. მოსამსახურე ქალი კაბის კალთით იწმენდა ცრემლებს, რომელიც კუთხეში თავგები წრიპინებდნენ. მისი გამუქებული თვალები ღრმად იძირებოდნენ ჩრდილით პირშეკრულ ორმოებში და გვერდზე იხრებოდნენ. ხშირი წვერის ფონზე მძაფრად იკვეთებოდნენ სახის მახვილი ნაკვთები. მწერაგაციებულს ტუჩების შეუძნეველ მოძრაობაზე ეტყობოდა, რომ მისი გონება ჯერ კიდევ ფეოქავდა, ჯერ კიდევ ცდილობდა გაემთლიანებია დაქუცმაცებული სამყარო, ერთმანეთთან დაე-

კავშირებია აზრთა ნაწყვეტები. მაგრამ როცა დაზიანებული რელიეფი მთლიანად გაქრა, როცა სიბნელემ ყველა ნაპრალი ამოავსო, მისმა ტვინმაც დაიწყო რღვევა. დამბალ ბელტს ჯერ ერთი ნაწილი მოსცილდა, დიშალა, გაქარწყლდა, შემდეგ მეორე გაითქვიფა მღვრიე მასაში, ბოლოს დარეკა ყურებში და სანამ თვალების დახუჭვას მოასწრებდა, თავი გვერდზე გადაუვარდა.

ქარი მძიმედ აწვებოდა კარებს, ცდილობდა ველებიდან წამოღებული სუსხი და უამინდობა ოთახში შემოეტანა. დაქუცმული სივრცე შეციებულოვით იშმუშნებოდა, ბანჯგელიანი ძაღლები ჩახლეჩილი ხმით ყეფდნენ. სანთლები ჯერ კიდევ ხრჩოლავენდნენ, მაგრამ მათი შუქი აღარავის ჭირდებოდა. ოთახში პირქუშმა დილამ შემოიხედა, იატაკზე ნაცრისფერი ზოლი გაწვა. საწოლთან გაჩერებული, ბეჭებში მოხრილი მღვდელი ჩუმად იდგა და უკნიდან საკუთარ სილუეტზე უფრო შავი ჩანდა. ამ ოთახში ყველაფერი დაღლილი იყო — სიჩუმეც, ჩრდილებიც და განაცრისფერებული სივრცეც, მხოლოდ მცვეალუბულს არ ემჩნეოდა დაღლა. იგი ისე მშვიდად იწვა ხის მძიმე ტახტზე, თითქოს არც წუხანდელი ღამე არსებობდა, არც ტვიფილი და არც სიკვდილი.



## ლირიკული გმირი ბარათაშვილისა

თუ საერთოდ რომანტიზმმა ფართოდ განავითარა ლირიკული ჟანრი, გამოჩაგლისს არც ქართული და მით უფრო ბარათაშვილის პოეზია არ წარმოადგენს.

ლირიკა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური სულის ყველაზე პრედიკატული სტიქია იყო. ეპიკურშიც ეს პოეტური სული თანაბრად ძლიერი გვევლინება, თუმცა ლირიკულს ვერ კიდევ არ შორდება და თავის თავს მკაფრად გამოიჩინულ თვითმყოფ ფენომენად არ გამოყოფს. ბარათაშვილს რომ მეტხანს ეცოცხლა, შეიძლებოდა ეს უფრო შესაძინევად მომხდარიყო, თუმცა ძნელია ამის მტკიცება. ეს ვერ შეიძლო ბაირონმა, რომელმაც ბარათაშვილთან შედარებით ცოტა მეტი იცოცხლა, და ვერც ოთხმოც წელს გადაცილებულმა გოეთემ. ეტყობა, პოეზია ლირიკის პირმოთა და, როგორც ეპიკური ფორმაც არ უნდა მიიღოს, ლირიკას ვერ გაეჭყევა. ისეთი ეპიკური პოეტებიც კი, როგორც იყვნენ ჰომეროსი და ჰესიოდე, ვერ ახერხებენ ლირიკულს თავი დააღწიონ. სადაც პოეზიაა, იქ აუცილებლად შემოქმედის სუბიექტიცაა, და სუბიექტს, როგორადაც არ უნდა სცადოს დამალოს თავისი თავი,

არ შეუძლია შინაგანი არსება რამდენადმე მაინც არ გაამჟღავნოს. ეს გამჟღავნება პოეზიაში უმაღლეს დონეზე ლირიკულ სახეს და ეპიკურში იჭრება, როგორც მისი მუდმივი მხლებელი. თუ ასეა ეპიკურისა და ლირიკულის, როგორც პოეტური ფენომენების შედარებით მკაცრი გამოიჭენის დროს, კიდევ უფრო ნათელია ლირიკულის პრევალირება საწინააღმდეგო შემთხვევაში. ბარათაშვილი კლასიკური მაგალითია, როგორც ბაირონი და გოეთე, სხვა პოეტებზე რომ აღარაფერი ვსთქვათ.

რას წარმოადგენს ბარათაშვილის ლირიკული გმირი, მთავარი მოქმედი სუბიექტი მისი პოეზიისა? რა ძირითადი ნიშნებით შეიძლება იგი დავახასიათოთ?

ლირიკული გმირი ბარათაშვილის პოეზიისა თვით პოეტია, მაგრამ შემოქმედებითად ამეტყველებული და მხატვრულად გასრულადებული. ეს გმირი რომანტიკულია, როგორც შელისა და ბაირონისა, ლამარტინისა და ლერმონტოვისა, მაგრამ სრულიად ორიგინალური, თვითმყოფი, ნაციონალური, რომელშიაც ასე ორიგანულად დამკვიდრდა ზოგადკაცობრიული იდეაც და სულიც. ბარათაშვილის ლირიკული გმირი ისეთივე დიდი მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურაში, როგორც გენიოსი რომანტიკოსი პოეტებისა. ეს გმირი რომ

\* წიგნიდან—„ბარათაშვილის პოეტური გენია“.

გაიგო, საქიროა იცოდე პოეტის არამართო შემოქმედება და ცხოვრება, არამედ, საქართველოს ისტორიული პირობები, რომლებმაც თავისებური გამოხატულება ჰპოვეს ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის სახით.

მოყოლებული კრწანისის ტრაგედიიდან (1795), როცა აღა-მამამდა-ხანმა თბილისი ააოხრა, იმდროინდელი ქართველობა მწარედ განიცდიდა შექმნილ სიტუაციას. მოხუცი ერეკლე, რომლის დაუცხრომელი ენერჯია ცდილობს ფერფლიდან კვლავ აღადგინოს თბილისი, ვრძნობს, რომ საქართველოს ძლიერება გატეხილია და მის ვედარ უშველის ირანიდან წამოსული ონავრის დაღუპვა. 1798 წელს ერეკლე გარდაიცვლება, ტახტზე ადის მისი ვაჟიშვილი გიორგი, ჭკვიანი, მაგრამ ავადმყოფი მეფე, რომელსაც ორი წლის შემდეგ მიწას მიაბარებენ, და იწყება დაუსრულებელი ინტრიგები, როგორც შინაური, ისე გარეგანი, საქართველოს ტახტისათვის. მალე სამეფო ტახტი უქმდება. 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთს შეუერთებენ, წესდება ახალი მმართველობა და იწყება ახალი ისტორია.

მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახალი გზას ვერ იკაფავს ძლიერი ოპოზიციის გარეშე, ამას ემატება ზოგიერთი მმართველის ძალმომრეობა, მოსახლეობის დაბალი ფენების აუტანელი მატერიალური გაჭირვება და საქართველოში იწყება აჯანყებები, მათ შორის მთიულეთისა — 1804 წელს, რომელშიაც ახალგაზრდა ალექსანდრე ჭავჭავაძეც ღებულობს მონაწილეობას.

პირველი სამამულო ომი, რუსეთში შემოჭრილი ნაპოლეონის დიდი არმიის წინააღმდეგ, თავისებურ გავლენას ახდენს ქართულ ყოფა-ცხოვრებაზეც.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ყურადღება მისაქცევია ერთი გარემოება: ბარათაშვილისა და მისი სკოლის მეგობართა მიერ გამოშვებული ხელნაწერი ალმანახიც ეხმაურება ნაპოლეონის

შემოსევას რუსეთში. უცნობი ავტორის ლექსში, რომელიც სულ ოთხი სტროფია, ვკითხულობთ:

„როს ნაპოლეონ შვიდ მეფათ, სამტროდ  
ჩვენზე მოვიდა,  
ბრძოლისა გამო ჩვენისა, სირცხვილული  
წავიდა“...<sup>1</sup>

თუ გიმნაზიის მოსწავლენი ასე ეხმაურებოდნენ ნაპოლეონის ლაშქრობას და მის დამარცხებას, ადვილი წარმოსადგენია როგორი რეაგირება იქნებოდა თვით საზოგადოებაში. არაერთი ქართველი ოფიცერი და გენერალი მამაცურად ებრძვის ნაპოლეონს, მათ შორის პეტრე ბაგრატიონი და იაშვილი, ფანჯულიძე და ჭავჭავაძე.

ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ მეფის რუსეთი უფრო ენერგიულად მკვიდრდება საქართველოში. ქართველი თავად-აზნაურები, ვინც რუსული იცის, ადგილობრივ სახელმწიფო სამსახურში შედიან. ძლიერდება კაპიტალის მიწოლა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რაც ბუნებრივად იწვევს ძველი, ფეოდალური მეურნეობისა და ტრადიციულ ურთიერთობათა რღვევას. სამეფო ტახტისა და დომოჟიღებლობის დაკარგვით გამოწვეული ტივილი მწვავედება. მკაფიო გამოხატულებას იგი პოულობს 1832 წლის შეთქმულებაში. მაგრამ შეთქმულება სასტიკად მარცხდება, მიზანს ვერ აღწევს. იწყება რეპრესიები იმდროინდელი ყველაზე ძლიერი ინტელიგენციის, ვინც შეთქმულების მონაწილე იყო (სოლომონ დოდაშვილი, ფილადელფოს კიკნაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი, გრიგოლ, ვახტანგ, ალექსანდრე ორბელიანები და სხვ.), გადასახლება რუსეთის იმპერიის გუბერნიებში. ვინც საქართველოში დარჩა, კულტურის მოღვაწე, გასაქანი არა აქვს, ვინაიდან ქართულ ენაზე არ არსებობს არც გაზეთი, არც ეჟურნალი, არც კლუბი, არც თეატრი.

<sup>1</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, №2684. მართლწერა შეცვლილია.

ზოგადად ასეთი იყო იმდროინდელი ისტორიული ვითარება, როცა ნიკოლოზ ბარათაშვილმა შემოქმედებითი მოღვაწეობა დაიწყო.

ახლა ჩვენ გვსურს გადმოვაცეთ ბარათაშვილის ლირიკული გმირის ბიოგრაფია, და როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, როცა აღმამიანის ცხოვრებას აღწერენ, ჩვეულებრივ მისი დაბადების თარიღს მიუთითებენ, ამჯერადაც ასე უნდა მოვიქცეთ.

ბარათაშვილის ლირიკული გმირი პირველად ჩნდება ვასული საუკუნის 30-იან წლებში, როგორც ჩვენ ეს უკვე ვნახეთ აღმანახისეული ლექსების გარჩევის დროს, მაგრამ ნამდვილად იბადება 1833 წელს, როცა ბათის ფორმით იწერება ლექსი—„ვარდი და ბუღბული“, შემდეგ წელს რომ ახალი ვარიანტის სახეს მიიღებს. ეს უკვე ლექსის საბოლოო რედაქციაა და მასში ბარათაშვილის ლირიკული გმირი მთელი თავისი არსების მხოლოდ ზოგიერთ ძირითად ნიშანს გაამკლავნებს. ახალ ვარიანტში მას ეწოდება „ბუღბული ვარდზედ“. ლექსის თემა ორიგინალური არ არის. აღმოსავლეთის პოეზიასა და აღორძინების ხანის ქართველი პოეტების (განსაკუთრებით თეიმურაზ პირველის) შემოქმედებაში ეს თემა იმდენად სრული სახითაა დამუშავებული, რომ ახლის თქმა თითქმის აღარ შეიძლებოდა. მაგრამ ბარათაშვილმა მას თავისებური პოეტური ასპექტი მისცა. აღმოსავლეთის პოეზიაში ვარდი ყოველთვის წარმოდგენილია, როგორც ობიექტი ბუღბულის უსაზღვრო ტრფობისა. ამ მაგისტრალურ ხაზს არც ბარათაშვილი შორდება; მისი ბუღბულიც, ვარდზე მჯდარი, შეგყვებს თავის სატრფოს, სურს და მოელის მის ვაშლას, მაგრამ დილით, როცა გაეღვიძა, დაინახა დამკვნიარი ვარდი. ბუღბულს „გული მოუკვდა“, თვალები ცრემლით აფესო, გული კი სევდით, ყველას მოუხმო და უამბო:

„განთიადით დაემდეგ  
შევფრთხინედი ცოცრობას,

არ ვზოგავდი სიცოცხლეს  
უძილობას, ვალობას;  
მჭონდა მცირე წადილი, ატრინესული  
ვერ მიხვდი კი ძნელბაას—  
მსურდა ვაშლი ვარდისა,  
არ ვაფიქრობდი დაჯნობას!“

მცირე წადილის ეს ვერმიწვდენა ბარათაშვილის პირადი ცხოვრებისა და პოეზიის ერთი ძირითადი გაბმული მოტივია, რომელიც ყოველთვის ღრმად სევდაში გადადის. ეს სევდა, მისი ლირიკული გმირის მუდმივი მსლებელი, კეთილშობილ ზრახვათა უღმობელ მსხვერველზე აღმოცენდება ხოლმე. შემდეგ იგი მიიღებს პესიმიზმის სახეს და ფორმდება, როგორც, საერთოდ, რომანტიკული ლირიკული გმირის ზოგადი ბუნება თავისი მკაფიოდ გამონატული ეროვნული ნიშნებით.

ამგვარივე იმედების მსხვერვეა, წადილის ვერმიწვდენა და უიმედობის აპოთეოზია „ქეთევანი“, რუსთველურისა და ჩახრუხაულის შეერთებით დაწერილი, რომელიც 1835 წლით არის დათარიღებული. ქეთევანი ავი ვენის ანუ ცილისწამების უდანაშაულო მსხვერპლია, თუმცა, შურის მიუხედავად, უბიწო სიყვარულის განსახიერებას წარმოადგენს. მას უკვირს, თუ როგორ შეიძლება ცილის ერთი დაწამებით გულისწიწორმა ამდენი ხნის სიყვარული გასწიროს. მაშინ რად ეფიცებოდა საუკუნო სიყვარულს, რად აღზენდა სატრფოს, თუ ასე უდროოდ მოჰკლავდა? რად მიიზიდა მისი უმანკო და უზრუნველი გული, თუ ასე დაუტკნობდა ყმაწვილობის ვერ კიდევ გაუშულ ყვავილს?

და ბარათაშვილის ნორჩი ლირიკული გმირი, რომელიც ეს-ესაა ცხოვრების გზაზე ამტყდარ ქარიშხალს პირველად დაუდგება პირისპირ, გრძნობს მღვრიე ტალღების ხმაურს, თუმცა ვერ კიდევ ბოლომდე არა აქვს შეგნებული მისი ძალა, ხოლო ბოროტება შედარებით ნაკლები წინააღმდეგობის ვხით აღწევს თავის მიზანს. სუსტი ობიექტი მარცხდება, მაგრამ დაიმედებულია, რომ იქ, სხვა სოფელში, უზენაესთან, მისი ცხო-

ერება გაგრძელდება, სატრფო შეიტყობს სიმართლეს, ბოროტებას ფარდა ახდება და უდანაშაულო მსხვერპლი გამართლდება. ეს არის ბარათაშვილის ნორჩი ლირიკული გმირის ქრისტიანული ფილოსოფია, რომელიც სენტიმენტალურ ასპექტში რომანტიული მოსახამით გვევლინება. იგი მისტირის ბოროტების უმანკო მსხვერპლს და მისი მძიმე ხვედრის თანამოზიარე ხდება.

მაგრამ რა არის იქ, იმ სხვა სოფელში, სადაც ყველა მიდის, უკან კი ამბის მომტანი არავინ ბრუნდება?

სამყარო ჩვენი არამართო უსასრულობით ვგავოცებს, აუხსნელი საიდუმლოებითაც გვიხიდავს, როგორც საკვირველებში გაშლილი მშვენიერების სამეფო. ამ სამეფოს ჭკრეტს ბარათაშვილის ნორჩი ლირიკული გმირი, რომელსაც მშობლიური მთაწმინდის უღამაზესი სანახებიდან მთელი სამყარო ეზმანება. ეს ზმანება ძლიერად შეატოკებს მისი მდიდარი სულის რაფინირებულ ხეეულებს და 1836 წელს იწერება საოცარი „შემოღამება მთაწმინდაზედ“ — არამართო ქართული, მთელი მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთი დამამშვენებელი შედევრი. ამ გადოქრულ პოეტურ ქმნილებაში სრულიად ჭბუევი, ოცი წლის ბარათაშვილი პირველად გამოჩნდა, როგორც გენოსი, პირველად ეზიარა მხატვრული მეტყველების ოლიმპის მწვერვალს და პირველად დაიდგა თავზე აპოლონის უკვდავი გვირგვინი. „შემოღამება მთაწმინდაზედ“ ბარათაშვილის პოეტური გენიის პირველი გამოღვიძება იყო. შემდეგ მას აღარ დაუძინია და მისი ლირიკული გმირი, ბავშვობიდან გამოსული, ყმაწვილობის ასაკში შევიდა. მისი პოეტური თვალის წინაშე სულ სხვაგვარად გადაიშალა არამართო მშობლიური მთაწმინდის უმშვენიერესი ადგილნი „დამაფიქრელნი, ვერანანი და უღაბურნი“, არამედ, ვარსკვლავებით მოჭედლილი უსასრულო ცა და აზრის მერიდიანები პირველად მიეზჩინენ უსახლგროების კოორდინატებს. ადამიანი ხომ უხსოვარი დროი-

დან განცვიფრებული შესცქეროდა მის ზევით არსებულ უცნაურ ქვეყანას, რომელიც ღმერთად მიიჩნია და რომლისთვისაც თვით ღმერთი შექმნა. რელიგიის პარალელურად, მან შექმნა, აგრეთვე, ასტროლოგია და ასტრონომია. შემდეგ უარპყო ღმერთიც, რელიგიაც და ასტროლოგიაც, როგორც სასტიკი ცდუნებანი. დაეყრდნო ასტრონომიას, როგორც მეცნიერებას, და მეცნიერების ტექნიკასთან შეერთებით კოსმოსში შეიჭრა! კოსმოსის ათვისების გზაზე ადამიანმა უკვე გაარღვია გრავიტაციული ბარიერი და არღვევს ბიოლოგიურს. ეს უკანასკნელი უფრო რთული აღმოჩნდა, ხოლო თუ რამდენად ხანგრძლივი დრო დასჭირდება, ვერ ვერავენ ამბობს. კიდევ უფრო ძნელი იქნება სულიერი ბარიერის გარღვევა. სხვა პლანეტაზე გადამხდარი ადამიანი სულით დიდხანს იქნება ჩვენი პლანეტის შვილი და „კოსმოსური სევდა“, რომელიც უეჭველად გაჩნდება, შესაძლოა სულ ახალი პოეზიის საგნად იქცეს. მაშინ უეჭველად დაიბადებიან „კოსმოსური სევდის“ პოეტები — ახალი მიუსეები და ლეობარდები, ბარათაშვილები და ლერმონტოვები. მაშინ შემოწმდება რამდენად მარადიული იყვნენ ჩვენი ეთიკური ნორმები და ჭუმანიტარული პრინციპები, რომლებითაც დედამიწაზე ვცხოვრობდით. მაგრამ ეს შორეული მომავლის პრობლემაა. ბარათაშვილი კოსმოსს ჭკრეტდა ჩვენი პლანეტის მერიდიანებიდან, ჭკრეტდა როგორც „მსოფლიო სევდის“ პოეტი, რომელსაც „კოსმოსური სევდის“ რაღაც აჩრდილი ეზმანებოდა. მაგრამ მთაწმინდაზე კაცი, ფხიზელი ანალიტიკური და დიდი პოეტური ხედვით დაჯილდოებული, გრძობდა, რომ ადამიანის შემეცნება სუვერენულია, უსახლგროების წვდენა მას არ შეუძლია. ბარათაშვილს, ცხადია, არ შეუძლო ეთქვა — სუვერენულიც არის და არასუვერენულიცო, ვინაიდან მისი დრო, იმდროინდელი ყოფა საამისოდ



არავითარ საფუძველს არ აძლევდა. მას შეეძლო მხოლოდ ის გაეკეთებინა, რომ მშვენიერი მთაწმინდის რომელიღაც მოხერხებული ადგილი შეერჩია, იქ რაიმეს მიყრდნობოდა ან მიწაზე წამოწოლილიყო და გენიოსის თვალები ცის უსაზღვროებისათვის მიეპყრო:

„ოჰ, ვით ყოველი ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მინახებულნი ჰე, ცაო, ცაო. ხატება შენი

ჭერ კიდევ გულზედ მაქვს დანჯეული აწეა რა თვალნი ლავარდს ვიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოსწრაფიან, მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევინ და პაერშივე განიბნევიანს

მე, შენსა მკვარტელს, მავიწყდების საწუთროება, გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს, ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება...

მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!-1

ბარათაშვილის ლირიკული გმირის ამ ახალგაღვიძებულმა ფიზიქულმა გონებამ იგრძნო, რომ აქაც ვერმიწვდენაა სურვილისა, აზრს არ შეუძლია თავისი მასშტაბებით უსაზღვროების კიდევ-განს მიუახლოვდეს, უკანვე უნდა დაუბრუნდეს საწუთროებას, თუმცა გულისთქმა მარადიულად რჩება ცის იქით სადგურის მაძიებელი. აქ კაბუჯი პოეტი, სრულიად დამოუკიდებლად, პირდაპირ მიადგა კანტის ტრანსცენდენტალურისა

1 სერჯი გორგაძემ პარველმა დაწერა მონოგრაფიული გამოკვლევა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტის საკითხებზე. მითითაა, რომ „შემოღამება მთაწმინდაზედ“ წარმოადგენს „მცირებესიკურისა და შავთელერის შეერთებას“. ჩვენ ვიზიარებთ მის კლასიფიკაციას და მომდევნო ლექსების ანალიზის დროსაც ყველგან უცვლელად დავტოვებთ, მიუხედავად იმ კრიტიკული შენიშვნებისა, რაც ხსენებული გამოკვლევის მიმართ გააკეთეთ ჩვენი მონოგრაფიის მეორე თავში, სადაც ბარათაშვილს ეახსითაუბლით, როგორც დიდ ქართველ რომანტიკოსს (ს. გორგაძე, წერილი: „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ფორმა“, წიგნი—ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები“, 1922 წ., გვ. 220-226).

და ტრანსცენდენტურის პრობლემას, რასაც ჩვენ ქვემოთ შევხვებით, როცა მთელ ლექსს ცალკე გავარჩევთ.

ეს დაუცხრომელი სულის ძიება ბარათაშვილის ლირიკულ გმირს შემთხვევით არ გააგონებს საკვირველ იდუმალ ხმას, რომელიც ყოველ ადამიანს წუთისოფელში შესვლისთანავე ეზმანება, როგორც საკუთარი ხვედრი. მთელი ჩვენი არსება ისეა მოწყობილი, ადამიანს ყოველთვის ისე ესახება მომავალი. როგორც იდეალური, და არ არის კაცთა შორის თითქმის არცერთი, თუ მას ნორმალურად განვითარებული გონება აქვს, რომ იქ, სადაც, შორეულ დროში, წინ რომ მოგველის, ბედნიერების ვარსკვლავს არ ჰკერტდეს. ადამიანს რომ ეს ბუნებრივი გრძნობა, ეს ბუნებრივი რწმენა არ ჰქონდეს მომავალში გამოუცნობი ნეტარებისა, საექვოა, მან რაიმე გააკეთოს, საერთოდ რაიმეს ხელი მოჰკიდოს, რაიმე იმედით განიმსჭვავლოს. ჩვენ ყოველთვის აწმყომი ვმუშაობთ, მაგრამ ყოველთვის მომავლის იდეალით.

და ბარათაშვილის ლირიკულ გმირსაც, გულში რომ „ჩუმი ნალღელი“ შეჰპარვია, ესმის საკვირველი იდუმალი ხმა, რომელიც „ცხადად თუ სიზმრად“ მხოლოდ ერთს ეუბნება: შენი ხვედრი ეძიე, იქნებ შენივე შესაფერი ბედი წილად გხვდესო. ასეა ნათქვამი 1836 წელს დაწერილ უმშვენიერეს ლექსში „ხმა იდუმალი“, სადაც გამქდავენებულია ყმაწვილობის დროიდანვე ეს საკვირველი, მაგრამ სავსებით ბუნებრივი ზმანება მომავალი ბედნიერებისა.

მაგრამ, რა ხდება? ვანა ბევრი მოიძებნება ადამიანთა შორის, რომელსაც ახდენოდეს მომავლის ზმანება, ის კაბუჯობისდროინდელი ოცნებანი, რომლებიც ასე გვიტაცებდნენ, გვიზიდავდნენ და გვიბიძგებდნენ წინ — აღთქმული ბედნიერებისაკენ?

შეიძლება ასეთ ბედნიერ ადამიანთა რიცხვი თითზე ჩამოსათვლელი იყოს, ხოლო იმედგაცრუებულთა არმია უთვალავი რომ არის, სრულიად უეჭვე-

ლია. ამ დიდ არმიას მიეკუთვნება ბარათაშვილის ლირიკული გმირიც — ის ვერ პოულობს საკუთარ ზვედრს და „მით კაეშანს ვერღა იშორებს“. ნუთუ ეს არის სინიდისის ღვენის ზმა? — შექსპირის მსგავსად აყენებს კითხვას ბარათაშვილის ლირიკული გმირი, და შექსპირის მსგავსადვე უბასუხებს:

„მაგრამ მე ჩემში ვერ ვპოვებ ავსა,  
მის საშთთვლს და საქენწანესა?“

ბედისადმი მორჩილება, რაც ასე ნათლად ჩანდა წინა ლექსებით, შეათეულურად დაწერილ „ხმა იღუმალში“ პირველად იცვლება, პირველად ირღვევა, და ბარათაშვილის ლირიკული გმირი პირველად იღებს მახვილს, თუმცა ჯერ კიდევ სუსტს, უღმომბელ ბედთან შესარკინებლად:

„ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი,  
ან თუ ეშმაკი, მაცოფრი ჩემი?  
ვიცნა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ,  
სიცოცხლეს ჩემსა რას ვაწუშნავებ?  
როს ეაცნა მე შენი საიდუმლოება,  
როს მხედეს ამ სოფლად ჩემი წილობა?“

მაგრამ აქ, როგორც ყოველგვარ ბრძოლაში ხდება ხოლმე, ჯერ მარტოოდენ ძალების მოსინჯვაა, მხოლოდ იმის გაგების ცდაა, თუ რას წარმოადგენს ის, ვისაც უნდა ებრძოლო. აქ მხოლოდ იმის ცდაა, რომ გაიგო მოპირდაპირის საიდუმლოება, მისი შესაძლებლობანი. აქ მხოლოდ გაღრმავებაა იმის შეგნებისა, რომ მომავალს, რომელსაც პოეტრ „ცისარტყელისებური ოცნების“ სახით წარმოიდგენდა, ანგელოზთან ერთად, ეშმაკიც თანა სდევს, სიკეთეს ავი ებრძვის და ცხოვრება განუწყვეტელი ბრძოლაა ორ დაპირისპირებულ საწყისს შორის. პირადი ყოფა ბარათაშვილისა თვითონვე განუმტკიცებდა ამ აზრს; გრიგოლ ორბელიანის ზვედრი 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ, რაც ასე მინიატურულად, მაგრამ დიდი პოეტური ოსტატობით დახატა შეათეულურით დაწერილ ლექსში — „ძია გ...სთან“, მას უმკველად ღრმა ფიქრებს აღუძრავდა „ავი ენის გესლ-

ზე“, და ყოველ მომდევნო ნაწარმოებაში ნათლად ვხედავთ, რომ ბარათაშვილის ლირიკული გმირი თანდათან იმსკვალბა სევდით, უიმედობით, მისი ცნობიერება მწიფდება ცხოვრების სისასტიკის შეგნებით.

ამგვარ ვითარებაში ადვილად შეიძლება პოეტს დაეკარგა სულიერი წონასწორობა, დაცემულიყო, აპოლოდა ცხოვრების ათასგვარ ცდუნებას. მაგრამ ბარათაშვილის ლირიკული გმირი ყოველთვის ინარჩუნებს მაღალ ადამიანურ მორალს, სისპეტაკეს, სევდით ივსება, მაგრამ მხნეობასაც არ ჰკარგავს. მცირებესიკური ფორმით დაწერილი ლექსი „ღამე ყაბახზედ“ ერთი საუკეთესო მხატვრული შედეგია ამ აზრის დასამტკიცებლად. რა სპეტაკად გამოიყურება ბარათაშვილის ლირიკული გმირი, როცა ყაბახზე მოსეირნე ქალის მადლობას იმის გამო, რომ „ახლა მოდაა; ვინც ვის იცნობს, ივიწყებს ისევ“, თქვენ კი არ დამივიწყეთო, უბასუხებს: „ღარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები ვერ მამიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები“.

მხოლოდ მაღალ ადამიანურ სულს შეუძლია ასე მარად ერთგული დარჩეს, როცა ირგვლივ ყველაფერი წარმავლობის, წუთიერი გატაცების, ფუჭი დროებისა და ამოცანის მორცხვს დაუსაკუთრებია. ამ მაღალი სულითა და სისპეტაკით გვხვბლავს ბარათაშვილის ლირიკული გმირი, რომლის ფიქრთა სამყარო, ადამიანური ცხოვრების უწყისრიგობით შეშფოთებული, დრტვინვასა და ურვა-წუხილს მისცემია. მისი კლასიკური ლექსი, ისევ მცირებესიკური ფორმით დაწერილი — „ფიქრნი მტკვრის პირას“, რომელიც 21 წლის ყმაწვილმა 1837 წელს დაწერა, კაცობრიობაზე ამ დრტვინვისა და ურვა-წუხილის ერთი უდიდესი მხატვრული ძეგლია მსოფლიო ლიტერატურაში. ჩვენ მას სხვა ადგილას ვავარჩევთ უფრო დაწვრილებით, აქ კი მხოლოდ იმის მითითება ვვსურს, რომ სევდით შეპყრობილი ბარათაშვილის ლირიკული გმირი, რო-

მელსაც სუბიექტური სამყაროს ჰერეტიკიდან ობიექტური მშობლიური ბუნებაც ანალოგიური სახით ეჩვენება, დიდი ოსტატობით ანერგებს კერძო ზოგადს დაუკავშიროს, საკუთარი ქვეყნის ტიფილი კაცობრიულს გადააწნას, ხოლო ამით სოფლის აღსასრულის რწმენასთან ერთად, ადამიანური ცხოვრების ერთადერთი ქემშიარტი აზრიც იპოვოს. მართალია, ბარათაშვილი ამ შემთხვევაში მრატო არ არის. პრობლემის დაყენების მხრივ მსოფლიო ლიტერატურაში მას წინამორბედნიც ჰყავდა და უკუმორბედნიც. ამ პრობლემამ წარმოშვა „მსოფლიო სევდა“, რითაც ასე გაითქვა სახელი თითქმის ყველა ქვეყნის რომანტიკულმა სკოლამ. მაგრამ ბარათაშვილის „მსოფლიო სევდა“ სულ სხვა ასპექტსა და სულ სხვა მიმართულებას დებულობს. მისი ლირიკული გმირი „მსოფლიო სევდის“ არტახებს წყვეტს, რათა სრული უიმედობის მერიდიანებიდან გამოვიდეს. ის არ რჩება არც ვერტერთან, არც ჩაილდ ჰაროლდთან. ფაუსტივით პრაქტიკული მოქმედების აქტიურობაში ბოლოებს კაცობრიული არსებობის უმთავრეს აზრს და ვიღვემ მაისტერივით ცხოვრების სამსახური მიაჩნია ადამიანის ძირითად დანიშნულებად. ეს უმჯველად იყო გამბედაობა, რამაც შემდეგ უფრო თავგამეტებული სახე მიიღო. სწორედ აქ პესიმიზმი ტოვებს საკუთარ თავს, უარყოფაში გადადის, ხოლო ეს უკვე დადებითი ნეგაციაა, რომელსაც არ შეუძლია სხვად იქცეს, თუ არ ობტიმისტურ დეფინიციაღ.

მართლაც დიდი სული უნდა ჰქონებოდა პოეტს, რომ ჰაბუკუბის გონებით ასე ღრმად შექიდეოდა კაცობრიობის წყველა-კრულვიან საკითხს, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა, მაგრამ შექიდეობდა არა მხოლოდ საკუთარ ზრახვათა დასაოკებლად, პირიქით, საერთოდ ადამიანებზე, მათ ცხოვრებაზე გოეთეს ვერტერივით და ბაირონის ჩაილდ ჰაროლდივით მწარედ დაფიქრებული. ამიტომ გვეჩინია, რომ „ფიქრნი მტკერის 4. „მართობი“, № 8.

პირას“ იმპროვიზაციულად დაწერილი ლექსი არ არის, იგი ხანგრძლივად კვირვების, მრავალგზისი ანალიზისა და გონების მტანჯველ აზრთა გამუდმებული ურთიერთბრძოლის ბუნებრივი შედეგია. აქ ბარათაშვილის ლირიკული გმირი გვევლინება როგორც განმსჯელი სუბიექტი, ფილოსოფიურად მოაზროვნე, მაგრამ რეფლექსიის ბოლომდე მძალ პოეტურ ფორმაში გამომთქმელი. და ყველა მისი აზრი—ქართული კაცის აზრია, ქართველისა იმიტომაც, რომ ისინი კამინეტში კი არ იწერებოიან, კამინეტი ყველგან კამინეტია, არამედ, მშობლიური მდინარის ნაპირებზე, ქართული ბუნების წიაღში, ქართული ოდისეიდან მომდინარე, რაც თვით სისტემას აზროვნებისას გარეგნულადაც მკაფიოდ გამოხატულ ეროვნულ კოლორიტს აძლევს. ბრძნული აზრი ჰქვიან კაცს ყველგან შეუძლია გამოთქვას, მაგრამ, როცა ვიცით, თუ ვინ სად იპოვა კაცობრიობის გონების საღაროში შეტანილი განძი, ჩვენ უმალ მოვიხსენიებთ მას, როგორც მაგალითად, ანტიკურს, და ცალკე გამოვყოფთ ხოლმე.

ბარათაშვილის ლირიკული გმირიც სწორედ ასევე გამოირჩევა მსოფლიო ლიტერატურაში თავისი ხასიათით, აზროვნების წყობითა და ეროვნული კოლორიტით, თუმცა ასევე ენათესავება ზოგადკაცობრიულს, როგორც გენიალური ფენომენი. ადამიანისა და კაცობრიობის არსებაზე ღრმად დაფიქრებული, იგი ხშირად იწვევს თავისთან არა რელიგიურ ან მეტაფიზიკურ სულებს, როგორც სხვა რომანტიკოსები, არამედ, მატერიალურ სულებს, რომლებიც მისთვის ყოველთვის გასაგნებელი არიან და რომლებსაც საცხებით რეალური შესახებლობა გააჩნიათ. დიდ გოეთეს მსგავსად, ბარათაშვილი აქ მატერიალისტია, და არაფერი ისე არ სძულს, როგორც რეალურისაგან მოწყვეტა. იდეალურსაც მხოლოდ მატერიალურის პრიზმაში ხედავს და დემატერიალური მართოდენ ოცნებაში წარმოუდგენია. ეს ოცნება ერთფეროვანია არ არის და არც

შეიძლება იყოს. ოცნება ადამიანის მტანჯველი ან სანუჯვარი აზრის იდეალური აღმაფრენაა. რამდენიცაა ეს მტანჯველი ან სანუჯველი აზრი, ოცნებაც იმდენივეა. ამ ჩვენს დებულებას საუკეთესოდ ადასტურებს ბარათაშვილის ლირიკული გმირი, რომლის ოცნებათა ციკლში მრავალფეროვნებასთან ერთად მრავალაზრიანობას ვხედავთ. აი, მოუხმობს იგი „ჩონგურს“, მტკერის პირას მწარე ფიქრების შემდეგ, მოუხმობს. მაგრამ დიდბესიკური და შავთელური ზომით დაწერილ ამ ლექსშიც იგივე მეორდება: თუ მტკერის ნაპირებზე სევდიან პოეტს, განქარვების ნაცვლად, მძიმე ფიქრები აუშალეს, აქაც სევდების უკუყრის მაგიერ, ჩონგურის კაემნიანი მოთქმანიც „სულს უფიქრებენ“, მხიარული ხმა პოეტს ჩონგურისგანაც არ მოესმის, პირიქით, მის ყურთა სმენას მხოლოდ მოკლული გულის ჩივილი ხედება:

„შენი მოთქმანი, კემნის ხმანი,  
ხანცა ოხვრანი, ხანც ამოსკვნანი,  
წარსულთა დროთა მოგონებითა  
სულს აფიქრებენ!  
პოი, ჩონგურო, ნეტავი ოდეს  
ხმა მხიარული შენგან მსმენადეს,  
რომ უეცროდენ მე სევდიანსა გულისა სენი  
მაგრამ სად ვნახო შენი ღიმილი,  
სიხარულითა გამოჩენილი?  
მე შენგან მესმის მოკლულის გულის  
ოდენ ჩივილი!“

და მთელი ცხოვრების მანძილზე ბარათაშვილის ლირიკულ გმირს ეს ჩივილი ესმის, ეს მოთქმა-გოდება, ეს ოხვრა-კენესა; ვერსად იგი ვერ პოულობს „მხიარულ ხმას“, რათა დროებით მიანიც უკუიყაროს „სევდიანმა გულისა სენი“. ვიმეორებთ, ვერსად იგი ვერ პოულობს „სიხარულით გამოჩენილ ღიმილს“, მაგრამ დააკვირდით: (პოეტის ურვა-წუხილი, ესოდენ სუბიექტური ერთი შეხედვით, ყოველთვის სხვა, გარეგანი მიზეზითაა გამოწვეული: ლექსში—„ფიქრნი მტკერის პირას“—ადამიანური (კაცობრიული) ცხოვრების ამოებთ, აქ კი, „ჩონგურში“—სამშობლოს მძიმე წარსულის მოგონებით.

მაგრამ, ხომ არ შეიძლება ყველაფერი უსასრულოდ გაგრძელდეს? ერთხელ მაინც სოფელსაც ხომ ბოლო მოუვლება? რაკი ასეა, ნუთუ ამ ტანჯვას დასასრული აღარ უწერია?

ეს პრობლემა თუ ალტერნატივა ყოველთვის დგას ბარათაშვილის ლირიკული გმირის წინაშე და მისი გადაწყვეტა ასევე ყოველთვის ახალ ასპექტებს პოულობს სრულიად ორიგინალური ვარიაციებით. ერთი მათგანია იმავე 1837 წელს თეგლისით დაწერილი უმშვენიერესი ლირიკული საგალობელი „ჩემს ვარსკვლავს“, რომელშიც პირველად იხედება ღრუბლიანი ციდან გამოსული ელვარე მზის იმედიანი სხივი. ჩვენც პირველად ვხედავთ ბარათაშვილის სევდიან ლირიკულ გმირს თითქოს ლაღად მსუნთქავს, თითქოს მხიარულს, ვალაღებულს, დაიმედებულს, მას ტრფობაც შესძლებია და ჭირთან შეჩვევაც, სიამის განცდაც და ეშხის ნაპერწკალთა მოლოდინიც. მთელი ლექსი თითქოს ახალი, შინაგანი სიხარულის გამომხატველი ფურცელია პოეტის სულიერ ბიოგრაფიაში და ჩვენ აშკარად ვგრძნობთ მის ლხენას, თუნდაც მრისხანე ბედის ვარსკვლავით:

„რად მრისხანებ, ჩემს ბედის ვარსკვლავო?  
მაინც ვეტრფი, თუმცა ხშირადა მკლავო:  
შეუთვისა სული მშენსა მოღრუბლეს,  
შეჩვიო გული სევდითა კრთოლვას!

ნუ გგონია, ბედსა მით გამიწიარებ,  
რომ უეცრად ბუჭით ნისლს მოიფარებ;  
შენ არ იცი, რა სიამეს მომაგებ,  
როს მიბუჭებთ ნისლით გამოშინებებ.

რა სახითაც ვინდა შენ მე მეჩვენო,  
მაინც ვიცივობ, მშვენიერის ცის მთენო:  
ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,  
მალხინებულ დაბინდულის გულისა!

მოციმციმი, მოდი, გამოშვადრე,  
შენგან ბნელი გული გამოშიდრე;  
ვლავ ციური ცეცხლი გარმოისარე,  
ნაპერწკალნი ეშხისა მომაყარე“.

ეს პირველი ლექსია, სადაც ბარათაშვილის ლირიკული გმირის სატრფივლო მოტივი ყველაზე სრულად გაიშალა, ვიდრე წინა ლექსებში, რომლებ-

ბიც ჩვენ უკვე განვიხილეთ. და უმკველად ამავე პერიოდს (1837 წელს) განეკუთვნება ლექსი „ქ. დ. ჩ“, რომელიც, ისევე როგორც „ჩემს ვარსკვლავს“, პოეტის სატრფოს — ფრანგ დელფინა ლაბიელს ეძღვნება. დელფინას შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ბარათაშვილის ცხოვრების აღწერაში, მაგრამ ამ ლექსზე არაფერი გვითქვამს. რომ ეს ნაწარმოები უთუოდ ბარათაშვილის კალამს ეკუთვნის, დამტკიცებასაც არ საჭიროებს. ლექსის იდეური მიდრეკილება, პოეტური სამკაული, ცალკეული ფრაზები, შინაგანი „მე“ თავიდან ბოლომდე ბარათაშვილურია. მარტო ერთი პოეტური ფრაზა: „ნეტარ რამ შეგქმნა უებრო ესოდენ ტურფა ქმნილება“, ან მეორე — „აღვინთებ სულსა სანთელად“ მხოლოდ ბარათაშვილს შეეძლო ეთქვა. საესეებით ბუნებრივია, რომ „ჩემს ვარსკვლავში“ პოეტის შედარებით მოღვნილ სულს ასევე სიხარულით გუნდრუკი ეკმია ტრფობისა და მშვენიერებისათვის:

„მთიებო, სვეტო ნათლისა,  
გახილე გულის უფალად,  
მშვენიერებამ მონა მქნა,  
ტრფილებას ვგრძნობ მე ვალად.  
ნეტარ რამ შეგქმნა უებრო  
ესოდენ ტურფა ქმნილება,  
შენსა მიჯნურსა ახლა მრწამს  
ნათლისა ხელოვანება,  
დავიღვე გულსა ბედკარულსა  
მე შენი მშვენიერება,  
მას ჩემი გრძნობა, გონება  
ეტრფილება, ევლება,  
მოშორებითა ტანჯულო,  
სულსა იღვინთებ სანთელად,  
შეგწირავ მსხვერპლად სიციცხლეს,  
და გრძნობას მოსავინებლად.  
მთიებო, სვეტო ნათლისა,  
გახილე გულის უფალად,  
მშვენიერებამ მონა მქნა,  
ტრფილებას ვგრძნობ მე ვალად“.<sup>1</sup>

მაგრამ ეს ტრფობა, ეს სიამე, მშვენიერების მონება, ეს მალხინებულ გრძნობა, გულის გამოღარებისა და ემხის ნაპერწყალთა მოლოდინი, ორივე ლექსში პარალელურად თანმდევია კონტრასტისა, რაც იმის დამადასტურებელია, რომ პოეტი როდია მოშორებული ტანჯვას, სულის მოღრუბლვას, ბედის სიმწარეს, დაბინდულ გულს. ბარათაშვილის ლირიკული გმირი ამ კონტრასტის პარამონიული განსახიერება და შემთხვევითი არ არის, რომ მომდევნო 1838 წელს იგი პოულობს ანალოგიას მსოფლიო მასშტაბის დიდ კონტრასტულ ადამიანთან, რომელსაც ბონოპარტე ეწოდება.

დააკვირდით ბარათაშვილის ნაპოლეონს, საფრანგეთის სრულ ბატონპატრონს, მაგრამ მაინც უკმაყოფილოს თავისი შეუზღუდველი ხელმწიფობით. უკმაყოფილებაში, თუ მის ანალიტიკური გონების სხივი დაჰკარავს, ყოველთვის შეიძლება კმაყოფილების შეტანა, როგორც აქ, ნაპოლეონის არსება წუთიერად გაიცისკროვნდება იმის შეგნებით, რომ სურვილი შეისრულა, სახელი გაითქვა „ქვეყნის საოცრად“. მართალია, ეს კმაყოფილება მუდმივი არ არის, არც მტკიცეა, ზღვის ტალღასავით მერყევია, უმაღ მიეძვინება ხოლმე შინაგან დრტივნებს, რაკი აფორიაქებული სული გვაში ვერ ეტევა. მაგრამ იგი საუკეთესოდ გამოხატავს ადამიანის საერთო უშაძლოობას, როცა მის სხეულში დაუსრულებელი მოქმედების ცეცხლი ვიზგიზებს. შინაგანი წინააღმდეგობანი, კონტრასტში გადასულნი, ღრღინან ბონოპარტეს ბობოქარ არსებას, და არაფერს ისე სრულად არ შეეძლო გამოეხატა ნაპოლეონის სიდიადე, ამპარტავნობა, ეჭვი და რწმენა, ძალისა და სისუსტის შეგნება, როგორც ბარათაშვილის სიტყვებს: „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედო“. როცა ადამიანი ზედმეტად ხაზს უსვამს ხოლმე თავის დამსახურებას, ეს ხაზგასმა მის სისუსტეს, ეჭვს, საკუთარი ძალის ურწმუნობას უფრო გვანიშნებს,

<sup>1</sup> ეს ლექსი ფურნალ „ციცხრის“ 1862 წლის თებერვლის ფურცლებზე პირველად მოაქვლია და 1936 წელს გახეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ პირველად გამოაქვეყნა მწერალმა იაკობ ბალახაშვილმა. დაწვრილებით ამ სიკეთის ისტორია იხ. მის წიგნში — „ბარათაშვილის ცხოვრება“, 1967 წ., გვ. 192-205.

ვიდრე ნამდვილ ღირსებას. ბარათაშვილმა გენიოსის მიხედვლით იგრძნო ნაპოლეონის ზეიანი ბუნებაც და დაუსრულებელ ეპვად ქცეული მისი შინაგანი სისუსტეც. ფრანგული სახე სულ ქართული საღებავებით დახატა და მაინც ნაპოლეონის უნიკალური პორტრეტი შექმნა. უკეთესი ლექსი დიდ კორსიკელზე ჩვენ მსოფლიო პოეზიაში არ გვეგულება. ერთადერთია ცვილიციც „საპაერო ზომალდი“, რომელიც ბრწყინვალედ თარგმნა ლერმონტოვმა გასული საუკუნის 40-იან წლებში და რომელსაც ბარათაშვილის „ნაპოლეონთან“ გვერდით დგომაც ვაუჭირდება. ბარათაშვილის ლექსი ნაპოლეონის სრული პოეტური სურათია, მაგრამ არა მარტო გარეგნული, შინაგანი არსების კიდევ უფრო ღრმად გამოძახტეული. ახლა დააკვირდით კონტრასტულ შედარებებს, რომლითაც ლექსი თავდება, და ბონოპარტეს უნიკალური პორტრეტის ფერწერას უკანასკნელი წერტილი ესმება:

„ბერი დღე გაა რომ ვერ ბერი ვერ ვცნათ  
ჩვენ მისი!

თვითონ სიკვდილიც მას უებროო  
აღმოვიჩინებს:  
დამქრალი ცეცხლი და ზღვის ღელვა  
წარმოვიდგინებს  
მის ცეცხლს სულსა და ზღვა-ფულსა  
განსაკვირვებულს!“

ბარათაშვილს რომ ნაპოლეონის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი ომები, თვით საფრანგეთის ისტორია ღრმად არ სცოდნოდა, ასე სწორად, ასე მეცნიერული სიზუსტით ვერც მის პიროვნებას გაიცნობდა და ვერც მის პორტრეტს დახატავდა. რადა ღირს დიდი კორსიკელის თუნდაც შინაგანი ვნებათა-ღელვის საოცარი ბუნებრივობითა და იშვიათი დამაჯერებლობით წარმოსახვა. ლექსის ექსპოზიციია პირველივე სტრიქონით ერთბაშად წარმოვედგენს ბონოპარტეს გულზვიადობას — „ნაპოლეონმა გარდმოავლო თვალი ფრანციას“, ზოლო შემდეგი სტროფი — მისივე უმძიდრობას — „და მსთქვა: „აბაო ხელმწიფობამ რა

შემიძინა?“ მომდევნო ორ სტრიქონში პოეტი ახერხებს სურათის ერთი-ერთადი შტრიხის გასრულადგმას — მუდამ გულადრძინილი კაცის წამიერი კმაყოფილების ჩვენებას:

„და რა იხილა თვისს დიდების მსხვერპლი  
თვის წინა,  
მის მოღრუბულს ზებლს შექი რაღაც  
გარდუფინა“.

თითქოს დამთავრდა ყველაფერი, მუდამ მაძიებელმა ბობოქარმა სულმა თითქოს მიიღწია ყველაფერს, რისთვისაც მთელი ცხოვრების მანძილზე ბორავდა, თითქოს შეიგნო, რომ „ახლა კი კმარა“, სურვილი მიღწეულია,

„შემოსე ძალით საყვარელი ჩემი საშვენად  
და დუშონე ვულტაიციენი მას სადიდებლად“.

მაგრამ არა, დიად სულს მუდმივი უქმარობა განუყრელად თან ახლავს, ის ვერსად ვერ ეტყევა, თუმცა იმასაც ვერ ივიწყებს, რომ შესაძლოა ყველაფერი კატასტროფით დამთავრდეს, ერთის დიდების გვირგვინმა მეორის თავი დაამშვენოს. ნაპოლეონის არსებაში ეს მუდმივი შინაგანი ჭიდილი, დრტვინვა და უსასრულო ეჭვი მართლაც რომ იყო, შესანიშნავად გარკვევის მისმა მრავალრიცხოვანმა ბიოგრაფებმა, მათ შორის ისტორიკოსმა ლასკაშმა. და ბარათაშვილის გენიამ მას უბრწყინვალესი პოეტური ძეგლი აღუმართა მცირებესიკურად დაწერილი „ნაპოლეონით“, რომელშიც ეს ეჭვი შექსპირისებური ძალით გამოითქვა:

„მაგრამ ვინ იცის, იქნება რომ ზედსაც  
მოგასწიენდ  
და სხვა მან ჩემის სახელითა დააკვირვინოს...  
არა, არა მრწამს, რომე ზედმა შე  
მიორავლოს:  
მე მან გამზარდა და თვისს გაწვრთნის რაღაც  
მიხერხოს?“

არა, არა სწამს პირადი ბედის ორგულობა, იმდენად დარწმუნებულია მას სიკეთეში, მაგრამ ერთია რწმენა, მეორეა სინამდვილის უღმობელი ლოგიკა. ერთია შინაგანი წინააღმდეგობანი საკუთარ არსებაში, მეორეა ამ შინაგანი

წინააღმდეგობათა კონტრასტული და პირისპირება გარეგან წინააღმდეგობებთან. ნაპოლეონში ეს ორმაგი წინააღმდეგობანი — შინაგანი და გარეგანი მთელი სისასტიკით იყრიდნენ თავს და, როგორი სიმტკიცეც არ უნდა გამოეჩინა, მათი ბოლომდე გაძლება გოლიათს აღარ შეეძლო. ამას გვიდასტურებს უკანასკნელი საოცარი „ასი დღის“ ბატონობა, როცა დიდ კორსიკელს ყველაფერი ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკარგული, მაგრამ შინაგანმა წინააღმდეგობებმა მოულოდნელად ადრე დაუთმეს საბრძოლო გარეგანს, რაც ბონოპარტემ ტყვეობაში თვითონვე აღიარა. იცოდა თუ არ იცოდა ეს, შესაძლოა ბარათაშვილის გენიამ ინტუიტიურად იგრძნო მისი უმჯველი არსებობა. ამიტომ გვხვდება „ნაპოლეონში“ არამარტო ბედთან ჭიდილი, როცა თვითდაჯერებულ იმპერატორს სურს შარავანდედი მოხსნას საკუთარ ბედს, რომელმაც მას „გვირგვინი დიდებისა“ დაუწია, მაშასადამე, სურს ბედის მწვედელი თვითონვე გახდეს, ხოლო თვით ბედს დამსახურება წაართვას, არამედ იმედების სრული მსხვერვალი:

„ვერა გაუძლებს ნაპოლეონ მებრძოლებსა!

რა ვინდ ძღვერად, მეციწირად, ვინ

ხელმწიფებდეს,

მაინც მე იგი ვერ ვითვისო, ვერ ჩემოდნობდეს,

თვითონ სამარეც მევიწროს, თუ ტოლ

შეკანდეს!“

აწმყოთი უკმაყოფილო რომანტიკოსებმა, რომლებიც წარსულში ეძებდნენ ძლიერ გმირებს, დიდების გვირგვინი დაუწყნეს ბონოპარტეს გენიას, მასში დაინახეს საკუთარ იდეალთა ცოცხალი განსახიერება და ზოტბა შეასხეს კორსიკელის საკვირველ საქმეებს. ნაპოლეონი წლების მანძილზე იყო ევროპელი რომანტიკოსების შთაგონება, მაგრამ იმედებს ხშირად გულგაცრუება სცვლიდა, ხოლო გულგაცრუებას ისევ იმედები. გაახსენეთ ბაირონი, გოეთე, შილერი, ბეთხოვენი და მათი დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი. ისი-

ნი ერთხანს აღტაცებულნი იყვნენ ბონოპარტეს გმირობით, მაგრამ შემდეგ გულგაცრუებულნი დატყვევდნენ ბარათაშვილი, როგორც რომანტიკოსი, სულ სხვა თვლით უყურებს კორსიკელს. მასში ხედავს ადამიანის ძლიერ სულთან ერთად მარად უკმაყოფილო არსებას, რომელსაც შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობანი მტანჯველად მიძვნიან. ის დიდაა, როგორც ადამიანი, მაგრამ უსაზღვრო სურვილთან შედარებით პატარაა, როგორც ადამიანური შესაძლებლობა. მის არსებაში ბევრი რამ უცნაური და ამოუცნობია. ეს კარგად იცის ბარათაშვილმა და ამიტომ მთავრდება მისი გენიალური ლექსი მრავლისმეტყველი მინიმუმებით, რომელიც ჩვენ ზემოთ უკვე მოვიტანეთ.

შინაგანი განცდის მხრივ არის რაღაც საერთო ბარათაშვილის ლირიკული გმირის კონცეფციასა და კორსიკელის მარად წინააღმდეგობებით აღსავსე უკმაყოფილებას შორის. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ უფრო ადრე, „ნაპოლეონის“ დაწერამდე ბარათაშვილის ლირიკულმა გმირმა წუთისათყველი „აღუქმებელ საწყაულად“ მიიჩინა, ვერც ერთი ადამიანი ვერ იბოვია, რომელსაც გულმადლობა ეგრძნო ან ერთხელ ნატვრით მიღებული სიკეთე ეკმარებინა. ასე ემართებათ არამარტო ჩვეულებრივ ადამიანებს, არამედ, უძლეველ მეფეებსაც, რომელთა შესახებ ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“ ის არის ნათქვამი, რაც „ნაპოლეონშიც“ თავისუფლად შეიძლებოდა თქმულიყო, თუმცა ვარიაციებით მაინც იგივეა განმეორებული. ამ ორი ლექსის ფილოსოფიურ-იდეური კავშირი იმდენად აშკარაა, რომ არავითარ ეჭვი არ არის, მათ შორის განვლილ დროის მიუხედავად, ვიგრძნოთ ორივეს ნათესაური სიახლოვე. მათში გამოთქმული კონცეფცია, ეტყობა, დიდხანს მწიფდებოდა ბარათაშვილის ლირიკული გმირის სულიერი ქვეყნისათვის და სწორედ ამან განაპირობა

ორივე ლექსში ეს სრული იდენტივობაც.

ადამიანები ერთმანეთს ჰგვანან არამარტო იმით, რომ ყველას ერთნაირად აქვთ თვალები და ხელები, თავი და ტანი, არამედ, იმიტაც, რომ ყველას ერთნაირად შეაწუხებს ხოლმე არსებობის ისეთი ელემენტები, როგორცაა სიცხე და სიცხე, ტკივილი და შიმშილი, წყურვილი და სნეულება. მაგრამ ეს ბიოლოგიისა და ფიზიოლოგიის სფეროა. არსებობს არანაკლებ ძლიერი — სოციალური სფერო, როცა ადამიანები რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არიან მჩაგვრელები და ჩაგრულები, მდიდარი და ღატანი, უზრუნველნი და ზრუნვით წელგამწყდარი. ეს ანტაგონიზმია, რომელიც ადამიანებს ერთმანეთისაგან თიშავს.

მაგრამ არის სულიერი სფერო, სადაც მსგავსნი დაახლოებით ერთნაირად იტანებიან, სულერთია, როგორია მათი მოქმედების რადიუსი, როცა საკითხი ყოფნა-არყოფნის ფილოსოფიას ეხება და ამქვეყნიური არსებობის აზრი გაუმართლებელი ჩანს. მაშინ იბადება ის, რასაც პესიმიზმს უწოდებენ და რასაც იმდენი კონკრეტული სახე გააჩნია, რამდენიც ამგვარად მოაზროვნე ადამიანია. მაგრამ სახელი მაინც ერთი რჩება — პესიმიზმი, რომელსაც მრავალგვარი საფუძველი აქვს, ხოლო, თუ ერთია, ნათესაური მსგავსება აუცილებლად თავს იჩენს. შეიძლება ეს იყოს თვითუღლისათვის სურვილის ვერწყდენა, უფრო მეტად კი ის კონტრასტი, რაც ერთსაც ახასიათებს და მეორესაც. რა ვუყოთ, რომ პირველის სურვილი სხვაა, ხოლო მეორესი კიდევ სხვა. ორივეს აწვალებს ვერწყდენა და ორივე საკუთარ ბედთან შეპირისპირებაში წინაღმდეგობის მწვავე ტკივილს განიცდის. ამავე დროს, ორივე განასახიერებს გენიალურ ფენომენს, ერთიც და მეორეც იერთებს ისეთ ურთიერთგამორიცხველ კონტრასტებს, როგორიცაა „დამქრალი ცე-

ცხლი“ და „ზღვის ღელვა“, „ცეცხლოვანი სული“ და „ზღვა-გული“ ამ შინაგანი კიდილის დროს. ბარათაშვილის ლირიკულ გმირს აპოლონის მადლი ევლინება, როგორც ზეციერის მიწიერთან შემოერთება, და იგი დროებით ტოვებს მტანჯველი ფიჭრების ოკეანეს, რათა წამიერად მაინც აფორიაქებული სული მოიბრუნოს. ამ დროს იწერება ქართული სატრფიალო ლირიკის ისეთი შედეგები, როგორცაა „თავადის ჰ... ძის ასულს, ეკ... ნას“ და „საყურე“. ეს ზღება „ნაპოლეონის“ დაწერიდან ერთი წლის შემდეგ—1839 წელს.

თუ რა პირობებსა და რა ვითარებაში დაიწერა ეს ლექსები, დახასიათებული გვექონდა ბარათაშვილის ცხოვრების ვადმოცემის დროს. ამიტომ აქ აღარ არის საჭირო მათი განმეორება. ორივე ლექსი, როგორც სერგი გორგაძემ გაარკვია, ერთი ფორმითაა დაწერილი და ეს ფორმა — შავთელური. ორივეში მიღწეულია მაღალი პლასტიკურობა, საოცარი სინატიფე, გამჭვირვალე გრძობა, არაჩვეულებრივი სინაზე, დიდი პოეტური ოსტატობა, ხოლო ყოველივე ამას შარავანდედად ედგმება მშვენიერება, როგორც ტრფიალების მრავილული სიმბოლო. ახლა დააკვირდით მთელ ლექსს — „თავადის ჰ... ძის ასულს, ეკ... ნას“, რომლის ადრესატი სათაურშივე გამხელილია — ეს არის ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული ეკატერინე, შემდეგ სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის მეუღლე, რომელმაც პოეტის ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა:

„სმით მშვენიერით,  
ტკბილის სიმღწით,  
პაქოვანო, სულს ელხინები;  
თვალთ არონინებ,  
გულს დააწულულუბ  
და ღიმილთა ესალბუნები!  
სადღ ხარ, იმ არეს  
მოჰფენ სიამეს, —  
უშინოდ მოსმსცდეს მხიარულება,  
შენის ენითა,  
სავსე ლტენით,  
ვინ არა იგრძნოს გულკეთილობა!





მასთვის სიამით,  
 ოდეს ტყბილის ხმით.  
 ვარდსა და ბულბულს მოვლხინარე;  
 პირმცენარითა,  
 სინარხარითა,  
 მგოსნის ყარბს გულს ესხვიმფინარე!<sup>4</sup>

ლექსის იმ ადგილს, სადაც ვარდსა და ბულბულზეა ლაპარაკი, ბარათაშვილი თვითონვე უკეთებს შენიშვნას: „ბულბული და ვარდი ლექსია სამღერალო ნათარგმნი რუსულიდამ თ. აის ჰავეჰაჰისაგან“. ეს ლექსი მართლაც თარგმნა ალექსანდრე ჰავეჰაჰემ ოდოევსკისაგან და, როგორც ლიტერატურული წყაროები მოწმობენ, ქართულ ენაზე მას თურმე შესანიშნავად მღეროდა ეკატერინე ჰავეჰაჰე. ბარათაშვილს, რომელიც ასე ახლო იყო ჰავეჰაჰის ოჯახთან, არაერთხელ ექნებოდა მოსმენილი ეს სიმღერა და ერთერთი ლხინის დროს, ალბათ ისეთი ძლიერი შთაგონება მიიღო, რომ უბრწყინვალესი ლექსით უკვდავყო წინანდლის ვარდობა.

მაგრამ აქ ერთი რამ არის საინტერესო: მთელი ლექსი სავსეა ღიმილით, აღტაცებით, სილადით, სიხარულით, მშვენიერებით, ჰაეროვნებით, გულკეთილობით, ამ ქვეყნიური სიტყვებით, მაგჭამ ბოლო სტრიქონში კვლავ გამჟღავნებულია, რომ პოეტი ყარბია, რომლის გულს ლექსის ადრესატი ესხვიმფინარება. ბარათაშვილის ლირიკულ გმირს თავისი მძიმე ხვედრი აქ დაეწიებული არა აქვს, ჯერ კიდევ ახსოვს თავისი მარტობა, თუმცა ლხინსა და გატაცებას ეძლევა. სამაგიეროდ, ასე აღარ არის მეორე ლექსში — „საყურე“. სადაც პოეტი უკვე აღზარდვრს გვეუბნება საყუთარ თავზე, გარდა იმისა, რომ შენატრის იმას, ვისაც ეღირობება ბედნიერება სული მოიბრუნოს „უცხო საყურის“ ჩრდილში:

„ეთა პეველა  
 არხვის ნელნელა

<sup>4</sup> სტეტაკს შრომანას, ლამაზად აბრისს,  
 ასე საყურე,  
 უცხო საყურე,  
 ვთამაშება თავისსა აჩრდილს,  
 ნეტავი იმას,

ვინც თავისს სუნთქვას  
 შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!  
 შენის შერბევით,  
 სიო-მობერებით  
 გულსა სიტყვს ვანიგრილებდეს!  
 პოი, საყურეო,  
 გრძნობით ამრეო,  
 ვინ ბავე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?  
 მუნ უკვდავების  
 შარბათი ვინ სვის?  
 ვინ სული თვისი ზედ დაგაყნოს?\*

როგორც პირველი, ისე მეორე ლექსი იმგვარი პოეტური ქმნილებანია, რომლებიც თითქოს არ საჭიროებენ კომენტარს, იმდენად ყველაფერი ნათელია თვითეულ მათგანში. მაგრამ დააკვირდით პირველ შედარებას: უღამაზესი ქალის საყურე შედარებულია ბეპელასთან, საყურის აჩრდილი სპეტაკ შრომანთან და მთელი მხატვრული გამა ცოცხლად იშლება პლასტიკურ მოძრაობაში. ეს მოძრაობა თავისთავად ქმნის ორმაგ შედარებას — თვით სახეებისას და მათი ურთიერთდამოკიდებულებებისას, რაც სინატიფის უმაღლეს მწვერვალზეა აყვანილი. ყველაზე ნაზი სულის პოეტი თუ შეძლებდა სატრფიალო გრძნობა ისე ფაქიზად, ჰაეროვნად გამოეთქვა, როგორც აქ არის მიღწეული: არც კოცნა, არც ამბორი, არც სხვა ტრაფარეტული სიტყვები ბარათაშვილს არ გამოუყენებია. მაგრამ ყველა ისინი გამოხატა უნატიფესი ალგორითით, როცა ინატრა — „ნეტავი იმას, ვინც თავისს სუნთქვას შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდესო“. ვანა ბევრი იქნება მსოფლიო პოეზიაში ამგვარი მარგალიტი, ასე უდიდესი სინაზით რომ ახერხებდეს ადამიანური ტრფობის გამოხატვას? ან ბევრი იქნება ლექსი, ასეთი უნაზესი პოეტური განცდით რომ ატკობდეს ჩვენს უმაღლეს ესთეტიკურ გრძნობას? ერთეულები კი არის და ბარათაშვილის „საყურე“ მათ შორის პირველ ადგილზე უნდა მოვათავსოთ.

(ის წუთიერი თავდავიწყება მწარე ფიქრებისაგან და ტრფობის ალით გატაცება, რაც ამ ორ ლექსში ბარათა-

შვილის ლირიკულმა გმირმა გვაგრძნობინა, უეჭველად ნიშნავს მის ცდას — განშორდეს „მსოფლიო სევდას“, დატყუდდეს ამქვეყნიური სილამაზით. ეს არ არის შემთხვევითი, ვინაიდან იმავე 1839 წელს პოეტი ქმნის თეჯლისით დაწერილ მშვენიერ ქმნილებას „ჩჩვილი“, რომელშიაც დიდი უშუალოდ შესტრფის ყრმას, მის უცნაურ ტიკტიკს, მის უზრუნველობას, დედის აღერსის მეტს რომ ვერაფერს გრძნობს, ნებვირობითა და ღიმილით სულდგმულობს, ხოლო ირგვლივ ყველაფერს რომ შეუპოვრად კვრეტს. საკუთარ მწარე ფიქრებს დროებით მოშორებული პოეტი ხართბს, რომ ეს ჩვილი ყრმა ჯერ კიდევ არ ფიქრობს თავის ცხოვრებაზე, საწუთროს ვენებასაც არ განიცდის, ამ ქვეყნად თავისი მოვლინებით ალაღებს ბედნიერ მშობლებს და ლექსის ბოლო ოთხ სტრიქონში ბარათაშვილი მიმართავს ჩვილ ყრმას:

„იტკიცე ენითა უსუსურის,  
იტკიცე, ვიდრე ეამი დაგხარის,  
ვიდრემდის ხარ, ყრმაო, თავისუფალი,  
არ გიცვნია სოფელი მომღერალი!“

ამ მიმართვაში საყურადღებო ისიც არის, რომ პოეტმა თავისუფალ ყრმასთან დაკავშირებით სოფელს „მომღერალი“ უწოდა, თითქოს არ სურდა მისი წინასწარი დაბეღება, რომ სოფელი ავიცა, რაც თვითონვე არაერთგზის გამოსცადა. ეს ავი სოფელი ხომ პირველი მიზეზი იყო მისი სულით ობლობისა.

და ბარათაშვილის ლირიკული გმირი, დროებით განშორებული „მსოფლიო სევდას“, ისევ უბრუნდება მართობის ფილოსოფიას, იმავე 1839 წელს იწერება „სული ობოლი“, ერთი უბრწყინვალესი შედევრი რომანტიკული ლირიკისა. მართალია, სულით ობლობაზე თითქმის ყველა რომანტიკოსი მოსთქვამდა, ბარათაშვილს ამ მხრივ პრიორიტეტი ვერ მიეკუთვნება, მაგრამ ერთი რამ არის საინტერესო: როგორ უნდა მივუდგეთ საერთოდ რომანტიკოსებთან მსგავსება-განსხვავებას?

გვაქვს რაიმე საზომი, თუ მართოდენ ჩვენს სუბიექტურ მონაზრებებს უნდა დავემყაროთ? იდეების გარდა, როგორც ცნობილია, ჩვენ ხშირად ვპოულობთ ხოლმე საერთო ნიუანსებს რომანტიკოსების შემოქმედებაში, განსხვავების პარალელურად. ონეგინი და პეჩორინი, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსნი არ არიან, რამდენ საერთო ნიშანს ატარებენ აზრის, გრძნობის, შინაგანი სამყაროს მხრივ? და რა მკაფიოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ისინი, როგორც ინდივიდუალობანი, თუმცა ორივეს არსებაში ადვილად შეიძლება დავინახოთ ჩაილდ ჰაროლდის სახეობრივი შარავანდედი. პუშკინმა ხომ თვითონვე შეაღარა თავისი გმირი ბაირონის ორეულს, პირქუშსა და დაღვრემილს, დალილსა და გულაცრუებულს. ბაირონი გასული საუკუნის 20-იან წლებში იმედი თაობის „ფიქრთა მპყრობელი“ იყო და თუ მთლიანად არა, მისი პოეზიის ელემენტები მაინც აშკარად იგრძნობოდა თითქმის ყველა განათლებული ქვეყნის ლიტერატურაში. იგივე შეიძლება ითქვას ქართული პოეზიის მიმართ. მაგრამ ისიც უმკველია, რომ თავისი განწყობილებით ბაირონიშთან ყველაზე ახლო დგომა გვაგრძნობინა ბარათაშვილმა, რომლის სულით ობლობა დაუნათესავდა ჩაილდ ჰაროლდის ურგაწუხილს. ჩვენ ვიცით, თუ როგორ მოსთქვამს ქართველი გენიოსის ობოლი სული. ის ტოლს ვერ პოულობს. არაეის ნდობა არა აქვს. მხოლოდ საკუთარ თავთან არის დარჩენილი, ამქვეყნიურ სიამეს გაურბის და მარტოდენ ოხვრავს მისი შვება. ის მხოლოდ საკუთარ არსებაში პოულობს ცხოვრებას, მსგავსად ჩაილდ ჰაროლდისა, რომლის შესახებაც ბაირონიმ სთქვა: „მუდამ მშფოთვარეს არ შეეძლო შერიგებოდა სხვათა აზრებს, რომლებიც მასში ზიზღს იწვევდნენ; უბედურებაშიც ამაყმა გადაწყვიტა კვლავ ეძებნა ცხოვრება უდაბიანებოდ, მხოლოდ საკუთარ არსებაში“. თუ გავი-

ხსენებთ ბარათაშვილის თეჯლისით დაწერილ „სულით ობოლს“ და მის ცნობილ წერილს მაიკო ორბელიანისადაში, წერილს, რომელიც აღსავსეა ამ ვრცელ ქვეყანაში სულით ობოლების, მარტოობის ფილოსოფიით, შეუძლებელია არ ვიგრძნოთ მისგანგება არამარტო. ამ ნიშნების მიხედვით, არამედ, „უბედურებაში სიამაყითაც“ და ბარათაშვილის ლირიკული გმირი, სულით ობოლი, საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილი, შევბას ვერ პოულობს ვერც იმ დიდ გრძნობაში, რომელსაც კაცთა ენაზე სიყვარული ეწოდება. აზრებმა შეიძლება დაგვაჯახოს ერთმანეთს, გავეთიოთ ერთმანეთისაგან, მტრებადაც გვაქციოს, მაგრამ სიყვარულის გრძნობას მარტოოდენ ერთი კანონი აქვს — შეგვეერთოს, დაგვაცხროს, დაგვაშვიდოს, ბედნიერების ნექტარი გვასცას, ხოლო, როცა აღარც ეს არის, მაშინ ცხოვრებისაგანაც თითქმის აღარაფერი რჩება. ბარათაშვილის ლირიკულ გმირს სწორედ ასე დაემართა. სიყვარულმაც გასწორა, უფსკრული გაუთხარა, ობოლი სული კიდევ უფრო დაუთოვლა, ერთადერთი უქანასკნელი ბედნიერი დღეებიც წაართვა, და მას აღარაფერი დარჩენოდა, გარდა მწარე მოგონებისა და ისევ ურვა-წუხილისა. ამიტომ იყო ასე დიდი სევდით სავსე პოეტის ლირიკული ვალობა:

„სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენი  
მშვენიერი ცრემლით ერთოდენ,  
და ბავენი მდუმარენი  
ხვაშიდასა მიმაღიდენი!  
მაგრამ, სულო, იგი ცრემლი  
არ სტიროდა ამ სოფელსა;  
სახე შენი მოწყენილი  
არა მკაედა ხორციელსა!“

აწ მივხვდი მე, უბედურა,  
თვალთა შენთა მტყუველუხას;  
თურმე ცრემლი უცნაური  
მოვლოდა ჩემს ობოლბას!  
ახლაც, ოდეს ენახე სადმე  
ცრემლსა თვალთა მშვენიერთა,  
გულამოსკენით ევაოინებ მე  
დღეთა ჩემთა ბედნიერთა!“

ეს მოთქმა-გოდება, რომელიც 1840 წელს ჩაბრუნებული შაირით დაიწერა,

ეს საოცარი სინაზითა და უღრმესი ადამიანური გრძნობით სავსე პოეტური მეტყველება არამარტო ქართული; მსოფლიო სალირიკო პოეზიის მარგალიტად შეიძლება ელიაჩებინა ყველა ქვეყნის კრიტიკოსს, მოსახერხებელი რომ იყოს სხვა ენებზე მისი ადექვატური გადაღება. რა სინატიფე, რა სილამაზე, რა ცოცხალი, პირდაპირ ფერწერული წარმოსახვაა დამსხვრეული სიყვარულისა, და რა უშუალობა, ადამიანური გრძნობის როგორი ბუნებრივი გამლავა მაღალი პოეტური სულით სავსე — არა, ეს მხოლოდ გენიოსის შთაგონება!

და რალა რჩება ბარათაშვილის ლირიკულ გმირს, რომელსაც ყველგან და ყველაფერში ოცნების ტაძრები დაენჯრა, გარდა იმისა, რომ სასოება მარტოოდენ უზუნაესზე დაამყაროს, მას მიმართოს, როგორც „ცთომილმა“ შვილმა და მასთან ებიოს „სადგური მყუდროებისა“, მისი „ჩემი ლოცვა“. იმავე 1840 წელს მცირებესიკური ფორმით დაწერილი, აღსარებაცაა და განსვენებაც, ამქვეყნიური ცხოვრებისაგან ლტოლვაც და მყუდრო სადგურის ძიებაც. მთელი ლექსი არაჩვეულებრივი შინაგანი ძალითა და იდეური ლოგიკურობით გამოირჩევა. ბარათაშვილის ლირიკულ გმირს იმედი დაკარგული არა აქვს, რომ არ შეუძნობენ „ძე შეცთომილს“, არ განასვენებენ „ვენებათაგან ბოროტ-ღელვილს“; უმანკო აღამავე ხომ შესცოდა უზუნაეს მცენება, როცა სასუფეველის ხილვის შემდეგ წაიღიში ვასცვლა „სამოთხის მშვენიერება“. ამიტომ მან რად უნდა წარიკვეთოს სასოება? არა, ის ცხოვრების შვილია და სურს „ცხოვრების წყარო“ ბოლომდე სვას. როგორც გხედავთ, პესნიმისტური ჰანგვებით სავსე ლექსში ძლიერი ლტოლვაა ამქვეყნიურისაგან და ეს სრულებით არ არის შემთხვევითი ან გამოწკაცისი. ბარათაშვილი მეგრძოლი სულის პოეტი იყო და მისთვის ბედთან მუდმივი შერკინება უფრო გამოხატავდა ადამიანური

არსებობის ცხოველ აზრს, ვიდრე ბედთან სამუდამო შერიგება. ამიტომ მიიწვრათფოდა მზისა და სინათლისაკენ, ამიტომ ეზმანებოდა სასოება, რომლის რწმენა არასოდეს დაუქარავას.

რა ვუყოთ, თუ ბარათაშვილის ლირიკული გმირი ზოგჯერ ეძიებს მყუდროების სადგურს? რომელ მებრძოლს არ ენატრება ხანგრძლივი რუდუნების შემდეგ წამით მაინც შეისვენოს და ძალები აღიდგინოს!? რა გასაკვირია, თუ ბარათაშვილიც ხანდახან ამგვარ შესვენებას ეძებს, უზენაესსაც ევედრება განაჩინოს მისი ნავი ვნების ქარს და მყუდრო მისადგომი უჩვენოს!?

ბარათაშვილი არ არის დაცემულობის მომღერალი, როგორც არ არის სულმოყოლობის გამომხატველი. მისი ლირიკული გმირის ამსუი სული, მადალი შეგნება და მებრძოლი გული მუდამ ესწრაფვის ნათელსა და მზიანს, კეთილშობილსა და სპეტაკს, ნატიფსა და მშვენიერს. ვანა ამას არ გვიდასტურებს 1840 წელს დაწერილი უმშვენიერესი პოეტური ქმნილება „აღმოსახდა მნათი“, სადაც ყველაფერი გაცისკროვნებულია, როგორც მზის ამოსვლის შემდეგ ცას ღრუბლები გადაეყრება და ბნელში გახვეულ ქვეყანას ნათელი მოეფინება? ეს პოეტური შედევრი, კვლავ მცირებესიკური ფორმით დაწერილი, საოცარი მხატვრული ძალით გვზიზილავს და დიდი ესთეტიკური გრძნობით გვატკბობს. მაგრამ ჯერ თვით ლექსი წავეითოთ, რომლის ექსპოზიცია უნებლიედ მოგვაგონებს სიქსტის კაპელის ფრესკაში სამყაროს პირველი ნათელის ანთებას:

„აღმოსხდა მნათი აღმოსავლს,  
მშვებრ ცხოველი,  
მცირითა შუქით გაღუყარა ცანა ღრუბელი,  
დიდ სამქუხარო, საეფდრო,  
და მეც გლახ გული  
მსწრაფლ განმითენა, შავ-ბედისგან  
დადამებელი  
ნუ თუ აღმიწინდი ცხოვრებასა  
ჩემის მნათობლად;  
ნუ თუ შენ ჰფინო შევების სხვი  
ჩემს გულსა კვალად;  
კვლავ აღმიტეხო გულის ჰირნი მიყრუებულნი

და განმიახლო ნეტარების დღენი წარსულნი? მაშ გაამობრწყინდი, მფინე შუქი ეკ საოცარი და განანათლე კვლავ ცა ჩემი, ესრეთ საზარი! მეცა ხელი ეპყო დაქანებულს ჩემსა!

სანთურსა  
და შევეართო ფიქრნი ჩემნი შენს ხმას  
ციურსა!  
დაემღერდე მას დროს, როს ვარსკვლავი  
მშვენიერის ცით  
მინეტარებდა სიცოცხლის დღეთა სიამით;  
მოესთქეამდე, თუ ვით მიმეფარა  
იგი მსწრაფლ ღრუბელს,  
ბოლოს ვუმღერდე შექსა შენსა  
შეების მომფენელს!  
ვამეცავ ძლიერსა სხვიესა შენსა,  
ჰოი, მნათო ჩემო!  
ოდეს ვიხილო მცირე ბინდი  
შენს შუქს ვარემო,  
მეის დამიღამდეს ამ სოფლისა სიამოვნება  
და შენთვის დავთმო ტრფობის წინდად  
ყოელი დღეება!“

მართლაც ბრწყინვალეა ნათელას ეს უეცარი გამოჩენა, როცა საშინლად პირქუში ცა, მებისა და ელვა-ტეხვის ნაცვლად, საეგდარო ღრუბლებს გადაიყრის და შავი ბედისაგან დაწყულულებულ პოეტის „გლახ გულსაც“ შევებას მოჰყვებს. თითქოს ეს ნათელი მისივე ცხოვრების მნათობია, შევების სხვი, რომელმაც ბარათაშვილის ლირიკულ გმირს მიყრუებული „გულის ჰირნი“ გაახსენა და წარსული ნეტარების დღეები განუახლა. და როგორც „ფაუსტის“ პირველ მიმართვაში გოეთე შთაგონებულად მოუხმობს „ყრმობის დროინდელ ცდომილ აჩრდილებს“ წარსული ტრფობის გამოსაწვევად, ისე აქ ბარათაშვილის გენია თავის მნათობს საოცარი შუქის გამობრწყინებას ევედრება, რათა მისი „ესრეთ საზარი“ ცა კვლავ განანათლოს და შეიძლოს სანთურის ძალით საკუთარი ფიქრები მის ციურ ხმას შეუერთოს. პოეტს სურს სანთურზე დამღერდეს იმ წარსულ დროს, როცა ბედის ვარსკვლავი მშვენიერი ციდან სიცოცხლის დღეებს სიამით უნეტარებდა, სურს მოსთქეამდეს იმასაც, თუ რა სწრაფად ვაჰქრა ყოველივე, როგორ მიეფარა ყოველივე ღრუბელს და, ბოლოს, უმღეროს ამ ახალ მნათობს, რომელმაც შევება

მრავლად. აქვეა ფიცი, რომ თუ ოდეს-მე მის ძლიერ სხივს თუნდ მცირე ბინდი მოეფინება, პოეტი მზადაა უარი სთქვას ამქვეყნიურ სიამოვნებაზე და დათმოს ყოველგვარი დიდება. ჩვეულებრივი მოკვდავის ენით რომ გამოვთქვათ, აქ სხვა არაფერია, გარდა იმისა, რომ ბარათაშვილის ლირიკული გმირი, პირადი ხვედრით გულგასენილი, ბედნიერებას ეტრფის და ერთგულებას ეფიცება. მაგრამ როგორაა გამოთქმული, როგორი პოეტური სახეებით, როგორი შთავგონებით, როგორი ღრმა გრძობებითა და უშუალობით. არავის შეეძლო ასე გამოეხატა საყუთარი „მეს“ შინაგანი არსება, გარდა გენიოსისა.

და ამ მნათობის გამოჩენამ პოეტს 1841 წელს დააწერინა ორ ვარიანტად, მცირეებესიგფერი ფორმით, ნახევრად ანაკრეონტული ლექსი — „ჩემთ მეგობართ“. ბარათაშვილს არ შეეძლო აღექსანდრე ჭავჭავაძის მსგავსი ყოფილყო ანაკრეონტულ ლექსებში, მაგრამ, ეტყობა, წამიერი ბედნიერებას დროს, მასაც სურდა სათანადო მიეზლო თავისი დროის მოთხოვნებთანათვის. მართალია, აქ არ გვესმის „ლოთებო ნეტავი ჩვენას“ მაყორი, მაგრამ ცხოვრების ანაკრეონტული ფილოსოფია მაინც არაჩვეულებრივი მკაფიობით ჩანს. პოეტი თავის მეგობრებს ურჩევს, ვიდრე ჭაბუკები ხართ, „დილა გინათებთ“ და სიყვარული ჭირსაც სიამოვნებად ვიქცევთ, შავი ბედის ლახვარს ნუ დაიჩნევთ, მწარე ცრემლებიც კი „შეუპოვრად წარბოცეთო“. ეს უკვე ანაკრეონტული მოტივია, რომელიც მომდევნო სტროფებშიც თანმიმდევრულად გრძელდება.

კიდევ რას ურჩევს ანაკრეონტულად განწყობილი პოეტი თავის მეგობრებს? (დასტებით ამქვეყნიური სიამოვნებით, სოფელი არავის შერჩება, სიყმაწვილეს ტრფობის აღს ნუ მოაკლებთ, გახსოვდეთ, ასაკის შესაფერად უნდა მოიქცეთ, ვინაიდან „სასაცილოა ბერი კაცი, რომ ყმაწვილობდეს, და საბრა-

ლოა, როს ჭაბუკი ბერიკაცობდესო“.

აქედან ბუნებრივი დასკვნაც კეთდება: „მას ვაქებ, ვინცა თვის სიციცხლე ასე ხტობა, რომ ყოველი ღრო შესაფერად მიმოიხმარა; მაშინცა კმარა დადუმება გულის ენებათა, კისრად ტვირთება წუთის-სოფლის მიმე ზრუნებათა, ოდეს მხის სხინი შეგვიცელიან ჩვენ დილას მას ნელს და ცრუ სოფელი სიყვარულსაც შეჭყრის სარგებულს“.

ღროს შესაფერად მოხმარების ფილოსოფია თითქოს სრულებით არ ეთანხმება ბარათაშვილის ფსიქო-იდეოლოგიას. აქ რომ ლაპარაკი იყოს თვით ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ზრუნვაზე და „ღროს მოხმარება“ ამას გულისხმობდეს, მაშინ სადაო არაფერი იქნებოდა. ეს ხომ ორგანული ნაწილია ბარათაშვილის პოეზიისა! მაგრამ „ღროს მოხმარება“ გართობის, ლხინის, ტრფობის ალთა მორეკვი, როგორაც ეთიშება ბარათაშვილის ლირიკული გმირის მთლიან კონცეფციას, და მას ვერ გავიგებთ, თუ შემდეგი რამ არ გვეცოდინება: ბარათაშვილი ევროპულად განათლებული პოეტი, მან კარგად იცის დასავლეთის კულტურა, შესწავლილი აქვს არამარტო მსოფლიო ლიტერატურა, ანტიკური ფილოსოფიაც. ეჭვი არ არის, ემიგრაცის მოძღვრებასაც იცნობს და ანაკრეონტის პოეზიასაც. რომ აღარაფერი ვთქვათ ანაკრეონტიზმზე რუსულ ან ქართულ მწერლობაში (პუშკინის ადრინდელი ლექსები, ალექსანდრე ჭავჭავაძე). ამიტომ ის ვერ გაქცეოდა ანაკრეონტულ ლექსს. მიუხედავად მძიმე პირადი ხვედრისა, თუმცა ისიც ვნახეთ, პოეტის ბიოგრაფიის გადმოცემის დროს, რომ თვითონაც პრაქტიკულად იმას მისდევდა, რასაც მეგობრებს ურჩევს. ყოველი შემოქმედი ადამიანი, როგორი სულიც არ უნდა ჰქონდეს, თავისი ეპოქის შვილია და თანამედროვეობის ბეჭდით არის აღნიშნული. როგორადაც არ უნდა ვეცადოთ, დროს ვერსად გავქცევით და ეპოქის ზოგიერთი

კლუნება, თუნდაც მისი სიყალბე ბოლომდე გვეჩონდეს შეგნებული, შესაძლოა უნებლიედ გავიმეოროთ. ასეა ბარათაშვილის ლექსშიც — „ჩემთ მეგობართ“, თუმცა იგი, როგორც აღნიშნული გვაქვს, მხოლოდ სანახევროდ არის ანაკრონტიული. მაგალითად, ბაკხური გატაცება მასში სრულებით არა ჩანს.

მაგრამ ამ ციკლში უნდა მოთავსდეს აგრეთვე ორი ბაკხური ნაწარმოები: 1842 წელს დიდბესიკური ზომით დაწერილი „ქნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ“ და უთარიღო „ელოცავ დღეს“, რომლის ლექსალური წყობა რუსთაველური შაირია. პირველი ლექსი, რომლის შესახებაც პოეტის ცხოვრების აღწერაში უკვე გვექონდა საუბარი, მოცულობით ძალიან მცირეა, მინიატურული (სამი სტრიქონია, არსებითად კი ერთი, როგორც სერგი გიორგაძე შენიშნავს), მაგრამ სრულიად დამთავრებულ ნაწარმოებს წარმოადგენს; აზარფეშა შეზარხოშებული კაცივით ლაპარაკობს: „ამავსებ ღვინით, აგავსებ ღვინით. შესვი? ვაამოს!“ თუ აქ აზარფეშა გვევლინება ლექსის ობიექტად, მეორეში პოეტს ამტყველებული აქვს თავი, რომელიც თვითონვე ლოცავს თავისი გაჩენის დღეს:

ელოცავ დღეს ჩემის გაჩენის, ზღწნიერი ვარ  
 მე, თასი;  
 სამღერალე ვარ ტურფა ზელთ და  
 მოსალხინო მართასი!  
 მოვედიო სველით მამერალწო, ვასვთათ  
 სასმელი ღმერთასი  
 და მყის ვიჭარვოთ გულისა, ვით ერთი, ჳირა  
 თასისი“

თუ აქ ორივეგან შეგვეძლო დაგვენახა ის, რაც ალექსანდრე ჭავჭავაძის ლათინურ მუხამზაზში („ლოთებო ნეტავი ჩვენა“) ასე შეაფიოდ ჩანს, სამაგიეროდ, სულ სხვა აქცენტით წარმოგვიდგება „ჩემთ მეგობართ“. მასში არ ტრიალებს ბახუსის ძალა, არ არის სრული უზრუნველობა, რაც, საერთოდ, ანაკრონტიულ ნაწარმოებს უნდა ახასიათებდეს. მისი მორალი უფრო თავდაპირველი და ზომიერია: ახალგაზ-

რდა კაცმა ქედი არ უნდა მოიხაროს შავი ბედის წინ, მოხუცის სახე არ უნდა მიიღოს. მაშინაც ეყოფა ~~დამცხროს~~ გულის ვნებანი, როცა ამქვეყნიური მძიმე ტვირთი კისრად დააწვება მოწიფულობაში, როცა ლად სიყვარულსაც პრაქტიკული ცხოვრება შეერევა, და სიყვარული ჰქრება, რაკი მას, როგორც შექსპირი ამბობს, ანვარება, ანვარიში დაერთვის, ხოლო ბარათაშვილის ენით რომ ვთქვათ, სარგებელი შეეყრება! ეს არის და ეს! შემდეგ კი ისევ სკეპტიკური აზრი სიყვარულისა: პოეტი ურჩევს მეგობრებს — ნაცადი მაქვს, მშვენიერ სქესს ნუ მიენდობითო:

„არ შეემსჯვალოთ მოყისკასეს, კეკელა ჭალსა, სელის დამტყვევნელს და გრძნობათა ცრულ მომღერალსა! აშკის ენა მას ახარებს, მას ასულღვამარებს, ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მოიყარებს!“

არაფერი ისე რომანტიკული არ არის ბარათაშვილის რომანტიზმში, როგორც სიყვარულის გაგება. რომანტიკოსები საერთოდ ორგვარ დამოკიდებულებას ამქედანებენ სატრფოსადმი: ისინი, ერთი მხრივ, გუნდრუქს უკმევენ მას, სამუდამო სიყვარულს ეფიცებიან, ხოლო, მეორე მხრივ, მისტირიან წარმავალ გრძნობას და ჭალის გაუტანლობას ბარათაშვილის პოეზიაში ორივე გვაქვს და ორივე ტიპურად რომანტიკული ხასიათისა. თუ აქ, ლექსში — „ჩემთ მეგობართ“ პოეტი სრულ უნდობლობას უტყბადებს მშვენიერ სქესს, სხვაგან (მაგალითად, „ღამე ყაბაზზედ“, „ჩემს ვარსკვლავს“, „თავადის ჳ... ძის ასულს, ეკატერინას“, „საყურე“, „სატრფოვ, მახსოვს“, „არ უკიეინო სატრფოთ“, „მიყვარს თვალები“, „შენი დალაღნი“, „რად მყვედრი კაცსა“, „შევიშრობ ცრემლსა“, „მადლი შენს გამჩენს“, „ნა... ფორტობიანოზედ მომღერალი“, „როს ზღწნიერ ვარ“) სატრფოს სახე პირდაპირ გაიდევლებულია და უნაზესი გრძნობებით წარმოსახული. მაგრამ დასაძა-

ლი არ არის, რომ ზოგჯერ ეკვივ თანა სდევს, თუმცა არ არსებობს ნამდვილი სიყვარული, რომელსაც თვით სიყვარულით გამოწვეული ეპიე არ ახლდეს, როგორც მისი უერთგულესი კავალერი ბარათაშვილმა ეს შესანიშნავად იცის და ამ მხრივ ჩვენ მას ვერაფერს ვასწავლით.

მაგრამ არის აბსოლუტურად იდეალური სიყვარული, რომელსაც ჯერ ეპიეს ნატამალიც კი არ მიჰკარებია. ამგვარი სიყვარულის ერთი უმშვენიერესი პოეტური ქმნილებაა 1841 წელს დაწერილი „არ უკიეინო სატრფოო“, რომელშიაც ბარათაშვილის ლირიკული გმირი მთელი თავისი არსებით დგას ჩვენს წინაშე, როგორც ადამიანი, სავსე ნაზი გრძნობებითა და ასევე ნაზი სულით. მაგრამ ორივე ამ ღირსებას შარავანდდით ამკობს მაღალი რეფლექსია, რასაც გრძნობიერება დაუმსხვრევლად გადაჰყავს მიმზიდველი აზრების სამეფოში და იქ აგვირგვინებს, როგორც მიმზიდველ ადამიანურ მთლიანობას. რუსთაველური შაირით დაწერილი ეს უნიკალური ნაწარმოები ჰარმონიული შეერთებაა გრძნობისა და აზრისა, პოეზიისა და ფილოსოფიისა. მაღალი რანგის პოეტური შეტყველება ამშვენებს ასევე მაღალი რანგის ფილოსოფიურ დეფინიციებს, და პირიქით, ფილოსოფიური განსჯა ორგანიულად ერთვის პოეტურ ძლერადობას. მწელია დავადგინოთ: რა უფრო ძლიერია — გრძნობა, თუ აზრი, აზრი, თუ გრძნობა, მაგრამ ერთი რამ სრულიად უეჭველია, ის რომ, „არ უკიეინო სატრფოო“ მხოფლიო სალირიკო პოეზიის ნამდვილად ობოლი მარგალიტია.

წიკითხვით ეს მარგალიტი, სადაც პოეტი თავის სატრფოს ევედრება: შენს მგოსანს ნუ დაუძრახავ გულისთქმას, ვინაიდან „მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმას“. ბარათაშვილის ლირიკული გმირის ზღვა გულში იმდენი გრძნობაა დაბუღებული, იმდენი სათნობა, იმდენი

სისპეტავე და იმდენი სიწრფელი, უსაზღვრო სიყვარულად ჰქონულა, რომ კაცთა ენას მართლაც რთულა შეუძლია ყოველივე ეს ერთბაშად გამოსთქვას. ან ისეთი ფორმით, რომ თვითეული მათგანის ადექვატურ გამოხატულებად იქცეს. ამიტომ პოეტს სურს შეტამორფოზის ძალით სხვად გარდაიქმნას, სატრფოც იმ სავნად იხილოს, რომელთანაც უშუალოდ შეეძლება ურთიერთობის დამყარება, როგორც მზის სხივებს მშვენიერი ცის ცვართან შეერთებით ამქვეყნიური სიცოცხლე მოაქვთ. (და პოეტის სურვილია განთიადის მორბედი ვარსკვლავი იყოს, რომლის ამოსვლას ასე ელოდებიან სულდგმულნი, რაღაც დიდი, ამაღლებული გრძნობა ვეძიებობს. როცა ბარათაშვილის გრძნულ სიტყვებს ვკითხულობთ:

„მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი  
ნემთ დღეთა გარსამოვავლო,  
საღამოს მისთვის შთავადე,  
რომ დილა უფრო ვაცხოვლო.  
მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი,  
განთიადისა მორბედი,  
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ  
ტყუთა ფრინველნი და ვარდი.  
მინდა შენ იყო, სატრფოო,  
მშვენიერისა ცის ცვარი,  
რომ განაცოცხო, შევარსო,  
მღელო, სიციხითა დამკნარი,  
რომ მხოლოდ მზისა ციავი  
მას დილის ნაშა იშრობდეს,  
და, ერთად შესხივებულნი,  
შეებას მოპყენდნენ სიცოცხლეს  
არეს ასებდენ სიამით,  
მცენარეთ განმაცხოვლებლად,  
იყვნენ მარადის, უხსნელად,  
სოფლისა განსაოვებლად!“.

და თავით პოეტიც ამაღლებულია თავის უსაზღვრო ტრფობაში. ამიტომ ასე თავდადებულად ეფიციება სატრფოს ერთგულებას, მიიჩნევს მას რაღაც ზეადამიანურ არსებად, ეჩვენება, რომ განა ეს ტრფობა, ეს გრძნობა ჩვეულებრივი სიყვარულია? არა, ასე რომ იყოს, მაშინ ყველაფერი უკუღმა შემობრუნებულა, მაშინ მზეც უსხივოდ უნდა ანათებდეს, ვარდი განთიადისას ველარ იშლებოდეს, ზოლო ცვარმა

მდღეო ველარ უნდა ააყვავოს. მაშინ თვით სატრფოც ჩვეულებრივ მომაკვდავ ბანოვანს უნდა ჰგავდეს, და თუ ასეა, რატომ არის იგი გამორჩეული მათ შორის ან რატომ ჰგავს ციურ მშვენიებას? არა, პოეტის სატრფო ცისიერი მშვენიერებაა. მისი სილამაზე უხრწნელია, და ამიტომაც, რომ ბარათაშვილის ლირიკული გმირი თავის გრძნობებს ადამიანურ სახელსაც ვერ აძლევს, იმდენად ზეადამიანურად მიიჩნია ისინი. მაგრამ, რა საჭიროა ჩვენი კომენტარი, როცა პოეტი თვითონვე გვეუბნება:

„ნუ თუ ამ სულის წადილსაც  
პრჭეა სიყვარული სხვათაებრ?  
მაშინ მწეც უსხივ-უციცხლოდ  
შეიძლებს ნათეს ვარსკვლავებრ;  
მაშინ ვარდიცა განთიადს  
ვერღარა ვარდაიშალოს  
და ცისა ცვარმან მდღეოი  
არღარა ვაბაბინოს.  
მაშინ მწეც სხვათა მოკვდავთა  
ბანოვანთ მიემსგავსებო!  
მაშ რად ერჩევი მათ შორის  
და ციურთ დაედარებო?  
მაგრამა მშვენიერება  
გაქვს, ცისიერო, უხრწნელი,  
და ჩემთა გრძნობათ შენდამი  
ვერ დასდვან კაცთა სახელი!“

მაგრამ ამ უსახლდროდ ამაღლებული, ნაზი, სპეტაკი სიყვარულის გრძნობიდან, ბარათაშვილის ლირიკული გმირი ისევ უბრუნდება ძველ ურვა-წუხილს, ძველ სევდასა და გოდებას: „პოეტის არსებას ისევ სტანჯავს იმედების სრული ვაცრუება, ამ ქვეყნად ბედნიერების მოჩვენებითი ხასიათი, რასაც თან ერთვის ირგვლივ გამეფებული ბოროტება. ასე იწერება 1841 წელს ტიბიური რომანტიკული ლექსი — „პოვე ტაძარი“, რომელშიაც ბარათაშვილის ობოლმა სულმა ერთი უმშვენიერესი, მაგრამ ვარიაციულად სრულიად ახალი გამოხატულება პოევა. ლექსი დაწერილია მცირებესიკური ფორმით და მასში არაფერი არ არის, რაც არ იყოს ტიპურად რომანტიკული და რომანტიზმს არ განეკუთვნებოდეს. ჩვენ მას უფრო დაწვრილებით იქ განვიხილავთ,

სადაც ბარათაშვილის „მიწისაფერი მწირის“ ფილოსოფიას გავარჩევთ. აქ კი მხოლოდ იმას მივუთითებთ, რომ პოეტის სული აღმფიქვებული ჩანს, ხოლო გული ადამიანთა ავენაობით მოკლული. ეს ერთხელ კიდევ ხაზგასმით გამოყოფს ბარათაშვილის ლირიკულ გმირს, როგორც სათნოსა და სპეტაკს, რომელსაც მხოლოდ „წრფელი ზრახვანი“ ამოძრავებენ და გზას წმინდა ლამპარნი უნათებენ. ის ეტრფის უანგარო, სპეტაკ სიყვარულს, რომელსაც მზად არის საკურთხად მიართვას გულიცა და სულიც, აღსავსენი ამქვეყნიური ნეტარების სურვილით. თითქოს გრძნობდა კიდევ ამ ბეჯინიერებას, მაგრამ წუთისმოფლას ამოებამ ყველაფერი დაუმსხვრია, ოცნების ტაძარიც გაუქრო, სასუფევლის ნაცვლად კი მარტოოდენ სევდა და წყევდიადი დაუტოვა. და ის დგას, როგორც მოძულე „ცრუ და მუხთლი“ სოფლისა, სადაც აღარაფერი დარჩენია, გარდა „დამქრალი ცეცხლისა“. აქედან მოდის სიყვარულის უძღურების, უნუგეშობის, ობოლობისა და მიუსაფარი მწირის ფილოსოფია, რომელსაც ჩვენ ქვემოთ ცალკე შევხვებით.

მთელი ლექსი, როგორც აღვნიშნეთ, ტიპური რომანტიკული ნაწარმოებია თავისი ფილოსოფიით, განწყობილებით, ყველაფრით, რაც მასში არის, მაგრამ ის, რაც არის, იმასაც ვეიმტყიცებს, რომ ბარათაშვილზე უფრო „მიწიერი“ პოეტი, მიუხედავად მისი რომანტიკოსობისა, მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიას ნამდვილად არა ჰყოლია. „მიწიერი“ ცოტა როდია ალექსანდრე ჰაუჰაჰაძის, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების შემოქმედებაში, მაგრამ არცერთ მათგანს ისე ღრმად არ უგრძობია და ისე სრულად არ გამოუხატავს ლირიკულ ფორმაში საკუთარ „მესთან“ ერთად თანამედროვეობის ტივილი, როგორც ბარათაშვილს. მისი რომანტიზმი „მიწიერია“ და არა „ზეციერი“, ცხოვრებისეულია და არა ოცნებისეული. ამიტომ, რა გა-



საკვირია, რომ ბარათაშვილმა და მხოლოდ ბარათაშვილმა მოუშადა ლიტერატურული წინაპრობები ქართულ რელიჯმს, რომელიც 50-იანი წლებიდანვე დაიწყო; რა გასაკვირია, რომ ბარათაშვილი ახალი ქართული მწერლობის ფუძემდებელია და თითქმის მთელი საუკუნე ლიტერატურაში მისი შთავგონებით მიემართება.

ყველაფერი, რაც ბარათაშვილმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე დაგვიტოვა, ისე ორგანულად შეუთავსდა ქართველი კაცის შინაგან არსებას, მის სულისკვეთებას, აზრსა და გრძნობას, როგორც გენიალური ქმნილება რუსთაველისა. და ქართული ლიტერატურის ისტორიაში ბარათაშვილის შემოქმედებამ ისე მოხდენილად დაიკავა თავისი დიდი ადგილი, როგორც ბეჭედში მარგალიტმა. უმეპველად დიდი პოეტები არიან მისი წინამორბედნი — თეიმურაზ პირველი და მეორეც, არჩილი და ბესიცი, მაგრამ არცერთ მათგანს არა აქვს თავის ერთან ორგანული სულიერი კავშირის ის გრძნეული ნერვი, რომლითაც ბარათაშვილის მთელი შემოქმედება, თუნდაც ცალკეული ნაწარმოები გამოირჩევა. რასაც წერს ან ამბობს, როგორღაც უმალ იპყრობს ქართველი კაცის არსებას, თითქოს მის სულსა და გულში იხედებოდეს და იქიდან გველაბარაკებოდეს. უფრო მეტი სიხალსევე აღამიანთან მწერლობას არ შეუძლია და ბარათაშვილი სწორედ იმ ერთეულებთანაა, რომლებსაც ბუნებამ ეს საოცარი მხატვრული ნიჭი უწყალობა.

ამ ნიჭით არის დაწერილი ექვსმირეული სიყვარულის, რომლის შესახებაც ზემოდ ვლაპარაკობდით, ერთი ძვირფასი ლირიკული მარგალიტი — „მიყვარს თვალები მიბნედილები“. ლექსი დათარიღებულია 1842 წლით და პოეტურად წარმოადგენს დიდბესიკურ ნომის შავთელურთან შეერთებას. აქ კიდევ უფრო ნათლად ჩანს „მიწიერი“, ვიდრე ლექსში — „არ უკვირო სატროფო“, უფრო მეტად გვაგრძნობინებს

ბარათაშვილის ლირიკული გმირი სიყვარულშიც თავის მებრძოლ სულს, ვიდრე „ვაპოვე ტაძარში“ მებრძოლ სილაღეც და იმედიანი გზნებაც. ახა დააკვირდით:

„მიყვარს თვალები მიბნედილები,  
 ეშხისა ცეცხლით დაქანკულები;  
 მაგრამ როს ეუპყრეტ, ზამბახ-ვარდთ  
 ველად  
 ვანეწონვიან მათი ისრები,  
 მივხვდი, თვალებო, ჩემო მკლღუნებო,  
 მაგ თქვენსა ქცევას,  
 მაგრამ ვით ელით თქვენგან კოდლის  
 თქვენგან გაქცევას?  
 ვიცი, რომ მტრობენ გულსა  
 მგრძნობელსა,  
 უწყალოდ სტანჯვენ უნო მსხვერპლსა;  
 მაგრამ რა ისართ ზეცად აღმართვენ,  
 მათშივე ჰპოვენს საყურნებულსა!  
 თვალნო ლამაზნო, ვინ უძლოს თქვენსა  
 ძლიერს ზასრობას,  
 თუ ახა სვერტდეს თქვენგან სიკვდილში  
 თვით უკვდავებას?„

სიკვდილში უკვდავება! ეს მარად ზველი და მარად ახალი ფილოსოფია ადამიანის არსებობისა, სიყვარულთან ასე მჭიდროდ ასოცირებული, ბარათაშვილის პოეზიაში დასადგურებულია, როგორც სიცოცხლის განუყოფელი აზრი და ასევე განუწყვეტელი პარამონიული გამა, რომელიც მარადიულია. ამ აზრსა და მარადიულობას ბარათაშვილზე ადრე დაუკვირდა ანტიკური ფილოსოფია, რომელმაც საუკუნეობრივი მნიშვნელობის ორი ძირითადი დასკვნა გააკეთა. პირველი ამოდიოდა წმინდა რელიგიურ-იდეალისტური საწყისიდან, რომ მატერია მოკვდავია, სული უკვდავი, ამდენად, სიკვდილი უკვდავებაა, რაკი სიკვდილის შემდეგ უკვდავი სული მატერიის ახალ გარსში (სხვა ადამიანის სხეულში) გადადის. მეორე დასკვნა, პირიქით, ემყარებოდა მატერიის უკვდავებას და სულის მოკვდაობას. ადამიანის სიკვდილის შემდეგ კვდება მისი სული და არა მატერია, რომელიც ახალ ფორმასღებულობს და უბრუნდება თავის ორგანულ საწყისს, საიდანაც კვლავ განმეორდება; ამიტომ, სიკვდილის შემდეგ

ჩვენ ისევ გავჩნდებით საღდაც შორეულ დროში, ისევე, როგორც სიკვდილამდე ოდესღაც ვიყავით, მაგრამ აღარ გვახსოვს, რაკი ხსოვნა იქ დაიშრბა, საღაც სული გაჰქრა.

ანტიკურ ფილოსოფიას ისიც სწამდა, რომ ძალა, რომელიც მატერიას აერთებს, ჰკრავს და აკეთილშობილებს — სიყვარულია, ხოლო რაც მის დაშლას, რღვევას, დამახინჯებას იწვევს — სიკვდილი. მაგრამ ეს უკანასკნელი უძლურია სიყვარულთან შედარებით. მას მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია მოერიოს სიყვარულს: ამიტომ სიკვდილი ეპიზოდურია, ხოლო სიყვარული მარადიული, როგორც მატერია, და საყოველთაო ხასიათს ატარებს.

შეუძლებელია ყველა ეს ანტიკური ფილოსოფიური დოქტრინა ბარათაშვილს არ სცოდნოდა ან გენიოსის გონებით დამოუკიდებლად მიანიც არ მიეკვლია. ყოველ შემთხვევაში, უკვდავების ორგანული კავშირის დანახვა სიკვდილში, რომელიც მთლიანად ასოცირებულია სიყვარულთან, სიტყვის უბრალო თამაში კი არ არის, ღრმად მთაზროვნე კაცის პოეტურად ამტყველებული ფილოსოფიური დეფინიციაა.

მაგრამ რა არის სიყვარული, თუ მას არ აციკროვნებს ის დიადი ფენომენი, რომელსაც ჩვენს ენაზე თავისუფლება ეწოდება და ურომლისოდ ადამიანის ცხოვრება, როგორი უზრუნველყოფილიც არ უნდა იყოს, ტანჯვას წარმოადგენს? ბარათაშვილამდე დიდი ხნით ადრე ანტიკურმა ფილოსოფიამაც სიყვარული ხომ თავისუფლებას დაუკავშირა? სიყვარული ხომ მაშინ არის სრული ბედნიერება, როცა თავისუფლებით ნეტარებს?

ბარათაშვილის ლირიკულ გმირს ბოლომდე შეცნობილი აქვს ეს ელემენტარული კემპარიტება. ამიტომ ეტრფის თავისუფლებას, რაც ასე დაუფარავად ჩანს 1842 წელს დაწერილ ლექსში „სუმბული და მწირი“. ჩვენ მას სხვა ადვილას გავარჩევთ უფრო დაწერილებით. ნაწარმოები დაწერი-

ლია დიალოგის ფორმით, რომლის პოეტური ზომა მცირებესიყვარია. მასში კარგად ჩანს, თუ რა ღრმად მჭონდა შეგნებული ბარათაშვილის ლირიკულ გმირს არამარტო თავისუფლების ცხოველყოფელობა, არამედ, სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულის დიადი გრძნობა, რასაც პატრიოტიზმი ეწოდება.

ბარათაშვილის პატრიოტიზმი!

ეს თემა ვრცელი გამოკვლევის საგნად შეიძლება იქცეს, ვინაიდან „სუმბულისა და მწირის“ გარდა, პატრიოტიზმის გრძნობაა გაშლილი, აგრეთვე, 1842 წელს მცირებესიყვარული ფორმით დაწერილ ლექსში — „საფლავი მეფის ირაკლისა“, ისევე, როგორც, 1844 წელს რუსთველური შიირით დაწერილ ლექსში — „ძრწოდე, კავკასო“. აღარაფერს ვამბობთ გენიალურ „მერანსა“ და პოემაზე „ბელი ქართლისა“. მაგრამ პატრიოტული გრძნობით სავსე ლექსებიც რომ არ ჰქონებოდა, ბარათაშვილი მიანიც დიდ პატრიოტ პოეტად უნდა მიგვეჩნია. რატომ? იმიტომ, რომ პატრიოტი პოეტი ის კი არ არის, ვინც ყოველ ლექსში სამშობლოს სიყვარულს იფიცება. პატრიოტი პოეტი ის არის, ვინც თავისი შემოქმედებით სამშობლოს ემსახურება. გოეთეს სიკვდილის წინაღობებში მართალი უთქვამს ეკრმანისათვის: „თუ პოეტი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ცდილობდა ებრძოლა მავნე ცრურწმენებთან, აღმოეფხვრა ლაჩრული შეხედულებანი, გაეშუქებინა თავისი ხალხის სული, გაეწმინდა მისი გემოვნება და გაეკეთილშობილებინა მისი გრძნობები და აზროვნება, ამაზე უკეთესს ის რაღას გააკეთებს? და კიდევ როგორღა იმოქმედოს მან პატრიოტულად?“<sup>1</sup>

(ბარათაშვილი მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ებრძოდა მავნე ცრურწმენებს, ლაჩრულ შეხედულებებს. ყველაზე უკეთესად გამოხატავდა მშობელი ერის სულს,

<sup>1</sup> Эккерман, Разговоры с Гете. Часть вторая, стр. 606. Academia, М.-Л., 1934 г.

აფაქიზებდა მის გემოვნებას, აკეთილშობილებდა ქართველი ხალხის გრძნობებსა და აზროვნებას! ეს მართლაც იყო დადასტურება მშობელი ერისადმი მისი უსაზღვრო სიყვარულისა, და მეტი პატრიოტული საქმე რაღა უნდა გაეკეთებინა? მეტი რაღა შეიძლება მოვთხოვოთ ბარათაშვილის ლირიკულ გმირს?)

როგორც მოქალაქე, ბარათაშვილი პატრიოტი იყო, რომელიც თავისი ერის კეთილდღეობისათვის დაუღალავად ზრუნავდა. როგორც პოეტი, ბარათაშვილი ნამდვილად პატრიოტია და პატრიოტიზმი ერთი ძირითადი მოტივი მისივე შემოქმედებისა. ასე რომ არ იყოს, როგორღა ავხსნათ პოეტის შემეყიდრებობაში მწვევე განცდა იმდროინდელი საქართველოს მძიმე მდგომარეობისა? როგორღა შეიძლება ბოლო თვით პოეტი ასე დიდი პოლიტიკური სიმართლით მიდგომოდა თავის თანამედროვეობას, ყოფილიყო მისი აქტუალური პრობლემების ღრმად გამგები, მკონებოდა პროგრესული აზროვნება და ყოველთვის გამოეჩინა პოლიტიკური გონიერება გონებაშინვილობასთან ერთად? მეტიც შეიძლება პირდაპირ ითქვას: რუსთაველის შემდეგ ბარათაშვილამდე უფრო ეროვნული პოეტი ჩვენ არც გვყოლია და მართოდენ ერთი — გურამიშვილი შეიძლება მის ახლო დავაყენოთ ეროვნული სახის გამომეტყველებით. ბარათაშვილმა ღრმად ჩაგვახედა საკუთარ თავში, საკუთარი ხმა გავგავონა, გვიჩვენა ჩვენივე ანფასი და საკუთარი კეფაც დაგვანახა. და ჩვენ ვიგრძენით, რომ ისევე მთელი ვართ, ისევე ძლიერი სული, ძლიერი გონება გვაქვს, ისევე შეგვიძლია ფეხზე ვიდგეთ და ისევე დიდი ვიყოთ. მეტის გაკეთება მის თანამედროვე არც ერთ პოეტს არ შეეძლო, ეროვნული გრძნობის გამოხატვაც უკეთესად არ შეიძლებოდა. ბარათაშვილის ლირიკული გმირი ღრმად ეროვნული, ღრმად ნაციონალურია მთელი თავისი არსებით, მამასადამე, 5. „მნათობი“, № 3.

პატრიოტულია როგორც შინაგანი, ისე გარეგნული კორელაციებით, ქანუღი და პატრიოტიზმთან ერთად, მბრძანებელის პოეზიის ერთერთი ძირითადი მოტივი სიყვარულია, რასაც მის შემოქმედებაში მიძღვნილი აქვს ერთმანეთზე უკეთესი სატრფიალო ლირიკის შედევრები. პოეტი სიყვარულს განუყოფლად უკავშირებს მშვენიერებას, სილამაზეს, ორივე კი რომანტიკული გაგებით ესმის. მაგრამ ამ რომანტიკულ გაგებას ყველგან თან ახლავს რეალური, ცხოვრებისეული ელემენტი, „ზეციერს“ ავსებს ან აგვირგვინებს „მიწიერის“ ძლიერი შენაკადი, როცა მხატვრული სამკაულები თუ შედარებები პირდაპირ ბუნების უშუალო წილიდან ამოიზრდებიან ხოლმე. განა ასე არ არის ლექსში — „შენი დალაღნი“, რომელიც შეთვლური ზომით 1842 წელს დაიწერა? აქ სატრფოს მშვენიერებას მხოლოდ რეალური, ცხოვრებისეული ეპითეტები ამკობენ და, კაცმა რომ სთქვას, „ზეციური“ აღარაფერი რჩება, ყველაფერი „მიწიერს“ ემორჩილება. აი, თვით ლექსიც:

„შენნი დალაღნი ყრილობენ გველად  
სეტყას მკერდზედა, ტრფობასა ველად,  
და თვალთა ჩემთა ადვირმებენ  
ხან ნუგეშისთვის, ხან დასაწყელად!  
ოღეს ნიაგი ლამაზს დალაღებს  
მივგულამოგიშლის და სამოგონებს,  
მაშინ ჩემს თვალებს ადავზნებს შური  
და ვლახ ჩემს გულსა ის აელაღებს!“

განა აქ ყველაფერი „მიწიერი“ არ არის? განა სატრფოს დალაღნი რომ „ყრილობენ გველად“ მთლიანად რეალისტურ ხედვას არ განეკუთვნება? და განა ასეთივე არ არის ნიაგის მიერ ლამაზ დალაღთა მიშლა-მოშლა? საერთოდ, იმ რომანტიზმს, რომელსაც ჩვენ ბარათაშვილს ეკუთვნებთ, ყოველთვის ახასიათებდა რომანტიკულია და რეალისტურის ორგანული ურთიერთშეჭრა, რასაც ქვემოთ უფრო ნათლად დავინახავთ. მაგრამ, ამავე რომანტიზმს, სრულიად ანალოგიურად, ახასიათებდა აზროვნებაში იდეალიზმისა

და მატერიალიზმის ურთიერთშეპირა, როგორც სრულად ბუნებრივი შედეგი რომანტიკოსი პოეტის გაორებული სულია. ერთერთ საუკეთესო ნაწარმოებად, რომელიც ხსენებული დებულების ილუსტრაციას წარმოადგენს, ჩვენ მიგვაჩნია 1842 წელს მცირებესიკური დაწერილი გენიალური ლექსი — „რად ჰყვედრი კაცა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?“ ეს ნაწარმოები ჩვენ ვერცხლად გავარჩიეთ 1938 წელს დაწერილ მონოგრაფიაში „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებისა“. ამიტომ აქ აღარ გვინდა გავიმეოროთ, მაგრამ ზოგადად ერთი რამ მაინც უნდა შევნიშნოთ: ამგვარი პოეტური ხილვა მშვენიერებისა ბარათაშვილს არ შეეძლო, სპეციალური ფილოსოფიური განათლება რომ არ ჰქონებოდა მიღებული. ლექსი მიმართავს ბანოვანისადმი, რომელიც სიყვარულში მამაკაცის პირუმტკიცობასა და გრძნობის ცვალებადობას უჩივის. ეს მხოლოდ საბაბია პოეტისათვის განაზოგადოს მშვენიერისა და სილამაზის ცნებები უმაღლეს მხატვრულ-ფილოსოფიურ რანგში. პირველივე პასუხი ბანოვანის საყვედურზე ის არის, რომ მიზეზად თვით მყვედრებელია მინიშნებული: თუ საუკუნო ტრფიალებით მამაკაცი არ განიმსქვალემა, ალბათ, იმიტომ, შენ მას მშვენიერი სულით არ თანაუგრძნობო. ამის შემდეგ მოცემულია მშვენიერისა და სილამაზის ის კლასიკური პოეტურ-ფილოსოფიური დეფინიციები, რომლებიც უშუალოდ ეკრებიან ქეშმარიტებისა და მარადიულობის კატეგორიებს. სილამაზე ვაგებულება, როგორც ხორციელი, ამდენად წარმაგალი ფენომენი, ხოლო მშვენიერება — ნათელი, ზეციერი და ამდენად მარადიული. უკვდავება, მარადიულობა სხვა არაფერია, თუ არა „მშვენიერი სული“, უჭკნობი და უბერებელი; თუ ორ არსებას ეს სული აქვს, მაშინ მათი სიყვარული უშლელი, მარადიული, უტკიბილესია, რომელიც გაციისკროვნებულია

მშვენიერებით და უკვდავებად არის ქცეული ქეშმარიტებით.

ეს ფილოსოფია, უმაღლესი პოეტური ფორმით გამოხატული, იდეალისტურია, რაც ბარათაშვილის ლირიკული გმირის მაგალითზე ერთხელ კიდევ გვინვენებს, რომ იდეალიზმი, მატერიალისტურ ელემენტებთან ერთად, ნამდვილად იყო არამარტორეგრესული (რეაქციული), არამედ, პროგრესული (თავისი დროისათვის მოწინავე, რევოლუციური) რომანტიზმის თეორიული საფუძველი.

ბარათაშვილი, გოეთეს მსგავსად, მატერიალიზმისა და იდეალიზმის ხარკის მიმცემი, სწორედ მოწინავე, პროგრესული რომანტიზმის წარმომადგენელია და მთელი მისი შემოქმედება ამგვარი ლიტერატურული მიმართულების დადასტურებაა. და მაინც ყველაზე კლასიკურ ნაწარმოებად უნდა დავასახელოთ 1842 წელს დაწერილი გენიალური ლექსი „მერანი“, არა მარტო ქართული, მსოფლიო რომანტიკული სკოლის უბრწყინვალესი მხატვრული შედეგია. [პოეტური თვალსაზრისით, ბარათაშვილის „მერანი“ წარმოადგენს მცირებესიკური და შეათეულური ზომის შეერთებას, მაგრამ, როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებს, თავისი ესთეტიკურ-ემოციური ძალით, რომელი ზომა ან მეტრი უნდა მივუყენოთ? ბარათაშვილის ლირიკული გმირის დიდი შემოქმედებითი სულა „მერანი“ გამოჩნდა ყველაზე უფრო სრული ადექატურობით, მომავლისაკენ ელვისებრ მისწრაფებული, რომ იმავე წელს აწმყოს დაბრუნებოდა, მეფე ერეკლეს საფლავთან მუხლმოდრეკილი, და წარსულის განსჯით, აწმყოზე დაფიქრებულს, ისევ მომავალი განეჭვრიტა. ერეკლე მეორე ხომ ქართველი რომანტიკოსების ისეთივე შთაგონება იყო, როგორც დიდი კორსიკელი ევროპელი პოეტებისათვის.]

(მაგრამ ბარათაშვილის მბორგავი სული, ერთი წლის შემდეგ, ისევ მიუბრუნდება პირად ხვედრს, რომელმაც

გონება და სიცოცხლე აღუშფოთა. სიმ-  
შვიდედ დაუქარგა, ყმაწვილის ბრმა  
რწმენა მოუკლა, წრფელი ზრახვენი  
აუმღვრია, დატოვა ცხოვრებაში უსა-  
გნოდ, მარტოდ, „ჭკუით ურწმუნო,  
გულით უნდო, სულით მახვ-  
რალი. რა მალალი იდეალები ჰქონდა  
ყმაწვილობიდანვე, და რა დაბალი  
ხვედრი შეხვდა — სასამართლოში მაგი-  
დის უფროსობა.) გვეტყვიან, ჭაბუკი  
გოეთეც მუშაობდა ვეტცლარის სასამარ-  
თლოში, სტრასბურგის უნივერსიტე-  
ტის დამთავრების შემდეგო. მართალია,  
მაგრამ ეს სულ სხვა იყო. გოეთე, რო-  
გორც იურისტი, ვეტცილობის პრაქტი-  
კას ღებულობდა, მაგრამ შესძლო სულ  
მალე გასცლოდა მას. გოეთე უბედნი-  
ერესი კაცი იყო პირად ცხოვრებაში.  
თუ ვეტცლარის შემდეგაც „დიდ ოლ-  
პიეის“ მოხელეობა არ ასცდენია,  
თუ მან ათეული წლები მოახმარა ვაი-  
მარის მინისტრობას, რის გამო ბევრ-  
ჯერ მოუსმენია გაკილვა და კრიტიკა,  
ეს მაინც იყო უფრო „შესაფერი ადგი-  
ლი“, ვიდრე მაგიდის უფროსობა ან  
ყაჩაღების დევნა. ბარათაშვილს მთელი  
ცხოვრების მანძილზე მოხელეობა არ  
ასცდენია, ისიც მისი დიდი მოწოდე-  
ბისათვის სრულიად შეუფერებელი.  
განა ეს არ გააძლიერებდა მის ურვა-  
წყხილს, პირადი მძიმე ხვედრით  
უკმაყოფილებას და არ შთააგონებდა  
„სულო ბოროტოს“ ტრაგიკულ გოდე-  
ბას?

ეს უკმაყოფილება, ტრაგიკული გან-  
ცდები, სულისა და ხორცის მწვავე  
ჭრილობანი მართლაც საოცარი მხატვ-  
რული ძალით გამოითქვა 1843 წელს  
დაწერილ ლექსში — „სულო ბორო-  
ტო“, რომელშიაც ზომად მცირებესიკუ-  
რი წყობაა გამოყენებული. ამ ლექსში  
ბარათაშვილის ლირიკული გმირის შინა-  
განი ტრაგიკული გოდება ისეთ სიმა-  
ღლეზე ავიდა, რომ მეტი უკვე აღარა-  
ფერი შეიძლებოდა. არსებითად და  
ქრონოლოგიურადაც აქ დამთავრდა  
ბარათაშვილის დიდი შინაგანი ტრაგე-  
დია. შემდეგ მას უკვე აღარ დაუწერია

„სულო ბოროტოს“ მსგავსი ნაწარმოე-  
ბი. მგონი, ვეღარც დაწერდა, ვინაიდან  
მეტის თქმა, უფრო ძლიერი ამ საგანზე,  
აღარ შეიძლებოდა. მას შეეძლო „სულო  
ბოროტოში“ დაღვრილი ცრემლი მხო-  
ლოდ შეეშრალეებინა, დასანაცრებე-  
ლი გული დაეწვა და მისი ფერფლი,  
როგორც საკმეველი, ისევ თავის სამ-  
ლოცველ სატრფოსთვის შეეწირა. ყო-  
ველივე ეს ბარათაშვილმა ხომ, მართ-  
ლაც, დაიმღერა შავთელურით დაწე-  
რილ უნახეს ლექსში:

„შევიშრობ ცრემლსა, ჳირთ მანელებელს,  
გულსა დავიწვაე დასანაცრებელს,  
და მისსა ფერფლსა, ეთა საკმეველს,  
შეგწირაე სატრფოს, ჩემსა სალოცველს!  
მისთ თვალთა ხარობს სამოთხე ჩემი,  
მისი ღმთა შევბის მომცემი,  
ჩემი წარწყმედი, მაცხოვრებლი,  
განმამარტობელი, გამხელებელი!  
ვით არ ვაღიღო სიტურფის ღმერთა!  
ყოვლინ ეთილინ მან შეიერთა,  
სულსა მოხბერა ცის ნიჳნი ქვეყნად  
და თაის მკობად ქმნა იგი მგონად!“

არა, ეს მარტოოდენ პოეზია არ არის.  
ეს არ არის სიყვარულის მარტოოდენ  
რაფინირებული ოდა, რომელიც დიდ-  
ბის ტახტრევანზე ჳვრეტს ამ უმადლეს  
ადამიანურ გრძნობას, და, როგორც  
საკურთხეველს, ყველაფერს მას მიუ-  
ძღვნის!

არა, ეს მარტოოდენ პოეტური აღთ-  
ქმა არ არის, რომ ბარათაშვილის ლი-  
რიკულ გმირს სატრფოს თვალები სი-  
ხარულის მიზეზად მიაჩნია, ხოლო ღი-  
მილი — შევბის მომცემად; მან იცის,  
თუ რა შეუძლია ორივეს: ადამიანის წა-  
რწყმედაც და ცხოვნებაც, ადამიანისათ-  
ვის გონების მიცემაც და წართმევაც!

არა, ეს მარტოოდენ პოეტის გული-  
დან აღმოსკდარი გრძნობა არ არის, რომ  
მას არ შეუძლია ტრფობის ღვთაებას  
გუნდრუკი არ უკმოს, რაკი სიყვარუ-  
ლში ყოველგვარ სიკეთესა და უზუნაე-  
სის უხილაეი ნების გამოვლენას ხე-  
დავს!

ეს არის პოეტური ენით დაწერილი  
მუსიკალური რომანსი, რომელიც  
ტრფობას უმშვენიერესი ჳანგებით ამ-

კობს და ადამიანში სიყვარულის უსპეტავეს გრძნობას, უდიდეს სინაზესთან ერთად, ასევე უდიდესი სინატიფთი უმღერის.

მაგრამ ბარათაშვილს არა აქვს არცერთი ლექსი, სადაც მუსიკა არ იყოს და საიდანაც მუსიკალური ხმები არ ისმოდეს. ყველა მისი ლექსი უაღრესად მუსიკალურია და ვისაც სურს ამ ლექსების მიხედვით მუსიკა დაწეროს, მან მხოლოდ ერთი რამ უნდა გააკეთოს: ბარათაშვილის ლექსების შინაგანი მუსიკა ამოიკითხოს და შემდეგ მუსიკალური ნიშნებზე გადაიტანოს, როგორც გლინკა ან ჩაიკოვსკი პუშკინის გენიას ნოტების ენით ამტყვევებდნენ.

ბარათაშვილის ზოეზიის ულამაზეს შინაგან მუსიკას ათბობს და მეტ მიმზიდველობას აძლევს სათუთი გრძნობიერება, რომელიც უნაზეს ლირიზმთან ერთად, ყოველთვის გამოირჩევა დიდი ადამიანური უშუალობით.

ეს პოეტური მინორია!

ბარათაშვილის ზოეზიის ულამაზეს შინაგან მუსიკას ამალღებს და საოცარი ძალით აუღერებს მეზრძოლი რაინდული განწყობილება, რომელიც თავდავიწყებასთან ერთად, ყოველთვის გამოირჩევა დიდი ადამიანური გონიერებით.

ეს პოეტური მაჟორია!

ხოლო ორივეს — ბარათაშვილის ზოეზიის მინორსა და მაჟორს შარავანდელით მოსაეს სიყვარული, ურომლისოდ საერთოდ მუსიკას არსებობა არ შეუძლია; მუსიკა ხომ რაფინირებული სიყვარულის ვერბალური გამოხატვაა.

სადაც სიყვარული არ არის, იქ არც მუსიკაა, და რამდენიც სიყვარულია, იმდენივე მუსიკაა. სატრფო, სამშობლო, მგობარი, ბუნება, ბრძოლა — ყველაფერს თავისი სიყვარული და ასევე თავისი მუსიკა აქვს. ბარათაშვილმა უფრო მეტი გვითხრა „ჩინარში“: მწამს, რომ უასაკო და უსულუო საგნებს შორის საიმედო ენა არსებობსო. მუსიკის არსებობა ხომ უფრო სარწმუნო და

უმკველია. იმავე „ჩინარში“ რომელიც პოეტის სიყვდილამდე ერთი წლით ადრე, 1844 წელს, შეთვალური წყობით არის დაწერილი, ისიც ნათქვამია, რომ ამ „საიდუმლო ენით“ მეტყველებას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხვა ენებზე საუბარსო. აქ ალეგორიაა და ბარათაშვილი უმკველად გულისხმობდა ბუნების წიაღში იმ ურთიერთობას, რომლის შედეგადაც ყველაფერი წარმოიშობა, ჩვენ კი, ადამიანები, გრძნეულ ნაყოფს ვღებულობთ, ამ ნაყოფით ვცხოვრობთ და ვარსებობთ. რა არის ეს? სიყვარული? უწოდეთ, რაც გსურდეთ, მაგრამ ანგარიში გაუწიეთ ბუნებრივი შერჩევის პრინციპს, რომელიც არამარტო ადამიანებსა და ცხოველებს ახასიათებთ, არამედ, ფლორასაც. ბარათაშვილი ამას შორეულად გვეუბნება, ალეგორიის ფორმით გვიხატავს ფრიალო კლდეზე ამაყად მდგარი ჩინარისა და მტკვრის ურთიერთობას, შემდეგ კი პარალელს ავლებს ადამიანურ სიყვარულთან. მაგრამ ჯერ წავიკითხოთ თვით ლექსი: —

„გამმარტოებულს ფრიალოს კლდეზე  
სდგას ალვის ხისა ნორჩი ახალი,  
მრავალ-შტოკანი, მაგრილობელი,  
მაჟროვანი, ტურფა, მაღლი.  
სამო არის მის ჩრდილში ოცენა  
და მისთა ფოთოლთ შრიალთა სმენა,  
და წყალთ ღუღუნზე უკუღმართისა  
ამა სოფლისა ქირთა დათმენა...  
ვითა მიწერილი სატრფოს ამაყსა,  
მტკვარი მას ნორჩსა ფერხთა ევლებსი,  
და აღმართს ეფსკრულეზიამ,  
და აღღვილი კლდესა ეხლებსი!  
მაგრამ ჩინარი, მაღლად შინარი,  
დგას მედიდურად და სიამივით,  
და მხოლოდ თავსა გარდმო-გარდიღებს  
სევდიანისა შერხვეის სახით.  
რამდენჯერ ქარი შერხვეს საროს,  
იმდენჯერ მტკვარი უმეტეს ოხრავს,  
თითქოს სიმურით შემფოთებელი,  
და კლდის პირებზე ზვირთითა  
შემუსრავს.

ესრედ იღუმალ, მაგრამ ძლიერად,  
დაიტანჯების მარად მიქნერი,  
თუ მას ნამდიდრად ეგზნების გულსა  
ტრფიანებისა ცეცხლი ციფრი“.

ბუნება აქ განსულიერებულია, მაგრამ ეს არ არის არც ანიმიზმური, არც პანთეისტური განსულიერება. ბარათაშვილს ბუნების უტყვევი საგნები სიყვარულის ასპექტში ჰყავს ამტყვევებულნი, ადამიანური ტრფობის სრული ანალოგიით. მაგრამ შეუძლებელია მას არ სკოდნოდა, რომ ცხოველებსაც აქვთ ურთიერთმიდრეკილება, ირმებს მონოგამია, ცხოველთა ერთი ჯგუფი თანხმობით ცხოვრობს მეორესთან, ხოლო მესამე და მეოთხე სპობს მეხუთეს და მეექვსეს. ერთი ჯგუფის მცენარეები კარგად ეწყობიან მეორეს, ხოლო მესამეს გვერდით მეოთხეს არსებობა არ შეუძლია და იღუპება. სიგნალები, რომელთაც ფაუნის სამყაროში აქვთ ადგილი, შესაძლოა ცხოველთა იმდენივე ენას წარმოადგენდეს, რამდენი ცხოველის გვარიც არსებობს. ყველაფერი ეს ბუნების ენაა, და, ვინ იცის, იქნებ ბარათაშვილის პოეტური დეფინიცია მეცნიერულ ჰემოარიტეტბასაც წარმოადგენდეს. ჩვენი დროის უკანასკნელი დაკვირვებანი, ექსპერიმენტებზე დამყარებულნი, რომ დელტინებს თავიანთი ენა აქვთო, დღეს ხომ არავის მიაჩნია პარადოქსად!

მაგრამ შორს ნუ წავალთ, ისევ იმ პოეტურ იდეალს დავუბრუნდეთ, რომელიც „ჩინარში“ გვაქვს.

რა არის ეს იდეალი?

მიზანმიუღწეველი სიყვარულის აპოლოგია, როცა ერთგული მიჯნური ფარულად იტანჯება აპოლონის ცეცხლით, ამაყი სატრფო კი ვერა გრძნობს მის ოხვრა-კვნესას, როგორც მრავალშტოვანი, ჰაეროვანი, ნორჩი ჩინარი, მტკვრის ალურსის ნაცვლად, მარტოოდენ ქარის შემოჭროვლაზე არხევს ხოლმე თავის სარო ტანს. მშვენიერი მხატვრული შედარებაა და ანალოგიაც საცებით პოეტური!

მაგრამ აქაც, „ჩინარშიც“ ჩვენ გვესმის ბარათაშვილის ლირიკული გმირის შეწუხებული სულის მოთქმა-გოდება, სიამედ მიჩნევა თუნდაც იმ წუთიერი

ვატაცებისა, როცა მას შეუძლია დროებით მიიფიცოს ამქვეყნიური ცხოვრების ჭირ-ვარამი, შეისვენოს ალვის სიხრდილში, ოცნებას მიეცეს და დატყბეს ფოთოლთა შრიალით. სიყვარული კი, თუ ის ნამდვილად აღზნებულია ტრფობის ცეცხლით, ხოლო მიჯნური საპასუხო გრძნობას ვერ პოულობს ამაყი სატრფოს მხრივ, პოეტს ტანჯვის გარეშე ვერ წარმოუდგენია. დაახლოებით იგივე აზრია ვატარებული რუსთაველური წყობით დაწერილ ლექსში — „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“, რომელიც სავსეა მიწიერი სილამაზით, სპეტაკი გრძნობითა და სიყვარულში ერთგულებით. ბარათაშვილს ეს ნაწარმოები დაუწერია საბედისწერო წელს, როცა ის უდროოდ გარდაიცვალა ჯერ კიდევ სრულიად ჰაბუკი. ლექსს თარიღად უზის 1845 წლის 10 იანვარი. ამ დროს პოეტი ნახიქვეანში იყო მახრის უფროსის — ლევან მეღიჭიშვილის თანაშემწედ. მას ერთხელ კიდევ ეწერა თბილისში დაბრუნება, მშობლებისა და ნათესავების ხილვა, ამის შემდეგ ჩვენ მარტოოდენ უთარილო ლექსები გვაქვს. ამიტომ „მადლი შენს გამჩენს“ ის ლექსია, რომელიც პოეტის გარდაცვალებამდე 10 თვით ადრე დაიწერა და სადაც უზადო სიყვარულის უმშვენიერესი ტანტრეანია აღმართული:

„მადლი შენს გამჩენს, ლამაზო,  
ქალო შეფთვლებიანო,  
დღისით მზევ, ღამე მთოვარევე,  
წყნარო და აძოდ ხშიანო!  
შენის ლოდინით ვსულდგმულვარ,  
თავიანს ვსკემ შენსა სახელსა.  
დედის ერთი ვარ, ნუ მამკლავ,  
ნუ დამინანებ სოფელსა!  
ღარიბი ვინმე მოესულვარ,  
სოფლისა მუშა საწყალო,  
ამხანაგად მყავს ნაბადო,  
ძმობლად — ბასრი ხინჯალი,  
შე სხვა სიმდიდრე რად მინდა?  
მე შენი გულიც შეყოფის,  
მის ფასი კიდევ საუნჯე  
ცას ქვეშეთ განა იმყოფის?“

ეს უეპველად არის სწორედ ის ლექსი, რომელსაც თვით ბარათაშვილი

ახსენიებს მიკო ორბელიანისადმი ნახიჭვენიდან გამოგზავნილ პირად წერილში. თარიღებიც ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს. რაკი ლექსი 1845 წლის 10 იანვარს დაიწერა, პოეტს შეეძლო იმავე წლის 9 თებერვალს იგი გამოგზავნა თავისი მეგობრისათვის შემდეგი ცნობის თანდართვით: „აი ამ ქართულს ლექსს გიგზავნი მდაბიურულად დაწერილს, როგორც ფიქრში მამივიდა. — მე ვარ და ჩემი ნაბადი, იმის ხმაზედ.“<sup>1</sup> შემთხვევითი არარის, რომ ნაბადი თვით ლექსშიაც იხსენიება, როგორც მისი ერთერთი პოეტური სამკაული.

მაგრამ რას ნიშნავს „მდაბიურულად დაწერილი“? განა რუსთაველური თექვისმეტრარცლოვანი ლექსი „მდაბიურულია“? მერე რა, რომ ხალხური „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ თექვისმეტრარცლოვანია! განა ფოლკლორში ცოტა გვხვდება ამგვარი ლექსი? და განა ბარათაშვილს ცოტა აქვს რუსთაველური? მაგალითად, რუსთაველური დაწერილი „არ უკიენო“ მდაბიურულია? მაშ, რატომ უწოდებს ბარათაშვილი თავის ლექსს „მდაბიურულს“?

მხოლოდ თემატიკის გამო, რაკი მისი ლექსის ობიექტი „ღარიბი ვინმე... სოფლისა მუშა საწყალია“, ნაბადმოსხმული და ბასრი ხანჭლით შეიარაღებული, რომელსაც არავითარი სიმდიდრე არა სურს, გარდა თავისი სატრფოს გულისა: მიაჩნია, რომ ამქვეყნად უფრო დიდი საუნჯე, ვიდრე სიყვარულია, არ არსებობს და მასაც არაფერი მეტი არ უნდა. ამას ათქმევინებს პოეტი მდაბიო კაცს — სოფელელ გლეხს, „დედის, ერთას“, და იმასაც გვეუბნება, რომ საყვარული ერთნაირად წვავს და ერთნაირად აღაგზნებს ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს. აქ პოეტი გამოსულია

სუბიექტურობიდან, ხოლო ისევ დაბრუნებულია დიდბესიკურა ზომით დაწერილ ლექსში — „ნა... ფორტეპიანოზედ მომღერალი“. ეს ნაწარმოები ისეთივე სინაზისაა, როგორც „საყურე“, ან „თავადის ქ...ის ასულს, ეგ...ნას“. მიწიერი სილამაზე ლექსში პლასტიკურადაა წარმოსახული და მისი ყველა ელემენტი პაეროვნებით სუნთქავს, როგორც ჯადოსნური მუსიკის ხმა:

„ხმა საკრავისა,  
ნელ ნარნარისა,  
სულს განახარებს;  
და მშვენიერის  
ენა ამიშლის  
გულისა ქირებს!  
ვკრეტდი ლამაზსა,  
სეველითა ნაზსა,  
და შევეტრფოდი;  
ყოველთ გრძნობათა,  
ყოველით გონებათა  
მას მივაყვარობდი.  
ლაწენი ნაცრემლინი,  
ტრფიალთ დამწველნი,  
უფროს შვენიოდენ;  
თმანი ნაშაღნი,  
მკერდზედ დაყრილნი,  
ემუჭმეკობოდენ.  
ქუქუნა თვალნი,  
გულთა მომკვლელნი,  
მოციინარობენ;  
პაწაწა ტუჩნი,  
ვარდებრ ნაფურცლნი,  
ლტენას მოხბერვენ!“

ბარათაშვილის ლირიკული გმირი ამ ლექსშიაც თავისი სრული სახით დგას ჩვენს წინაშე, რომლის „გულის ქირები“ კვლავ წუთიერ შეებას პოულობენ სატრფოს მშვენიერებით. მაგრამ ეს ბედნიერებაც, ეს სიხარულიც, ეს ტრფობაც პოეტისათვის ჰქრება და იგი ისევ უბრუნდება ჩვეულ ურვა-წუხილს, რომლის სიმწარე მან არაერთგზის იგემა. [ბარათაშვილი უდიდესი ოსტატია კაცის გულისთქმათა, და ისე ორგანიულად უთავსებს ადამიანის შინაგან ტკივილს „სოფლის ბრუნვას“, როგორც ამას ახერხებდნენ ბაირონი და მისი მიმდევარი დიდი პოეტები. მაგრამ ნუ დაგვაიწყებება, რომ აქ იგივეობაზე ლაპარაკი სრულიად გამორა-

<sup>1</sup> ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 120. წერილი მიკო ორბელიანისადმი. ხაზგასმე ბარათაშვილისაა. იხ. აგრეთვე, გვ. 147, განმარტებანი, სადაც ეს საკითხი სავსეო ფორმითაა დაყენებული.



ცხულია. არის მხოლოდ დიდი მსგავსება, მაგრამ ასევე დიდი განსხვავებაც. ამიტომაც, რომ ბარათაშვილის ლირიკული გმირი კიდევაც ემსგავსება და კიდევაც განერიდება ბაირონისტულს. თუ ინგლისელი ლორდის ლირიკული გმირი „მეტმადლობის ნალექლითაა“ სახსე, თუ მას მწარე ფიქრებით სული ეხუთება, აღარც მშვენიერება იზიდავს და აღარც სატრფოს ულამაზესი სახე, ჩაილდ ჰაროლდისაგან განსხვავებით, ბარათაშვილის ლირიკულ გმირს სიცოცხლე უყვარს, მან არც იცის, რა არის მეტმადლობა, იგი ცხოვრების ნაკლებობის გამო მისცემია მწარე ფიქრებს, მისთვის მშვენიერება „ნათელია, ზეცით მოსული“, იგი უმტერის და ეთაყვანება სატრფოს სახეს, რომელიც ხორციელს არც კი ჰგავს, იმდენად შთაგონებულია მისი სილამაზით. მაგრამ არ იფიქროთ, რომ მართლაც ხორციელს არა ჰგავდეს! არა, ბარათაშვილისათვის სატრფო ყოველთვის ხორციელია და ზეციერს მხოლოდ ამქვეყნიური სილამაზის აღსამეტებლად იშველიებს.

განა ასე არ არის იმ ლექსშიაც, ჩვენ რომ ახლა ვიხილავთ? ყველაფერი მასში, ვიმეორებთ, მიწიერია, და მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ ბარათაშვილს, მიუხედავად „გულის ჭირებისა“, უსაზღვროდ უყვარს სწორედ ეს მიწიერი. მაგრამ შევადარებ ტრფობაში მისი კვენსა ბაირონის გოდებას! ინგლისელი პოეტი თავის სატრფოს იმას ეუბნება, რასაც ბარათაშვილი თითქმის არასოდეს არ ეტყობა: მწუხარება მტანჯავს, ტრფობის ღიმილს ნუ მესერი, ხსნის იმედი არა მამქეს, შენი ცდაც ამაო ეს აზრი შემეცვალოს, შენი ვერც სიტურფე და ვერც სახე ვერა მძლევს, და ვით ურია, ისე ვიტანჯებიო. ბარათაშვილი, პირიქით, იტანჯება სატრფოს დაკარგვით, იგი წუხს და მოსთქვამს დაკარგულ სიხარულზე. რომელსაც ეძებდა, თითქოს კპოულობდა კიდევ, მაგრამ ისევ ეკარგებოდა. ეს მწვევე ტყვილი, ტანჯვა და წუხილი

დიდი შინაგანი განცდებითაა პოეტურად ამეტყველებული რუსთაველური შიირით დაწერილ ლექსში, რომელსაც „დამქროლა ქარმან“ ეწოდება და რომელსაც ჩვენ მთლიანად მოვიტანთ:

„დამქროლა ქარმან სისტიკმან,  
თაწწარმიტანს ყვავილი,  
მაცხოვრებელი სიცოცხლის,  
სუნუნლებითა აღვსილი,  
იგი ნიღაღ ციურთა  
ცვართავან იყო ნამილი;  
დრომ უფამურმან აწ ცრემლით  
შესვარა მისი ადგილი.  
აწცა თუ სადმე ვიხილავ  
მის ზურცელს, მისსა დანაჰკნობს,  
მოძულებული სიცოცხლე  
მყისვე კვალადცა დამატკობს.  
მაგრამ მსწრაფლადვე გახშირდენ  
მწარენი ჭირნი გულსა,  
რა ფიქრთა წარმოუდგებთ  
დაკარგვა სიხარულისა“.

ცხოვრების ეს სასტიკი ქარი ყოველთვის ართმევდა ბარათაშვილის ლირიკულ გმირს მაცხოვრებელ ყვავილს, უჭკნობდა მის ფოთლებს, უფამური დრო ცრემლს აღვრევინებდა, სიცოცხლესაც აძულებდა, მაგრამ იგი მაინც ეჭიდებოდა ბედს, ტანჯვაშიც სიხარულს ეძებდა, როგორც ილია ჭავჭავაძემ, ჩვენი გენიოსის ღირსეულმა მემკვიდრემ, გასული საუკუნის 60-იან წლებში ანალოგიურად ამოვიგინა, როცა სატრფოს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მისთვის მიყვარხარ, რომ მამლევ ტანჯვას და იმ ტანჯვაში სრულ სიცოცხლესაო“. არის აქ რაღაც ძლიერი ლტოლვა ცხოვრების სილამაზისადმი, რაღაც უჩვეულო გრძნობა გიყვარდეს სიცოცხლე მთელი მისი ავლადილებით, ტყვილითა და სიტკბოებით, ტანჯვითა და სიხარულით. და ბარათაშვილის ლირიკული გმირი, რომელიც კაემნითაა სახსე, თავს მაინც ბედნიერად გრძნობს, თუ სატრფო მის გვერდითაა, როგორც ამას ჩვენ ვხედავთ ლექსში — „როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“. ლექსი დაწერილია შავთელური ზომით და ქართული ლირიკული პოეზიის ერთი უმშვენიერესი ნაწარ-

მოგბია, თუმცა ასე ენათესავება ძველ რუსულ სიმღერას «Как счастлив я коль с тобой бываю»:

„როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა,  
 დიდილით გვეხარ მისის დღესა,  
 მე შენს თვალებში ესკვერტ სამოთხესა  
 და მათი მკურნატი ვიწვი ცეცხლითა!  
 არ დაიჭერებ, თუ ვით სატრფო ხარ,  
 არ დაიჭერებ, არ დაიჭერებ,  
 არ დაიჭერებ, თუ ვით სატრფო ხარ!  
 როს უბედურ მყოფს მე მოშორება  
 განებაშაყვის მშვენიერებისა,  
 ესთელი მოწყინებით ვამო მკმუნვარების  
 და სევდა ვლახ ვულს დამეფარება!  
 არ დაიჭერებ, თუ ვით სატრფო ხარ!  
 ხან ძილსა იერთობს, ხან სევდით ოხრავს,  
 ხანცა ყოველს სულს ამხიარულებს,  
 ხან სიკვდილს იწვევს, ხან შორით ოცნებს,  
 ხან პყვება სოფელს, ხან ცად მიფრინავს!  
 არ დაიჭერებ, თუ ვით სატრფო ხარ!-1

ეს ლექსი ისე ეთანხმება ბარათაშვილის ლირიკული გმირის მთელ შინაგან სულიერ სამყაროს, როგორც ყველა მისი ორიგინალური ნაწარმოები. აქაც სიყვარულის ის ფილოსოფიაა გადმოცემული, რომელიც შედარებით სრულად უკვე დაეახასიათეთ. ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში ბაირონისტული ბოზოქარი სულიც ტრიალებს მემამოხისა და მიუსეს ლირიკული გმირის სინაზეც კდემამოსილად იცქირება. თქვენ იქ შეგიძლიათ იგრძნოთ ლეოპარდის სიღრმემდე დაყვანილი სევდაც და ალ-

ფრედ დე-ვინის ან ლამარტინის პოეტური სათნოებაც. ბარათაშვილი ზოგჯერ ისე უყურებს ქვეყანას, როგორც მატერიალისტი გოეთე, და ისე იჭრება ტრანსცენდენტის მეტაფიზიკაში, როგორც იდეალისტი შილერი. აღარაფერს ვამბობთ ლერმონტოვზე, რომლის პოეტური ხმა რაღაც ასლო ნათესაობაშია ქართველ გენოსთან. და ყოველთვის ბარათაშვილი რჩება ეროვნულ ნიადაგზე, იგი არ არის არც ბაირონი, არც მიუსეს, არც ლეოპარდი, არც დე-ვინი ან ლამარტინი, არც გოეთე, არც შილერი, ცხადია, არც ლერმონტოვია — ბარათაშვილი მხოლოდ ბარათაშვილია — დიდი ქართველი პოეტი, და თუ იგი ასე ფართოდ გვაგრძნობინებს მსოფლიო პოეზიას, მხოლოდ იმიტომ, რომ გენოსია, ხოლო გენოსები შემოქმედებითი ძალის მხრივ ძალიან უახლოვდებიან და საოცრად ემსგავსებიან ერთმანეთს. ისინი შეუზღუდველნი არიან შემოქმედებითი მასშტაბებით და როგორც ხელოვანი — უნივერსალურს განასახიერებენ. ბარათაშვილი, როგორც ხელოვანი, შემოქმედებითი ძალისა და მასშტაბების მხრივ უნივერსალურია. მისი ლირიკული გმირი, ყმაწვილობის ასაკის მიუხედავად, ამიტომ არის ასე ღრმა მოაზროვნე, სათნოებით სავსე, უშიშარი რაინდი, მგზნებარე პატრიოტი და მშვენიერებით გაცისკროვნებული.

და კიდევ ერთი ძირითადი ნიშანიც:

ბარათაშვილის, როგორც რომანტიკოსის, იდეალია ცისფერი, რომელსაც იგი „პირველად ქმნილსა ფერს“ უწოდებს. თუ რატომ იქცევა ასე ბარათაშვილის ლირიკული გმირი, ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, როცა შევხვებით რომანტიზმის ზოგად პრობლემატიკას. აქ კი მხოლოდ იმის აღნიშვნა ვესურს, რომ „ცისა ფერს“ დაწერილია იმ ზომით, რომელსაც სერგი გორგაძემ სამართლიანად უწოდა ბარათაშვილური. „ამ უკანასკნელი გვარის ლექსი, — ამბობდა იგი, — მართალია, სხვა პოეტების ნაწერებშია ცეცხვდება, მაგრამ

1 ნ. ბარათაშვილის ლექსების 1922 წელს გამოცემის 147 გვერდზე ვკითხულობთ: „ამ ლექსისა და შემდეგის „ცისა ფერს“ შესახებ ნ. ბარათაშვილის მესამე გამოცემის (ტფ. 1886, სტამბ. გრ. ზაქარეიანის) წინასიტყვაობაში შემდეგი აზრია გამოთქმული: „როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა“ და „ცისა ფერს, ლერსა ფერს“ აზრან მიბაძეა რუსულსა, თუმცა შენიშნულნი კი არ არიან ამგვარად. ბარათაშვილის დროს ეს ლექსები იყო სამღერალი ფორტპიანოზე და რუსულად ასე იწყებან: *Какъ счастливъ я коль съ тобой бываю*». ბოლოს *Ты не поверишь, ты не поверишь, да სხვ. 2) Черный цветъ, мрачный цветъ, ты мне милъ...*... ცილილება იქნება იმაში იყოს მხოლოდ, რომ შავი თვალები ცის ფერ თვალებად გადაეკეთებია პოეტს“. ეს წინასიტყვაობა პ. უშიაკაშვილს უნდა ეკუთვნოდეს“.

ჩვენ უპირატესობა ბარათაშვილის ხსოვნას მივეციოთ და სახელიც მისი დავარქვითო.<sup>1</sup> სწორედ ამ სახელით უნდა დარჩეს „ცისა ფერს“ ქართულ პოეტიკაში, ვინაიდან ლექსის ეს ზომა არავის ისე ოსტატურად არ გამოუყენებია, როგორც ბარათაშვილის გენიას. თუ შეადარებთ ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ რუსულიდან თარგმნილ „ფერსა ბნელს“ ფერსა შავს“, რომელიც ამავე ზომითაა დაწერილი, თქვენ მკაფიოდ დანახავთ, რა განსხვავებაა ამ ორ ლექსს შორის და ჭეშმარიტად რა დიდია ბარათაშვილის პოეტური ძალა.

და აქაც, ამ პოეტურ მარგალიტში, რომელიც საესეა რომანტიკული სინაზითა და სილამაზით, ბარათაშვილი თითქოს სიკვდილის აგონიას განიცდის, თითქოს სისხლი გაციებული აქვს, უერთდება ცისიერს, კვდება ისე, რომ არ ეფრქვევა მშობლიური ცრემლები, ხოლო სამარეს ნისლი ედება — რა საოცარი წინათგრძნობაა და როგორი სიზუსტით ასრულდა ორივეგან — „ცის ფერსა“ და „მერანში“ ნათქვამი სიტყვები — ჩემს მამულში, წინაპართ საფლავებს შორის ვერ დავიმარხები, მშობლების ცრემლი არ დამედინებო.

ასე ტრავიკულად დაიღუპა გენიოსი

<sup>1</sup> ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. 221-222.

პოეტი და ასეთია ბარათაშვილის ლირიკული გმირის სრული ბიოგრაფია, სრული-თქო ვამბობთ, და უმალ ახალი პრობლემა გვებადება: თუ ლექსებში ამგვარად გაიშალა ბარათაშვილის ლირიკული გმირი, როგორი სახე მიიღო პოემაში — „ბედი ქართლისა“, რომელიც ისტორიული ხასიათის ნაწარმოებია და იმდენადვე რეალისტური, რამდენადაც რომანტიკული, იმდენადვე ეპიკური, რამდენადაც ლირიკული?

პოემაში ეს გმირი მთლიანად ინარჩუნებს თავის თავს, როგორც ლირიკული ფენომენი, მაგრამ ძლიერია მისი სახის ეპიკური ნიშნები, რომლებიც შემდგომ კიდევ უფრო მკაფიოდ გამოვლინდნენ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს 1839 წლის (როცა „ბედი ქართლისა“ შეიქმნა) შემდეგ დაწერილი ისეთი შედეგები, როგორიცაა „საფლავი მეფის ირაკლისა“ (1842) და „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა“ (1844). მაგრამ ეს საკითხი უკვე სცილდება ლირიკული გმირის ფარგლებს. ბარათაშვილის ლირიკული გმირი ყველგან მთლიანი ჩანს, მიუხედავად დიდი შინაგანი დრტკინვისა, ყველგან პოეტურად ამადლებული, მიუხედავად პროზაული მასალისა, და ყველგან გენიოსის შარავანდით დამშვენებული.





როსა ჭილაძე

# ახალი მ ა

„ახლა ცა ახალია“  
ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი

150 წელია, რაც ეს მდინარე მოედინება და მარადისობას უერთდება ყველა ქართველის გულზე გადავლილი.

მან კი არ იცოდა თუ ასეთი ძლიერი იყო. არც მისმა ახლობლებმა იცოდნენ. არა-ეინ არ იცოდა. საქართველოში ბნელოდა.

ამ სიბნელეს კი მართო ის გრძობდა. ეწინააღმდეგებოდა მისი და ჩამოგრეულ გვირაბში მოყოლილი კაცებით წვალობდა და მზეზე ამოსვლას ცდილობდა. ამოვიდა კიდეც. თუმცა არა. წყვდიადის ლოდებიდან მხოლოდ მისმა სულმა გამოაღწია. გულგრილობისა და სიბუკის. მორჩილებისა და სიბეჩავის მტვერი გადაიბურტყა და გახურებული გულმკერდი საქართველოს აღრიალებულ ჩანჩქერებს შეუშვირა. ჩვენდა საბედნიეროდ, იგი შეამჩნიეს. ხალხმა საქმეს თავი ანება და მისკენ წამოვიდა. ქალებმა ატირებული ბავშვები მაღლა ასწიეს, რათა მათაც დაენახათ და მისი მაღლი მოსცხებოდათ. კაცებს შერცხვათ თავიანთი სისუსტისა თუ უმეცრებისა და გადაგვარების გამომათავყანებელ სასმელს ზურგი შეაქციეს.)

ის კი ნელა მიდიოდა პურის ყანაში და ჩამოგლეჯილ საყელოდან ბავშვური, სუსტი მკერდი მოუჩანდა.

ამ მკერდში კი მთელი საქართველოს ბედიღალი ეტეოდა, მისი ჯადოქრობის წყალობით ჩვენამდე ღეჟადა და მუსიკად მოღწეული.

ის მიდიოდა პურის ყანაში და ათრთოლებულ ხელისგულზე თავთავს იფშენდა. დედაბუდიანად აშლილი ხალხი კი უკან მისდევდა.

ხალხის ფეხქვეშ ყანა ითელებოდა, მაგრამ არაეინ არ ნაღვლობდა, არაეინ არ ცდილობდა წაქცეული პურის წამოყენებას, რადგან ხალხს ახლა სხვა პური ჭირდებოდა, პური სულისა და გონებისა.

იპოვა კიდეც:

მაინც რა არის ჩვენი ყოფა — წუთისოფელი,  
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შეიღნი სოფლისაგან დასაწყისად  
უნდა კიდევ მივდიეთ მას, გვესმას მშობლისა.  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!

იგი შეჩერდა და ხალხს მოუბრუნდა. ხალხმა შევებით ამოისუნთქა და გაინაბა.  
მხოლოდ ჭრიჭინების ხმა ისმოდა და შორეული მდინარის შრიალი.

და უთხრა მან ხალხს:

„ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო. ვისიც სული განვი-  
თარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისი გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას  
არცა თუ განსჯა ჰქონია. ვისიცა ცრემლინი მეგონებოდნენ, ცრემლად სიბრაღულისა, გა-  
მომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი მცბიერებისა, წვეთნი სა-  
შინელის საწამლაივსა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?“

ბარათაშვილი მეორე საოცრებაა ქართველი ხალხისთვის. მეორე ღმერთია. თით-  
ქოს განგებამ გააქრო ყველა მისი სურათი, რათა ღმერთით უსახო და ამავე დროს  
მტკიცეუღელ ნაცნობი ყოფილიყო ყველა ჩვენგანისათვის.

მზე აცხუნებდა. ქალებს უბევბი გაეღელათ და ბავშვებს ძუძუთი აჩუმებდნენ.  
მდინარის ნიაფს პურის მშრალი მტკერი მაღლა აქონდა და გარინდებულ ხალხს გაო-  
ფლილ სახეში აყრიდა.

ის კი განაგრძობდა:

„მე ასლა იმას ვამბობ, რომ შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესო ხვედრისაკენ, გული  
მეუბნება, რომ შენ არა ხარ ასლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებული! ნუ გძი-  
ნავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მონდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს,  
და დავდეგ გაშლილს ადგილს! ოპ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწი-  
ფურად გადავბედავ ჩემს ასპარეზს!“

ბარათაშვილი საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რა უბედურების მოტანა შეუ-  
ძლია მონობას. მარტო მისი ტრადიკული ცხოვრება ეყოფოდა სირცხვილად ყველა ტი-  
რანსა და დამპყრობელს, სირცხვილის გრძნობა რომ გააჩნდეს.)

მართლაც ძალიან მწარე და ხანმოკლე იყო ამ დიდი პოეტის ცხოვრება. ერთი შეხედ-  
ვით თითქოს ადვილი შესაძლებელი იყო, უკეთესად წარმართულიყო ყველაფერი და  
მასაც მიეღო ამქვეყნიური საიამენი, რისი ღირსიც ნამდვილად იყო. ყველა თანამედრო-  
ვეზე მეტად.

თავადიშვილობა, აღზრდა-განათლება, ჩინ-მედლებით დამძიმებული მამა-ბიძე-  
ბიც თითქოს ქმინდნენ ამის შესაძლებლობას. მაგრამ, რაც არ უნდა ძნელი იყოს ამის  
თქმა, კარგია, რომ ასე არ მოხდა.

ის „საუბედუროდ“ პოეტად იყო დაბადებული და როგორც არ უნდა ეცადა, მაინც  
ვერ მოაბამდა თავს ამქვეყნიურ საქმეებს და მარტო ხორცზე ვერ იზრუნებდა. ამ საქ-  
მეში ყველა საშუალო საქმოსანის დასაცინი გახდებოდა.

მისდა უნებურად მონობაში დაბადებული, ვერც სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებდა  
და ვერც ბედს შეურიგდებოდა ვერასოდეს, რადგან ძალიან კარგად და ცხადად ჰქონდა  
შეგნებული თავისი ქვეყნისა, და მხოლოდ და მხოლოდ აქედან გამომდინარე, თავისი  
მდგომარეობაც.

მის პატარა წიგნში, როგორც ზღაპრულ ბოთლში — ჯინი, ყველა დამონებული  
და დაჩაგრული ხალხის შემწარავი სევდაა ჩამწყვდეული და ამ სევდის ძალად ჩაზო-  
ბილი ხმა კიდევ მრავალ საუკუნეს გასწვდება.

მას, რაც ღმერთისგან ჰქონდა დავალებული, ის უნდა შეესრულებინა პირნათლად: ნაპრალისკენ მიმავალი ფარა, რომლის ყოჩასაც ეგვნის ნაცვლად ყელზე სელმწიფის ორდენი ჰქონდა შებმული, როგორმე უკან უნდა მოებრუნებინა და ეთქვა: „მისთვის... უწინამც დღე კი დამელევა მე! უცხოობაში რაა სიამე, სადაცა ვერ ვის იკარებს სული და არს უთვისო, დაობლებული. რა ხელ-ყრის პატივს ნაზი ბუღბუღი, გალიაშია და-ტყვევებულიო.“)

ბარათაშვილი ჩინარივით იდგა ხელოვნურად შექმნილ კალაპოტში მოქცეული სულის ნაპირას: მრავალ-შტოვანი, ჰაეროვანი, მაღალი... და ყველა აღმოჩენასავით მოულოდნელი აღმოჩენით აღგზნებული:

მწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაკოთაც და უსულთ შორის  
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!

ის ამ საერთაშორისო ენის საშუალებით ჯერჯერობით მხოლოდ თავისი ხალხის სმენას უნდა დაკავშირებოდა და იქ შეემოწმებინა მისი სიმძლავრე. ამ ენაზე ლაპარაკს მას უკვე ვერავინ აუკრძალავდა, რადგან ეს სტიქიასთან უაზრო ბრძოლას ემგვანებოდა. გალიზიანებით კი მრავალნი გალიზიანდებოდნენ, რადგან ეს „ენა რამ საიდუმლო“ მხოლოდ პოეტს ერგება ხოლმე ამქვეყნიურ საუნჯეთაგან და მხოლოდ მის ხელში იძენს ჯადოჭრობის უნარს. პოეტი და ეს „ენა რამ საიდუმლო“ ერთს მთლიანობას წარმოადგენენ. ისინი ერთმანეთში ცოცხლობენ და უერთმანეთოდ მათი არსებობა ანდა წარმოდგენა შეუძლებელია. ამიტომაც მას მთელი ერის მაგიერად უნდა ეკამათა იდუმალ ხმასთან და გაერკვია: ანგელოზი იყო — მისი მფარველი, თუ ეშმაკი — მისი მაცდუნებელი.

მაგრამ, სულო, იგი ცრემლი  
არ ტიროდა ამ სოფელსა.  
სახე შენი, მოწყვნილი,  
არა ჰგავდა ხორციელსა.

ამ ლექსის ყოველი სიტყვა ფუძემოშლილ სამყაროს უზარმაზარ ნამსხვრევს გავს, გაურკვევლობის ჭაოსში მოტივტივეს.

სატრფო და არახორციელი! ასეთი დაწყველა მარტო სატანას შეუძლია. მაგრამ მას მაინც უნდა ელოცა და თავის სალოცავისთვის შეევედრებინა უნიჩო და უილაჭო ნავი ცხოვრებისა, რომლის ხაფიან ფსკერზეც საკუთარი ნიჭისა და გონიერების გამო ნაწამები ადამიანის სხეული ესვენა.

არა დაჰჭროლონ ნავსა ჩემსა ჭართა ვნებისა,  
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!

და აი, უკანასკნელი სათხოვარიც ღმერთისადმი. სათხოვარი კაცისა, რომელსაც ჯირზე მკაცრი გონების ხელი აქვს აფარებული:

მაშა დუმილიც მიმიტვალენ შენდამი ლოცვად!

დუმილი! დუმილი! პოეტის დუმილი — აღელვებულ ზღვაზე მქუხარე. და ბოლოს, მას ყველანი უნდა წამოვეყენებინეთ ფეხზე, რათა ჰიმნივით ერთხმად გვეგალობა:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის  
ეს განწირული სულის კვეთება,  
და გზა უვალი, შენგან თელილი,  
მერანო ჩემო, მაინც დარჩება.  
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა



სიძნელე გზისა გაუადვილდეს,  
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი  
შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

ან:

დაე მოვეკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!  
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!  
გასწი, მერანო, შენს ტენებას არ აქვს სამძღვარი,  
და ნიაფს მივეც ფიქრი ჩემი, შავად მღვლეარი!

ან კიდევ:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,  
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,  
ნუ დამიტეროს სატრფომ გულისა,  
ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის.  
შავი ყორანი გამითხრის საფლავს  
მდელოთა შორის ტილის მინდვრის,  
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა  
ზარით, ღრიალით, მიწას მამაყრის!

ეს თითქოს საკუთარ ბიოგრაფიასაც წერდა, მაგრამ ყველა ბიოგრაფის კიბრზე — უკუღმართად: სიკვდილიდან დაბადებამდე.

ის არც თავის მამულში დამარხულა და არც სატრფოს ცრემლი დასცემია. ის კი არა, დედამისამაც მხოლოდ მეორე წელს მოახერხა შვილის საფლავზე მისვლა და მუნ-ლის მოდრეკა. მის საფლავთან მაღალი კვიპაროსი მდგარა: ხედ ქვეული სული პოე-ტისა. „სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?“

რაც შეეხება სატრფოს, ის ერთხელ მაინც, თუნდაც მალულად, გამოიტირებდა ალბათ თავის უიღბლო თავყანისმცემელს, რისთვისაც ჩვენგან დიდი მადლობის ღირ-სია.

„სიძნართლე მხოლოდ ისაა, უფანჯრო და უკარო საკნის კედელს თავით რომ ეხეთ-ქები“ — ეს სიტყვები, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ მომიტანია აქ. არც იმისთვის მომიტანია, რომ ბარათაშვილი კაფუკას შევადარო, მიუხედავად მათი პირადი ცხოვრე-ბის საოცარი მსგავსებისა. უბრალოდ, ამ სიტყვებში ბარათაშვილისეული ტრავმული ტრიალებს, მეოცე საუკუნეში გადმოსასხებელი. ეს, ადამიანის უმწეობით გამოწვეული ტკივილი, ზოგადსაკაცობრიო ტკივილია და, კაცი, რომლის სულსა და გონებაში იგი ჩასახლდება, მსხვერპლია. წმინდანია, ჯოჯოხეთურ კოცონზე თავისი ნებით ასული.

ხალხი უკვე დღლავდა, მისი მთრთოლვარე ხმითა და მზით გაბრუებული. გადა-თელილ პურის ყანაზე ღრუბლის ჩრდილი მიზოზინობდა. ბავშვები ჩხაოდნენ და პირს არიდებდნენ მწუხარებისაგან რძეგამშრალ ძუძუებს. ვიღაცამ ქუდი მოიხადა და მიწაზე დაახეთქა. ვიღაცამ დაიჩოქა.

„ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა“ — თქვა მან და თითქოს თავისივე სიტყვე-ბის შერცხვაო, ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა.

(მაგრამ ხალხმა უკვე იცოდა, რომ ხანდახან ერთი პოეტი მრავალ ლევიონს ჯობ-ნის და უფრო ერთგულად და მტკიცედ შეუძლია სამშობლოს დაცვა.)

ბარათაშვილის ძველი არ დგას თბილისში. არსად არ დგას. შეიძლებოდა, რომ ის ძველი ასის თუ არა, ორმოცდაათი წლისა მაინც ყოფილიყო. ორმოცდაათი წლის ძველი კი არანაკლებ სამი თაობის აღზრდაში შეიტანდა თავის განუსაზღვრელ

წვლილსა და ამაგს. ძეგლი ისეთივე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანის სულზე, როგორც პირველად ხილული ზღვა, მთები, ყვავილი... ამიტომაც, მიუხედავად სიდიდისა და სიმძიმისა, იგი ყველა ჩვენგანის არსებაში სამუდამოდ ჩასახლდება. ზღვამ და, როგორც საოცარიც არ უნდა იყოს, იზრდება კიდევ ჩვენთან ერთად. ძეგლი ჩვენამდე არსებული სამყაროს სიმბოლოა, თვალნათლივი და ხელშესახები. ხანდახან ძეგლი მისი დემილითა და უძრავობით უფრო ბევრის მოქმედია, ვიდრე ყველა წიგნი მის გამო დაწერილი. ყველაფერს თავისი დრო აქვს უფრო ადრე, ან უფრო გვიან, — თანაბრად საზიანოა. არ შეიძლება ორმოცი წლის კაცმა პირველად წაიკითხოს დიუნა, ვალტერ სკოტი, ქიულ ვერნი... და მიიღოს ისეთივე აუცილებელი საზრდო სულითა, როგორსაც ათი-თხუთმეტი წლის ასაკში მიიღებდა.

ძეგლიც ასეა. ძეგლი ერთერთი პირველი საოცრებათაგანია ახლად გონებაგახსნილ ბავშვისათვის და უძლიერესი ბიძგის მიმცემიც მისი ფიჭრისა თუ ფანტაზიისა.

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,  
საშვილიშვილოდ გარდაეცემის.

გააჩნია, რა დააჩნდების სულს და რა გარდაეცემის საშვილიშვილოდ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩემს სულში სამუდამოდ ჩარჩა ერთი ლექვის ხე, რომელიც ჩემი ბავშვობის პირველ წლებში, ბათუმში, მამიდაჩემის ეზოში იდგა. ახლა აღარც ის ხეა და აღარც ის ეზო. იმ ადგილას დიდი საცხოვრებელი სახლი ააშენეს და სადაც ადრე ერთი ოჯახი ცხოვრობდა, ახლა ათეულობით ოჯახი ცხოვრობს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. მაგრამ მე ყოველთვის სინანულით ვიხსენებ ჩემი ბავშვობის შესაიდუმლებს: უმნოსა და ხაოიანს, მაგრამ უძვირფასეს და უნაზესს. მე იმ ხისთვის მიკოცნია. შემოვხევევარ მის დაგრებილ სხეულს და მიტირია კიდევ. მაგალითად: როცა მამა საავადმყოფოში წაიყვანეს, ანდა, როცა სამუდამოდ მოვდიოდით ბათუმიდან...

ადამიანი ყველაფერში სიწმინდეს ეძებს, ეს მისი თვისებაა, და როცა პოულობს, გააღმერთებს ხოლმე. სწამს მისი. ენდობა. რწმენის გარეშე ადამიანი პატაროდება, მახინჯდება. ესეც მისი თვისებაა. მაგრამ იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა სწამს მას.

ის ხე ჩემი ბავშვობის წმინდა ხეა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩემთვის. მისი განზოგადება არ შეიძლება. ყოველშემთხვევაში — ძნელია. მაგრამ არსებობს ყველა-სათვის წმინდა ხეც. ეს ხე — ძეგლია. ძეგლი დიდი პოეტისა, ძეგლი ეროვნული პოეტისა, ძეგლი ნამდვილი პოეტისა.

ასეთი იქნება, ალბათ, ჩვენთვის და მომავალი თაობებისათვის ბარათაშვილის ძეგლიც.

ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი, —

ეს სიტყვები საუკუნის წინ ნაპოლეონს ათქმევინა ბარათაშვილმა. დღეს კი, გრანტიის მაღალ კვარცხლბეკზე შემდგარს, შექმლო თავისგანაც ეთქვა.



## პერსონოლოგიური პრობლემები ნიკოლოზ ბერბათაშვილის შემოქმედებაში

ფსიქიკური აპარატის მთლიანი და ინტეგრირებული მუშაობა წარმოადგენს პარპრონიული პიროვნების წინამძღვრებს. პიროვნება თავის ყოველ დღიურ მოქმედებაში მოწოდებულია უსმინოს შინაგანი სინდიდის ხმას და უანგაროდ ემსახუროს სიყვარულის, მეგობრობის, ძმობასა და პატრიოტიზმის მთელ იდეებს.

პიროვნების ცალკეულ გამოვლინებათა შესწავლასათვის ნორმისა და პათოლოგიაში უკუველად დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფსიქოლოგიურ მასალას, რომელსაც გვაწვდის მხატვრული ლიტერატურა. ფსიქოლოგისა და ფსიქოპათოლოგის ეს თავისებური ექსტრისი სსარგებლოა, როგორც გარკვეულ ფსიქოპათოლოგიურ პრობლემათა დაზუსტებისათვის, ასევე ლიტერატურულ გმირთა ფსიქოლოგიურ ანალიზისათვისაც.

ჩვენი ცოდნის თანამედროვე დონეზე განსაკუთრებულად აუცილებელია შემოქმედებითი სიმბოლო შეცნობისა და ხელოვნებას შიკის მხატვრული ფსიქოლოგიის მასალები (ლიტერატურის, მუსიკისა და ფერწერის) შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული სხვადასხვა ფსიქოლოგიურ პრობლემათა მეცნიერული ანალიზისათვის. ზოგჯერ ისინი უფრო ღრმად, ფართოდ და მრავალფეროვნად გვიჩვენებენ აღმნიშნულ სუბიექტური სამყაროს ურთულეს შინაარსს, მის უღრმეს ლბირინთებს.

მხატვრული ფსიქოლოგიის კლასიკური და გენიალური წარმომადგენელია შოთა რუსთაველი, რომელიც თავის პოემა „ვეფხისტყაოსანში“ ეხება პიროვნების გამოვლინებათა რთულ მხარეებს.

უდავოა, რომ თავისი სიღრმითა და შინაარსის სირთულით ფსიქიკური სამყარო შეუდარებლად უფრო რთული პრობლემაა, ვიდრე

ფიზიკური რეალობა. ამ მხრივ მხატვრული ფსიქოლოგიის მონაცემები უადრესად ობიექტურ და ღრმა ანალიზს მოითხოვს. ყველასათვის უემქველი დებულებაა, რომ მხატვრული შემოქმედება არის ირგვლივ არსებულის ასახვა, იმ გარემო სიტუაციის ის ქვაკეტა, რომელშიც აუტორი იმყოფება. ეს ასახვა რთული და უშუალოა. დაესძენთ, რომ გენიოსთა შთაგონების მარადიულობა და ზოგადსაკაცობრიობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათთვის ცხოვრების პირობები წარმოადგენს მხოლოდ ქარავას, რომელზედაც იქსოვება არა მარტო პირობული (სასიამოვნო ან უსიამოვნო, ბედნიერება თუ უბედობა), არამედ მუდამ რაღაც ახალი და ცხოველყოფილი საწყისი. შეენაშნავთ, რომ ჩვენს მონოგრაფიაში, რომელიც ეხება შოთა რუსთაველის პერსონოლოგიურ შეხედულებებს. დასმულია შემდეგი პრობლემა: რითი უნდა აღსნას ეს გარემოება, რომ რუსთაველის პოემაში მიიღო ქართველი ხალხისათვის ნაციონალურე საუნჯის, პატრიოტული კოდექსის, კანონისა და მოძღვრების ხასიათი, რომლითაც სარგებლობდა იგი შოთა რვა საუკუნის მანძილზე.

ამ პოემის უყვადეება მარტო ის კი არაა, რომ იგი გენიალურ მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს, სადაც აღმნიშნულ ფიზიკური და ფსიქიკური ღირებულების პრობლემებია დასმული. ეს ხელთუქმნელი ნაწარმოები იმათ არის დიდი, რომ მასში ნათლად არის ნაჩვენებ პიროვნების მნიშვნელობა, შინაარსი და დანიშნულება. მიითვებულება, რომ პიროვნება წარმოადგენს ფსიქიკური განვითარების უმაღლეს დონეს. ამავე დროს მხატვრულ ფორმებში მოცემულია, რომ თავისი ერთი ყოველი პატრიოტი უნდა ხელმძღვანელობდეს პიროვნების

ისეთი სპეციფიკური თავისებურებებით, როგორცაა შრომა, შორალი და მოვალეობა. ყოველივე აქ თქმული ერთად კიდევ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რუსთაველის დებულებები მუდამ აქტუალური დარჩება პიროვნების ფსიქოლოგიის სწავლებისათვის ანუ პერსონოლოგიისათვის. რუსთაველის გენია ყოველთვის დიდ გავლენას ახდენდა შემოქმედებით ანთროპოლოგებზე. ქართული მხატვრული ლიტერატურის ისტორიამ არა ერთი მაგალითი იცის ასეთი ცხოველყოფილი ზეგავლენისა. მას თავისი დიდი წინაპრის ღირსეული შემედიდრებები აღუზარდა.

პერსონოლოგიური თვალსაზრისით სპეციფიკური უტრადიციულობის იმსახურებს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას მხატვრული შემოქმედება.

ილია ჭავჭავაძემ ნ. ბარათაშვილის შემოქმედების კლასიკური შეფასება მოგვცა: მან აღნიშნა, რომ ბარათაშვილის მწიხარება, გოდება და ვედრება ზოგადსაქცობრივ ხასიათისაა. ბარათაშვილი თავის ფიქრთა პასუხს ეძებდა არა მარტო საკუთარ გულში, არამედ მთელი კაცობრიობის გულისთქვაში.

პატრიოტული სიამაყის გრძნობით უნდა აღვნიშნოთ, რომ 1893 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის განჩიდან გადმოსვენებამ მიიღო დიდი ეროვნული ხასიათი. იმდროინდელი პრესა აღფრთოვანებით წერდა: ერმა მუხლი მოუყარა თავის მომავლის სეგბედის წინასწარმეტყველს, ხოლო ხალხი კუბოს თაყვანსა სცემდა, როგორც წმინდანის ნეშტს.

ქართული ეროვნული კულტურის დიდი მომადე ილია ჭავჭავაძე იძლევა შემდეგ ფორმულას ბარათაშვილის შესახებ: „მისი გულისთქვაში, მისი გრძნობანი, მისი ჰირნი და მწიხარებანი უფრო საყოველთაო. საკაცობრივ არაან, ვიდრე ეროვნის, ვიდრე მის საკუთარ გულისანი, მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწმედნა სტრეილისა კაცობრიობის უღრმობაა“; და შემდეგ, მეგობარი თავისი ფიქრების პასუხს ეძებდა „მარტო თავის გულში კი არა, მთელს კაცობრიობის გულში“ (ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი; ტომი II; გვ. 211).

ნიკოლოზ ბარათაშვილი ადამიანის სულიერ განცდათა უდიდესი მცოდნეა, მის მიერ დაშვლ ზოგადსაქცობრივი პრობლემებს უშუალო კავშირი აქვს პერსონოლოგიასთან.

თავის შემოქმედებაში პოეტის აღიარებს ადამიანის სულიერი სამყაროს უაღრეს სირთულეს. ამასთანავე ერთად მიუთითებს, რომ გარეგანი ასახვა ანუ მოვლენის ფენომენოლოგიური შესწავლა გარკვეულ წინააღმდეგობაშია მის შინაგან შინაარსთან. ამ დასკვნამდე მიღის პოეტი მკაცრი გონებრივი განსჯის შემდეგ. ბარათაშვილს მრავალჯერ აღვნიშნავს, რომ ხშირად, ერთი შეხედვით, მალე გრძნობათა მიღ-

მა უსულელოება იფარება, ხოლო სულიერი სილამაზე ცნობიერების ფარად ყოფილა.

პოეტის გულისთქვაში, ისე, როგორც ადამიანობაში, მოცემულია შორალურად დამაღრმავებელი შინაინი შეფასება. ამასთან ერთად მისი დასკვნა მოკლებულია ყოველგვარ იდეატურ-ემოციურ შეფერადებას და წარმოადგენს ლოგიკურ დასაბუთებამდე დამყარებულ კვებულებას. აი რას წერს ბარათაშვილი, ჯერ ცხედრე 26 წლის კაბუცი, მაიკო ორბელიანისადაში 1842 წლის 31 ოქტომბერს მიწერილ ბარათში: „ვინც მალალი გრძნობის მექონი მეგონა, მას სული არა ჰქონდა, ვისიც გონება მარწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არც თუ განსჯა ჰქონდა; ვისაცა ცრემლნი მეგონებოდნენ, ცრემლად სიბრაულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანი მცბიერობისა, წყეთნი საშინელის საწამლავისა. საღ განსჯენის სულში, საღ მიიღრაციო თაყა! ვიცი, გაიციენებ, ასე ვეგონება დამწვარი ელაპარაკობ. ჭეშმარიტად, მაიკო, ასე გულცივად ჯერ განსჯა არა მქონია, ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტირციე გული, რომ საშოკო წლის მისხუციე ვერ იქნება ჩემისთანა უსიყვრელი მსაქული“.

ახალგაზრდა პოეტის სახით ჩვენ ვხედავთ ბატონ ადამიანს, რომელმაც შეიყნო ამქვეყნიური ცხოვრება და ადამიანთა სულისკვეთება. ნ. ბარათაშვილი ადამიანთა კვებების, მისა წრათვებებისა და მათი სულიერი სამყაროს დიდი მცოდნეა. ამ მხრზე მის იდეებთან ძლიერ ახლოს დგას შექსპირისა და დოსტოევსკის შემოქმედება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. ბარათაშვილის პირადი ავბელითობა წარმოადგენდა მისი ცხოვრების მხოლოდ პლასტიკურ და არავენურ მხარეს. პირადი ცხოვრების წარმატებლობამ მოახდინა მისი პოეტური შემართების მოპილიზაცია, რითაც იგი უფრო ღრმად და ყოველმხრივ ჩასწვდა ადამიანთა ურთიერთობის სოციალურ და ფსიქოლოგიურ სიმრუდებს.

ნ. ბარათაშვილი ეხება ისეთ საკითხებს, რომელთაც უშუალო დამოკიდებულება აქვს ადამიანის არსებობისა და დანიშნულების პრობლემებთან. ნაღველი, სასოწარკვეთილება და იმედგაცრუება მის მიერ განხილულია მალე პიროვნულ დონეზე. აქ იგი გულისხმობს პატრიოტის, მოქალაქეობრივ ვალდებულებას და თავის ერისადმი უანგარო თვდადებას...

ბარათაშვილის მიერ განვითარებულ ზოგად ფსიქოლოგიურ პრობლემას ემატება თ. დოსტოევსკის გამოთქმები. დოსტოევსკის თანამედ სტანაც კი ეს ყველაზე უხამსი და ბაბალი არსება შექმნილია ადამიანის დარად და მსგავსად მკარამ როდესაც არსება ჰკარგავს ადამიანურ, პიროვნულ სპეციფიკურ თვისებებს, ამოტივტუვდება რაღაც მხეცური, ზოოლოგიური. დოსტოევსკი წერს: „მხეცი არა-

სდროს არ შეიძლება იყოს ისეთი სასტიკი, როგორც ადამიანი, ისეთი არტიკული, ისე მხატვრულად სასტიკი. ვეფხვი მხოლოდ გლეჯს და მხოლოდ ეს შეუძლია, მას თავშიც არ მოუვიდოდა ადამიანები მიეჭებოდა ყურებით დამით, რომ შესძლებოდა კიდევ ამის გაკეთება“.

ბარათაშვილის შემოქმედებისათვის ყველაზე არსებითად დამახასიათებელია კაცთმოყვარეობის იდეა. მისი პოეზია წარმოადგენს ადამიანის სიყვარულისადმი და პატივისცემისადმი მოწოდებას.

ჭერ კიდევ სტუდენტობის წლებში ილია ქავეჭავაძე ნიუიორზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში იძლევა მისი შემოქმედების განსაკუთრებულად ღრმა და ამავე დროს ლაკონურ განსაზღვრას, ი. ქავეჭავაძის თანახმად ბარათაშვილის პოეზია არის „ზღვა ველი სიყვარულის სხივის ქვეშ გაშლილი“.

პიროვნული ფსიქოლოგიის პოეზიიდან საყურადღებოა მარტოობის ანუ „სულის ობლობის“ პრობლემა.

პიროვნება სოციალურ-ფსიქოლოგიური კატეგორიაა და ამიტომ არ შეუძლია დარჩეს საზოგადოების, კოლექტივის გარეშე. ამასთან ერთად იგი გამუდმებულად უნდა იყოს მოქმედებაში, მისთვის ღირსეულის ძებნაში:

„ეძიე, ყმაო, შენ მხედარი შენი,  
ვინძლო იპოვო შენი საშვენი“ (ლექსი „ხმა იღუბალი“).

პოეტის შიშართვა წამოადგენს თავისებურ პროგრამულ დავალებას: ამასთან მისი მოწოდება აგებულია შეუზღაურებელი სინდისის ხმის შოთხონუნებზედ. ბარათაშვილი სვამს საკითხს ამავე ლექსში:

„ნუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა  
შეუწყალისა სინდისისა?“

როგორც ამას ხაზს უსვამს ილია ქავეჭავაძე, ნიუიორზ ბარათაშვილი უკვდავია. მის შემოქმედებაში წინწამოწეულია პიროვნული ფსიქოლოგიის პრობლემები ადამიანის დანიშნულებისა და არსებობის აზრის შესახებ.

ადამიანი ვალდებულია გააკვივოს ცხოვრებას, უსმინოს შშობლის ხმას, იზარუნოს ხალხზე, საზოგადოებაზე, სამშობლოზე და რაც მთავარია, საზოგადოებაში მყოფ მიცვალბებულს არ უნდა ჰკავდეს. მოქმედების გარეშე ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს „უძღურ მომავლეფთა“ კატეგორიაში, ანუ ბარათაშვილის სიტყვით „გლახ მოკვდავნი“. ლექსში „ფიჭრნი მტკვრის პირას“ პოეტი წერს:

„მაგრამ რაღებანე კაცნი გქვან — შვილინი  
სოფლისა,  
უნდა კიდევა მივლით მას, გვესმას  
შშობლისა.

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი შევდარასა  
ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის სწრაფად  
იზრუნეს...“

პატივისცემის, სიყვარულისა და ურთიერთზრუნვის იდეები წარმოადგენს ღერძოვან საკითხებს ბარათაშვილის პარსონოლოგიურ ქიებაში. მაგრამ ამ მხრივ ყველაზე არსებით და მთავარს წარმოადგენს ნდობის პრობლემა, როგორც პოეტის შემოქმედების ფილოსოფიური და სოციალ-ფსიქოლოგიური კრედი.

როგორც ცნობილია, ნდობის საკითხი პირადობის და უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის მორალურ სისხეტაკის პრობლემასთან.

ბარათაშვილის თანახმად, როდესაც ადამიანი ვეაზრება ნდობა საზოგადოებისადმი, ეშინია, კრათის, არ იცის ვის მიმართოს, ვის გაუზიაროს თავისი ფარული განცდები და იქმნება სიტუაცია შიშის, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდება ადამიანის ფიზიკური და სულიერი არსებობა. მაშინ ისმება საკითხი, რა გაკეთდეს და საით წავიდეს იგი? და თუ არაღრა აქვს მის ნდობა ამა სოფლის: ეშინიან, აკრძალვის, არღა იცის, ვის აღწყოს დაფარული შან ვრწინოა“. აქ ზეენს წინ წამოიჭრება პიროვნების ზოგადსაქაოებრიო პრობლემა, რომელიც გულისხმობს ნდობას და ვარკვეულ თავისუფლებას. შიშისა და უნდობლობის ეითარება ქმნის არსებობისათვის კატასტროფულ ბირობებს, ამიტომ „სულით ობლობა“ არის განსაკუთრებული ვარამი ადამიანის არსებობისათვის.

პოეტი მოგვიწოდებს აქტიური ბრძოლისათვის და პიროვნულ სპეციფიკურ თავისებურებებს გვირეულ შენარჩუნებისათვის.

ამგვარ კატასტროფულ სიტუაციის დროს არსებობს სამი გამოსავალი: ან ღარღისაგან ფიზიკური საყვდილი ან ადამიანის მორალურ-ფსიქოლოგიური განადგურება, გაუხამება, როდესაც ადამიანი ქმს „შწარე პურს“, ან დაბოლოს მომავლისადმი მტკიცე რწმენით აღუცილი აქტიური ბრძოლა. უაღვლო არ იქნება აქ გავისხენით დოსტოევსკის გამოთქმები სმხდილის და უხამსობის შესახებ. იგი წერს: „სმგრდიაკიყო უმდაბლესი ბუნების და მხდალი ადამიანია. იგი მხდალი კი არა, არამედ ქვეყნაზე არსებულ ყველა სმხდალის წამი, ორ ფეხზე მოსიარულე, იგი დაბაღებულია ქათმისაგან“.

უსიამოვნო, ასთენიური ემოციებით დატვირთული ინდივიდში, თუ არ მიდის ღებრესამდე, არ მიდის უიშედო სასოწარკვეთილებამდე და ღრმა პესიმიზმამდე, როდესაც ერთადერთ გამოსავალს სიყვდილი წარმოადგენს, მაშინ ასეთი სიტუაციე მხოლოდ პიროვნულ დონეზე ხორციელდება.

პიროვნების დონე წარმოადგენს სწორედ ამ

ბრძმედს, რომელშიაც მალღ და ბრძმელ პო-  
ნიციებიდან შეიძლება გადახარშული იყოს ყო-  
ველგვარი ცხოვრებისეული ნაღველი, რომელ-  
მაც შეიძლება დაიწყოს უხამსობა, სიმდაბლე და  
ცხოვრებისეული ინსტინქტები.

პიროვნული ბრძმედი გადახარშავს და სა-  
ბოლოოდ დაფრთხლავს ყველაფერ მღაბალს,  
არაადმიანერს და აფრებს ადამიანს შემოქმე-  
დლებითი შერყინების ცეცხლით და განსაზღვრავს  
მოქმედებისათვის საჭირო ცხოვრების გზას.

ნ. ბარათაშვილი ეძებს კაცს, ღირსეულ ად-  
მიანს და სეაშს პირობულმური ხასიათის კითხ-  
ვას:

„ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ  
აღვისოს,  
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი  
ეკმაროს?“

დაბალი ადამიანის გაუმადლობა, თუ მო-  
ველობის გარნობით აღესილი ინდივიდის მუღ-  
მივი, დაღწრეტელი, შრომითი შეუძრებელი  
წინსვლა და შემოქმედებითი ძიებანი? პასუხი  
განსაზღვრება პიროვნების ღონით, ადამიანის  
სპეციფიკურ თვისებათა გამოკვეთილობით.

აწმყოს სიმარღღისა და უსამართლობის ბა-  
რათაშვილისებური გაიციხვა, ატტირი უარყოფ-  
ფა, რადიკალური შეზბრძობლება და ასეთი სამ-  
ყაროდან განსვლა ახლისაკენ, ახალი სამყაროს  
ძიება, ეს არ არის იმედგაცრუებელი, სუსტი,  
მხდალი და მშომარა ადამიანის განსვლა, არა-  
მედ დიდი გენიის მიერ დასახული სიმწველია  
გადაღავთს აუცილებლობა, როდესაც მას ვერ  
აწინებს ვერანაირი მტერი. ვერ აწინებს  
უპატრონო ადამიანის სიყვდილი; მას არ აწი-  
ნებს არც აზრი, რომ შეიძლება ვერ დაიპაზოს  
თავის მამულში, წინაპართა საფლავებს შორის,  
სატრფოს მწუხარე ცრემლის დაყარგვა, არ არ-  
სებობა; არ აწინებს ტიალი მინდვრის პირო-  
ბებში ყორანის შესაფლავეობა; შაებედს აწი-  
მომედ არ ემონა და არც აწ ემონოს შენი  
მხედარი“. ეს ძიება საჭიროა ადამიანის, რათა  
ადამიანმა ადენოს, ვაუზიაროს სხვას გულის  
საიდუმლოება.

ნ. ბარათაშვილი იწვის ისეთი ვითარებისათ-  
ვის, როცა შესაძლო იქნება ადამიანისადმი  
ნდობა, თავისი საიდუმლოების გაზიარება და  
თავისრფალი, ყოველგვარ ღმობტაციას და შეზ-  
ღუდულობას მოკლებული აზრთრება, მაგრამ  
ასეთი შერყინება შესაძლოა და უფრო რეალურ-  
რია არ ღამბრცხდეს, გამარჯვებული შემოქმე-  
დებითი ბძობლის გაქმეული სიმის მოსალოდნე-  
ლია უფრო გაწედეს. მაგრამ მომავლისათვის  
მეზბრძობას და მომავლის მობრძედს ასეთი  
ბრძობის ტრავიეული დასასრულის შესაძლებ-  
ლობა არ აწინებს; არ აფრჩხებს მის გეგ-  
მებს, არამედ უფრო ამკერებებს და აფოლა-  
დებს მის მიერ დასახული ბძობლის ურთულეს.

უმძიმეს და უმწარეს გზას ცხოვრებაში. სი-  
კოლოზ ბარათაშვილის აზრით ცხოვრების  
სკლისი შეჩრება არანარად არა შეიძლება,  
ბრძობა უქვეყლად შედეგიანად დამსსქრტება  
ხოლო ეს დიდი ბრძობა უნდა ხორციელდე-  
ბოდეს პრინციპით, რომ წინა კაცი უკან კა-  
ცის ხიდათ, და პოეტრი ასკენს:

„თუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს გაწირული  
სულისკვეთება,  
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო,  
მაინც დარჩება,  
და ჩემს შემდგომად მომწესა ჩემსა სიმწველ  
გზისა გაუადვილდეს  
და შეუბოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის  
წინ გამოუქროლდეს!“

სიკიკალურ-ფსიქოლოგოურ სიმრუდისა და  
უფუღუბობის ატტორი უარყოფა არ წარმოად-  
გენს სუსტი და მხდალი პიროვნების სინამდვი-  
ლისაგან განსვლას; პირიქით ასეთ რეაქციამი  
უქვეყლად სჩანს სიმწველების გადაღხვის აუ-  
ცილებლობა.

ბძობლის დასახული გეგმა, რომელიც ითვა  
ღისწინებს მოსალოდნელ სიმწველებს, არის  
არა მარტო მღაღმროალურ ხასიათის ემოცი-  
ური გაწყება, არამედ ძლიერი პიროვნების  
გადაწვეტილება გმირული დასაძლის ყო-  
ველგვარი სიმწველ და აიტანოს ნაკლებობა, რა-  
თი განხორციელდეს ნდობის, სიმართლისა და  
თავისუფლების იღებები.

ხაზს უესვამთ, რომ ასეთი მიზანდასახული  
ბძობლისა და გმირული თავგანწირვის გეგმა  
შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პიროვნე-  
ბის ღონეზე. პიროვნული სიყვარული ბარათაშ-  
ვილის შემოქმედებაში შეფასებული უნდა იქ-  
ნეს, როგორც ინტელიტბუალური გრძობა.  
უკანასკნელი მოკლებული სიმბოტ-სენსორულ  
შეგრძნებებს და წარმოადგენს თავისებურ შერ-  
წყმას (ამლგამას, ლეგირებას) გონებრივი  
მჭერეტელობითი და გედონისტური აღქმისა.  
იქმნება პირობა საგნებისა და მოვლენების ინ-  
ტელექტუალურ-ემოციური შეფასებისა პირო-  
ვნების ღონეზე. სიმბოლურ შეღარებისა და და-  
პირისმირების გზით ინდივიდუმს აქვს შესა-  
ლებლობა გარემოს უფრო მკვეთრი აღქმისა და  
ფართო ორთენტაციისა.

რათა გეაწვენოს ადამიანების სამყაროსათვის  
ჩვეული სიკიკალურ-ფსიქოლოგოური სიმბინ-  
ჯე, ნ. ბარათაშვილი იმმართავს ბუნებას, რომე-  
ლიც თავისი სიფაქიზითა და სისპეტაკით სი-  
ნამდვილის სრულ წინააღმდეგობას წარმოად-  
გენს. პოეტის დამოკიდებულება ბუნებასთან  
სიმბოლურია. სიმბოლური ენა მას საშუალე-  
ბას აღღევს არა მარტო შეივარძნოს, არამედ  
ჩასწედეს, მოესმინოს უსული საგანთა სა-  
უბარსაც; ამ მხრივ პოეტის პიროვნულ სიმბო-  
ლიკას გარკვევით ესტყვება ეაყაფშაველას

შემოქმედება. როგორც ცნობილია, ემოციურ-ინტელექტუალური ექვიტის გამლიერებისათვის ვეა-ფშველა იყენებს წყარობის, ქვების, ვენების, ფოთლებისა და ფესვების ენას. ვგრეთ-წოდებულ მანთისტური ანალიზი წარმოადგენს მხოლოდ შემოქმედებით ხერხს და არავითარი კავშირი არა აქვს ვარკვეულ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასთან

6. ბარათაშვილი წერს:

„მთა ცხოველა,  
ხან მცინარო,  
ხან ცრემლიანო,  
.....  
.....“

გულ-დახურულთა მეგობარო, მთავ  
ღრუბლიანო,  
(„შემოღამება მთაწმიდაზედ“)  
და შემდეგ ლექსში „ჩინარო“.

„მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო  
უსაკითაოც და უსულთ შორის,  
და უცხოველეს სხვათა ენათა  
არს მნიშვნელობა მათის სუბრის!“

ამასთან ერთად, უსულო საგნების შეგრძნე-ბანი, მსჯელობა და დილოგები არ წარმოადგენს პროტესტს ცივილიზაციისა და ურბანიზ-მის წინააღმდეგ. როგორც აღენიშნეთ, სიმბო-ლიკა იმლიერებს პოეტურ შთაბეჭდილებებსა და ადამიანთა არსებობის სრულიად სხვადასხვა მხარეთა მხატვრულ ინტერპრაციებს.

ადამიანთა ტრავიზმის ასრ. გასინლია ლექ-სში „სულთ პირობო“, სადაც იგი ამბობს: „რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსავნოდ მარტო, მქეთი ურწმუნო, გულით უნდო“...

პოეტი აღნიშნავს, რომ ცხლებრებაში ყველა-ზე არსებითია ადამიანთა ურთიერთკავშირი, ურთიერთიმპობლობა და ურთიერთგაგება.

ბარათაშვილის შემოქმედებაში მოცემულია სიყვარულის გრძნობისა და შეყვარებულის გინ-ცდების ანალიზი. პოეტი შემოქმედებითად იმე-ორებს თავისი დღი წინაპრის, გენაიდურა შოთა რუსთაველის იღებებს ამ საკითხში.

ბარათაშვილის მიხედვით ეს ემოციები აყე-თილოზობილებენ და ამაღლებენ შეყვარებულებს. მათ სულს ჭეშმარიტ-სილამაზითა და შთამა-გონებელი სინაზით მოსაყენ. იქმნება ვარე-მო უკვადებისა და მარადიული სიჭაბუქისათ-ვის; ვაგებულობთ, რომ ღამაზ სულში მოცემუ-ლია თვით უკვადება, რომელსაც ვერ მოსპო-ბენ ვერც შემთხვევითობანი და ვერც ყმთა მსკლელობა, რასაც პოეტი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ლექსში „რად მვედარი კაცია“:

„თვით უკვადება მშვენიერსა სულში  
მდგომარებს,  
მას ვერც მშვენივეა და ვერც ხანი ვერ  
დააბერებს.“

ბარათაშვილი ყურადღებას აქცევს სიყვარუ-ლის გრძნობის ორ ფორმას, რომლებიც მო-ცემულია ფსიქიკური აპარატის, სქნად მხვან-დინამიკურ დონეზე. დაბალ დონეზე სიყვარუ-ლის გრძნობას აქვს ხორციელ-გრძნობითი ხა-სიათი და ახლთა ინდივიდუალის ინტინქტურ მოთხოვნილებებთან. უმაღლეს დონეზე კი — ელინდება. ნამდვილი სიყვარული, რომელსაც ატარებს უფრო ინტელექტუალური ემოციის ხასიათს. აქ საინტერესოა ბარათაშვილის გაიციტ-ვა იმ მანდილოსანთა, რომელთაც მხოლოდ წა-რიტაციებთ ტენდენცია ვარეგნული, ფორმალუ-რი სილამაზისა, როდესაც ქალს ავიწყდება თა-ვისი ძირითადი მოქალაქეობრივი მოვალეობა და ხელმძღვანელობს შემდეგი დევიზით:

„ყანი ვავარდეს აწ შეილსაც, მამულს,  
ოღონდ ვაამით ზევის საკეთარს გულს;  
რის ქართველობა, რა ქართველობა.“

ბარათაშვილის თვალსაზრისით, ადამიანი მო-ვალეა იტრანოს ყოველგვარი შეზღუდვა და გე-საქიარი ზოგადსაკუთბრიო ინტერესებისათვის; იცხოვროს ურთიერთ ნდობით, სიმართლათა და გულწრფელობით.

ბარათაშვილი თავის შემოქმედებაში მალალო პერსონოლოგიური იღებების ზოგადსაკუთბრიო პრობლემების სიღრმის მიხედვით შეიძლება და-ვაყენოთ რუსთაველის, შექსპირის, გოეთეს და დოსტოვესკის გვერდით.

უხაბლებს რა ბრბოლას სიყალბეს, სიერეს, უხამსებებს, უნდობლობასა და შიშის სიტუ-ციას, პოეტი სახავეს ნამდვილი ადამიანური მოქმედების გვირუღ გზას, ე. ა. სულერი დას-ვენებისა და სიმშვიდის სიტუაციისაყენ მიმა-ვიღ გზას.

თუ რუსთაველი იმლევა გენიალურ დებუ-ლებას მოვლეობისა და პიროვნული სიყვარუ-ლის შესახებ, თუ შექსპირი კიცხავს სიერესა და შერს, თუ გოეთე აღიარებს წესრიგის აუ-ცილებლობის პრინციპს, თუ დოსტოვესკი გვიჩ-ვენებს დაბალი და უხამსი ადამიანის შინაარსს, თუ ტურგენევი ამტკიცებს, რომ სიმართლე მა-ღალია ჭეშმარიტებაზე, ნიკოლოზ ბარათაშვილი ხაზს უსვამს, რომ ადამიანთა შორის უნდობ-ლობის სიტუაცია და სულერი ობლობა ატრა-ნელია და საჭიროა სწრაფვა ნათელი მომავლი-საყენ.

ბარათაშვილის პერსონოლოგიური იღებვა ისტორიულად დაკავშირებულია რუსთაველის იღებებთან ადამიანის მნიშვნელობისა და დანიშ-ნელების შესახებ.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში ჩვენ ვხედავთ დიადი წინაპრის ღირსეულ მემ-კიდარეს.

ქათმ ხაჩიაშვილი

ნიკოლოზ ბარათაშვილი და სოლომონ დოდაშვილი

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაიჩინდების,  
საშვილისშვილოდ ვადაიეცემის“...

ოქროს ასოებით ჩაწერა ეს სიტყვები ნიკოლოზ ბარათაშვილმა. თითქოს ყველაზე მეტად უფლებაც მას ჰქონდა ამის თქმისა, თითქოს სხვათ ვერაფერ იტყოდა ასე ლამაზად, ასე მისებურად, რაც შთააგონა, რაც დააზნია, რა ღრმა კვალიც გაავლო მის ცხოვრებას, მის სულსა და გულს მისმა დიდმა მასწავლებელმა სოლომონ დოდაშვილმა. ეს მის მშვენიერ ლექსებსა და დიდებულ პოემაში გამოაკვეთა. ეს არის დიდი პუშკინები, დიდი სიყვარული ადამიანებისა და სამშობლოს.

აგი ვაზტანგ ორბელიანი წერდა: „ნიკოლოზ ბარათაშვილია გამოიწურანა სოლომონ დოდაშვილთან... თუ სოლ. დოდაშვილი არ ყოფილიყოს, მაშინ შეიძლება არც ნიკოლოზ ბარათაშვილი ყოფილიყოს...“ (ზ. ჭიჭინაძე, სოლ. დოდაშვილი და ნ. ბარათაშვილი).

სოლ. დოდაშვილი იყო დიდი განმანათლებელი, მოყვარული თავისი სამშობლოსი, თავისი ხალხისა, რასაც ამტკიცებს მთელი მისი ხანმოკლე, მაგრამ დიდოდ ნაყოფიერი მოღვაწეობა. სოლომონ დოდაშვილი სტუდენტობის დროს სწერდა ჰეგობარს, დამხმარესა და სულიერ მასწავლებელს იონა ზელაშვილს: „...ეცრეუ სიბრძნესა მამულისათვის... არა თვისა თაისისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ეკმეუჴკობ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე ჰკენას ივერია საშუალებითა წერილთა სარწმუნოთა“.. (ამასილები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“. 1944 წელი, ნაყ. 11, გვ. 74-75).

ასეთი კეთილშობილური მიზნები ამოძრავებდა სოლომონ დოდაშვილს სიყრმიდანვე, უდაღესი სიყვარული თავისი სამშობლოსი, რომელსაც მამინ კვირვებოდა განათლების გზაზე

გაყვანა. გამოჩენა „წერილთა სარწმუნოთა“ და ასეთი სარწმუნო წიგნი კიდევ შექმნა უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე. ეს იყო საღისერტაციო თემა „ლოდიკა“, რომელიც მამინე იქნა დასტამბული და აღიარებული.

თავისი ხალხის „განათლების გზაზე“ გამოყვანისათვის ყველაზე საუკეთესო ასპარეზი იყო სკოლა, სადაც მომავალი თაობის აღზრდა სწირმოებდა. სოლომონ დოდაშვილი განმანათლებლურ იდეებზე აღიზარდა და ასეთივე აზრებს უქადავებდა თავის მოსწავლურს. მისი აზრით: „... განათლება არის უფშტკიცესი და უსსამოდესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოველისა საზოგადოებისა; ყოველმან უწყის, რომელ საზოგადოება შემდგარა კეთილზრდილთა წევრთაგან, შეიქმნების განწმენდილს წყაროდ საერთო კეთილშოქმედებათა, დიდებისა და შემძღობისა“. (გ. თავაშვილი, სოლომონ დოდაშვილი, ა. ჭეშინოსის სახ. პედაგ. ინსტიტუტის შრ. ტ. V, 1948, გვ. 299).

უმაღლესი განათლებით შეიარაღებული, მოწინავე პროგრესული ადგებით აღჭურვილი სოლომონ დოდაშვილი ასეთივე მოწინავე აზრებით კვებავდა თავის მოწაფეებს, ჯერ კიდევ კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც შემდეგ თავადაზნაურთა გიმნაზიად გადაკეთდა. და არა მარტო მოწაფეებს, არამედ მან შემოიკრიბა იმ დროის ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი და დააარსა ლიტერატურული „წრე“, თუ საზოგადოება, რომლის შეკრებებზე კითხულობდნენ და არჩევდნენ ლიტერატურულ წარმომებებს, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილი მისი მოწაფეც იყო და მისი ლიტერატურული წრის წევრაც.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გარემო პირობებს ბავშვის აღზრდა-განვითარებისათვის. ნ. ბარათაშვილი

კი მეტიად არახელსაყრელ ოჯახურ პირობებში იყო მოქცეული. ერთი მხრივ ნაზი, მკაცრთაობა რე და კეთილი დედა მზრუნველია. მეორე მხრივ მკაცრი, სასტიკი, ანხლა, მოქვიფე და დროსტარების მოყვარული მამა, რომელმაც ისე გაყვანა მამა-პაპული ქონება, რომ შემდეგ საშუალება აღარ ჰქონდა ნიკოლოზ შვილი-სათვის უმაღლესი განათლება მიეღებინებინა.

ნიკოლოზს წერა-კითხვა დედამ შეასწავლა. შემდეგ სასწავლებელში შეხვდნენ ერთმანეთს დიდი განმანათლებელი, დიდი პატრიოტი, ტყედილოთბარის მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი და უნიჭიერესი მისწავლე ნიკოლოზ ბარათაშვილი. როგორც მისი თანამედროვენი გადმოგვცემენ ნ. ბარათაშვილის „სასწავლებელ-შივე სატრფილო ლექსებით“ მიუძღვევია ყურადღება. თქმა არ უნდა, რომ სოლომონ დოდაშვილს ეს შემთხვევა მხედველობიდან არ გამოეპარებოდა. აქ ამბობენ: სოლომონმა მასში დაინახა დიდი ნიჭი, დაიხლოვა და თავისთან სახლში იბარებდა. ალბათ იყენებდა სავაჭეთო, თუ სხვა ლიტერატურულ საქმიანობაში, რადგანაც სოლომონ დოდაშვილმა 1828 წელს ვახსნა სტამბა და დაიწყო ქართული წიგნების გამოცემა.

1828 წელს დაარსებული გაზეთის «Тиф-лиссние ведомости»-ს საგამომცემლო კომიტეტის წევრად დაინიშნა დოდაშვილი, ამავე წლის პირველი სექტემბრიდან მისი რედაქტორობით გამოდიოდა ამ გაზეთის ქართული ვარიანტი „ტფილისის უწყებანი“.

სოლომონ დოდაშვილისავე აქტიური მონაწილეობით და რედაქტორობით გამოვიდა პირველი ქართული ეურნალი „საღატარატორნი ნაწილი ტფილისის უწყებათანი“, ხოლო 1830 წელს გამოსცა თავისი შედგენილი „ქართული ენის გრამატიკა“. ამავე დროს განაგრძობდა მუშაობას ფილოსოფიის საკითხებზე, ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას და ყველა ამას ათავსებდა დიდ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ადელი წარმოსადგენა, ეს დიდი განათლებული, შრომისმოყვარე, დაუღალავი, დიდი პატრიოტი, დიდი ოპტიკორი როგორი იქნებოდა, როგორც მასწავლებელი და როგორი გავლენა ექნებოდა თავის მოწაფეებზე. თანამედროვეთა ვადმოცემიდან ჩანს, რომ მასი სიტყვები დიდ გავლენას ახდენდა ყველაზე: „მაშელო-მეიღერ გრძობებს უღებებდა. უნერგავდა მშობლიური კულტურისა და ლიტერატურის სიყვარულს“.

როგორც ზევით მოვხსენიეთ, ნიკოლოზ ბარათაშვილსაც თავის წინამორბედებზე (ა. ჰევიკიამ და გრ. ორბელიანი) სატრფილო ლექსებით დაუწყო წერა, მაგრამ დოდაშვილის რჩევითა და შეავსონებით მისი შემოქმედება სულ სხვა მხრივ წარიმართა. ადამიანს დანიშ-

ნულება და მოვალეობა, მისი ადგილი საზოგადოებაში და როლი სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლაში — აი, რა, ვახტანგ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების, თუ პარადი წერილების თემა.

სოლომონ დოდაშვილმა დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო ნიკოლოზ ბარათაშვილზე, არამედ ყველა თავის მოწაფეზე. „თავისივე შედგენილი „ქართული ენის გრამატიკით“ შეავსება მოწაფეებს ქართული ენა.

ზაქარია ქიქნაძემ აღჩივებდა სამართლიანად აღნიშნა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი და სოლომონ დოდაშვილი ერთი ეპოქის შეილება იყვნენო. და მოგვცა ამ ეპოქის საფუძვლიანი დახასიათებაც და კრიტიკაც.

უფრო მეტიც. ისინი არა მარტო ერთი ეპოქის შეილება იყვნენ, არამედ ერთნაირ სულიერ სიმართლევებს განიცდიდნენ, რაც ჩანს როგორც მათი პირადი წერილებიდან, ისე ნ. ბარათაშვილის უხადო შემოქმედებიდან.

სოლომონ დოდაშვილმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, ხალხის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აყო ვარშემორტყმული, მაგრამ საშინელი მარტოობას და სულათ ობლობას განიცდიდა, რასაც წერილობით ანდობდა და უზიარებდა თავის სულიერ მამას იონა ხელაშვილს. „მე ვახლავარ ესე ვითარსა სიმგრგულესა შინა საზოგადოებისასა, სადაცა ვერა რაასა ღისებდასა ვერ ვიხილავ, არა არს მათას სულსა შინა ქემეორტება, არამედ დანერგილ არს ყოველი ენება. არა არს მიღრცა მათ შორის სობრძინსადმი. არა არს მეცადინეობა, არა არს სიყვარული სწავლისა და სწავლელთა, არამედ ყოველი სიძულელი და მტრობა, რაა ვაკო მუნ, სადაც ვერ მომძიებთა არა რაა ღონე და საშეალობა (H-2226, გვ. 205).

ბარათაშვილი ასეთსავე მუდმივ სულიერ სიმართლევებს და სულიერ ობლობას განიცდიდა. ვეცო ერთ მის წერილს ვერა წაითხავთ, რომ რაიმე სამღერავი არ ჩანდეს სოფელსა და ესტეგულთა ადამიანებზე. მაიყო ობრელიანი-სადმი მიწერილ წერილში კეთილშობილთ: „...მაგრამ სულ ამითა ჩემთვის. ეს ღმრეც წევია, ვითა სიზმარი. კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწიწებამ. ვისაც სიზანი აქვს, ვერ იმის სიამოვნება რა არის ამ სადაველ ქვეყანაში რომ ჩემი რა იყო, რომელიც, შენც იცი, დიდი ზანაა, ობოლი ვარ, — არ დაიფერებ, მაიყო, სიციხულე მამძულეობა ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიყო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დეპიც. მრავალნი მონათესავენი და მაინც ვერავის მიკარება, მაინც კიდევ ობოლია ამ სასუქ და ვრცელ სოფელში! ვინც მალაღის გრძნობის შექონი მეგონა, იგი ვნახე უფულო, ვისაც სულ განეთარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისაც ვინება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მის არცა თუ განსჯა ჰქო-

ნია; ვისაცა ცრემლი მეგანგებოდნენ ცრემლად სიბრაღელისა, გამოაშვრულად შვენიერის სტელისა, თურმე ყოფილან ნიშანი მკებერებისა, წყეთნი საშინაო საწამლაისა! სად განისვენოს სულმა, სად მოვიდოიო თავი?... და იქვე ამ თავის სტლიერ სიმატოვეზე მწერდ ამოიძვრებს ლექსად:

„წელი არის მატობა სტელისა:

მას ვლტვიან სიამენი სოფლისა,  
მარად ახსოვს მას დაკარგვა მწუროისა,  
ოზრა არის შეება უბედურისა!...“

როგორც ვხედავთ, სტლიერი სიმატოვის გამოხატვაში კიდევ აქობა ღირსებულა მოწაფემ დიდად ღირსეულ მასწავლებელს. მაგრამ, თვით სასწრაფო კეთილბუნა ჩავარდნილი პოეტის სტლიერ სიმბნეისკენ მოუწოდებს, სანუგავში და გამაზნეებელ სიტყვებზეც კი გამოთქმების გულითად შეგობარს და კეთილად არიგებს: „... თუ ფიქრობ, ასეთს რას რეკრებ, რომ ბოლო არ ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადღური იყოს ამ წუთისოფლისა!...“

დოდაშვილი ძირითადად ყველაზე მეტ დროს პედაგოგიურ საქმიანობას ახმარებდა, მაგრამ არც ამით იყო კმაყოფილი, რადგან მის მიერ დათესილი კეთილი თესლი ნაყოფიერ ნიდაგა არა ხვდებოდა. ქართულ თავდაზნებურთა შთამომავალი მისი მოწაფენი სტლებით არ ზრუნავდნენ ცოდნის შექმნისა და საშობლოს კეთილდღობაზე, რის შესახებაც გულისწებლით უხიარებს იონა ზელაშვილს.

„...მოწაფეთა ნეტა არა აქვთ სული აღმართი და განღვივებული მისწვდნენ ქემარტისა კეთილსა და საამო აღმკობილებასა, არა აქვთ მიღრეკილება განათლებისადმი ზრახვისა, ცნობისადმი სტრეილისა და განვითარებისადმი გრძობისა. არა შესაძლებელ არსა კაცი მოიყოს სმგრეკელსა შინა ესე ვითარისა ერთასა, ნიდაცა არა იხილვების არცა განათლებულნი, არა ღონენი ანუ საშუალობანი შინისა და სიდაცა არა ისმის სათნოებანი, კაცი ესე ვითარი შესაბარალებელ არს, რომელიც ეცმთაების მაღალს რახამე და არა მხოვეს ღონესა და დროსა აღვილსა შინა“ (H-2226 გვ. 294 295).

თი რა არის გონიერი და ნიჭიერი, საშობლოს მოყვარე კაცის, დიდი პატიოების დიდი გულისწებლის მიხეზება, რომ მისი დროის ახალგაზრდობის, მის მოწაფეებს არა ჰქონდათ სტრეილი მისწვდომოდნენ „ქემარტებსა“. განათლებით აემადლებანთ თავიანთი გული და გონება. ებრალება ის პიროვნებანი, რომელთაც საშუალება აქვს „ამაღლდეს“ და „ვერა მხოვეს ღონესა და დროსა“.

ასეთი მდგომარეობის შეგნება, მართლაც, დამაღონებელი იქნებოდა სოლომონ დოდაშვი-

ლისათვის, მაგრამ მის ფარხმალი არ დეცრა. დიდი მონდომებით განაგრძობდა თავის კეთილშობილურ საქმეს, სანამ ძალით მოსწყვეტდნენ.

1832 წელს გაიხსნა ქართულ თავდაზნებურთა შეთქმულების საქმე. მოთავენი დააპატიმრეს, მოთავეებს სტვებიც, ეკვშიტიანილიც მიაყოლეს.

„... ნ. ბარათაშვილმა წინეთ შეიტყო, რომ შენ გაგხბრეკავენი. მას ბევრი ლექსები აქვდა რუსის მთავრობის წინააღმდეგ ნაწერა. იგი მიულე წაეილა სახლში... ყველა ეს ნაწერები ბუხარში შეეარა და ცეცხლს მისცა. ის იყო დანიო და გამხბრეკავენიც მოვიდნენ... სასტკიად გახბრეკეს ყველაფერი, მერე ნ. ბარათაშვილს სტვადასტვა ლექსებს უჩვენებდნენ და მკობივდნენ, რომ ეს ლექსები შენი დაწერილია? ნ. ბარათაშვილი ყველაფერზე უარს ეუბნებოდა“... (ზაქ. ქიქინაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი).

პოეტს გარჩევის დრო აღარ ჰქონდა, ყველაფერი ცეცხლს მისცა. თვითმპყრობელების წინააღმდეგ მამართილი ლექსებიც და ის სატრული ლექსებიც, რომლებითაც დასციროდა ზელისუფლების წარმომადგენლებს, მათ შორის ბარონ როზენს, და მეგობრების დახმარებით ფოსტით უგზავნიდა სახლში, რის გამოც ერთხელ უკვე დაისაგა პაგარტიონთან ერთად ვარკების დარტყმა. მიუხედავად იმისა, რომ გახბრეკის შემდეგ ვერაფერი ეუბოვს, მაინც დააპატიმრეს, ნიკოლოზ ბარათაშვილში, დაეიოხვის დროს, მტკიცედ უარყო შეთქმულებთან კავშირი და განაცხადა: სოლომონ დოდაშვილს მე ვიცნობ, როგორც უნეს მამაყვლებულს, საბუთი ვერაფერი გამოუნახეს და რაკვირის შემდეგ გამოუშვეს. თი რა არის მიზეზი, რომ 1833 წლამდე დაწერილი არც ერთი ლექსი ჩვენამდე არ არის მოღწეული.

1833 წელს დააპატიმრეს სოლომონ დოდაშვილი და აღარც ღირსება პატიმრობიდან თავის დახსნა. მაგრამ მისი აზრები ცოცხლობდნენ მის მოწაფეებში.

თანამედროვენი ამობდნენ, რომ ბარათაშვილს ვინახაშივე ჰქონდა დაწერილი „ბედი ქართლისა“ და ვინ იცის, იქნებ ბრძენი მასწავლებელი წარმართავდა მის იღერ ხელმძღვანელობას და გზადაგზა აძლევდა მითითებებს. წერილობითი საბუთები მოწმობენ, რომ რადიკალურ, რესპუბლიკურ, მოწინავე აზრებს ქადაგებდა სოლომონ დოდაშვილი. ასეთი მზრუნველი ქართლის ბედისათვის, სოლომონი იყო, რომლის აზრებითაც იკვებებოდა აზდროინდელი ინტელიგენცია და ნ. ბარათაშვილიც. როგორც მასწავლებლის გაკვეთილებზე, ისე კერძო საუბრებში, როცა მისთან სახლში მიდიოდა, ისმენდა ასეთ აზრებს და იქნებ როგორც ერეკლე მეორის, ისე სოლომონ მსაჯულის სახის სტუქმინისათვის გამოიყენა სოლომონ დოდაშვილის ნათელი გონება, მზრუნ-



ველი გული და დიდი ნიჭი, მისი მოწინავე რესპუბლიკური აზრები.

პოეტი ა. ორბელიანი აღნიშნავს: „ბედი ქართლისაში“ ანაქრონიზშია დაშვებული, სოლომონ მსაჯული ერთჯერ აღამახმამდახანის შემოსევის დროს, ბოროტი ენების ჩაგონებით, გაქვებელი ჰყავდა და ალბათ პოეტმა ეს არ იცოდათ. როგორც ა. ორბელიანმა იცოდა, ისევე ეცოდინებოდა ეს ამბავი ნ. ბარათაშვილსაც. მაგრამ მან პოემაში თავისი ზოგადიკობრივილი იდეების გამოსახატავად და იმ პერიოდის ნათელსაყოფად მეფე ერეკლე მეორე და მისი მსაჯული სოლომონ ლეონიძე ერთმანეთს დაუბირისპირა. ამით ერთმანეთს დაუპირისპირა ორნაირი აზრი, ორნაირი მიმდინარეობა საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხში. პოეტმა საკითხი დაუყენა, გაგვიცინო ორივე მიმდინარეობის მომხრეთა არგუმენტები და გადაჭრა არა მარტო თავისი ეპოქის შესატყვისად, არამედ შემდგომი ეპოქებისთვისაც პროგრესულად და საპროგრამოდ.

არის სხვადასხვა მოსაზრებანი, ხომ არ ეწინააღმდეგება „საფლავი მეფის ირაკლისაში“ გამოთქმული აზრები „ბედი ქართლისაში“ დასმულ საკითხებსო. ჩვენი აზრით, ისანი ერთმანეთს ავსებენ და სრულყოფენ, ისე რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხში ბარათაშვილისა და სოლომონ დოდაშვილის აზრებიც ერთმანეთს ემთხვევა. სოლომონ დოდაშვილის მოსაზრებები გამოთქმულია ერთი მხრივ ამისადმი მიწერილ წერილში:

„...ვეშაბატად გამოთქმულ არიან ზომანი კეთილდღეობათანი, რომელნიც მოჰქონა ქვეყანას ზედა ჩუქმსა დასულებლან ერთმთავარმან ჩუქმან, რომელსაცა სერს, რათა მხოლოდ ვინსარგებლოთ ჩუქმს კეთილობითა მისითა განვიანთლით გული და გონება, რომელიცა არს დაწყება ბედნიერებისა ჩუქმისა.“ (მ. გოცაძე, ქართული ეთნოლოგიის ისტორია, გვ. 182).

ხოლო მეორე მხრივ, ეს აზრი „ლოლიის“ წინასიტყვაობაში ასეა წარმოდგენილი.

„მას შემდეგ, რაც რუს მეფეთა ბრძნული მმართველობის მზემ ძველი კოლხეთის პორი-ზონტი გააცისკროვნა, წესრავისა და კეთილდღეობის შუქი საგრძნობლად ვრცელდება კავკასიის ევროპულ ქვეყანაში.“ (გ. გოზალი-შვილი, 1832 წ. შეთქმულება, 1935 წ. ტ. 1, გვ. 591).

თითქმის ასეთივე მოსაზრება გამოთქვა ნიკოლოზ ბარათაშვილმა პოეზიის ენით, უფრო ლამაზად ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“:

„სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰქოლობდა ქართველი,  
მუნ სანშვილობო მოქალაქის მართავს აწ ხელი...“

ხანგრძლივი ომებით მოღლილ საქართველოს ეპირველობა მშვიდობა: ეს მოთქმანა რუსთა მდარველობამ. ეპირველობა გააოფუნება და ევეც რუსეთის გზით შემოვიდა. სოლომონ დოდაშვილის აზრით რუსეთთან კავშირი საქართველოს „ევროპული განათლებულობის საფუძურზე იყვანდა“.

საქართველოს შეილებიდან ბირველმა სოლომონ დოდაშვილმა მიიღო ევროპული განათლება. ზემო მღალარელი გლეხის შვილმა დიდი ნიჭითა და შრომის მოყვარეობით გაიყვლია გზა მეცნიერებისაკენ და თავისი დიდი ცოდნა თავის ხალხის კეთილდღეობისათვის სურდა მოეზარებინა. ამხარდა კიდევ, სანამ შესაძლებელი იყო, ამას ხელავდა მისი მოწაფე, მისი ეპოქის ღირსეული შვილი ნიკოლოზ ბარათაშვილი. აქ ამიტომ აღმოხდა გულიდან:

„ეთმ-ეთობაბით გარდახვეწილთ შერთ  
შეილთ მიდამო  
მოიქვეთ მამულში განათლება და ხმა  
სამაო...“

მამასადამე, ამ საკითხშიც ერთმანეთს ემთხვევა დიდი მასწავლებლისა და მისი ღირსეული მოსწავლის აზრები. დოდაშვილი ზედააღმდეგ იმ სიკეთეს, რაც შეერთებას მოჰყვია და სიივესაც, ამიტომ ვანაცხადა გამოჩიების დროს: „უამარვე კეთილმოქმედებანი ანახალერებენ ყოველგვარ ჩვევრა შევიწროებასო.“

ეს აზრები შემდეგ სამოციანი წლების მოღვაწეთაგან ილია ჭავჭავაძემ ასე ჩამოაყალიბა: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ზღვამდინელობა გაგვიწია წარმატების გზაზე და ზემოქმედება იქონია ყოველ მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავტორგვიანობა. რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგიღო კარი განათლებისა...“ დიდმა ილიამ ამ შეერთებაში გამოუღიწილ ცუდ და კარგ მხარესაც შეტად შესაფერი სიტყვა მიუსადაგა: ავტორგვიანობა. ავში რა იგულისხმებოდა და კარგში რა? ეს უკვე ყველსათვის ცნობილი გახდა. არც ილიას გამორჩენია ის მოვლენა, რომ საქართველოს მშვიდობა ეღირსა „...ამ ღირს-სასხივარ დღიად საქართველომ მშვიდობა მოიპოვა, შიში მტრისა ერთმორჩმუნე ერის მდარველობამ გაფანტა. დაამშვიდა დიდი ხნის დაუმშვიდებულა დადილი ქვეყანა, დაწყნარდა აყლებასა და აობრებისაგან...“

ასე წარმოგვიდგება ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სოლომონ დოდაშვილის სულიერი და შემოქმედებითი ნათესაობა, მათი აზრებისა და შეხედულებების დამთხვევა. აქედანვე უნდა მომდინარეობდეს პოეტის შემოქმედების ფილოსოფიური სიღრმე.

სოლომონ დოდაშვილმა საშვილოშვილოდ გაი-  
დასცა თავისი აზრები თავის მოწაფეებს და ასო-  
ნი განაგრძობდნენ ეკლიანი გზით სიარულს.  
სოლომონ დოდაშვილის მოღვაწეობის დროს  
ცოტა ხანს გამოცოცხლებული საქართველოს  
კულტურული ცხოვრების მაცისციემა შეთქ-  
მულთა დახატობების შემდეგ ისევ ჩაკედაო,  
იფიქრებდა ადამიანი, მაგრამ ნიკოლოზ ბარათა-  
შვილის შემოქმედებაში პპოვად დიდებული ასახ-  
ვა მისმა ეპოქამ და შემდეგ ისევ დავიწყებას  
მიეცა დიდი მასწავლებელი სოლომონ დოდა-  
შვილიც და მისი უხადო ნიჭით შექმული მოს-  
წველე ნიკოლოზ ბარათაშვილიც. მაგრამ ეს  
დიდხანს არ გავრძელებულა.

სამოციანი წლების მოღვაწეებმა ილია ჭავ-  
ჭავაძის მეთაურობით, კვლავ ააღიერეს გამო-  
ღვივების ცისკრის ზარები და დიდებათ შე-  
მოსეს, გააცოცხლეს და შთაშობალობას სამო-  
გალითოდ გადასცეს მათი სახელები ცივი ქართ-  
ველი ხალხის კეთილდღეობისათვის იღწოდა.  
ვერც სოლომონ დოდაშვილის და ვერც ნი-  
კოლოზ ბარათაშვილის სახელები ვერ გაიმეტეს  
დასავაფიყებლად, ერთის ღვაწლიც და მეორისაც  
დროშად ააფრიალეს და წინ წაიძლიერეს.

აქ ილია ჭავჭავაძე „დროების“ ათი წლის  
თავისადმი მიძღვნილ შეკრებაზე აღნიშნავდა:  
„...სამართალი ითხოვს, რომ ყველას თავისი  
მიუხედავად, თუმცა იმ დროშაზედ, რომელზედაც  
უფ. ს. მესხმა მოიხსენა, ეხლანდელთა „დრო-  
ების“ მოღვაწეთა, თავის მიმართულება ზედ  
წააწერეს, მაგრამ თითო დროში კი მემკვიდრე-  
ობით გვაქვს გადმოცემული განსვენებულის  
სოლომონ დოდაშვილისაგან, გიორგი ერისთავისა-  
გან, საუკუნოდ იყოს ხსენება მათი ჩვენში“...  
(„დროება“ 1876 წ. № 74).

ასეც ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებასა  
და მოღვაწეობაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, არ  
შეიძლება გვერდი ავუარათ ბარათაშვილისა და  
დოდაშვილის სულიერსა და შემოქმედებით  
ნათესაობას. არ შეიძლება არ გავხსენოთ ერთ  
მშვენიერი ლექსი „ხმა იღვმალა“, რომე-  
ლიც პოეტის დაუწერია 1836 წელს. ცნობილია,  
რომ 1836 წელს ვიატკაში გადასახლებაში კლე-  
ქით დაიღუპა საქართველოს საეკლესიო შვილ-  
თაგანი, ბარათაშვილის მასწავლებელი სოლო-  
მონ დოდაშვილი. ვინც გულისყურით წაივი-

თხავს და კარგად ჩაუყვირდება, მიხედვით, რომ  
ამ ლექსში გამოხატული სვედა გამოქმნილ  
უნდა იყოს იმ მწუხარებისა, რასაც გამოიწვევს  
და პოეტში სოლომონ დოდაშვილის გადასახ-  
ლებაში დაღუპვის ცნობა.

აქ ყოველი სიტყვა გაყვანილია სვედა-  
წიხილით:

ვისი ხმა არის ეს საყურელი?

რად აქვს გულს ესე ჩემი ნალექი?

იქნებ პოეტს ისევ თავისი მასწავლებლის  
ხმა შემოესმა. და ეს დიდი ნალექი ჩემად უნ-  
და გადაეტანა იმიტომ, რომ ვისი ხმაც ესმოდა,  
მის სახელს ხმაშალა ვერ ახსენებდა, მაგრამ იმ  
განვილოდ დროზე წიხილსაც ხომ ვერ დაუშ-  
ლიდნენ:

...რა ჯესან პირველად წუთისოფელი,  
დაეშთე ადგალი, სადაცა წრფელი  
რბოდა ნათლად დრო უმაწილობის,  
პსუორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის...“

ამ მეგობართ შორის იქნებ გულისხმობდა იმ  
მასწავლებელს, რომელიც უწინასწარმეტყვე-  
ლებდა სულ სხვა „ხვედრს“ პოეტისას და შე-  
მოქმედისას. მოწოდება სულ სხვის „უქაღდა“,  
მინაგანი ძალიბიუ შესწევდა ქაღილისა, მაგრამ  
სულ სხვა იყო გარემო პირობები. ამიტომ ამ-  
ბობს გულდაწყვეტილი:

„მაგრამ შე მხვედრსა ჩემსა ვერ ეპოვებ  
და მით კავშანს ვერღა ვიშორებ...“

და ვეღარც მიიშორა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელსა  
და მოსწავლეს დასასრულიც ერთიანია ჰონ-  
დათ. ორივენი ახალგაზრდები, სიცოცხლითა და  
ნიჭით სავსენი, უდროოდ დაიღუპნენ უკულ-  
მართი დროის წყალობით. სამშობლო მიწაზე  
არცერთს არ ეღიროს სამარე და მშობლიური  
ცრემლი.

ერთს ვიატკის ციემა მიწამ უყო პირი 31  
წლის ასაკში და მეორე განჯის მიწამ ჩაყალბა  
27 წლის ასაკში. ორივენი შემოქმედები-  
თი გაფურჩქნებისა და აყვავების პერაოდში  
იყვნენ. აქაც აჯობა პოეზიამ ფილოსოფიას —  
მოწაფემ მასწავლებელს.

გ.გოზალიშვილი

## 1832 წლის შეთქმულება და რუსეთის ლიბერალური მოძრაობა

საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის ისტორიის შესწავლაში თვალსაზრისით ადგილი ვაჩვენებთ 1827-32 წლების მოძრაობას, რომელიც წაყოფიდა, ერთის მხრივ, რუსეთის ცარიზმის მიერ საქართველოსადმი დამოკიდებულებით შექმნილი პოლიტიკური სიტუაციისა; მეორე მხრივ, საქართველოს შიგნით სოციალურსა და ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი საფუძვლიანი ძვრებისა და მესამე მხრივ, იმ დროის დასავლეთ ევროპასა და განსაკუთრებით კი თვით რუსეთში გაცხოველებულ

<sup>1</sup>. ეს წერილი დაწერილია 30-ზე მეტი წლის წინათ. ჩემი მიზანია იყო უპირატესად შეთქმულების მასალათა საფუძვლებზე, აგრეთვე რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთ მომენტზე მითითებით, შეჩვენებინა ის შესაძლებელი კავშირი, რომელიც რუს და ქართველ მოწინავე საზოგადოებრივ წრეებს შორის უნდა არსებულებოდა, წარმოგვიჩინა ის გავლენა, რომელიც შეიძლება მოახდინა რუსეთში გახლებულ ლიბერალურ მოძრაობას ქართველთა შეთქმულებაზე. ნარკვევა, ამ თვალსაზრისით, საგულისხმო გამოდგა.

როგორც 1832 წლის შეთქმულებასა და მის მონაწილეთა, ისე თვით რუსეთის იმ ეპოქის ისტორიის შესახებ ბევრი რამ დიდიწერა, მაგრამ მე თავიდანვე დასახული მიზნის ღაჩაგვლებში ვრჩები და თავს ვერ ვიძებ ამ მნიშვნელოვანი ლიტერატურის მიმოხილვას, თუნდაც იმით, რომ უკვე დიდ ხანია მე სულ სხვა პრობლემებზე მუშაობითა ვარ ვართული და საქარო დრო და მოცალეობა აღარ მაქვს. ახალგაზრდა მკვლევართათვის კი მოხიერი სარბიელთა მომზადებელი და მათ შეუძლიათ ნაკოფიერი საქმიანობა გაახალს.

ლიბერალური მოძრაობის უშუალო გავლენისა, როგორც ცნობილია, რუსეთ-საქართველოს შორის 1783 წ. დადებული ტრაქტატით უნდა უზრუნველყოფილიყო საქართველოს დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა რუსეთის მფარველობის ქვეშ. საქართველოს მესვეურთ სჯეროდათ, რომ მეფის რუსეთთან კავშირში და მისი მფარველობის ქვეშ, იგი სახელმწიფოებრივ სუვერენობას შეინარჩუნებდა. ამიტომ ადვილი ვასაგებია, თუ რა დიდად უნდა ყოფილიყვნენ ქართველები გულგატეხილი 1801 წლის მანიფესტით, რომლითაც საქართველო, როგორც უბრალო რამ პროვინცია, რუსეთთან შეერთებულად ცხადდებოდა.

ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას სიცოცხლის უნარის მქონე ხალხი ვერ შეუძლებდა და ქართველებისათვისაც ადვილი არ იყო სახელმწიფო დამოუკიდებლობაზე ხელის აღება.

მეცხრამეტე საუკუნის პირველი მესამედი სავსეა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ეპიზოდებით, რომელთა შორისაც თავისი განადიდებულობითა და ხალხურობით შესანიშნავი არიან: 1802-3 წლ. მოპარობა როგორც ქართლ-კახეთში, ისე იმერეთში; 1804 წლის მთიულეთის ცნობილი აჯანყება; კახეთის ამბოხება 1812 წლ. — ეპიზოდი ფრიად საინტერესო, რომელშიც გადახართულია ეროვნული თავისუფლებისათვის და სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლის მომენტები; 1820 წლის იმერეთის აჯანყება და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ ბრძოლებს უფრო ეპიზოდური, სტიქიური ხასიათი ჰქონდა; ორგანიზაციულობა მათში ნაკლებად მოხანს. მაგრამ თანდათანობით გაჩნდა შეგნება.

რომ შედეგი მხოლოდ ერთიან, ორგანიზებულ. შეგნებულად მომზადებულ მოქმედებას შეიძლება მოჰყვას. ამგვარი შეგნების შედეგია სწორედ 1832 წლის შეთქმულება, რომელიც ემარალელება ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ სბვა ერების მსგავს შემთხვევებში მოქმედებას.

შეფის რუსეთის კაბიტალს, რომელიც ახალი ბაზრებისა და ნედლეულის ხელში ჩაგდებასაკენ ისწრაფვოდა, დიდი ხანია თავისი მტაცებლური თვალი ეჭირა კავკასიასა და ამიერკავკასიაზე, როგორც ისეთ პლაცდარმზე, სადა გაპარების შემდეგაც მას (კაბიტალს) შეეძლო თავისი ველური ბრძკვალები აღმოსავლეთში უფრო შორსაც მოეფათოებინა.

ასეთი მიწრაფება უკანახებდა რუსეთის ცარიზმს აღნიშნული მხარეების დაპყრობას, როგორც ისეთი მხარეების, რომლებსაც შეეძლო დამპყრობელისთვის მრავალი სიკეთე შეეთავანა, როგორც თავისი ბუნებრივი სიმდიდრებით, აგრეთვე თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, განსაკუთრებით ამიერკავკასიას. — წარმოადგენდა რა იგი მთავარ მაგისტრალს ევროპასა და აზიას შორის ურთიერთობისათვის, აღნიშნული სიკეთენი კარგად იყო გათვალისწინებელი და ამიტომაც რუსეთის კაბიტალი ბეჭითად და სისტემატრად ცდილობდა დაპყრობას, მიუხედავად უამრავი მსხვერპლისა, არ ურიდებდა რა არაფითარ საშუალებებს დაახელი მიზნის მისაღწევად.

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მყოფ პოლიტურ-ეკონომიურ ერთეულთან მხოლოდ საქართველო წარმოადგენდა სახელმწიფოებრივ ბრჯანახმს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. იგი ამავე დროს ყველაზე უფრო კულტურისანი იყო იმ საზანოთა შორის, რომლებშიც მას ირგვლივ ეხვია, და რომელიც მუსულმანურ სარწმუნოებას აღიარებდნენ. პირველი მახვილი სწორედ საქართველოსაკენ იქნა მიმართული.

საქართველოში ისევე, როგორც რუსეთში, მართლმადიდებლურა ქრისტიანობა იყო გაბატონებული, რელიგიური მომენტი ცარიზმს ავნებტებმა მავსიმადურად გამოიყენეს, რისაც საქართველოს ირგვლივ შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა: თვით ქართველი ხალხის იმ დროინდელმა მუსვეურებმა საგარეო ორთენტაციის საკითხი რუსეთის სასარგებლოდ მეტწილად (თფიციალურად მაინც) ამ ერთმორწმუნეობის გამო გადასწყვიტეს, მისივეს რა მას უზარატესობა მუსულმანური (ირანული-თურქული) ორიენტაციის წინააღმდეგ. იმ იმედით, რომ ერთმორწუნე დიდა ერთ ასეთივე პატარა ერის მიმართ მშობლურ მზრუნველობას გამოიჩენდა. ამ მაკდური გარემოების წყალობით, მეტად გაუადვილდა რუ-

სეთის ცარიზმს ამიერკავკასიაში ფეხის მოკიდება. საქართველოს საგარეო ორიენტაციის ზემოლანიშნულ გუნს შედეგად მოჰყვა საქართველოს სამეფოსა და რუსეთის იმპერიის შორის 1783 წლის ტრაქტატი, რომლის ძალითაც საქართველო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შედიოდა, უკანასკნელი კი ვალდებული იყო დაეცა საფარველს ქვეშე შესულის სახელმწიფოებრივი სუვერენობა. მაგრამ ტრაქტატის პირობები ძალიან უფერული აღმოჩნდა და უკვე 1801 წლის ენფთესტით საქართველო რუსეთის იმპერიის ერთ შემადგენელ ნაწილად გამოცხადდა. ამ გარემოებამ დიდი სასოწარკვეთილება გამოიწვია ქართველებში და განსაკუთრებით კი იმათში, რომელნიც რუსეთის ორიენტაციის მომხრე და ხელის შემწყობი იყვნენ.

ეს შეიქმნა, აგრეთვე, საბაბი იმისათვის, რათა რუსეთის ორიენტაციის მოწინააღმდეგეხე აქტიურად მოქმედებულყვნენ.

მართლაც, მთელ საქართველოს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთში, ფართოდ მოედო ეროვნული დამოუკიდებლობის დასაცავი მოძრაობა.

ამ სურათის გასათვალისწინებლად საჭიარისია თუნდ ერთ ოფიციალურ დოკუმენტს მოვეხსინათ. იმერეთში მყოფი რუსეთის ელჩი სოკოლოვი გენერალ ლახარეცს წერილით ატყობინებდა: „შეფე სლომოწნი, უარს ამბობდა რა მისი იმპერატორობითი უმადლესობის მოთხოვნაზე, ცდილობდა, თუმცა მწუხარებით, წარმოეკვინა ჩემთვის, მისი აზრით, ამ დაბრკალებას ფრიად დამარწმუნებელი მიზეზები, ნამდვილად კი უმთავრესი მიზეზი მისი ჭიუტობისა არის მისი შვიდრო კავშირი ბაგრატიონთა ზრახვებთან, რათა განათავისუფლონ საქართველო რუსეთის ქვეშევრდომობისაგან და განახლებულ საშეფოში ტახტზე ბატონიშვილი იულონი აყვანონ. იმერეთში მყოფ იმ პართა დარწმუნებით, რომელთაგანაც მე ეს ცნობები მივიღე, ამ საქმეში დიდ მონაწილეობას იღებენ განსვენებულ ერკველ შეფის შვილიც და მისი ძე ბატონიშვილი ვახტანგი, აქეთ მიწერმოწერა იმერეთში გადახვეწილ ბატონიშვილებთან და თვით შეფსთან, რომელიც ცდილობდა რა ყოველი ღონისძიებით მოქმედებას, გააპარა ალექსანდრე ბატონიშვილი ყველა მეზობელ აზიელ მფლობელებთან ღია წერილით. რომელშიაც მისი უმადლესობა მოწოდებს რა ამ მფლობელებს შეერთებული ძალებით რუსეთის ჯარზე თავდასმისათვის საქართველოს სამეფოს აღსადგენად, და ახალციხის ფაშას სოხოცს რა დაბმა.

1 იმერეთის შეფე.  
2 1800 წ. მოძრაობის შემდეგ, ბატონიშვილები: იულონი, ჯარნაოზი და ალექსანდრე იმერეთში გადავიდნენ.

რებას ლეკების საშუალებით, — აღუთქვამო ყველა მათ მისგან დამოკიდებულ ყოველგვარი დახმარების აღმოჩენას. ახალციხის ფაშამ კი აღუტრეა ბატონიშვილი ალექსანდრე მსგავსივე, სულთანის ყალბი ბეჭდით დაბეჭდილი ბარათითი, რომლითაც, ეითომც და თავი სულთანის საჩელით, აღუთქვამს ყველა ზემოხსენებულ აზიურ სამფლობელოების თურქთა ქარებითა და პორტაზე<sup>1</sup> დამოკიდებული ყოველგვარი შესაძლებლობით დახმარების აღმოჩენას.

საქართველოს ტახტის აღსადგენად სამეფო სახლის ყველა წევრთა შეთანხმების მიზნით, დიდი ხანია რაც ნათესავთა მოხილვის საბაბოა საქართველოში იმყოფებოდა ეინშე თავადი სოლომონ ლეონიძე<sup>2</sup>, რომელსაც თანა ჰქონდა იმერეთის მეფის წერილი კახელ და ქიზიყელ თავადთაძენ, რომელშიც მეფე აცნობებს რა თავის მოღვაწეობას მათ სასარგებლოდ ალექსანდრე ბატონიშვილის საშუალებით, ურჩევს მათაც, რომ ამ გზას დაადგენ, თუმცა მეფემ წარმოადგინა მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის მას იმპერატორის წინადადებაზე დათანხმდეს, მაგრამ ეს მხოლოდ ემპაერო ხრიკია და თუმცა მისმა უმაღლესობამ ინება ეთქვა ჩემთვის, რომ მისი იმპერატორობითი უმაღლესობის საპასუხო სიგელს შესადგენად თავისი მდივანი, რომელიც საკუთარ საქმეებზე თბილისშია წასული, — დანიბა, მაგრამ ამის ნაცვლად მეფე თავის მოქმედებას უთანხმებდა იმერეთში მყოფ ბატონიშვილთა საქმიანობას, რომლებმაც, როგორც მე ეს ვადმოძიე, ჩემს იმყოფნის დროს დასტოვეს ქუთაისი, მიუახლოვნენ ქართლის საზღვარს და იმყოფებოდნენ სურამს, სურამიდან 40 ვერსის დაშორებით, — და აშკარად მიიღეს რა დამაკმაყოფილებელი პასუხი ალექსანდრე ბატონიშვილისაგან, ერევანის ხანისა და ახალციხის ფაშისაგან, აგრეთვე საქართველოდან დაბრუნებული ემისარ სოლომონ ლეონიძისაგან გაიგეს რა ამაზე კახეთსა და ქიზიყში მომხდარი აქტუალობის შესახებ, — რამაც თავიანთ მისწრაფებათა განხორციელების იმედი დაუბადა — მეფემაც მისი იმპერატორობით უმაღლესობის სურვილის აღსრულება აღარ თუ ინება.

ამასთანავე, როგორც დამარწმუნეს, მეფე სოლომონმა, ეითომდა იმ საბაბით, რომ მისი საკუთარი მხედრობა არ იქნება საქმარისი დადიანის დასამორჩილებლად, რომელთანაც ის ომს აწარმოებს, მოიწვია 1700-მდე ლეკი იმ განზრახვით, რომ ისინი მოიხმარონ იერული და ფარნაოზ ბატონიშვილთა საქართველოზე გასაღწეველად დახმარებისათვის, რომ ლეკები მეფემ

მართლა მოიწვია, ტყელი არ უნდა იყოს, რადგან ამ თვის 9-ს, როდესაც მეფესთან უკანასკნელი აღდგენილი ჰქონდა, ნამდვილად ენახე კარისკაცთა შორის ლეკთა ოთხი წინამძღოლი, ხოლო მიღებული ცნობების თანახმად, იმ დღით ქუთაისში მათი პირველი პარტია 500 კაცისაგან შემდგარი, უკვე მოვიდა და ორი დღის განმავლობაში კიდევ 1200 კაცს ორ პარტიად მოეღიან. ახალციხის ფაშამ კი, თუ ხმებს დაუჭერებთ, მისცა თავმესაფარი თავის სოფლებში ათასი კაცისაგან შემდგარ ლეკების პარტიას მთელი მომავალი ზამთრის გასატარებლად, ყაჩაღს ფეშის თავდასხმისაგან თავდაცვის საბაბით, რომელიც ეითომდა მზედ გალაშქრებას აპირებდა<sup>3</sup>.

მეფე საქართველოს სამეფო საგვარეულოს წევრნი რუსეთს იქნენ გადასახლებულნი. რუსეთის ცარხში მაგრად ჩასვიდა კანცლები საქართველოს ორივე — აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს. საქართველოში რუსული მმართველობა იქნა შემოღებული. ამით სპობოლოდ გაიფანტა 1783 წლის ტრაქტატის ილუზიები და ვაჩნდა სურვილი 1801 წ. მანაფესტით დათარგუნული სუვერენობის კვლავ აღდგენისა.

ეს აზრი თანდათან შეიფუტებოდა და 1800-იანი წლებიდანვე პრაქტიკულად განხორციელების გზაზე შესდგა, მაგრამ უშედეგოდ. 1825 წლებიდან ვაჩნდა შეგნება, რომ ასეთი მიზნის მიღწევა ისეთი პარტიკულარული მოძრაობის გზით, როგორც იყო საქართველოს სხვადასხვა ეტაბში მომხდარი აჯანყებები შეუძლებელი იყო. საქირო ვახტა ბრძოლის ახალი, დროისა და ძალთა განწყობილების მიხედვით შეფარდებული, შეთოდის არჩევა.

საქირო იყო არა მხოლოდ საგარეო ფაქტორებისათვის ანგარიშის ვაწევა, არამედ აგრეთვე თვით საქართველოს მოსახლეობის შიგნით მომხდარი ცვლილების გათვალისწინება (ძალთა კონსოლიდირების მიზნით). 1819 საუკუნის დამდეგს საქართველოში ათეული საუკუნის მანძილზე გაბატონებული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ფორმა ძირიან-ფესქვანად შერყეული იყო, ხოლო რუსეთის გზით შემოჭრილმა კაპიტალმა მას განამადგურებელი ლახვარი ჩასცა.

შერყეული ეკონომიური ცხოვრების ნიადაგზე წარმოიშვა ერთი მხრით ბრძოლა ფეოდალებს შორის მეტი ეკონომიური რუსერსების საკუთარ ხელში ჩაგდებასათვის, ხოლო მეორეს მხრივ ბრძოლა გლეხობისა ფეოდალთა წინააღმდეგ. ამასთანავე საზოგადოების მოწინავე ნაწილში დაიბადა ძველი ბატონყმური ურთიერთობის ახალი ფორმით შეცვლის საქიროების

<sup>1</sup> პორტა — თურქული.

<sup>2</sup> ერეკლე მეფის ცნობილი კანცლერი სოლომონ ლეონიძე, რომელიც, აგრეთვე, იმერეთში იყო გადახვეწილი და რომელიც რუსეთის ორიენტაციის მოწინააღმდეგე ჯგუფში იყო.

<sup>3</sup> С. Константинов, «Исторический очерк владычества русских за Кавказом», т. I, гл. 465 — 462, 1845 წ. ხელნაწერი დაკულია საქ. ცენტ. არქივში.

შეგნება... და ეს უკანასკნელი მომენტი სათანადოდ აფერადებს 1832 წლის შეთქმულებას.

1832 წლის შეთქმულების წარმოშობაზე ძალიან დიდი გავლენა მოიტანა იმ ლიბერალურ განმთავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც ამ უპოკის დამახასიათებელია როგორც დასავლეთ ევროპის, ისე რუსეთის იმპერიისათვის: განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ შტაბე თვით საკუთრივ რუსეთის სინამდვილეში არსებულ ვითარებას.

რათა ჩვენთვის ნათელი იყოს აღნიშნული ვითარება და გავვიადვილოდეს 1832 წლის შეთქმულების მასთან ურთიერთობის დადგენა, ამისთვის საჭიროა რამდენიმე მომენტი მაინც აღვნიშნოთ რა შინაარსისა და ხასიათისა იყო ის ლიბერალური მოძრაობა, რომელიც რუსეთის მეცხრამეტე საუკუნის პირველ მეოთხედთან ცხოვრებას თან ახლავს და ლიბერალურ მოძრაობას სათანადოდ კოლორიტსა და მიმართულებას აძლევს. თუ რუსეთში არსებული ვითარება არ გაითვალისწინებთ, თუ ანგარიში არ გავწიეთ მის გავლენას საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას მომდინარეობაზე, — ჩვენთვის როგორც 1832 წლის შეთქმულება, ისე საქართველოს ისტორიის ბევრი თავსახინო მომენტი გაუგებარი იქნებოდა.

ამხანაგები სტილით, ედანივით, კიროვით სსრკ ისტორიის სახელმძღვანელოს კონსპექტის გამო შენიშვნებში სწერენ: „კონსპექტი არ ასახავს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ რევოლუციურ და სოციალისტურ მოძრაობათა როლს და გავლენას ბურჟუაზიულ რევოლუციურ მოძრაობისა და პროლეტარულ სოციალისტურ მოძრაობის ჩამოყალიბებაზე რუსეთში. კონსპექტის ავტორებს, უეჭველია დაეიწყებათ, რომ რუსეთის რევოლუციონერებს თავისი თავი მიანიღდათ დასავლეთის ბურჟუაზიულ რევოლუციური და მარქსისტული აზროვნების ცნობილი კოროფები შეგირდობდა და მიმდევრებდა“. აქვეა გამოთქმული საუვედური, რომ „კონსპექტში არ არის ასახული „ცარიზმის მიერ დაპყრობილ რუსეთის ხალხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობის პირობები და სათავეები, და ამრიგად, უქტომბრის რევოლუცია, როგორც რევოლუცია, რომელმაც ეს ხალხები ნაციონალურ ჩაგვრისაგან განათავისუფლა და უსახბუთებელი რჩება, ისე როგორც დაუსახბუთებელი რჩება სსრკ კავშირის შექმნაც“.

ჩვენ აუცილებლად კარგად უნდა ვიცოდეთ საქართველოში ბურჟუაზიულ-რევოლუციური და ლიბერალურ-განმათავისუფლებელი იდეების გავრცელების გზები.

საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციამ მუხივით იქცა ევროპის კონტინენტის საადროდ გამზადებულ ცაზე და საბაბი მისცა იმ გრივად, რომელმაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის სახით იმ დროინდელ ევროპის სახელმწიფოებს თავს გადაუარა და რომლის

ჭროვაც ნაბეგარ საუკუნეზე მეტს გრძელდებოდა. ლიბერალური განწყობილ საზოგადოებაში ჯერ აღმოცენდა ე. წ. მასონტობა ლოკები, რომელთა მიზანიც იყო ხალხში სწავლა განათლების გავრცელება და ამ გზით, რევოლუციის აუცილებლობის შეგნების განმტკიცება. მერე შეიქმნა სრულიად საიდუმლო, აშკარად პოლიტიკური იერის, საზოგადოებანი, როგორც იყო გერმანიაში „Tugendbund“ და რუსეთში „Союз Спасения“, რომელსაც 1817 წლიდან ეწოდა „Союз Благоденствия“ და რომელმაც თავის წესდებად მიიღო „Tugendbund“-ის წესდება იმ განსხვავებით, რომ მასში გამოტოვებული იყო გლეხთა განათავისუფლება ნაკვეთი. Союз Благоденствия ორი ფრაქციისაგან შეესდგებოდა. ერთი იყო Северное общество რომლის ცენტრიც პეტერბურგში იმყოფებოდა და რომელსაც შემდეგში კონდრატი რილევი მეთაურობდა.

მეორე იყო Южное общество რომელიც უკრაინაში მოქმედებდა და რომელსაც ენერგული პესტელი მესვეურებოდა.

როგორც გერმანული Tugendbund-ის, ისე რუსული Союз Благоденствия-ს წევრები იყვნენ ამდროინდელი საზოგადოების ნიჭიერი, განათლებული, შემოქმედებითი უნარის მქონე, უმოაზრესად, ახალგაზრდები.

თუნდაც იმის თქმაც იკმარება, რომ Союз Благоденствия-ს ერთ-ერთი აქტიური წევრი და მისი წესდების ავტორთაგანი იყო ცნობილი რუსი მწერალი ვ. ტურგენევი, რომელიც თავგამოდებული მოძრე იყო გლეხთა განმათავისუფლების, რომელსაც დეკარისტებთან ერთად სიყვლით დასჯა გადაწყვიტეს, მაგრამ შემდეგ რუსეთიდან საშუალოდ გარეხებით შეეკავალეს, და რომელმაც 1864 წ. 19 თებერვლის მანიფესტის გამო, პარიზის რუსულ საელჩოს ეკლესიაში დანიშნულ პარკისისზე, პაბუციეტი მიიბრინა და გზა დასაღებით ჩამოშინარე სიხარულის ცრემლებით მოიწყო. [ამ საიდუმლო საზოგადოებების აღმოცენების საზოგადოებრივი საუფქლო რუსეთში შემდეგი იყო: „რუსეთში საიდუმლო საზოგადოებათა აღმოცენება ალექსანდრე I-ის დროს ახსენება რუსეთის ინტელიგენციის განწყობილებით, რომელიც უქმეყოთილი იყო არსებული პოლიტიკური და სოციალური წყობით, მთავრობის დონისმივებებით როგორც შავნით რუსეთში, აგრეთვე საკარეო პოლიტიკით. თანამედროვე ცხოვრების უარყოფითი მხარეებისაღმი შეგნებული დამოკიდებულ-

1 И. В. Семеновский, Очерки из истории политических и общественных идей декабристов, жж. 58, და შეშელ., Л. Кульчицкий-Мазовецкий, История русского революционного движения, С-Петербург, 1908, жж. 34.

ბის ვალეიტება შედეგი იყო საზღვარგარეთ ლაშქრობების დროს დაკვირვებებისა, აღზრდის ვალენისა, ლიტერატურულ ნაწარმოებთა კითხვისა, საიდუმლო საზოგადოებათა გავლენისა, დასავლეთ ევროპაში მიმდინარე რევოლუციურ მოძრაობათა გავლენისა<sup>1</sup>. ევროპის გავლენა ამ მხრივ მეტად დიდი იყო. დეკაბრისტი იაკუშინი თავის მოგონებაში სწერს საზღვარგარეთის ლაშქრობაში მყოფ რუს ოფიცრებზე: „მთელი წლის განმავლობაში ვერმანიაში, შემდეგ კი რამდენიმე თვეს საფრანგეთში უთფნას არ შეეძლო არ შეეცვალა შეხედულებანი ახალგაზრდებისა, ვისაც კი ცოტადენი აზროვნების უნარი გააჩნდა; ასეთ უზარმაზარ ვითარებაში თვითეული წვეთავანი ცოტათი მაინც გაიზარდა“<sup>2</sup>.

საიდუმლო საზოგადოებანი მთელ რიგ ცალკე წრეებისაგან შედგებოდა. ამ წრეების შესახებ ერთი დეკაბრისტთაგანი განგებლოვი, რომელიც ჩამომავლობით ქართველი იყო და რომელიც 1825 წელს 14 დეკემბრის გამო პირველი იქნა დაეთხოველი თვით ნიკოლოზ პირველის მიერ, გვამცნობს: „ზეტმაჲ შემომთავება შევერთებოდა ბატარა წრეს, რომლის განზრახვაც იყო მსოფლიო ისტორიის მიმოხილვა... მე ხალისით დავეთანხმე და იმავე საღამოს შევიკრიბენით სემიონოვთან, მარგამ ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ძველი ისტორიიდან ტიგლატ პილასარებისა და სალმანასარებიდან გადაუხვიეთ რიგოცკენჲ, რომელიც ცოტახნის წინათ ჩამოაბრჩეს ესპანეთში, შემდეგ გადაეღოთ სხვა მსგავს საგანებზე და ასე

<sup>1</sup> Семеновский, Очерки из истории политических и общественных идей декабристов, стр. 107.

ტურგენევიც 1816 წლის დამლევს. ბოგაც, რომელიც მისცა ადამიანთა აზროვნების ახლად მომხლარება აშბებმა, უფრო მეტად კი ადგზენება, რომელიც ამითვე იყო გამოწვეული, ძალზე აშკარა იყო. სწორედ რუსეთის არმიების თავის ქვეყანაჲი დაბრუნების მომენტადან, — როგორც მაშინ ამბობდნენ, — დაიწყო რუსეთში ობლებოლური იდეების გავრცელება“ (იხ. Декабристы — Сборник отрывков из источников, стр. 76, Центрархив, 1926).

<sup>2</sup> И. Д. Якушин, Записки, стр. 6—7 1908, Москва.

<sup>3</sup> ერთი დეკაბრისტთაგანია.

<sup>4</sup> ესპანელი ოფიცერი (1785-1823). 1820 წლ. ესპანეთის რევოლუციის შემარჯვენე ფრთის ბელადი, რეჟიმის გამარჯვების შემდეგ ჩამოაბრჩეს 1823 წ.

ვმსჯელობდით გვიანობაჲდე<sup>1</sup>. შემდგომი სხლმაც თითქმის იმავე ნაირად წარმოართა<sup>2</sup>.

„Союз Благоденствия“-ს წევარი მიზნად ისახავდნენ სოციალურ რეფორმას და რუსეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების კონსტიტუციურ-რესპუბლიკურ ნიადაგზე გარდაქმნას; ისინი ზიზღით უცქეროდნენ იმ ცხოვრებას, რომელიც მრავალი სენით იყო დაფარული-დასიბუნებულა. ამასთანავე, ისინი პატროტები იყვნენ და თავისი ქვეყნისათვის შესტოვადი გული. მაგრამ ვერ არ ჰქონდათ შეგნებელი კლასობრივი წინააღმდეგობის არსი და კლასობრივი ბრძოლის საჭიროება; მათ ისევე როგორც დასავლეთ ევროპაში, სწეროდათ, რომ ბატონყმობის მოსპობით ყველა უქმელობას ბოლო მოეღებოდა და საუფელთაო კეთილდღეობა დამყარდებოდა.

დეკაბრისტების მისწრაფებებს ღრმად ჰქონდა ფესვები გამდგარი ფართე საზოგადოებაში, სადაც მრავალი ენთუზიასტი მოიპოვებოდა ამ საქმისა; ყველაზე უფრო თვალსაჩინო ტრუბადლოკი კი პუშკინი იყო, რომლის რევოლუციური სულით გატენილი ნაწარმოებნი, რომელთა შინაარსსაც თვითმყურებლობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა, უხვად იყო მოღებული მაშინდელ ლიბერალურად განწყობილ საზოგადოებაში, ხოლო დეკაბრისტებისათვის პუშკინის კითხვა ჩვეულებრივი მოკლეა იყო; მათ საკუთარი ზეღოთ გადაურბილი პუშკინის ნაწარმოებნი მღამოთ თან ჰქონდათ და არა ერთ დეკაბრისტს ჩამოართვეს ისინი დამატებრების დროს.

მეორე თვალსაჩინო პროპაგანდისტი, ავტოვით ცნობილი მწერალი კ. ტურგენევი თავის განწყობას ბატონყმობის მიმართ ასე ვაღმოგვეცხმს: „როდესაც მოურავმა გამომიანგარიშა ვასელი წლის შემოსავალი 16.000 და 18 ათასამდეც კი, მე ერთი სიტყვაც არ დამიძრავს, მაგრამ როდესაც ანგარიში დაასრულა და კვლავ მითხრა: აჲ, ხედავთ რამდენი შემოსავალიო — მაშინ მე მივთვე: კარგი, შემოსავალი დიდი, მაგრამ აჲ, ახლა მავს გამოაკელი ის ცრემლები, რომლებიც დააფრქვიეს

<sup>1</sup> ქართველ შეთქმულთაც ჰქონდათ ასეთი წრეები.

<sup>2</sup> Воспоминания декабриста Александра Семеновича Гангелова, стр. 98—99, Москва, 1888 г.

<sup>3</sup> განგებლოვი თავის მოგონებაში ქანდარმერის მიერ გაჩხრეკილ მისი წიგნების შესახებ ამბობს: «Книги эти после моего ареста подвержены были обыску, но между ними я не нашел только стихов Пушкина, писанных моей рукой», მოგონება, გვ. 114.

გლეხებსა და ფაბრიკის მუშებმა-მეთქი, მას ეს სასაცილოდ მოეჩვენა<sup>2</sup>.

აი, ამ მდგომარეობის წინააღმდეგ აღიშალა ჰმა ტურგენევა, რომელიც იმდენად აღშფოთებული იყო, რომ საკუთარ ქვეყანაში სულის მოთქმა აღარ შეეძლო და იძულებული გახდა საზღვარგარეთ გადახვეწილიყო, რათა იქიდან ეწარმოებინა ბრძოლა ბატონყმური უკუღმართობის წინააღმდეგ.

„მე არ შემიძლო მესუნთხა ერთი საერო და დარწმუნოებად მის ახლო, რაც შევიძლე- ამისათვის მე ალბათ მოთმინება და ხასიათის სიმტკიცე მაკლდა. საქმე იყო მოეშორებოდი ჩემს მტერს, რომ შორიდან უფრო ძლიერად დაესხმოდი მას თავს. ამ მტერს ჩემს თავაში გარკვეული სახე ჰქონდა და გარკვეულ სახელსაც ატარებდა: ეს მტერი ბატონყმური ურთიერთობა იყო... მის წინააღმდეგ განვიზრახე ბოლომდე ბრძოლა... ეს იყო ჩემი პანიბალური ფიცი“<sup>3</sup>.

ფერადლურ-მონარქისტული ბატონყმური რუსეთის მძიმე ცხოვრება სულ უხუთავდა პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციის ბოლო პლეადას. ისინი აშკარად ზედადენენ ამ ცხოვრების ცუდ მხარეებს, რაც მათ გულს უკლავდა და მის განსაყურანავად ზებებს ეძებდნენ.

დეკაბრისტი ხანიკოვი ამბობდა: „ჩემო სამშობლო, ბორკილებში, მონობაში ხარ, რელიგია, უცილობ, დესპოტიზმის თანამგზავრებშია დაბნეულს, ჩაახშეს შინი ბუნებრივი მისწრაფებანი“<sup>4</sup>.

ხელო პუშკინის თანამედროვე პოეტი ვენევიტინოვი, რომელიც დეკაბრისტებს თანაუგრძნობდა, 1826 წლის ლექსში სახელწოდებით „Родина“ — სწერდა:

Природа наша точно мерзость  
Смирненно плоские поля, —  
В России самая земля  
Считает высоту за дерзость, —  
Дрянные избы, кабаки,  
Врюхатых баб босые ноги,  
В лаптях дырявых мужики,  
Непроходимые дороги,  
Да шпицы вечные церквей —  
Клистерных трубок снимок верный...  
Грязь, мерзость, вонь и тараканы,  
И надо всем хозяйский инут, —  
И вот, что многие болваны  
Священной родиной зовут<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ტურგენევის მამულში ფაბრიკა იყო.

<sup>2</sup> Декабристы, стр. 19, Центрархив, 1926 г.

<sup>3</sup> გაბ. „კომუნისტი“, 3/Х — 37 წ.

<sup>4</sup> Щедрин-Сабля, Декабристы — Тайные общества, Москва.

<sup>5</sup> «Правда», 1934 г. 28 мая.

რასაკვირველია, ყველაფერი ეს იყო საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ტრაგიკულმა განცდებში და მის შესახებ ეყენსა საზოგადოების მოწინავე ნაწილს არ შეეძლო ამ მდგომარეობისთვის გულგრილად შეეხედნა და მათი მოშუშებისათვის არ ეზრუნა. აი ამ ნიადაგზე აღმოცენდა და წარმოაჩინა თავადანაყოფითა წრის საუკეთესო, მოწინავე ნაწილი — დეკაბრისტების მოღვაწეობა.

დეკაბრისტთა წრეს შეადგენდნენ ინტელიგენცია და ოფიცრობა, რომელთაც უშუალოდ ნახეს და განიცადეს დასავლეთ ევროპის ხალხთა შედარებით თავისუფალი ცხოვრება და ევროპის სახელმწიფოების შედარებით პროგრესული წყობა. ე. რილევმა 1825 წ. 24 დეკემბერს საგამომცემლო კომისიის შეკოხვაზე უბასუხა: «Свободомыслием первоначально заразились во время походов во Францию в 1814 и 1815 годах» (К. Рылеев, Полное собрание стихотворений. Редакция, предисловие и примечания Ю. Г. Оксмана. Вступительная статья В. Гофмана, Издательство писателей в Ленинграде, 1934 г. стр. XXII).

ბელგარინი თავის ცნობილ დაბეზღებაში „Союз Благоденствия“-ს წევრებს ყველაზე დიდ ბრალდებად იმას უყენებს, რომ ისინი... «...более всего представляются филантропами и русскими патриотами»<sup>1</sup>.

ხოლო პუშკინი მათ შემდგენიარად ასახსიათებს. მიმართავს რა ტურგენევის „Евгений Онегин“-ის მოსპობილ მე-10- თავში:

«Одну Россию в мире вида,  
Лаская в ней свой идеал,  
Хромой Тургенев им внимал  
И слово «рабство» ненавидя,  
Предвидел в сей толпе дворян  
Освободителей крестьян»<sup>2</sup>.

დეკაბრისტების მოძრაობა 1825 წლის 14 დეკემბრის კატასტროფით დასრულდა. ნაწილი შეთქმულ-მოაქანეთა საკედლოთ დასაჯეს, ცოცხლად გადაარჩენილი კი რუსეთის იმპერიის უსახლგრო სოფრცხეე ყინულოვანი ციმბორიდან კავკასიამდე მიმოაბნინეს.

მარჯამ დეკაბრისტების მოძრაობამ ღრმა კვალი დასტოვა მთელი რუსეთის იმპერიის ცხოვრებაზე.

14 დეკემბრის კატასტროფამ პროგრესულ ახლგაზრდობას გული ვერ გაუტეხა, თვითმყრობელობის წინაშე ვერ წარმოაჩოქა და საუკეთესო იდეალებზე ზელი ვერ ააღებინა.

<sup>1</sup> «Известия», 6/VI-38.

<sup>2</sup> «Известия», 6/VI-38.

<sup>3</sup> А. Н. Пышня, Общественное движение в России при Александре I, стр. 470. С.-Петербург, 1908 г.



დეკაბრისტმა შტინინგელმა დაეთხვის დროს ნიკოლა I უთხრა, რომ სასჯელთა და გადასახლებაზე შემდეგ, რუსეთში მინც „ღარჩება უფრო უადრესად მეტი რაოდენობა ადამიანებისა, რომლებიც იზიარებენ „საიდუმლო საზოგადოებათა“ აზრებსა და განცდებს“<sup>1</sup>.

საქართველო რუსეთის იმპერიის ორბიტში მამინ შვიდა, როდესაც რუსეთის საზოგადოება და საზოგადოებრივი აზრი ევროპაში უკვე ფეხმოკიდებულ მოძრაობის ფერხელში ებმებოდა.

ქართველი ახალგაზრდობა უხვად დაეწაფა სწავლა-განათლებას და იწყო რუსეთისაკენ მკვახრობა, სადაც იმ ახალგაზრდობის გვერდით უხდებოდა ცხოვრება, რომელიც რუსეთის ლიბერალურ-პროგრესულად განწყობილ საზოგადოების სისხლსა და ზორს შეადგენდა. ქართველი ახალგაზრდობა რუსეთის სატახტო ქალაქებში იმ ზნეობრივი და იდეური გაუღენის ქვეშ ეპყროდა, რომელიც მაშინდელ მოწინავე საზოგადოებას ახასიათებდა. ამ მოუღენს უშედეგოდ არ ჩაუვლია და თუმცა რუსეთთან შედარებით მცირე პარალელთ, მაგრამ საქართველოს მასშტაბისთვის საკმაოდ გრანდიოზული მოვლენით აღინიშნა.

1825 წლის 14 დეკემბრის ამბავს საქართველოში 1832 წლის შეთქმულება ეპარალელუბა, რა ნიადაგზედაც დეკაბრისტების მოძრაობა წარმოიშვა და რა ფორმითაც იგი იქ მიემართებოდა, იმავე ნიადაგზე 1832 წლის შეთქმულება აღმოცენებული და აქაც მისი მსგავსი გზით მიმდინარეობდა. და თითქმის შედეგებიც კი, უკეთ უშედეგობაც კი, ანალოგიური იყო:

მოძრაობა აქაც და იქაც მარცხით დამთავრდა.

ქართველი განათლებული ახალგაზრდობა, უმოატრესად კი ოფიცრობა, ნაწილობრივ თვითონ იყო უშუალოდ მნახველი დასავლეთ ევროპის იმ ცხოვრებისა და ვითარებისა, აგრეთ-

ვე რევოლუციურ მოძრაობისა, რომელიც ასე დიდ გავლენას ახდენდა რუსეთის ანალოგიურ მოვლენებზე. ხოლო უმრავლესობა კი მწიფდობდა იყო რუსეთის საზოგადოებასთან დაკავშირებული. თუ დეკაბრისტების საქმის გამოძიების დროს სხვა არც ერთი ქართველი არ იქნა დასაბეღებული გარდა განკლებულისა, რომელიც დეკაბრისტთა ორგანიზაციის წევრი იყო და შთამომავლობით ქართველი, — ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთში, განსაკუთრებით კი პეტერბურგში მყოფი ქართველები დეკაბრისტებისაგან შორს იყვნენ. უნდა გვახსოვდეს, რომ დეკაბრისტთა საიდუმლო ორგანიზაცია 6.000 წევრს ითვლიდა და განა ეს ეჭვიან ათასს უყველა იყო დასაბეღებული? და ასეც რომ არ იყოს, განა რომელიმე ქართველს არ შეეძლო არ უფილიყო საიდუმლო საზოგადოების წევრი, მაგრამ ევროპაში მის ირგვლივ შექმნილი ატმოსფერო, რომ რუსეთის შინაური ცხოვრება რუსული საზოგადოების მოწინავე ნაწილის აღმოფიქვას იწვევდა, განა ეს შეიძლებოდა ქართველი ინტელაგენციისა და ოფიცრებისათვის საიდუმლოდ დარჩენილიყო?

მაგრამ ამ ზოგად მოსაზრებათა გარდა, ისეთი უფრო რეალური საბუთები მომდებნება, რომლებსაც შეუძლია ცხადყოს რუს დეკაბრისტებსა და ქართველ შეთქმულთა შორის ამა თუ იმ სახის კავშირი, თუნდაც გაუღენის სხვა რითი შემოფარგლული.

ის მოსაზრება, რომ „Союз Влагоденствия“-ს უფრო თვალსაჩინო ფრაგა „Южное общество“ მტკიცე ცენტრალიზაციის გზაზე იდგა და პოლონეთის გამოცალკეებასაც მხოლოდ იმ პირობით თანხმდებოდა, თუ იგი რუსეთის ისეთი უნით შეეკროდა, რომ მას ფაქტურად მხოლოდ დამოუკიდებლობის ჩრდილს დაუტოვებდა — საკითხის უარყოფითად გადასაწყვეტად არ ემარა, რადგანაც მეორე ფრთა „Северное общество“ ფედერაციულ ნიადაგზე იდგა და ერთა თვითგამორკვევის პრინციპი მისთვის უტყობი არა უოფლია.

1825 წლის 14 დეკემბრის ამბავების საგამომდებლო კომისიის „Донесения“-ში ნიკიტა მურავიოვის მიერ შედგენილი კონსტიტუციის პროექტის შესახებ ვითხვლობთ: „გულისხმობდა მონარქიას, მაგრამ იმპერატორის უტოვებდა შეზღუდულ უფლებას, მისი მსგავსად, როგორც ეს აქვს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს და რუსეთის

1 ამასთანავე, ქართველი საზოგადოება დიდი ხანია იცნობდა მე-18 საუკუნის ფრანგ განმანათლებელთა, განსაკუთრებით კი ვოლტერის, ნაწარმოებებს, რომლებიც მრავლად იყო მაშინ ქართულად თარგმნილი (იხ. ლიტერატურული საქართველო, 30/IX-38 წ. გ. ლეონიძის წერილი).

### 1 Щедрин-Саблин. Декабристы. Тайные общества, М., იბ. გვ. 18.

2 ის პროცესები და ცვლილებები, რომელსაც განიცდიდა რუსეთის საერთო ცხოვრება, ძალაუფლებურად თავის შესაფერის გავლენას ახდენდა ამერიკის ცხოვრების ვითარებაზედაც. არა მარტო პოლიტიკურ-ადმინისტრაციულად და ეკონომიკურად დამოკრილია რუსეთის გავლენას კავკასიის აქტთა მხარე, არამედ კულტურულადაც იგი რუსეთის ჩარჩოებში მოქვდა და ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებაც საესებით მოქვდა რუსეთის აზროვნების ვითარების ქვეშ. სიმონ ზუნდაძე, დიმიტრი ყაფიანი, გვ. 6, თბილისი, 1936 წ.

პოეტიკა და მოტივები, ურთიერთ საერთო კავშირით შეერთებულ, ოქტებად<sup>1</sup>.

თუმცა ამ გარემოებას ვაძაბავთ მნიშვნელობა არც აქვს, რადგან ქართველ შთქმულთა პრაქტიკული მოღვაწეობა სწორედ 1825 წლის შემდეგ პერიოდს ემთხვევა, როდესაც ერთი მხრივ დეკარისტების ამ საკითხზე შეხედულება ოფიციალური მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მეორეს მხრივ, ამ ხნის განმავლობაში, შესაძლებელია, დეკარისტების და, საერთოდ, ლიბერალურად განწყობილ რუსულ საზოგადოების შეხედულებაში დიდი გარდობებიც მომხდარიყოს, და გარდა ამისა, წესდებიც დაუფასირებელია გარდა, ეგების საიდუმლო საზოგადოების წევრი უფრო რადიკალურ აზრებს საკუთარ არსებაში ატარებდნენ, ვინ იცის, უსაფუძვლო არ იყო ერთი ქართული შთქმულის ჩვენება, რომ: „პესტელი უჩხედა, რათა პოლანეთი, საქართველო და სხვა ოქტები უსათუოდ დაუბრუნდეს მათ მფლობელთ, ხოლო ძირითადი გუბერნიები, რომლებიც მოსკოვის ახლო არიან, რუსეთს დარჩეს“-<sup>2</sup>.

მაშ რას ნიშნავს პუშკინის 1829 წელს ეპიკრიკად დაბრუნების შემდეგ დაწერილი ცნობილი ლექსის „Кавказ“-ის ბოლო ტაქტი, რომელიც არ უფიქროს გამოქვეყნებები და რომელშიც ნათქვამია:

«Так буйную вольность Законы теснят,  
Так дикое племя под властью тоскует,  
Так ныне безмолвный Кавказ негодует, —  
Так чуждые силы его тяготят»<sup>3</sup>.

ეს ტაქტი პირდაპირი განაცხებაა რუსეთის ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკისა.

თუ ორგანიზაციული კავშირის მოძებნა ძნელია დეკარისტების მოძრაობისა და ქართველ შთქმულთა შორის, — დეკარისტების მოღვაწეობა წამყვანებელია და გვიხსნის მიმცემი კი უძველესად იყო... და ეგების არც შემთხვევითი იყო, რომ სწორედ 1825 წლის კატასტროფის შემდეგ იწყებს გაფორმდნას ქართველთა შთქმულთა, ე. ი. მას შემდეგ, რაც მათ დაინახეს, რომ ამგვარი მუშაობის საერთო ნიდავი ჰქონდა.

რომ დეკარისტების მოძრაობამ რევოლუციურ მოქმედებას სტიმული მისცა საერთოდ, ეს დიდხანია, რაც აღიარებულია.

უველზე უფროსად კი წამოჭრილი პრობლემა, ე. ი. რუსეთში ლიბერალური მოძრაობის ქართულ მოძრაობასთან ურთიერთობისა და მასზე გავლენის საკითხს, გვიშუქებს როგორც ერთი, ისე მეორე მხარის მოღვაწეთა მუშაობის შეთოდების, სამოქმედო პროგრამისა და

პოლიტიკურ-სოციალური იდეალების შედარებითი შესწავლა.

როგორც რუსულ, ისე ქართულ საიდუმლო საზოგადოებათა მუშაობის შეთოდების განხილვის დროს მთავარი მნიშვნელობა ენიჭება იმ ე. წ. წესდებებს, რომლებიც საიდუმლო საზოგადოების განაწესს წარმოადგენს. ასეთები გადარჩენილია როგორც „Союз Благоденствия“-ს, ისე 1832 წლის შეთქმულებისა „აქტი გონიერი“-ს სახელწოდებით.

თუ შევადარებთ „აქტი გონიერისა“ და „Союз Благоденствия“-ს „Законоположение“-ს სრულ ანალოგიის ეპოევით: დავინახებთ, რომ ორივე მათგანი ერთ და იმავე პრინციპზეა დაწყებული. ერთნაირად არის აღიარებული საზოგადოების წევრად ცნობილი და ღირსეული ადამიანების გამოჩენათ მიღება, რომლებიც ფიცის ხელწერილს სდებენ. საზოგადოების წევრი ვალდებულია აიან მოყვასისაღმის სამსახურისა... არ გასცენ საიდუმლოება და სხვ. თუმცა უნდა ითქვას, ამ მხრივ „აქტი გონიერის“ უფრო მეტი დამუშავება ეტყობა. ჩანს, დეკარისტთა ბედი ქართველ შთქმულთ მეტ სიფრთხილეს უკარნახებდა. „აქტი გონიერის“ პრაგრაფები უფრო მკვეთრია თავისი მიზანგანწონისაგან და უფრო კონკრეტული მოვალეობის აღნიშვნით, ისევე, როგორც საერთოდ კონსპირაცია ქართველ შთქმულთ უკეთ ჰქონდათ მოწყობილი, რადგან მათ დეკარისტების მაგალითი გამოიყენეს.

მოძრაობის წარმატებით გავრცელებისათვის საუკეთესო საშუალებად დეკარისტები სწავლა-განათლებლისა, ჰუმანიზმისა და პოლიტიკური იდეების გავრცელებას აღიარებდნენ. — „Союз Благоденствия“-ს მდივანი სემიონოვი თავის ჩვენებაში ამბობს: „სანუყვარი მიზანი, რომელიც თავდაპირველად ცნობილი იყო

<sup>1</sup> შედ. „აქტი გონიერი“ — გ. ზოზალიშვილი — 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, გვ. 111. А. Н. Пыпин, დასახ. წიგნის გვ. 547.

<sup>2</sup> არ შეიძლება ითქვას, რომ „აქტი გონიერი“ „Союз Благоденствия“ წესდებებთან პირდაპირ არის დაკავშირებული, მაგრამ „აქტი გონიერის“ ავტორი უსათუოდ იცნობდა აღნიშნულ წესდებს, რომლის გარდა, მას სხვა წყაროც ჰქონდა ხელთ.

<sup>3</sup> სხვათა შორის, საინტერესოა, რომ ნაღმების გამოყენება შთქმულთა ორგანიზაციის შეკრების მიზნით, აგრეთვე საერთოა ქართველ შთქმულებისათვის და დეკარისტებისათვის, მაგ. ცნობილია, რომ კამეჩაში ერთ-ერთი დეკარისტის დავიდოვის დღესას სახლში დღეს შეთქმულნი სისტემატურად დიდ რეპებს მართავდნენ. ხოლო ქართველ შთქმულთა შეკრების ჩვეულებრივი სახე ნაღმი იყო, რომელიც სპეციალურად იმართებოდა მორიგეობით შთქმულთა მიერ.

<sup>1</sup> А. Н. Пыпин, დასახ. წიგნი, გვ. 439.

<sup>2</sup> ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება (II, 193).

<sup>3</sup> ვაზ. „Заря Востока“, 3/11-37 წ.

მხოლოდ შთავაზი წევრებისათვის, ხოლო შემდეგში კი ყველა წევრი ვაიმსჯელა ამით, — იყო წარმომადგენლობითი მართველობა (представительное правление). ჩვენი მიზნის მისაღწევად, უფიქრებლად იყო აღიარებული, რაც შეიძლებოდა მეტად გავემარაგებინა წევრთა რაოდენობა, გავეტყობოვდებინა განათლება, გავვერცხვებინა პოლიტიკური შეტყუება და დაუფრულებოდათ საზოგადოებრივ აზრს<sup>1</sup>.

ამასვე ეხებოდა ქართულ შეთქმულებათაც. ვიორში და დიმიტრი ერისთავები თავის ჩვენებებში ერთმანედ ადასტურებენ, რომ დიმიტრი ბატონიშვილი შეთქმულების წარმატებით დასრულებისათვის სპეცირად აღიარებდა ახალგაზრდებისაგან საზოგადოებების გამარაგლებას და მათ შორის განათლების გაგრძელებას<sup>2</sup>. დიმიტრი ერისთავის ჩვენებით, დიმიტრი ბატონიშვილი — შეთქმულების გაგრძელებისა და გამარჯვების მოპოებისათვის „პირველ საშუალებად ახალგაზრდებისაგან საზოგადოებების შედგენას და განათლებისა და ამ საზოგადოებების გაგრძელებას აღიარებდა“<sup>3</sup>, ხოლო ელიზბარ ერისთავი უჩვენებს, რომ დოდაშვილს დაევალო „...издавать газету с намерением приговарять умы к возмущению“<sup>4</sup>.

თვით სოლომონ დოდაშვილი აღიარებს: „ბოლოს გადამწავა შეგვედგინა ლტერატურული საზოგადოება, დასახლებულ იქნენ... ამხანაგები ვიორტი დავითის ძე ერისთავი, ვრიგოლ ორბელიანი და ისევ ფალავანდოვი, მთხოვეს ამერჩია თანაშრომლები და გამეგრებულდებინა სამშობლოსადმი სიყვარული ვაზეთების გამოცემით“<sup>5</sup>.

მეორე ადგილას კი ამბობს: „1831 წელს მოვიდნენ ჩემთან თავადები ალექსანდრე ორბელიანი და ელიზბარ ერისთავი და მთხოვეს დამეწერნა აღმგზნები წერილები ვაზეთში დასაბუღად და აგრეთვე სხვა თხზულებანი, რომელთაც შეეძლოთ მკითხველის აზრზე გავლენა მოეხდინათ. ჩემს პასუხზე, რომ ამ საქმეს ხელშეწყობა არ გამოადგება მეოქო, თავად ელიზბარ ერისთავმა სთქვა, როცა ხანჯლით მოგადგებით, მაშინ უარს ევლარ იტყვით. შენი საქმეა სწეროთ. მიზნი შე შევთხზე სიტყვა (речь),

<sup>1</sup> Декабристы. Сборник отрывков из источников. стр. 71. Централхив.

<sup>2</sup> XX, 3861; V, 583; გ. გოხალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, გვ. 16-17.

<sup>3</sup> გ. გოხალიშვილი, იქვე, გვ. 16.

<sup>4</sup> სეგომოშიებლო კომისიის საქმე, XX, 5010.

<sup>5</sup> XXV, 5010.

7. „მხატობი“, № 8.

რომელიც ალექსანდრე ორბელიანმა ბოხრეა, მაგრამ მე არ მივეცი“<sup>6</sup>.

ხოლო ფალავანდოს კაცაქე/სამშობლოს სიყვარულის შესახებ თავის „თხზულებანი“ სწერდა: „ვითარცა საჭირო არს სწავლაი სარგებლობისათვის თავისა, აგრეთვე საჭირო არს სწავლაი სარგებლობისათვის შამქლისათ“<sup>7</sup>.

შეთქმულის ზემოდასახებულ მიზნის კიდევ ახორციელებენ. შეთქმულების პოლიტიკური არალეგალური ორგანიზაციის შექმნასთან ერთად, ისინი ახერხებენ სპეციალური ბექვითი ორგანოს დაარსებას, რომელიც „ტიფლისის უწყებანი“ს ლტერატურული დამატების სახით გამოდიოდა და რომელშიაც პატრიოტული გრძობების გამაღვივებელი ნაწარმოებები იბეჭდებოდა. ეს შესანიშნავი მომენტია ქართულ შეთქმულთა მოღვაწეობაში, რაც, აგრეთვე, მათს კულტურულ და თანამედროვე მოთხოვნებსა შეგნებას მალაღონეს ამტკიცებს.

არც „Союз Благоденствия“-ს, არც ქართულ შეთქმულთა პოლიტიკური კრედი, დაფიქსირებული რომელიმე წერტილითი წესების სახით, შენახული არ არის. დანამდვილებით ენობლია, რომ „Союз Благоденствия“-ს ასეთი ჰქონდა; უნდა ჰქონოდათ აგრეთვე ქართულ შეთქმულთაც. ამისდა მიუხედავად, მაინც შესაძლებელია დადგინოთ იქნას ორივე მხრის პოლიტიკური იდეალება.

როგორც ენობლია, დეკაბრისტები მიზნად ისახავდნენ ბატონყმობის მოსპობასა და რუსეთში კონსტიტუციურ ან რესპუბლიკური მმართველობის შემოღებას, რაც დადასტურებულია გამოცემების დროს პატიმარი დეკაბრისტთა ჩვენებებითა და ზოგიერთი მათგანის შემდგომში გამოქვეყნებულ მოგონებებით.

ასეთივე ვითარება გვაქვს 1832 წლის შეთქმულებაში. არც აქ არის გადარჩენილი ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიაც მკაფიოდ იყოს გამოთქმული შეთქმულთა პოლიტიკური მიზანი, მაგრამ აქაც იმავე საშუალებებით შეიძლება დადგინა, რომ ქართულ შეთქმულთაც მსგავსივე მიზნები ამოძრავებდათ, იმის დამატებით, რომ აქ მოვლენათა სათავეში დაყენებული იყო საქართველოს რუსეთის თვითმყარობელობისგან განთავისუფლება, ურამლისოდაც სხვა ყველაფერზე ფიქრი ქართულ შეთქმულთათვის ამოა იქნებოდა.

დეკაბრისტებს სურდათ რუსეთში სახელმწიფო მმართველობის ორპალატიანი წარმომადგენლობის სისტემა შემოეღოთ.

ამასვე ეხებოდა საქართველოშიც.

ზალ ავთანდილაშვილის ჩვენებით: „...ყანას მეორე დღეს უნდოდათ შექმნათ სემი და ვიდრე მეფეს აირჩევდნენ, საქართველოს მარ-

<sup>1</sup> XI, 1891.

<sup>2</sup> ა. თხზულების წინასიტყვაობაში.

თველთან სეიმის წევრებისათვის უნდა ჩაება-რბინია, რომლებიც საზოგადოებას უნდა ამო-გრჩაიან<sup>1</sup>.

გიორგი ერისთავის მიერ (ელნიზარ ერისთავის კარნახით) შედგენილ საქართველოს მმართველობის პროექტითაც ორი პალატა იყო ნაგულისხმევი, რომელთაგანაც მეორეში უნდა ყოფილიყვნენ ყველა მაზრის დეპუტატები (В нижнем правлении должны были заседать депутаты из каждого уезда) ბერძნულად ტარასი ალქსიშვილის ერთ ჩვენებაში ლაპარაკია იმაზე, რომ, როდესაც მან ელნიზარ ერისთავი ესაუბრებოდა საქართველოს განათვისუფლებაზე, ვითომც იგი ამის საწინააღმდეგო აზრებს გამოთქვამდა: რომ საქართველო ერთდღობაშია და „ღმერთმან დაიფაროს საქართველო, რომ აღარ ჩავარდეს თათრებს ხელში“. ამავე ელნიზარს უპასუხებია: „...თათრები რათ იქნებიან საკუთარი მეფეც გვაქვდებიან და პარლამენტო გვაქვებო და ყველანი ამას დამორჩილებიანო“<sup>2</sup>.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არც დეკარისტები და არც მამინდელი სხვა ცნობილი ლიბერალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მსვედურნი, საზოგადოებრივი წყობისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციის საქმეში, ამავე შორის არ მიდიოდნენ, მიაკვირებ ყურადღება, რომ ნიკიტა მერაბიოვი მის მიერ შედგენილ კონსტიტუციის პროექტში: „გულისხმობდა მონარქიას, მაგრამ იმპერატორის უტოვებდა შეზღუდულ უფლებას, იმის მსგავსად, როგორც ის აქვს ჩრდილოეთ ამერიკის შერათებული შტატების პრეზიდენტს და რუსეთს ჰყოფდა დამოუკიდებელ, ურთიერთ საერთო კავშირით შერათებულ ოლქებად“<sup>3</sup>.

1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა პოლიტიკური ორიენტაცია უპოქის ფარგლებში ტრიალუმს, ისინი ეპოქის წინაშე ხარკს იხდიან და მათთვის უფრო მეტის მოთხოვნა, ამას უდრის, მოკვეთხოვნა მათგან, რათა ისინი უტომბურ მორევში ჩაფლულიყვნენ.

„სამართლიანად ამბობს ვ. პოტეშნი დეკარისტების მიმართ, რომ: „არ უნდა ავცდეთ ისტორიულ პერსპექტივას. მონარქიული იდეები არა თუ დამახასიათებელი იყო „Союз Благоденствия“-ს წევრთა დიდი უმრავლესობისათვის, არა მხოლოდ დეკარისტთა მარჯვენა ფრთისათვის, არამედ ეკუთვნოდა დეკარისტთა რადიკალური ფრთის ბევრი წარმომადგენლის რევოლუციურ სწრაფვას სოციალური გარდაქმნებისაკენ. მონარქიისა და რესპუბლიკის საკითხი არ

იყო საერთოდ ყველაზე მთავარი საპრობლეო საკითხთაგანი. ხოლო რიღევი დიდხანს დატარებულ მონარქისტად“<sup>4</sup>.

ხოლო ვახტანგ ორბელიანის ჩვენებებით სოლომონ დოდაშვილსა და ოქროპირ ბატონიშვილს რესპუბლიკური მართველობის შემოღებაზე ქონიით მსჯელობდა.

დეკარისტები მეტად ეტრფოდნენ თავისუფლებას, რაც მათი ყოველდღიური მსჯელობის საგანი იყო.

ამასვე ვხედავთ ქართველ შეთქმულებთაიც. მათი პირველი შეკრებილობისავე საგანი თავისუფლება იყო.

დმიტრი ერისთავის ჩვენებაში კეთილშობილად, რომ იგი პეტერბურგში ხშირად ზღვდებოდა: „დმიტრი ბატონიშვილს, რომელთაგანაც ხშირად იყვნენ ზოლზე თავადები გიორგი და ელიზარ ერისთავები. ის გვიამბობდა ისტორიიდან ამბებს თავისუფლებაზე, რითაც ჩვენ, ასე ვთქვათ, მოგვამზადა და მერე, დმიტრი და ვახტანგ ორბელიანების ჩამოსვლის შემდეგ, შთავიწყებდა რა ჩვენი აზრი თავისუფლებაზე, დაიწყო მათი მომზადება... მან ისარგებლა ჩვენი სიტყვის შუბრუნებით და უკვე აშკარად დაეკვიწო საქართველობა და თავისუფლებაზე ლაპარაკი“-ოვ.

„დმიტრი მარათაშვილი ხშირად გვიამბობდა თავისუფლებაზე და გავიწინარტავდა საფრანგეთში არსებულ უფლებებს, მის მცხოვრებთა თავისუფალ ცხოვრებას, მეფის შეზღუდვის უფლებას და თუ რა უფლება აქვს საფრანგეთის ყოველ მოქალაქეს მეფის არჩევაში დაბოლოს, გავკვირო იმ ქვეყანაში მომხდარი აღრეულობანი. ზოგჯერ მსჯელობა გვქონდა თავისუფალი ქალაქების მართველობაზე, როგორც იყო მაინის ფრანკფურტი და კრაკოვი. მრავალი ქებით იყო შექმული ამ ქალაქების მცხოვრებთა ზედწინი ცხოვრება“<sup>5</sup>.

მაგრამ დეკარისტების მოძრაობასა და ქართველთა შეთქმულების შორის ურთიერთობა მხოლოდ ნათქვამით არ ამოიწურება, ჩვენ ისე-

<sup>1</sup> К. Рылеев. Полное собрание сочинений. Редакция, предисловие и примечания Ю. Г. Оксмана. Вступительная статья В. Гофмана. Издательство писателей в Ленинграде, 1934, стр. 52.

<sup>2</sup> IX, 1567.

<sup>3</sup> XX, 3861.

<sup>4</sup> XI, 2168.

<sup>5</sup> ფრთად საველისხმობა ის გარემოება, რომ დეკარისტული ლიტერატურა გამოყენებული იყო ქართველ შეთქმულთაგან და ისიც 14 დეკემბრის დრამის შემდეგ. თუნდაც ის რადიკალის, რომ გრავოლ ორბელიანი რიღევის ლექსს „Исповедь Наливайки“ თარგმნის და თავისებურად აქეთებს შეთქმულთა შორის გავრცელების მიზნით, ხოლო დოდაშვილს ამავე რიღევის წევრის პირი უბოვეს.

<sup>1</sup> VI, 1122.

<sup>2</sup> I, 78.

<sup>3</sup> VII, 1211-1213.

<sup>4</sup> А. Н. Пылин. Общественное движение в России при Александре I. С.-Петербург, 1908, стр. 439.

თა საბუთებიც მოგვეპოვება, რომლებიც გვაშენებენ მათ შორის უფრო მკიდრო ორგანულ კავშირს.

დამიტრი ბატონიშვილი, რომელსაც ქართველი შეთქმულნი ვოლტერს უწოდებდნენ<sup>1</sup>, ზაქარია ჩოლოყაშვილი მთელი თავისი არსებით, — დეკაბრისტის ნამდვილ სახეს წარმოგადგენენ<sup>2</sup>. ზ. ჩოლოყაშვილი, რომელიც დამიტრი ბატონიშვილის წრის თვალსაჩინო წევრია, საზღვარგარეთულ ლაშქრობათა მონაწილეა და ძლიერ ახლოს იცნობს დეკაბრისტების საქმიანობას, მათ პრაქტიკულ მოქმედებას.

ვახტანგ ორბელიანის ერთი ჩვენების თანახმად, ზაქ. ჩოლოყაშვილს უთქვამს თავის თანაგანზრახველისათვის, რომ „თუკი თვითონ რუსები გრძნობენ მთავრობის უსამართლობას, — ჩვენ უფრო მეტად უნდა ვგრძნობდეთ“ (XIX, 3534). ზაქ. ჩოლოყაშვილის ამ ნათქვამში გაიმსქვივის ის ლიბერალური განწყობილება, რომლითაც იყო გამსჭვალული რუსეთის მაშინდელი მოწინავე საზოგადოება, რამაც დეკაბრისტების აჯანყებაში და სხვა მისდაგვირ ლიბერალურ მოძრაობაში იჩინა თავი და ეს ყველაფერი ჩოლოყაშვილმა კარგად იცოდა, იგი ამ საქმეებთან ახლოს იყო.

დეკაბრისტის ტიპს წარმოადგენს ზაქარია ჩოლოყაშვილის ძმა ალექსანდრე, რომელსაც შეთქმულების საქმეებიდან ძალიან ნაკლებად იცნობთ, და თუ არა ერთი მისი წერილი დოდაშვილისადმი, რომელმაც მის შესახებ საგამომიხებლო კომისიის ორიოდ შეკითხვა გამოიწვია, ჩვენ ესეც არ გვეცოდინებოდა, იმისა და მიუხედავად, რომ იგი დასახელებულია იმ წრის წევრად, რომელიც პეტერბურგში დამიტრი ბატონიშვილის ირგვლივ იყრიდა თავს. შეთქმულნი მას თავისუფლების დიდ მოყვარულს უწოდებდნენ.

ალექსანდრე ჩოლოყაშვილი სოლომონ დოდაშვილის ამქარია. იგი დოდაშვილთან ერთად გამომგზავრებულა პეტერბურგიდან<sup>3</sup>. „თავადი ალექსანდრე ჩელოყაშვილი 1827 წ. მოსკოვიდან ჩემთან ერთად გამოემგზავრა. იგი დარბა გორაჩაევოდსკში სამკურნალოდ, იქიდან კი აქ ჩამოვიდა და ჩემთან განგრდა. ის მიაპობდა, რომ მას დამიტრი ბატონიშვილთან და სოლომონ რაზმაქსთან აქვს შეგობრობა და სწორად უფიქრით თავისუფლებაზე... ამბობდა, შეიძ-

ლება ოქროპირ ბატონიშვილი აქ ჩამოვიდეს“<sup>4</sup>.

უფრო მეტიც, 1832 წლის შეტყვევლების მასალაში დაცულია ცნობები, რომლის მიხედვითაც, რუს დეკაბრისტებსა და ქართველ შეთქმულთა ცოცხალი ურთიერთობის ერთი სურათის დადგენა შესაძლებელი ხდება.

როგორც ცნობილია, სოლომონ დოდაშვილის ქალაქებში, რომლებიც მას დაატამბრების დროს ჩამოართვეს, სხვათა შორის აღმოჩენილ იქნა რუს დეკაბრისტთა ცნობილი შეთაფრის რიგდების წერილის პირი.

როდესაც საგამომიხებლო კომისია დოდაშვილს აღნიშნულ წერილის პირის შესახებ შეკითხვა, მან უპასუხა: «Письмо Рыльева я переписал в С.-Петербурге у студента Крупского в 1826 г.»

საგამომიხებლო კომისიამ ამ პასუხით საკმაოდ ამოწურულად ჩასთვალა და მის ირგვლივ აღიარებითი გამოძიება აღარ უწარმოებია, რაც დიდ განცვიფრებას იწვევს. აღმოჩნდა მოუჩვენებელია, რომ კომისიამ არ იცოდა ვინ იყო რილევი და რა მიწიწელობა ჰქონდა მისი წერილის პირის დოდაშვილთან აღმოჩენას. რა თქმა უნდა, ეს ძნელი წარმოსადგენია და მთი უმეტეს გასაკვირია, რომ კომისია არ დაინტერესდა იმის გამოკრევით, თუ რა ურთიერთობა უნდა არსებულყო ქართველ შეთქმულთა და რუს დეკაბრისტებს შორის. კომისიას რომ ეს საკითხი გამოეჩვენა, ჩვენ ფრად საინტერესო მასალას დაგვიტოვებდა.

კომისიის ამ საკითხით დაუინტერესებლობა არ შეიძლება აიხსნას იმით, რომ აღარც დეკაბრისტები როგორც ორგანიზაცია და აღარც წერილის ავტორი, ამ დროს ფიზიკურ ძალს აღარ წარმოადგენდა: ნეთუ კომისია არ უნდა დაინტერესებულყო იმით, თუ ვინ არის ამ წერილის გამაერცვლებელი, ან ვის რათ სჭირდდა მისი გადაჭერა-გავრცელება: ხომ არ ნიშნავდა ეს დეკაბრისტთა ორგანიზაციის აღორძინებას? უნდა ვეისოვდეს, რომ დოდაშვილმა წერილი 1826 წელს გადმოსწერა, ე. ი. დეკაბრისტების გამოსვლის კარგა ხნის შემდეგ.

ნეთუ კომისია ფიქრობდა, რომ დოდაშვილმა რილევის წერილი გადმოსწერა უზნობოდ. მისი შინაარსით დაუინტერესებლად და მისთვის სრულად უმნიშვნელო ქალაქს ისე მზრუნვე-

<sup>1</sup> როზენი სახმედრო მინისტრ ჩერნიშოვის სხვათა შორის სწერდა: «У сего же Додаева найдено препровождаемое при сем под бунжу. К письму к нему князя Александра Челокаева весьма странного содержания и на которое Додаев не дал вполне удовлетворительного объяснения». იხ. საგამომიხებლო კომისიის, Журнал исходящих бумаг 1833 года, марта, 9. № 63. лист. 38.

<sup>1</sup> X, 1765.

<sup>2</sup> XI, 1936.

<sup>3</sup> ახლანდელი კოსლოვოდსკი.

<sup>4</sup> ე. ი. თბილისს.

ლობით გვიდებოდა, რომ პეტერბურგიდან იგათან წამოიყოლა და აქაც კარგად ინახავდა?

საგამომშობილო კომისიის საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულების მისი გულბრწყინობით, თუ საქმის უბრალო უგულბეულობით ახსნა სწორი არ იქნებოდა. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ კომისიის ასეთი საქციელი გამოდინარეობდა საქმისადმი იმ დამოკიდებულებიდან, რომელიც ხაზგასმით არის აღნიშნული სათანადო ადგილას და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ, რაც შეიძლება არ გამოგდავენებულყო შეთქმულების სერაიოზული ხასიათი, რათა იგი ფუსსავატურ ოცნებად მოეჩვენებინათ<sup>1</sup>.

ამგვარად, რაკი საგამომშობილო კომისიამ არ დავეიროვა მასალა, ჩვენ იძულებული ვართ, მოასაზრებთა ლოგიკურ მიმდინარეობისა და მძლე ფაქტების ანალიზის შედეგად, საკითხი დაახლოებით მაინც გაეარკვიოთ.

როგორც დავინახეთ, დოდაშვილს 1826 წელს გადმოუწერია სტუდენტ კრუჰსკისაგან ეს ცნობილი წერილი.

აქ აღიძვრის რამდენიმე კითხვა: ვინ არის სტუდენტი კრუჰსკი? რა ურთიერთობაშია მასთან სოლომონ დოდაშვილი?

რას წარმოადგენს რილევის წერილი? რისთვის დასქირდა კრუჰსკის ამ წერილის დოდაშვილისათვის ჩვენება?

რათ დაინტერესდა დოდაშვილი ამ წერილით და რისთვის ინახავდა მას დამატებებამდე?

იი, ეს კითხვები, რომლებზედაც პასუხის გაცემა ნაწილობრივ მაინც ნათელს მოჰყენდა რუსი დეკაბრისტებისა და ქართულ შეთქმულებათა ცოცხალი ურთიერთობის პირობებს.

კრუჰსკი, უთუოდ დოდაშვილის ამხანაგი იყო უნივერსიტეტიდან; ჩანს, იგი დეკაბრისტების წრესთან დაახლოებული პირია, რაკი ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი აქვს ხელთ. ჩვენთვის ძნელია თქმა, არის თუ არა კრუჰსკი დე-

კაბრისტთა უკვე განადგურებული ორგანიზაციის წევრი, მაგრამ, რომ იგი მათი იდგეობისა და აზრების — იქნება საქმეებისს — მოზარდია. ამაში ეჭვი არ უნდა შეგვეშაროს; წინააღმდეგ შემთხვევაში, რა უნდოდა მასთან რილევის წერილს და მას ან ვინ გახდიდა საიმისოდ, თუკი იგი დეკაბრისტების წრეში არ ტრიალებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ სტუდენტი კრუჰსკი არის წევრი ლიბერალურად განწყობილ სტუდენტთა წრისა, რომლის მსგავსი უნივერსიტეტში ყოველ ექვს გარემე უნდა არსებულებოდა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დეკაბრისტების მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ახალგაზრდათა შორის ცოდნა-განათლებლათან ერთად ლიბერალური აზრების ვაერტელებას, ახალგაზრდათა წრეების შედგენას. დეკაბრისტთა აქანყების შემდეგ მათ წინააღმდეგ მიღებულ რეპრესიებს არ შეეძლო მთლად აღმოეფხვრა რუსეთის მოწინავე საზოგადოებაში ლიბერალური იდეებისადმი სწრაფვა და საიმისო ჯგუფების არსებობა. ავიღებთ რისტმა შტეინგელმა უბასუხა ნიკოლოზ I-ს, როგორც ეს ზემოთაც იყო მოყვანილი, რომ დეკაბრისტთა წინააღმდეგ რეპრესიების შემდეგ: «останется гораздо множайшее число людей, разделяющих идеи и чувствования членов чайных обществ»<sup>1</sup>.

ხოლო შეორე ადგილას დასძენს, რომ აღრეულობათა მიზეზი განათლება არისო.

თუ ზემოაღნიშნულს სინამდვილის შესაფერისად წარმოადგენთ, მაშინ ადვილი გასაგები გახდება დოდაშვილის დამოკიდებულება სტუდენტ კრუჰსკისთან. არ ვიქნებით სინამდვილისგან მოწყვეტილი, თუ ვივარაუდებთ, რომ დოდაშვილი და კრუჰსკი სტუდენტთა ერთი წრის წევრები არიან, ერთი და იმავე იდეებთ განმსკვალუნელ და სრულიად ბუნებრივია, რომ რილევის წერილი მათ, როგორც წრის წევრებს, ევალებოდა ჰქონოდათ.

ეს ვაჩაუდი შეიძლება ვაბედულო იყოს, მაგრამ ის კი უდავოა, რომ დოდაშვილის და კრუჰსკის შორის, როგორც ერთი და იმავე იდეების მატარებელ ადამიანთა შორის, არსებობდა თუ ორგანიზაციული არა, ინდივიდუალური, ინტიმური დამოკიდებულება მაინც, რომლის ნადაგზედაც შესაძლებელი გამხდარა, რათა კრუჰსკის გაემხილა დოდაშვილისთვის ასეთი საბიფათო საიდუმლოება. უდავოა, რომ დოდაშვილის ლიბერალური განწყობილებისადმი მიღრეკილების შენიშვნამ ვააბედინა კრუჰსკის ასეთი საქციელი.

მაგრამ, მართლა 1826 წელს გადმოსწერა ს. დოდაშვილმა წერილი, თუ უფრო, ადრე?

<sup>1</sup> Щедрин-Саблин, Денабристы — Тайные общества, გვ. 18.

<sup>2</sup> ს. დოდაშვილი 1824 წლიდან არის პეტერბურგში.

<sup>1</sup> გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, გვ. 5. თეთი დეკაბრისტები, ევროპისთვის განკუთვნილი რუსეთის მთავრობის ინფორმაციაში, იწოდებიან «Люди гусного вида во фраках», რომელთაც მხარს უჭერდა ერთი მუჟა ოფიცერი და მათი ამყობნი. «ეს არ იყო აქანყება... რევოლუციურმა სულმა, რომელიც რუსეთში შემოიტანა უცხო ქვეყნებში ახალი თეორიებით დაავადებულთა ერთმა მუჟა ხალხმა; რუსეთში გაიღვა რამდენიმე ვალბი ფესვი და შთაგონა რამდენიმე ბოროტმოქმედსა და უგუნურს ოცნება შესაძლებელ რევოლუციანზე, რომლისთვისაც მადლობა ღმერთსა, რუსეთში არ არის პირობები».

ამასთანავე, განსაკუთრებით გასათვალისწინებელი და ინგარიშგასაწევი ის ვარაუდებია, რომ 1825 წლის შემდეგ რილევის შარტო ნაწარმოებების კი არა, სახელის ხსენებაც აკრძალული იყო «его издания изъясняются из казенных библиотек, вырезаются из старых журналов и альманахов, переписка и распространение их преследуется как нелегальщина и контрабанда»<sup>1</sup>.

რილევის სახელის ხსენების აკრძალვა გაუქმდა მხოლოდ 60-იან წლებში (...с имени Рылеева был снят запрет)<sup>2</sup>.

ამ ვითარებაში ს. დოდაშვილის მიერ რილევის წერილის გადმოწერას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ს. დოდაშვილს, რომელიც ამ დროს პეტერბურგში უკვე შემოძღვნილი იყო პირველ ფილოსოფიურ შრომაზე „ЛОГИКА“, რომელიც იქვე გამოცა 1827 წელს, შეუძლებელია პეტერბურგის მოწინავე საზოგადოებაში დეკაბრისტებისადმი განწყობილება, აგრეთვე მთავრობის დამოკიდებულება არა სკდალნადა. რამდენად შეტად ჩაუყვარდებით დოდაშვილის მიერ რილევის წერილის გადმოწერის ფაქტს, იმდენად მისი შეტა მნიშვნელობა მკლავდება და უფრო ღრმა შინაარსით იხსება. ეს ფაქტი ბრწყინვალედ, უტუვარად დაადგმა 1832 წლის შეთქმულებაზე რუსეთის ლიბერალური მოძრაობისა და კერძოდ, დეკაბრისტების გავლენაზე; ამას ადასტურებს და ნათესაყოფს შეთქმულთა მიერ იმავე რილევის ლექსის „Исповедь Наливайки“-ს გადმოთარგმნა და გავრცელება, მაშინ, როდესაც რილევის ნაწარმოებებიც და მისი სახელიც აკრძალული იყო.

მაგრამ რას წარმოადგენს თვით რილევის წერალი?

1826 წლის 13 ივლისს ვარიერაზე პეტერბურგში პეტროპავლოვსკის საყრობილის ეზოში ჩამოახრჩეს დეკაბრისტთა მოძრაობის ხუთი მეთაური (პეტრელო, რილევი, ბესტუევი-რიუშინი, კახოვსკი და შერაგიოვ-პოსტოლი).

სიკვდილის წინ რილევის ცოლისათვის წერილი მიუწერია. წერილი, როგორც მისი შინაარსიდან ჩანს, მნიშვნელოვანს არაფერს შეიცავს. აქ ჰყენს წინაშე წარმოსდგება როგორც ჰეველებრივი ადამიანი სასიკვდილოდ გამზადებული, რომელიც ნუგეშის პოვას ზეცისადმი შერაგებში ცდილობს და იმთვანე კი პატრონს მოითხოვს, ესთვისაც შეიძლება თავის ცხოვრებაში რაიმე უსამოყვება მიუყენებია... თუმცა არის ერთი მომენტის მაინც, რაც რილევის სულისკვეთებას ამჟღავნებს: იგი შედარებით დამშვიდებული ეგებება სიკვდილს. ამას კი თავისა შინაარსით შეეძლო ლიბერალურ

სენზორული საზოგადოებისათვის გული აეჩუქებინა და თვითმპყრობელობასკენი ზაზდი გაეღიერებია. სწორედ ამ მიზნით იყო გამოყენებული რილევის წერილი.

სამწუხაროდ, რუსულ ისტორიოგრაფიაში არაა ის არ ვინცხილავს საკითხს, თუ ვინ იყო ამ წერილის საზოგადოებაში გავრცელებელი და ვის შორის ვრცელდებოდა იგი. მიუხედავად იმისა, არის იგი ნამდვილი თუ ყალბი, მაგრამ შეიძლება არც კი მისცემიან შემთხვევა რუს მკვლევართ იმისი, რომ დაედსტურებინათ ამ წერილის გავრცელება. მაშინ ჰყენ შემთხვევას, ე. ი. რილევის წერილის პირის სოლომონ დოდაშვილთან აღმოჩენას უფრო ფართო მნიშვნელობა ენიჭება. შეიძლება დღევანდელ სტრიტულად დაისვას რუს მკვლევარს წინაშე რილევის წერილის საკითხი.

მას შემდეგ, რაც ჰყენ გვეცინით რილევის წერილის შინაარსს, ჩვენთვის ახლა ადვილი უნდა იყოს მსჯელობა იმის შესახებ, თუ რათ უნდა დაეინტერესებინა ამ წერილს დოდაშვილი და რისთვის უნდა გადმოეწერა მას იგი.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ წერილით დაინტერესების მოტივი მხოლოდ ერთი შეიძლებოდა ყოფილიყო: პოლიტიკური ინტერესი. არ უნდა დაგვაიწყინდეს, რომ სოლომონ დოდაშვილი 1824 წლიდან პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტად და მომსწრეა 1825 წლის 14 დეკემბრის შეიარაღებული აჯანყებისა. ხოლო 1826 წელსვე, როდესაც რილევის წერილი ახლად იქნებოდა გამოჩენილი, იგი მას დაუყოვნებლივ იწერს, იმისდა მიუხედავად, რომ წერილი არაღუგავლურ დოკუმენტს წარმოადგენდა და მისათ ჰეველებრივ დაინტერესება უხიფათო საქმე არ იყო. თუ ამას იმ გარემოებასაც დაეუმატებთ, რომ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დასჯილი, ვერცაჟმა ვიდრასახლებული დოდაშვილი უახლოვდება ვერცენს, რომელმაც მას თავის მოგონებაში რამდენიმე სტრიქონი უძღვნა, ჰყენთვის ამ ფაქტთა შინაგანი კავშირი ცხადი ვახდება.

თუ ზემოთქმულს შევერებთ, შეიძლება დივსაცხება, რომ სოლომონ დოდაშვილი პეტერბურგში სტუდენტად ყოფნის დროს დაახლოვდება დეკაბრისტთა წრეებს, თუ არა უშუალოდ, მათ თანაგრძობებში მაინც, რომელთაგან ერთი უნდა იყოს სტუდენტი კრუშკინი. სოლომონ დოდაშვილს ამ წრეებიდან უნდა შეეთვისებინა ის ლიბერალურ-განმათავისუფლებელი იდეები, რომლებიც 1832 წლის შეთქმულების დროს მას ამოძრავებდა.

მეორე ფაქტი რილევის ლექსის თარგმანი აგრეთვე ნათლად გვაუწყებს ქართველ შეთქმულთა და დეკაბრისტთა მოძრაობის შინაგან კავშირს.

საქმე ის არის, რომ ელიზბარ ერისთავი, რომელიც ამ თარგმანის ინიციატორი იყო, პეტერბურგში იმყოფებოდა მთელი შვიდი წელიწადი

<sup>1</sup> К. Рылеев. Полное собрание стихотворений... 83. XII.

<sup>2</sup> იქვე, 83. 31.

1823-30 წლებში. ვაყიო, რომ ის განათლების მისაღებად იყო წასული, კარჩაეკტილად არ ცხოვრობდა და იმ მყოფ ქართველ სხვა ახალგაზრდებთან ერთად, ზნორად დიარებოდა გადასახლებულ საქართველოს სამეფო საგვარჯულოს წევრთა ოჯახებში, სადაც მნიშვნელოვანი საუბრები იმართებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებზე. ამდენად, მისთვის დღევანდელი არ უნდა უფილიყო ყველაფერი ის, რაც რუსეთის, კერძოდ კი, პეტერბურგის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებას ახასიათებდა. ხომ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ამ ხნის განმავლობაში იგი მოწვევბილი იყო ყველაფერს და ევრნალ-გაზეთებისა და კიოთხელობა. შევძლებელია მისთვის უცნობი დარჩენილიყო ის გარემოება, რომ „Полярная звезда“-ს 1825 წლის ნომერებში დაბეჭდილ „Исповедь Наливайки“-ს გამო პეტერბურგის აურზაურში თავი რედპეტორს აღ. ზეპროკეს თავის მართლება დასკრება იმაზე მოითხოვით, რომ აღნიშნული ლექსი არის „Историко-романтическое сочинение“ და რომ კანონი არ მოითხოვს რედპეტორისაგან იმის მიებას, თუ რა შეიძლება იმალებოდეს ავტორის ნათქვამის უკან. და თუ ეს ყველაფერი მისთვის უცნობი იყო, მაშინ, როგორ აღმოჩნდა მის ხელში რადიკალური ლექსი, რომელიც მას ზეპირად ახსოვს, ან საიდან იცოდა მისი მნიშვნელობა?

ამჟამად, რომ ელოზბარმა კარგად იცოდა რადიკალური ვინაობა და მის თხზულებათა მნიშვნელობაც და სწორედ ამიტომ ამოარჩია მან „Исповедь Наливайки“ იმავე მიზნით გამოსაყენებლად, რა დანიშნულებაც მას პეტერბურგში ჰქონდა მინიჭებული დეკაბრისტთა მიერ.

ამასთანავე, საფურადღებოა, რომ რადიკალური ავტორული ლექსი ზეპირად იცის ვახტანგ ორბელიანმა, რომელაც აგრეთვე პეტერბურგში ნამყოფია და რომლისთვისაც ამ ლექსის მნიშვნელობა და მისი ავტორის დეტალური ცნობილი უნდა უფილიყო<sup>2</sup>.

<sup>1</sup> К. Рылев. Полное собрание стихотворений. Редакция, предисловие и примечания Ю. Г. Оксмана. Вступительная статья В. Гофмана. Издательство писателей в Ленинграде. 1934, стр. 46.

<sup>2</sup> რომ ქართველ შეთქმულთათვის ცნობილი იყო რადიკალური ლექსის ავტორის ფაქტი, ამაზე პირდაპირ მიუთითებს მისი შთარგმნილი გრ. ორბელიანი, რომელიც თავის ჰევენებაში იმბობს: „მე ვგრანბო ჩემს დანაშაულს, რომ გავდეთარგმნე ავტორული ლექსით“ (VIII, 3502). შერეო ადვილს კი აღარებს დრამად ვგრანბო მთელ ჰემსა დანაშაულსა და შეცდომას იმაში, რომ მე არ უნდა ვადმოშთარგმნა ნაღვლიათის ლექსი და სხვებიც არ უნდა დამეწერაო“ (XIX, 4022).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ შეთქმულნი აღნიშნულ საშეაღებას მიამართავენ მაშინ, როდესაც როგორც ზემოთ იყი აღნიშნული, რადიკალური ნაწარმოებებიცა და თავის მისი სახელიც ავტორული იყო.

ს. დოდაშვილის მიერ რადიკალური წერაღის გადმოწერა და შეთქმულთა მიერ „Исповедь Наливайки“-ს თარგმნა-გავრცელება, დეკაბრისტებისა და ქართველ შეთქმულთა ურთიერთობის მიუწეებელი, ორი მკვერმეტყველური ფაქტია.

ამგვარად, უდავო უნდა იყოს, რომ 1832 წლის შეთქმულების საფუძველი იყო საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების ევთარება, ხოლო 1825-32 წწ. ქართული ინტელიგენციის მოძრაობის უშუალო წამქეზებელი კი, რუსეთში არსებული ლიბერალურ-განმათავისუფლებელი განწყობილება, კერძოდ, კი დეკაბრისტების მოძრაობა. და 1832 წ. შეთქმულება თავისი კონსპირატულ-იდეოლოგიური შინაარსით მთლიანად ეპარალელურა დეკაბრისტების საიდუმლო საზოგადოების მოქმედებასა და იდეოლოგიას.

როგორც რუსი დეკაბრისტები, ისე ქართველი შეთქმულნიც, მიუხედავად მათი სოციალური წრისა, არ უფილან იმე ქარავეტორნი და შუზღუდლნი, რომ საყუთარი კლასის ინტერესებს ვერ გასცდნენ, და ამდენად მათი მოქმედება არ წარმოადგენს რომელიმე წრის ინტერესებში შემოფარგულ მოქმედებას. ჩვენ რადიკალური ვართ 1832 წლის შეთქმულთა მოღვაწეობის რეალისტური, ეპოქის თვალთ შევხედოთ და მათ დამსახურებისამებრ მივუხლოთ.

ასეთი მოქმედებანი, როგორც არის 1825 წლის 14 დეკემბრის დეკაბრისტთა აქცეება და 1832 წლის შეთქმულება, იმისა მიხედვით კი არ ფასდება, თუ რამდენად მათ მიერ დასახული მიზნები უშუალოდ მათი მოქმედების შედეგად მიღწეულ იქნა — ასეთი შედეგებით მსგავსი მოქმედება იშვიათად გვირგვინდება; — არ დავავიწყდეს, რომ რუსეთში გლეხთა განთავისუფლებას დეკაბრისტთა უშედეგო სისხლის დაქვევას შემდეგ, 40 წელიწადი კიდევ დასკრება.

აღნიშნულ მოქმედებათა მსგავსი მოქმედების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მისში ასახული და გადმოცემული ვაჭის ეპოქის ცხოვრების ვითარება, სახელმწიფოს შივნით პროგრესულ და რეგრესულ ძალთა დამპრისპირების სურათი და პროგრესულად განწყობილი საზოგადოების შემოქმედებითი პოტენციალი ვაჭის დადასტურებელი. აღნიშნულ მოქმედებებში გამოიყვანებულთა საზოგადოების ტიპიკულობა, ის სენი, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრებას სწავდა და რომლის განსაკუთრებულად საზოგადოების მიწინავე ნაწილი იღწეოდა.



საზოგადოების ამ რჩეული ნაწილის მოღვაწეობის მიმართ ჩვენ ბრმა და ყრუ არ უნდა ვიყოთ და მათი მოქმედება ისტორიულ ასპექტში უნდა განვიხილოთ და მსჯავრი ასე უნდა დავდეთ!

როგორც ლექსების მთარაობა რუსეთის ცხოვრების წიაღიდან მომდინარე აუცილებელი პოეტია იყო, ისევე საქართველოს ცხოვრების სინამდვილეზე იყო აღმოცენებული 1832 წლის შეთქმულება, ურომლისოდეს საქართველოს მე-19 საუკუნის ისტორიის პირველი და-

1 თუმცა ამ მხრივ რუსი ლექსების მთარაობის შეფასებაშიც ჰქონდა უცულობა ადგილი. პიპინის შემოხსენებულ წიგნში ვკითხულობთ: „...ისტორიკოსმა, განსაკუთრებით, უნდა უყუარდეს ის განსჯა, რაც შეთავაზებულია ბოროტი არაკეთილმოყვრობითა და მლიქვნელობით, რომელიც მუდამ მზად არის ზედმეტი ქვა ესროლოს დათრგუნვილ ადამიანებს, ისედაც დეინილებს. 20-იან წლების ადამიანები განსაკუთრებით საქართველს ისტორიულად გამართლებას: დიღხანს იყვენ ისინი ამორიცხული უოველგვარი ვახსენებისაგან; მათზე მხოლოდ თაედასხმისა და განკიცხვისათვის იყვენ ისინი განკუთვნილნი; მადი დაცვა, რასაც ცდილობდა განათლებული საზოგადოების ნაწილი, საჭიროდ ვერ გამოითქმოდა, და უმრავლესობისათვის გაუგებარი რჩებოდა მთელი ისტორიული პერიოდი, რომელშიაც ადამიანები იყვნენ უადრესად საზოგადოებრივი საკითხების წარმომადგენელი“ (მთ. შრ. გვ. 459).

საწყისი ნაწილი ძნელად გასაგები და უმინარსო იქნებოდა, უამისოდ 1832 წლებში ისტორიაში სიკარბილე გვიქმნებდა: *საქართველო* მეგრამ, რათა აღნიშნულ დასკვნამდე მივიდეთ, ამისათვის საჭიროა ყოველგვარი წინასწარ აღებული, ოდესღაც ტენდენციურად გამოთქმული აზრები უყუარდეთ და ხელი მივყოთ შეთქმულების მასალებს შესწავლას, რომლებიც უკვე ბლომად მოიპოვება, ხელმისაწვდომია და რომლებიც შეთქმულების ნამდვილ სახეს წარმოგვიადგენს... მხოლოდ ამის შემდეგ შეგვეძლება 1832 წლის შეთქმულებასა და მის მონაწილეებს მსჯავრი დავდეთ...

ღრთა ხამალა ვალიაოთ, რომ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველო მსოფლიო პროგრესის ფერხულიდან გამორიცხული არ ყოფილა და მან თავისი შეძლებისდაგვარი წვლილი გაიღო.

ჩვენი დოდაშვილი, ელიზბარ ერისთავი, აღექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, აღექსანდრე ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ფილადელფოს კიკნაძე, გიორგი ერისთავი, ზაქარია ჩოლოყაშვილი და სხვები, შეიძლება არ ჩამორჩებოდნენ თავისი საქმიანობითა და იღუეებისადმი სამსახურით ეპოქის ცნობილ მოღვაწეთა პლეიადას.

ჩვენი ამ შესანიშნავი წინაპრების მიმართ უნდა ითქვას, რომ ისინი ეპოქის მოწოდების სიმალეზე აღმოჩნდნენ, შექმნილ ვითარებას ხთანადოდ გამოეხმურნენ და ღირსეული მოქმედებით უბასუხეს, რითაც საქართველოს ისტორიაში ერთი ბრწყინვალე ფურცელი კიდევ ჩასწერეს.

## 1832 წლის შემთხვევების შეფასების საკითხისათვის

XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უველაზე მნიშვნელოვან მოვლენას 1832 წლის შეთქმულება წარმოადგენს. ეს შეთქმულება პეტერბურგში, დეკაბრისტული მოძრაობის კვალდაკვალ აღმოცენდა. 1827 წლიდან შეთქმულთა საქმიანობა თბილისში გაიშალა და იმდენად გაძვივრდა, რომ მასში ოცდაათიანი წლების ქართველთა მთელი მოაზროვნე თაობა აღმოჩნდა ჩაბმული. შეთქმულების უველაზე აქტიურ, ხელმძღვანელ ბირთვს ქმნიდნენ ალექსანდრე ჰვეჟეაძე, სოლომონ დოდაშვილი, გრიგოლ ვახტანგ ორბელიანები, დიმიტრი, გიორგი, ელიზბარ ერისთავები და სხვ. შეთქმულება მიმართული იყო საქართველოში რუსული მმართველობის წინააღმდეგ და გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ახლებურ ორგანიზაციას ითვალისწინებდა. მაგრამ შეთქმულებს მიზნის განხორციელება არ დასცალდათ. ერთერთი გამცემის დასმენით შეთქმულები 1832 წლ. დეკემბერში დააპატიმრეს და მკაცრად დასაჯეს.

1832 წლის შეთქმულების შესახებ ბევრია დამწერილი და თვალსაზრისი მრავალფეროვანია. მისი ისტორიოგრაფიული ანალიზი მოკლედ სტატიაში შეუძლებელია. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ შეთქმულებას ილია ჰვეჟეაძე და მისი თაობა დადებითად აფასებდა და უწოდებდა ცხოვრების ხელში ჩაღებულ იმ „თესლს“, რომელმაც შემდეგ, სამოციან წლებში გაახარა. ილიას და მის თანამედროვეებს მაინცათ, რომ დროში, რომელიც მათ აღმართეს ეროვნულ მოძრაობაზე, შეგვიდროებით ქართველ ოცდაათიანელებსაგან მიიღეს.

XX საუკუნის მიწურულიდან, საქართველოს

საზოგადოებრივ ასპარეზზე შავალრიცხოვანი პარტიების გამოჩენამ, რომლებიც თავიანთი პარტიული პოზიციიდან აფასებდნენ ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებას, 1832 წლის შეთქმულებაზე შეხედულებანი მეტად გამარჯვალდებულად იყვნენ.

დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში 1832 წლის შეთქმულებაზე გაბატონებული პოზიცია უკავია თვალსაზრისს, რომელიც ამ მოვლენას „თავადური ნაციონალიზმის“ გამოვლინებად აღიარებს და მოხრ მიზანდასახულობა რეაქციულად მიიჩნია. ეს თვალსაზრისი დასაყრდენს პოულობს ამ ცნობილ დებულებაში, რომელიც ი. ბ. სტალინმა თავის სტატიაში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიის ნაციონალური საკითხი“ გამოთქვა.

უველა მარქსისტი ისტორიკოსი თავისთვის ვალდებულად თვლიდა და თვლის შეთქმულების შეფასებისას ი. ბ. სტალინის აღნიშნული დებულება მოიტანოს და შეთქმულება „ფეოდალური ნაციონალიზმის“ რუბრიკეზე მოაქციოს, რომ ამით მისი „რეაქციული ხსიითი“ დაადასტუროს.

მაგრამ თუ ი. ბ. სტალინის სტატიის ამ ადგილს ღრმად ჩაუვყვირდებით, დაინახავთ, რომ 1832 წლის შეთქმულება სხვა ასპექტშია მოქცეული და „ფეოდალური ნაციონალიზმის“ არსს სრულიადაც არ ექვემდებარება. სტალინის სტატიაში გარკვევითაა ნათქვამი, რომ ფეოდალურ-მონარქიულმა ნაციონალიზმმა შესამჩნევი კვალი ვერ დაამჩნია ქართველების ცხოვრებას, ვერცერთი ფაქტით ვერ ისახელათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველი თავადზნაურობის ზოგიერთ შეთქმუ-

ლებას რუსი მმართველობის წინააღმდეგ კავკასიაში<sup>1</sup>.

ძნელი არაა იმის ამოცნობა, რომ ეს „ზოგიერთი შეთქმულება რუსი მმართველობის წინააღმდეგ“ პირველ რიგში, 1832 წლის შეთქმულებაა, რომელიც ი. ბ. სტალინის განმარტებით ისეთ ფაქტთა რიგს განეკუთვნება, რომლითაც ქართველობამ თავიც ისახლება და რომელმაც ქართველების ცხოვრებას „შესამჩნევი კვალი“ დაამჩნია. 1832 წლის შეთქმულება ი. ბ. სტალინთან გამოცალკევებულია ფეოდალური ნაციონალიზმის საერთო მოძრაობიდან, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა, რომელმაც დასაბამი მისცა ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას XIX საუკუნეში. როგორც ენობილია, ი. ბ. სტალინის სტატიის დანიშნულებას ბურჟუაზიული ნაციონალიზმის კრიტიკა და პროლეტარიატის ნაციონალური კითხვის განმარტება შეადგენდა, ამიტომ მის ურადღებამ არ გაუმხვედრებდა 1832 წლის შეთქმულებაზე. გამოყო რა იგი ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმის მოძრაობათაგან, როგორც დადებითი მოვლენა, მან მთელი ურადღება ბურჟუაზიულ ნაციონალიზმზე გადაიტანა. შემთხვევითი როდია, რომ ამ სტატიაში ი. ბ.

სტალინს შავალითად ერთი სიტყვაც არ აქვს ნათქვამი XIX საუკუნის მეორე ნახევრის იმ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, რომელიც უარესად დადებითი მოვლენა და წაშკენი მოძრაობა იყო ქართველთა ცხოვრებაში XIX საუკუნეში. მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში ი. ბ. სტალინი, 1832 წლის შეთქმულება და ფეოდალური ეროვნული მოძრაობაც განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენებად მიიჩნდა, რომლებიც არ უქვემდებარებოდნენ არც ფეოდალურ-მონარქიულ ნაციონალიზმს, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოძრაობის მესვეურნი თავიდანბურთა კლასს ეკუთვნოდნენ, და არც ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, და ამდენად მისი სტატიის განსაზღვრული საგნების გარეშე იღვწენ.

რაც შეეხება „ფეოდალურ-მონარქიულ ნაციონალიზმს“, ამ რუბრიკის ქვეშ ისტორიკოსმა უნდა განიხილოს 1802 წლის თავდაზნაურული შეთქმულება და ის მოძრაობანი, რომელსაც ქართველი თავადაზნაურობა 1804, 1812 და 1818-1819 წლების მასობრივ აჯანყებებთან შიტმასნებისას იღვწენ. 1832 წლის შეთქმულება კი როგორც ქვეითი დაინახავთ, სრულიად განსხვავებულ მოვლენათა რიგს ეკუთვნის.

1832 წლის შეთქმულების შეფასებისას მკლევარმა პასუხი უნდა ვისცეს ამდენიმე კითხვას, რომლებსაც, ჩვენი აზრით, არსებითი

მნიშვნელობა აქვს ამ მოძრაობის ხასიათს, მისი მიზნების მართებული განსაზღვრისათვის. ეს კითხვებია:

1. რა ორიენტაციის იყვნენ შეთქმულების მონაწილენი? უბრუნდებოდნენ ისინი იმ მუსულმანურ სამყაროს, რომელსაც ქვეყანამ დიდი ბრძოლით დააღწია თავი XIX საუკუნის დასაწყისში, თუ კვლავ შეუწყველად იდგნენ რუსეთთან (ევროპასთან) თანაცხოვრების თვალსაზრისზე?

2. სურდათ თუ არა შეთქმულებს, თუნდაც მის უკიდურეს შემარჯვენებებს ბაგრატიონთა ტახტის უცვლელად აღდგენა, ანუ საქართველოს ისტორიული ჩაბნის უკულმა დატრიალება, როგორც ეს შეთქმულების შრავალი მკვლევარის მიერაა აღიარებული, თუ ცარიზმისაგან თავდასწრული საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია მათ იმ დროის მოწინავე იდეების გათვალისწინებით ჰქონდათ ნივარაუდები.

3. რომელი მიმდინარეობა (ფრთა) სჭარბობდა შეთქმულთა შორის — რეაქციულ-კონსერვატორული, თუ კონსტიტუციონალურ-მონარქიული, და რამდენად ახლო იდგა ეს უკანასკნელი დეკაბრიზმთან, ან ევროპის 20-30-იანი წლების განმათავისუფლებელ მოძრაობასთან?

4. ემსახურებოდა თუ არა ქართველი ერის თვითშეგნების გაღვივების, მისი პატრიოტული შემართების საქმეს შეთქმულთა საქმიანობა, და შესძლეს თუ არა მათ დადებითი კვალი დაემჩნიათ საქართველოს ინტელექტუალური ცხოვრებისათვის?

5. რა იყო ის „თესლი“, რომელიც ი. ჰევქივამის სიტყვებით რომ ეთქვათ, ოცდაათიწელუბმა ქართული ცხოვრების ხნულში „ჩასთესეს“ და რამდენად შეუწყო ხელი ამ „თესლის“ გაღვივებამ ეროვნული მოძრაობის შემადგომ აღმავლობას 60-70-იანი წლებში.

• • •

კავკასიაში რუსული მმართველობის წინააღმდეგ შეთქმულება სრულიყოფით არ გულისხმობდა ხელისაღებას იმ ორიენტაციაზე, რომელიც აღმოსავლურ-მუსულმანურ ვარგმობაში გამოტარებულმა ქართველმა ხალხმა ჯერ კიდევ სამი საუკუნის წინათ აირჩია საბოლოოდ და ამ ორიენტაციის სასშებრპლოზე თათბართა მრავალი სისხლი დაღვარა.

ქართველი პატრიოტები შესანიშნავად ხედავდნენ ერისათვის იმ დიდ სარგებლიანობას, რაც რუსეთთან თანაცხოვრებამ მოუტანა. რუსეთი ერთადერთი ქვეყანა იყო მაშინ, რომელიც საქართველოს საუკუნო მტრებს, — ოსმალებსა და თანამ ახლო აღმოსავლეთში პოზიციების გაფართოებისათვის ბრძოლაში ზედინჯედ ამარცხებდა და თანდათან ხელიდან ტაცებდა ადრე მტაცებულ ქართულ მიწა-წყალს.

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 33.

რუსეთში აღაგმა ლევიების გამუდმებული თარეში, რუსეთში ეწაფებოდა სწავლას ცოდნას მოწყურებული ქართველობა, რუსეთის საშუალებით შეიძლო მას ისტორიის პროგრესისათვის აეწყო ფეხი და სულსამეხმეთველ მუსულმანური ასიმილაციური აღმოსავლური დასავლური ვითარებაში ზაუხედავი და ბეციყო, რომ რუსული ორიენტაცია დაეგმო და ისევე აღმოსავლურ მუსულმანურ გარემოცვაში ჩაეკტილიყო. ეს, კეშმარიტად, ერის ისტორიული ჩარხის უკუღმა დატრიალება იქნებოდა.

ქართველი შეთქმულები, მიუხედავად იდეურ-სხვადასხვაობისა, ორიენტაციის საკითხში ერთგულს პოლიტიკის ერთგულნი იყვნენ. მათ იდეალს წამოადგინდა 1783 წლის მფარველობით ტრაქტატის მუხლების აღდგენა. შინაგან მმართველობაში დამოუკიდებელი, საგარეო საქმეებში რუსეთთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით მოქმედი საქართველო უზახეზებდა მათ პატრიოტულ ინტერესებს და ამისათვის იბრძოდნენ ისინი. ამის საილუსტრაციოდ მრავალი ფაქტის მოტანა შეიძლება.

შეთქმულთა საქმეებში ინახება 1801 წლის მინიფისტის შენიშვნები, დაწერილი დიმიტრი ერისთავის მიერ. შეთქმულების ეს აქტიური წევრი ალექსანდრე პირველის მანიფესტს რუსეთთან საქართველოს შეერთების შესახებ მკაცრად აკრიტიკებს, როგორც უსამართლო აქტს, როგორც ერის შეურაცხველად დოკუმენტს. დ. ერისთავს მიიჩნია, რომ საქართველოს სამეფოზე რუსეთის იმპერიის „მფარველობა და უმალეხი ხელისუფლება სამართლიანი და სასარგებლო იყო, მაგრამ ეს რუსეთის მონარქებს ავილებდა დაცემა ქვეყანა“. სინამდვილეში სულ სხვა რამ მოხდა. ნაცვლად იმისა, რომ ახალგაზრდა ქვეყანას საკუთარი მმართველობის ორგანიზაციაში დახმარებოდა, რუსეთის მონარქმა მიიტაცა საქართველოს სამეფო გვირგვინი და ქვეყანას თავისი ძალაუფლების ქვეშ მოაქცია, საქართველო რუსი მოხელეების გადასახლეობის ადგილად გადააქცია, ჩაილა ახალგაზრდა ქართველობის ნიჭი, ნაცვლად იმისა, რომ შეერთებებში მოპირისპირე პარტიები, ხელი მიყო ქართველთა წასისინებებს.

კრიტიკული შენიშვნები არაა სრულად მიღწეული. მას ჩამდენიმე ფურცელი აკლია. მაგრამ მოტანილი ადგილებიც ნათლად ადასტურებს, რომ დიმიტრი ერისთავი ტრაქტატის

შომხრება და გმობს ცარიზმის ამ აგრესიულ ღონისძიებას, რომელიც 1801 წელს ვახტანგ-ცოცელდა.

— „უიველ შემოხვევაში რუსეთთან განუერთელი უნდა იყოს“ — მე და ჩემს ოჯახში მყოფნი ყველანი ამ აზრისა იყენენ, — წერს ერთ-ერთ ჩვენებაში ალექსანდრე ქვეყაიყ. ასეთი აზრი გამოსტყვის შეთქმულების მონაწილეების ალექსანდრე ორბელიანისს, თამარ ბატონიშვილის და სხვ. ჩვენებებშიც.

დაკოხვის პროცესში შეთქმულები, ცხადია, რუსეთის ცარიზმის სააუგოს არაფერს იტყოდნენ, და მართო მათ ჩვენებებზე დაურდნობა იმის საილუსტრაციოდ, რომ შეთქმულნი რუსული ორიენტაციის იყენენო, გუშართლებელი და დაუქრებელია შინა. მაგრამ ქართველ-პატრიოტებს რომ სხვაგვარ ორიენტაციის ვერ აღებდნენ და რუსეთთან თანაცხოვრება ერის კეთილდღეობის საწინააღმდეგე რომ მიიჩნდით, ეს სხვა კუთხით, სხვა მავალითებითაა ნათლად დასტურდება. დამახასიათებელია შეთქმულების არაა მონაწილე, მაგრამ გულწრფელი ქართველი პატრიოტის ივანე აფხაზის სიტყვები: „ღმერთო, ნუ მიიყვან რუსთა ესრეთსა განწირულობასა შინა, რომელ იძულებულ იყენენ დატევებად საქართველოსა, რომელიც მესივე შეიქმნების მსხვერპლად უწესოებისა შინაგანი განწილულებისა და ზედა დასმისა დაუტინებლათა მტერთაგანა“<sup>1</sup>. შეთქმულების მონაწილე გრ. ორბელიანი აფხაზთან საუბარში საწინააღმდეგე შეხედულებას ევითარებს, მაგრამ როგორც პ. ინგოროყვა შენიშნავს, „პოეტის ერთგვარი დაქვევა თავის პოლიტიკაში უნებლიეთ მოჩანს ამ დიალოგის შესავლიდან, აგრეთვე იმის მიხედვითა, რომ იგი საქართველის ასე დაწერილებით ვადმოგვეს ი. აფხაზის საუბარი“<sup>2</sup>. „ან ვითარ ძლიერად და მართლად აღწერა აწინდელი მღვდმარეობა საქართველოსა, რომელიცა უყვარს, ვითარცა ქვეშარტისა ძეგა მამულისათა“<sup>3</sup> — ამბობს გრიგოლი.

ქართველ ოცდაათიანელთა პოლიტიკური ორიენტაციის სრული დახასიათება შესანიშნავად აქვს გადმოცემული ნიკოლოზ ბარათაშვილის, რომელიც, მართალია, მცირეხასიათებლობაში გამო შეთქმულების მონაწილე არ ყოფილა, მაგრამ „არის მემკვიდრე ერთგულ-განმათვისებულდელი მოძრაობის იდეოლოგიისა, რომელმაც გამოსახებულია 1832 წლის შეთქმულებაში პოეია“<sup>4</sup>. ამ იდეოლოგიის ნათელ გა-

<sup>1</sup> საქ. სსრ ცსა., ფ. 1457, რე. IV ფ. 677-679.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 376.

<sup>3</sup> გრიგოლი ორბელიანი, თბზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1959, გვ. 172.

<sup>4</sup> ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბზულებანი, თბილისი, 1945, გვ. IX.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>1</sup> საქ. სსრ ცსა., ფ. 1457, რე. V, 725. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, გვ. 117-119.

მოხატულებას „ბედი ქართლისა“ და „საფლავი მეფის ირაკლისა“ წარმოადგენს, სადაც რუსეთთან თანაცხოვრება საქართველოს გადარჩენის და მისი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრების ერთადერთი საშუალებად აღიარებულია.

შეთქმულებს მიიჩნეოდა, რომ ირანი და ოსმალეთი, — საქართველოს ეს დაუძინებელი მტრები, რუსეთთან ომების შემდეგ, იმდენად იყვნენ დისუსტებულნი, რომ საქართველოზე აღრანდელი პრაქტიკებით ვეღარ გამოვიდოდნენ, რომ ამ ქვეყნების მიერ საქართველოს შტატებზე გამოიყენებული იყო და საერთოდ მოხსნილი იყო ზღვრისგარეშე ივრისის ის საფრთხე, რომელიც ადრე, საუკუნეთა განმავლობაში, ქართველ ხალხს სიცოცხლეს უმწარებდა. „ეგვიტის ფაშა სულთანის წინააღმდეგ მოდის და მისი შვილი იბრაჰიმ ფაშა უკვე არზრუმშია, ხოლო სპარსელები ომის შემდეგ ისე გალატადნენ, რომ სულს ძლივს იტყვიანო“<sup>1</sup>. ასე ამხნევებდა ალექსანდრე ორბელიანი შეთქმულებს, როცა საუბარი საქართველოს მთავრობაზე და მისი მონაპოვარის შენარჩუნებაზე მიმდინარეობდა. შემთხვევითი როდია შეთქმულთა ცდა გაეზოტო კავშირ-თიერთობა სულთანის წინააღმდეგ მებრძოლ ეგვიტის ფაშასთან, რომელიც საფრანგეთის მფარველობით სარგებლობდა.

როგორც ცნობილია, შეთქმულნი საფრანგეთის დამხარებასაც არ გამოიციხავდნენ და ილწოდნენ კიდევ — შინაგანი მმართველობის ორგანიზაციაში საფრანგეთის კონსულტაციისათვის მიეღწეოთ. აჭედან ზოგ მკვლევარს ის დიკცია გამოაქვს, თითქოს შეთქმულნი თრინეტაციას იცვლიდნენ და რუსების განდევნის შემთხვევაში იმედს საფრანგეთის მფარველობაზე ამყარებდნენ. ეს არაა მართალი. შეთქმულებს არ შეიძლებოდა არ ცოდნოდან, რომ ნაპოლონის დამარცხების შემდგომ 1830 წლით დასუსტებული საფრანგეთი მისთვის ასე შორეულ საქართველოს მფარველობას ვერ განახორციელებდა, რომ საფრანგეთის არაერთგზისი ცდა (ნაპოლონის ძღვეამოსილობის ეპოქაშიც კი) კავკასიიდან რუსეთის განდევნისა, მარცხით დასრულდა, ხოლო ოციანი წლების მიწურულისათვის ირანში მისი გავლენა არარაობა იყო. საფრანგეთთან და ინგლისთან სიახლოვე, საქართველოს ბედით ამ სიხელმწიფოთა დაინტერესება იმ მოტივით იყო ნაყარნახევი, რომ ამ უკანასკნელთა გამოსარჩლებას რუსეთის მთავრობაზე მოეხდინა გავლენა, რათა საქართველოს შერი შინაგანი ავტონომია მისცემოდა.

შეთქმულებს პოლონეთის ან ფინეთის გამოცდილება უყარნახებდა მათი ქვეყანა — საქართველო ვეროპულე დიპლომატიის ინტე-

რესთა სფეროში მოეჭიათ და ამ ინტერესთა ქიდილში ეკეთებინათ დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმე.

ამრიგად, 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი, ისე, როგორც მათი წინამორბედი ქართველი არისტოკრატია, რომელიც 1802, 1804, 1812, 1819-1820 წლების აჯანყებებში მონაწილეობდა და ამ აჯანყებათა მეშვეობით აპირებდა მფარველობით — ტრაქტატების აღდგენას, რუსელთა ორიენტაციის იყო და უმიზნებდა მხოლოდ და მხოლოდ ფართო შინაგან ავტონომიას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

იყო თუ არა რეალური ეს ვარაუდი საერთოდ? რა თქმა უნდა, იყო. ცარიზმში XIX საუკუნის პირველ ათწლეულში, როცა საქართველოში მასტიკ ანექსიას ახორციელებდა, იარაღით დაპყრო ფინეთი, მაგრამ როგორც ცნობილია, ანგარიშს უწევდა რა საერთაშორისო ვითარებას, ეპოქის სულისკვეთებას, სემი და კონსტიტუცია მისცა მას, ასე თუ ისე, ანგარიშს უწევდა მის საშინაო თვითმმართველობას. ცარიზმში ასევე დაისაკუთრა ვარშავის საპერტოვო, მაგრამ მასაც სემი და კონსტიტუცია მისცა, თუმცა ცარიზმი თავისი ბუნებით კონსტიტუციურ მმართველობას ვერ იტანდა და რუსეთის შიდა გუბერნიებში და შინაგან „კოლონიებში“ უშეკერეს მონარქისტულ რეჟიმს ახორციელებდა.

ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ აზრი საშინაო თვითმმართველობისა, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიური უფლებებით ჩართვისა (ტრაქტატა), აზრი პროტექტორატის შესახებ იმ ეპოქაში უცხო და უტოპურ არ ყოფილა. ყველაფერი თვით ამ ქვეყნის შინაგან ძალებზე და ევროპაში ძალთა წონასწორობაზე იყო დამოკიდებული.

მკვლევართა ნაწილი 1832 წლის შეთქმულების რეაქციულობის მთავარ არგუმენტად აღიარებს იმას, რომ შეთქმულებს თითქოს საქართველოში მონარქიული წყობილების აღდგენა სურდათ, ე. ი. სურდათ დაბრუნებოდნენ პოლიტიკური წყობილების იმავე ფორმებს, რაც საქართველოში XVIII საუკუნის მიწურულისათვის იყო, ანუ საზავაგანა, ისტორიის ჩარხს ეუღლა ატრიალებდნენ.

შეთქმულების პოლიტიკური პროგრამის ანალიზი ამ თეზისს სრულიად აქარწყლებს.

ჩვენთვის ცნობილია ის შეუპოვარი ბრძოლა, რომელსაც ქართველი რეაქციული თვადობა ბატონშვილების მეთაურობით, ძველი ქართული მონარქიული წყობილების აღდგენისათვის ეწეოდა. ამ ბრძოლების თვალსაზრისით გამოვლინება იყო 1802 წლის შეთქმულება, 1804, 1812, 1819-1820 წლების ვლუხთა აჯანყებებში თავადური ნაკადი. ცნობილია, ისიც რომ რეაქციული თვადობის და მათი მეთაურობის ყველა ცდამ ამ მმართველებით მარცხით განიცადა. მოპარაობის ყველა მეთაური რუსეთის

<sup>1</sup> გ. ვახალიშვილი, მით. ნაშრომი, გვ. 135.

მმართველობამ საქართველოდან გადაასახლა, დაჰყენა.

შეტჯამებულ საუკუნის ოციანი წლების მეორე ნახევრისათვის, ე. ი. იმ პერიოდისათვის, როცა შეთქმულება აღმოცენდა, ქართველი მონარქიული წყობილების რესტავრაციისათვის მებრძოლი ბატონიშვილებიდან ყველაზე აქტიური ცოცხალი აღარ იყვნენ (ბატონიშვილები იულონი, დავითი).

რაც შეეხება დიმიტრი თელონის ძე და ოქროპირ გიორგის ძე ბაგრატიონებს, რომლებიც რეაქციული თავადობის ზემოაღნიშნულ მოძრაობაში მონაწილეობას არ იღებდნენ, რუსეთის კულტურულ ცენტრებში (მოსკოვში, პეტერბურგში) ცხოვრებამ, ევროპაში მიმდინარე მძაფრი პოლიტიკური მოვლენების შეთვალეურებად და ანალიზად მისი საქართველოს პოლიტიკურ წყობილებაზე შეხედულებანი საფუძვლიანად შეუცვალეს.

ცნობილია ისიც, რომ პეტერბურგში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილთა იდეური მსახვეური დავითი, რომელიც მისი თანამოძღვრე მსოფლიოს პოლიტიკურ სისტემებს შესანიშნავად იცნობდა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ოცნებობდა, დამოუკიდებელ საქართველოს სრულებითაც აღარ წარმოადგენდა ამგვარად, როგორც ეს ერეკლეს დროს იყო. განწმინათლებელი იდეების მორტივალე დავითს, ითვალისწინებდა რა რუსეთისა და ევროპის გამოცდილებას, თავის ქვეყნის პოლიტიკური წყობილების ვადახალისება აუცილებლად მიიჩნდა. ამის თვალსაჩინო დადასტურებას დავით ბატონიშვილის სახელმწიფო პროექტები და ობშულებანი წარმოადგენს.

პირადი ნიჭით, განათლებით, აღზრდით პეტერბურგულ ბაგრატიონთა წრეში ერთ-ერთი მოწინავე იყო დიმიტრი იულონის ძე, რამეთუ ის შეთქმულების ჩახახვის პერიოდში ასაკით 25 წელს არ აღემატებოდა. დიმიტრი ამ დროისათვის, როგორც ჩანს, უკვე საკმაოდ იყო ჩახედული ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში, იცნობდა კონსტიტუციურ მონარქიას, როგორც სახელმწიფო მმართველობის ფორმას. მიანის ფრანკფურტისა და კრაკოვის მმართველობის სტატუსებს, ამასთან, როგორც შეთქმულები უჩვენებდნენ, მოსწონდა მეფის არჩევნებში ყველა ფრანგი „შოქალაქის მონაწილეობის წესი, ამჟობდა მიანის ფრანკფურტისა და კრაკოვის პოლიტიკურ წყობილებას. გიორგი ერისთავის ზეგნებაში ნათქვამია ისიც, რომ დიმიტრი ბატონიშვილთან ყოველ კვირადღობით თავს იყრიდნენ ქართველები და იმართობოდა მსჯელობა საქართველოზე — შეუძლია თუ არა მას, იყოს დამოუკიდებელი; ლაპარაკობდნენ ხალხის უფლებაზე, იმ საშუალებებზე, რომლითაც საქართველოს განთავისუფლე-

ბა იქნებოდა შესაძლებელი. ამის საუკეთესო საშუალებად ბატონიშვილი განათლებას აღიარებდა... აქებდა ფრანგებს, როგორც თავისუფლების დამცველებს... და სხვ.

მწილი არაა, რომ ბატონიშვილის ამ სიტყვებში დღევანდით ადამიანი, რომელიც ცხოვრების ევროპულ წესებისადმი სიმბათითაა გამსჭვალული და იზიარებს ცარიზმის დესპოტიზმისადმი რუსი ახალგაზრდობის იმ პროტესტანტულ განწყობილებას, რომელიც ამ დროს ფრიად გავრცელებული იყო პეტერბურგში ახალგაზრდობაში. დიმიტრი ბატონიშვილი თავისი მსოფლმხედველობით, ცხადია, დეკარტისტი არ ყოფილა, მაგრამ მისი საუბრის მიმართულება, უმეტესად, გვამცნებს უფლებას ლიბერალური იდეების მოტივად აღედგინათ მთავრობის იგი და ქართული არქაული პოლიტიკური ცხოვრების აღდგენის მისწრაფების ბრალდება ჩამოეცაღოთ.

ახლა ოქროპირ ბატონიშვილის პოზიციას დავაკვირდეთ. შეთქმულნი უჩვენებდნენ, რომ ოქროპირ ბატონიშვილი ისევე როგორც დიმიტრი, ქართველი ახალგაზრდობის ჩათრევას შეთქმულებაში თავისუფლებასა და დემოკრატიზმზე წარბაქცი თხრობით იწყებდა. აღიარებლიანი აღნიშნავს, რომ ოქროპირი უამბობდა მას სამბერძნეთის ისტორიას და აქებდა ბერძენთა დემოკრატიულ მმართველობას. ვახტანგ ორბელიანი აჩვენებდა: დოდაშვილმა თქვა, — როცა თბილისიდან ოქროპირ ბატონიშვილს ვაცოლებდი, მის მიხარა: „დაღ, ბატონო ქართველებო, ეცადეთ საქართველოს გათავისუფლებას, თუმცა მე საქართველოს ვათავისუფლებდა იმიტომ კი არ მინდა, რომ ბატონიშვილთა გვარიდან იქ ვინმე გამეფდეს, არამედ რომ საქართველო შეიქმნეს რესპუბლიკის მგვარ სახელმწიფოდო“<sup>1</sup>. მართებულად შენიშნავს პროფ. ა. კვიციანი, „განა ბატონიშვილებმა თვით საქართველოს მავალითურ არ იცოდნენ, თუ რამდენად დრომოქმედი იყო ბატონყმობა — ფეოდალური წყობილება? ამ წყობილების წინააღმდეგ მოძრაობა და რეფორმატორული მუშაობა დაიწყო ბატონიშვილთა წრეში ჯერ კიდევ გიორგი XII-ის კარზე და ითანე ბატონიშვილის „კალმასობა“ ხომ ბატონყმობა საქართველოს წინააღმდეგ შედგენილ საბრალდებულო აქტს წარმოადგენს“<sup>2</sup>.

მაგრამ ყოველი ისმის: შეიძლება ბატონიშვილები დემოკრატიულ წყობილებაზე, საქართველოს მომავალ თავისუფლებაზე, საფრანგეთის მსგავს მმართველობაზე განგებ ლაპარაკობდნენ, რომ ახალგაზრდობა წაეჭებინათ; შეიძლება

<sup>1</sup> გ. ვახლიშვილი, 1832 წლის შეთქმულება.

<sup>2</sup> აბელ კვიციანი, საქართველოს ისტორია, გვ. 186.

მათ შეთქმულების გაღვივებისათვის სჭირადო მხოლოდ ასეთი პრაზაგანდა, შეთქმულების წარმატების შემდეგ კი მონარქიას აღადგინდნენ.

ასეთი ვარაუდი არავითარ ფაქტურ მისალს არ ემყარება; ძნელია დაბეჯითებით მტკიცება იმისა, თუ რა კერძს აღებდნენ ბატონი-შვილები, საქართველოს სამეფო ტახტს რომ დაუფლებოდნენ, მაგრამ თავისთავად წიერის შეთქმულთა თუნდაც ის, რომ რუსეთის შენაღმდეგ ბრძოლისათვის ახალგაზრდობის წაქეზებას იხინი თავისუფლების, კონსტიტუციური მართვლობის, არჩევითი სისტემის უპირატესობის მომარჩევნით იწყებენ. ჩანს, ბატონი-შვილები უკვე დარწმუნებული იყვნენ, რომ სხვაგვარი ავტოკრატია ახალგაზრდობაში ანტირუსული მოძრაობის ენთუზიაზმს ვერ გააღვივებდა.

ჩვენ მივგანია, რომ რუსეთის კულტურულ ცენტრებში აღზრდილ ქართველ ბატონიშვილებს, რომლებიც მშვენივრად იყვნენ ინფორმირებული ევროპაში მიმდინარე სოციალ-დემოკრატიული პროცესების შესახებ, რომელთა თვალწინ უკვე ნგრევის განიცდიდა დრომოკმული მონარქიული რეჟიმი ევროპის ბევრ ქვეყანაში და ეროვნულ-ვანანათავისუფლებული მოძრაობა უკვე ფრთებს ქსებდა (იტალია, პორტუგალია, ბალკანეთის ქვეყნები), რუსეთში კი დეკარისტებმა იარაღით ზელში აშკარა ბრძოლა გამოუცხადეს თვითმპყრობელურ რეჟიმს, — საეჭვოა, რომ ამ ვითარებაში მათ საქართველოში მონარქიული ხელისუფლების ძველი ფორმების აღდგენაზე, ერევლის რუსული საქართველოს პოლიტიკური სხეულის რესტავრაციაზე ეოცნებათ და ანკარაში არ გაეწიათ იმისათვის, თუ როგორ შეიცვალა ვითარება საერთოდ, რა ძლიერად დაპებრა ახალმა სიომ, წელი მოიმარტა ახალმა ეპოქამ.

ბატონიშვილთა პოლიტიკური ჩინაფიჭრის რეაქციულობაც რომ უეჭვოდ გამოვაცხადოთ და ერევას შეიღვივებებს მათი ჰაპის დროინდელი მართვლობის ტრფიალი მიგაწეროთ მხოლოდ, შეთქმულების საერთო პოლიტიკური ევროს გასარკვევად იგი მიიქვ არ გამოდგება.

ბატონიშვილების მიერ პეტერბურგში წამოწყებულმა მოძრაობამ, როგორც ვიცით, საქართველოში ფართო ზასათი მიიღო. მასში სხვადასხვა დროს ჩაებნენ შემდეგში ერის ისეთი თვალსაჩინო მოღვაწენი, როგორც იყვნენ ალექსანდრე, ვახტანგი, დიპტრი, მამუკა ორბელიანები, ელიზბარ, გიორგი, ივანე, ლევან ერისთავები, ალექსანდრე პუშკაჭაძე, დიპტრი ყვიფანი, სოლომონ დოდაშვილი, სოლ. რაზმაძე, ათანელოვი და მრავალი სხვა.

ამრიგად, შეთქმულებაში რიცხობრივად და აღებურად დომინანტული მდგომარეობა იმდროინდელმა ქართულმა ინტელიგენციამ,

ოცდაათიანელთა პროგრესულმა თაობამ დიკავა ქართულ ისტორიოგრაფიაში, 1832 წლის შეთქმულება ინტელიგენტურ მოძრაობად, ქართული აზნაურული ინტელიგენციის პროტესტის გამოხატულებად აღიარებულა. მართლაც, მასში წამყვანი როლი რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ თბილისში ან პეტერბურგსა და მოსკოვში განსწავლულ ახალგაზრდობას ეკავა. ამ ინტელიგენციის თავისი იდეოლოგია, თავისი პოლიტიკური კრებოქმონდა. იგი მისტიკოდა წარსულის დიდებას. დამოუკიდებელი და ძლიერი საქართველო, მართალია, იდეალად შიანდა, მაგრამ ახალ, ცივილიზებულ ეპოქაში ეს დამოუკიდებელი და ძლიერი საქართველო სრულიად არ წარმოუდგებოდა ისეთივე სახელმწიფოებრივი მექანიზამით, როგორც ეს შუა საუკუნეებში და თუნდაც მე-18 საუკუნეში იყო. დამოუკიდებელი საქართველო, მათი აზრით, ევროპის პოლიტიკური წყობილების ყაიდაზე უნდა მოწყობილსყო რაკია საშინსტროგებით, თავისი წარმომადგენლობითი დაწესებულებებით და სხვ. ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც, როგორც საერთოდ აღიარებულა, ოცდაათიანელთა პოლიტიკურ იდეოლოგიას ასახავდა, იძლევა აბსოლუტიზმის ბრწყინვალე კრიტიკას და ჰქიცხავს ისეთ პოლიტიკურ წყობილებას, სადაც მონარქებმა ხალხთა ბელს ისე განაგებენ, ვითარცა კამათლებს.

„ამდლობა, ღმერთო, შენსა განგებას! ერთს კაცს მომადლებ ყოვლთა უფლებას, და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი, განურჩევლად სულელნი, ბრძენნი, და იგი მათს ბელს ისე განაგებს, ვითა ამღერდეს იგი კამათლებს!“

შედის მსაქელის ამ ფიქრებში, რომელნიც ამავე დროს პოეტის ფიქრებია, უმართებულთა. იქნებოდა არ დავგენახა ოცდაათიანელი ქართველი ინტელიგენტი, რომელიც ახალი ეპოქის, ახალი ცხოვრების შესაბამისად მონარქიულ წყობილებას უსამართლობად, დრომოკმულად თვლიდა და კანონიერად მიიხევედა მხოლოდ ისეთ ხელისუფლებას, რომელიც სახალხო წარმომადგენლობით, ან სახელმწიფოს ძირითადი კანონით იქნებოდა შეზღუდული.

ოცდაათიანი წლების ეს ქართველი ინტელიგენტები ძირფესვიანად განსხვავებოდნენ თავიანთი მამებისაგან, რომლებიც 1802, 1804, 1812, 1819-1820 წლებში ქართული ფეოდალური მონარქიის აღდგენაზე ოცნებობდნენ.

1802 წლის კახეთის თავადური შეთქმულების ძირითადი ლეიტმოტივი, მართლაც, ერევლებს

1 ნ. ბარათაშვილი, თხზ., თბილისი, 1945, გვ. 61.

დროინდელი ქართული მონარქიის აღდგენა იყო. 1802, ან 1812 წლის მოძრაობის მონაწილე ქართველ თავადს სიტყვის გავრცელება არ სურდა პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთობაში რაიმე ცვლილებებზე. იგი ამ მოძრაობაში რომ მონაწილეობდა, მხოლოდ და მხოლოდ რუსული მართველობით გაუქმებული თავისი სამეფვიდრეო თანამდებობისათვის იბრძოდა. ქვეყნის მართვა-გამგეობაში თავისი მონაწილეობის აღდგენას ესწრაფვოდა, თავისი შამულისა და ყმის საქმეებში მართველობის ჩარევის წინააღმდეგ გამოდიოდა. მას აწყობდა ფეოდალური პარტიკულარიზმი, აწყობდა სუსტი, და აზიურ ენგინ ბორბლებზე მოჭრილ მონარქიულ ურემი. ამრიგად, ქართველი ფეოდალის პოლიტიკური და სოციალური იდეალი რეაქციული იყო და საზოგადოებრივ პროგრესს ვერ უთვინდებოდა.

ოცდაათიანელ ქართულ თავად ინტელიგენტს არ შეიძლება კონკრეტული ამგვარი იდეალი. მართალია, მისი კლასის ინტერესები ზღუდავდა და მას სოციალურ სფეროში მომწიფებული საკითხებისაგან თავის შეკავებას უყარანახებდა, მაგრამ პოლიტიკურ სფეროში ეპოქის საერთო მოთხოვნილება მის აზროვნებას ახალი გზით წარმართავდა. ქართველი ოცდაათიანელები, ისე, როგორც დეკარისტები, ბრწყინვალე წოდებას ეყუთვნოდნენ. ისინი შეთქმულებაში რომ ებმებოდნენ, თავის წოდებრივ პრვილეგიებს, თავის უზრუნველ ცხოვრებას დიდ საფრთხეში აგდებდნენ. დეკარისტებზე ცარიზმის ანგარიშსწორების ფაქტი მათ თვალწინ ედგათ, მაგრამ სოციალისტების ზღურბლთან ამ გაბედულ დგომას მდალი პარტიკულარში, სამშობლოს მგზნებარე სიყვარული ავირთებდა. მათ მოძრაობაში არ იყო თავადური რეაქცია, არ იყო მხოლოდ კლასობრივი ინდივიდუალიზმი, ეს იყო ერის ექსტრემული მოსახრების ზრუნვის გამოხატულება, მსგავსად იმ მოძრაობისა, რომელიც რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ აზვირთდა პოლონეთში.

გამოძიების პროცესში, როგორც ეს ცნობილია, შეთქმულნი მეტად ჭუნად სწორედ ამ პროგრესულ მხარეზე ლაპარაკობდნენ. მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ თვითმპყრობელური რუსეთის სამსჯავრო ფეოდალზე მკაცრად აღმანიებს პროგრესული პოლიტიკური იდეალებისათვის სჯიდა. ამიტომ შეთქმულთა მასლებში ძნელი მოსაძებნია ფაქტები, რომლითაც მათი პოლიტიკური ფინანსოვითა უკმათოდ გამოიყვებებოდა. მაგრამ ის, რაც საგამომძიებლო კომისიამ გამოავლინა, შეთქმულთა ლიბერალურ შეხედულებებზე მსჯელობის საშუალებას მინც გვაძლევს.

შეთქმულნი საქართველოს უმიღლეს ხელი-

სუფლებას ორ პალატაანად წარმოადგენდნენ. ზედა პალატაში მეფე და მისი მინისტრები იჯლისსმებოდნენ, ქვედა პალატაში (სამმართველოში) ყველა მავრის დეპუტატები. სერბიურული იყო მეფისა და მინისტრების განდიდატები. მეფედ აღექსანდრე ბატონიშვილი უნდა მოეწვიათ. მინისტრთა პარტიკულები კი ასე იყო განწილებული: სამხედრო მინისტრი — აღექსანდრე ქავკაჯიძე, იუსტიციის მინისტრი — თე. მუხრან-ბატონი, ფინანსთა მინისტრი — ფალავანიშვილი, შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრი — ქილაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი — ბუბუთაშვილი, როგორც ვხედავთ, აქ საქართველოს შთაბრძნა სრულიად არ გამოიყვებდა ისე, როგორც ეს ურეკლე მეორის დროს იყო. ამ ჭუნვი ცნობების საფუძველზე ძნელია გარკვევით ითქვას, აქ შეუზღუდველ თუ შეზღუდულ მონარქიასთან გვაქვს საქმე ყოველ შემთხვევაში შეუზღუდველი რომ ვეფარაუდოთ, იგი არსებითად განსხვავდება მე-18 საუკუნის საქართველოს მონარქიული მმართველობისაგან. ეს მონარქია თავისი მინისტრებით, თავისი რეგულარული არმიით (რეგულის გაწყობა),<sup>2</sup> თავისი ქვედა სამმართველო (საკონტროლო) აპარატით სრულიად შეეფერებოდა მონარქიული მმართველობის იმ დონეს, რომელიც ამ ეპოქისათვის რუსეთსა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში იყო მიღწეული.

მაგრამ, ზეენი აზრით, აქ საქმე გვაქვს ქვეყნის მმართველობის უფრო პროგრესულ ფორმასთან — შეზღუდულ მონარქიასთან. ზალდ ავთანდიშვილის მოწმობით, შეთქმულებს აჯანყების შეორე დღეს უნდოდათ მოეწვიათ სემი და, ვიდრე მეფეს აირჩევიდნენ, საქართველოს მმართველობა სემის წევრებისათვის უნდა ჩაებარებინათ, რომელნიც საზოგადოებას უნდა აერჩია.<sup>3</sup> ბევრის მიქმეულია ეს ერთი ფრაზა. აქ ნავთლისხმევი საბელშიფობრივი მმართველობა ძალიან ჩამოგავს დეკარისტთა ერთი ჭკუფის (ჩრდილოეთის ფართული საზოგადოების) კონსტიტუციურ მონახაზს, პოლონეთის ან ფინეთის მმართველობის სისტემებს, უეკვილია, შეთქმულნი კარგად იცნობდნენ ამ ქვეყნების მმართველობის წესებს და ცდილობდნენ, მათი კრიტიკული გადაშეშეების შედეგად, თავიანთი ქვეყნის დონისა და შესაძლებლობისათვის შესაფერო უყუთეს სისტემა შექმნათ. აღექსანდრე ბატონიშვილის მეფედ მოწვევის განზრახვის შეთქმულთათვის ხელი არ უნდა შეეშალა მმართველობის პროგრესული სისტემის განხორციელებაში. აღექსანდრე უკვი

1 საქ. სსრ ცსა, ფ. 1457, რგ. 1, ფ. 75-80.

2 იქვე, რგ. VIII, ფ. 1441.

3 საქ. სსრ, ცსა, ფ. 1457, რგ. VIII, ფ. 1441.



მოხუცი და დაუძღვრებელი იყო. განათლებულ ქართველ თავადობას მისი დაუოლიება არ უნდა გასჭირვებოდა. რეაქციული თავადობის ის პარტია, რომელსაც ალექსანდრე ბატონიშვილი ეყრდნობოდა, პოლიტიკაში თავლასიანი როლს ვეღარ ასახიერებდა. შეთქმულთა ნაწილს ისიც კი ჰქონდა მზედელთაში, რომ საქართველოს სამეფო ტახტზე თამარ იულონის ასული დაესვა, რომელიც მმართველობის ევროპულ წესებში გათვალისწინებული იყო და რამდენიმე შეთქმულთა მიზანდასახულობის განხორციელებაში უფრო ოლი დასათანხმებელი იქნებოდა.

არც ისაა უკუსადგები ფაქტი, რომ ზოგიერთი შეთქმული უფრო რადიკალურად იყო განწყობილი და რესპუბლიკურ წყობილებას თანაუგრძობდა.

შეთქმულების ერთ-ერთი იდეური მესვეურის სოლომონ დოდაშვილის რესპუბლიკობაზე ჩვენს ისტორიოგრაფიაში საგანგებოდ გაანახილება უფრადლება მკელეგარმა ა. ქუთელიამ. დოდაშვილი, როგორც რესპუბლიკელი, ა. ქუთელიამ შეთქმულთა საერთო იდეოლოგიიდან გამოაიკლევია. შვედგვარის აზრით, დოდაშვილი ცდილობდა არა მარტო თვით ჩამოეცილებოდა შეთქმულებას, არამედ სხვებზე ჩამოეცილებინა<sup>1</sup>.

სოლომონ დოდაშვილის წამყვანი როლი შეთქმულებაში მასალების თითქმის ყველა გვერდზე დასტურდება. დოდაშვილი ერთ-ერთი ინიციატორი იყო შეთქმულებისა და მის პირველ მორგანიზებელ სამეფოში შედიოდა. დოდაშვილი თბილისში კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის ცენტრში იდგა და გაიშეშა იერებდა ოცდაათიწიელია მოელ იმ ინტელიგენტიერ თაობას, რომელნიც სხვადასხვა დროს ამ შეთქმულებაში ჩაბმულნი აღმოჩნდნენ. 1831 წელსაც, როცა პოლონეთის აჯანყება დამარცხდა და პრაქტიკული საქმიანობა ქართველი შეთქმულებისა მინდდა, დოდაშვილი თავისი ეტრნალის ფურცლებზე შეთქმულების იდეოლოგიის გაეცა და აგრეცლებდა. შეთქმულების გაეცემის წინ იგი იმ ხელმძღვანელთა წრეში ტრიალებდა, რომელნიც შეთქმულების იდეურ და ორგანიზაციულ მსვლელობას წარმართავდნენ. სოლომონ დოდაშვილი შეთქმულთა ორგანიზაციის ერთ-ერთი მეთაური იყო, შეთქმულების იდეოლოგი და მთელი არსებით იბრაძოდა საქართველოს განთავისუფლებისათვის. — სამართლიანად წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი<sup>2</sup>. ცხადია,

დოდაშვილი თავის აქტიურ მონაწილეობას შეთქმულებაში საგანმანათლებლო კომისიის წინაშე ჩქმალავდა ყოველმხრივ და თავისთავს შეთქმულებაზე შემთხვევით შოტბრალ მისდამი უნდობლობით განწყობილ პირად წარმოადგენდა.

სოლ. დოდაშვილი შეთქმულთა წრეში, მართალია, მის მებარცხენ ფრთას ვინასახიერებდა მას არ მოსწონდა ცარიზმის სასტიკი კოლონიური რეჟიმი და მის ყოველ ნაბიჯზე აკრიტიკებდა, აკრიტიკებდა არა მარტო შეთქმულებას პერიოდში, არამედ მისი აღმოჩენისა და განადგურების შედეგაც, როგორც პატიმარი. თავის ერთ-ერთ ჩვენებაში სოლომონ მიუთითებს, რომ ჩვენ ვმსჯელობდით იმ შევიწროებაზე, რომელსაც ადამიანი გამოცედის სახელმწიფო დაწესებულებაში<sup>3</sup>. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ მსჯელობისას სოლომონი და მისი თანამაზრენი შეაცირად გმობდნენ ცარიზმის დესპოტიზმს, მის სასტიკ კოლონიურ სისტემას, და გულწრფელად იწუხებდა ხვედრი იმ ადამიანებისა, რომლებიც ცარიზმის დესპოტიზმის მსხვერპლს წარმოადგენდნენ.

სოლომონ დოდაშვილს ეწადა თავისი სამშობლოს დამოუცილებლობის აღდგენა, მაგრამ მას სრულებითაც არ იტაცებდა მონარქიული რეჟიმი, სადაც თავიდანმართობას გაბატონებული მდგომარეობა ექნებოდა, ყველა სიკეთის ბატონ-პატრონი გახდებოდა, გლეხობა კი კვლავ მონურ მდგომარეობაში დარჩებოდა. სოლომონ დოდაშვილს უსათოოდ დამალია წოდების ბედი, რომელსაც თითონაც ეკუთვნოდა, აფიქრებდა, და სრულიადაც არ თანაუგრძობდა თავიდანმართობის ყოველ-შემძლიობას. იგი მტკრულად იყო განწყობილი ისეთი წყობილებისადმი, სადაც თავადები იტყობდნენ „მე ერისთავი ვარ“, „მე — ორბელიანი“, ხოლო მას და მისებრ დამალგვარიებს ჰყოთხდნენ „თქვენ კი ვინა ბრძანდებითო?“<sup>4</sup>

მაგრამ მხოლოდ დოდაშვილი ფიქრობდა ასე შეთქმულთა შორის? სრულებით განცდიკავებულ იყო იდეურად დოდაშვილი? ამის მტკიცება არავის შეუძლია, ისევე, როგორც შეთქმულების ძენწი მასალების გამო შეუძლებელია იმის დამტკიცებაც, რომ მას (დოდაშვილს) თანამაზრეთა ფართო წრე ჰყავდა. უფრო საფიქრებელი კია ეს უკანასკნელი, რადგან შეთქმულებაში გარდა სოლომონისა, სხვაც კრია არა ბრწყინვალე გვარის წარმომადგენელი და განწყობილებითაც ისინი სოლომონთან უფრო ახლოს იდგნენ (სო-

<sup>1</sup> სოლ. დოდაშვილი, ლოგია ა. ქუთელიას წინასიტყვაობით და რედაქციით, გვ. XI-XII.

<sup>2</sup> იხ. ნ. ბერძენიშვილის რეცენზია ა. კიკვიძის სადოქტორო დისერტაციაზე, ისტ. ინსტ. შრომები, I, 1955, გვ. 474.

<sup>3</sup> გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, გვ. 177.

<sup>4</sup> იხ. შ. გოცაძე, სოლ. დოდაშვილი, გვ. 78.

ლომონ რაზმაზე, ზალ აეთანდლიაშვილი და სხვ.).

შეთქმულებაში მონაწილეობდნენ ისეთი აღმამხედველნი, რომელთა სახელი დღემდე ისტორიისათვის უცნობია. აღექსანდრე ორბელიანი აღნიშნავს თავის მოგონებაში:

„ბევრი კარგებიც ერიყნენ ჩვენს საქმეში, მაგრამ ვისაც ამბავი და სახელი ისევ (ვაშკაშკა) იცოდა, იმათი გამოჩნდა და ვისიც არა იცოდა რა, უფრო მომეტებულსა, იმათი არა გამოჩნდა რა, ისე დაუბარულად დარჩა იმათი საქმე“<sup>1</sup>.

ამ „გამოჩენილთა“ შორის, აღბათ, ზოგი სოლომონ დოდაშვილის იდეური მოწაფე და თანამხმელელი იყო. მხედველობაში მისაღებელი ისიც, რომ სოლომონ დოდაშვილი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა კახეთში და კახეთის დაბალი წოდების თავკაცობა მის სრულ თანამოაზრედ და ერთგულად უნდა ევადრისებოთ.

შეთქმულების მასალების შესწავლა გვაფიქრებინებს იმისაც, რომ იგი (შეთქმულება) ერთგვარ იდეურ კავშირში იყო დეკაბრისტულ მოძრაობასთან და მის არაპირდაპირ გავლენასაც განიცდიდა.

დეკაბრისტულ მოძრაობას უდიდესი გავლენა ჰქონდა მეოლი რუსეთის გამათავისუფლებელ მოძრაობაზე. „დეკაბრისტებმა გამოადგინეს რუსეთი“. დეკაბრისტულ იდეოლოგიით გატაცებული იყო რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობა, მიუხედავად იმისა, რომ საიდუმლო ორგანიზაციის წევრები მრავალი არ ყოფილა. დეკაბრისტებმა ასევე უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს გამათავისუფლებელ მოძრაობაზე პოლონეთში, უკრაინაში და თამამად შეიძლება ითქვას, საქართველოშიც. განა შემთხვევითია ის, რომ შეთქმულების მონაწილემ, ჩვენმა სასაბედლო პეტრემა გრიგოლ ორბელიანმა რილევის „ნალივაიკოს აღსარების“ ნონჩხზე ააგო ვიგი ამილახვარის აღსარება? განა შემთხვევითია, რომ სოლ. დოდაშვილის ქალაქებში იპოვეს რილევის წერილი, დასვის წინ ცალსადმი მიწერილი? მრავალი ქართველი — შემდეგ შეთქმულების მონაწილე — პეტრებურგში დეკაბრისტთა გამოსვლის და დასჯის უშუალო მოწმე იყო. დეკაბრისტები — რუსეთის ბედნიერი მომავლისათვის წამებული აღამიანები, პროგრესისათვის უნაგარო და გმირი მებრძოლები ზომ ყველა პეტრებურგელი ახალგაზრდა კაცის აღტაცებას იწვევდა მით უმეტეს, აღტაცებას იმ ქართველი ახალგაზრდებისა, რომლებიც ცარიზმის რეჟიმის უსამართლობას თავისი მშობლიური

ქვეყნის მიმართ არა მარტო სულიერად, ფიზიკურადაც განიცდიდნენ.

შეთქმულების აქტიური მონაწილე კახეტინი ზაქარია ჩოლოყაშვილი, საგარაუდოს, დეკაბრისტული მოძრაობის ბევრ თვალსაჩინო მონაწილეს პირადად იცნობდა, და მათს წრეშიც ტრიალებდა. ჩოლოყაშვილი სემიონოვის პოლკის ოფიცერი იყო 1820 წლიდან, იმ პოლკისა, რომელმაც რუსეთის არმიის ისტორიაში პირველმა მოაწყო აჯანყება ცარიზმის წინააღმდეგ (1820 წ.) და დეკაბრისტული მოძრაობის ერთ-ერთი წყარო გახდა. ზაქარია ჩოლოყაშვილის დიწერლობით ცოდნა დეკაბრისტთა მოქმედების გეგმა. ანტონ აფხაზის ჩვენთან ნათქვამია, ზაქარია ჩოლოყაშვილი ჩემთან საუბარში დაწერა იტებით ახასიათებდა დეკაბრისტთა გამოსვლას, მის შეცდომებს. „დაიხ, კინაღამ რუსეთი დაიარღვა... თუ მეამბოხენი დეკაბრისტის 14 არსენალთან მოედოდადნენ და არა სენატთან, უკვე ვიღაც გამოარკვევდნენ, მაშინ ბრძოლა მოკიდებდა იარაღს ხელს და ვიღაც დატრიალებოდა“<sup>1</sup> — ამბობდა ჩოლოყაშვილი. შემდეგ ჩოლოყაშვილი, როგორც აფხაზი კვლავუყვებს, „სხნის მუამბოხეთა გეგმას, თუ ვინ როგორ აზრს აყენებდა. პესტელი ჩოლოყაშვილის ეუბნებოდა, რომ პოლიციური, საქართველო და სხვა ოლქები აუცილებლად მათ მფლობელთ უნდა დაბრუნებოდათ.

საიდან უნდა სცოდნოდა ჩოლოყაშვილის დეკაბრისტთა მოქმედების გეგმა, ან ის სხვადასხვა აზრები, რომელთაც იმ გეგმის განხილვისას გამოთქვამდნენ? შევის რუსეთი ზომ დეკაბრისტთა საქმეებს უდიდესი კონსპირაციულობით იძიებდა, და საზოგადოებამ არაფერი იცოდა დეკაბრისტების საქმიანობის შესახებ. ჩოლოყაშვილი, აღბათ, დეკაბრისტებთან იმდენად დაახლოვებული პირი იყო, რომ მას შეთქმულების გეგმას და მის ვარშემო წამოყენებულ აზრებსაც კი უზიარებდნენ. მას ესაუბრებოდა პესტელი და მსჯელობდა იყო საქართველოს ბედზე დემოკრატიული რუსეთის შემაღგენლობაში.

ზ. ჩოლოყაშვილი — განწყობილებით დეკაბრისტი, ჩანს, სწორად საუბრობდა დეკაბრისტთა მოძრაობაზე შეთქმულებთან და თანაც რჩევას იძლეოდა, რომ მათ აღარ განემოვრებინათ დეკაბრისტთა შეცდომები.

ამას ისიც უნდა დაეუბნათ, რომ მრავალი დეკაბრისტი, რომელიც ცარიზმმა კავკასიაში გადმოსახლა, მეგობრულ ურთიერთობაში იყო შეთქმულების მონაწილე ქართველ ინტელიგენტებთან.

1828-29 წლებში თბილისში ცხოვრობდნენ

<sup>1</sup> გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, გვ. 128.

<sup>1</sup> საქ. სსრ. ცსა. ფ. 1457, რე. 11, გვ. 193; 2 იქვე.

კავკასიაში სხვადასხვა დროს გადმოსახლებულ დეკაბრისტები; ალექსანდრე ბესტუჟევი (მარლისი), პავლე ბესტუჟევი, ალექსანდრე განაგებლოვი, ვლადიმერ როგოვი, ალექსანდრე პეტრევი, ვლადიმერ ვალიკინი, ნიკოლოზ რავესკი, ვლადიმერ ტოლსტოი, ვლადიმერ ვოლოხოვსკი და სხვები. ამ ადამიანებს ხშირი შეკრება ჰქონდათ და, პოლიციის მკაცრი ზედამხედველობის მიუხედავად, მაინა ახერხებდნენ ერთმანეთისათვის ვაგზაობები. ნათ თავიანთი აზრები, ვაცნობთ თავიანთი შემოქმედება. საქართველოში გადმოსახლებული დეკაბრისტები, რა თქმა უნდა, კარგად იცნობდნენ კაცს არ წარმოადგენდნენ, ისინი ზნობის სტრემიერი იყვნენ ალ. კუპცევასა და სხვა ქართველი ლიტერატორული საღონების; ახლო ურთიერთობა ჰქონდათ შეთქმულების მონაწილე მრავალ ქართველ ინტელიგენტთან, რომელთაც, შეიძლება, ადრე პეტერბურგში იცნობდნენ. მელი დსაჩავერევილი, რომ დსაჩავერევილი დეკაბრისტებისა და შეთქმულების მონაწილე ქართველ ახლავარდებს შორის ინტიმური ურთიერთობის ძაფები არ გამყოფო, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა მათი ფარული ველისნადების ურთიერთგაზიარება. დეკაბრისტების იდეური ზეგავლენა, როგორც აღვნიშნეთ, ატყუია საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის იმ პრეტენტსაც, რასაც შეთქმულნი სახვდნენ.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვინდა ვამტკიცოთ, რომ ქართველი შეთქმულნი იდეოლოგიურად დეკაბრისტებამდე არ აღდგნენ. ჩვენ მხოლოდ იმას მივუთხოვთ, რომ დეკაბრისტებში მოძრაობამ, მისმა განმავითარებელმა იდეოლოგიამ მიიზიდა, წააქეზა იმ დროის ქართველი მოწინავე ინტელიგენცია, ვადღევა მათში უსამართლობისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთება. დეკაბრისტული პარტიკულარისმი, უანგარობა და გმირობა ქართველ ახლავარდებისში მამულიშვილობის და სიამაყის ეტალონი გახდა.

რაც შეეხება დეკაბრისტულ იდეოლოგიას, ქართველმა ოცდაათიანელებმა, რომლებსაც კიდევ უფრო ზოგავდა კლასობრივი შეზღუდულობა, ვიდრე დეკაბრისტებს, იგი ეროვნულ პრიზმაში გადატეხეს, ეროვნული თავისუფლების იდეოლოგიას გაუქვემდებარეს. ეს არ მომხდარა შემთხვევით. ეს კანონზომიერი იყო. ხომ ცნობილია, რომ ქართველი სამოციანელები ბელისისკის, გერციენის, ჩეჩნის-შეისკის და ნი-ანელთა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის მხურვალე თანამგრძობნი იყვნენ. მაგრამ ეს იდეოლოგია მათ შაბლონურად კი არ გამოიტანეს საქართველოში, არამედ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ინტერესებს დაუმორჩილეს. ასევე შეიძლება ითქვას შეთქმულების მონაწილეობის, 16 8.

წილეთა შესახებაც, რომლებსაც მიარადა, რომ ერის თავისუფლებისათვის საქართველო იყო რუსეთის კოლონიური უფლისაჯან თავის დაღწევა მხოლოდ. ეს სოციალური კონსტრუქციონი, როგორც ცნობილია, პოლონეთის 1830 წლის აჯანყებასაც ჰქონდა და დეკაბრისტების პოლონელი თაყვანისმცემლები ამ შემთხვევაში იმავე პოზიციებზე იდგნენ, როგორც ქართველი ოცდაათიანელები.

ყოველივე შემთქმული გეგმევის იმის უფლებას ეთქვამთ, რომ 1832 წლის შეთქმულება პრაგმატული საზოგადოებრივი მოძრაობაა, მისი ძირითადი მიზანდასახულობაა: 1. ქვეყნის შინაგანი დამოუკიდებლობის აღდგენა რუსეთის მფარველობაში. 2. ქვეყნის პოლიტიკური მმართველობის ორგანიზაცია იმ დროის ევროპის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის გამოცდილების გათვალისწინებით.

აქ გვინდა შევხვით ერთ დოკუმენტს, რომლის ავტორია სოლ. დოდაშვილი. ეს დოკუმენტი შეთქმულების მონაწილეთა თვალსაზრისის მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გამოხატავს. პარტიკულარში ყოფნის დროს, 1833 წ. 23 იანვარს, სოლ. დოდაშვილს მოკლედ აღუწერია და საგამომძიებლო კომისიისათვის გადაუტია განმარტება „იმ ჩაგვრა-შეიწროებაში შესახებ, რაც ქართველთაგან მოუხდინა“. აქ ნათქვამია:

1. სახელმწიფო დაწესებულებებში საქმეები ძალიან ნელა კეთდება და არ ეფარება არც ხალხის ხასიათს, არც ზნეჩვეულებებს. კანონს უყურებართ აზრით ხსნიან და საქმეები ფრიალ არასწორად მთავრდება.

2. საქმეები ასეთ ადგილებში მხოლოდ ქალღღრვე მთავრდება და მათ ვადამწვეტრად თვლიან, თუმცა, იშვიათია, რომ ეინქეს დამამყოფილებელი პასუხი მიეღოს.

3. წუთიერ და მცირე მნიშვნელოვან რამეზეც არ დაზარალებია, თხოვნა ღერბიან ქალღღრვე იქნას შეტანილი.

4. საქმე, რომელიც შეიძლება სიტყვიერად და ძალიან სწრაფად ვადამწვეტრს, ნაზარაძეება შეტანილი იქნეს სასამართლოში, სადაც ძალიან დიდხანს გრძელდება.

5. მომხივანთაგან, როგორც მართალი, ისე მტყუანი მხარე, უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე თვითონ საქმე ღირს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე არ იქნება მოსმენილი და არც არასწორად დამთავრდება.

6. ვვლავ პარტიკულარის და ვვლავს მიერ პარტიკულარული ადამიანს სჯინა ხოლმე, თუკი მან ოდესმე რაიმე ისეთი დანაშაული ჩადინა, რაც ძალიან ზნობად ხდება გუდწარდებლობით, კანონის უცოდინარობით და ქართველის მხიარული ხასიათის გამო, თავისუფალი ღაპარაკით, რითაც შესაძლებელია არც არავითარ ზიანს არ აყენებს არავის, მაგრამ კანონით

დანაშაულებად ითვლება (შემდეგ მოდის მაგალითები).

... ამგვარი საქმეები უამრავია. ეს ძალიან ამძიმებს მცხოვრებლებს და ისინი ხშირადაც ჩივიან, სტუდია სიღარიბის ან ენის თუ კანონის უეთრდინარობის გამო სრულიად ხელს იღებენ თავიანთ უფლებებზე... ერთი სიტყვით, ქართველთა მთელი საზოგადოებასა და დაუფარავად სარკაზმით ამხელს ცარიზმის მმართველობის ანტიხალხურობასა და ბიუროკრატის სკაპრთველობა<sup>1</sup>.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის უფარგისობაზე ს. დიდიშვილი აქ მთელი ხალხის სახელით ლაპარაკობს. იგი გამოდის მოსარჩელედ არა რომელიმე ერთი კლასისა, ან წოდებისა, არამედ ყველა ქართველისა, რომელთაგანაც ეს საზოგადოება მოსმენდა. მათ განსაკუთრებით აწუხებს ბედი იმ ღარიბობისა, რომლებიც ენის თუ კანონის უეთრდინარობის გამო „სრულიად ხელს იღებენ თავიანთ უფლებებზე“.

თუ კაცი ჩაუყვირდება ამ დოკუმენტს, მასში ნათლად დინახავს მონახავს იმ ეროვნულ-განმანათლებლურ დებულებას პროგრამისა, რომელიც შემდეგ, 60-70-იან წლებში თერგდალეულებმა სრულად და გამოკვეთილად ჩამოაყალიბეს. დიდიშვილის მშვენიერად ესმის ერის გულისტყვილი, ესმის ცარიზმის კოლონიური უღალბო აუტანლობის ძირითადი მიზეზები, განსაკუთრებით, მძიმე მდგომარეობა იმ ადამიანებისა, რომლებიც ღარიბები არიან და რომლებსაც ეროვნულთან ერთად სოციალური ჩაჯვრის უღელი აჭვთ დადებული, დიდიშვილი პატიმარი, რომელიც, ცხადია, სასჯელის შემსუბუქებისათვის იბრძოდა, მეტს ვერ იტყვოდა ცარიზმის კოლონიური რეჟიმის აუტანლობის შესახებ. აქ მსუბუქად, შემპარავად ნათქვამია ყველაფერი ის, რაც ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველობას (და არა მხოლოდ თავადანაუერობას) აწუხებდა.

მოტიანილი დოკუმენტი კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ 1832 წლის მოძრაობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ ეტაპად ვლადიკოპოლში ეს საკითხის ერთი მხარეა. 1832 წლის

შეთქმულება უნდა შეფასდეს იმ დროის საერთაშორისო მოვლენების გათვალისწინებით, იმ როლით, რომელიც მას შეეძლო შეესრულებინა საერთო ეროვნული მოძრაობაში.

1830-იანი წლების ევროპისა და რუსეთის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება ქარიშხლოვანი მოვლენებით ხასიათდება. ესაა, საერთოდ, ევროპაში რევოლუციის აზვირთების პერიოდი, საფრანგეთში მონარქიზმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის, ბელგიაში რევოლუციური ანტიკლერის პერიოდი, დამოკიდებულ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის განაღების პერიოდი. რევოლუციის ტალღები მძლავრად ურტყამენ „საღვთო კავშირის“ ბურჟუაზიას. რუსეთის, პრუსიის, ავსტრიის მონარქთა რეაქციულ გარბევებს რევოლუციისა და აგრესიის წინააღმდეგ სერიოზული საფრთხე ემუქრება. ნიკოლოზ პირველს ხანძარი საკუთარ სახლშიც უნდებოდა. იარაღით გამოდის პოლიციის, რუსეთში გლეხთა მძლავრი მღელვარებანი მჭვინვარებში.

ევროპაში რეაქციის ბურჟუაზიას „საღვთო კავშირის“ წინააღმდეგ საერთო მოძრაობის პერიოდში, ცხადია, პროგრესულ მოძრაობად უნდა ჩაითვალოს. პოლიციის რევოლუცია 1830 წელს, თავისი კონსერვატიული ხასიათის მიუხედავად, მარქსიზმის ფუძემდებლებს მინც შიანდათ პროგრესულად, რადგან იგი „საღვთო კავშირის“ ბურჟუაზიას ურტყამდა და რეაქციის ფრონტს ასუსტებდა.

1830 წ. როცა იმპერატორი ნიკოლოზი და პრუსიის მეფე შუად იყვნენ განცხორციელებინათ თავიანთი გეგმა — საფრანგეთზე ახალი თავდასხმით აღედგინათ ლეგიტიმისტური მონარქია, ამ დროს პოლიციის რევოლუციამ მათ გზა გადაუღობა, — წერდა ფ. ენგელსი.

ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს, ისე, როგორც პოლიციულ პარტიკებს, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თავიანთი წვლილი შეჰქონდათ. 1832 წლის შეთქმულება, მისი წარმატების შემთხვევაში, იქნებოდა ერთ-ერთი უბანი იმ დიდი ფრონტისა, რომელიც ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ იწყებდა აზვირთებას ბალტიისპირეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში.

რა თქმა უნდა, 1832 წლის შეთქმულები, ისე, როგორც რუსი დეკაბრისტები, „შორს იყვნენ ხალხისაგან“. მათი სოციალური პროგრამა კონსერვატიული იყო. ბატონყმურ ურთიერთობაში ისინი არსებით ცვლილებას არ ითვალისწინებდნენ, პირიქით, ცდილობდნენ უკვე შეჩვეული ურთიერთობის განმტკიცებას. ეს იყო 1832 წლის შეთქმულების ყვე-

<sup>1</sup> იხ. სიქ. სსრ ცსა, ფ. 1457, რვ. V, გვ. 809-812. დოკუმენტი პირველად გამოიყენა ილ. ქუთელიამ თავის ნარკვევაში „სოლ. დიდიშვილი და მისი ლოკია“. იხ. ს. დიდიშვილი, ლოკია, თბ. 1949, გვ. XXXVI-XXXVIII.

<sup>2</sup> იქვე, გვ. XXXVIII-XXXIX.

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. XV, стр. 548.

ლაზე სუსტი მხარე. აქ იჩნდა თავს მათი კლასობრივი მარჯობა, მათი შეზღუდულობა, მათი პოლიტიკური და სოციალური რომანტიზმი. მართალია, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ზოგიერთი რადიკალურად განწყობილი პირი გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებასაც ითვლისწინებდა და ამ შიშობაში გლეხობის აუოლიების, მისი დარახების დიდი იმედი ჰქონდა (სოლ. დოდაშვილი), მაგრამ ეს იმ ვითარებაში მაინც მოუწიფებელი იდგა იყო და მას შეთქმულთა უმრავლესობა არ ვაიზიარებდა.

მაგრამ ეს სოციალური კონსერვატიზმი 1832 წლის შეთქმულების რეაქციული მოძრაობად გამოცხადების არგუმენტად მაინც არ გამოდგება. ეს, ვიმეორებთ, — შეთქმულების ძალიან სუსტი უბანი, მისი ჩრდილივანი მხარეა, მაგრამ მაინც პატარაა იმ დიდ პროგრესულ მხარეებთან შეფარდებით, რაზედაც ზევით ვლაპარაკობდით. ვიმეორებთ ანალოგიას.

1830 წლის პოლონეთის აჯანყების დროს, როგორც ცნობილია, წინა პლანზე წამოწეული იყო ეროვნული საკითხი. პოლონელი ნაციონალისტები როგორც თავადაზნაურული წოდების წარმომადგენლები, წინააღმდეგი იყვნენ ქვეყნის სოციალურ ურთიერთობაში რაიმე ცვლილებასა, ისინი ხელუხლებლად ტოვებდნენ ფეოდალურ-ბატონურ ურთიერთობას. მათი მიზანი მხოლოდ დამოუკიდებელი პოლონეთი იყო. პოლონეთის რევოლუცია, ამრიგად, კონსერვატიული რევოლუცია იყო, რამაც გააცოცა გლეხობის ინტერესი ბრძოლისადაც, ჩამოაშორა იგი რევოლუციონ. ამაზე არა ერთხელ მიუთითებდნენ მარქსი და ენგელსი. მაგრამ მიუხედავად ამ კონსერვატიულობისა, მარქსს და ენგელსს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მიანდათ, რომ ეს რევოლუცია პროგრესის საქმეს ემსახურებოდა და დადებითი მოვლენა იყო, რადგან იგი გამოხატავდა ევროპის ეანდარმის — მეფის რუსეთის წინააღმდეგ აღშფოთებას და ერთხელ იმ საერთო ევროპულ დემოკრატიულ მოძრაობას, რომელიც საღვთო კაცობის ძლიერებას ამზობდა.

• • •

შეთქმულების ჩასახვისა და რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ გამოსვლისათვის მზადების პერიოდი (1826-1832) ქართული იდეური ცხოვრების ვაცხოველებს, ქართული კულტურის წინსვლის, ქართული ერის თვითშეგნების გაღვივებისათვის ინტენსიური ბრძოლის პერიოდი.

პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი“, რომელიც 1819 წელს გამოიცა და 1821 წლამდე არსებობდა, მართალია, დიდ-

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ერის ცხოვრებაში, მაგრამ მეტად ხანმოკლე, ამასთან, როგორც პირველი წამოწყება, ნააღვრელიც — გაზეთი ვერ ეხმარებოდა იმ დროის მტკიცებულ საზოგადოებრივ საკითხებს.

1822-1828 წლამდე საქართველოს გაზეთი არ ჰქონია. ახალი გაზეთის დაარსების იდეა შეთქმულების აღმოცენების იდეასთან ერთად ჩაისახა როგორც ცნობილია, შეთქმულების ინიციატორები პეტერბურგში ძალიან წუხდნენ იმის გამო, რომ საქართველოში კულტურული ცხოვრება ჩამკვდარია და იგი განზე დგას იმ დიდი ძვრებისაგან, რაც ევროპასა და რუსეთში იჩენს თავს. შეთქმულების პირველი რივის ამოცანად ერის გათვითცნობიერება, მისი მშველიშვილური გრძნობების გაღვივება, მისი პატრიოტული შეშართება მიანდათ, რადგან სწორედ ამ თვისებათა მომწიფების ვითარებაში იყო შესაძლებელი მათი განზრახვის წარმატებით განხორციელება. ერის გამოღვივების პირველი საშუალებად, შეთქმულებს სამართლიანად მიანდათ გაზეთი. ამიტომ იყო, რომ მათ შორის უველაზე დიდი განათლებითა და გამოცდილებით აღჭურვილი სოლომონ დიდაშვილი 1827 წელს პეტერბურგიდან სამშობლოს გამოემგზავრა და 1828 წელს სათავეში ჩაუდგა ახალი ქართული გაზეთის („თბილისის უწყებები“) გამოცემის უღრესად რთულ საქმეს იმ დროისათვის. ქართული გაზეთის დაარსებას სათანადო სტამბის ორგანიზაციაც სჭიროდა, რაც ასევე 1828 წლისათვის განხორციელდა და ერის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. ქართული სტამბა, მართალია, არ იყო დამოუკიდებელი და ძლიერი, მაგრამ ქართველი მოღვაწენი ძალიანეს არ ზოგავდნენ, რომ ქართული სტამბის ცალკე დაარსების და მისი გაფართოების საქმეც მოეგვარებინათ. „თბილისის უწყებანი“ იმდროინდელი შაკური ცენზურის პირობებში ეხმარებოდა იმ მტკიცებულ საკითხებს, რაც ქართულ საზოგადოებრიობას აწუხებდა და აინტერესებდა. „გაზეთში გაფართოებული ცნობები, — წერს მკვლევარი გ. გოცაძე, — ეხებოდნენ ცარიზმის პოლიტიკას, საქართველოს ეკონომიკას, კლასთა ბრძოლას, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომებს, ქართულ კულტურასა და განათლებას, მწერლობას, ზნეჩვეულებასა და სხვა საკითხებს. „თბილისის უწყებანი“ ანალოგიური უფლებებით აღჭურვილ სხვა იმდროინდელ გაზეთებს: არ ჩამორჩებოდა“. „თბილისის უწყებანი“ შემოიკრება იმ დროის ქართული კულტურის მოღვაწეთა ფართო წრე, აღჭარა საზოგადოებ-

1 გ. გოცაძე, ქართული ეჭრნალისტიკის ისტორია, თბილისი, 1964, გვ. 146-147.

არც ცხოვრების მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი და ერთგვარი ბიძგი მისცა საზოგადოებრივ აზრს, რომელიც მანამდე, პერიოდულ ორგანოს არარსებობის პირობებში, მოღუფებული და მიძინებული იყო.

შეთქმულუბასთან, მისი წევრების პროგრამასთან, განუყოფელად დაკავშირებულია, აგრეთვე, პირველი ქართული ეურნალის „სალიტერატურო ნაწილნი თბილისის უწყებათა-ნი“ს დაარსება. ქართული ეურნალი 1832 წელს იმპოცინდა, ეს იყო შეთქმულთა საქმიანობის ყველაზე ინტენსიური პერიოდი, ქართული ინტელექტუალური ცხოვრების გაცხოველების პერიოდი. აღსანიშნავია, რომ ეურნალის გამოცემისათვის საშუაღისი თბილისში შეთქმულების კერის ამოცენებას ემსახურებოდა. 1828 წლიდან სლომიონ დოდაშვილი და შეთქმულების სხვა გამოჩენილი მონაწილენი (აღ. კვაჭავაძე, აღ. ერისთავი, აღ. ორბელიანი და სხვ.) იღვუოდნენ ეურნალის გამოცემისათვის, მაგრამ იმდენად დიდი დამკრულებები აღუდგა წინ ამ კეთილშობილურ საქმეს, რომ მხოლოდ 1832 წლისათვის გახდა შესაძლებელი ჩინაფიქრის განხორციელება

ეურნალს განსაზღვრული პროგრამა ჰქონდა და იგი ეურდნობოდა ეროვნულ-გამთავისუფლებული მოძრაობის იდეოლოგიას. ეურნალის ამოცენის, მსიეე სიტუაციო რომ ვთქვათ, შეიღგნდა „მისცემოდა ეს გუარსა სასარგებლოს გამოცემასა მტკიცე საფუძველი შესაწიენლად განათლებისა, განვრცელებისათვის ბუნებითსა ენისა ჩუენისა და შიახლოებისათვის განარძობილთა მცხოვრებთა ეურნალთათათა“<sup>1</sup>. განეღმებთან თანამეშუღლეთა შორის „სურვილი და სიყვარული ბუნებითისა ენისა და სიტყვიერებისა“<sup>2</sup>.

ამონაწერი ამკარად მიუთითებს, რომ ეურნალი ემსახურებოდა ეროვნების ბურჯის — ქართული ენის შიოღის საქმეს, ხალხში განათლების გავრცელების საქმეს, ევროპული ცხოვრების გაცნობისა და პოპულარიზაციის საქმეს. მაშინდელი ცენზურის სასტიკი მეთვალურების ეითარებაში ეურნალი ვერ იტვოდა, თუ რას ვუღისხმობდა ცხოვრების ევროპული წესის პოპულარიზაცია, მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამ წესებთან მითი შიოელი პოლიტიკური იდეოლოგია იყო დაკავშირებული. ამრიგად, ეურნალი გამოდიოდა იმ დიდი ეროვნული ჩინაფიქრის პრობაგანდისტად და ორგანიზატორად, რომელსაც 1832 წლის შეთქმულება ასახავდა. ეს ეროვნულ-

გამთავისუფლებული მოძრაობის პირველი ყლორტების ვაშლას, მისი სათაფის ამოწენებას, ერის ინტელექტუალური ცხოვრებაში ახალი ნაკადის გაჩენას გამოიხატავდა.

ამ ეურნალის დაკვირვებელი მკვლევარი გ. გოცაძე სამართლიანად მიუთითებს, რომ ეურნალი ამბიოების იდეური შეშაღების საქმეს ემსახურებოდა, რომ მის რედაქტორს სოლ. დოდაშვილს ევაღებოდა მითიუბებინა ეურნალში „წერილები“ «против правитель-ства» ეურა «вольные сочинения» და სხვ. მართლაც, სოლ. დოდაშვილის „სალიტერატურო ნაწილნი“ ნაციონალურ ეულტურას უმღეროდა და ქებას ასხამდა. ეურნალში სამშობლოს დაცვაზე და მტრებთან შეუღრეველ ბრძოლაზე იყო ლაპარაკი<sup>3</sup>.

„სალიტერატურო ნაწილნი“ გამოქვეყნებული მასალები აგრეთვე აშუქებენ ჩვენი ერის ისტორიის ეწინაშელოვანეს საკითხებს და იცავენ მას გამყალბებუღისაგან, მოგვიმხრობენ ქართული ეულტურის, ეკრბოდ, ქართული ლიტერატურის ძირფუღობაზე და მის მაღალ დონეზე, შირეულ საუენოვანი ქართული ენის ტრადიციებზე და მისი მაღალ გამოშახვეღობიის უნარიანობაზე. ყველაფერი ეს ემსახურებოდა ქართული სულიერი ეულტურის აღორძინების კეთილშობილურ საქმეს.

შეთქმულების მონაწილენი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ქართუეღობაში მამულიშვიღობის გრძნობას, პატრიოტული შემართების ვაღეეღებას. მათი ლიტერატურული მოღვაწეობის ძირითადი ლეღმობიეეი სამშობლოს იყო. ისინი ვანადღებდნენ სამშობლოს წარსულს, ქება-დიღებით იხსენიებენ გმირებს, რომლებიც თავს დებდნენ უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში, რუსული მმართვეღობის დამკიდრებებს ყიღიღამობას ადარებდნენ და თანამედროვეთ მოურუღებდნენ მიეღამათ წინაპართათვის — აეღოთ მისვილი „მამუღის გამოსახსნენლად“ „სალიტერატურო ნაწილნი“ დიბეკდა გიორგი ერისთავის პოემა „ოსური მოახრობა“, რომელიც აღწერდა მე-17 საუენის ლეღენდარული გმირების ეღისზარ, შიღვა და ბიძი-მა ერისთავის თაღდაღებას სამშობლოსათვის.

ამ პოემაში რომ აქვეყნებდა, ეურნალი, უმევეღია, უხმობდა თანამედროვე გმირებს, რომლებსაც ასეთივე თაღდაღება უნდა გამოეჩინათ საქართვეღოს დამოუეღებღობისათვის განზრახულ ბრძოლაში. პოლიტიკური პროკლამაციის როღს ასრუღებდა ლექსი „გიღიღეღისაგან აღსარება“, რომელიც გ. ორბელიანის შიერ რიღეევის ცნობილი „ნაღვავიღოს აღსარების“ ვაღმკვირთუღებას წარმოადღენს

<sup>1</sup> სალიტერატურო ნაწილნი თბიღისის უწყებათა, 1832, თბ., საქ. სსრ შსრ საარტიეო სამმართველო, საისტორიო მოამბე, 1952, გვ. 315.

<sup>3</sup> გ. გოცაძე, მით. ნაშრომი, გვ. 200.

და რომელიც ჟურნალში დასაბუქდად იყო განზრახული.

ჯერ ერთი, საინტერესოა თვით ის, რომ რილევიც მტრად ცნობილი და იდენტურად მახლობელი პოეტი იყო ქართველ შეთქმულთათვის; ამას მოწმობს არა მარტო რილევის პოემის გადმოქართვლება, არამედ სიკვდილით დასჯის წინ რილევის მიერ ცოლისადმი მიწერილი ცნობილი წერილის ვაგრცელება შეთქმულთა შორის. გამოძიების პროცესში შეთქმულნი არ უარყოფდნენ თავიანთ სიმპათიებს რილევისადმი, რომელიც ნაკოლოზ პირველმა საზრჩოხელაზე აიყვანა. მის მთელი რუსეთისათვის ცნობილ აღმაშენებელად აღვნიშნეთ, დეკაბრისტთა იდეოლოგიის გავლენას განიცდიდნენ.

გვიცი ამილახვარის აღსარებას პოლიტიკური პროკლამაციის დანიშნულება აქვს. მისი მთავარი გმირი — გვიცი ამილახვარი თანამემამულეთ თათართა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებს და სიკვდილს არჩევს მონურ ცხოვრებას. თათართა წინააღმდეგ ბრძოლის ეპიზოდს აღვგორიყლია. ავტორს მხედველობაში მისი თანამედროვე საქართველო აქვს, და ამილახვარის მოწოდება სხვა არაფერია, თუ არა ქართველებისადმი მოწოდება აღსდგენ რუსული მმართველობის დასამხობად:

„ერი ლაღადებს ვაებებს და ვერცინ აღსდგა მფარველად, მის ეამის მტრისა სისხლისა ვარ დასაბუქდად მოსურნენ და ამა ფიქრით მოცულსა, სახე მაქვს კმუნხილ, მრისხანე მე თავისუფლებისათვის სული მარადით მიცენეს...“  
 „ეამი არს მტერი მამულის მისცეთ მახვილსა ლესულსა. ვეწუო მე მართლად, რომ ჯერ არს სიკვდილსა იგი ელოდეს, ვინც ერის მაწუხებელსა, პირველად წინა აღუდგეს! მარა, მოძღვარო, მითხარ მე, ვის? სადა? რომელსა მხარეს? თავისუფლება უმსხვერპლოდ, უსისხლოდ მოუსვიდე? წარეწყმდეგი მამულისათვის, ვიცი, ვგრძნობ და აღვიარებ, და მისთვის ესრეთს ჩემს სიკვდილს ადრევე სიამით ვაკურთხებუ“<sup>1</sup>.

ამევე დანიშნულებას ემსახურებოდა სოლოზონ დოდაშვილის ლექსი, იგი აჯანყებისაკენ მკნებარე მოწოდებაა.

„მისის თვესა იქმნას ძახება, გამოხატული ქართველთა უფლება, აღვიპყრათ ხელსა მახვილი, მივცეთ მტერთა შიში ძრიალი. შემოვიკრიბოთ გულით მსურველნი, ვეცეთ, ვეჭვებრნეთ ვაგულბუღნი, ვინდევნოთ სოფლით, ძალით მოსრულნი, ჩვენ მამულსა მოხრებულნი. ქართველნი, ხარა სადღე თუ არა არავინ არ იცის მოეთ გონება“<sup>1</sup>.

ხალხის გამოფხიზლების, მისი პატრიოტულ სულისკვეთების გაღვივების, საქვეურო საქმიანობის დარაზმების საქმეს ემსახურებოდა ის პროკლამაციაც, რომელიც დოდაშვილის ვახტანგ-დამპტირებისას მის ქალაქებში იბოვეს. „ქვეულის დაარსებთაჲნი, — ნათქვამია აქ, — მამულსა ჩვენსა აქნდა თავისი საკეთარი მდგომარება, აქნდა თავისი სკვლანი, თავისი სარწმუნოება, თავისი ენა და თავისი ჩვეულება და ჰყვანდა ყოველსა დროსა საკეთარი თავისი ხელმწიფედა არასოდეს არ იყო მოვიდებული სხვასა ზედა და არცა მონივითარცა აწ არს მამული ენე ჩვენი და ჩვენი ზმა, სახელი, მხნეობა და მამაობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუნდა და აესებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყულელი იყო დამამბობილ მათგან. ხოლო აწ ხელდავდა დამხობასა და არაირობასა მამულსა ჩვენისასა. პგრძნობთ შეიწროებასა ყოველისა კაცისასა, რაისთვის არს ესე ესრეთ, ნუ (თუ) ჩვენ არავართ შეიღნი მამა-პამათა ჩვენთანი, ნუ (თუ) უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკეთარისი მამულსა ჩვენისა, ნუ (თუ) უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესოდენი, როდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა, მამა რაისთვის ცოცხალვართ“<sup>2</sup>.

შეთქმულთა ეს საამბოთ ლექსები, რომელნიც, ილბათ, ხელნაწერთა სახით კონსპირაციულად ვრცელდებოდა შეთქმულთა შორის, დოდაშვილის ეურთაანის პატრიოტულ მოთხოვნები, მისი თავისუფალი აზრები დიდად უწყობდა ხელს ქართული საზოგადოებრიობის ეროვნულ გათვითცნობიერებას.

სოლომონ დოდაშვილის პირად ქალაქებში, კომისიას რომ ძიებებს საქმეში ჩაუტყრებია, ინახება ერთი ანონიმური ლექსი, რომელიც კარგად ასახავს ცარიზმის ანექსიონისტური პოლიტიკით უკმაყოფილო ქართველ დიდგვარიანების სულსკვეთებას და ისევე

<sup>1</sup> იხ. გ. ვოკაძე, ქართული ჟურნალი, ისტორია, გვ. 206.

<sup>2</sup> გრ. ორბელიანი, თხზ. სრული კრებული, საბჭ. მწერალი, თბილისი, 1959, გვ. 111-112.

<sup>1</sup> საქ. სსრ. ცსა, ფ. 1457, რგ. X, ფ. 1834.

<sup>2</sup> საქ. სსრ. ცსა, ფ. 1457, რგ. X, ფ. 1833.

როგორც სხვა ზემოთ მოტანილი ლექსები, ალბათ, ქართულ მოსახლეობაში ანტირეჟიმული აჯანყების სულისკვეთების გაღვივებას ემსახურებოდა.

ლექსი ასეთია:

„სკეთით წავგართვეს მთლად ქვეყანა,  
არც კი მოგვეს კაცი ერთი;  
ქართლ-კახეთსა არ დაპყრდნენ,  
ზედ დაიღვეს იმერეთი:  
მწირობაში დავგლახოვდით,  
შემწე არ გვეავს არცა ერთი,  
შვეთხოვე ზენას სამართალსა,  
ვნახოთ, ვითა განსცის ღმერთი“.

ლექსის უკან გვერდზე სავამომძიებლო კომისიისაგან მიწერილია: დოღაშვილის განცხადებით, ეს ლექსი დაწერილია ივანე ბატონიშვილის მიერ და გამოგზავნილია პეტერბურგადან.

დოღაშვილის განცხადება კომისიას არ მიუჩნევია სიეჭოდ. ლექსი რამ მართლაც დოღაშვილს არ ეკუთვნის, ფაქტია, რადგან როგორც სტილით, ისე ზღაწერით დიდად განსხვავდება დოღაშვილის ნაწერებიდან. სავამომძიებლო კომისიას ამ საკითხზე შემდგომი მიზეზი საჭიროდ აღარ ჩათვლია, რადგან ივანე ბატონიშვილი, რომელიც დოღაშვილმა ავტორად გამოაცხადა, ამ დროს უკვე გარდაცლილი იყო. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეკრებულ აქტებში, სადაც 1832 წლის შეთქმულების საქმეზე სავამომძიებლო კომისიის მსალებია დაბეჭდილი, მოტანილია რუსული თარგმანი ამ ლექსისა, რომელიც აქაც გამოცხადებულია იოანე ბატონიშვილის შემოქმედებად. თარგმანი, რომელიც კომისიის თარგმანს შუესრულება, დედანს სიტყვისიტყვით იმეორებს:

Скифы отняли у нас всю землю и не дали даже одного человека.

Не довольствовавшись Карталинею и Кахетиею, присвокупили к ним и Имеретию: «Мы в несчастии обеднели и не имеем поборника, к кому бы прибегнуть».

Испрашиваем свыше правосудие. посмотрим как рассудит бог».

ივანე ბატონიშვილის ავტორობა სავარაუდოა, მიუხედავად იმისა, რომ მის საქმეებში ამ ლექსის პირი არაა დატული. ცნობილია ეს დიდი შემოქმედებითი საქმიანობა, რასაც იოანე ეწოდა. მის კალამს, გარდა „კალმასობისა“, მრავალი ორიგინალური, ნათარგმანი და გადმოკეთებული ოსურებები ეკუთვნის. იოანე ლექსებსაც წერდა. ზემოთ მოტანილი ლექსი პირველად ქვეყნდება. იგი სინტერესოა შინაარსით და ფორმითაც. ლექსის ხალხური კილო, მსუბუქი ფორმა მის და-

ნიშნულბაზეც მიგვიანინებს. საფუძველს მოცულებული არ იქნებოდა, თუ ვიფიქრებთ, რომ ლექსი, რომელიც ცენტრის მჭიდროდ რეობის ვითარებაში დოღაშვილის ეჭრანლის ფარკლებს ვერ იხლავდა, განკუთვნილი იყო მოსახლეობაში გასავრცელებლად და ასრულებდა პროკლამაციის დანიშნულებას, ისე, როგორც თვით დოღაშვილის ლექსი და მოწოდება.

ეურნალს ამ დროისათვის ხელისმომწერთა საკმომად დიდი რაოდენობა ჰყავდა. ეურნალი ვრცელდებოდა არა მარტო საქართველოში, არამედ პეტერბურგში. იგი დიდი მოწონებით სარგებლობდა. ეს იყო იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის ერთადერთი სულიერი საკვები, იგი მამულიშვილურ გრძნობებს აღვივებდა და უკის ვანათავისებულ მამარობას ბიძეს აძლევდა.

შეთქმულების მონაწილეებს ქართულ-ეკლტურის დარგში ფართო გეგმები ჰქონდათ დასახული. ისინი ეწეოდნენ შზადებას ქართული ბიბლიოთეკის შექმნისათვის, ქართული ერთვნული თეატრის დაარსებისათვის. ერთერთ კრებაზე, რომელიც სოლ. დოღაშვილის ბინაზე მომხდარა, ლამარაკი იყო საზოგადოების შექმნაზე, რომელსაც უნდა შეევსოვებინათანხი ბიბლიოთეკისა და სტამბის შესაქენად, ნიჭიერი ახალგაზრდობის რუსეთის უნივერსიტეტში გასავგზავნად და მათთვის მარტორალური დახმარების გასაწყებად<sup>1</sup>.

სავამომძიებლო კომისიის შეკენებაში სოლ. დოღაშვილი აღნიშნავს, რომ ჩემს ბინაზე, ვახშაშზე წავიკითხეთ მოწიფე მაჩხვალისის თხულებანი და ემსხრობდით, ვამბობდით შეგვედინა საზოგადოება, გამოგვერთომა ფული, ამ თანხით შეგვედინა ბიბლიოთეკა და სტამბა, ვამბობდით აგრეთვე ნიჭიერი მოწიფეები გავვეგზავნა უნივერსიტეტში და დავვენინა მათთვის სტიპენდია“.

მართალია, ამ ბიზანდისებობათაგან შეთქმულების მონაწილეებმა ვერ მოასწრეს ბევრი რამის განხორციელება, მაგრამ ეს მათი ჩავარდნის მიზეზით მოხდა. შემდეგ კი, როცა ისინი ისევ დაუბრუნდნენ მშობლიურ ქვეყანას, ქართული ეკლტურის ეკრების შექმნის აღრანდელ იღვეზს ფრთხილ შეახსეს.

ეურნალი „სალიტერატურო ნაწილი“, რომელიც შეთქმულთა ლიტერატურულ-პოლიტიკურ ორგანოდ მივკანინა, თავისთავად სრულიად ახალი და დიდად საყურადღებო მოვლენა იყო ქართული ეკლტურის ისტორიაში. იგი გარშემო იკრებდა და რაზმავდა ამ დროის ერის რჩეულ ეკლტურულ ძალებს. გველა იმის ზრუნვაში იყო, რომ ეურნალისათვის თავისი ნააზრევი მიეწოდებინა ჩვენ ყველანი

<sup>1</sup> იქვე, რვ. 1, ფ. 101.



ვცდილობდით ჟურნალისათვის რაიმე შეგვე-  
თხზა, ან გვეთარგმნა და დაგვებეჭდაო —  
აღნიშნავდა ამ ჟურნალის აქტიური თანამ-  
შრომელი, შეთქმულების მოწაწილე გიორგი  
ერისთავი: ჟურნალმა ერთბაშად გამოაფხიზ-  
ლა ქართული ინტელიგენცია, სარკველი ახადა  
იმ გონებრივ ჭურჭელს, რომელიც ბეჭდვითი  
სიტყვის არარსებობის გამო მხოლოდ შინა-  
გან დღილი განცდიდა და გასაქმან ეძებდა.  
მან გვა მიუჩინა ახრებასა და იღვეს, რომე-  
ლიც აწუხებდა განაოლებულ ქართველს, მის  
ინტელექტუალურ ცხოვრებას ასულდგმულუბ-  
და. სოლ. დოდაშვილი მიესალმებოდა ამ ყუ-  
ვილობას ქართულ ლიტერატურულ ცხოვრება-  
ში და ჟურნალის ფურცლებზე აღტაცებით  
წერდა: «გული ჩემი მირად დღე ტრფილებს,  
ეინაიდან შრავალთა ახალგაზრდათა კაცთა  
იწყეს თხუთი მშვენიერთა სტიბთა და აღწერა  
პროზად სხვადასხვა საგანთა».<sup>1</sup>

ქართული ლიტერატურული საქმიანობის  
ამ ერთბაშად გამოცოცხლებაში, როგორც ჩანს,  
ქართული ლიტერატურული საზოგადოების  
დაარსების იდეაც მოაწივთა. სოლ. დოდაშვილი  
საგამომბეჭდლო კომისიას უმხელდა: «ბო-  
ლოს გადაწყვეტიტ შეგვექმნა ლიტერატუ-  
რული საზოგადოებო».<sup>2</sup>

ამ საზოგადოების სულისჩამდგმელი თვით  
სოლომონ დოდაშვილი უნდა ყოფილიყო, რა-  
შელსაც ჰყავდა ისეთი თანამებრძოლები, რა-  
გორიც იყვნენ გ. ერისთავი, გრიგოლ ორბე-  
ლიანი, ვახტანგ ორბელიანი, დავით მაჩაბელი  
სოლომონ რაზმაძე და სხვები.

ჟურნალის დაარსებამ ლიტერატურული  
ცხოვრების გაცხოველებაში დედაქალაქის ინ-  
ტელიგენციის ცხოვრებას სხვაგვარი ელფერი  
მისცა. თბილისი ლიტერატურული სალონების  
ქალაქად გადაქცეა. ყველაზე სახელგანთქმული  
აუო აღქმასწარმე ჰავეკაიას სალონი, სადაც  
სისტემურად იყრიდნენ თავს დედაქალაქის  
საუკეთესო ადამიანები, სამატიო სტუმრები,  
თბილისში გადმოსახლებული დეკაბრისტები.  
ამ საბჭოში მაშინდელი ევროპული გემოვნებით  
იმართებოდა შეჯლისები და გართობანი. ქარ-  
თული ლიტერატურული პროდუქციის დე-  
მონსტრირება, მსჯელობა მათი ავჯარჯიანობის  
შესახებ. ამ სალონის მუღმივი სტუმრები იყუ-  
ნენ 30-იანი წლების ქართველი რომანტიკო-  
სები. მათ შორის, პატარა ტატოც, რომელმაც  
აქ შეიძინა უფროსი თაობის ის მემამობური სუ-  
ლისკვეთება, რაც შემდეგ ასე გენიალურად  
ჩააქსოვა თავის შემოქმედებაში.

ლიტერატურული სალონები, გარდა ა. შავ-  
კაიასის, მოწყობილი იყო მანანა ორბელიანის,  
ვახტანგ ორბელიანის, რ. ბაგრატიონის და  
სხვათა სახლებში.

შემთხვევითი როლია ის დიდი აღტაცება,  
რომლითაც თბილისის ინტელიგენცია 1832  
წელს გენიალური რუსი პოეტის ალ. პუშკინ-  
ის ჩამოსვლას შეეგება, იგი ხარბად ეწიფე-  
ბოდა მის ჟერ კიდევ დაუბეჭდვ თხუთლე-  
ბებს.

პუშკინს — დეკაბრისტების უახლესი მე-  
გობრის, თავისუფლების ამ უბადლო მომ-  
ღერტლს სიყვარული და პატივისცემა განუ-  
ზომლად დღი იყო იმ ქართველ ინტელიგენტ-  
თა შორის, რომლებიც მაშინ უკვე ებმეოდნენ  
ეროვნული თავისუფლებისათვის განზრახულ  
ბრძოლაში.

ქართული ეროვნული ინტელიგენციის ეს  
წამყვანი თაობა ქართული ეროვნული თეატ-  
რის აღორძინებასაც ამზადებდა.

მართალია, ამ დროს ქართული თეატრი  
ჟერ კიდევ გამართული არ ყოფილა, მაგრამ  
ცალკეულ ლიტერატურულ სალონებში მაინც  
ხერხდებოდა პიესების წარმოდგენა. ასეთი  
წარმოდგენებისათვის თარგმნიდნენ შესაფერ  
ბიესებს, წერდნენ ორიგინალურსაც, ზოგე სა-  
ლონში წარმოდგენა რუსულ ენაზე იმართე-  
ბოდა. მაგალითად, 1831 წელს რ. ი. ბაგრა-  
ტიონის სალონში წარმატებით დაიდგა გრი-  
ბოედოვის «გია ჰელისავან», სადაც მარო და  
სოფიო ივანეს ასული ორბელიანები მონა-  
წილობდნენ. ეს დღი საქმიანობა, ქართული  
თეატრის აღდგენისათვის რომ მიმდინარეობ-  
და, მართალია, 1832 წლის შეთქმულების ჩა-  
ვარდნამ და მის მოწაწილეთა დაქსაქსემ შეწყ-  
ყვიტა, მაგრამ 40-იანი წლების მიწურულშია  
იმავე თაობის თოსნობით, როგორც ცნობი-  
ლია, დაიბოდა კიდევ ახალი ქართული თეატრა.

ოცდაათიანელთა საგანმანათლებლო საქმი-  
ანობის შესახებ შეიძლება კიდევ ბევრი  
თქმულიყო, მაგრამ ვლიქრობთ, იმის გასარ-  
კვევად, თუ რა თვისლი ჩათვისეს მათ ცხოვრე-  
ბის ბნულში, რაც ითქვა, ისიც საკმარისია.

ამრიგად, ქართველმა ოცდაათიანელებმა სა-  
ქართველოს ეროვნული განათვისუფლების  
კეთილშობილური საქმე თავინთი იდეური  
ცხოვრების ძირითად შინაარსად გაიხადეს.

ოცდაათიანელთა იდეოლოგია, სოციალური  
კონსერვატივიზმი, ანუ კლასობრივი შეზღუ-  
დულობის მიხედვად, პროგრესული იდეო-  
ლოგია იყო. იგი ქართული ისტორიული ცხოვ-  
რების ჩარხს არა უკან, არამედ წინ უწყოდა,  
ამზადებდა ნიადაგს ერის სახელმწიფოებრივი  
ცხოვრების ევროპულ ყუიდაზე გარდაქმნისა-  
თვის.

ქართველმა ოცდაათიანელებმა, ეროვნულ  
განათვისუფლების კეთილშობილური იდეის  
სამსახურში, ბევრი რამ გააკეთეს ქართული  
კულტურის წინსვლისათვის, შიძინებული სუ-  
ლიერი ცხოვრების გამოღვივებისა და გაცხო-  
ველებისათვის, ეროვნული თვითშეგებისა გა-

<sup>1</sup> ი. შერ. სალიტ. ნაწილი... 1832, № 2, გვ. 46.

ღვიძებისათვის, პატრიოტული შემართებისათვის.

ოცდაათიანელთა თაობა ახალი მოვლენა იყო ქართული სულიერი ცხოვრებისა, ისინი შამების (1802, 1812 წლების აჯანყების მონაწილეთა) მსგავსად უკან კი არ იხედებოდნენ და ძველის რესტავრაციას კი არ ისახავდნენ მიზნად, არამედ წინ იყურებოდნენ და ნიადაგს სწმენდნენ იმ მძლავრი მოძრაობისათვის, რომელიც შემდეგ, 60-70-იან წლებში, გახალდა.

უოველივე ამის შემდეგ ოცდაათიანელებზე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებზე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ისე, როგორც დეკაბრისტები რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში, პირველ თაობას, პირველ რევოლუციონერებს განასახიერებდნენ. სწორედ ოცდაათიან წლებიდან იწყება ის დიდი ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამდე ჩვენი იდეური ცხოვრების ნიშანს ეტს წარმოადგენდა.

### დასკვნა

ამიტომ: ჩვენი აზრით, დროულია, რომ 1832 წლის შეთქმულების რეაქციულობის შესახებ დოგმად ქვეული თვალსაზრისი, რომელიც ფაქტურ მონაცემებს არ ემყარება და ხელოვნურადაა მიყენებული შეთქმულებისადმი, საბოლოოდ დაიარღვეს.

ყველა მონაცემი სახეზეა იმ თვალსაზრისის დასამკვიდრებლად, რომ 1832 წლის შეთქმულება ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის (დამწყობ) ეტაპად და ერის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვან მოვლენად გამოვაცხადოთ. შეთქმულება თავისი შინაარსით პროგრესული იყო და ცარიზმის კოლონიური უღლისაგან საქართველოს განთავისუფლების საქმეს ემსახურებოდა. შეთქმულთა საქმიანობის მთელი პერიოდი ქართველი ხალხის ინტელექტუალური ცხოვრების უჩვეულო გამოცოცხლებით და აღმავლობით აღინიშნა. შეთქმულებამ დამარცხების მიუხედავად ქართული ცხოვრების ხნულში ჩასდო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თესლი, რომელმაც 60-70-იან წლებში გაიზარა.

დროა ქართველ სახელოვან ოცდაათიანელებს, რომლებსაც აცისკროვნებთ ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, გიორგი ერისთავის, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების, სოლომონ დოდაშვილის, სოლომონ რაჭმადის, დიმიტრი ყიფიანის და სხვათა სახელები, ჩამოსცილდეთ ლაქა „თავადურ-მონარქიული ნაციონალიზმისა და რეაქციულობისა, და მათი მოძრაობა, რუსეთის თავადაზნაურულ-რევოლუციონერების — დეკაბრისტებისა და გერცენის მოძრაობის მსგავსად, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ ეტაპად იქნას აღიარებული.



## „ბედი ქართლისა“ და მროვეულ-განმათავის უფლები მოძრაობის ზოგიერთი საკითხი

მე-19 საუკუნის საქართველოში ერთგულ-განმათავისუფლებელი იდეოლოგიის შემუშავებისა და მისი მიმართულების განსაზღვრაში უდიდესი როლი შეასრულა გენიალურმა ქართველმა პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა. სახელგანთქმულ პოემაში „ბედი ქართლისა“ მან ახალ სიმაღლეზე აიყვანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები, რომელთაც საფუძველი ჩაუყარა 1832 წლის შეთქმულების პროგრესულმა ნაქადაშმა ამ მხრივაც ნიკოლოზ ბარათაშვილს ჰყავდა უშუალო წინამორბედნი—ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი და სხვ., რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს პოეტის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში („ბედი ქართლისა“) ასახული ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები მეტყველებით კავშირშია ამ იდეებთან, რომლებიც გრიგოლ ორბელიანმა გამოთქვა დღევანდელ „მგზავრობა ჩემი ტყილსილამ პეტერბურგამდს“. ქართული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი პავლე ინგოროვიჩი სამართლიანად აღნიშნავს: „ნ. ბარათაშვილი არ იცნობდა გრ. ორბელიანის ამ ნაწარმოებს; მაგრამ რამდენადაც საერთო ნ. ბარათაშვილის პოლიტიკური იდეოლოგიის გამომსახველ თხზულებებსა და გრ. ორბელიანის ამ ნაწარმოებს შორის! აქ გამოვლინებულია ერთი და იმავე ეპოქის იდეური საყარო.“

„მგზავრობა“. რომლის გამოქვეყნება დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ მოხდა, ცხადია, ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის უცნობი იყო. მაგრამ მოწაფეობის წლებშიც ნიკოლოზ ბარათაშვილს ახლო მეგობრული ურთიერთობა

ჰქონდა თავის ბიძა გრიგოლ ორბელიანთან და, უნდა ვივარაუდოთ, კარგად იცნობდა მის შეხედულებებს. მეტიც შეიძლება ითქვას, ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც თავისი ასაკისათვის უჩვეულო გონებრივ მომწიფებას ამკლავებდა, შესანიშნავად იცნობდა 1832 წლის შეთქმულებაში მთელ იდეურ კრდოს და გულმუხრავლედ თანუგრძნობდა მას.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ასეთი ვათვითცნობიერების საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა გამორჩენილმა ქართველმა მოაზროვნემ სოლომონ დოდაშვილმა, რომელიც წლების მანძილზე ნიკოლოზ ბარათაშვილის მასწავლებელი იყო. მაგრამ მისი როლი საგნების აკადემიური სწავლებით როდი შემოიფარგლებოდა. იგი ამავე დროს მომავალი გენიალური პოეტის ნამდვილ სულიერ მოძღვარად, იდეურ აღმზრდელად და სამოღვაწეო გეზის მაჩვენებლად გვევლინება.

მართალი იყო პოეტი ვახტანგ ორბელიანი, როცა თავის დროზე აღნიშნავდა, ნიკოლოზ ბარათაშვილის პატრიოტიზმის სათავე სოლომონ დოდაშვილის მოღვაწეობაში უნდა ვეძიოთო, „ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოიწერათნა სოლომონ დოდაშვილთან და პოლონელ პროფესორებთან შეიგნო მან მამულიშვილური შიშართულება. თუ სოლომონ დოდაშვილი არ ყოფილიყოს, მაშინ შეიძლება არც ნიკ. ბარათაშვილი ყოფილიყოს. ნიკ. ბარათაშვილი იყო წმინდა სინთელი, რომელიც საქართველოს სიყვარულით ერის წინაშე იწოდა“<sup>1</sup>.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაზვიადე-

1. ზ. ჭიჭინაძე, „სოლომონ დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი“, გვ. 15.

ბულად არ მიგვიჩნია ზაქარია კვიციანიის მოსახრება, რომ სოლომონ დოდაშვილის გავლენით „ნიკ. ბარათაშვილის მღელ იქცა შეგნებულ მამულისშვილად და ამან თავის ლექსებსაც მღელ მისცა მამულისშვილური კილო. მაშინ თურმე ეს პირველი მაგალითი იყო. თუ არა ეს სოლომონ დოდაშვილი და მისი ქადაგება, უამისოდ ნიკ. ბარათაშვილის პოეზია უიდეო იქნებოდა...“

თვით ნიკ. ბარათაშვილი სოლ. დოდაშვილს დიდად აფასებდა. ამიტომაც იყო, რომ ნიკ. ბარათაშვილი სოლ. დოდაშვილითან ყოველს ღღეს დაიარებოდა როგორც სახლში, ისევე „ტფილისის უწყების“ რედაქციაში, სტამბაში და ყველგან, სადაც კი სოლ. დოდაშვილი იქნებოდა“<sup>1</sup>.

მოწინავე პატრიოტული და რესპუბლიკური იდეებით, რითაც გამსჭვალულია სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობა, ბრწყინვალე ასახვას პოევებენ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში.

„ქართლის ბედზე“ ზრუნვა უანდრძია იონა ხელაშვილიმა სოლომონ დოდაშვილს, რომელმაც ამ პატრიოტულ საქმეს მთელი თავისი სიცოცხლე მოუძღვნა. იგივე ანდრძია ვადისცა სოლომონ დოდაშვილიმა თავის მოწაფეებს. ნიკოლოზ ბარათაშვილის სახით სოლომონ დოდაშვილიმა პოევა გენიალური მოწაფე, რომელმაც ბრწყინვალედ განაგრძო მასწავლებლის საქმე. მან თავის უკვდავ პოეტურ შემოქმედებაში აღბეჭდა პატრიოტული, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები, და თვით ქართული პოეზია უდიდეს სიმაღლეზე აიყვანა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი 15 წლის ჰბუჯი და მოსწავლე იყო, როცა 1832 წლის შეთქმულება ჩაეარდა. მცირეწლოვანების გამო იგი შეთქმულთა ორგანიზაციის წევრი არ ყოფილა. მაგრამ თავის იდეურ-პოლიტიკური შეხედულებებით პოეტი მთლიანად იზიარებდა შეთქმულთა პროგრესული ნაქადის თვალსაზრისს. ცხადია, ასაკს რომ ხელი არ შეეშალა, იგი ორგანიზაციულადც იქნებოდა დაკავშირებული შემოქმედლებასთან.

სავსებით მართებულად უნდა ჩაითვალოს პავლე ინგოროყვას აზრი იმის შესახებ, რომ „ბედი ქართლისას“ ავტორი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში“ არის შემკვიდრე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიისა, რომელმაც გამოასახულა პოევა 1832 წლის შეთქმულებაში, ამბეული გამოხსნის შეთქმაში“<sup>2</sup>.

1832 წლის შეთქმულების დამარცხებამ წა-

რეშეული კვალი დატოვა ნიკოლოზ ბარათაშვილზე. ეს მომენტი მეტად ცხოვრვად დაანნდა მის შემოქმედებას. პოეტს უთუოდ ეს გარემოებაც ჰქონდა მხედველობაში, როდესაც წერდა „რაც ერთხელ ცხოვრვად სულს დაანნდების, საშვილიშვილოდ გარდაცეცემისო“.

როგორც პოეტის თანამედროვენი აღნიშნავენ, ნიკოლოზ ბარათაშვილს ჟერ კიდევ შეთქმულების გაცემამდე ჰქონდა დაწერილი ლექსები, რომლებიც ნიკოლოზ პირველის დღესობურ რევიმს ამხედდნენ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალული. ამ ლექსებს ჩვენამდე არ მოუღწევია. როგორც ვაღმოგვეცემენ, ნიკოლოზ ბარათაშვილს 1832 წლის შეთქმულების ჩაეარდის შემდეგ დაწევიხელ რეპრესიებთან დაკავშირებით ეს ლექსები დაუწევა. თუმკია, როგორც ჩანს, პოეტი ამის შედეგად რეპრესიებს სავეებით მაინც ვერ გადაურჩა.

აი, რას მოგვიტობობს გენერალი გრივოდ გურული ამ საყთებზე:

„ნიკ. ბარათაშვილი და მე ერთ სკოლის სკამზე ვიჯექით. ნიკ. ბარათაშვილიმა წინეთ შეიტყუო, რომ მას გაჩხრეკედნენ. მას ბეერი ლექსები აქენდა რუსის მთავრობის წინააღმდეგ ნაწერი, იგი მალე წავიდა სახლში, მეც თან წამიყვანა, ყველა ეს ნაწერები ბუხარში შეყარა და ცეცხლს მისცა. ის იყო დაიწო და გამჩხრეკევი ნიკ მოვიდნენ. სასტიკად გაჩხრეკეს ყველაყერი.“

ჩხრეკა გათავდა და ნიკ. ბარათაშვილს უთხრეს, რომ შენ დაპატიმრებული ხარ როგორც სოლ. დოდაშვილის შეგობარბო... ობი კვირის შემდეგ ნიკ. ბარათაშვილი განთავისუფლეს“<sup>1</sup>.

პატიმრობიდან განთავისუფლება პოეტი თავისუფლების მოპოვებად როდი აკლიდა. 1832 წლის შეთქმულების გამქლავებობსა და ჩუპრესიების შემდეგ, რომელმაც ერაზულ კიდევ მოცელა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, ნიკოლოზ ბარათაშვილი მწეველ განიდის სულით ობლობას „ამ საძაგელ ქვეყანაში“ და თავის განწყობილებას ასე გამოხატევა:

მწელი არის მარტობა სელისა:  
მას ელტვიან სამეწენ სოფლისა,  
მზარდ აბსოვს მას დაყარევა სწოროსა,  
ობერა არის შევება უბედურისა!<sup>2</sup>

1 ზ. კვიციანი, „სოლ. დოდაშვილი და ბარათაშვილი“. გვ. 17.

2 ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945 წ. გვ. 83. თი როგორც ესახება პოეტს მამინდელი მოწინავე ადამიანებისაგან დაეარეილებული თბილისი, „ტფილისი ისევე ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის“ (იქვე, გვ. 80).

1 იქვე, გვ. 15.

2 ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945 წ. გვ. 48.

შეთქმულების გაცემა იასე ფალავანდიშვილის მიერ მძაფრად აღაშფოთეთა პოეტის გულს

„ძიაც, ყუბახი, სამშობლო შენი,  
წავართო ავის ენისა გესლმინ;  
სატრფონი მისნი შემოგარენი  
გარდახვეწილსა დავიხშო ეტლმინ“

ამრიგად, 1832 წლის შეთქმულების წარუმატებლობა ნიკოლოზ ბარათაშვილის თავისი პატრიოტული მიზანსწრაფვის, საქართველოს ერთგუელი, თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში ვინცდღა მარცხად მიანანი და ეს არის ამის ძირითადი მიზეზი, რომ პოეტი შეთქმულების ჩავარდნას ასე მტკივნეულად განიცდიდა. ამასთან ერთად, ბევრი შეთქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერი შეგობარი, მასწავლებელი და ნათესავი იყო.

1832 წლის შეთქმულების დამარცხება ერთგვარი გარდატეხის მომენტად იქცა ქართული აზროვნებისა და ერთგულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში. თავდაზნაურულმა ინტელიგენციამ გეზი იცვალა. ბევრი მათგანი ბედს შეურიგდა და რუსეთის დავით-მშურებელბაშათან ორგანული თანაშრომლობის ვახს დაადგა.

ასეთ ვითარებაში მოვლენა ჩვენს ქვეყნის გენიალური მოაზროვნე და პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელსაც, როგორც მისი მეგობარი ლევან მელიქიშვილი აღნიშნავს, საქართველო „უყვარდა მთელს პოეტურ კულთს, და რომელიც ამ სიყვარულს ყველა თავის მოვალეობაზე მალდა აყენებდა“. კარგად ითვალისწინებდა რა შეთქმულების დამარცხების შედეგად შექმნილ ვითარებას, ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის შემოქმედებაში ბრწყინვალედ დიდი და შემდგომ განავითარა საქართველოს ერთგულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია.

ბარათაშვილის მძლავრი ტალანტი მუდამ თავს დასტრიალებს „ქართლის ბედს“. პოეტი გულდასმით სწავლობს სამშობლოს ისტორიას ამ მიზნით, რომ რეალისტურად ახასიოს იგი თავის შემოქმედებაში. ამ მხრე მერტად საუბრადღებოა პოეტის სკოლის მეგობრის კ. შამაკაშვილის მოგონების ერთი ადგილი, რომელიც შექს ფენს პოემის შექმნის ისტორიას. მოგონებაში აღნიშნულია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილთან შეხვედრების დროს ხშირად საუბრობდნენ „ჩვენის წარსულ ცხოვრებაზე“. მახსოვს ერთ იგლისის ღამეს, წერს კ. შამაკაშვილი 1838 წელს, მე და ტატო, წავედით სასურჩოდ გარეთობანს (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი ლ. ე.) ტატო ძალიან მზიარულად იყო და თავისებურად მშვენიერად ხუმრობდა; მერმე ჩამოვარდა ლაბარავი ჩვენს წარსულ ცხოვრ-

ბაზედ და ტრაგიკულს დასასრულზედ 18-ის საუკუნის, მეფე ირაკლის მოქმედებლობის გამო უღონობაზედ, ჩვენის თბილისის წახდენაზედ 1795 წელსა 12 სექტემბერს და სხე...

ამ ლაბარავის დროს ნიკოლოზს, ყოველთვის მოეცინას და მზიარულს, სახე შეეცვალა. და იწყო ხელსაზოციით ცრემლების წშენლა და აღელვებულმა მიიხრა:

„ჩვენმა უხეირობამ დაგვლუბა, — და ოხვრით დაღმატა:

ვაი, ჩვენი ქართლის ბედო“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი მოწყდის მერხიდანვე ერეკლე აქართლის ბედზე“ ფიქრს. 1832 წლის შეთქმულების ამბებმა კიდევ უფრო გააძლიერა პოეტის პატრიოტული მიზანსწრაფვა.

წლების მანძილზე შეიქმნა ის შესანიშნავი ერთგულ-განმათავისუფლებელი იდეები, ასე კონკრეტარებულად და ნათლად რომ არის გადმოცემული მის დიდებულ პოემში „ბედი ქართლისა“. ერთგულ იდეებს, ცხადია, პოეტის სხვა ლექსებიც ეხმარება. მგრამ ამ პრობლემის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის უყვედავ პოემას, რომელიც თავისი ეპოქის პროგრამულ დოკუმენტად უნდა ჩათვალოს საქართველოს ერთგულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში.

„პოემა „ბედი ქართლისა“ იწყება საქართველოს ისტორიის ამ ტრაგიკული მომენტის აღწერით, რომელიც 1795 წლის სექტემბერში ქერ კრწანისში, ხოლო შემდეგ თბილისში მოხდა. ერეკლე მეორემ რამდენიმე ათეული ძლევაშობილი ომი გადაიტანა და, თუ ნიკოლოზ ბარათაშვილი მაინც თავისი უფრადლების ცენტრში 1795 წლის თბილისის ტრაგედიას აყენებს, ეს შემთხვევით მოვლენად არ უნდა ჩითვალოს, ეინადიან ამ ტრაგედიაში უღრესად მკაფიოდ გამოვლინდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ყველა სუსტი მხარე, მისი დამოუკიდებელი არსებობის შეუძლებლობა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი რეალისმის პოზიციებზე დგას. იგი საკვებით აშართლესს საქართველოს რუსეთთან შეერთების პოლიტიკურ გეზს, რომელსაც ასე დავიენებით აზორციელებდა ერეკლე II, ვინაიდან საქართველოს რუსეთთან შეერთება მიანდა ისტორიულ აუცილებლობად. პოეტი სამართლიანად ფიქრობს, რომ ერეკლე მეორემ, როგორც სახელმწიფო მოღვაწემ, სწორად შეაგნო ეს აუცილებლობა, ყოველმხრივ ვათავალისწინა საქართველოს ინტერესები და მის შესაბამისად სისრულეში მოიყვანა ისტორიის განაჩენი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი დიდად აღასყებს ერეკლე II-ის პიროვნებას და მის ისტორიულ დამსახურებას სამშობლო ქვეყნის წინაშე. ზოგიერთი მკვლევარი ამაში ერეკლე II-ით მხოლოდ რომშიბრე ვათავალისწინა საქართველოს ინტერესები და მის შესაბამისად სისრულეში მოიყვანა ისტორიის განაჩენი.

არის, რომ მან უკეთ, ვიდრე ბევრმა ისტორიკოსმა, იფრისტმა და ლიტერატორმა, დაინახა ერეკლე მეორის როგორც სამხედრო, ისე სახელმწიფოებრივი დამსახურება და სწორად შეაფასა მისი გადაწყვეტილება.

ამისთან ერთად, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში მოცემული ვჯექს ხალხის წილიდან გამოსული და სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანების უაღრესად მაღალი დიდება, ნამდვილი სიგალობელი, რომლის მავგარი იშვიათია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პოეზიაში. აი, ეს მეტად ღირსშესანიშნავი სტრიქონები, რომლებიც პოეტმა კრწანისის გმირებს მიუძღვნა:

„მრავალთ ყმაწვილ-კაცო, ნუგეშთა ქართლის, დასდევს აქ თვით მამულისათვის!  
აჲ საფლავიცა არსად ჩანს მათთვის;  
პაერში განქრა მათი სახელი  
და არსად ეამთა მოწამე ძეგლი  
არ ვევიდავებს მითთა საქმეთა;  
ღუმლინი ჰფარავენ ერთგულთა ძეთა...  
მაგრამ, ჰოი გმირო, ნუ შეშფოთლებით,  
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:  
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაანდების,  
საშვილიშვილოდ გარდაცემის;  
ქართლ თქვენს ღვაწლსაც ვერ დაიდუმებს,  
ალა-მამამალ-ხანს ვიდრე ახსენებს!“

უფრო მაღალი და ღრმა დიდება ხალხის წილიდან გამოსული ადამიანებისა, რომელნიც გმირულად დაეცნენ საქართველოს მტრებთან ბრძოლაში, შეუძლებელია. მართალია, ყველა მათგანის სახელი არ დარჩა, „პაერში გაქრა“ და „ღუმლინი ჰფარავენ ერთგულთა ძეთა“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი სახელები უცვლადყოფილა იმით, რომ დარჩა სამშობლოს თავისუფლებისათვის გმირული, პატრიოტული ბრძოლის დიდი ტრადიცია, რომელიც „ცხოვლად დაანდა“ ქართველი ხალხის ხასიათს და თაობიდან თაობას „საშვილიშვილოდ გარდაცემის“.

დიდი პოეტისა და მოაზროვნის ეს ბრწყინვალე სტრიქონები დაამყვენება არა მხოლოდ კრწანისის გმირთა თბილისს, ირამედ უსახელო ჯარისკაცის საფლავსაც, რომელიც ამჟამად თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში არსებობს, როგორც ხალხის გმირული ბრძოლების დიდი სიმბოლო.

კრწანისის ტრაგედიის აღწერით ავტორი შეგვიძაღვებს იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ უაღრესად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის დიალოგი, რომელიც გაიმართება ერეკლე მეორესა და სოლომონ ლეონიძეს შორის. აქ ნიკოლოზ ბარათაშვილი გვივლინება როგორც ჰემშაბიტად დიდი ეროვნული პოეტი, ქართველი ხალხის ეროვნული გე-

ნია, რომელსაც ბრწყინვალედ უხმის ეპოქის მიერ ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანები, სამშობლოს ზედი, მისი აწმყადი მომავალი განვითარების პერსპექტივები.

ნახევრადბარბაროსული სამყაროს გარემოცვაში მოქცეული საქართველოს შესვეურის — ერეკლე მეორის ორიენტაცია რუსეთზე ნიკოლოზ ბარათაშვილს სასებთან კანონზომიერად ეჩვენება იმიტომ, რომ იგი კარგად ამჩნევს რუსეთის გამოკვლას ევროპული ცივილიზაციის ფართო გზაზე, მის ეკონომიურ და სამხედრო-პოლიტიკურ დაწინაურებას. ყოველივე ამან განაპირობა მეფის გადაწყვეტილება საქართველო დაუკავშიროს რუსეთს, რომელთანაც

„დიდი ხანია გეაქვს ზედი ერთობა,  
მტაცე კევირი, — სარწმუნოება,  
მის მინდა მივეცი მეშვეიდრეობა,  
და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა“.

ერეკლე მეორის ეს ისტორიული გადაწყვეტილება, რასაც წინ უძღოდა ამ საკითხზე მტანველ ფიქრში დაღუული აურაცხელი ღამე, ყველასათვის გასაგები როდი იყო. სოლომონი ვაიკებულება მეფის გადაწყვეტილებით და პირდაპირ ემუდარება მას:

„ნუ ვაგონებ მაგ ხმას ქართველი,  
ეზღენ შენზედა მსასოებელთა!  
ჯერ სამაჯისო რა გვემართება,  
რომ ვანიცყიდოთ თვისუფლება...  
ნუ, ზელმწიფელო, მას ნუ ინებებ,  
შენედასა ვაგონ, მის ნუ ვაგვგონებ,  
და მეგრე ქართლი, ვინც ვერ ვანაგოს,  
მამინ მან უწყის, რაც მოავგაროს!“

სოლომონ მსაჯულის სახით პოეტი მკვეთრი ფერებით და სიმაბოლოთ გვიხატავს ქართველი ხალხის სიყვარულს თავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისადმი. „ქართველებს არ მიაჩნიათ უზედურება, თუ აქვთ თვისთ პერ ქვეშ თავისუფლება“, აღნიშნავს სოლომონ მსაჯული, რომელიც არ ცნობს ფაქტს, რომ საქართველო ღვას აღტრანატივის წინაშე. იგი ვერ თვალისწინებს ეროვნულ საფრთხეს, რაც საქართველოს მოელის მუსლიმანური გარემოცვის პირობებში და ამიტომ თამამად ამბობს: საიმისო რა ვაგვივირიდა, რომ „ვანიცყიდოთ თვისუფლებაო“.

სამაგიეროდ სოლომონ მსაჯულის მსჯელობაში უეჭველად მოსჩანს ერთგვარი გათვალისწინება იმ გამოცდილებისა, რაც საქართველოს რუსეთთან შეერთების ერთი შესამედი საუკუნის მანძილზე დაგროვდა. ამ გამოცდილებიდან იგი მეფის ურადილებას ამახილებს კოლონიური ჩაგვრის ელემენტებზე და აღნიშნავს, რომ სარწმუნოებრივი ერთობა სრულიადაც არ ემა-

რა იმ დროს, როცა ორი ხალხი ერთმანეთისაგან განსხვავდება ეროვნული ტრადიციებით, ყოფი-ცხოვრებითა და ზნე-ჩვეულებით. რუსეთის სახელმწიფო კი ყოველივე ამას სათანადოდ ვერ გაითვალისწინებს.

აქედან გამომდინარე სოლომონ მსაჯული ერეკლე მეორეს ეკითხება: „იცი, მეფეო, რომე ივერნი იქნებანი რუსთ ხელთ ბედნიერნი?“ და თვითონვე აძლევს კითხვაზე უარყოფით პასუხს:

„სახელმწიფოსა მსაჯელს ერთობა არა არას არგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს. ეინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი: ვით შეითვისოს რუსმა ქართველი, ვით შეიწუნაროს რუსთ მეფობამა, რაც მოსურვოს ქართველობამა? მაშინ, მეფეო, რაედნით კაცთ შართალთ მოუკლან გულნი ტანჯათ იღუმალთ! მაშინ არაელის სახსენებელი ვინდა ახსენის, აჲ საქებელი?“

მეფე პრინციპულად არც უარყოფს და არც ვკობს სოლომონ მსაჯულის მოსაზრებებს. იგი ბუნჯასმით აღნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ამგვამად საქართველოს მტრული ვარემოციისაგან თავის დაცვის სხვა საშუალება არ არსებობს:

„ჩემო სოლომონ, მეფემ უბრძანა, მე ეგ ყოველივე არ ვიცი ვინა? მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის, რა მოგაგვარო უძეობეს ამის?... აჲ, ხომ ნახე აჲ მავალითო, რა ქმნა ამ ერთმან დამარცხებამანი! კარგი, რომ კიდევ აღა-შამადა-ხან ქალაქს დასჯერდა განძინებული“.

მეფე გადაბრით აღიარებს, რომ უფლისწულთა და თავადიშვილთა ტომობით, ქვეყნის შიგნით არსებული წიწვია-გლეჯით დასუსტებულ საქართველოს არ ძალუძს გაუმკლავდეს მტრებს, რომლებითაც იგი არის გარშემორტყმული, და ამიტომ რუსეთთან შეერთება და მისი მფარველობა ისტორიული აუცილებლობით ნაკარნახევ მოვლენად მოეჩინა.

ერეკლე მეორე სიმართლეს აღიარებს, როდესაც აღნიშნავს, რომ ყოველივე ამას იგი თავისი განდიდებისათვის კი არ ჩადის, არამედ ქვეყნის კეთილდღეობისათვის: „მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე, თვისს დიდებისათვის სისხლთა აღმჭექევა“. როგორც ჩანს, ერეკლე მეორე ხედავს, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთებით ილაგება არა მარტო ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, არამედ

მეტის უფლებამოსილებაც, მაგრამ იგი იძულებულია ასეთ მსხვერპლზედაც წაიფიქროს.

ნ. ბარათაშვილის პოემაში კარგად იგონება ისტორიული შექმნილი სიტუაციის ცხელემა პოემა დაიწერა დაახლოებით ათი წლის შემდეგ, როდესაც რუსეთისათვის ძლიერმოსილად დამთავრდა ომი სპარსეთსა და ოსმალეთთან. ამ ომებში ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ. ამ სიტუაციას შეეფერება სტრიქონები, რომელსაც პოეტე ერეკლე მეორეს წარმოატყვევებს:

„ახლა კი დროა, სოლომონ, რომა შევიდომა ნახოს საქართველომა. მან საფარ-ქვეშე მხოლოდ რუსეთის ამოივებოს ჭაჭრი სპარსეთის“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების სიღიადგ იმითაც გამოიხატა, რომ იგი ისეთ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენას, როგორცაა საქართველოს შეერთება რუსეთთან, განიხილებს არა მარტო საქართველოს განვითარების პერსპექტივების თვალსაზრისით, არამედ თვით რუსეთის განვითარების თვალსაზრისითაც. იგი კარგად ამჩნევს რუსეთის იმპერიის გაფართოების ტენდენციას, რომელსაც აუცილებლად მოჰყვებოდა მისი ექსპანსია ამიერკავკასიაში. საქართველო, თავისი მძიმე მდგომარეობის გამო, იძულებული იყო შეერაგებოდა რუსეთის იმპერიის ამ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას.

ეს მომენტი ბრწყინვალე გამჭრიახობით არის ასახული პოემაში.

ერეკლე მეორეს თითქოს არგუმენტები აღარ ყოფნის რუსეთთან საქართველოს შეერთების დასაბუთებლად, სრულ კომპრომისზე მიდის სოლომონ ლეონიძის თვალსაზრისით, როდესაც აცხადებს:

„სულ მართალია, ჩემო სოლომონ, მაგრამ ამა სთქვი, ქართველთა რა ყონ ამ უბედობის და დარღვევის დროს?“

და განაგრძობს რა საქართველოს რუსეთთან შეერთების დასაბუთებას, ახლა უკვე სხვა ხასიათის „არგუმენტებს“ მიმართავს თავისი პოლიტიკური გეზის გასამართლებლად:

„აჲ მივიღებ მე შენთ რჩევათა, და დავიდუმებ ჩემსა გულის თქმას, ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას, რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება, ქართლსა დაცავს რუსთ ხელმწიფება“.

ამ ორიოდ სტრიქონით პოეტმა შესანიშნავად გადმოსცა საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული აუცილებლობის მეორე მხარე, რომელიც რუსეთის იმპერიის ანექსიის პოლიტიკას უკავშირდება ამიერკავკასიაში. ნე-

ბაყოფლობით შეუერთდეს უმჯობესია, იქნებ უფლებათა მინიმუმი მაინც შეინარჩუნო, თორემ, სულერთია, ძალით შევიერთებენ, ვინაიდან რუსეთის იმპერიის განუთიარებმა-გაფართობის ინტერესები შიითხოვს ამას.

პოემის ავტორმა შესანიშნავად იცის უახლესი ისტორიის გამოკვლევა. ხომ ცნობილია, სოლომონ მეორემ არ მოისურვა იმპერიის სამეფოს მოშლა, ჩაება უთანასწორო ბრძოლაში რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ და კრახი განიცადა.

ამიტომ ნიკოლოზ ბარათაშვილი ამართლებს ერეკლე მეორის სწორ, რეალისტურ პოლიტიკურ გეზს. თუკია კარავად იცის, რომ ამ პოლიტიკა საქართველო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვამდე მიიყვანს, რის გამოც „ჭკობიერნი მამულს გლოვობდნენ“.

სოლომონ მსაჯული გულდამით უსმენდა საქართველოს დიდ პატრიოტს, და, თავის მხრივ, ერთგვარ კომპრომისს უშვებს, როდესაც აღიარებს:

„მაგრამ ვინ იცის! იგი იტნება  
უკეთ ფიქრობდეს, რაც გვეჭირება:  
ბევრჯერ ლეიფრსა ზრუნვასა მეფის  
გონება ყმათა ვერა მიხედების!“

საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხზე იდეურ მოწინააღმდეგეთა — ერეკლე მეორისა და სოლომონ მსაჯულის ურთიერთ კომპრომისი მოწმობს, რომ ავტორი ობიექტურად გადმოგვიცემს არსებულ სინამდვილესაც და ქართული ხალხის თავისუფლებისმოყვარე განწყობილობასაც. პოეტი „გრძინობს გარდაუვალ სიძარტლეს ორივე გმირისას“<sup>1</sup>.

არ არის მართალი, თითქოს პოემაში ავტორის პოზიცია არ ჩანდეს. პოეტი არც იმ საკითხს უღელს დუმილით ვეერდს, თუ ვინ „იყო მართალი ამ ტრაგიკულ პაექრობაში“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი გარკვევით გვაძენს, რომ იმ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში, რომელშიც იმყოფებოდა საქართველო, მისი შეერთება რუსეთთან ისტორიულად აუცილებელი იყო და ამიტომ იგი საესეზოთ ამართლებს ერეკლე მეორის პოლიტიკურ გეზს, რაც კარგად ითვალისწინებს ამ აუცილებლობას.

როგორც ცნობილია, სოლომონ ლეონიძემ სიტუვა წარმოიტვა ერეკლე მეორის დაკრძალვის დროს და დაქტურად აღიარა მისი პოლიტიკური გეზის სისწორე. ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილი საესეზოთ რეალისტურად გვიხსენის ქვეყანაში ობიექტურად შექმნილ ვითარებას.

ბას, რომელმაც განსაზღვრა ერეკლე მეორის პოლიტიკა, და, მასთანავე, ქართლის ბედიც. ბარათაშვილი ორი დიდებულ ქართველი პატრიოტის განსხვავებულ თვალსაზრისს: რომ გადმოგვიცემს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემაზე, ზოგიერთ მკვლევარს ეს „პოეტის გონების გაორებად“ ეჩვენება, რაც არ არის სწორი. ამ შემთხვევაში სპეციალურად პოეტის გონების გაორებასთან, იქვე ვხვდებით ნინამდვილის ორი მხარის სწორ, რეალისტურ ასახვასთან. ამ სინამდვილის ერთ მხარეს განასახიერებს „დიდებული სახე მეფე ერეკლე-სი“, ხოლო მეორეს — „არა ნაკლებ დიდებული სურათი სოლომონ მსაჯულისა“. აქვე უნდა შევნიშნათ, რომ მხატვრულ შემოქმედებაში ასეთი „გაორებული“ თვალსაზრისი გვხვდება ნიკოლოზ ბარათაშვილის როგორც წინაპართა (გვიხსენით გრ. ოზბელიანისა და ნ. აფხაზის საუბარო გრიგოლ ორბელიანის „მოგზაურობიდან“, ასევე შემკვიდრეთა შორის; გვიხსენით ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერალები“). მაგრამ ეს შემოქმედის გონების გაორებად კი არ უნდა წარმოვივლინოთ, არამედ მეთოდად, რომლის საშუალებითაც მწერალი უკეთ ახერხებს ყოველმხრივ და საფუძვლიანად განიხილოს დასმული პრობლემა.

პოემაში ერეკლე მეორის პოზიცია ვამოხატავს პოეტის მიერ არსებული სინამდვილის აღიარებას და სრულიადაც არ ნიშნავს მის შერიგებას ამ სინამდვილის ჩრდილოვან მხარეებთან.

ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც სამშობლო ქვეყნის მგზნებარე პატრიოტი, ურყევად რჩება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოზიციებზე, იგი თვითმშყრობლობის კოლონიური პოლიტიკისა და ეროვნული ჩაგრვის შეურთიგებელი მოწინააღმდეგეა, საქართველოს პოლიტიკური და ეროვნული განთავისუფლებისთვის შეუპოვარი შებრალია.

აწყურე გულგატეხილ პოეტს სწამს საქართველოს უფეთისი მომავალი, სურთა, რომ ქვეყანა აღიდგენს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და პოლიტიკურ თავისუფლებასაც მოიპოვებს, იმედს აქვს, „რომ გათენდება დიდა მზიანი და ყოველს ბინსა ის განიანაულეს“.

ამას წერდა ცხრაშეტი წლის კბამუცი, რომელმაც სამშობლოს ბედზე პატრიოტული ზრუნვა თავისი სიცოცხლის მიზნად დისახა და პოეტური შემოქმედების ლაბორატორიად გამოაცხადა. პოეტის პესიმისტური განწყობილება, პირველყოფლისა, საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობით არის გამოწვეული.

ამ ქვეყნად არსებულ მრავალ უმსგავსოებას და აღამაინათა გაუმამართობას რომ ხედავს, პოეტს კაემანი იპურობს და თავის მეგობარს წერს: „მე რომ პატარა დამოუკიდებელი მდგომარეობა მქონდეს, იმწამსვე მეთატოვებდი და

<sup>1</sup> პავლე ინგოროყვა, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, 1945 წ., გვ. XII.



მოსვენებელი გეგმარებელი პარტიარქალურ ცხოვრებას მარტვი ზუნების წიაღში, რომელიც ასე დიდებული და წარმატება ჩვენს სამშობლოში<sup>1</sup>.

ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში აღიარებულია ის სწორი დებულება, რომ „ნაშდვისი სულიერი წინაპარი ილიასი, ეს არის გენიოსი ქართველი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელმაც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დასახა ახალი გზები ქართული ლიტერატურის განვითარებაში“<sup>2</sup>.

სრული სიმაართლეა. მხოლოდ ამ დებულების კონკრეტობაცა და შევსება შეიძლება შემდეგით: ნიკოლოზ ბარათაშვილი ილია ქვეკვიპის წინაპარი, აგრეთვე როგორც საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეური მემდროვე მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში.

გადამკარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებამ, კერძოდ მოგვამ „ბედი ქართლისა“, ვადამწვევტი გავლენა მოახდინა ილია ქვეკვიპის ეროვნული კონცეფციის შემუშავებაზე. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ილია ქვეკვიპემ ახალი ეთიორების შესაბამისად განავითარა ეს იდეები და კიდევ უფრო მალე ასწია მექვიედრობით ნაინდგრძევი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საბრძოლო დროში.

საქმარისა ერთმანეთს შევადარათ ამ ორი დიდი პოეტისა და მოზროვნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები, განსაკუთრებით კი იდეურა შეხვედრები, რომელთაც ვხვდებით ორ ისტორიულ-ლიტერატურულ დოკუმენტში — ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა“ და ილია ქვეკვიპის „მგზავრის წერილებში“, რომ გარკვევით დაგრწმუნდეთ ნათე ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების ნათესაობასა და უცილობელ შემკვიდრობით კავშირში.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი წინაპორბდნი კარგად ითვალისწინებდნენ ისტორიულ აუცილებლობას, რომელმაც ჩამორჩენილ მუსულმანურ სამყაროში ვარშოცულ საქართველოს პოლიტიკურ შესვერებს ადებინა ერთადერთი სწორი ორიენტაცია, ორიენტაცია ევროპული ცივილიზაციის გზაზე გამოსული რუსეთისადმი, რომელიც უპველად ასრულებდა პრაგრესულ როლს ამოსავლეთის მიმართ.

ილია ქვეკვიპემ სავსებით იზიარებს თავის წინაპორბდნი თვალსაზრისს ამ საკითხზე და წერს:

„როგორც სპარსეთში, ისე ოსმალეთში ერთგვად იყოლა, რომ დიდი საქმეა საქართველოს ზელში ჩადება მისთვის, ვინც დასწრებს, ვარდა ამისა, არც სპარსეთს უნდოდა, რომ საქართველოს დაქვრით ვინმე სხვა სახელმწიფო ახლო მოსვლოდა, არც ოსმალეთს, რადგანაც საქართველო ამ ორ სახელმწიფოს საზღვრად და გზად ედგა. თუმცა რუსეთისაგან შინს ეს ორიც სახელმწიფო ერთად უნდა ემოქმედებინა, მაგრამ ისე არ მოუხდათ. სპარსეთს უნდოდა მართო სვეტოდა საქართველო, ჭერ ვითარცა ვარი რუსეთიდან აზიაში შემოსვლისათვის დასაკვტი და მერმე ვითარცა გზა ოსმალეთის შესაღსხველი. ამასვე ჰლამებდა ოსმალეთი და სპარსეთს არ ანებებდა საქართველოს დაქვრას“<sup>1</sup>.

ეს ჩამორჩენილი მუსულმანური სამყარო შინაგანი ფეოდალური დაჩახულობით დასუსტებულ საქართველოს წაღვეთ ემოქმედობდა, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ ერთადერთი სწორი გამოსავალი იყო საქართველოს შეერთება რუსეთთან, რთაც ახალი ერა დაიწყო საქართველოს ისტორიაში. ასეთია თერგდალეულთა ზელადის ილია ქვეკვიპის შეხედულება საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხზე. ეს შეხედულება სრულ პარმონიაშია ნიკოლოზ ბარათაშვილის შეხედულებასთან ამავე საკითხზე.

ანალოგიურა (და არა იდენტურა) მეორე კარდინალური საკითხის დაყენება, რომელსაც ვხვდებით პოემაში „ბედი ქართლისა“ და „მგზავრის წერილებში“<sup>2</sup>. ეს შეხება ორგვარ თვალსაზრისს მშვიდობისა და თავისუფლების ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე. პოემაში მშვიდობას (საქართველოს რუსეთთან შეერთების მომენტში) უმარატესობას ანიჭებს ერველ მეორე, ხლო თავისუფლებას — სოლომონ მსაქული. „მგზავრის წერილებში“ აქტორის პოპეცია უკვე ერველ მეორის თვალსაზრისს უახლოვდება, ხლო მოხვეცისა სოლომონ მსაქულისას.

ილია ქვეკვიპემ, ისე როგორც მისი წინაპორბდნი ნიკოლოზ ბარათაშვილი, დადებითად აფასებს საქართველოსათვის მშვიდობას, რომელმაც ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და ეკონტურული ძალების განვითარება გამოიწვია. მაგრამ, ამასთან ერთად, კარგად ხედავს კოლონურ ჩაგვრა-შევიწროებას და სრულიადე არ სურს ხალხის პოლიტიკური თავისუფლება ზეარაკად შესწიროს მშვიდობას. აი, რას ამბობს მოხვეე ამასთან დაკავშირებით.

„რაის ვაქნე ცარიელ მშვიდობას ცარიელ სტემაქით. რაი არნ მშვიდობა? უმარ სატევარს ეანგი დაედვის, უსრბოლო წყაღი ბა-

<sup>1</sup> ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, გვ. 87.

<sup>2</sup> ილია ქვეკვიპემ, თხზულებანი, 1957 წ., პაველ ინგოროყვას წერალი, გვ. 21.

<sup>1</sup> ილია ქვეკვიპემ, თხზულებათა სრული კრებული, ი. 4. 1955 წ. გვ. 208.

ყაენი, ჰია-ჰუი, ქვემარში გამრავლის. უღებარ, უსვენარ თერგზი კი კალმახი იცის! რაი არ მშვილობა ცოცხალ კაცთათვის? რაი არ მტრობა თუ ერთი ერთის? ცარელი მშვილობა მიწაზე ვეყოფის".<sup>1</sup>

გაეხსენოთ პოემიდან თუნდაც ერთი ადგილი „ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება, თუ მოაკლდება თავისუფლება“, და ამ ორი შესანიშნავი ისტორიულ-ლიტერატურული დოკუმენტის მეშვეობით იდეური კავშირი ნათელი გახდება.

„მგზავრის წერილებს“ ის ადგილი, სადაც მოხვეე ძველად საქართველოში არსებულ „ბჭობას შენატრის და ამბობს: „საბჭოთა? იქიდან არნ სუნაჲ, სად სამართალი მქეთან იბუოდის, რაიუ მძიმა საქმე ხევი ავარდის, მუნ იბჭობოდეს“<sup>2</sup>, — იდეურად ეხმარება პოემის ცნობილ მტრობას, რომელშიც გაკრიტიკებულია მეფის ერთპიროვნული ძალაუფლება:

მაგრამ შენ, მეფეე, ვინ მოგცა ნება  
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,  
მისდევდე შენსა გულისკვეთებას  
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?

ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებას იდეა, რომლითაც ესოდენ გამსჭვალულია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“, თავის პროგრამულ ჩამოყალიბებას ჰპოვებს ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“, ცნობილი დებულების სახით: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვე-

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1957 წ. გვ. 186.

<sup>2</sup> ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1957 წ. გვ. 184.

ყუნდეს“. ეს იდეა იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დევიზი, რომელიც ილია ჭავჭავაძემ წამოაყენა, მთავრად — საბრალო დროში. ამ დროში... გამოსვლა თერგდალეულთა თაობა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართველი ერის ცხოვრებაში.

მეტად საუკრადლებოა ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძე, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის ღირსეული შემყვიდრე, აღიარა თვით აკაცი წერეთელმა. მან აღნიშნა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ საქართველოს ჰყავდა მწერლები, მაგრამ ისინი ასცდნენ გენიალური პოეტის მიერ ნაჩვენებ იდეურ ხაზს და ამიტომ „იმით მღერა, რასაკვირველია, ჩხველი იყო და არა სტვენა...“

ამ სიკოტრის ეამს გამოჩნდა ილია ჭავჭავაძე... შეუდგა ბარათაშვილის კვალს... ჭავჭავაძე არის ბარათაშვილის მოყარნახე და მისი დიდი ღირსებაც ამაზედ არის დაფუძნებული. ყოველ მის ლექსში ვხედავთ ქართველების ტანჯვას და გოდებას!<sup>1</sup>

ამრიგად, ეროვნულ განმათავისუფლებელ იდეოლოგიას, რომელიც გარკვეულ პროგრამულ მოთხოვნათა სახით ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 60-იან წლებში ჰყავდა თავისი ღირსეული წინამორბედი. ეს იყო გენიალური პოეტი და მოაზროვნე ნიკოლოზ ბარათაშვილი. იგი როგორც ბუმბერაზი დგას საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეებთან და გარკვეულ დღეებში გავლენას ახდენს შემდგომი თაობის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოღვაწეობაზე.

<sup>1</sup> აკაცი წერეთელი, ტ. 6, 1957 წ. გვ. 17-18.

ბიოგრაფიული

ქართლის ბელი და „მერანი“

ქართული კულტურის თვალსაზრისით ბარათაშვილის პოეზიის წყდლომა ბევრად უფრო რთულ საკითხებს უკავშირდება, ვიდრე ამას საკუთრივ მისი ლექსების ანალიზი ითვალისწინებს.

ბარათაშვილის შემოქმედება ერის ცხოვრების რთული ფსიქოლოგიური ქვეტექსტებით არის დატვირთული. ყველაზე ზუსტად მისი პოეტური ხილვების არსი სწორედ ერის ცხოვრების შინაგანი ბაჰეების რიტმში მგლავნდება.

თავისი ხალხის მსგავსად ტრაგიკული იყო მისი ბედიც. დაეარგვას გადარჩენილი მისი რამდენიმე შედეგის აღმოჩენამ შეიძინა ლეგენდის შეფერილობა. პოეტი გადაიხარდა მითში. ამდენად, ბარათაშვილის პიროვნებისა და შემოქმედების სახე იქცა ერის ბედის ნატეხად.

ამ ემოციური ფონის გათვალისწინების გარეშე გაუგებარი იქნება ამ მნიშვნელობის აზრი, რომელსაც დღეს ქართული კაცია ანიჭებს ბარათაშვილის პოეზიას და მის სახელს.

ბარათაშვილის სახელი კი ქართული პოეზიის განვითარების ახალ საფეხურთან არის დაკავშირებული. მხედველობაშია არა მხოლოდ რომანტიზმი, რომლის პრინციპითაც ბარათაშვილს აერთიანებენ XIX საუკუნის დასაწყისის პოეტთა პლუადასთან; მხედველობაშია თავისებურ პოეტურ აფეთქებაში გამოვლენილი ეროვნული ენერჯის ინდივიდუალური აქტი. მასში იფლასსმება ერის შინაგანი ცხოვრების თვალსაზრისად ახალ სულოვრ ინსტანციაში ხილვისა და მისი გამოხატვის მასშტაბები.

ქართული საზოგადოებრივი აზრის მიერ ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის დროიდან იქნა გაცნობიერებული ბარათაშვილის ამ შემოქმედებით 9. „მნათობი“, № 8.

მასშტაბების საკაცობრიო მნიშვნელობა. და მართლაც ბარათაშვილი პირველი პოეტია ახალი ქართული მწერლობის ისტორიაში, რომლის შემოქმედებაშიც მსოფლიო კულტურის და ისტორიის პრობლემატიკა მიღებული და განცდილი იქნა, როგორც ეროვნული ამოცანა; ეროვნული პრობლემატიკა „მერანის“ ავტორის მიერ გააზრებული იქნა მსოფლიო ცივილიზაციის ამოცანების დონეზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, შემოქმედებითი ამოცანების ასეთი მასშტაბები ისეთ ლიტერატურულ მოდელშია განხორციელებული, რომელშიც სრულყოფილად თავსდება გენი-ილერი პოეტის განსაცხად და გრძნობის ტრევილობა. ასეთი ამოცანების უნივერსალური მოდელი კი ფაუსტისააში ხორციელდება. ფაუსტის ბარათაშვილის ლირიკის თვალსაზრისით წარმოადგენს ადამიანის სრულყოფისა და ქვემარტების ძიებისაკენ ლტოლვის ზოგად ცნებას. იგი გულისხმობს იმ ლიტერატურულ მოდელს, რომელშიც ადამიანი მუდამ აქსოვდა თავის ფიქრს აჩხუბების წესის საიდუმლოებაზე. ამდენად, ის ფაუსტური კომპლექსიც, რომელსაც ბარათაშვილის ლირიკა აელვს, ცხადია, არ გულისხმობს კონკრეტულად რომელიმე ლიტერატურული სკოლისადმი მორჩილებას, გავლენის ნაყოფს. მეტიც; არ არის გარკვეული საერთოდ, იცნობდა თუ არა ბარათაშვილი ფაუსტური ლიტერატურის ძეგლებს. და როდესაც ილია ჭავჭავაძიდან დღემდე სულეაჩება ბარათაშვილის პოეზიის ფაუსტურ ფულისკვეთებაზე მსჯელობენ, მხედველობაშია ის განსაკუთრებულად თვითმყოფადი და განუმეორებელი ხასიათი, რომელსაც „მერანის“ ავტორის პოეზია ამ თვალსაზრისით ამკლავებს.

ბარათაშვილი არ არის ისეთი პოეტი, რომელსაც არსებობის საკითხზე გამზადებული პასუხები მოეპოვება. კაცობრიობის გამყიდვლებაში შექმნილი ასეთი პასუხების ნორმატიული ხასიეთი ვიდრე მეტი საიდუმლოებით ავსებს არსებობის წესს. ბარათაშვილის პოეტური გზნება ამ წესის საიდუმლოებათა ხილვისაგან არის მიმართული. ეს მომენტი ნათლად არის შენიშნული ვალაკტიონ ტაბიძის მიერ 1919 წელს დაწერილ ესეიში ბარათაშვილის შესახებ: „ბევრი მგოსანთაგანი, რომელიც კი არის ღირსი ამ საღვთო სახელის ტარებისა, სამწუხაროდ, ჩვეულებრივ იმით ემაყოფილებდა, რომ შექვეთ ლექსებში სინათლე, ფერები და მუსიკა. მაგრამ ძალიან ძვირად ღირიან მასში იმ საიდუმლოების წიქრებს, რომელიც ასე უხვად და დიფერენციული ბარათაშვილის ლექსებში. უფრო ბევრი დიდს სიმომენტით იკალათებს მეფისტოფელის კოქლ ფეხებთან, მაგრამ თვით მათში კი არ სუფევს ბოროტი სული წინამძღვრად მომხიბლი. მოიგონეთ სამაგიეროდ ის ბოროტი სული, რომელიც შეჭრილა ბარათაშვილის არსებობაში. ეს ისეთი ლექსია, რომ თვით დოქტორი ფაუსტი თავის საკანში, ძველებური წიგნებითა და აღქმიკური იარაღებით, მუდამ შეუყვარებს ბარათაშვილს, როგორც თავის სიყმაწვილს მეგობარს“<sup>1</sup>.

XIX საუკუნის ქართული კულტურის ისტორიაში ბარათაშვილი პირველი პოეტია, რომელმაც ადამიანის არსებობის საიდუმლოებათა წიქრმა ფაუსტური მსოფლგანცდის ფონზე გაშლა. თუ ფაუსტური მსოფლგანცდის უპირველეს პირობად ითვლება ბრძოლა ორ პროტაგონისტს შორის, როგორც ადამიანის სრულყოფილებისა და დანიშნულების დადგენის გზაზე აღორული ჭებირისა და მისი დაძლევის პრობლემა, მაშინ ბარათაშვილის შემოქმედება არის ღირსიკაში გაშლილი წმინდა ფაუსტური დრამის სრულყოფილი მედიტაცია<sup>2</sup>.

(მართლაც, ბარათაშვილი პირველი პოეტია, რომელმაც არსებობის ემპირიული საზღვრების მიღმა ლტოლვის გზაზე გააჩნია სატანის აჩრდილი. მაგრამ დემონიურთან შეხვედრა მან სატანისმის, როგორც ეთიკური კატეგორიის

მოსწიით, ადამიანის რაობის გაფართოვნება და მისი ამაღლების რწმენას დაქვემდებარა.

„ხმა იღუმალი“ (1836) ბარათაშვილის პოეზიის მთლიან სისტემაში არის პირველი ლექსი, რომლიდანაც სათავე ედება „პერანას“ ავტორის ფესტურ პლანს. პირველად სწორედ აქ იჩენს თავს ე. წ. ფაუსტური ხელშეკრულება ქვეყნად ადამიანის „წილობის“ შესახებ. ხელშეკრულება ხორციელდება საკუთარი ხმა იღუმალიან, რომლიდანაც შემდგომში იკვეთება „პერანას“ (1841) და „სული ბოროტის“ (1843) სატანის სახე. ეს მომენტი ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ შენიშნა. ეს იყო სწრაფი შეცნობილ იქნას არსებობის მთლიანი სტრათია, რომელშიც ისევე შედის „ეთილი (შდრ. „ანაგლისი ხარ მფარველი ჩემი“), როგორც „პოროტი“ (შდრ: „შმაკი მაცთერი ჩემი“). ეს მიზანსწრაფვა ნათლად გამოვლენილი ლექსებში: „ბუღბუღი ვარდზედ“ (1834), „შემოღამება მოაწმინდაზედ“ (1836), „ფიქრნი მტყერის პირს“ (1837) და „ნაბოლოვო“ (1838). ამ პოეტურ ძიებათა განვითარება შემდგომ გაივლის ქართული კაცის „სულის საღიანებელს“ — პოემას „ბუღი ქართლისა“ (1839) და შედეგში „ჩემი ლოცვა“ ბარათაშვილის წინაშე დგება ეთიკური სიღრმეების ახალი პარაბლმატიკა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფაუსტური კონფლიქტის საფუძველს ბარათაშვილი, როგორც წესი, ეროვნული მდგომარეობისა და მისი ამოცანების ფონზე გვაწოდებს. (ფაუსტური პრობლემა თვით საყინო ცნებების გააზრებაშიც ბარათაშვილის მსოფლგანცდაში წინა პლანზე ერის პერსონა დგება. ამ თვალსაზრისით ჩად ღირს თუნდაც „ფიქრნი მტყერის პირს“ (1837) ფინალი:

მაგრამ რადგანაც კაცი გვქვიან — შეიღინ  
სოფლისა,  
უნდა კიდევა მიედიოთ მას, გვესმას შობლისა.  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი გვედასა  
ეშმაგავოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა  
**აზრუნვოს.**

ეს რთული ლაბირინთები, რომელთა გავლის ვითიაც ბარათაშვილი ამ დებულებით გამსჭვალვის საფეხურს აღწევს, არსებითად ერას პრაქტიკული ცხოვრების ამოცანებითაა გაპირობებული. იგი უყავშირდება იმ შედეგს მტყურობას, რომლის ძალითაც სოფელს უნდა „გვესმას შობლისა“. ეს მომენტი კი ყველაზე ფართოდ ზრუნვის ფილოსოფიურ კატეგორიაში ხორციელდება. ქმადე ცნებით ამოაერებს ბარათაშვილი თავის პოეტურ მედიტაციას.

საქმე ისაა, რომ „სოფლისთვის ზრუნვა“ აქ უფრო ფართო კონცეპტუალური შინაარსის მქონე ცნებაა, ვიდრე ქვეყნად ადამიანის „წილობის“ კონსტრუქცია „ხმა იღუმალი“ ისე-

<sup>1</sup> გ. ტაბიძე, „ძვირფასი საფლავები“, ლიტ. საქართველო, 1968, № 4.

<sup>2</sup> ბარათაშვილის ლირიკის ცალკეული პასაჟები ჯერ კიდევ ა. ჭავჭავაძემ დაუკავშირა ფაუსტურ ტრადიციებს, რომ არაფერია ითქვას შემდგომი მკვლევარების შესახებ. მაგრამ ამ კრიოლში ბარათაშვილის ლექსები პირველად გააზრებულაა მ. კეცელაშვილს შრომაში „ფაუსტური პარადიგმა“, ტ. 1, გვ. 532-539. როგორც მოტევი, ფაუსტური პროტაგონისტის სახე მოცემულია აკაცი გაწერლის მოთხრობაში „სიკვდილი ბარათაშვილისა“.

ნი ერთმანეთს აესებენ, მაგრამ ზრუნვის კატეგორია ფარავს ან უფრო ზუსტად მოიკავს ფუნქციური „წილობის“ შინაარსს.

რას გულისხმობს „ზრუნვის“ ცნება და მისი შინაარსისადმი განსხვავებულ მიმართებათა კომპლექსში რა თვალსაზრისით იმსკვლელება თვით ბარათაშვილის პოეზია? ეს არის კიოხეკა, რომელიც ბარათაშვილის მთელი შემოქმედებაში პრობლემატურის კვანძს უკავშირდება.

„ზ რ უ ნ ვ ა“ (Зарота, Sorge) ფუნქციურ კომპლექსის საცენარო ცნებას წარმოადგენს. ამ ცნებისადმი ფუნქციური ან ქრისტიანული მისტიკაში, ასევე ეგზისტენციალიზმში მინიჭებულ შინაარსსადაც, იგი ჯერ კიდევ ანტიკურ სამედიკოში იყო გააზრებული.

ჩვენამდე მოღწეული გვიგინის იგავის მიხედვით ქალღმერთმა ზ რ უ ნ ვ ა მ ბერისაგან შექმნა ადამიანი და მას იუპიტერმა შთაბერა სული. მაგრამ ამის შემდეგ დიდი კამათი ატედა ამის შესახებ, თუ ვის ეთუენილებად უნდა ქვეყანა ეს ქმნილება. ქალღმერთი ზ რ უ ნ ვ ა და იუპიტერი ვერ შორიგდნენ. მათ შედეგადად სატერნი მოიწვიეს. სატერნი დაადგინა: ამ ქმნილების სკვდილის შემდეგ იუპიტერი ვალდებულია სული, რომელიც მან შთაბერა ადამიანს, დაუბრუნოს „დროს“, ხოლო ბეგრა—ქვეყანას. რადგანაც ამ არსების შექმნედი არის ქალღმერთი ზ რ უ ნ ვ ა, იგი უნდა განაგებდეს მას, ვიდრე ადამიანი ცოცხალია.

უფრო მოგვიანებით მას შეუხო სენეკა, რომელმაც აღნიშნა, რომ „სიკეთეს ადამიანში სრულყოფს ზრუნვა“. მაგრამ ზრუნვის ფუნქციური ან ეგზისტენციალური ინტერპეტაციამდე ეს ცნება ქრისტიანული მისტიკის კეთონილებად ჰქცა. იგი დაუკავშირდა პირველად შიშს (Uragst).

ეს კარგადაა ენობრივი ქართულ სამედიკოშიც. სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს: „ზ რ უ ნ ვ ა — შიში და ცემისა“. იგი იღებს ამ ცნების ქრისტიანული მისტიკის თვალსაზრისით გააზრებას და ეყრდნობა ი. დამასკელის „გარდაამოცემას“.

როგორც სქემას, ფორმალური თვალსაზრისით, ზრუნვის ქრისტიანულ მისტიკაში გააზრებას იღებს ეგზისტენციალიზმიც, მაგრამ მასში დებს ღირებულების განსხვავებულ შინაარსს. ზრუნვა აქ წარმოადგენს არა მხოლოდ ადამიანური მოღვაწეობის თვისებას, არამედ მთელი ყოფიერების საფუძველს, მის ზედროულ ბუნებას.

არსებობის თვისებას სიკვდილი წარმოადგენს. ამდენად, არსებობის ესა თუ ის ფორმა ვაკეპეულად არის შეზღუდული დროის რეკლამენ-

ტიით. ამიტომ არსებობას ახასიათებს მიმართება მომავალზე. (არსებობის რეტენენციალური შესაძლებლობების მომკვლელობის რეკლამენციალურ მისტიკაში განხორციელებაზე არის ზ რ უ ნ ვ ა. ამდენად, ადამიანური არსებობის მიმართულება სინამდვილეში თავის დამკვიდრებასაც, როგორც რომელიმე პირობა, ასევე წარმოადგენს ზ რ უ ნ ვ ა ს. იგი ადამიანური მოღვაწეობის მთელ სფეროს მოიცავს. მაგრამ ქრისტიანული მისტიკა, რომლის ტრადიციებსაც ბრწყინვალედ იცნობდა ქართული სასულიერო პოეზიის მკვლევარმა ბარათაშვილმა, ზრუნვის კატეგორიას საძეაროს მოდელის ზედროული იერარქიის თვალსაზრისით განიხილავდა. ამ მოდელის არსს ნეოპლატონური მისტიკა განმარტავდა, როგორც ზეცილად მიწამდე გავიშლ ქავეს, რომლითაც ადამიანი საუკუნო ნეტარების სამკვიდრებისაკენ უნდა ამოღებულყო. აქ ზრუნვა დაუკავშირდა მარადიული სასუფეველისათვის მოღვაწეობის შეგნებას. გვიხსენით ივანე შინჭხის (X) საინტერესო ძილისპირული „ამათ არს“, რომელიც ზრუნვის ცნების ქრისტიანული მისტიკის თვალსაზრისით გააზრებას იძლევა:

ჯერ არს ზრუნდა გულისმის-ყოფა და ზ რ უ ნ ვ ა ჯ ცოვრებისა საუკუნოსას.

ქველ ქართულ სასულიერო პოეზიაში ზრუნვის ცნების პარალელურად იხმარება აგრეთვე „ღუაწლი“.

ამკარა, რომ ზ რ უ ნ ვ ა, როგორც ადამიანური არსებობის თვისება, აქ მთლიანადაა განტვირთული მიწიერი ღირებულების დამკვიდრების ტენდენციისაგან და გადატანილია ზედროული იერარქიის სფეროში. სწორედ ზრუნვის ასეთი თვალთახედვით გააზრებას უკავშირდება memento mori-ის ეკლესიასტეში განვითარებული კონცეპცია.

თავის ლექსში ბარათაშვილმა ზრუნვის ცნება სწორედ სიკვდილის გარდუვალობისა და მისი შეგნების სფეროში შემოიტანა. ადამიანთა სიციცხლის აზრის კავშირი ზრუნვის შინაარსთან „შერანის“ ავტორმა უფრო ადრეც წარმოადგინა, ვიდრე იგი „სიციცხლისთვის ზრუნვას“ იღებს ლოზუნგის სახეს მისცემდა.

„საწყულის აღუესებლობა“, როგორც ადამიანისათვის „ისი ემართოს“ (შტრ. ფუნქციური „შეწერდი წამო!“) ამოცანის დაუმღველობას ბარათაშვილი ზრუნვის კომპლექსში განიხილავს. ადამიანის ყოფის ბარათაშვილი ხომ ასე იაზრებს:

მისი სიციცხლად: ზ რ უ ნ ვ ა, შრომა და ცდა  
კებული,  
მისი ფიქრით, თუ ვით უკეთ მან უმატრონოს  
თავის მამულსა, თვისთა შვილითა, რომ  
შემღგამსა დროს  
არ მისცეს წყევით თვის სახელი  
შთამომავლობას!

<sup>1</sup> ქართული „ზრუნვის“ ცნების ემიტოლოგიური საკითხისათვის იხ. მ. ანდრონიკაშვილი „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“, თბილისი, 1966, გვ. 324.

„ფიქრის მტკერის პირას“ ამ სტრიონებში ადამიანის სიცოცხლის არსებით მნიშვნელობად ცხადდება ზრუნვა („შრომა და ცდა ქებულ-ლო“ ზრუნვის ფორმებია). ზრუნვას ბარბაქაძე აქ უკავშირებს სწორედ მომავლის პერსპექტივას და მასში დებს ზნეობრივ და გროველ შინაარსს.

ბარბაქაძის აზრით კაცის კაცობა გამოიხატება მამულისა და შეიღობა პატრონობაში. „რომ შემდგომსა და“ ანუ მომავალში, „არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას“.

ეს არის ფაქტური კომპლექსის უდიდესი მონაპოვარი, ხოლო ზრუნვის ცნებაში ეროვნული და ზნეობრივი პლანის ასეთ მასშტაბებში აზიდა ფაქტის სრულად თავისებურ, ანუ ქართულ მოვლენას წარმოადგენს.

როგორც ვნახეთ, ამ ლექსში „მერანის“ ავტორი ორჯერ შეეხო ადამიანის არსებობის ზრუნვასთან დაკავშირების საკითხს. ორივეჯერ იგი მომავლის პრობლემას დღევანდელსა „ზრუნვა მომავალზე ეს არის ბედის ფაქტური გრძობა“ (შვეტლერი). მაგრამ ბარბაქაძის იხვევ, როგორც გოთეს ფაქტი, ზრუნვის ღირებულების შეგნებამდე არ მისულა უნებლურად და გულბრწყინლო რწმენის საფუძველზე. იგი არსებობის იდუმალბუნათა ნაბრალეში ძნელბედობის გამოვლის შედეგია. თავიდან იგი გოთეს ფაქტის მკვეწეაბათა მიზნობა, რადგანაც რომანტიზმში განვითარებული „უტოპიური უზრუნველობა“ (dolce far niente) პრინციპს ზრუნვა დღევანდელი პოზივის პრაქტიციზმით ღრუნის. ამ რომანტიკულ თვალსაზრისს გამოხატავდა გოთეს ფაქტი თავის მეორე მონოლოგში, ვიდრე იგი მივიღოდა დასკვნამდე, „დასაბამით რომ იყო საქმე“ და ამ დევიზით შეცვლიდა ითანეს სახარების „დასაბამით რომ იყო სიტყვას“.

შეიძლება ითქვას, რომ ამ პოზიციებზე მდგარი ფაქტი რომანტიკოსია და პირველი, რასაც ის ვერბის, ეს არის თვითონ ცხოვრება, რამელიც ზრუნვის ცნებაში ხორციელდება. აქ ქრ ფაქტის არ შეუგნია ზრუნვის აუცილებლობისა და მძიმე ტვირთის ვარდა, მისი უდიდესი კეთილმოყვარობის მომენტი. მაგრამ პირველი სტიმული, რომელიც გოთეს ტრავმის დასასრულში დებრესირებულ ფაქტის მდგომარეობიდან გამოიყვანს, აღმოჩნდება, რომ სხვა არაა იყო, თუ არა ზრუნვა. საგულისხმოა, რომ აქ ზრუნვას ფაქტი კი არ მიეღობის, არამედ იგი თავისთავად გლანდება მის წინაშე. ფაქტის სასახლეში ოთხი ჰადარა დედაკაცი გამოეცხადება: ნაკლებობა, გაჭირვება, დანაშაული და ზრუნვა. მათ შორის უკლებლზე მძიმეა ზრუნვა აღმოჩნდება. იგი თავს იცნობს ფაქტს, მაგრამ ფაქტი ჭიუტად უღობს მის უარყოფას:

ო, შეო ზრუნვა, მინც არ ვცნობ შენს მიერ ქალის, რამდენიც უნდა შემიტოო, ფრთხილად თუ

ამის პასუხად ზრუნვა სულის შებერებით აბრმავებს ფაქტს. ითქვას ზრუნვის ამ ძალის შეგნება იყო ფაქტისათვის საჭირო, რომ თვალბებით დაბნელებულ შინაგანი ზედვა განათობოდა. ფაქტი პოულობს არსებობის კუშმარტ არსს და ზრუნვის პათოსით შთაგონებული ახალ ენერგიით კიდებს ხელს დიდ საქმეს. ეს საქმე არსებობის ღირებულებათა დამკვიდრების ტენდენციითაა გარემოსილი და მიმართულია მომავლის პერსპექტივებისაკენ. გოთეს მხრავ, ეს იყო მთელი რომანტიზმის გამოწვევა.

ამაჩაა, რომ ბარბაქაძის პოეზიაში განმტკიცებული რწმენა „სოფლისთვის ზრუნვა-სა“, რომელიც მის შემოქმედებაში ფაქტური კომპლექსის ფონზე ვითარდება, საფუძველშივე ხსნის ყალბ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ბარბაქაძის სულიერ საწყაროში ცხებდნენ ხარკს რომანტიკული უზრუნველობისადმი. ეს იყო ქართული ლიტერატურის სპეცი-ალისტა მხრავ რომანტიზმის ხარისხებში ბარბაქაძის შემოქმედების აბრიორულად წარმოდგენით გამოწვეული მცდარი თვალსაზრისი.

„ფიქრის მტკერის პირას“ (1837) შემდეგ ბარბაქაძის პოეზიაში აღბეჭდილი თავისებურ უღელტეხილიდან („ნამოლეონ“ 1838, „ბედი ქართლისა“ 1839, „ჩემი ლოცვა“ 1840) ახალ შექმნილ ბრწყინდება მისი ფაქტური მისწრაფებების ფონი. იგი წარმოსახავს უღრესად რთული პოეტური გზის პანორამას. როგორც მოსალოდნელი იყო ამ შემოქმედებითა პანორამის კაბიტაული ფენები აგებულა იმ მასალოთ, რომელსაც ქართლის ბედი ეწოდება.

1842 წელს ბარბაქაძის ქმნის მინორული პათოსით გამსჭვალულ ლექსს „უბედი და მწირი“. ეს არის „ბედი ქართლისა“ ერთი ფრაზა. მის მეორე ფრთას „სახლავა მეფის ირაკლისა“ წარმოადგენს (1842). მათ შორის, როგორც ამ მძლავრი ფრთებით ცაში აზიდული სულის კვიელი, მოიხმის „მერანის“ (1842) ეჭო, ეს არის ბარბაქაძის მთელი პოეზიის კვირტსენება. მაგრამ ვიდრე „მერანის“ სულისკვეთებას, შევეხებოდეთ, გავეხერხოთ „სუბელი და მწირი“ პათოსი

1 ასეთი შეხედულება განვითარებულა დ. უხნაძის თავისთავად საინტერესო გამოკლევაში „ნ. ბარბაქაძის შემოქმედების განვითარება“. უსაქმურობას მან (ბარბაქაძის გ. გ.) უძვირფასესი მსხვერპლი შეწერა და ეს მსხვერპლი თვით მისი გული იყო, რომლის ყოველი ცემაჲ პასიური გრძობების შობა-არობის მეტს არაფერს ემსახურებოდა“ (იხ. კრებული ნ. ბარბაქაძის, თბილისი 1922 წ. გვ. 202).

„სუბმული და მწირი“ ბარათაშვილის ეროვნული და ფიზიკალი პოლიტიკური ხედვის ნაწარმოებია. მისი გარეგანი სიმბოლიკა უღარესად მარტივია. ღია ცას შეგვივლი სუბმულის ყვავილი თავისუფალი ბუნების წილიდან თბილ ოთახში გადაღრგავთ. იგი „მზრუნველი“ ხელის მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრობს...

მაგრამ ირკვევა, რომ ამ ზრუნვის მუხბედავად, სუბმულის დაუკარგავს მისთვის ნიშანდობლივი ეშხი და სურნელება. სუბმულისათვის მისი სხეულის დაბნელების მიზეზი ცხადზე ცხადია. ეს არის თავისუფლების დაკარგვა. აქ ტრაგიკულად ირბევა „ბედი ქართლისას“ ერთი ფრთა, ბარათაშვილი მთელი არსებით აქედანვეებს ეროვნული ჩაგვრისაღმი შურისგებლობას. უფრო მეტიც: მისთვის „შეკარა, რომ საქართველოს არა თუ სურს, არამედ შეუძლია მისი შემოპყველი პოლიტიკური საღტუების გარღვევა...

სხვათა შორის მწირის მეტყველებაში აქ მოისმის მეფე ერეკლეს ხმის თავისებური ექო „ბედი ქართლისადან“. აქ თითქოს ისე მეფისა და მსაჯულის აზრდილება გამომხმობლი.

„მეჩანის“ ავტორი ტრაგიკული სიტუაციას მიუხედავად მაინც ინარჩუნებს ოპტიმიზმს, იგი გარკვევით ვეუბნება:

ზამთრით ბუნება არა ჰკედება — სევდით იმოსვის.

ასეთი ზამთრის ზეწარი ბეგრყერ ფენია საქართველოს. ასეთი სევდითაც მრავალხსენებამისკველულა. მაგრამ მორიგი ასეთი ზამთარი არ უნდა იქცეს სიკვდილად. ეს არის ეროვნული აღორძინებისაკენ მიმწოდებელი „სუბმული და მწირი“ პათოსი.

„სუბმული და მწირი“ შექს ფენს „ბედი ქართლისას“ პოლიტიკურ იდეას, ორთვე ნაწარმოები წარმოსახავს არსებული ვითარების განსყას, ანალიზს, შეფასებას. მათი პათოსი კი ერთთა: ეროვნული თავისუფლების გარღვევალობა. ამ პათოსის სიმკვეთრეს ბარათაშვილი „მეჩანში“ (1842) განგვადგვივნებს, ხოლო მისი პრაქტიკულად განხორციელების პროგრამას ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ (1842). იგი ქართული პოლიტიკური აზრის ახალი „კერტი გონიერია“. მისი ავტორი კი — ერასმა და მისი ისტორიის გულთამბილაევი... მაგრამ მივყვეთ იმ თანამედვერობას, როგორცდაც ეს საქითებბი თვით ბარათაშვილის შემოქმედებაშია განლაგებულბი. მათი თვითმებური ვადაღბილება გარკვეულად არღვევს იმ მეაერ მხატვრულ ორგანიზაციას, რომელსაც ბარათაშვილის მთელი შემოქმედების სისტემა ქმნის.

როგორც ვხედავთ, ბარათაშვილის შემოქმედების ამ თავისებურ უღელტეხილზე, ექვსი წლის წინ „ხმა იღუმალში“ სატანასთან დაღებულბი ხელშეკრულების, როგორც ქვეყნად

„წილობის“ ფაუსტური პროგრამა, აქ თითქოს იწურება; ისიც გგვითარების კანონზომიერებისა ემორჩილება. ეს მომენტ „ველანზე“ აღრეილის ქვეყნადემ „შენიშნა, რომელსაც თქვა, რომ ბარათაშვილს ეს „ხმა იღუმალი, პირველში სუსტი, თანდათან გაუძლიერდა და ყურთა სმენა მისი სრულდ დამორჩილა, რაკი გიიგო, რომ იგი ხმა-მისი მფარველი ანგელოზი კი არ არის, არამედ „პროტოი სულია“, რომელსაც აუტრია წრფელი ზრახვანი და მოუყლა ყმა-წვილის ბრმა სარწმუნობა“ 1.

ამბრავად, დრო იწურება. ქვიშის საათის ზემო საართულიდან წერილ ყელში გამმჭრალი სილა უჯვ ქვემოთ საართულში გროვდება. აბლოვდება სატანასთან ანგარიშების წუთი. მაგრამ ბარათაშვილის დეუსტური ლტოლვის საწყაელი ისევე აღუვსებელია. მან ვერაფერი იპოვა ისეთი, რომ „ისი ექმაროს“, აბსოლუტი არ აღმოჩნდა.

სატანამ თითქოს შესარულა აღრე დაღებულ ხელშეკრულების ყველა პარობა, ახლა იგი თავისას მოიახოვს, ანუ როგორც თ. მანის „ღოჭტორ ფაუსტუსის“ ეშმაკი იტყვის, „მის სურთ სამართლიანობის და პატიოსნების“. სატანა გამოცხადდება.

იმ იერარქიის შემდგ, რომელიც ქვეყნად აღამიანის „წილობის“ საფეხებზეთი ამოიწურება, ბარათაშვილი წერს თავის გენიალურ ლექსს „მეჩანი“ (1842).

„ხმა იღუმალში“ დემონური კომპლექსის ფაუსტურ გმირთან დამოკიდებულების ხასიათი მომწვენებლიად მწვილობიანი იყა. ამკერად სხვა სურათი.

ბარათაშვილის სატანა არ არის პოპულარული მეფისტოფელის ტიპი. იგი მთლად არც ახალი დემონოლოგიური ლიტერატურის მეფისტოფელს მიავავს (პ. ვაღერი, თ. მანი). ახალი მეფისტოფელი თანამედროვე აღამიანის კრიზისული საწყისის მოღერინებელი სხევა, როგორც ნიღაბით, ისე არგუმენტაციით.

საქმე ისაა, რომ თვით სატანა ყოველთვის არ არის ფაუსტური სულის მქონე აღამიანის ტრაგიკულის მიზეზი. მის აღამიანის მძაბელები სულის, „საწყაულის იღუესებლობის“ დროს იხმობენ და ისიც ხელიდან არ უშვებს შემოხვევას. მაგრამ ბარათაშვილის სატანა მითლოგიის განსაკუთრებული დემონური სახეობაა. ის ხომ საყუთარი, ინციტაციული ცდილობს „ქუეთ ურწმუნო, გულით უნდო, სულით მსახერალი“ აღამიანის ხელში ჩაგდებას. ვაეიხსენოთ:

ვისი ხმა არის ეს საყვირველი?  
რად აქვს გულს ეს ზემი ნაღველი?  
(„ხმა იღუმალში“ 1836)

ან —

1 ი. ქვეყნადემ, თხზულებათა სრული კრებულბი, თბილისი, 1953, გვ. 213.

სულო ბორტო, ვინ მოვიხმო ჩემად  
წინამძღვრად,  
ჩემს ვაწმინდს და სიუცხლის შენ  
აღმამფოთრად?  
(„სულო ბორტო“ 1843).

ამ თვისებით ბარათაშვილის „დემონი“ შუა საუკუნეების ლეგენდებში გაიკოცლებული იმ ბორტო სულების ორეულია, რომლებიც მუქართა და მოსყიდვით ცდილობენ ადამიანის სულის დაფუძვას. საველისხმოა, რომ ბარათაშვილის დემონი ამ მხრივ, უფრო აღმოსავლური ტიპის სატანურ კომპლექსს წარმოასახავს. გაიხსენეთ ზორაოსტრის თავგანდასავალი, რომელსაც აზრდილივით სდევს აბრამანი. იგი არაჟის მიუხედავად თავისი სულის შეგვზურად.

აქ არ არის მოდერნიზებული, გონებაშეცვლილი ციწარისი, ფამილიარი მეფისტოფელის სახე. ბარათაშვილის დემონი მუქართა და ქოჯობეთური განსაძვლის შიშით ცდილობს მერანზე ამხედრებული ტიტანის დამორჩილებას. ამ თვისებითაც ბარათაშვილის „მერანი“ ფაუსტური სულის ექვლინსადაა.

როგორც ვიცით, სატანასთან მისი პირველი პაემანი „ხმა იღუმალში“ განხორციელდა. აქ მათი დიალოგის აზრი მხოლოდ მოსალოდნელი პრობლემატიკის მოხაზვით ამოიწურა. მას შემდეგ ანუ სულო საქამო დრომ. ბარათაშვილის შემოქმედებითი ხილვები და ინდივიდუალური ძალა იშლება იმ განსაკუთრებულ მტკვარის პირად შედგა, ხოლო მეორე მხრივ ტიტანურად იფეთქა ნაპოლეონის მასშტაბებში. შემდეგ მან ერთიანი შეწვევად იმის დადგინება და უცვლადებით განსხივანებული კემპარტიტის შექმნე ნათლად შეიძენა თავისი ერის, როგორც საქეთარი პერსონის, ტრავიკული მდგომარეობის სურათი...

ფაუსტური კომპლექსის განვითარებაში სატანა მხოლოდ რჩეული სულის სტრუქტურა, უსაზღვროების განსაზღვრით ატაცებული სულის შეგზურია. მანაც არ დააყოვნა, მაგრამ მათი შეხვედრა წმინდა შემეცნებითი ამოცანების განსაზღვრისათვის დამახასიათებელი მშვიდობა ან იტელექტუალობის ცდნეზე გამოკლენილი მელნარების ნაცვად ტრავიკული აგონიის ატმოსფეროში ხორციელდება.

ამჟერად ბარათაშვილის სატანა ყორანის ნიღბთ გამოცხადდა. მის გარეგნობას აქ არა აქვს მნიშვნელობა. „მერანის“ დაწერილად დახლოებით ასი წლის შემდეგ აღოქტორ ფაუსტუსის\* სატანა აქი ეუბნება გოცებულ აღრიან ლევერკუნს: „ჩემი გარეგნობა არის წმინდა შემთხვევითობა: უფრო ზუსტად, იგი დამოკიდებულია გარემოებაზე, ხოლო მე კი მასზე არც ვფიქრობ“.

მისი გარეგნობა პირობითია. გოცეთს „ფა-

უსტუსი“ ფაუსტთან პირველი შეხვედრის დროს ლემელის უკნიდან გაღმეფრად უმამაი (მეფისტოფელი) მოხეტიალე სქოლასტიკოსის სახით ცხადდება. შემდეგ იგი თვით ფაუსტის ნიღბით ესაუბრება ფაუსტთან რჩევისათვის მისულ მოწოდეს. უფრო მეტიც: მეფისტოფელის ზოგჯერ თვით ქაჯებაც ვერა ცნობენ. განრისხებული მეფისტოფელის განმარტების შემდეგ, თუ რატომაც იგი შენიღბულია, გოცებული ქაჯი მაინც გაიძახის: „გრძნობა-გონება ლამის დავეჯრგო, ნუთუ აქ ვხვდევ უშეაის სახეს“. შემდეგაც იგი მრავალჯერ იცვლის გარეგნობას; პროფილით ემსგავსება ფორკადეს და სხვა... ასევე არა აქვს მის გარეგნულ სახეს მნიშვნელობა ბარათაშვილის „მერანში“.

როგორც ცნობილია, ყორანის ზოგადი მხატვრული სიმბოლიკა, როგორც უაწყობითი სუფისისა, ბორტების სხედასხვა ფორმის ალგორითის უკავშირდება. „მერანში“ კი ყორანი არ არის ბორტების ისეთი ფორმის განმსახიერებელი, როგორადაც ის მხოლოდ სიკვდილის ალგორითის სახით წარმოგვიდგება, მთავალითაღ, ედგარ პოს „ყორანში“. ბარათაშვილს ლექსში ყორანი უფრო ზოგადი, ნუგაციის უფრო ფართო ალგორითის გულისხმობს, ვიდრე მხოლოდ სიკვდილის ფაქტს.)

გოცეთს „ფაუსტში“ მეფისტოფელის სახის ატრიბუტად ორი ყორანია მიჩნეული. მათ გარეშე მეფისტოფელის მოდერნული ყადის ნიღბის აღქმების სამხარეულოში ხომ თვით ქაჯებიც ვერ იცნობენ.

ამ თვალსაზრისით ბარათაშვილის ლექსში განსაზღვრებული ყორანის სახე სწორედ მთლიან, ზოგად სატანურ კომპლექსს გულისხმობს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც ილია ჭავჭავაძემ ბარათაშვილის შემოქმედება და ეკრძალ „მერანი“ ფაუსტურ წრეში მოიხსენია, მის შესახებ ყველაზე ფუნდამენტური თვალსაზრისი მ. გოგობერიძემ განავითარა. მან სწორად მიუთითა, რომ „მხედარი ბარათაშვილის „მერანის“ არის ფაუსტური ტიპის ტრანს და არა პაპლეტის ინდივიდუალიზმი“. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მ. გოგობერიძემ ყურადღება ნაწარმოების მედიტაციულ გაღიჯანა და მიუხედავად მისი სტრუქტურისადმი ინტერესისა, პოლომდე ის მაინც გაუხსნელი დარჩა.

საქმე იმაშია, რომ მხედარი „მერანისა“ ფაუსტური ტიპის ტრანსია, არა მარტო იმ მედიტაციული, რომელიც ლექსიდან გამომდინარეობს, არამედ ფაუსტური კონფლიქტის სახეობრივი გააზრებითაც.

მასში გამოკვეთილია ფაუსტური კონფლიქტის სიოცრად დამახული და უნიკალური პოეტური ასპექტი. ეს არის ფაუსტური ტიტანისა

\* T. Mann, Доктор Фаустус, გვ. 297.

\* მ. გოგობერიძე, პრელუდები, გვ. 236.



და მისდამი დაპირისპირებული სატანური კომპლექსის „შინაგანი დიალოგი“.

ეს თავისებური ეპიზოდი ლიტერატურის ტრადიციებში ცნობილია როგორც ფართო-პლანაანი ეპოსის ტყვედობაში დასაძლევია მხატვრულ-ფილოსოფიური პრობლემა.

ბარათაშვილის „მერანში“ იგი ლირიკულ ლექსის ფორმაშია გახსნილი. ამ ლირიკულ მონოლოგში სტენოვარდება ფაქტურის მხედრისა და მეფისტოფელის შინაგანი დიალოგი. ეს დიალოგი ჰილიოს განახლებულ სიმამფრისა და დაძაბულობის მწვერვალს აღწევს...

„დილოგი თუი მოპირისპირე მხარის არსე-ჭობას ითვალსწინებს... „მერანი“ კი იწყება დიალოგის იმ კულმინაციური მომენტიდან, როდესაც „ხმა იღუმლის“ მშვიდი, ყოველ შემთხვევაში, მღელვარების აკადემიური ტონის ნაცვლად, საქმე მისულია ყოფნა არ ყოფნის დილემამდე... მაგრამ „ყოფნა არ ყოფნის“ სამ-ლურტობა საკითხის ფაქტა არ წარმოადგენს ბარათაშვილის პრობლემას... იგა ისეთი ვრის შევალა, სადაც ეს შეკითხვა ერთგვარი სხე-ულის მიმართაა დასმული და ამდენად, იგი ჭერ კიდევ „ფიქრნი მტყვრის პირას“ ფაქს-ტურია ზარუნების იდეაშია გადაწყვეტილი. ბარათაშვილის ალტერნატივაა არა „ყოფნა არ ყოფნის“ სამლურტობი საკითხი, არამედ სატანი-სადმი ადამიანის ფაქტურის სულის მორჩილე-ბა-არმორჩილებს პრობლემა.

„მერანის“ მხედარს სიყვდილის არ ეშინია. ამის შესახებ იგი ვარკვევით გამოხატავს თავის თეატალურისს. მაგრამ საშიშია იმ ცოტუნების გზა და ფინტასტური ზნეობაბივი და ფინიკური დაბრკოლების დატყვა, რომელსაც მის წინა-შე ყორანი (მეფისტოფელი) აღმართავს...

როგორც აღინიშნა, ბარათაშვილის მხედრის მონოლოგში თავისებური შინაგანი დიალოგი სტენოვარდება, მაგრამ უშუალოდ მეფისტოფელის ხმა ჩვენ არ გვესმის... ჩვენს სმენამდე მისი მეტყველების ტონი აღწევს მხოლოდ, როგორც მხედრის განწირული სულიდან ამომსქდარი ექო... ეს არის რეაქცია, ყორანის (მეფისტოფელის) შექარაზე, ანუ მისი თვალსაზრისისადმი.

ამრიგად, „მერანში“ მხედრის პათოსი ვლინ-დება, როგორც დიალოგში აღძრულ საკითხე-ზე გაცემული პასუხი, როგორც თავისებური რეაქცია.

ბარათაშვილი ლექსს იწყებს იმ მომენტიდან, როდესაც მხედრის ფაქტური სულისა და მე-ფისტოფელის კონტაქტი უკიდურესად ურთი-ერთგამზიდავია აღმოჩნდა. ესმაკი ახლა ცოთ-ნებისა და ლოგიკური არკუმენტიაციის ნაცვლად შექარაზეა გადასული.

„მერანის“ პირველი სტრიქონებიდანვე მკვი-ვარებს სატანის ქსელიდან მხედრის ბრძოლით თავის დაღწევის გრწნობა:

„მირბის, მიმადრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი, უკან მომხაზვის თვალებდითა შენი ყორანის გაასწი, მერანო, შენს ჭენებას არ ატყვს სამძვარი,

და ნიავს მივე ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი! გასკვეთე ჭარი, გააბე წყალი, ვარდათარე კლდენი და ღრენი, გასწი, გაურცხლე და შემომოკლე მოუთმენელსა სავალი დღენი! ნუ შეეფარე, ჩემო მჭრინავო, ნუცა სიძებეს, ნუცა ავდარსა;

ნუ შემობრალებ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!

საქმე ისაა, რომ ამ საფეხურზე ადამიანის ჭკვეუ-ნად „წილობის“ პათოსი ბარათაშვილის პო-ეტურ სისტემაში „მერანში“ განსოვადებულ-იგი ადამიანის სულიერი ცხოვრების რთული მამოქცევათაა დადარული. შემაყამებელ საფე-ხურზე კი ერთიან ჭავლად კონცენტრირებული სხვადასხვა ფენა ამოხეიქილია როგორც ფაქ-ტური უსასრულობისაყენ გატყორცნილი და-ოკებელი ღტორღის გამოხატულება...

ამ ლტოლვის ენერჯია პროპორციულია იმ გზის სიმამფრისა, რომელიც ბარათაშვილის ფა-ქტურმა სულმა თავისი პირველი ძიებებიდან „მერანის“ აგონიაზე გაიარა. „მერანში“, თით-ქმის ველურიდან ამომსქდარი ლავის მსგავსად, ამოტყორცნილია ადამიანის მისწრაფებებისა და სულიერი ცხოვრების ის ღრმა შრეები, რომ-ლებიც მისი ჭკვეუნად „წილობის“ შინაარსს გასაზღვრავდნენ.

სიტომამა, რომ წინააღმდეგობის პირველი წრის დაძლევისთანავე დაბრკოლება, რომელსაც ყო-რანი-მეფისტოფელი ბარათაშვილის მხედრის წინაშე აღმართავს, ებრძა ადამიანის „სუ-ლიერი ცხოვრების უფაქტის სიმებს. სი-ტომამა, რომ „მერანში“ შორეულ სამრეკლო-დან ატეხილი ზარების ხმასავით ერთმანად მთ-ისმის ყველა ის ინტონაცია, რომლებიც აღრე ბარათაშვილის ცალკეული ლექსების მულოდ-ურობისა წარმართავდნენ. აქ უეცრად იღვებს ბარათაშვილის პირველსავე ლექსში გაქვლავ-ბული შექმენების „მნელობის“ განცდა; ამ მნელობის ატროსფეროში ამოტეტივდება უსას-რული კის თაღისაყენ მიპერობილი „შემოღა-მების“ პათოსი. ამ აგონიაში ამოიზრდება ბა-რათაშვილის პოეზიის ერთობელ თუგვალსა-ვალში განმტყიცებული სატრფოს სახე, მეგობ-რებისა და ნათესაუების ინტიმი. მაგრამ უკე-ლას მათ ეერთიანენს ერთი ცნება. ეს არის მამული. მასში თავისებურად ფეოქავს „ბედი ჭართლისასა“ და „სუბმელის“ ნერვი.

რია, მოეშორდე ჩემსა მამულსა, მოვალდე სწორთა და მეგობარსა; ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა, და ჩემსა სატრფოს ტემბლომობარსა.

სად დამიღამდეს, იქ გამოთენდეს, იქ იყოს ჩემი  
 შიშა სამშობლო,  
 მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო  
 გულისა მე საიდუმლო!  
 კენესა გულისა, ტრფობისა ნაშთი, მივეცე  
 ზღვის ღელვას  
 და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გივეურსა  
 ლტოლვას!  
 გასაწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს  
 სამძღვარი,

და ნიავს მივეც ფიტრნი ჩემი, შავად მღელვარისი  
 იმ დაბრკოლებათა ხასიათს, რომელიც მხედ  
 რის წინაშეა გამლილი, აქ სწორედ ყორანა  
 განსაზღვრავს. მერანის ამ პირველ სტროფში  
 განანის მეჭურა ფიზიკური დაბრკოლების  
 ელემენტარული წინააღმდეგობის შექმნაში გა-  
 მოვლინდა, მაგრამ როდესაც ნათელი ხდება,  
 რომ მერანზე ამხედრებული ფაუსტური ტიტა-  
 ნი თავგანწირული ცდილობს მისგან თავის  
 დაღწევას, სატანა ზრდის დაბრკოლების ხასია-  
 თს. ახლა იგი მხედრის ინტიმურ სამყაროს,  
 სამშობლოს, სატრფოს, მეგობართა დაქარგვის  
 არგუმენტს მიმართავს. მაგრამ მხედრის ტიტა-  
 ნური სული შინც დაუმორჩილებელია.

და ამ დროს „მერანის“ ტიტანური სულია-  
 კეთებთი გამსჭვალული საბრძოლო ენის იკ-  
 ვეთება ერთი საოცარი შტრიხით. იგი აქ ეღიან-  
 დება, როგორც ეროვნული ყოფისა და მისი  
 ტრაგიკული ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბე-  
 ბული ერის ფსიქოლოგიური აქცენტი. ეს არის  
 „ბრძოლის ესთეტიკა“; თუთ ბრძოლის ტრაგი-  
 კული პროცესის განვლვა ესთეტიკურის სი-  
 ღამაზე... იგი აქ ეღიანდება, როგორც მუდ-  
 მივი ბრძოლების წინაშე მდგომი ერის ფსიქო-  
 ლოგიური გესტისა, ეს არის სულიერი მდგო-  
 მარობის ხასიათი.

კენესა გულისა, ტრფობისა ნაშთი, მივეცე  
 ზღვის ღელვას,  
 და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გივეურსა  
 ლტოლვას!

ეს არის დაუოყებელი ფაუსტური ლტოლვის  
 დონეზე აზიდული იგივე ფსიქოლოგიური ფე-  
 ნა, რომელსაც აეთანდილი, როგორც ყველაზე  
 მძაწე დაბრკოლებებს ფორმას სიმსუბუქის სფე-  
 როსთან განხვევებით წარმოვიდგენს. გაიხსნეთ  
 მისი:

მე იგი ვარ, ვინ სთველსა არ ამოკვრეფ  
 კატრად ბერად,  
 ვის სიყვდილი მოყვრისათვის თამაშად და  
 მიანს მღერად (786),

ან ქაჯეთის ციხის ფანტასტიური დაბრკოლების  
 აღქმა:

იგი მზე ქაჯთა მეფესა ჰყავს, ქაჯეთის  
 პატომარია.  
 მუნ მისელა მიანს თამაშად, თემცა გზა  
 საომარია (1320).

[ ეს არის ბრძოლის ეროვნული უნარობა და  
 სულიერი ცხოვრების თავისებური ექსტე. იგი  
 სულიერი ცხოვრების მყარი ფუნქციონირება ამო-  
 ზიდული. რუსთაველსა და ბარათაშვილს შო-  
 რის არსებულ დროის ინტერვალი კი ღირე-  
 ბულების მეტი შარავანდელით მოსავს ამ პა-  
 თოსს.

მეტად უკვე ჩვენს დროში, ამ პათოსის გა-  
 ელვება ვალაქტიონ ტაბიძის სულიერ მიმოქ-  
 ევებში ნათლად მიგვიჩვენებს მისი, როგორც  
 ესთეტიკობის ხარისხში განცდილი ნორმის  
 ხასიათზე.

ვალაქტიონის ლირიკულ პასაჟებში ივეთი  
 „ბრძოლის მისია“. ერთ ლექსში კი თავისი წი-  
 ნაბრების შესახებ იგი ვაოცებულობით მოგვიმარ-  
 თავს: „ომი მიანდათ ლხინადაო“. შედეგად კი  
 „ფეხურა“; რომელიც აგრძელებს „მერანის“  
 პათოსს, კოსმიური ხილვების დრამატიზმს გა-  
 ვალაქტიონი ასეთი ფორმით გვაწოდებს:

ღე, თამაშის თუ ბრძოლის ვიყო კერით  
 ვართული,

იყოს მზეთა ორგია და მავთა მოვარიათა,  
 ვიყო ამ ღრინცელში მარად ხელაღმართული,  
 ღანდი არაქვეყნიერ დარდით გადამწვარისა.

ამრიგად, „მერანი“ ერის ისტორიის ვარკვე-  
 ულ საფეხურზე მთელი საქართველოა ის-  
 ტორიის ამ საფეხურის ატანა მსოფლიო ცივი-  
 ლიზაციის პრობლემატიკის დონეზე კი ქართუ-  
 ლი კულტურის თავისებური ხილია თავის წარ-  
 სულთან და მისი დროის კულტურულ მსოფ-  
 ლოსთან...

ჩვენ ვიცით, რომ ფაუსტური ხელშეკრულე-  
 ბის პირობაში დროის რეგულმენტი ფეხური-  
 რებს. ეს არის ტრადიციული ქვიშის საათი,  
 ბალზახთან, მავალითად, ეს არის შაგრანის ტყა-  
 ვი: ეს მავთა მოქმედობის ვარკვეულ დროით ინ-  
 ტერვალს გულისხმობს. მის შემდეგ კი მოდის  
 სიყვდილი. სიცოცხლის საათი ჩერდება.

ბარათაშვილის მხედრის წინაშე, როგორც  
 უკვე აღინიშნა, არა დგას სიყვდილის სამიშ-  
 როება. სამიშია არა სიყვდილი, არამედ სიყვდი-  
 ლის მექანიზმ სტანისადმი მორჩილება. ამ სა-

შიშროებასაც იგი ახალი ენერგიით ძღვეს:  
 ნუ დაეშარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაშარხო  
 საფლავებს შორის,  
 ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნულა  
 დამეცეს ცრემლი მწუხარისა, —  
 შავი ყორანი გამითხრის საფლავს მღელვითა  
 შორის ტიალის მინდვრისა,  
 და ქარიშხალი ძელთა შეენილთა, ზარით,  
 ღრილით მიწას მამაყრისი!  
 სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა ოხერსა,  
 დამეცემიან ციურნი ცვარნი!  
 ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად,  
 მივალალებუნ სეანი მიყვარნი!

გაწი, გაფრინდი, ჩემო მეჩანო, გარდამატარე  
ბედის სამძღვარი,  
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს  
შენი მხედარი!

ბარათშვილის შემოქმედების მკვლევართაგან ყველაზე სწორად მ. გოგიბერიძემ მიუთითა, რომ „მეჩანის“ თავისებურ კონტრაპუნქტში კვანძის გახსნა ზემოაღნიშნულ სტრიქონებში განხორციელდა. მანვე აღნიშნა, რომ აქ „წინააღმდეგობა იშვება, როგორც მამობრავებელი ძალა და სტიქიონი გამარჯვებისა“<sup>1</sup>. გადაწყვეტილება, რომ „თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი“ — უკვე რწმენა-შივე ახდენს ძალთა თანაფარდობის შეფასებას, ხოლო სიყვდილის წინაშე შენს საფუძველშივე ხსნის.

დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხები!  
ვერ შემამინოს მისმა ბასრმა ჰოსისხლ მტერი!  
გაწი, მეჩანო, შენს ჭენებას არ აჭებს  
სამძღვარი,

და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარა!

ქვეყნად ადამიანის „წილობის“ ფაუსტური კომპლექსი აქ იღებს უარესად მნიშვნელოვან გააზრებას. ცხოვრების წვდომისა და მის აღწერა-მართა შეცნობის გზა, როგორც პროცესი, თავისთავად უფრო მეტად ვიდრე ცალკეულ მიგნებათა სიტყვა. სატანასთან ფაუსტის ხელშეკრულებაში კი გათვალისწინებული არ ყოფილა თვით ადამიანის მამიებელი გონების ის თვისება, რომელიც უსასრულობისაკენ მარადიულად ღრობის დროს თვით შემეცნების, როგორც თავისებური ვენების დაუცხრობლობაში ვლინდება. იგი იქცევა ისეთ ძალად, რომელიც ადამიანის ქვეყნად არსებობას განსაკუთრებულ შინაარსს ანიჭებს. მის ნამდვილ ძალაში ბარათშვილის მხედარი სატანასთან კვიდილის დროს დარწმუნდა. ამ ბრძოლის მნიშვნელობა კი სათნოებისა და სიყვითის ამ ხასიათში ვლინდება, რომელიც კაცობრიობისა და ეროვნული პროგრესის გზას წარმართავს. ეს იმ პრინციპის უკუგდება, რომელიც ლექსში „ფიქრნი მტერის პირას“, „სოფლისათვის ზრუნვის“ იდეალში აისახა.

„მეჩანის“ მხედარი, მონტენის სიტყვების პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, არის ბრძენი, რომელმაც ისწავლა თუ როგორ უნდა სიკვდილო იგი „სოფლისათვის ზრუნვის“ იდეალში ხორციელდებოდა.

ცუდად ხომ მაინც არა ჩივილის ეს განწირულის  
სულისკვეთება!  
და გზა უვალი, შენგან თელილი, მეჩანო ჩემო,  
მაინც დარჩება,  
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე  
გზისა გაუადვილდეს,

<sup>1</sup> მ. გოგიბერიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 226.

და შეუბოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბრძენის  
წინ გამოქროლდეს!

ამრიგად, სატანა მორჩილებს ნაცვალს მასა  
რათაშვილის მხედარში წააწყდა ფანტასტიკურ  
წინააღმდეგობას...

ადამიანის ღრობა შეუცნობი, ანუ როგორც ბარათშვილის მხედარი იტყვის „გზა უვალის“ დაუფლებლისაკენ მისდამი დაუმორჩილებლობის რწმენით მთავრდება... მთავრდება სწორედ რწმენით და ეს არის ყველაზე დიდი და არსებითი გამარჯვება, რადგან ფაუსტური ბრძოლების საფუძველს, მის არსს შეადგენს არა პროტაგონისტის მოხსნა, არამედ მისდამი მორჩილების ტრაგიკული განცდა...

წინააღმდეგობის ფაქტი ფაუსტური კონფლიქტის, ისევე, როგორც ყოველგვარი კონფლიქტის, მუდმივი პარობაა. ასე რომ არ იყოს, ყოველი გამარჯვების იქით გამორჩელობა ის შემამართებელი სიცარელე, რომლის ტრაგიკულ მხილველადაც, ჩვეულებრივ მიქლანჯელოს „გამარჯვებულს“ ასახელებენ. ამიტომ, ბარათშვილის აზრითაც, მებრძოლ ტიტანს „თვით სიყვდილიც... უებროდ აღმოგვიჩინებინ“. ისეთი გამარჯვება კი, რომლის შიშველიადაც აღარ ჩანს ახალი დამრეკლებს მთავრებისუბი, არც არსებობს... ბუნების პარამონიას მუდმივი ბრძოლის პრინციპი განსაზღვრავს...

ბარათშვილიც ბრწყინვალედ გრძობს სამკვაროს კანონზომიერების ამ პრინციპს, მაგრამ ეს პრინციპი მისთვის კიდევ უფრო არსებითი ხდება, როგორც ეროვნული სხეულის გადარჩენის პარობა. „მეჩანის“ ფინალი სწორედ იმ ტენდენციისაკენ სწრაფვას გამოხატავს... სხვათა შორის თომას მანის „ღოქტორ ფაუსტუსში“ სატანა აქი ეუბნება ლევერკიუსს, რომ ეკვი არც უნდა შეეპაროს იმას, რომ ის, მდიდსტოფელი მას არ მოატყუებს და შეასრულებს, როგორც დღეს იტყვიან, ნაკისრ ვალდებულებებს. მაგრამ მას ეკვი ეპარება, რომ ვაითუ თავად ადამიანმა არ შეასრულოს დანაპირები და იფინებს ხალხურ ანდაბას: „მოტყუებული ყოველთვის ეშმაკიაო“.

თ. მანის „ღოქტორ ფაუსტუსში“ გვირის კვიდილო თავის დემონთან სატანის გამარჯვებით მთავრდება. დემონის ფრთებზე აჯანლი გერმანიის თეოთონ იფერფლება კაცობრიობის ტრაგიდიის აღწე.

გავიხსენოთ მისი ფინალი: „ციებ-ცხელები“ — ვან გავარტყრებული ლოყებით, გერმანია, თავისი შემსუსტებული გამარჯვებებით მოვრალი, უკვე ცდილობდა მხოფლიოს დაუფლებას იქ ერთადერთ ზელშეკრულებას ძალით, რომლის ერთფულად დარჩენა მას უნდოდა და რომელსაც საკუთარი სისხლით მოაწერა ხელი. დღეს დემონებისაგან შევიწროვებულა, ცალ ფაულზე ხელაფარებულა, ხოლო მეორეთი სისოწარყვეთის უძირო ნაბრალს მიჩერებულა, იგი იძი-

რება ფერწერ ღრმად და ღრმად. მალე მიღწევს ის უფსკრულის ფსკერს? მალე გამოაბწყინებს ექანსეწელი სასოწარკვეთის უკუნეთოდ იმედის სხივი და რწმენის საწინააღმდეგო მოხდებ-ბა სასწაულად? მიტოვებული აღმთაანი ლოცუ-სათვის აღაპყრობს ხელებს: ღმერთო, შეიწყალე ებედურად სული ჩემი მომისა და ჩემი სამ-შობლისა!

„მერანში“ კი ერის ისტორიული გზის დრამა ვარდობდა, როგორც არსებობის ღირებუ-ლებათა დამკვიდრებისათვის მიღებული დევილი. მასში არა ჩანს გამარჯვებით ტუბობის გრძო-ბა. თუ გოეთეს ფაუსტის ფინალი ფაუსტის გამარჯვების აკომპანიმენტის ფონით მთავრდებ-და, დაატოვებთ 150 წლის შემდეგ თ. ში-ნის დამტკირ „ფაუსტის“ დამარცხების სა-სოწარკვეთა უღევს საფუძვლად. „მერანში“ კი მუდმივი ბრძოლის იდეაა მიღებული. იგი მთავრდება ისე, როგორც დაწყდა.

მირბის, მიმაფრენს უგზოუკლოდ ჩემი მერანი, უკან მომხავეის თვალბედითი შავი ყორანი! გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი და ნიავს მივე ფიქრი ჩემი, შავად მღელვარის!

თომას შინის „ფაუსტის“ მთხრობელმა, სულ ცოტა, მოგვიანებით აღაპყრო ხელი ზე-სიყვინ. ბარათაშვილის ფაუსტური სულის მხედარმა კი თავისი ძიებებს შუა გზაზევე და-ადგინა ზნეობრივი ინსტანციის რაობა და „ჩემს ლოცვაში“ ღმერთის სანქცია თხოვა მოქმედების თავისუფლებისათვის. აქ იგი რო-მანტიზმის ანარქისტული მეამბოხის ტაქსაც გაემაჩნა, რომელიც აბსოლუტს მხოლოდ თავ-ის თავში ხედავს და განმარტობით რჩება საკეთარ მესთან, „ჩემი ლოცვის“ პათოსში უშუალოდ ღმერთის პირისპირ დგომავ განც-დილი. და მაინც, ქვეყნად „წილობის“ ფაუს-ტურ გზაზე მის ქვეყანას უფსკრულის ხახასთან დაუსრულებელი სისხლის ნიხებაც ხვდა წილად.

ქართველი მხედარი კი არა თუ არ გაქცე-ვია ამ დაუსრულებელ დედულ, არამედ ბრძო-ლასი პოულობს არსებობის აზრს. ამ ბრძოლას დასაბუთელი არ უჩანს. ეს არის ქემმარტიტი არ-სებობის თვისება. ეს არის „მერანის“ ფაუს-ტური და ეროვნული მედიტაცია...

„მერანის“ დინამიკა ქართველი ხალხის შეგ-ნებაში სწორედ ასეთ პრიზმაში გადატყდა. ქართველმა ხალხმა „მერანში“, როგორც სარ-ტოში დაინახა თავისი ზღვისა და ისტორიის სა-ხე. ჩვენმა ქვეყანამ „მერანი“ მიიღო, როგორც თავისი მოღვმის ფანტასტიური ბრძოლისუ-ნარიანობის გამოხატულება. მართალია, მისი ხვედრი იყო ტრაგიკული, მაგრამ რამდენადაც მისი ღმერთი ამძაფრებდა თავის ბოროტების ქსელებს, იმდენადვე მძაფრდებოდა ერის საბრ-

ძოლთა ერი და მისი „ბრძოლის ესთეტიკა“. ლექსში „ზმანება“ (1901 წ.) ვაჟა-ფშაველამ შეუპოვარ წინაპართა აზრლიცხის ზღვრისაგან შეარჩუნებული, რომლებიც „ბალო“ თაღვრისა-გან მიღებული ბრძოლის ესთაფეტაში ვერ გრძობენ საჭირო შემართებას, ხედავს ბარათა-შვილის მერანს.

თავის უაღრესად საინტერესო და რატომ-ღაც მეღვინეობაგან მიტოვებულ წიგნში «Краткий культурно-исторический очерк Грузии» (1906), ნიკო შარი „მერანს“ განიხი-ლავდა როგორც კატასტროფის წინაშე მდგომარე-რის მონაღოლს.

მერანისაგან თეილი ამ გზის მეშვეილდე-ობას, როგორც ეროვნულ პათოსს განიცდიდა ბარათაშვილისა და ჩვენს დროის დიდი სულიერი მეშვეილდე ვალკიონ ტაბიძე. ამ პათოსს ფა-შობატავს მისი „ეფემერა“, ხოლო „საუბარში ლირიკის შესახებ“ უშუალო მიმოთხება „მერა-ნის“ ფაუსტური მხედრის ეროვნულ მხსიაზე:

„იკარებოდა ხალხის ბედით ბარათაშვილი იმ ხალხის, რომელს თვალბედითი სდევდა ყორანი“.

„მერანში“ თითქოს გადაწყდა სატანასთან კონფლიქტის საკითხი, არი საწყისის აზრთა დეული მოცემულ საფეხურზე სატანის მარ-ცხობი დამთავრდა. იგი გამოიხატა მისდამი და-უმორჩილებლობის იდეაში. სიცოცხლის აზრო-სა და სიკეთის დამამკვიდრებელმა პათოსმა სძლია ყველა ის ჯაჯობეთური ტანჯვა, რაც მას სატანის რისხვამ დაატეხა თავს. მაგრამ ფაუს-ტურმა სულმა არ იცის შეჩერების ხანგრძლი-ვობა. მიღწეული და განცილია მწვერვალი ახა-ლი სურვეებისაგან იზიდავს მამიდელი გონე-ბის მზერას და ყოველი ახალი ხილვისა და ახლის დამკვიდრების პროცესს თან ახლავს ეშვების უძველესი მოთხოვნების ახალი განმე-ორება. ამრიგად, დედლის განახლება ვარდევა-ლია.

მაგრამ ვიდრე ეს დეული შედგებოდეს, ბა-რათაშვილი ისევ თავისი ერის ისტორიულ ამო-ცანებში ღრმავდება. „მერანის“ ავტორი, რო-გორც ენახეთ, ფაუსტური პრობლემის ყოველი ახალი ვარიაციისა საფუძველს ეროვნული მდგომარეობის ატმოსფეროში ვეჯენობს. იგი ერის ისტორიული მდგომარეობისა და პერსპექ-ტივის რაობაში ადვენს პიროვნული ამოცანე-ბის ხასიათს. ამ დედლის ინტიმურ საბაზსაც ბა-რათაშვილი სწორედ ერის ისტორიული მდგო-მარეობის სიღრმედან ამოხედავს.

ეროვნული თვითშემეცნებისა და თვითდა-გენის ამ საფეხურზე „მერანის“ შემდეგ ბა-რათაშვილი ქმნის ქართული პოლიტიკური აზ-რის უაღრესად საყურადღებო დოკუმენტს „საფლავი მეცხის არაკლისა“ (1842).

ეს არის მთელი მისი შემოქმედებითი ამოცა-ნების არსებით საკითხებთან დაკავშირებული

1 T. Mann, Доктор Фаустус, გვ. 658.

ლექსი „მერანის“ განცდილი ეროვნული პათოსის მასშტაბები აქ პრაქტიკულად განხორციელების ყებირეშოა მოქცეულა. მასში განზოგადებულ სახეს იღებს „ზედი ქართლისასა“ და „სუმბულის“ პრობლემატიკა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვეულებრივ, ბარათაშვილის პოლიტიკური მრწამსის შესახებ მსჯელობის დროს, მის თვალსაზრისს ახასიათებენ პოლიტიკური რომანტიზმის ცნებით... პოლიტიკური რომანტიზმი კი არის ცნება, რომელშიც იგულისხმება პოზიტიური, დადებითი ემოციური შინაარსის გათიშვა ცოცხალი სინამდვილის ფხიზლად შეფასების უნარისაგან. უფრო ზუსტად, იგი უტოვებოა.

ეს თვალსაზრისი ინერციით მომდინარეობს ბარათაშვილის მსოფლგანცდის ტიპისა და შემოქმედებითი პრობლემატიკის რომანტიზმთან გაიგივების პრინციპიდან. მაგრამ ბარათაშვილის შემოქმედებითი მრწამსი, როგორც ვნახეთ, თავისი ეპოქის ევლტივის ისტორიულ ფორმასთან სახლოვის მიუხედავად, არ ელინდება რომანტიზმის, როგორც იხმის მსოფლმხედველობრივ პათოსში. უფრო მეტიც, იგი რომანტიზმის ცალმხრივობის უარყოფია.

„მერანის“ ავტორის სხვა ლექსებთან დავკვირებით ჩვენ ექვე ვნახეთ ის მასშტაბები, რომლებშიც ბარათაშვილმა სამყაროს რომანტიკულ მსოფლგანცდისა და სურთოდ, საკითხთა: რომანტიზმისათვის დამახასიათებელი თვალსაზრისის საწინააღმდეგო გადამწყვეტ მოგვცა.

როგორც მისალოდნელი უნდა ყოფილიყო, „მერანის“ ავტორმა იგივე ანტირომანტიკული სტილისკვეთება გამოხატა თავისი ერის ფხიზელი პოლიტიკური მრწამსის შემშვამებაში. იგი შეიძლება დახასიათებული იქნას მხოლოდ პოლიტიკური რეალიზმის ცნებით...

ბარათაშვილის პოლიტიკური მრწამსი მთელი მისი შემოქმედებითი პრაქტიკისა და მხატვრული ამოცანების მამოძრავებელი ფერისა. შემთხვევით არ არის, რომ მისი პოემის სათაურთა სიმბოლურად პოლიტიკური ამოცანის ფორმულაშია გამოხატული: „ზედი ქართლისა“. როგორც ამოცანა იგი მემკვიდრეობითაა მიღებული; ბარათაშვილის მიერ ახალი შინაარსით გამდიდრებული კი ასევე გადაეცა შემდგომ თაობებს... პირველ რიგში ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაობას.

პოემა პოლიტიკური მრწამსის, ერის ისტორიული ორიენტაციის სწორი გზის დადგენის, საწინააღმდეგო თვალსაზრისითა ურთიერთმშობიარისპირების, ანალიზისა და ფხიზელი განსჯის პათოსითაა შთაგონებული. მისი ერთი ფრაზა მონობისადმი შეურთებულ „სუმბულის“ პათოსში ირჩევა. მისი მეორე ფრაზა „საფლავი მეფის ირაქლისას“ პრაქტიკულ ორიენტაციაში იყვითება.

მაგრამ ვიდრე უშუალოდ შეეხებოდეთ ლექ-

სის ხასიათში აღბეჭდილ პოეტურ სტილისკვეთებას, საჭიროა საგანგებოდ გაითვალისწინოს ის მოაღურ-ფსიქოლოგიური და პოლიტიკური ატმოსფერო, რომელშიც ამ ლექსის მრწამსი გაფორმდა.

„საფლავი მეფის ირაქლისა“ დაიწერა „მერანის“ შემდეგ. 1842 წელს. ამ ფაქტს მნიშვნელობა აქვს ბარათაშვილის შემოქმედებითი მრწამსის მთლიან ხასიათში გარკვევის თვალსაზრისით.

საქართველოს სულეტი და პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში ეს იყო სისხლისაგან დაცილილი ერის წინაგანი ღებრების პერიოდი. მაგრამ ეს არ იყო ერის ცხოვრების რაღაც მოულოდნელი და უჩვეულო გამოვლენება. იგი ხომ ქართლის ზედის მუდმივ თანამგზავრად ჩანს. უფრო საგულისხმო აქ არის ამ ზედის მიმართ შემუშავებული გარკვეული პოლიტიკური ინტენტი, რომლითაც უკველ ზელსაყრელ ვითარებაში ქართველი ხალხი ძლევდა ამ თავისებურ ისტორიულ სახადს და ეროვნული სუვერენიტეტის დირსებას ამყვადრებდა.

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ასეთ საფეხურს წარმოადგენდა ბარათაშვილის ეპოქაც. ეს მომენტი შესანიშნავადა წაგრძობი თვით „მერანის“ ავტორის მიერ, რომელმაც „სუმბულის“ ენით ამგდგადაწვეტილ ხალხს გამოუცხადა.

ზამთრით ბუნება არა კვდება, — სევდით იმოსვის,

რომ თავისი სატრფოს, ვახაფხულსა, განეშორებინ!

საქართველოს ვახაფხული მხოლოდ მისი თავისუფლებაა. ვინც თავისუფლებასა მოწყვეტილი — სევდით იმოსვის, მთავარია უეზომოდ არ მოგველოს ბოლო. ზამთარს კი როგორმე გავუძლებთ... ეს იყო „სუმბულისა და მერანის“ პოლიტიკური მედიტაცია... თუ როგორ უნდა გვეძებოთ ამ ზამთარს და დაეშვიდებოთ „მოსვლა სავეარლის“ ანუ ეროვნული თავისუფლება, ამ კითხვაზე მასუხს იმდგვა ეპოქის ატმოსფერო და მასში გამოჭვდილი, დოქუმენტი „საფლავი მეფის ირაქლისა“. მაგრამ როგორი იყო ამ ისტორიული ატმოსფეროს ხასიათი?

1832 წლის შეთქმულება, როგორც ცნობილია, იყო ყველაზე მასშტაბური პროტესტის გამოხატულება, რომელშიც თავისებურად შეყამდა ის დაუსრულებელი ბრძოლა, რასაც ქართველი ხალხი მილიტარისტული რეჟიმის წინააღმდეგ აწარმოებდა.

1832 წლის ამოცანებით გამოწვეული რეაქციის არსი კი ამ ორიენტაციაში გამოიხატა, რომელიც ეროვნული თავისუფლების რწმენამ გაიარა დაწვებული სეპსისიდან ნაციონალური ინილიზმის იდეოლოგიურ გაფორმებამდე. ატმოსფერო, რომელშიც შეიქმნა „საფლავი მე-

ვის ირაკლისა“, ამ იდეოლოგიის გაფურცლებით ხასითდებდა. „საფლავი მეფის ირაკლისა“ წარმოადგენს მისი დამღვეის ზნეობრივ და პრაქტიკულ-პოლიტიკურ პროგრამას.

ეს არის პერიოდი, როდესაც 1832 წლისათვის ერთ მეშტად შეკრული ეროვნული ენერჯია, ცარიზმის მიერ დაქსაქსული იქნა ჩრდილოეთის. შეთქმულების მონაწილენი თანდათან უბრუნდებიან თავის კერას, მაგრამ მათ სრწმენაში უკვე აღარ იგრძნობა აღმოსავლელი შემართების სიციცხლე. ეს იყო კრახი ძველი იდეოლოგიისა.

ბარათაშვილის შემოქმედებით პიროვნება კი ყალიბდება ერის ისტორიული ცხოვრების იმ გარდამავალ საფეხურზე, როდესაც „აქტი გონიერის“ კრახით გამოწვეული დეპრესიის ნიადაგზე იქმნება ახალი, რევოლუციური იდეოლოგია. იგი გამოიხატა მილიტარიზმისადმი ერთგულ სამსახურში არა ეროვნული მდგომარეობის განსტაცების, არამედ მილიტარიზმისადმი დამკვიდრების მიზნით. ამ პათოსის ექვსიწილის კმნის ქართველთა ბრძოლა აყენებულ მათთან. ეს არის პერიოდი, როდესაც ქართველთა გარკვეული ნაწილისათვის ეროვნული იდეის შესენებაც კი გადამიზიანებულ რეაქციონს იწყევდა. „ხედი ქართლისაში“ ნათლად ეს შემხნეული, საქარო იყო ამ იდეოლოგიის დაქვევა. ეს იყო ურთულესი ამოცანა. ბარათაშვილის მიერ იგი ფხიზლად შეფასებული. იგი ეხება არა მარტო გარეშე მტერს, არამედ დაღლილ ეროვნულ თვითშეგნებასაც. და ამ მუხის განხორციელება „მერანის“ ავტორის ხედა წილად.

ბარათაშვილი იძლევა არსებული სინამდვილის ანალიზს და აყალიბებს მოქნილ პოლიტიკური მანევრის ხაზს. მილიტარიზმის ერთგული ქართული პოლიტიკური ენერჯიის ფორმის იგი აღიქვამს ეროვნული თვითშეგნების პათოსს. რადგანაც 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ ეროვნულ ენერჯიის გადართვა რაციონალური პრობლემის არხში ფილოლოგიურად და პრაქტიკულად იყო შეუძლებელი, „მერანის“ ავტორი არსებულ ფაქტებში ცდილობს ეროვნულ თვითშეგნების გლვიმეხას. ქართველთა მიერ შამილის წინააღმდეგ გამოვლენილი ბრძოლისუნარიანობის კესტში, რომლითაც განცვიფრებულნი იყვნენ მთიულეებიც და რუსეთის სარდლობაც, ბარათაშვილი ხედავს ქართული სულის ჩაუჭრალ გზებისას. ეს პათოსი კი გამოხატულია „საფლავი მეფის ირაკლისა“ შემდეგ დაწერილ ლექსში „ომი საქართველოს თავადზნაურ-გლეხთა ბირსბირს...“ (1844). ამ ლექსის მთავარი კონტრტრების გამოკვეთაშიც ხედავს კუხებს კმნის „საფლავი მეფის ირაკლისა“. იმისათვის კი უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ ამ ლექსის შინაგანი პათოსი, საქაროთა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინება.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ „მერანისა“ და „საპოლიონის“ ავტორი თავისი საუკუნის ეროვნულ პრობლემათიკას იღებს როგორც მთავრობის ცხოვლილების ამოცანას ამდენად, ხედავს ნებრევი, რომ ბარათაშვილის პოლიტიკური მრწამსი არა თუ არ არის ანოლირებული მისი დროის ისტორიული ტენდენციებისაგან, არამედ უშუალოდ მათი ანალიზიდან მომდინარეობს.

ამდენად, მის შემდეგ, რაც აშკარა ხდება საკუთარი ფიზიკური ძალებით ცარიტული რეჟიმისაგან განთავისუფლებას შეუძლებლობა, მსოფლიო ისტორიისა და თვით რუსეთის რევოლუციური იდეალოგია, რომლებიც თავისუფლების მოთვრანა ჩაგრულ ერებს, უნდა უფილიო სინათლის ის ეიწრო ზოლი, რომელსაც ეროვნული იდეით შთაგონებული ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაცია უნდა გაყოლოდა. ეს იყო ისტორიულად სწორი გზა. საქარო იყო რუს ხალხთან ერთად ამ მექანიზმის დამსხვრევა, რომელიც ქართველი ერისთვის ორმაგ საპრობლემს წარმოადგენდა.

„საფლავი მეფის ირაკლისა“ სწორედ ამ პოლიტიკური მისიის მაღალი დონითაა შთაგონებული. ქართული პოლიტიკური აზრის მიერ გამოვლენილი იქნა ამ დროისათვის ფართო, მაგრამ პერსპექტივაში უზარმაზარ რევოლუციურ სტიქიად მოვლენილი ტენდენცია. მას თავის შიგნით ატარებდა რუსეთის ისტორიული ცხოვრება. საქარო იყო ამ ტენდენციის რეალურ ძალად გარდაქმნა, მისი საშუალებით და მასში მონაწილეობის გზით კი ეროვნული იდეის განხორციელება. ეს იყო მთელი პოლიტიკური პროგრამა, ანუ ახალი „აქტი გონიერი“.

განვიხილოთ ამ თვალსაზრისით „საფლავი მეფის ირაკლისა“. იგი იწყება ორი თავისებური შტოების გამოკვეთით. ერთი მხრივ ეს არის უზომო მოკრძალება ერეკლე მეფის სახელისადმი, მეორე მხრივ, საქართველოს რუსეთთან დაკავშირების დადებით თვალსაზრისად მიღება. მისი ფრაზა: „და ესუქმთ ნაყოფსა, მისგან ტუბილსა, აჲ შენნი ძენი“, გამოხატავს ისტორიული ეთიარგბის შედეგად მკაფიოდ ჩამოყალიბებული ამ პოლიტიკური ტაქტიკის დეკლარაციას. რომელსაც ეროვნული თავისუფლებისათვის საქარო გზის მაუწყებელი მომღვეწო სტრიქონები გვაცნობენ:

ქამ-ვითარბით გარდახვევილთ შენთ შვილი  
მიდამო

მოაქეთ მამულში ფანათლება და ხმა საამო;  
მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული  
უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა,

განაცხებულთ.

ეს არის ბარათაშვილის მთელი პოლიტიკური თვალსაზრისის კონტენტენცია... ამ სტროფ-

ში განზოგადებულია მისი პოლიტიკური პროგრამის ძირითადი მომენტები. უპირველეს ყოვლისა, მას შემდეგ, რაც ჯალღური ვითარება შეფასებული იქნა, როგორც „ესპანთ ნაყოფსა მისგან ტუბილსა“ — ბარათაშვილი მხედველობიდან არ უშვებს იმ მწარე ზედღს, რომელიც მრავალი აჩანუებისა და განსაკუთრებით 1832 წლის შეთქმულების დამარცხებას შედეგად საქართველომ განიცადა.

ჩრდილოეთში გადასახლებულ მოწინავე ქართველ მოღვაწეებს ბარათაშვილი უწოდებს „გამ-ვითარებით ვარდებუნი“. ისინი ბატონდებიან სამშობლოში და მოაქვთ მამულში ვაწნოთლება და „ხმა საამო“. აქ სწორედ იმ ხმებზეა საუბარი, რომლებსაც მართალია, ჯერ ყრუდ, მაგრამ ისტორიის ტენდენციებში სმენვაგამხვილებული ადამიანებისათვის მოისმოდა შორეული რევოლუციების გეო. „გამ-ვითარებით ვარდახევილ“ საქართველოს შეილებს თავის მამულში მოქონდათ ამ ხმების სწორად მოსმენის იდეოლოგია. იგი გამოიხატებოდა იმ აქტიურ როლში, რომელიც ქართველ ერს რუს ხალხთან ერთად ეყისებოდა ამ ისტორიულა მისიის განსაზოცილებლად. ეს პროცესია რუსეთში ჯერჯერობით დღემდე ტემში მიმდინარეობდა. საჭიროა იყო მისი შემდგომი გავლენება, გამაგრება, რომ გამდინარეყო ჩრდილოეთის მილიტარიზმის ყინული.

მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსაქვე სული უღნობს ყინულსა ჩრდილოეთსა,

განაცეხლებული.

ეს ამოცანა მიღებულია როგორც ქართველთა ეროვნული მოვალეობის უმმატრესე ვამოხატულება. ეს არ არის რომანტიზმი. უფრო სწორად ეს არის ისტორიული ვითარების რეალისტრად შეფასების რომანტიკა. მაგრამ მივეყვით ისევ ლექსს. ამ უდიდესი ისტორიული მისიით ატაციებულ საქართველოს მკვიდრთა შესახებ „მერანის“ ავტორი აცხადებს:

და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ  
მშობელს ქვეყანად,  
მხერვალებს ცის ქვეშ მისამკალთა ერთი

ათასად!  
სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰქლობდა  
ქართველი,  
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი.

აქ არ არის საუბარი რუსეთთან მხოლოდ კულტურული ურთიერთობის შესახებ, როგორც ეს ზოგიერთის განია. აქ მხედველობაშია ის უდიდესი რევოლუციური პოტენცია, რომელსაც საფუძველში უკვე ბარათაშვილისავე დროს ატარებდა რუსეთი და რომლის „თესლთა შემოზიდვიც“ საქართველოს სასიცოცხლო მისიას წარმოადგენდა. იმდენად, აქ საუბარია რუსეთის კულტურული და რევოლუციური თესლის შემოზიდვაზე, როგორც პა-

რობა „მხურვალეს ცის ქვეშ მისამკალთა ერთი ათასად!“ ეს იყო მთელი პოლიტიკური პროგრამა. მისში არ არის არავითარნი რომანტიზმის ნიშანწყალი. ეს ისეთივე პრეტენზიასი ჩრდილოეთ ცოცხალი სინამდვილის საფუძველზე ერის ეთილდღობისათვის ბრძოლის მიზნით, თითქმის ორი ათეული წლის შემდეგ ი. ტავჯავაშვიმ მოავაწოდა:

მოვიკლათ წარსულთ დროებზედ დარდი...  
ჩვენ უნდა ესდით ეხლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს!

ბარათაშვილის შემოქმედებით ამოცანა ხომ სწორედ ამ ფორმულაში იხატება: „მოვიკლათ მომავალი ხალხს!“ მომშეთათვის გზის სინდელის გაადვილებაში ხომ სწორედ ეს იყო „მერანის“ პათოსიც. „საფლავი მუფის ირაკლისა“ კი უშუალოდ ამ მომავლის სწორი თვალსაზრისით განსწკრეპტის ფაქტია. მისი ფხიზელი პრაქტიკაში არ წარმოადგენს რომანტიზმს. მისი ამოცანაა დადგინოს რეალური გზები ეროვნული იდეის განხორციელებისათვის. სწორედ ამ თვალსაზრისითაა ეს ლექსი თაინუებური პოლიტიკური პროგრამა, ანუ ახალი „ეტი გონიერი“. ამ პროგრამის ფხიზელი რეალისტური ხასიათის თვისებად კი შემდგომი ისტორიის განვითარებაში დადასტურებული პოლიტიკური მოვლენები ითვლება. იგი ზუსტად შეესაბამება იმ პრაქტიკულ და ინტელექტუალურ მისიას, რაც ქართველმა ხალხმა რუს და სხვა მოძმე ერებთან ერთად შეასრულა რუსეთის 1917 წლის დიად რევოლუციაში. ამ რევოლუციის შედეგი იყო ქართველი ხალხის ოცნების გამოხატულება, ამ ოცნებას სამყაროს კოსმოსურ სივრცეებში ატანის სიმამფრით განაცდოდა ბარათაშვილი. მანვე მოძებნა ამ ოცნების რეალურად განხორციელების სწორი გზა და შექმნა ახალი პოლიტიკური პროგრამა.

ამრიგად, ბარათაშვილის შემოქმედებით განვითარების სისტემაში ეროვნული მდგომარეობის ანალიზი იღებს მთლიან სახეს, რომელშიც ნათლად იკვეთება ერის მორალური და ისტორიული ამოცანა. იგი წარმოდგენილია, როგორც თავისებური მისია. რომ განხორციელდეს ერის სასიცოცხლო იდეალები, საჭიროა „ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული“, საჭიროა ცოცხალი ადამიანი არ დაეშვაგავსოს მკედარს და „საფლისთვის იზრუნოს“. მხოლოდ ეს არის პირობა, რომ გადარჩეს სუშბული (საქართველო) და მას უფამოდ არ მოეღოს ბოლო.

იმ ზრუნვის მასშტაბებში, ზემობრები სიმადლე და მამფრი შემართების პათოსი ბარათაშვილმა „მერანის“ აგონიაში გვიჩვენა. ვინც ახლა უკვე ამ საფუძურდიან დაკვირდება ბარათაშვილის შემოქმედებითი განვითარების

გზის, იგი ნათლად დაინახეს, რომ ამ განვითარების უოველი მაღალი საფეხური ქმნის თავისებური ზედვის კეთხეს, საიდანაც თვალსაჩინოდ იყვებება განვლილი გზის ხასიათი. მაღალი საფეხური ვეძღვევა, როგორც თავისებური გასაღები უფრო აღრეული სტადიის იმ თავისებურებათა სრული წარმოდგენისათვის, რაც თავის დროზე თითქმის საიდუმლოების ბურუსით იყო მოცული. ასეა ამჟერადაც. ბარათაშვილის ქვეუნიის ისტორიული მდგომარეობის სურათი, რომელიც წარმოდგენილია ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ ნათელ წარმოდგენას იძლევა „მერანის“ შეუბოვარო სულის ხასიათზე. ჩვენ ვხედავთ იმ რაციონალიზატურ საწყისს, რომელმაც მისი შეუპოვრობა განაპირობა. რამეთუ საკმარისია მოდუნება, საკმარისია სატანის მიერ აღმართული დაბრკოლებებისადმი შიში და მისი უძლეველობის შორჩილებით მიღება, რომ ბოლო მოეღება ყველაზე მაღალ ღირებულებათა სფეროს. ეს არის პროგრესისა და სინათლისაკენ მიმავალი კაცობრიობის გამოცდილებაში დადასტურებული კეშმარტება. იგი მუდმივი კიდილის, მუდმივი ბრძოლისა და დაბრკოლებათა ძლევის საშუა-

ლებით იკვლევს გზას, ეს არის დაუსრულებელი დეელი. ბარათაშვილმა ბგნი სხვეისა გრის არსებობის ფორმად მიიღო.

ეს პათოსი კი ახალი შინაარსით მდიდრდება მის „სულო ბოროტოში“ (1943). იგი ბარათაშვილის უაღრესად საფელისში ფაუსტური პარადიგმაა.

ჩვენ არ ვიცით, როგორ განვითარდებოდა „სულო ბოროტოში“ მითითებული ფაუსტური კომპლექსის ახალი წრე. რა ხასიათის პასუხა მიიღო მამიებელი გონების ხმამ სატანისაგან. ვიცით, რომ „განვედი ჩემგან, კოი მაცთურო, სულო ბოროტო!“ სულაც არ ნიშნავს, რომ სატანა მართლაც წაევა და ამეირიდან აღარ გადაეღობება მის ზრახვათა პათოსს. ვიცით, რომ მათი დეელი დაუსრულებელი ბრძოლის ასპარეზია. ისიც ნათელია, რომ „ბედი ქართლისასა“ და „საფლავის“ მოელენათა შორსგათვლობის ხედვა ამ პრობლემატუის კაცობრიობისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტაში გამოიხატებოდა.

ამ თვისებით წარმოგვიდგება ბარათაშვილი ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლად და ილია ჭავჭავაძის თაობის პირველ მასწავლებლად.







## რომანტიკული სული აგროხეა

ხალხურობას იდეის განმტკიცება ლატერატურაში, ღრმა ინტერესი ისტორიული წარსულისადმი, ანტიბატონებური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბათონის ქართული რომანტიკოსების უშუალო მონაპოვარია. მათ მთელა შთაგონებით უმტერეს აღმადანის ბუნებრივ გრძობაათა სილიადეს. მათ გადადახეს „სამი შტილის“ დრომომემელი სქემები და ქართულ პოეზიაში წინა პლანზე ლირიკული გმირის სელიერა სამყარო წამოსწიეს.

არსებული სინამდვილის წინააღმდეგ ქართული რომანტიკოსების ამბობება ხან თუ განყენებულ ესთეტიკურ ხასიათს ატარებდა, ხან ბატონებურ-მომხელეობრივი ინსტიტუტის საფუძვლებს ებრძოდა და ამიტომ, იმ ისტორიულ ვითარებაში ყოველმხრივ დადებითა მნიშვნელობისა იყო. ამის ორგანული შედეგია, რომ ქართული რომანტიკოში ერთ-ერთ პირველ საფეხურად იქცა ახალი ტიპის რეალისმისა და თვით „სამოციანელთა“ მხატვრულ-ესთეტიკურ პოზიციის ჩამოყალიბებაშიც განსაუთრებულა როლი შეასრულა.

ბარათაშვილის პოეზიაზე მსყლობა რთულა პოეტის ფილოსოფიური ბუნებისა და იმ მხატვრული ნიუანსების სიუბის გამო, რაც მოზაიკურ ელვარებას ქმნის თითოეულ მის სტრიქონში.

ბარათაშვილიმა მთელი მგზნებარებით მიმართა თავის პოეტურ დემონს და ამით თათქოს თავიდანვე განამარბა რომანტიკოსი შემოქმედლის სპეციფიკაც:

გულთა-მხილავო, ცხად არს შენდა გულისა  
სიღრმე:  
შენ უწინარეს ზემსა უწყია, რაც ვერბახო მე,  
და — ზემთა ბაგეთ რადა დაუშთ შენდა  
სათქმელად?  
მაშა დუმილიც მამითვალე შენდამი ლოცვად!  
(„ზემი ლოცვა“)

პოეტი ცდილობს ვაიკოს საკუთარა არსებობის სიღმელობა — ყოფიერების აზრი, მისი პოეტური მრწამსი ერთგვარი ალუგორაია. ბარათაშვილის უნდა ერთი ინდივიდუში აღამიანის სულის ისტორიის მატარებლად გამოყვანოს. ამ ლექსის ლირიკული გმირი ერთდროულად წარსულსაც ეკუთვნის და მომავალსაც; მის მხატვრულ ხასიათში წარსული და მომავალი მოგონებებისა; და წინათგარბობის სახით იხატება. პოეტი ამით არ ამტკიცებს, თითქოს სულს შეეძლოს „გარდასახვა“ და „გადასახლება“, მაგრამ მას, როგორც რომანტიკოსს, სიქმე აქვს მხოლოდ მარადისობათან და კონკრეტულ დროს დაკარგული აქვს ყოველგვარი მნიშვნელობა. მისთვის არავითარი განსჯავება არ არის მოელენასა და სასწიულს შორის, დროას ქრონოლოგიური ჩარჩოები ილუზორულია, რადგან ბარათაშვილი აღამიანის სელიერი შეციოდების ამბავს აღამის შეციოდებიდან სახავს:

პოი, საბიერო, რად წარვივეთ მე; სასობებს:  
პირველ უმანქომ თვით აღამსვე სცოდა შენს  
მცენებას.  
(„ზემი ლოცვა“)

რომანტიკული პოეზია-ვაორებელი პარონების სულს დასტრიალებს და დანაწევრებული მხატვრული ხასიათის გამოხატევაში აღწევს პოეტურ მწვერვალს. კემშარბება თითქოს არბიბ, შემოვლათი გზით არის ვაღმოცემული. მართალია, ქართული რომანტიკოში უფრო ცხოვრებისეული პრობლემებისაყენ არება, მაგრამ მთლიანობაში რომანტიკოში, როგორც მსოფლიო ლატერატურის მოელენა, სრული ანტიპოდია როგორც ანტიკურა, ისე კლასიციტიური ხელოვნებისა. ეს მან დაამტკიცა თანმიმდევრულად. მხატვრული ხასიათების ხატევისა და სინამდვილის თავისებური შემეცნების სახით.

ბესარიონ ბელონსკი რომანტიკულ ხელოვნ-

ბაში ორი ტენდენციის სილესტრაციად, არ-  
ჩვედა პიუგოსა და შატობრანის შემოქმედ-  
ებას. პიუგო როგორც პროგრესული ტენდენ-  
ციების მქონე და შატობრანი, როგორც აწვი-  
ლი, რესტავრაციის იდეების მატარებელი. ბე-  
ლინსკიმ განმარტა, რომ თითოეულ ამ ტენდენ-  
ციას ჰქონდა ასტროლოგიური წინამძღვრები, ყვე-  
ლა ქვეყანაში და ყველა ეროვნულ ლიტერა-  
ტურაში. მაგრამ რუსმა კრიტიკოსმა რომანტიზ-  
მი მიაჩნდა დაუკავშირად შემოქმედებითი თავი-  
სუფლებისათვის ბრძოლის იდეას. ამით, ბე-  
ლინსკის შეხედულება არსებითად წინააღ-  
მდეგობით ნაბიჯია, მოუნება რა მან ისტორიულ-  
ად ახსნა რომანტიზმს და შენიშნა მასში სხვა-  
დასხვა ტენდენციების არსებობა. თუ გავიხი-  
ლავთ რუსულ სინამდვილეს, უნდა აღინიშ-  
ნოს, რომ რუსულ ლიტერატურაში რეალიზ-  
მის მეთაური პუშკინი კლასიციზმის წინააღ-  
მდეგ შემთავრებულ შემბრძოლად გვევლინება.  
პუშკინი წინააღმდეგე იყო სქემეტიზმისა, ცხოვ-  
რებასეულ სიმართლეს პირველ პლანზე აყე-  
რნება და ამით ერთგვარად ეხმანებოდა რომ-  
ანტიზმის პრინციპებს. თვით პუშკინი რომან-  
ტიზმს უწოდებს იმას, რასაც ზევს დღეს რეა-  
ლიზმს ვუწოდებთ. მაგალითად, როცა ის „ბო-  
რის ვოლნოვის“ შინაარსზე საუბრობდა, ერ-  
თის მხრივ ისახავდა წმინდა რეალისტურ ამო-  
ცანებს „ღრთისა და პიროვნებების მართალ და-  
ხატვას“, მეორე მხრივ მიაჩნდა, რომ მან და-  
წერა „კემპარიტად რომანტიკული ტრაგე-  
დია“.

მათავარი რომანტიზმი ცხოვრებისეული ფაქ-  
ტის განსაკუთრებული შეგვიყენება. რომან-  
ტიზმი სინამდვილის, განზოგადებულის ასი-  
ზების განსაკუთრებული სახეა, მისი განმსაზ-  
ღვრელი ფაქტორი. რომანტიკოსი პოეტს თავი-  
სა იდეალის განხორციელება ოცნების, ფან-  
ტაზიის, მხატვრული გამოკონილის შემწეობით  
სურს. ამას აღასტრებს ბარათაშვილი:

ვაოვე ტაძარი შესაფარი, უღამნოდ მღვარი;  
მუნ ენთო მარად უქრობელი წმიდა ლამპარი.  
ანგელთსააგან აქროდა მუნ დავითის ქნარი,  
და განისმოდა ციფრთ დამთა გალობის ზარი

მუნ გუნდრეკის წილ შეესწიადი წმიდას  
სიყვარულს,  
რომლის საკუთხად დაესდებდი მე ჩემს  
გულსა და სულს;  
ამა სიამით, ნეტარებით, ესრეთ აღსკებულს,  
მეგონა, ვხედვდ სასუფევლს, აქ დაშენებულს.  
(„ვაოვე ტაძარი“)

რა არის ასეთი რომანტიკული ავადობად-  
ვის მისაზრდობელი წყარო? ცნობილია, ცხოვ-  
რებიდან რა მოვლენაც არ უნდა ავიდოდ, მას-  
ში ჩვენ ვიპოვიან ძველის ნაშთს, ახლის სა-  
ფუძველს და მომავლის ნიშნებს. თუ ჩვენ ამ

სამ მომენტს ზუსტად შევნიშნავთ, მაშინ შე-  
გვიძლია ვთქვათ, რომ მრავალწახნაგოვანი,  
დიდიმეტრული პროცესიდან ძირითადი გან-  
საზღვრელი მომენტები დაინიშნება. ცხოვრება-  
ში ახალი მუდამავს ებრძვის ძველს, ახალი  
იზარტებს და ამტკიცებს თავის პრინციპებს.  
რომანტიკოსი პოეტი ცდილობს მომავლის ნიშ-  
ნები დაინახოს ამ ბრძოლაში, ყურადღება გა-  
ამახვილოს იმაზე, რაც მხოლოდ ჩასახებას  
პროცესშია და რასაც მხარდაჭერა სჭირდება.  
სწორედ იმიტომ, რომ ეს ახალი ჩასახვის პრო-  
ცესშია და რეალურ სინამდვილეში მთლიანი  
სახით არ არის გამოვლენილი, ბარათაშვილი  
წარმოსახავს პუშკინის ისეთ იდეებს, ისეთ სა-  
ხეებს, რაც ყველაზე სრულყოფილად დაგვა-  
ნახავს პერსპექტივაში არსებულ ტენდენციას.  
ამაზე მიუთითებს ლექსის „შემოღამება მთა-  
წმიდაზედ“ ფინალი:

პოი, საღამოე, მუდროე, საამოე, მუნ დამშთი  
ჩემად საუნგეშებლად!  
როს მუმენეარება შემომესევის, შენდა  
მოვილტვი განსაქარებლად!  
მრუხბრი გულსა — სედა გულსა — ნუგეშსა  
ამას შენგან მოიღებს,  
რომ გაათენდება დილა მზიანი და ყოველს  
ბანდას ის განანათლებს!

უსულო სამყაროს გაყოცხლება, ბუნების  
მოვლენებისადმი პანთეისტური წვდომა სრუ-  
ლიად ახალი ენობით გამოპრწყინდა ბარათა-  
შვილის საუცხოო ლექსში „ჩინარია“. პოეტი ასე  
გვიჩვენებს და გვისურათებს უნიდემლო ენას  
„უასაკოთა და უსულთ“ შორის:

მოქშეის მტკვარი, მოქის ნიავი და შრილითა  
აჩქვეს ჩინარსა,  
და გამოსცემენ სახობასა, ტეპლის ოცნებით  
დამაძინარსა!

მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო  
უასაკოთაც და უსულთ შორის,  
და უტყოველეს სხეთა ენათა  
არს მნიშვნელობა მათის საუბრის

რამდენჯერ ქარი შეარხვეს საროს,  
იმდენჯერ მტკვარი უმეტეს ოხრავს,  
თითქოს სიშურით შემფოთებული,  
და კლდის პირებზე ზეირთთა შემუსრავს.  
ესრედ იღუმალ, მაგრამ ძლიერად,  
დიტანჯების მარად მიჯნერა,  
თუ მას .ნამდვილად ეგზნების გულსა  
ტრფილაუბისა ცეცხლი ციფრთ.

ბარათაშვილის ამ სტრეიტონების შინაგანი  
განწყობილება, გრძობათა სიღრმისა და გამო-  
ხატვის სიმუშალებათა იდეტურობა, ბუნებრი-  
ვია, შემთხვევითი არ არის. ეს არის ეპოქის  
სოციალურ-პოლიტიკურ ენებათა პოეტურ  
„ქტრაში გამოწევა“, ეს არის აღამიანის ტიტ-  
ნური ბრძოლის ანსახველი ღრმად ფილოსო-

ფიური შეგრძნება წუთისოფლისა და პიროვნებისა. ბარათაშვილმა სამყაროს მიმართ თავისი საყუთარი პოეტური პოზიცია დაიცავა, საყუთარი ესთეტიკური კრედი ჩამოაყალიბა, ცოცხალი სინამდვილის შეგრძნება ფილოსოფიურ კატეგორიამდე აამაღლა.

ბარათაშვილი ქართული რომანტიზმის გენია არა მხოლოდ ლექსის მაღალი კულტურითა და სრულიად ახლებური, ეპოქისაგან ნაწარმოებ პოეტური აქსესუარების რაფინირებულ წარმოსახვით, არამედ ცხოვრებისეულ, ფილოსოფიურ პრობლემათა დასაძიება და განხილვითაც. აღ. ქაეჯავაძე და ნაწილობრივ გრ. ორბელიანი თუ მე-18 საუკუნის უცანასკნელი ტრუმადორების ბესიკისა და საიათნოვის მებრძოლ-ზურაბ-მოსაველური ქარბა მგრანობელობისა და ქრელი პოეტური მოღელტკივების გზით წყვიდნენ, ბარათაშვილმა თამამად აიტაცა გურამიშვილის ხალხური ენა, დახვეწილი, ევროპული ლექსის ნორმება და ახალი პოეზიის ერთ-ერთ ფიქსირებულად მოველინა მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურას. ბარათაშვილმა ზორციელი სიყვარულის ნაცვლად, რაც ლიტერატურა იყო ყველა აღმოსავლური გავლენისათვის, ლარიკის დომინანტად აქცია ფილოსოფიური ხედვა წუთისოფლისა და პიროვნების ბედისა. ქართულ პოეზიის დებუბრუნა თავისი დიდი წინამორბედის ესთეტიკურ-ლიტერატურული მოთხოვნისა:

**შაირბა პირველადე სიბრძნისაა ერთი**

მართლაც, ძნელია, მოიძებნოს რუსთაველს შემდეგ სხვა პოეტი, რომელიც ასე ღრმად ფილოსოფიური და ამოსაცნობი იყოს.

ბარათაშვილის ლექსებიდან მარადიულ „საკაცობრიო“ პრობლემათა მრავალი ნიმუშის მოტანა შეაძლება:

მე,შენსა მჭვრეტელს, მავიწყების საწუთროვება,  
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს  
სადგურს,  
ხენაართ სამყარეს, რომ დაშთოს აქ ამაოება...  
მავრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავი განგებას  
ციურს!  
(„შემოღამება მოწმიდახედ“)

შინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი,  
თუ არა ოდენ საწყაული აღუცხებელი?  
ენ არის იგი, ვის თვისი გული ერთხელ აღდევსო,  
და რაც მიედოს ერთხელ ნატვრათ, ისი  
ეკმაროს?  
(„ფიქრნი მტყარის პირას“)

ჰე მწირო, სოფლად ყოველსა აქვს ეამი და  
ბოლო,  
მავრამ ამას ვწყუხ, რომ უეამოდ მელევის

ბოლო.  
(„სუმბული და მწირი“)

სილამაზეა ნაჭი მხოლოდ ზორციელისა და, ეით ყვეილი, თავის დროზე მსწრაფლად დატყუბნა...  
...  
მშვენიერება ნათელია, ზეციით მოსული,  
რომლით ნათდება ყოველი გრძნობა, გული და  
სული.  
.....  
თეთი უკვდავება მშვენიერსა სულში  
მღვამარებას,  
მას ვერც შემოხვევა და ვერც ხანი ვერ  
დააბერებს:  
(„რად ჰყვედრი კაცსა“)

ღრმამაზროვნება ამ ლექსებში რჩება ღრმამაზროვნებად რაიმე კონკრეტული იარაღის ხელოვნურად მიწებების გარეშე. ასეთი იარაღიები ნაქარვერ, ზერელე მეთოდოლოგიურ კაზუსებას შედეგია, როცა პოეტის ღრმამაზროვნება, უსათუოდ რომელიმე ფილოსოფიურ მიმდინარებას უნდათ დაუკავშირონ (მატერიალისტური ან იდეალისტური, რეაქციული ან პროგრესული და ა. შ.). დიდ პოეტებს ამ მეთოდით უხეიროდ შეყვრებლით და პირველ რიგში მათ ღრმამაზროვნებას, ვინაიდან, რაც არ უნდა ფილოსოფიური იყოს პოეტი, იგი შინც მოაზროვნე-ფილოსოფოსი არ არის. ამიტომ პოეტის ფილოსოფიურობაზე საუბარი ყოველთვის პირობითია. ჩვენ გვიანტერესებს პოეტმა რამდენად სვეფიფიურად, მხატვრულად ასახა ესა თუ ის ფილოსოფიური პრობლემა. და არა პირიქით: თუ რა სიახლე მოგვცა პოეტმა, ცხოვრების ამა თუ იმ მხარას წმინდა ფილოსოფიურ ჭვრეტაში. პოეტს ფილოსოფიური სიახლე არ ძალუძს, ვინაიდან იგი პოეტია და არა ფილოსოფოსი, ასევე ფილოსოფოსს არ ძალუძს პოეტური სიახლე, ვინაიდან იგი ფილოსოფოსია და არა პოეტი. ამის მაგალითად გამოვდგება ჰეგელის მსჯელობა ესთეტიკის საკითხებზე და კანტის მსჯელობა ხელოვნებაზე; მაშასადამე, პოეტს თავისი სიბრძნე ძალუძს გამოაღწიოს ცალკეულ ფილოსოფიურ დებულებად დაგრდნობის შემოხვევაში და მას არ შეუძლება მხატვრულ სახეების მიხედვით შექმნას ფილოსოფიური დებულება. ვინაიდან ფილოსოფიურ დებულებას აქვს თავისი მეცნიერული ლოგიკა და მხატვრულ სახესა და პოეტურ წარმოსახვას აქვს თავისი მხატვრული ლოგიკა, მათი შეხვედრა და ურთიერთგამოღუნა მხოლოდ ვიწიერული შეპირისპირების შემთხვევაშია შესაძლებელი. ასეთი შეპირისპირების შესანიშნავი ნიმუშია ბარათაშვილის სიბრძნე, მაღალპოეტურ სტრუქტურებში გამოთქმული, დიდი პოეტური სამსუბუქე და სიცხადე ურთულეს ფსიქოლოგიურ სიღრმესთან ერთად:

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,  
პირველად ქმნილსა ფერს

და არ ამ გვეყენებს,  
სიყრმიდგან ვერტფოდი.  
...  
ფიჭო მე სანატრი  
მიმიწვეს ცისა ქედს,  
რომ ემზით დამდნარი  
შევერთო ლურჯსა ფერს.  
მოკვდები — ვერ ენახე  
ერემლსა მე მშობლიურს, —  
მის ნაცელად ეს ლურჯი  
დამაფრჭვევს ცვიან ციურს!  
სამარტს ჩემსა, როს  
გარს ნისლი მოეცას,  
იგიცა შესწიროს  
ციაგზან ლურჯსა ცის!

(„ცისა ფერს“)

ამ მცირე მოქმედების შედეგში ბარათა-  
შელი არა მხოლოდ რომანტიკოსებისათვის სა-  
თაყენებელ ცისფერს ეტრფის, არამედ უკი-  
დეგაო ლურჯი ცის ლურჯ ფერთან „შეერთე-  
ბას“ ცდილობს, კოსმოსურ უსაზღვროებისა-  
ცნ მიისწრაფის, მსოფლიო სივრცისავე. ამ  
ლექსში უფრო მეტია ნათქვამი, ვიდრე სტრუ-  
ქტურები იტყვენ: ჩვენთვის, პირველ რიგში, ეს  
არის საინტერესო აქვე არ შეიძლება არ აღი-  
ნიშნოს ლურჯი ფერის, ცისფერის სიარბილი,  
სინატიფე და სიმსუბუქე, რაც კემშირითა აწ-  
ვევს ადამიანში უსაზღვროებისა და თავისუფ-  
ლების შეგრძნებას, სივრცეში გადასვლის, გარ-  
დსახვის, გაერთიანების დაუთავებელ ღრუ-  
ვას. ეს ორი მომენტი — ცისფერას სიარბილე  
და სიღრმე გაერთიანებული კოსმოგონიურ  
ზეაღმტაც სწრაფვასთან, ამ პატარა ლექსს ანი-  
ჭებს მაგიერო ზემოქმედების ძალას.

ზეოთომოცვანილ სტეა ნიმუშებზე აღარაფერს  
ერთევი, რადგან მათი ღრმავარებენა ორგა-  
ნიულად არის შერწყმული მათ მაღალმოეტუ-  
რობასთან და ისინი ერთდროულად იხერხებენ  
ჩვენს ვიწებასაც და ველსაც.

ქართული რომანტიზმის სპეციფიკობას მე-  
ტილ გაემატრებულთ და ვეაუბრალთებდით,  
თუ მას დაეყვანდით მხოლოდ ცხოვრებასადმი  
სკეპტიკურად განწყობილი ინდივიდუუმის მე-  
ლნიქობამდე, მხოლოდ „მარტო სულის“  
პოეზიამდე. მართალია, ბარათაშვილი ინდივი-  
დუუმის სულიერი სამყარო წინა პლანზე წამოს-  
წია, მაგრამ ეს ერთ კიდევ არ ნიშნავდა, რომ  
ბარათაშვილი ინდივიდუალისტურა პრობლემა-  
ტიკით შემოიფარგლა. მართალია მან საზოგა-  
დობრივი, კარდინალური საკითხები პიროუ-  
ნების ბუნდში ვადატება, მაგრამ ამით ამ საკით-  
ხების სიარბე არ შექმნილთებია და არ დაუ-  
წვრილმანებია, ყრმის უზრუნველობას პოეტო  
იქამდე შეხარის —

ვიდრემდის ხარ, ყრმაო, თავისუფალი,  
არ გიციენა სოფელი მომღერალი!

(„ჩჩვილი“)

რომანტიკოს პოეტს მუდმივად თან სდევს  
„ხმა იღუმალი“, რომელიც ჩუმად ნაღველას  
წარმოიმკნუნებდა. წუთისოფლის შეცნობა, პარა-  
თაშვილისათვის ამ იღუმალი ხმის გაუთვითუნო-  
ბიერებელი აღმოჩენით დაიწყო.

ესი ხმა არის ეს საყვირველი?  
რად აქვს გულს ისე ზემო ნაღველი?  
(„ხმა იღუმალი“)

ბარათაშვილი სამყაროს შეცნობის პირველი  
წუთიდანვე განიცდის ამ იღუმალი ხმის დეკ-  
ნას, ეძებს მის გამომწვევე მიზეზებს, აკავში-  
რებს ერთიანობურესთან მოვლენებს, რათა შეაფ-  
ნოს იმ ძირითად რგოლს, რითაც შეიძლება ყვე-  
ლა საიდუმლოდ განსაკუთრებული კვანძის ვახსნა:

რა ესცან პირველად წუთისოფელი,  
დავითე ადგილი, სადაცა წრფელი  
რბოდა ნათლად დრო ყმაწვილობის  
სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის,  
მას აქეთ ხმა რამ თან სდევს ყოველთა  
ჩემთა ზრახვითა და საწადელთა?  
(„ხმა იღუმალი“)

ამოტხსნელი დილემის წინ მდგარი პოეტი,  
სასწრაფეტილი და შეებუებული, რწმენად-  
ქარგული და გაოგნებული, ვერ პოულობს ვა-  
მოსაყვალს ამ ჭოხიდან და თავისი ცხოვრება-  
სიყურო ადგილის მოსაძებნად, თავისი „ვილო-  
ბის“ ამოსახსნელად პათეთიკურად ეკითხება  
იღუმალ დემონს:

ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემო,  
ან თუ ეშმაკი, მაცურთი ჩემო?  
ვინცა ხარ, მარტო, რას მოხსნივებ,  
სიუცხლებს ჩემსა ოას ვანუშადუნ?  
როს ესცნა მე შენი საიდუმლობა,  
როს მხედეს ამ სოფლად ჩემი წილობა?  
(„ხმა იღუმალი“)

ეს იყო ნიშანი, ერთგვარი ბიძგი, რათა რო-  
მანტიკოს პოეტს წუთისოფელში თავისი „სა-  
შენი ხედვარის“ საპოეტოლად დაუოკებელი  
ლტოლვა დაეწყო. მაგრამ ამას მაინც არ შეუშ-  
ტებუქებია წინასწარვე გადაწყვეტილი „უცო-  
ლოება“ და ბარათაშვილისათვის ბოლომდე  
იღუმორული დარჩა „ციური ვანგებია“. ლექს-  
ში „შემოღამებია მთაწმიდაზედ“ გამოხატუ-  
ლი პანთეისტური და კოსმოგონიური შეგრ-  
ძნებები, კონკრეტული და მოკლავებობრივად  
ზუსტი ვახდა პოეტის მეორე შედეგში „ფიჭ-  
რნი მტყერის პირას“, იქამდეც კი, რომ „სო-  
ფლის შელით“ სამოქმედო ამოცანად სოფლისა-  
თვის ზრუნვა დაუსახა:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვეციან — შეიღნი  
სოფლისა,

უნდა კიდევა მივდიოთ მას, ვეცსას მშობლისა.  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკედარსა  
ემსგავსოს,

იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!

მაგრამ ამ კონკრეტული სამოქმედო პროგრამით ბარათაშვილის ყველა რომანტიკული ილუზია ცხოვრებისეულ ფაქტად არ მტყუნლა, ხელშესაბები არ გამბედა და (დაილოგი „ბედის ვარსკვლავთან“ ვაღე ვაღაქცა „ბოროტ სულთან“ ცეცხლოვან პაექრობად:

სულ ბოროტო, ვინ მოგებში ჩემად  
წინამძღვრად,  
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ  
აღმაშფოთრად?  
მარტვი, რა უფავ, საღ წარმოდ სულის  
შშვილობა,  
რისთვის მომიყალ ყმაწიელის ბრმა  
სარწმუნოება?  
(სსულ ბოროტო“)

მაგრამ ეს პაექრობაც არ აღმოჩნდა საკმარისი რომანტიკოსი პოეტის სულაერი მღვდლებების ბოლომდე გამოსათქვლიად და შექვემდებების ეპოს ბარათაშვილი მივიდა „უღაბნოდ მღვარ შესათერ ტაძარმდე“.

ეპოვე ტაძარი შესათარი, უღაბნოდ მღვარი:  
მუნ ენთო მარად უქრბული წინდა ლამბარი.  
ანგელოსთაგან იქროდა მუნ დავითის ქნარი,  
და განისპოდა ციერთ დასთა ვალობის ზარი!  
(„ეპოვე ტაძარი“)

პოეტს სწამს, რომ ამ ტაძარში მან მიაგნო „განსვენების წრფელითა ზრახვით“ და „კეთს სიავით“ გულმოყვლი აქ იპოვის სიბოზს „წმიდა ლამპისაგან“. ბარათაშვილმა მირაქველ ტაძარს წმიდა სიყვარულის გულდრევი უქნია რათა ნეტარება და სასუფეველი „ღაჲ შენებინა“. მაგრამ მოსვენარი სულის პოეტი, ბედის უქმყოფილო და მოქმევე — „საწუთრომ“ დიდხანს არ გააბარა, „განქრა ტაძარი“, მირაჲი ჩაიფერტა და მის ნაცვლად უკაუტრ უღაბნოში სვედა გაბატონდა. დარჩა ცივი ნაპარი და გაქრუებული იმედები, ცეცხლის აღი შეიწოვა მღვარამა ბედმა. უქანსკელი თხოუნა, რომ ოცნებაში ნაგები „დასაუფლებელი“ ტაძარი პოეტს სიცოცხლის ბოლომდე შერჩენოდა, ფიქცია გამოდგა, რომანტიკოსი პოეტი კვლავ შწირი და მიუსათარია:

ვერდა ამიგო სიყვარულმა კვლად ტაძარი!  
ვერსად აღენთე დამთომილი მისი ლამპარი!  
ვერთ დამისშო უქმდმარამა ნუგევის კარი,  
და დავლ ობლად, ისევე შწირი, მიუსათარი.  
(„ეპოვე ტაძარი“)

(ვერადერმა ვერ გაანლა პოეტის თავისუფლებისადმი ლტოლვა და წუთისთფლის „სახერელ ხელთან“ შექიდეების სურვილი, ვერ გაანლა რომანტიკული სულის ამბობება, ქართლ-

ლი რომანტიზმის ლიტმოტივი თუ უროენული და სოციალურ პრობლემათა წრე იყო, ბარათაშვილის პიროვნული თავისუფლების მოხატულებად იქცა „მერანი“, რომელსაც მსოფლიო შედეგთა რიცხვს მიეუთუნება. პოეტმა უქუაგლო ყველა გზა, რითაც იგი უქეთვის „საშვენი ხედრის“ მოპოვებას ცდილობდა და საბრძოლო ყაენით მიადგა ბრმა წუთისთფლის ცხრაკლიტრით დაგმარულ ციტადელს:

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი  
მერანი,  
უქან მომჩხავის თვალბედათი შავი ყორანი!  
გასწი, მერანო, შენს ჰენებს არ აქეს  
სამძღვარი,  
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღვლვარი!

ბარათაშვილმა პიროვნებს, აღამიანის ქვევის ნორმად, ბედთან შექიდებულ-მოპოვერვ მხედრის აუცილებელ თვისებად ბრძოლა, შეუპოვრობა, თავგანწირვა და ყველა სიმნელის წუნაშე იკავიმიწვდომელი სიმამაცე გამოაცხადა:

გაბკვეთე ქარი, ვააბე, წყალი, გარდაიარე  
კლენი და ღრენი,  
გასწი, გაუტრცხლე და შემოიკლე მოუთმენელსა  
საველი დღენი!  
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრანავო, ნუცა სიყვება,  
ნუცა ავღარსა,  
ნუ შემობრალე დაქანულობით თავგანწირულსა  
შენსა მხედარსა!

პოეტს აღაბაფერი გაანია ცხოვრებაში, რაც „ბედის მსახერელ ხელს“ არ მოესპოს და არ განადგურებინოს. მის გულში მხოლოდ მოურჩენელი ტრილობა და კენესა ჩაზღვდები ტრფობის უწყალო ნაშთი. და ამ უქანსკულ განმსაც, რაც რომანტიკოსს შემოქმედს გაანია, იგი უყოყმანოდ სწირავს მერანს, მის „გიფერ ლტოლვას“, რათა აქამდე დაღუმებული გული მოითხოხს, „ბოროტ სულს“ სამაგიერო მიუღლას:

კენესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მიეცე ზღვის  
ღლვას,  
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიფერსა  
ლტოლვას!

მორიდების საზღვარი გადალახულია, პოეტი უგოყეებს თავის დილოვს „ბედის ვარსკვლავთან“, ცეცხლოვან პაექრობას „ბოროტ სულთან“, ინტიმურ საბლოვეს „უღაბნოდ მღვარ ტაძართან“ და ჭიქერ უცხადებს უღმობელ ბედისწერას:

გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე  
ბედის სამძღვარი,  
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონს  
შენი მხედარი!

მაგრამ ბარათაშვილის ლტოლვა თავისუფლები-  
სისაყენ არ არის ირაციონალური სწრაფვა რა-  
ღაც უცხო ნაპირისაკენ, სამოთხის ძიება ან  
უსაგნო, უმისამართო სრბოლა, რომელსაც არა-  
ვითარი კონკრეტული შედეგი არ მოჰყვება,  
არაფერს შესცვლის ამ ქვეყნად, არაფერს ეტ-  
ყვის „ბედის ვარსკვლავს“, „ბოროტ სულს“,  
„მსახერელ ხელს“. პირიქით, ბარათაშვილის შე-  
მოქმედების უპირველესი შედეგების მთელი  
სიღრმად ისაა, რომ რომანტიკოსი პოეტი ბე-  
დისწერასთან მჭიდრო ბრძოლის პირველ შე-  
დეგად საკუთარ განადგურებას, დამარცხებას  
ხედავს, მაგრამ ხედავს იმასაც, რომ მისი მავ-  
ალითით აღფრთოვანებული ადამიანი, კვლავ  
თამამად აღუდგება წინ მუხთალ ბედისწერას,  
არ დაემონება მას, რომ „გათენდება დილა  
მზიან და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“.  
ბარათაშვილი შეგუებულია: „დაე მოყვდე მე  
უპატრონოდ მისგან ოხერი“, მაგრამ „ვერ შე-  
შაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერა“. პოე-  
ტი დიდი იმედით ეთხოვება „ყოველთა დამამ-  
ხობელ საწუთროს“, იმ იმედით, რასაც ქვე-

ნიშში ჰქვია და პიროვნების თავისუფლება,  
რაც ბარათაშვილის მთელი პიექციის უღებ-  
ტივია:

ბიზლიჩისთა

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული  
სულის კვეთება,  
და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო,  
მაინც ღარჩება;  
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე  
გზისა გაუადვილდეს,  
და შეუპოვრად მას ქუნე თვისი შავის ბედის  
წინ გამოუქროლდეს!

ბარათაშვილის დიდებული პოეზია ჩვენს  
თანამედროვეობას სწორედ ამ მაღალი ჰუმანი-  
ზმიით ეხმაურება, რაც ადამიანის პიროვნულ  
თავისუფლებაში არის გამოხატული, რაც სა-  
ზოგადოების განვითარების შემომრავლებელი  
ბერკეტია დ რასაც ეპოქათა პროგრესის ის-  
ტორიული კანონზომიერებანი მთელი სიცხადით  
აღასტურებენ.





# „მერანის“ ენობრივ-სტილისტიკური ქარბა

ყოველი ჰემეარიტად პოეტური ნაწარმოებია ზეშთაგონებით ნაძერწი სიტყვიერი ძეგლია, მაგრამ მის ღრმად ემოციურ საძირკველს ყოველთვის შესაბამისად ერწყმის და ამტკიცებს შემოქმედის ინტელექტუალური გაჭანება. ამდენად პოეტური „წეა“ ერთდღესი ფსიქიკურა პროცესია, „გულის ფიქტვასთან“ ერთად იგი გონებრივი მკერტელობისა და სიტყვასთან უტეხი შერკონების ფართო ასპარეზიცაა. ამიტომ იყო, რომ შ. რუსთაველმა „შაირობა“ სიბრძნის დარგად აღიარა და პოეზიის ღრმად შინაარსული ბუნებაე შესანიშნავად გახსნა იმ რელაციამო, რითაც განგებას შესთხოვს თავისი პოემის დამთავრებისათვის საჭირო ძალ-ღონეს; პოეტის ძალ-ღონე კი მტეი არაფერია, თუ არა ენა, გული, ხელოვანება და გონება:

აქ ენა მინდა გამოთქმა, გული და ხელოვანება,  
ძალი მომეც და შეწევნა, შენგნით მაქვს  
მთვეუ გონება.

აქედან ნათელი ხდება ენის ძალეში მნიშვნელობა მწერლობისათვის. ენა სამწერლო ხელოვნების ძირითადი საშუალებაცაა და შემეცნებათი ფაქტორიც. იგი არის მწერლის სპიციკლბო ძარღვი, მისი ნიქი, აღმაფრენა, მთელა მისი სული და გული.

თუ გესურს კარგად ჩაეწედეთ მხატვრულ-სიტყვიერ ქმნილებას, საჭიროა მისი ენა და სტილი ეაქციოთ საგანგებო შესწავლის საგნად, იმ ენობრივი ქსოვილის ზვეულები ამოვიცნოთ. რითაც განსახიერებულა შემოქმედის მიზანსწრაფვანი, მისი აზრის ნიუანსები, მისი ფიქრი და გრძნობა.

ამგერად ზენეი მიზანია, ნ. ბარათაშვილის „მერანის“ ენობრივ-სტილისტიკურ საშუალებათა მოკლე მიმოხილვა.

„მერანი“ უდიდესი ძალის ექსპრესიული ნაწარმოებია. თუ ნ. ბარათაშვილის სხვა ლექსებისათვის ეაქმნიან გრძნობათა შესაბამისად მეტვეულების ერთგვარად შშიმე, წელი ტემპი არის დამახასიათებელი, რითაც უმეტესწილად აღწერა, მსჯელობა და დაფიქტებელი აბამიანის განსწა დარბაისლური სიღინჭით გაღმოიკემა, ამ ლექსში პოეტის სიტყვა აქტარებულა და აღზნებულა, სულმოთქმელი სულიერი ტრევილებით აფორიქებული მგოსანი თავბრუდამზვევი სრბოლით მიექანება უცნობ გზებზე და მისი მწეავე განცდება გამომატეული სიტყვაც უმძაფრესია, მძღავრი შეძახილი და ყოცინაა, შესაბამისია იმ თავაწყეტილი და ნიაღვარივით მოვარდნილი ენერგიისა, რომელსაც თითქოს შემეაყვებული ყებარები ვაურღვევია და გახელებით ვაჭრილა კოსმოურ სევტეში.

რა ენობრივი ფორმებით, თქმის რა ნაბრობითა და მხატვრულ-სიტყვიერი ფერადებით მიაღწია ნ. ბარათაშვილმა ვაღმოკემის ამ მკვეთრ დინამიკას, რითაც „მერანი“ აღიარებულ იქნა მისი შემოქმედების ზენიტად, მისი სულის „კენიალღრ და გრანდიოზულ ამოთეოზად“ (გ. ჭიბლაძე).

ამ ლექსის ენობრივი სპეციფიკა, მისი სიტყვიერ-გამომსახველობითი ინვენტარი, ბუნებრივია, ნ. ბარათაშვილის მთელი პოეზიის სიმეტეველი თავისებურებათა ფონზე უნდა განიხილებოდეს.

ვადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ნ. ბარათაშვილის ლექსების ენა ძირითადად ახალი სასაუბრო მეტვეულების მკვიდრ ნიადაგზე დგას. პოეტი საკმაოდ არის დაშორებული როგორც ძველი (V-XII სს) ელსიკური მწერლობის ენას, ისე, განსაკუთრებით, ძველ ქართულს იმ „თავისებურ სურგატს“ რომელიც XVIII საუკუნეში ხელოვნურად შექმნეს ანტონ კათა-

ლიკოსმა და მისი გრამატიკული სკოლის მიმდევრებმა. როგორც ცნობილია, ანტიონისეული „მალაი სტალი“ მოწყობილი იყო ცხოვრებას, იგი, აქრებულთა ხელოვნური გამოკონილი ფორმებით, დამამბებელი ბუნდოვანი გამოთქმებითა და რაული, „დეკარტის“ წინადადებებით, აშკარად აფერხებდა საერთო ეროვნული ენის ბუნებრივ განვითარებას და გაუგებრობის წყაროდ იქცეოდა.

წ. ბარათაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ მას არქისტიკა, იოსელიანი ასწავლიდა, არ გააყვამგვარა „ბუნებრივებებს“ და თავისი უზალო ნაწარმოებები ხალხური სასაუბრო ენა-სტილით ჩამოაყალიბა. მართალია, მის პოეზიაში ძველ-ქართლის ლექსიერ-სტილიტიკური ცვალიც საკმაოდ შეინიშნება და პოეტი, როგორც ეს აქედ. ა. შანიძეს მართებულად აქვს შენიშნული, „სიტყვების შერჩევის დროსაც ძველს მარავში იტყობება და იქედან ამოაქვს თავისთვის საჭირო მასალა“, მაგრამ უნდა გვახსოვდნის, რომ ვადაშვილი უპირატესობა დიდი მგონის შემოქმედებაში ახალ სასაუბრო ქართულს აქვს მინიჭებული. იგი ამ ქართული მეტყველებს და პოეტური გამომსახველობის გასაძლიერებლად შიგა და შიგ ურევს ლექსიერ თუ გრამატიკულ არქაიზებს (ოღეს, მუნ, არს, არღმ, სახაერი, ვარნა, მარქვი, დამაენილო, გარველი, აღმოხდა, განაღვიძებს, გარდაღვინა, შთავიდეს; დეღვანი ვენებათანი, შენთა აღაქმათა, თვალთა ჩემთა, შენნი დაღაღნი, მცირითა შექით და სხვ.)

ბარათაშვილის პოეზიისათვის დამახასიათებელი ეს საერთო ენობრივი ნიშან-თვისება, ცხადია, „მერანსაც“ ახლავს. აქაც იგრძნობა ეს ახალქართულობა და „გამოთქმის ინტენსივობისათვის“ მოხმობილი „ოღნავ არქაიზებული სტილი“ მეტყველებისა (ა. ვაჩეჩილა).

თუ მოვისტრეგებთ ამ მიმართულებით კონკრეტულ ფაქტების მოხმობას, შიშული ლექსიდან ჩვენს წინაშე მხოლოდ რამდენიმე ლექსიერი და გრამატიკული არქაიზები წარმოადგება: აჟ, ჰუნე, გარდამაბარე, გარდაიარე, რასაც დამატება ნარ-თანონი მრავლობითის წყვილად შეთანხმებული ფორმები — რადენი და ღღენი, სავალი დღენი, ციხრნი ცვარნი, სეაენი მუივარნი; ჩემთა მშობელთა, ვარსკლავთა თანამავლთა, ძვალთა შთენილთა...

პირველი შემთხვევის გარდა (ყლდენი და ღრენი) ამ ადგილი აქვს მსაზღვრელის რიცხვში შეთანხმებას საზღვრულ წყევთან. ზოგი მთავანი გამოწვეულია სიტყვათა შებრუნებული (ძველი) წყობით (სეაენი მუივარნი, ჩემთა მშობელთა, ვარსკლავთა თანამავლთა, ძვალთა შთენილთა). ამ სინტაქსურ კონსტრუქციის ამკარაა, ატორი ქვეშეცნულად მიმართავს, რათა შეიქმნას თანაზომიერად განმეორებული ბეგრათა საამო პარმონია, ე. წ. ალიტერაცია, რაც შესიკადურად აქედრებს მთელ სტრიქონს.

უნდა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა  
სატრფოს ტუბილმობუბარსა...  
ოღონდ ვარსკლავთა, თანამავლთა ვამცნო  
გულისა მუ საიღუმლო...  
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად  
მივაღაღებენ სეაენი მუივარნი...  
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით,  
ღრიალით მიწას მიამყარის...

ამ ეფექტს, ცხადია, ვერასვით ვერ მივაღწევდით, თუ ამავე სიტყვებს ახალი (პირდაპირი) წყობითა და ფორმით ვიხმარდით: სახელდობრ ასე: სავალი დღენი, მუივარი სეაენი, ჩემს მშობლებს, თანამავალ ვარსკლავებს, შთენილ ძვლებს. ასეთი თქმები პოეტური ავალსაზრისით უსახური და სუსტია, აქ აშკარაა პოეტური ზერხის — სიტყვათა ინვერსიის ძალა და მომზიხველობა.

„მერანის“ ენობრივი დამახასიათებლისათვის დაწვრილ მტკიცე საგულისხმო თავისებურებას უნდა მივიტყოს უფროაღებდა ეს ლექსი მოკლებულია სიტყვიერ ფერადოვნებას, მისში ძლიერ ძუნწად არის წარმოდგენილი ტროპული მეტყველების ძირითადი საშუალებები. ეს საგულისხმო ბუნებრივად მოგვეჩვენება, თუ ლექსის ხასიათს გავითვალისწინებთ. „მერანო“ უარგრძობათა ტიტანური აღზვევისა და წინააღმდეგობათა შეჯახების გამომწვეურებაა, ერთი მთლიანი მონოლოგთა ბუდის წინაშე ამბოხებული ლარკული გმირისა, რომელიც საშუაროს მადლი ზმთ ეხმარება, ებნევის, ლამობს „ბედისწერის“ ზღუდელთა გარღვევას, ეძლევა გაშვებულ სრულთა სავსელ-სიკვლილი მივანზე. ნაწარმოების ინტონაცია ტუბული ხაზებით მიემართება: მოკლე აღწერათობობის სწრაფად სცელის მოწოდება, მოწოდებას რიტორული შეკითხვა და შემახილი, მსყელობა, მხოლოს ისე, მობობა რეაღერი ვითარების ვადმოსაცემად და ისეუ საბოლოოდ ეინიანი მოწოდება და შემახილი „გაპსნი მერანო“, რათაც უცვლელად ბრუნდება პირვანდელი მოტივი.

„მერანის“ სამფონიურ ელერადობას დამატებით აძლიერებს სწრაფცვლადები მეტრისა და რიტმის დინებაც, რომლის ანალიზი ზედმოწეებით აქვს მოცემული მკვლევარ ა. ვაჩეჩილაის დიდი პოეტისადმი მიძღვნილ თავის მონოგრაფიულ ნაშრომში.

„მერანის“ გამოქვეყნებული ეგზომ მდელვატ სიტყვათა, ბუნებრივია, ვერ იფუნდა გამოცემის რეგორულად დახვეწილ, რაფინირებულ სტილს. ერთადერთ ზერხად ლექსის ატორს, რომელსაც თითქმ არ ეცალა პოეტური ორნამენტაციაზე სამშობლო, „ღიადი უბრალოება“ უნდა აერჩია და სამკველებს მოცულული ავტორებელი და უსაჰიროესი „შეშველი სიტყვებით“ ელაპარაკა. ეს მართლაც ასეა: „მერანის“ პოეტური ლექსიკაში თითქმის სულ არ



ცხდებით შედარებასა და მეტაფორას, რომელთა გამოყენებას ოქრომწოდისა თუ მოქანდაკის სისუსტე, დაკვირვებულობა და მოთმინება პირდება. ეპითეტი კი აქ მეტად განსაზღვრული რაოდენობით არის წარმოდგენილი. სხვა ლექსებში, სადაც დინჯი მჭკრეტელობა და გადმოცემის ნელი ტემპი იგაჩნება, პოეტი უხვად ხმარობს ეპითეტებსაც და სხვა პოეტურ ფიგურებსაც. სანიმუშოდ მიემართათ ლექსს „შეზოღებმა მოაწმინდახედ“, რომლის სტრუქტურაში მოაწმინდის აღვილი განსაზღვრულია ზედხედ მოსული ეპითეტების რიცხით: „ღამაფიჭვრელი, ვერანანი და უდაბურნი“. აქვე ასეთი ნიმუშებიც: ცაგნი ნელნი, ტურფა სერა, ძირს ვამალი ლამაზი ველი, შიშა ტაბლა, ზენდოვანი კლდე, ლაზი, მინაზებელი ბუნება, ნაძალთ მღუმარებით აღმუბი მინისის მწუხრა, ცოფი განგება და შრავალი სხემ დროს, როდესაც „მერანში“ ეპითეტების გარეშე დგას ისეთი სიტყვებიც კი, რომლებიც ჩვეულებრივ ფრანგულგამოც ტრადიციულ ეპითეტებს ირთავს, როგორც თვით მერანი, ავღარი, სიხე, ნავი, მხედარი, შაშული, მეგობარი, შშობელი, სამშობლო, ქარი, საფლავი (ჩვეულებრივ მეტყველებაში ეიტყოდით. მავალითა, სწრაფი მერანი, საშინელი ავღარი, მწველი სიხე, გულადი მხედარი, ტკბილი შამლი, ერთგული მეგობარი, მძლავრი ქარი, მთლი საფლავი...) ლექსში „წარმოდგენილი 76 არსებათი სახელის შარავიდან მხოლოდ 12-ოდ არის განსაზღვრული, მათგანც 4-ს აბაპოეტური (ჩვეულებრივი) მსაზღვრელი ახლავს (სავალი დღენი, ვარსკვლავნი თანშავალი, თავგანწირული მხედარი, გზა უვალი, შენგან თელილი) 3-კი ასეთი ეპითეტებით არის შემკული: თვალბედითი („თვალბედითი შავა ურანნი“); ფიჭვი ჩემი, შავად მღელვარი, სატრფო ტკბილმთვარი, ტილა მინდარი, ცურნი ცვარნი, სვავნი მოვიარნი, მოსისხლე მტერი, შავი ბელი.

ცალკე უნდა გამოვყოთ ერთი მაგალითი, სადაც აბსტრაქტული სახელი „ღტოლა“ ერთდროულად სამი ეპითეტით არის დახასიათებული. კონტექსტში ის ასე იკითხება:

კენესა გულისა, ტრფობისა ნაშთი, მიეცე  
 ზღვას ღელვას,  
 და შენს მშვენიერს, აღტაბელს, გაეურსა  
 ღტოლვას

აქ ეპითეტის ფუნქციური როლს აძლიერებს მეორე ხერხი გამოთქმისა, რომელიც პოეტური სემანტიკის სფეროს განეკუთვნება. ეს არის შინაარსობრივი ვრდაღაცა სიტყვებისა, რომლის მიხედვით ყოველი მომღვინო ერთეული მნიშვნელობით მაღალი, ღრმა და შთამბეჭდავად წინამდგომთან შედარებით. ამით იქმნება მოსისმენად წარმატატი, კიბურად აღმავალი სემან-

ტიური ხაზი მეტყველებისა, რაც „მერანის“ ავტორს არა მარტო ეპითეტების (ე. ი. ზედსართავი სახელების) თანწყობით აქვს მიღწეული, არამედ ზმენის, ზმინეულებს და სხვა მეტყველების ნაწილთა სინონიმურ დაკავშირებითაც. ამის ნიმუშები შემდეგია:

მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ ჩემი  
 მეიანი...  
 გააკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაარე  
 კლდენი და ღრენი  
 გამსწი გაეურცხლე...  
 გამსწი გაფრინდი...  
 და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით,  
 ღრიალით მიწის მამაყრის...

ლექსიკური ფერადონებისა და სიმკაელების ნაელებობას „მერანში“ ანაზღურებს ინტონაციური მიმოქცევითა სიმრავლე, რაც სავსებით ეგებება ლექსის მკვეთრ ემოციურობას. ესენია ის პოეტურ-სინტაქსური ვარიაციები, რომლებსაც უმოწყურესად გამოიყენის პარალელუზმის, რიტორული მიმართვის, შეკთხვის, შემაბილის, ინვერსიისა და ანტითეზის სახით თითქმის თავისთავად, მოფიქრებისა და მზადების გარეშე, სტიქურად მიმართავს პოეტი თავაწყვეტილ უიქისა და სტოლოში.

შეებრლეთ გამოიყენებანე, ცნობილია, რომ ემოციურად აღტყინებული, გაშმაგებული ადამიანი ერთსა და იმავე გამოთქმებს, ამოჩემებულ სიტყვებს დაიწებით იმეორებს. ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს „მერანში“ სიტყვის „გამსწი“ ხუთჯერ გამოიყენება, ერთგვარი ჩამოთვლითი ხასიათი აქვს უარყოფის ნე ნაწილაკის მჭერ წარმოთქმის სხვადასხვა ვარიაციით: ნე შეფარვი, ჩემი მჭრინავო, ნეცა სიხესა, ნეცა ავღარსა, ნე შეშობალბე დაწანეულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა; ნელა ეიხილავ ჩემთა მშობელთა; ნე დაეიმარხო ჩემსა მამულში... ნე დამიტიროს სატრფომ გულისა, ნელა დამეცეს ცრემლი მწუხარის...

გამოიყენებს აგრეთვე დიდი ადგილი აქვს დამოხილი ლექსში, აქ განმეორებულია არა მარტო ერთი და იგივე ან მსგავსი სიტყვები, არამედ მთელი სტროფებიც და ტაემებიც: პირველი სტროფი („მირბის, მიმაფრენს...“) ბოლოში უცვლელად არის გამოიყენებული, ხოლო ამავე სტროფის მეორე ნახევარი

გამსწი, მერანო, შენს კენებას არ აქვს  
 სამძლავარი,  
 და ნავს მიეცე ფიჭვი ჩემი, შავად მღელვარი

ლექსის მდინარეებში რამდენჯერმე გვხვდება — დასაწყისს, მეოთხე და მეექვსე სტროფებში, ამასთანავე ამ უკანასკნელში იგი საკმაოდ შეცვლილია: მეორე სტროფონად ნაცვლად სიტყვებისა: „და ნავს მიეცე ფიჭვი ჩემი, შავად მღელვარი“, აქ იკითხება:

თუ აქამოდღე არ ემონა მას, არც აწ ემონოს  
შენი მხედარი.

იგივე ორი სტრიქონი უცვლელად კიდევ ერთხელ (მეოთხედ) იხენს თავს ბოლოში, რადგან, როგორც იტყვა, ბოლო სტროფი პირველის მთლიანი განმეორებაა. თქმულს ასიც უნდა დავმართო, რომ ხსენებული სტრიქონების ერთგვარ ანალოგიას და გახსენებას იძლევა მეორე სტროფის მეორე ტაქვის „გაპსწი“ სიტყვით დაწყება:

გაპსწი, ვაერცხლე და შემიმოკლე  
მოეთიმენესა საჯალნი დღენი!

ეს დავიკრება საფუძველს ვაძლევს სტროფების, ტაქებისა და ცალკეული სიტყვების განმეორება, შემთხვევით მოვლენად კი არ ჩავთვალთ, არამედ მასში გარკვეული კანონზომიერება ამოვიცნოთ და იგი შესაძლებელი პარამონისათვის კარგად ცნობილ მოვლენას — კონტრაპუნქტს დავუკავშიროთ.

როგორც ცნობილია, კონტრაპუნქტს სიმფონიაში ჭმნის გარკვეული მუსიკალური ფრაზით გადმოცემული ძირითადი მოტივის თანაზომიერი, ზოგჯერ ნაწილობრივი განმეორება, ისე, რომ დროდადრო მელოდურ მდინარეებში იკვეთება ნაწარმოების მთავარი თემატური ხაზი, როგორც გახსენება საწყისი პუნქტისა. უბრაუდნება რა ამ ხაზს, ნაწარმოები წინსვლით მიისწრაფის სიახლეებისაკენ და ასეთ მიმოქცევაში მშენებელი უდიდეს სიამოვნებასა და შინაგან შთაბრუნებას ეუბიარება.

„მერანის“ განმეორებათა რკალეზშიც აქა-რად შეიგრძნობა ეს შინაგანი რიტმი და თანაზომიერება, რის გამო სრულ კემპარიტებად უნდა ვცნოთ მკვლევართა აზრი, რომ „თემატური რკალეზის თანმიმდევრობისა და რიტმული წყობის მხრივ იგი ნამდვილი სიმფონიაა“ (ი. გაწერელია).

თავისი შინაგანი ბორჯვისა და დრტივის გამოსახატავად „მერანის“ ავტორს არ ყოფნის ისეთი ეფექტური სტილისტიკური ხერხებიც კი, როგორც არის რიტმული განმეორება, მასთან დაკავშირებული პარალელიზმი და ინვერსია, რომლის შესანიშნავი ნიმუშები (შეზღუდული წყობით ჩამატებული მსაზღვრელ-საზღვრელები — ვარსკვლავთა თანამეაღლა, სვანი შყვიანი, სატრფომ გულისა დე მისო.) ზემოთ მოვიხსენიეთ. ამასთან ერთად ნ. ბარათაშვილი საესტეტიკურ ბუნებრივად და ძალდაუტანებლად იყენებს რიტორულ მიმართვებს, როგორც არის:

გაპსწი, მერანო!

ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო!

გაპსწი, ვაფრინდი, ჩემო მერანო!

აზრის გასაძლიერებლად დასმულ ემოციურ შეკითხვას: რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვალდე მსწორთა და მგებრანსა? შემახებას:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულსო...

დაე, მოვეცდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი...

და ეს სინტაქსური ნიუანსები თუ ძირითადად წარმოთქმითი (დადებითი) ეპოს ფორმაში მოედინება, დროდადრო მოულოდნელად ეხვევა ეუთქმითი გადმოცემის სამოსელში და მოვლექსის კონტრასტების ხლართვებში ხვევს. ამ თითქოს პოზიციის და ნეგაცია (ანტითეზი) ერთმანეთს ეჯიბრება და ებრძვის მეორე სტროფიდანვე, სადაც პირველი ორი სტრიქონის დადებითის გამოთქმებს — გააკვეთე ქარი, გააპე წყალი! — პირდაპირ მოსდევს ნეგატიური ფრაზები: ნუ შეეფარვი... ნუ შემიბრალე...

შესამე სტროფში იგივე ვითარებაა, ოღონდ აქ ერთმანეთს უპირისპირდება პირველი და მეორე ტაქვი: რაა, მოვშორდე... ნუღა ვიხილავ... მეზუთე სტროფი ორტაქვიანი ნეგატიური გამოთქმებით იწყება, რასაც მოსდევს ამავე რაოდენობის წარმოთქმითი პასაჟი:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულსო, ჩემო

წინაპართ საფლავებს შორის,

ნუ დამიტიროს სატრფომ ვულისა, ნუღა

დამეცეს ცრემლი მწუხარის,

შავი ყორანი გამითხრის საფლავს, მდგლოთა

შორის ტალის მინდვრის

და ქარიშხალი ძვალთა, შთენილთა ზარით,

ღრიალით მოქსს მამაყრის!

ამ დიდებულ სტრიქონთა საოცარ ელვადობაში დიდი წილი აქვს გამოთქმის კონტრასტულად განსხვავებულ და ორგვარ საშუალებებს — უარყოფითსა და დადასტურებითს.

მეშიდე სტროფში კიდევ ერთხელ ძლიერად გაივლევს კონტრასტული ხლართი მედიტაციისა. აქაც პოზიტიურად გამართულ სტრიქონს, რომელიც პოეტური შეძახილით არის გაძლიერებული („დაე, მოვეცდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!“), ერთბაშად მოსდევს უტეხი ნებით ნათქვამი ეუთქმითი წინადადება: „ეერ შეშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერს!“ საყოველთაოდ ცნობილი მეორე სტროფი კი („უცლად ხომ შინი არ ჩაივლის...“) მთლიანად თქმის პოზიტიური მანერის ხასიათდება, რაც კარგად შეესაბამება მის ოპტიმისტურ დედა-აზრს. არსებითად ამ ქანასლი აზრით დატვირთული სტროფით, როგორც გამარჯვების საზეიმო აყორდით, მთავრდება ეს გენიალურად ლექსიც, რადგან მისი სულ ბოლო სტროფი ხომ პირველის უცვლელი განმეორებაა.

## „მერანი“ და „აბუ-ლალა-მარანი“

დიდი ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას სომეხი ხალხი და მკითხველი საზოგადოება XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გაეცნო. „მერანი“ სომხურად პირველად თარგმნა ოვ. კოსტანიანიძე და გამოაქვეყნა ტ. ნახაბიანის ეურნალ „ტარაზ“ (მოდა) 1893 წლის მე-15 ნომერში. ამავე წელს ამ ეურნალში (17.IV) გამოქვეყნდა არუთ. მირიმანიანის ინფორმაცია ქართველი პოეტის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენების შესახებ. იქვეა მოთავსებული პოეტის შოკლე ბიოგრაფიაც. ნ. ბარათაშვილის შემოქმედების სისტემატური თარგმანი სომხურ ენაზე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაიწყო. ქართველი პოეტის ლექსები ქვეყნდება სომხურ პერიოდულ პრესაში, გამოდის ცალკე გამოცემები. მისი პოეზიის თარგმანები შესულია გ. ასატურის „ქართული ლიტერატურის ნიმუშებში“ (1931). ამ კრებულში მოთავსებულია მისი შემდეგი ლექსები: „მერანი“, „ჩემს ვარსკვლავს“, „სულ ბოროტო“ და სხვა, რომელთა თარგმანები შესრულებულია გ. ასატურის, ე. სიმონიანის, ს. აფიანიანის მიერ. ნ. ბარათაშვილის შემოქმედება შედარებით სრულყოფილადაა წარმოდგენილი 1946 წელს გამოცემულ პოეტის რჩეულ ლექსთა კრებულში, რომლის სომხური თარგმანი ს. აფიანიანს ეკუთვნის.

შექმნის დროს (1909 წ.) კი იყო მხოლოდ ზემოთ ხსენებული სომხური თარგმანი ოვ. კოსტანიანიანისა და ივან და მარიას (თხოველსების) მიერ რუსულად შესრულებული თარგმანი (1884 წ.).

„მერანის“ და „აბუ-ლალა-მარის“ ლიტერატურული ურთიერთ მიმართება მსჯელობის საგნად იქცა ამ უკანასკნელის პირველი ქართული თარგმანის გამოცემის შემდეგ. 1929 წელს გამოვიდა „აბუ-ლალა-მარის“ ქართული თარგმანი, რომელიც გამოჩენილმა ქართველმა პოეტმა ტ. ტაბიძემ შეასრულა. პოემის ტ. ტაბიძისეულ თარგმანის გამოცემას წინ წამდვარებული აქვს ა. ისააკიანის წერილი „ჩემი პოემა „აბუ-ლალა-მარის“ ქართულ ენაზე გამოცემისათვის“. წერილში ა. ისააკიანი წერს — „შე ბედნიერათ ვგაჩნობ ჩემ თავს, რომ ჩემი პოემა „აბუ-ლალა-მარის“-ს ვიხილავ უდიდეს შოთა რუსთაველის უკვდავ ენაზე.“

მოხარული ვარ, შეძლება მაქვს განვაცხადო, რომ ჩემი უფროსი შვა ნიკო ბარათაშვილი იყო ამ პოემის შთაგონება.

მისმა უშუალონიერესმა „მერანმა“ მე თავდავიწყებით გამოიტაცა.

აბუ-ლალა-მარის ქარავენი ბარათაშვილის მერანის კვალს მისდევს.“

პოეტის ამ გულახდილი განცხადებისთვის საფუძველი მართლაც არსებობს, რადგან თვალის ერთი გადავლებითაც შეიძინევა სულიერი ნათესაობა ამ შესანიშნავ მხატვრულ ქმნილებებს შორის.

ა. ისააკიანი „მერანის“ და „აბუ-ლალა-მარის“

ამჟამად არსებობს „მერანის“ ექვსი სომხური თარგმანი<sup>1</sup>. ა. ისააკიანის „აბუ-ლალა-მარის“

<sup>1</sup> ოვ. კოსტანიანი (1893, „ტარაზ“ (მოდა) № 15), გ. მელიანი („მარტაკო“ მებრძოლის ხმა, 1923, № 76), გ. ასატური (ნორქ — სიხლენი, 1927 № 1), ე. სიმონიანი („სოვეტკან ვრასტან“ 1938, № 71), ს. აფიანიანი („სოვეტკან ვრასტან“ 1945, № 75) ს. ტარონი („სოვეტკან პასტან“ — საბჭოთა სომხეთი, 1945, №—223).

რის" ურთიერთობის საკითხს მოგვიანებით კიდევ მიუბრუნდა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგისადმი გაგზავნილ წერილებში. ეს წერილები კი პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა გამოაქვეყნა საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის 1960 წლის აღმანახში, გვ. 360—364, სომხურ ენაზე.

ა. ისაყიანი 1947 წლის 29 დეკემბრის პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგისადმი გაგზავნილ წერილში „მერანისა“ და „აბუ-ლალა-მარის“ ურთიერთობის საკითხზე წერს — „მე არ მახსოვს ზად და როდის მიცნობებ, რომ ნ. ბარათაშვილის უშუალო გავლენის ქვეშ დავწერე აბუ-ლალა. მე „მერანი“ წავეყიებე 1890-იან წლებში ივანე-და-მარტას რუსულ თარგმანში, აბუ-ლალა დავწერე 1909 წელს. ძნელია, რომ გავლენა ამდენ ხანს დარჩენილიყო, ხოლო უშუალო გავლენის შესახებ ლაპარაკი ზედმეტია. მხოლოდ არიან პოეტები, რომელიც ძალიან მიყვარდნენ და მიყვარან: ბაბრონი, ჰინე, მიკევეჩი, ლერმონტოვი და მათ რიგშია ნ. ბარათაშვილი. აბუ-ლალა, ბაბრონის ჩაილდ პაროდია, მიკევეჩის ფარსისა და ბარათაშვილის მერანი სულერად ძალიან მახლობელი არიან. ისინი მშობლიურად იყვნენ ჩემი განწყობილებებისა და სულიერი მისწრაფების. სხვა რა გავლენასა და მსგავსებაზეა ლაპარაკი? რაც შეეხება მეტრულ ზომებს, ეს ცნობად ყასიდს ეკუთვნის, რომელიც სპარსულ-არაბული ბუთია, ჩანს, ასეთი რამ ეთქვა, ეს ჩემი ნათქვამი პიეტროლიდ ვახადეს. მაგრამ არაუშავს რა, ეს საკითხი არ არის, არის დრო და კრიტიკა, და ერთ დღესაც ნათელი გახდება“.

1951 წლის 3 ივლისით დათარიღებულ წერილში ა. ისაყიანი ამ საკითხს კვლავ უბრუნდება და პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს სწერს — „თქვენს მიერ ხსენებული ჩემი წერილი, რომელიცაც მახსოვს, დავწერე 1929 წელს „აბუ-ლალა-მარის“ თარგმანის დროს (ლაპარაკია

„აბუ-ლალა-მარის ტ. ტაბიძის ქართულ თარგმანზე. ბ. ა.), რომელშიც აგრეთვე, როგორც მახსოვს, დავწერე, რომ... ჩემი პოემის „შთაბგონებლები იყვნენ მიკევეჩის „ფარისი“ და ბარათაშვილის „მერანი“. არ ვიცი, მიკევეჩის სახელი რატომაა გამოტოვებული. ვთხოვ, თუ შესაძლებელია, ჩემი სტატია შეამოწმეთ. შეიძლება ვცდები, შეიძლება შემთხვევით დამავიწყდა, ძალიან დიდი დროა გასული“.

ა. ისაყიანის წერილიდან ჩანს, რომ პოეტი შეეპყვებულა თავისი სტატიის ამ ადგილით, სადაც ლაპარაკია მისი პოემის შექმნის დროს ნ. ბარათაშვილის „მერანი“ შთაბგონების შესახებ. პოეტი პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს სთხოვს, შეამოწმოს მისი წერილის საეგებო ადგილი. ეს თხოვნა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს შეუსრულებია და გადაუთვალისწინებია პოემის პირველი შთარგმნელის ტ. ტაბიძის არქივი, რას შესახებაც იგი წერს — „ა. ისაყიანის ამ წერილთან დაკავშირებით ჩვენ კვლავ გაცისნევით განსვენებული ქართველი პოეტის ტ. ტაბიძის პირადი არქივი, რომელიც ახლა მთავსებულია საქართველოს მწერალთა მუზეუმში, მაგრამ ვარაუტის ნაწილებიდან არაფერი არ აღმოჩნდა“. ა. ისაყიანის აღნიშნული წერილის რუსული ორიგინალი, რომლის ქართული თარგმანი „აბუ-ლალა-მარის“ 1929 წლის გამოცემის ერთევის წინ, იმ ხანებში მართლაც არ იყო მუზეუმში და ინახებოდა სომეხ პოეტ მ. ქარაშიანთან. ამჟამად დაიკვლია საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში, ტ. ტაბიძის პირად არქივში. წერილის ორიგინალში ხსენებული საპოქმანო

<sup>1</sup> ამ წერილის ფოტოპირი და მოზრდილი სტატია გამოაქვეყნა შ. ქარაშიანმა გაზეთ „გრაჟან თერთ“-ის (ლიტერატურული გაზეთი) 1961 წ. № 22-ში, აგრეთვე ე. არსენიშვილმა და ბ. ზამბახიძემ — გაზ. „Вечерний Тбилиси“, 1962 № 135 და სხვ.

ადგილი ასე იყოთება:

Я чувствую себя счастливым,  
 видя „Абу лала шаари“ на  
 бессмертной музыке великого  
 Мухаммада Ауэзова. Я высоко ценю  
 вашу службу, это мой старший  
 брат Бараташвили вхожу в  
 меня. Это

~~Вот мое письмо к вам на~~  
~~Колумбу~~  
 Прекраснейший Тирани увлек  
 меня. Караван Абу лала следит  
 по следам колумбараташвили...  
 Явешик Исаакнак

19 21 1929

Иванов.

ამრიგად, როგორც ვხედავთ სპოკმანო იდ-  
გლის ქართული თარგმანი ორიგინალს არ შო-  
რდება.

ამ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ნააუ-  
საობის ავალსაზრისით უნდა ითქვას, რომ ამ  
ორ დიდებულ პოეტურ ქმნილებებში დასმუ-  
ლია უდიდესი პრობლემა — წინააღმდეგობა  
სინამდვილესა და იდეალს შორის. ორივე ნაწა-

რმოების გმირები კაცობრიობის ნათელ მომავ-  
ლისთვის იბრძვიან. ამ მიზნის მისაღწევად „მე-  
რანი“ და „აბუ-ლალა-შაარი“ თავიანთი დამოუ-  
კიდებელი გზით მიდიან და თუ ვილაპარაკებთ  
მათ ურთიერთობაზე, ეს მათი „სულიერი ნა-  
თესობა და სიხალოეა“, როგორც აღნიშნულ  
წერილში თვით ა. ისაყიანი მიუთითებს.





ნიკოზ ბარათაშვილი

ნიკოლოზ ბარათაშვილი თანამედროვეთა მიმოხილვაში

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული არქივი დაკარგულია. პოეტის თანამედროვეთა საოჯახო არქივების უმეტესობამაც ჩვენამდე არ მოაღწია.

ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს, ბარათაშვილის პიძის, პოეტ გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარული შეგვიდრეობის ნაწილი, მისაღმი მიმართული ბარათები და სხვა და სხვა პირთა მიმოწერა, რომლებშიაც ნიკოლოზ ბარათაშვილი რამდენჯერმეა მოხსენებული უმთავრესად ტატის სახელით. როგორც შინაურობაში ეძახდნენ.

თუ ვაითვალისწინებთ იმ ვარაუდებს, რომ პეტრის შეტად მწირია ბარათაშვილის საბიოგრაფიო მასალა, ვასაგები გახდება მნიშვნელობა იმ დროის ეპისტოლეებში მოთავსებულ „სულ მცირე“ ცნობებისაც კი, რომელიც „მეზრანის“ ავტორს და მის ოჯახს ეხება.

გავეცნობთ ამ მასალებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მშობელთა წერილებიდან მხოლოდ იმ ადგილებს მოვიტანო, რომლებშიც პოეტს ეხება.

თარღები ძველი სტილითაა ნაჩვენები.

1880 წ.

— ნიკოლოზ ბარათაშვილის პიძა, ზაქარია ორბელიანი, 1830 წლის ავგუსტოს დაძვევს, ზარკვიდან თბილისში, ბარათაშვილის მამის, მელიტონის შესახებ წერდა მას გრიგოლს:

„მელიტონს უთხარი, ჩემს მაგიერად, მოელოდეს ასეთ ნივთებს მოუტან ფრანკილიდან, რომ გაკვირდეს. ძალიან არ ვიცი, რომ მელიტონ იტყვის, ნეტა რას მიქაჩარმსო. ყოველთვის ასე აღმოჩქვამს და არაფერს კი არ მომიტანს ხოლმეო“ (სცა ფ. № 2115).

1881 წ.

— მკვლევარმა აკაკი გაწერელიამ, 1935

წლის „ლიტერატურული შეგვიდრეობის“ პირველ წიგნში, გამოაქვეყნა ნ. ბარათაშვილის მიერ, 1831 წელს თბილისიდან, გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილი რუსული ბარათი.

როგორც ბარათაშვილის მამის — მელიტონის, იმავე ხანებში ცოლის მისაღმი მიწერილი ბარათიდან ირკვევა, ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის ეს ყოფილა რუსულ ენაზე წერილის შედგენის პირველი შემთხვევა.

1831 წლის 3 სექტემბერს, მელიტონი ამის გამო თბილისიდან წერდა გრიგოლ ორბელიანს: „ვისთანაც მოკითხვა მოგეწერა, უვლამ მადლობა და მოკითხვა მოგახსენეს. ჩემმა ტატომ კი, წიგნი მოგწერა. მერწმუნე თვითონ დაწერა. არავის უსწავლეთა“ (ეგრნ. მხათობი, 1938 წ. № 12).

— შეტად საყურადღებოა, ბარათაშვილის პიძისა და თანაცესელის, ილია ორბელიანის მიერ, 1831 წლის 5 ნოემბერს, თბილისიდან მამის, გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიაც ვგზუდება ცნობა ნიკოლოზ ბარათაშვილის გიმნაზიის მეოთხე კლასში გადაყენების თაობაზე:

„მე გამომცადეს და, მადლობა ღმერთს, კარვად ეპასუხობდი. მე და ტატეო გადავეუყვანეს მეოთხე კლასში. ეხლა მე იმედი მაქვს მეხუთე კლასში გადასვლისა“ (იგივე წყარო).

— 1831 წლის 5 ნოემბერს, ზორჯიან ორბელიანი, თბილისიდან პეტერბურგში მყოფ შვილს, გრიგოლ ორბელიანს წერდა:

„ილიას ამბავი გეკითხა. ეგზამენიში კარვად იყო. მეოთხეში გაიყვანეს და თითონაც მოგწერა წიგნი...“

მამის უმაღლესობას მართამ დედოფალს და მათ უგანაოღებულესობას ბატონიშვილებს, ჩემ მაგიერ ხელს კაცნა მოახსენე. ბატონიშვილმა

მარიაშა, ეფემიამ სიყვარულით მოვიკითხეს" (სკა ფ. 2, № 2115).

1832 წ.

— ძალზე სინტრეტიკო, ილია ორბელიანის მიერ, 1832 წლის 4 თებერვალს, თბილისიდან გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილი ბარათი, რომელიც ბარათაშვილის მიერ გამანათამისისტრობის, ფრანგული და გერმანული ენების შესწავლას ეხება:

«Письмо Ваше получил, которое меня очень обрадовало. Вы написали, что бы я прислал к вам мой рисунок.

Я нарисовал и послал, хотя еще не так хорошо я нарисовал, но все таки можно назвать хорошим, потому что я недавно начал учиться рисовать.

Я начал тоже учиться истории.

Директор наш сказал нам: кто хочет по-немецки учиться, и кто хочет — по татарски, а по французски все должны учиться.

Но я по-немецки учусь потому, что я не мог бы по-татарски выучиться так, как по-немецки.

Мы теперь из нашего класса учимся по-немецки только четверо: Я, Татико, Вагრაიონ — сын Давида и Меликов.

Мы теперь по-немецки читаем и пишем так, как по-русски. И скоро начнем грамматику.

А те, которые учатся по-татарски, не могут читать и азбуку.

И по-французски тоже хорошо читаем и недавно начали грамматику» (გვხ. „წიგნის სამყაროში“, 1968 წ. № 6).

— 1832 წლის 16 მარტს, ზაქარია ორბელიანი, კამენკიდან თბილისში დედა ხორეშანს წერდა:

«Илья, ეფემია, მელიტონ შვილებით და პატრის კონსთ მომიკითხეთ» (სკა ფ. 2, № 2115).

— ზაქარია ორბელიანი 1832 წლის 24 ივნისს ჩუგუევიდან პეტერბურგში წერდა ძმას გრიგოლს:

«Я от Мелитона получил письмо в коем пишет, что он уже штаб-офицер и просит портулею... Сестра пишет, Варвара выехала из Тифлиса в С.-Петербург» (იგივე წყარო).

— 1832 წლის 14 აგვისტოს, ზაქარია ორბელიანი ლიდიდან წერდა ძმას, გრიგოლს:

«Давно уже от маминьки не имею никаких известий. Бедная, как провела она время в отсутствии двух своих сыновей. Кто утешает ее, как она может управлять имуществом в особенности судебных делами? Вся моя надежда состоит на Мелитона» (იგივე წყარო).

1834 წ.

— სამშობლოს მოშორებულ გრიგოლ ორბელიანისათვის, უდაღესს სიხარული სურს ნიკოლოზ ბარათაშვილის ბარათის მიღება. გრიგოლი 1834 წლის 16 მაისს, ვალკიდან უმცროს ძმას, ილიას წერდა:

«ტატიკოს ჩემპაიერ აკოცე, უთხარ, რომ წერილი მოიწეროს და თავისი ანბანი შემატყობინოს» (გვ. ორბელიანი „წერილები“, 1936 წ. ტ. 1, გვ. 15).

— 1834 წლის 18 ივნისს ზაქარია ორბელიანი თბილისიდან წერდა ძმას, გრიგოლს:

«ეფემიას ისეთი ლამაზი ბიჭი ჰყავს დავით, რომ გაამება. ბრტყიანი (მელიტონ ბარათაშვილი ი. ბ.) ფარათფრთობს, მე კი სიცილით ვკვებები» (სკა. ორბელიანი მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, № 176).

— 1834 წლის 20 ივლისს გრიგოლ ორბელიანი, ვილნიდან თბილისში წერდა ძმას, ზაქარიას:

«ჩემს საყვარელს დას, ეფემიას, და მელიტონს სიყვარულით მოვიკითხავ, იმათ შვილებს დაეკოცნი» (გვ. ორბელიანი „წერილები“, 1936 წ. ტ. 1, გვ. 19).

1835 წ.

— ზაქარია ორბელიანი, 1835 წლის 18 თებერვალს, თბილისიდან აუწყებდა გრიგოლს:

«Мелитон очень болен, так что я уже не имею надежды к его выздоровлению».

როგორ დაღუბა თავისი სახლი და ცოლ-შვილი. ერთი გროში არა აქვთ. არ რათ უნდა იცხოვრონ ცოლ-შვილმა იმის შემდეგ ვინც დაარჩება. ეხლაც ზღვარ ამის ხარკი შინ. ვგონებ 5.000 რუბლსა ხარჯადეს წელიწადში და საბოლოოდ კი ფიჭვი არა ჰქონია. არ ვიცი დედას როგორ უქნია ეს და რათ უყაბუნია. მე რომ არ ვიყავი მაშინ აქა და უხლა ვესცან სესე.

Этот долг падет на нас, ибо лежит на залоге нашем. После смерти Мелитона чем бедная Афилия (ეფემია — ი. ბ.) заплатит как этот долг, так и прочие партикулярные.

არ ვიცი, რა ექნა ვწუხებარ ამას» (გვხ. „ლიტერატურული საქართველო“ 1939 წ. № 19).

— მარტის დასაწყისში მელიტონ ბარათაშვილმა მოიკეთა. 1835 წლის 12 მარტს, ზაქარია თბილისიდან ატყობინებდა გრიგოლს: «მელიტონ ეხლა კარგად არის, გამოძვრა სიცვდილისაგან» (ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის № 115-ბ).

— 1835 23 მარტს, გრიგოლ ორბელიანი, რომელმაც არაფერი იცოდა სიმონ ავადმყოფობის თობაზე, ბირკიდან წერდა თბილისში ზაქარიას:

„ეფემიას დიდხანია მიეწერე წიგნი და ლექსები გაუგზავნე, არც ის ვიცი მოუვიდა თუ არა... ტატოს ამბავი რით ვერ მომწერე“ (სცა საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, № 176).

— როცა გრიგოლ ორბელიანი ძმის, ზაქარიათს ბარათი მიიღო, რომელშიაც მელიტონის უმწეო ავადმყოფობა ეწერა, 1835 წლის 11 აპრილს, ბირჯიდან მიმწერა:

„მელიტონის უიმედოდ ავადმყოფობამ ძალიან შემაწუხა. მთელი ღამე მუუხარებისაგან თვლი არ მომიხუტავს.

რა უნდა ჰქნას საბრალო ეფემიამ, თუ მართლა ეს უბედურება მიადგას რით უნდა შეინახოს თავისი წყაროლი შეიღები და ანუ რით გადაიხადოს ვალები, რომელიცა უკვე აღდგევი დაჩაბდა.

ღმერთმან დიდიხარის ამ უბედურებისაგან მეგობრამ შენ ასეთ რიგათა მწერე, რომ შეგონია საწყალი მელიტონი კიდევ მომეუდარა.

ცრემლი მდიან თვალთაგან ამ წერაში. საწყალს მელიტონს უყვარდით ჩუენ ძალიან და იგი ჩუენი კეთილის მსურველიცა.

იმედ მიჰქვ, რომ თუ ბარათს რომინი (გ. ვ. როზენი კავკასიის მთავარმართებელი — ი. ბ.) მანდ არის, ნიკოლაი იოსებისისა (ფალავანდი-შვილი, თბილისის გუბერნატორი — ი. ბ.) და მუხრანის ბატონის (ივანე კონსტანტინესე — ი. ბ.) შემწეობით პენციანზე წარადგინოს ეფემია.

ეს ერთი ღონისძიება არას საბრალო ეფემიასთვის სახევე მოდ. ჩუენც ისეთს სიღარიბეში ვართ, რომ შემწეობა მავთენი არა შეგეპოლიან რას

ას! ღმერთო, რა უბედური ოჯახი შეიქმნა სახლი ჩუენი. ოჰ რა ძნელია მოსათმენად, რომ კაცა ჰგდავდეს ესრედ გელის საყუარელს და უკანასკნელი განწირულებაში, და არა შექალოს შემწეობა.

მომწერე გეთუვა ზაქარიაე, ყოველივე ეფემიას საქმე დაწერილებით, ნურას დამიძალე ჩემს სახეგეზოდ. **Нельзя ли ее поместить в нашем доме как-нибудь до времени?** (გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1936 წ. ტ. 1, გვ. 98).

— გრიგოლ ორბელიანის სიბარულს სახლგარე არ ჰქონდა, როცა მელიტონის გამოკეთება შეიტყო. 1835 წლის 4 ივნისს, რიგიდან თბილისში ზაქარიას წერდა:

„მელიტონის კარგად უფრობამ მეც კარგად გამბადა. ღმერთმა ნუ გამოგონოს მგის უბედურება. ჩემს საყუარელს ეფემიას თავის შეღლებით დაეკოცნი“ (იგივე წყარო, გვ. 31).

— 1835 წლის 22 ივნისს, ზაქარია ორბელიანი, თბილისიდან აუწყებდა გრიგოლს:

„ეფემია ქმრით და შეღლებით კარგად არიან და ტაბახმელას დგანან. ახლა აქა არა ცხელი

ძალიან. გამოიყვალა ჰაერი ძალიან“ (სცა საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, № 176).

— გრიგოლ ორბელიანის წადელი ცერე, დისე წელს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, დორბატის უნივერსიტეტში ესწავლა. 1835 წლის 25 ივლისს, რიგიდან თბილისში წერდა ზაქარიას:

„ჩემს საყუარელ დას, ეფემიას, თავის შეღლებით დაეკოცნა. არას იქს ტატოცა... ურჩიე მელიტონს რომ ეცადოს **На казенном индивидуи** იმის გაგზავნა რომელსამე უნივერსიტეტში.

**Жаль, очень жаль, будет если его умственные способности останутся без развития.** — ნეტავ გამოგზავნოს დერპტსკის უნივერსიტეტში, რომელიც არის უპირველესი რუსეთში. ძალიან ადვილია ამის ასრულება თუ კი მელიტონი მსობთვის ბარათს (გ. ვ. როზენს — ი. ბ.) ნ. ბარათაშვილი „თხულებანი“, 1922 წ. გვ. 243).

— 1835 წლის 9 დეკემბერს, ზაქარია ორბელიანი თბილისიდან ძმის, გრიგოლს წერდა:

„ჩვენი ეფემია, მელიტონ შევიღობით არიან შეიღლებით. ასეთი ვაფი ჰყავთ (1834 წ. 7 ივნისს დაბადებული დავითი ივულისსმება — ი. ბ.), რომ რაღა ვითხრა, მელიტონს იმაში ამოსდის სული“ (სცა საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, № 176).

## 1836 წ.

— ზაქარია ორბელიანი 1836 წლის 15 ივლისს, თბილისიდან აუწყებდა გრიგოლს:

«**Сестрица опять родила дочь Елену**» (იგივე წყარო).

ზაქარია ორბელიანი დიდ იმედს ამყარებდა დისწულ ნიკოლოზ ბარათაშვილზე. 1836 წლის 16 ივლისს, თბილისიდან წერდა ძმის გრიგოლს:

«**Мелитону все не здоровится... сын его Николай хороший малый... не знаю что дальше**» (იგივე წყარო).

— 1836 წლის 15 ოქტომბერს, ზაქარია ორბელიანი თბილისიდან იცნობებდა გრიგოლს:

„ეფემიას პატარა ვაფი მოუკვდა (ივულისსმება 1836 წ. 6 ოქტომბერს გარდაცვალებული დავითი — ი. ბ.) მელიტონ დიდად შეწუხებული არის“ (იგივე წყარო).

— გრიგოლ ორბელიანი უდიდესი და უფიქიზესი სიყვარულით იყო დაკავშირებული დისწულთან და ამ საყვარულით იჭაიდა კიდევ. 1836 წლის 28 ნოემბერს, დინაბურღიდან უმცროს ძმას, ილიას წერდა:

„სიბარულით წავიკითხე დღეს სრულებით ანახდეულად „ანელოლიში“ (რუსული ვაზეთი „რუსკია ინგულიო“) ივულისსმება — ი. ბ.) შენი და მიხაკოს (მიხეილ ქაიხოსროს ძე ორბე-



ლიანი — ი. ბ.) აფიკრთბა... მიხაკოს საყვარელით მოვიკითხავი ეინალო, რომ ერთმანეთი გიყვარდეთ გულწრფელად, ესრედ, როგორც მე და ტატოს" (გრ. ორბელიანი „წერილები“ 1936 წ. ტომი I, გვ. 43).

### 1837 წ.

— 1837 წლის პირველ მარტს, ზაქარია ორბელიანი სტავროპოლიდან წერდა ძმას, გრიგოლს:

„მელიტონ იყო ავად ზემს ვამოსელის დროს 21 იანვარსა. ვგონებ უხლა კარგად იყოს. ღმერთო, რა უნდა ექნათ იმის შემდეგ, ან იმის ცოლშვილს რა უყოთ და ან იმის ვალსა, რომელსაც ჩვენს უმასა და მამულსა აწევს პრიაზიადმ დედას თხოვებთა“ (სცა საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, № 176).

— რას მოითვალებდა ზაქარია ორბელიანი, რომ იმავე, 1837 წლის პირველ მარტს, მისი დისწული — ნიკოლოზ ბარათაშვილი სწეულ მამას უქდა და მის მადვიერ გრიგოლ ორბელიანსაღმი ბარათს წერდა:

„მამო გრიგოლი!

შენი წიგნი მომივიდა, რომელმაც დიდად მსამიძინე შენის მშულობით ყოფნით. ზანჯალი გუთხოვნი და ამსთანავე გიგზავნი, იმედი მაქვს რომ მოგეწონოს; შენი დისათვის (ეფემისათვის — ი. ბ.) რომ წინდები გვთხოვნი, ისიც ამაში შეეს.

გასკან, რომ შენის დათხოვნის არზა უკვე დაუბრუნებიათ დიდად მეწყინა. როგორ არ იცოდა, რომ როგორ მიგერიძევიანი. შენის დათხოვნისათვის აქაც ჰკითხეს და აქედგანაც წამოვიდა ეოენის მინისტრთან შენი აქ წამოსვლის ნება. მე კი ასე ავად ვარ, რომ ამ წიგნსაც ტატოს ვაწერებ.

შენი ძმა მელიტონი.

წელსა 1837-სა მარტის 1-სა.

ჭ. ტფილისი“ („ლიტერატურის მატეიანე“ 1940 წ. № 1-2, გვ. 483).

### 1843 წ.

1843 წლის 6 მაისს, გრიგოლ ორბელიანი, ხუნძახიდან უმცირეს ძმას, ილიას წერდა თბილისში:

„ახლა მოვიდეთ ჩვენს ზაქარიასთან (შეთანა ძმა — ი. ბ.), ეგ შე ვიცო წიგნს არ მომწერს, ქართველია. ლევან (მელიქიშვილი — ი. ბ.) უფრო კარის კაცია და დამპირდა კიდეცა, უარი არ უნდა ბქვეას. ჩვენი ტატო პოეტია, და პოეტების ხასიათი ხომ ვიცო, ოღონდ უფრო დაუგბოს, თორემ აღარ გაათავებენ. შავისა იმედი ვაქვს, რომ კარგად გატენილს წიგნებს მოაწერება ჩემთან მალმალ.

მელიტონ, ეფემია, კატო და ბაბაღე (ნ. ბარათაშვილის დები — ი. ბ.) ჩამი-

პროპტე“ (გრ. ორბელიანი „წერილები“, 1936 წ. ტ. I, გვ. 68).

— ნიკოლოზ ბარათაშვილს ეჭვ მოუჭებდა გრიგოლ ორბელიანთან ბარათის გაგზავნა და 1843 წლის 18 ივნისს, ხუნძახიდან გრიგოლს აი, რა მისწერა ილიას:

„ილიაქანი ავად ხომ არა ხარ, რომ არა შწერ? რა ექნა, მამ სხვა რა ვიფიქრო! ან ტატოს რა დავმართა, რომ ერთხელ არც ის მოიწერა ჩემთან...

ტატო და ლევან (მელიქიშვილი — ი. ბ.) მომიკითხე, ეგრეთვე ზაქარია ერისთავი, მიოთი ევენი კარისკაცები არიან და ამავე მატეულობებენ, უზრუნველნი ქართველნი, და თვით შენცა მამო ილიავ იმათთანა ხარ“ (იგივე წყარო, გვ. 75).

— გრიგოლ ორბელიანი 1843 წლის 28 აგვისტოს, ხუნძახიდან ილიასაღმი გაგზავნილ ბარათში კვლავ საყვედურობს ნ. ბარათაშვილს მოუწერლობისათვის:

„უნდა მსცხვენოფეს ტატოს რომ ერთხელ არ მომწერა“ (იგივე წყარო, გვ. 84).

— ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავ-მეგობრებში გულმსმირი, საქმიანი და ფხიანი აღმონის სახელი ჰქონდა გვერდნილი და მას ვინ იცის, რას არ ავალუბდენ. 1843 წლის 7 სექტემბერს, ზაქარია ორბელიანი თბილისში ძმას ილიას წერდა:

„ტორგში შეგზავნე ჩემი დისწული ტატო, ან ქეთევანის (ზაქარია ორბელიანის მეუღლე — ი. ბ.) სახელზედ ან თავის სახელზედ ასიუღვიანე, „работай молотком“ (სცა საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, № 176).

### 1844 წ.

— 1844 წლის აგვისტოში, თემირხანშერიდან თბილისში ჩამოს, ქეთევან ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში, გრიგოლ ორბელიანი წერდა:

„ჩემი დისწული ტატო მომიკითხე დიდს ყვედრებთა და სამღერავითა მოუწერლობისათვის, ეგრეთვე ფეფო (ეფემია — ი. ბ.) და მელიტონ“ (გრ. ორბელიანი „წერილები“, 1936 წ. ტ. I, გვ. 37).

— 1844 წლის 27 აგვისტოს, თემირხანშერიდან ჩამოს, ქეთევან ორბელიანისაღმი თბილისში გამოგზავნილ ბარათში ისევ საყვედუროა დისწულისაღმი მოუწერლობისათვის.

„მელიტონ, ეფემია როგორ არიან, ტატო რატომ წიგნსა არა მწერს? ან კატოს (ნ. ბარათაშვილის და — ი. ბ.) ქორწილი იყო, თუ არა? შემატყობინეთ, არას იწერებთ კი და! (იგივე წყარო, გვ. 100).

### 1845 წ.

— 1844 წლის 17 ნოემბერს, ლევან მელიქიშვილი ნახჭევანის მარზის უფროსად დაინიშ-

ნა და ნოემბრის თვეში, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლევან მელქიშვილს გაჰყვა ნახტევანში სამეუფოდ.

გრიგოლ ორბელიანი, 1845 წლის 19 იანვარს ჟენევიდან წერდა მძას, ზაქარიას:

„ილიასთან მომივიდა წიგნი, რომელშიაც მაცნობებს მელქონის დაბნობასა. შენი მტერი შეწუხდეს ისე, როგორც მე, ამ აზრითა. რა უნდა ჰქნას... ეფემიამ, რით შეინახოს ესოდენი წერილი შეიღებში, სრულად დატყავდ დაშთომილნი. ტატოც ნახტევანში წასულა ლევანთან (მელქიშვილთან — ი. ბ.) ერთად.

ამდენს ჩვენს თავის ვაი ვაგაღას სულა ვეყვალდა; რა უყოთ რითა ან როგორ შევეწინეთ უსახლაროსა, უბეროსა, უტანისამოსოს ჩვენს დასა? ეს ფიჭვი შეგიყვება სრულიად, ნეტავი მოკვდეთ და ამდენს სიღალბეს მოგრიგე“ (გ. ორბელიანი „წერილები“, 1936 წ., ტ. 1, გვ. 106).

— ნახტევანში ლევან მელქიშვილის ზღაპრითად გამწესებულ ნიკოლოზ ბარათაშვილს, ყოველნაირად ცდილობდა გასცლოდა მხარეს, სადაც პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ „ტანჯვისა და უსამიჯუნების მეტი არა იყო რა“.

წამოსკლა უნდოდა ლევან მელქიშვილისაც ბარათაშვილს დღე დღეზე თბილისში ელოდნენ. 1845 წლის 11 მარტს გრიგოლ ორბელიანი ჟენევიდან ილიას ეკითხებოდა:

„ჩემი დისწული ნიკოლა, ანუ ტატო, ზომ არ მოსულა? (იგურო წყარო, გვ. 109).

— 1845 წლის 12 მარტს, როგორც იქნა გაიქცა განკარგულება იანუ სელხანიშვილის ნახტევანში ლევან მელქიშვილის ადგილზე დანიშვნის თაობაზე. იმავე წლის მარტის თვის ბოლოს, დმიტრი ჯორჯაძე თბილისიდან გორში წერდა მთხიელ თემანიშვილს:

„დღეს სელხანოვი ნახტევანს ვავისტუმრეთ ნაიალნიად, ლევანის ადგილს. ის და ტატო იქვე მოდიან“ (სლიტერატურის მტიანიე“, 1940 წ. № 1-2, გვ. 352).

— ნიკოლოზ ბარათაშვილის ავადმყოფობისა და 1845 წლის 9 ოქტომბერს, ვანაში გარდაცვალების ამბავი, მაშინვე მოსულა თბილისში.

დისწულის გარდაცვალება კავკასიის საბრძოლო ხაზზე მყოფ გრიგოლ ორბელიანს არ გაუგზავნია. თუმცა ილია ორბელიანმა ამის შესახებ მისწერა, თემირხანშურაში გრიგოლ ორბელიანთან მოსახერგე, მთხიელ ორბელიანს.

გრიგოლ ორბელიანმა, რომელმაც იცოდა ბარათაშვილის ავადმყოფობა, გუმანიო ეჭვი აიღო. 1845 წლის 12 ნოემბერს იგი თემირხანშურადან თბილისში მძას, ილიას წერდა:

„ტატოს ამბავი, ჩემი გულით საყვარელის ტატოს ამბავი მომწერე, ცოცხალია თუ მკვდარი? უცნობლობა მკლავს.

შენ მიხაკოსთვის (ორბელიანი — ი. ბ.) მო-

ვეწერა ტატოს უიმედოდ ავადმყოფობა, ამასაც წიგნი არ მამყენა, ისე ზეპირად მიიხრა, მაგრამ ასე მიიხრა, რომ თითქოს მკვდარი უნდა იყოს.

ახ ეს დამალვა რა არის? თუ მიხაკოს მსწერ, მე რაღა ვარ?

აქაურმა ცხოვრებამ, ძაღლის ცხოვრებამ და ამ უცნობობამ ტატოსთვის მე ავად გამხადეს ეს ენესი დღეა ვწევარ ვარიაკითა მიხაკოსთან. თუ ხატი გრწამს მომწერე ტატოს ამბავი, სიწრფოებით“ (გ. ორბელიანი „წერილები“ 1936 წ. ტ. 1, გვ. 118).

— სხვა გამოსავალი არ იყო და 1845 წლის 29 ნოემბერს, ილია ორბელიანმა მისწერა უფროს მძას, გრიგოლს:

„ამ საწყლების მელქონის და იმის ცოლ-შვილის ყურებისათვის ველარ გამძაძია. გულს ცეცხლი შევიღება, ვკვიდები და აღარა მესმის რა. ჩვენა სიცოცხლე ტატო გარდაიცვალა ვანჯას და იფიჭვი ჩვენი ცხოვრება. ნეტავი შენა, რომ მელქონს და ეფემიას არა ხედავი“ (ეგრან „მნათობი“, 1938 წ. № 12).

#### 1846 წ.

— 1846 წლის 14 იანვარს, ნინაობა დღეს, რვაზ ანდრონიკაშვილთან შეკრებილნი ერთმანეთს უხსარებდნენ პოეტზე მოგონებებს. მერე გადამსწავურეს შეყვარობით ფული და ბარათაშვილის ნაწერები დაებეჭდათ. 1846 წლის 19 იანვარს ლევან მელქიშვილი თბილისიდან წერდა გრიგოლ ორბელიანს:

„არ ვიცი როგორ ავიწერო ის საშინელი გრძნობა, რომლითაც გული სავსე მაქვს საწყალ ბარათაშვილის სიკვდილის გამო: მასში დავკარგე მხოლოდ სკოლის ამხანაგი კი არა, არამედ მეგობარი, რომელსაც სიყრმითვე ყოველ ჩემ გულს ეთხვებ უხსნიდი და რომლის მეგობარულ ურთიერთობით ვსარგებლობდი.

სამძიმოა, მძიმო გრიგოლ სამძიმო, დავკარგე კაცისა, რომელიც თავისის თბილის გულით და თბილის სულით გვარიგებდა ადამიანებთან. ამ არა რა, სუსტ, შეე და ბოროტ არსებთან.

სამძიმოა სულით დაობლება, და მარტო მეტი არ მომივიდა ეს საშინელი დანაკარგი საქართველომ მასში დავკარგე კაცი, რომელსაც იგი უყვარდა სრული პოეტურის სულითა და ამ სიყვარულს ყოველ თავის მოვალეობაზე მაღლა აყენებდა, ყმაწვილი კაცი მშენიერების და ბრწყინვალე ნიჭისა, რომლის იმედი მეტი ჰქონდა, ვიდრე სხვა ეხლანდელის თავის კაბზე შევლიდისაგან.

შრობალებმა დავკარგეს მასში ერთად ერთი ბურჯი თავისის მოხუცებულობისა და მთელის ოჯახისა; ნათესაებმა — კეთილი ნათესავი; ქართველებმა ერთი თავის უკეთეს შემამღლეთაგანი.

იქნება ვეოდავდე შავრამ თავი ვერ დამიშვე-  
რია არა ვთქვა, სად არის სამართალი ზე-  
ნაარი, რომელსაც შეუღამ დღე გვეტყვიან, —  
რისთვის გამოეცალა უღროოდ აღამიანს მე-  
გობარი, სამშობლოს ერთგული მოყვარული მი-  
სი შვილი, ბრწყინვალე ნიჭის პატრონი, დედ-  
მამის შვილი ყვავილოვანის ასაკისა და უკ-  
ნასებლო პურჭი, მითხარი სადა ჩინს აქ სა-  
მართალი? ახლა გაგახარებ იმ ამბით რა პა-  
ტივის ვრძნობა აქვთ განსვენებულისა და მი-  
სის ნიჭისა მის ყველა მცნობებსა.

14 იანვარს (კნენი ნინოს დღეობას) ჩვენ  
რამდენიმე ქართველები რვაჯო ინდრონიკა-  
შვილთან ვიყავით სიღლიდა; ჩვენთან ყოფი-  
ლი (ორბელისა — ი. ბ.) იყო...

განვიხარებთ განსვენებულის ყველა ლექსე-  
ბი დავბეჭდით ჩვენი ხარჯითა. მეორე დღეს  
ვემართეთ ხელის მოწერა, რომლითაც ვთხო-  
ვეთ განსვენებულის ნათესავებს და მცნობებს  
შემოწარაულება შემოვიბრათ დასაბეჭდათ რო-  
გორც მის საყუთარ ნაწარებისა აგრეთვე ნა-  
თარგმნებისა, რომ საშვილიშვილოდ დარჩეს  
განსვენებულის ნაწარმოებნი. გაყიდული წიგ-  
ნების შემოსულ ფულის ნაწილით ძველი და-  
უფგას, დანარჩენი მის სახლობის სასარგებლოდ  
მიეცეს.

ხუთ დღეში ჩვიდმეტმა კაცმა შემოსწირა ათა-  
სი მანეთი. აქედან მხვდები, რა ძლიერი სიყ-  
ვარული ჰქონიათ მის ნაცნობებს. ახლა ვაგ-  
როვებთ განსვენებულის ყველა ნაწერებს ერთ  
წიგნად დავბეჭდავთ, ზედ დაერთობთ მის სა-  
ხეს.

შენთან იმ, რა სათხოვარი გვიქვს: 1) დასწრო  
რასაკვირველია ქართულ ენაზედ და თუ შე-  
საძლებელია ლექსად, წინასიტყვაობა წიგნისა-  
თვის, ბიოგრაფია განსვენებულისა და ეპიტა-  
ფისა მის ძველისათვის და 2) გამოგზავნი თუ  
გაქვს მისი ლექსები ან დაბეჭდის ღირსი წი-  
რებები, და აგრეთვე თხზილი მანეთი, რომ-  
ელიც შენმა ძმამ ზაქარიამ შენ მაგიერ ხელის  
მოწერი შემოტანა ვანაზრახა.

არ ვიცი „ბედი ქართლისა“ როგორ უნდა  
დაბეჭდოს, რადგანაც ზოგიერთი ღვაგი ბა-  
ლიან თავისუფალი არის; თუ გასწორდება, კარ-  
გათ იცი, მეგრის დაქვარავანს მთელი პოემა, მაგ-  
რამ ამის ამბავსაც შეგატყობინებ რასაც ვაგ-  
ჩევთ“ (ვახ. „კეალი“, 1893 წ. № 3).

— ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებით  
სასოწარკვეთილ დედას, ეფემიას, რომელსაც  
არც ძალა და არ სახსარი არ გაიჩნდა, რამდენი-  
მე თვის განმავლობაში ვერ მოუბერხდა ვანჯი-  
ში წასვლა და შვილის საფლავის დატოვება.

1846 წლის 6 მაისს, გრიგოლ ორბელიანი

1 არ ვიცი, იყო თუ არა, პირველი სიყვარუ-  
ლი საწყლსა იყო ნინო; არც ის ვიცი, იცი თუ  
არა, რომელი ნინო იყო? (შენიშვნა ლ. მე-  
ლიქიშვილისა, ი. ბ.).

11. „მნათობი“, № 8.

ქნვერნიდან რძალს, ქეთევან ორბელიანს თბი-  
ლისში სწერდა:

„ეფემია განჯას ყოფილა, გვეწომა“ (სტკა...სა-  
განგებო მნიშვნელობის საქმედად რძალს, № 176.)  
ახლა, როცა ოფიციალური საბუთი გაავაჩი-  
ნია, სიევეთ აღიარებია. დოკუმენტში ვკით-  
ხულობთ: „ელიზავეტობოლში (განჯაში —  
ი. ბ.) ჩასტელა ეფემიამ ზაზარია შვილის დარ-  
ჩენილი ქონება“ (ეურ. „მნათობი“, 1937  
წ. № 4).

გრიგოლ ორბელიანის ბარათიდან მოყვანი-  
ლი ამონაწერი გვეხმარება დავადგინოთ დრო  
ეფემია ბარათაშვილის განჯაში ჩასვლისა. მა-  
შასაღამე, ეს ამბავი მომხდარა 1846 წლის ზა-  
ფხულის დამდეგს.

— გრიგოლ ორბელიანს, როცა კი ამის შესა-  
ძლებლობა ჰქონდა, მატერიალურად ეხმარებო-  
და დას, ეფემიას.

1846 წლის პირველ ივლისს, ქნვერნიდან  
უმეტროს ამას, ილიას წერდა:

„ბარბარე ოთარის ცოლის (ქობულაშვილის,  
კრედიტორის — ი. ბ.) წიგნი მომივიდა, რა სა-  
კვირველია, ფულს ითხოვს. მეც დიდს ოხე-  
რით და სიმწრით გაუგზავნე ფოშტით ათი  
თრმანი სულ სიქა მანეთი და შეუთავაღე რომ  
მეტე აღიარა მითხოვს, მანამ არ გაუფიქრდებ.  
ეს ფული შენ ნუ მომიყვები, ეფემიას-  
თვის მიწოდება და ამ წყევლაზე დედაკაცმა გი-  
მომტაცა ხელადამ. დაეჩინ ამ ტრეტში ასე,  
რომ ეფემიას ველარ გაუგზავნი: ეგებ შენ, ჩე-  
მი ილიკო, ხუთის თრმით მაინც შეეწიე“  
(გრ. ორბელიანის „წერილები“, 1936 წ. ტ. 1,  
გვ. 126).

— ილია ორბელიანს, მანანა ორბელიანის  
ასულ ტახა (ანასტასია) დავითის ასულ ორბე-  
ლიანისაგან, წადებულა ჰქონდა ბარათაშვი-  
ლის ლექსების ავტორადიფილი კრებულს და  
პოემა „ბედი ქართლისა“. ლევან მელოქიშვი-  
ლი 1846 წლის 27 ივლისს, თბილისიდან გან-  
ჯაში წერდა ილია ორბელიანს:

„ილიკო! აქაც გთხოვ და კიდევაც გთხოვ  
— საწყლსა ტატოს ლექსები რომ გაქვს მა-  
ნანას ქალისაგან წადებული, გამომიგზავნე.  
რჩება დაუბეჭდავი და „ბედი ქართლისაც“ შენ  
გაქვს“ (ს. კეკელიძის სახელობის ხელნაწერ-  
თა ინსტიტუტის ხელნაწერთა კონა 155-ბ).

— 1846 წლის 29 ივლისს, ქნვერნიდან გა-  
მოგზავნილ ბარათში, გრიგოლ ორბელიანი  
სწერდა მას, ილიას:

„ჩემო ილიკო, რაღა ჩემგან ვინდა დარჩე-  
ვა, რომ ჩვენს საბარალოს ეფემიას უნდა შე-  
ეწიო ხოლმე შენის შეძლებისამებრ. ჩვენს  
მეტე ვინდა ჰყავს საწყალსა ნუგეშად“ (გრ.  
ორბელიანის „წერილები“, 1936 წ. ტ. 1, გვ. 128).

1847 წ.

— 1847 წლის 8 მარტს, გრიგოლ ორბელია-  
ნი, ქნვერნიდან თბილისში სწერდა რძალს, ქე-  
თევან ორბელიანს:

„ჩემო საყვარელო ძაღვუ ქეთევან! უმორჩილესად გთხოვ, ეს ჩემგან გამოგზავნილი ხუთი თემანი წარუგზავნოთ ჩემს დას ეფემიას და ეს წერილიცა“ (იგივე წყარო, გვ. 149).

#### 1848 წ.

— 1848 წლის მარტის დამდეგს, გრიგოლ ორბელიანი „სააღდგომოდ“ დას ფულა გუგუზაენა. 1848 წლის 15 მარტს თემირხანშერიდან თბილისში რძალს ქეთევან ორბელიანს სწერდა:

„ჩემს დის ეფემიასათვის გამოგზავნილი ხუთი თემანი, გთხოვთ გუგუზაენით ამავე წერილითა; სააღდგომოდ მოუნდება. ეგ საბარალო სრულებით არასა მწერს, თქვენ მაინც შემატებოდნეთ მაგის ამბავი“ (იგივე წყარო, გვ. 170).

— 1848 წლის აპრილის დამდეგს, ეფემია ბარათაშვილი მადლობის ნიშნად სწერდა გრიგოლ ორბელიანს:

„მრავალჯერ შენი წიგნები მომივიდა და ამასთან რომელსაც, ყოველთვინ მიგზავნი ფულსა. ეხლაც სააღდგომოდ შენი წიგნი და ხუთი თემანი მომივიდა.

გრიგოლჯან მე ხომ არ შემიძლია ამის მავგურის მადლობის გარდახდა ამის მეტი რომ ღმერთს ეთხოვ შენს დიდხანს სიცოცხლესა.

შეხა ამპო, ჩემის მამის მავიერო და მამობრივის ნუგეშისა მცემლო ყოველთვინ მწერ ჩემს წიგნის მოწერას. ისე ღმერთთან შეაწუხოს შენი მტერი... როგორც შენი საცოდავი და არის შეწუხებული და თვალს დაბნელებული ამ სოფლისაგან გულდაჩვარული.

მე უნებღერო. უნებღერად ქმნილი მოვალედი ჩემს სიხარულს შეიღს და რა შეიღს, რომლისგანაც მოველოდი ყოველ სიხარულს. ვეი და ვეი ჩემს მოსწარებას, ჩემს თვალების დაბნელებას“ (ტერნ. „მნათობი“ 1938 წ. № 12).

— 1848 წლის 29 ნოემბერს, თემირხანშერიდან თბილისში რძლის, ქეთევან ორბელიანი-სადმი გამოგზავნილ ბარათში გრიგოლ ორბელიანი კითხულობდა:

„ეფემია როგორ არის თავის შვილებით, მელიტონ კიდევ კეთის?“ (გრ. ორბელიანი „წერილები“, 1936 წ. ტ. I, გვ. 186).

#### 1849 წ.

— 1849 წლის 14 მარტს, გრიგოლ ორბელიან დას, ეფემიას შესახებ რძალს, ქეთევან ორბელიანს თემირხანშერიდან წერდა:

„აქ ეფემიას სიკვდილს ამბობენ, სწორე კი ვერავისაგან ვამიგია. თუ უნებღერება რაიმე მოგვეცინა მე რათ მიმალავო? და ანუ რომღმდის უნდა დამალოთ? (იგივე წყარო, გვ. 190).

სამწუხაროდ ეს ჰმა მართალი იყო. ეფემია 1849 წლის 4 თებერვალს იყო გარდაცვლილი.

გრიგოლ ორბელიანს მაინც არ აცნობეს ეფემიას სიკვდილი.

— 1849 წლის 3 ივნისს, გრიგოლ ორბელიანი თემირხანშერიდან გამოგზავნილ ბარათში, რძალს ქეთევან ორბელიანს სთხოვდა:

„ძალუჯანი! გეთაყვანე, ერთი იფიქრეთ კარვად და უშოვეთ შესაფერი ქპარი ჩემს დისწულს ბაბაღუს, ესე იგი ეფემიას ქალსა, ჩემის მხრივ შემძლია მიეცე ამ თემანი თეთრი სუქა მანეთი მზითვად. ამა იმაზე დაუღამარაკეთ იმის დასა კატოსაცა“ (იგივე წყარო, გვ. 194).

— 1849 წლის 9 დეკემბერს, გრიგოლ ორბელიანი თემირხანშერიდან თბილისში წერდა რძალს, ქეთევან ორბელიანს:

„ეფემიას ამბავი სრულებით არა ვეიო რა. მასწინათ გთხოვთ ძალუჯ. რომ ეგებ ერთი კარგი სასიძო იშოვოთ საღმე ბაბაღუსათვის, რომლისთვისაცა ვაღამიდვია ასა თემანი მზითვად. მეტი არ შემძლიან. კახეთში ანუ ქართლში მოძებნეთ როგორმე ჩემი ძალუჯა“ (იგივე წყარო, გვ. 199).

#### 1852 წ.

— 1852 წლის ოქტომბრის დამდეგს, ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძას, ილია ორბელიანს გენერალ-მაიორობა მიანიჭეს.

1852 წლის 24 ოქტომბერს, გრიგოლ ორბელიანი თემირხანშერიდან მამას, ილიას სწერდა:

„მოვილოცე ხელმწიფის წყალობასა. ეეი ეგებ შენი ღენერლობა; ვნახოთ რა გამოვა მადღემაღე. ჩემს საყვარელს იარანალშის (ბარბაღე, ილიას მეუღლე — ი.ბ.) სოყვარულით ავოცე და მთლოცე ჩემს მავიერ ჩინი. ახრ, მაგასაც შენთან ერთად მოუვიდა ჩინი და? ნეტავი მელიტონ რას იტყვის შენს ღენერლობაზედ? (გრ. ორბელიანი „წერილები“, 1937 წ. ტ. II, გვ. 52).

#### 1860 წ.

— 1860 წლის 6 დეკემბერს, გრიგოლ ორბელიანი რძალს, ქეთევან ორბელიანს სწერდა:

„მელიტონ მომიკითხე, როგორ არის და ტყაღისისთვის ხომ არ ოხრავს?“ (ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის № 2660).

მელიტონ ბარათაშვილი ამ დროს იმყოფებოდა ოსიეთში თავის ქალიშვილ ბარბარესთან, რომელიც ცოლად ჰყავდა დიმიტრი ევზარიშვილს. მელიტონ ბარათაშვილი 1860 წლის ბოლოს ოსიეთში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს.

#### 1865 წ.

— 1865 წლის 9 მარტს, აბიტურიენტი ნიკოლოზ ყიფიანი პეტერბურგიდან თბილისში სწერდა თავის მამას, ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს დიმიტრი ყიფიანს:

„ნიკ. ბარათაშვილის „მერანი“, „ქართლის ბედი“, „მტკვრის პირზედ“, „ფანტაზია“, „სულთნობროტი“ და სხვ. ათასჯერ ვაღაფიკობე და კიდევ არ მყო.“

ყოველ ამის სიტყვაში, ყოველ ლექსში, აზრსა მხედრებს ვატი, გრძნობასა და ისეთი ძალი აქვს ამის ლექსსა, რომ არ შეიძლება არ დაღონდეს ვატი, როცა ის თავის ტანყვას გამოსთქვამს.

„მეჩანი“ საყვირელი, მშენიერი რომ არის. ნეტა ვინ აუთ ნიკ. ბარათაშვილი? შენ მგონია იცნობდი. სწავლა სად მიიღო, სამსახურში ყოფილა თუ არა. უკვლა სადმე არ რუსეთში, ან იქით სპარსეთში? რა ხასიათის იყო, სოზოვადობებზეა ან იყო, საზოგადოებრივო როლს უყურებდა? („ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1935 წ. წიგნი 1, გვ. 628).

1865 წლის 5 აპრილს, დიმიტრი ყიფიანი-მა თბილისიდან ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ ბარათით თავის შვილს შემდეგი აცნობა:

„ჩემი საყვარელი შვილიყო! ამ დღეებში შენგან ორი წერილი მივიღე... მიხარია რომ განსაღადა ხარ... ვადავალ შენს კითხვებზე ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ: ვიცნობდი მას თუ არა, და სხვა მისიანებს? — ვიცნობდი მას ძალიან ახლოს, — და ვაიმობ ვეღვაფერს, რაც შე მისზე ვიყო.“

ყვე ერთად — სიკაცულში მას სხვათაირად არ ეძახდნენ, თუ არა ტატო ბარათაშვილი. იგი ღვიძლი დისწული იყო გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანისა. მის მამას — მედიტან ბარათაშვილს არა ჰქონდა არავითარი შვილი, არავითარი საყვარლება და საძმოდ დიდ ოჯახს იგი ინახავდა მხოლოდ ქაშაგირით, რასაც იღებდა მზარის უფროსთა თარჯიმნის წოდების მიხედვით, დაახლოებით 900 მან.

ტატო ერთად ერთი ვაჟი იყო მისი, პატარა, ტანდაბალი, ნოღაცხვირიაანი, მაგრამ მეტისმეტად ცოცხალი. მზიარული, მოსწრებულა, თანაც მეტისმეტად უანგარო, მიუხედავად გუჟღერებისა ყველაფერში და ყოველთვის მზად-მყოფი დახმარებოდა გაჭირებულს რითაც კი შეიძლებოდა.

აზრთან-განათლება მიიღო არც თუ ბრწყინვალე. კეთილშობილთა ყოფილ სასწავლებელში იგი ჩამომარჩებოდა მე მგონია ორი კლასით ასაკის გამო; მერე გადავიდა გიმნაზიაში...

უფროსები იცნობდნენ მას, როგორც შესანიშნავს მოცეკვავს ლექერსას, რასაც იგი ახრით ჰქონსაყდა.

მეგობრები იცნობდნენ მას, როგორც საუცხოო: აშანავს, რომელიც ყოველთვის იცოცხლებდა საუბარს, იციროდა, აცინებდა, ენამხელობდა, ართობდა და ბყრობდა ხანდახან ყველა უფრადლებას თავის ნაწარმოებებზე.

მისი ლექსები იკითხებოდა ყოველთვის ამხანაგთა და ნათესავთა წრეში.

მისი მოსაყენი ყველაზე ხშირად ჩემთან

იკრიბებოდნენ (როცა მარტოხელა ვიყავი) და აი, ამ იყო ხოლმე იგი განსაკუთრებით რავეს კალაპოტში...

ტატოს პოეტური ნიჭი ამ წრეში გაფრთხილდა; ამ იგი კითხულობდა პირველად თავის ლექსებს; ამ იგი ისმენდა შენიშვნებს, რასაც თითოეული გამოსთქვამდა გულწრფელად და აქვე იგი კითხულობდა ამ ლექსებს შესწორების შემდეგ.

ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს შენიშვნები ეხებოდა მხოლოდ იმას, რაც ხელს შეუწყობდა აზრის გარკვევას, ან უფრო რელიეფურად გამოთქმას.

ტფილისში იგი ყველგან დაიარებოდა და ყველგან მას ისე იღებდნენ, როგორც ღვიძლ ნათესავს.

მაგრამ გაჭირვებამ აიძულა იგი მზარის უფროსის თანამემწის თანამდებობაზე წასულიყო ელისავეტოლოში (განჯაში — ი. ბ.), სადაც ერთი წლისა თუ წლინახევრის შემდეგ ჰავამ იმსხვერპლა.

დაუქრებელი იქნებოდა, რომ შობილები უფრო ნაყოზად დამწუხარებულნიყვნენ მასზე, ვიდრე მისა მეგობრები და ნაცნობები; მაგრამ შე მგონია — ეს ასე იყო.

არ ვიცი, ვინახავს თუ არა როდისმე კნიაენა ბარათაშვილი, რომელიც დავით ჰეგავაძის ოჯახთან ერთად ტყვედ სჯავდა შამილს, იგი დღილი დაა ტატოსი — და ისინი გარეგნობით ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს.

შობილებმა კიდევ ბევრ წელს იცოცხლეს ამის შემდეგ...

აი, ყოველივე ის, რის გახსენებაც შეიძელი შენი ცნობისმოყვარეობისათვის, ჩვენს პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილზე.

ის წრე, რომელშიაც იგი ტრიალებდა, — თუ გამოვკლებთ (ანდრია) ზერბეულიძეს და პლატონ (იოსელიანს) — შესდგებოდა მთლად პოეტებისაგან.

მაგრამ მათი ნაწარმოებები არ შენახულა, ან შენახულა ერთად ერთ წიგნაში, სადაც ეს მათ ჩასწერეს და ანუქეს როგორც კრებული მანანა ორბელიანს, რომელიც მათ გულლიად იღებდა და, როგორც პატივცემული დედააკო, ახალისებდა მათ ამგვარი შრომისათვის.

ეს წრე დაიშალა ტატოს სიკვდილის გამო და ეს პოეტები ყველანი გადაიქცნენ საქმის კაცებად... („ლიტერატურის მარტიანი“, 1940 წ. № 1-2, გვ. 409-411).

ასეთ ცნობებს შეიძავენ ნიკოლოზ ბარათაშვილზე პოეტის თანამედროვეთა გამოქვეყნებული და ახლად გამოცემული ბარათები.

პედესანრა ბარამიძე  
პენა მგრაველი  
სარგის საიშვილი

## ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის

(ა. რატიანის წიგნის გამო)

ერნალ „მნათობის“ 1968 წლის 2, 3, 4 და 5 ნომრებში საკითხის განხილვის წესით დიბეულ პროკოფი რატიანის ვრცელი ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის“. მკვლევრის ძირითადი მოსაზრებანი და მათი საბუთიანობა ვადაშობულია „მნათობის“ შეორე ნომერში (გვ. 150—178), ე. ა. პირველადე წერილში. დანარჩენი წერილები, განსაკუთრებით მესამე და მეოთხე, პირველთან შედარებით რამე ახალსა და პრინციპულად მნიშვნელოვანს არაფერს შეიცავს. ამიტომაც ჩვენ უმთავრესად მხედველობაში გვაქნება სწორედ პირველ წერილში.

ა. რატიანი აცხადებს, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის საკითხი „ამჟამად არსებობდა იმევე დონეზე დგას, რა დონეზეც ამ ანაწლის წინათ იდგა“ (მნათობი, 2, გვ. 151). „ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის ძიება გამოუვლელ ჩიხში მოემწყვდომ“, ამბობს მკვლევარი. ამის მიზეზით არა მარტო წყაროების ნაკლებობა, არამედ „საკითხისადმი ცალმხრივი შეთოდოლოგიური მიდგომა“ და „რუსთაველოლოგიაში ვაბატონებულ ზოგიერთი ყალბი პრინციპით“ ხელმძღვანელობა (იქვე, გვ. 152; დეყოფა აქვს და ქვევითაც ყველაზე ჩვენი, რატიანისეული კურსივები საგანგებოდ აღინიშნება, ავტ.).

ა. რატიანი ყალბად თვლის შეხედულებას რუსთაველის ერასკოტობაზე. „საკითხის ვულდარსებით და ყოველმხრივ შესწავლამ ჩვენ იმ დასკვნამდე მივყავანა, რომ რუსთაველი — იმ პერიოდში, როდესაც იგი თავის პოემას წერდა — არ შეიძლებოდა

ყოფილიყო და არც ყოფილა ერასკოტი“. „ვეფხისტყაოსნის ავტორი იყო — განავტობს მკვლევარი — დიდად განათლებული სასულიერო პირი — ეპისკოპოსის ან მთავარეპისკოპოსის ხარისხით — რომელსაც ვარკვეულ დროს ეპირა რუსთავის (ბოსტან ქალაქის) ეპარქიის მღვდელმთავრის თანამდებობა (კათედრა) და სწორედ ამიტომ იწოდებოდა რუსთაველად“ (გვ. 150; კურსები რატიანისაა, ავტ.).

ა. რატიანი ყოველ ფეხის ნაბიჯზე იმეორებს, რომ „ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის შესწავლა მეცნიერულად არ დგას სწორ გზაზე, იმეარება ყალბ წინამძღვრებს და უგაბლვებელყოფს რეალურ-ისტორიულ სინამდვილეს. მკვლევარი ვეპირდება არსებული „ყალბი დებულებების“ გაბათილებას და თავისი „ახალი თვალსაზრისის“ დასაბუთებას (გვ. 154).

ა. რატიანი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, თითქო სახელწოდება რუსთაველის ანალიზი არავითარ ეჭვებს არ სტოვებს; რომ ამ „ტიტულს“ მატარებელი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ თბილისის ახლოს მდებარე ქალაქ რუსთავის (ბოსტან ქალაქის) ეპისკოპოსი თუ მთავარეპისკოპოსი. ასეთივე უაქველო დასკვნა გამომდინარეობს ვეფხისტყაოსნის პროლოგის ანალიზიდანაც. საერთოდ, ძველ საქართველოში ეს საკითხი ცილობას არც იწვევდაო. როგორც ხალხური ვადაშობებში, ისე ე. წ. აღორძინების პერიოდის (XV—XVIII საუკუნეების) ლიტერატურული წყაროები ერთმანდასტურებენო, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი იყო რუსთავის ეპისკოპოსი, „ეს საკითხი იმ დროს ყველასათვის ნათელი იყო“ (გვ. 167, 176).

ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის თვალსაზრისით „ქართულ ლიტერატურაში ამჟამად ორი პერიოდი შემოიხვევათ, იქწყება პ. რატიანი, ერთი პერიოდი ყოფილა თეიმურაზ ბაგრატიონამდე (1782—1846), მეორე პერიოდი კი — თეიმურაზის შემდეგ (პირველი პერიოდი იწყება დაბლობით XV საუკუნის ბოლოდან და გრძელდება XIX საუკუნის 30—40-იან წლებამდე, ხოლო მეორე პერიოდი — 30—40-იანი წლებიდან — დღემდე“, გვ. 167).

პ. რატიანის ძიების თანახმად, თეიმურაზ ბაგრატიონამდე ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის საკითხში თერამე სრული ერთსულოვნება სუფევდა. ბაგრატიონთა შერყეული ოჯახის განდიდების სურვილმა აიძვლაო სწავლული ბატონიშვილი შეეცნა შევებინა მთელი კონცეფცია, რის გამოც მას მოუხდა შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის ვალაყეთება და თავისი ავტორთა საზოგადოებრივპოლიტიკური მიზნებისათვის შეგუება (გვ. 168). თეიმურაზისეული კონცეფციით (ეს კონცეფცია ჩამოყალიბებული სახით წარმოდგენილია ვეფხისტყაოსნის განმარტებებში, რაც 1843 წელს დასრულდა) შოთა რუსთველი ყოფილა ერისყეი, ბაგრატიონთა გვარის შვილი, პერუთის ერისთავი შოთა ეგბერი. „პართალია, თეიმურაზი პირდაპირ არ ამბობს, რუსთველი ბაგრატიონი იყო, მაგრამ მას არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ ასეთი დასკვნა მისი კონცეფციიდან უკვე თავისთავად გამომდინარეობდაო“, შენიშნავს პ. რატიანი (გვ. 169). „თეიმურაზ ბაგრატიონისა და მის მიმდევართა წყალობით“ თურამე დაჯარველა ვეფხისტყაოსნის ავტორის საბუნდოობების სწორად ფორმა რუსთველი და მის ნაცვლად გაიჩინალა „საერთო ელფერის დამწერილობა „რუსთაველი“ (გვ. 176).

ერთი სიტყვით ყველა ჩვენთვის ცნობილი ფაქტი და მოვლენა, თუ მათ ობიექტურად განიხილავთ და თვალს წინასწარ შედგენილი აზრით არ დაევიბრძავენ, გვიჩვენებს, რომ აღორძინების ხანაში კარგად სცოდნათ, რუსთველი რომ სასულიერო პირი, გამაჩენილი პოეტი და მკვლევართავარი იყო“ (გვ. 176).

პროკოვი რატიანი მოუწოდებს ყველას: „დროა ურუჯავდეთ თეიმურაზ ბაგრატიონისა და მის მიმდევართა შემოთხზებული ყალბი კონცეფცია და გაუთავისუფლოთ რუსთველოლოგია მისი უარყოფითი გავლენისაგან“ (გვ. 170).

ბარაქალა თეიმურაზს, თუ მან შეძლო მკვლევართა მთელი თავიზების დაბრმავება და მისეული კონცეფციის დამკვიდრება რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში.

პ. რატიანი ასახელებს XIX საუკუნის ოციანი წლების ერთ ძეგლს — „მცირე უწყებების ქართულთა მწერალთათვის“, რომელაც მისი გამომცემლის, ექვთიმე თაყაიშვილის გამოცვლვის მიხედვით 1820—1827 წლებში უნდა იყოს და-

წერალო. ამ ძეგლში, ამბობს პ. რატიანი, „რუსთველის ვინაობის ზუსტად ისევევე გაგება ვალმოცემული, რაც აღორძინების ხანაში სრულყოფილად მიღებული იყო... მაგრამ სულ მალე, როგორც თქვამს, მდგომარეობა შეიცვალა: ტრადიციული შეხედულება ეჭვს ქვეშ იქნა დაუწუნებელი და განიდა ახალი, თავსატეხი პრობლემები, რომელთა ირგვლივ დაუსრულებელი დავაქამათი გაჩაღდა“ (გვ. 177).

ჩვენი ამ ძეგლით („მცირე უწყებით“) დავიწყება ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის თაობაზე „ახალი თვალსაზრისის“ კრიტიკულად განხილვას.

„მცირე უწყება“ დაიბეჭდა „ძველ საქართველოში“ (I, 1909), შემდეგ იგი ცალკე წიგნად გამოცემენა მისმა გამომცემელმა (საისტორიო მასალები, 1, 1913, გვ. 60).

გამოცემული ტექსტის შენიშვნებში ე. თაყაიშვილი წერდა, რომ „მცირე უწყება“ ვერ არის გამართული და „რავიანად ვაღმოწერაო“, შეიძლება „რამე ავლდეს“ კიდევო, „საირობა მოინახოს ამ სტატიის დედანიო“ (გვ. 59). „მცირე უწყების“ დედანი კარგა ხანია, რაც მოპოვებულია. ესაა იოვანე ბატონიშვილის „კალმასობა“ (იხ. კალმასობა, ტომი მეორე, ე. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1948, გვ. 162—214). ახლა გარყვეული „კალმასობის“ ყველა სადამო სისტორიულიტერატურული საკითხი. აღდგენილა „მცირე უწყების“ მართლაც საქამოდ შეეკეთებული ტექსტი. ყველაფერი ეს უცნობი დაჩრჩინლა პ. რატიანისათვის. ჩვენი მკვლევართა „მცირე უწყების“ პირველი გამოცემის, ე. ი. ორმოცდაათი წლის მინარდელი ცოდნის დონეზე დგას ახლაც. პართალია, პ. რატიანს ვაუგუა, რომ ე. წ. მცირე უწყების (ეს შერქმეული სათაურია) ავტორია იოვანე ბატონიშვილი (და არა თეიმურაზი, როგორც ეჭვრობდა ე. თაყაიშვილი). ოლონდ აქიდან მის არ გამოუტანია საკირო დასკვნა. ეს კია, რომ საველვერბელი დასკვნა აზნობლენს „ახალი თვალსაზრისის“ ერთ მთავარ დებულებას. როგორც ვიცით, პ. რატიანის მოსახრებით, თითქო ფორმა რუსთაველი შემოიღო თეიმურაზმა. ნამდვილად ეს ფორმა დამოწმებულია კალმასობაში, ე. ი. იოვანე ბატონიშვილის ნაწარმოებში (იხ. კალმასობა, I, გვ. 53, 272, 275, 276, 282; II, გვ. 184). ფორმა რუსთაველი დამოწმებულ იქნა „მცირე უწყების“ თაყაიშვილისეული გამომცემითაც (გვ. 25). ამ გამოცემით სარგებლობდა პ. რატიანი. თუ პ. რატიანი აღიარებს, რომ „მცირე უწყების“ ავტორია იოვანე ბატონიშვილია; იგი ვალდებულია ისიც აღიაროს, რომ ფორმა რუსთაველი თეიმურაზის განმარტებაზე ადრე ყოფილა გამოყენებული. ამით ირღვევა პ. რატიანის დებულება — ფორმა რუსთაველი თეიმურაზმა შემოიღო თავისი კონცეფციის შესაბამისად. პ. რატიანი გამოყვალ

ნისში მოექცა: იმას კი ამბობს, რომ კალმასობის ავტორი იოვანე ბატონიშვილია, მაგრამ მკითხველს უმაღლეს, იოვანე რომ ფორმა რუსთაველს ხმარობს. ჩვენ ქვემოთ ვაჩვენებთ, რომ ფორმა რუსთაველს ხმარობენ თეიმურაზის მანუალებელი დავით რექტორი ალექსიშვილი და უფრო ადრე კი ანტონ კათალიკოსი.

მთავარი სხვა. პ. რატინი ზომ ამტკიცებს, რომ რუსთველი ერისკაცად პირველად თეიმურაზ ბაგრატიონმა მონათლაო. საერო მწერალთა შემოქმედების განხილვას კალმასობა იწყებს საგანგებოდ გამოყოფილი სათაურით: „შოთა რუსთაველის სათაურის და სხვათა ერისკაცთა პიიტორკოსთათვის (კალმასობა, II, გვ. 184). ვინაა რუსთაველია აქა სარგის თხოველი, დილარგეთი, ჩაბრუნებ, ძაგნაკრელი, თეიმურაზ I, არჩილი და სხვ. მუყეანელი სათაური მოიპოვება კალმასობის დღემდე. „მეორე უწყების“ გამოცემულ ტექსტში იგი არ არის. ამრიგად, გამოირკვეა, რომ იოვანე ბატონიშვილს თეიმურაზზე ადრე უხმარია ფორმა რუსთაველი და თეიმურაზზე ადრე უწოდებია რუსთველისათვის ერისკაცო. ყოველივე ამით საფუძველი ვართმობთ პ. რატინის თეორიას თეიმურაზის „კონცეფციის“ თაობაზე.

ექვთიმე თაყაიშვილმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ „მეორე უწყება“ უშუალოდ „სარგებლობს ანტონ კათალიკოსის წყობილიტყვაობით და იმავე რაგით აღნუსხავს მოღვაწეთა და მწერალთა სიას, როგორც ანტონ კათალიკოსს აქვს მოყვანილი“ (გვ. 55). სრული კვამარტებაა. კ. კეკელიძე ადსტრუბს ე. თაყაიშვილის დავაფრებებს და თავის მხრივ ურთავს, წყობილიტყვაობა იოვანე ბატონიშვილს „წინ უდევს, იმავე რაგით აღნუსხავს მოღვაწეებსა და მწერლებს, ზოგჯერ პარაგრაფების სათაურად ისევე იწყებს“-!

ანტონ კათალიკოსის წყობილიტყვაობა შეთხზულია არა უგვიანეს 1745 წლისა, ე. ი. თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებათა დაწერამდე ასი წლით ადრე (თეიმურაზის განმარტება ვეფხისტყაოსნისა 1843 წელს დასრულდა). წყობილიტყვაობის მეშვიდე ნაწილი წარმოადგენს ძველი ქართული მწერლობის ერთგვარი სისტემური მიმოხილვის საუბრადღებო ცდას. ანტონი მოკლედ ახასიათებს როგორც საეკლესიო, ისე საერო მწერლებს. წყობილიტყვაობის ეს (VII) ნაწილი ასეა და-

სათაურებელი — „თვის ქართულთა სიბრძნის მოყვარეთა კაცთა მწიგნობრათა“-! წყობილიტყვაობის მეშვიდე ნაწილი შედგება ოთხთავისაგან. პირველ-შიველ თავში ვარკვეული რანგის მიხედვით დასახელებული და დახასიათებული არიან საეკლესიო მწერლობის წარმომადგენელნი. მეორე თავი დათმობილი აქვს საერო მწერლობას. პირველ თავში დახასიათებულია სამწერლობო მოღვაწეობა კათალიკოსებისა, მეორე თავში — ემსკობისებასა, მესამე-მეშვიდე თავებში — რიგი გამოჩენილი მამებისა (არქიმანდრიტების, ეკლესია-მონასტერთა წინამძღვრების და უფრო დაბალი რანგის სხვადასხვა მღვდელ-მონაზვნებისა). პირველ-შიველ თავში დასახელებულ ყველა მწიგნობარს ამკობს ეპითეტი მამა („თვის მამისა იოანე კათალიკოსისა“ და ა. შ.). მეორე თავში, როგორც ვთქვით, ანტონი იხილავს საერო მწერლებს. რანგობის პრინციპი აქვე დატულია. ჯერ მეფე მწერლების რიგია (თეიმურაზ I, არჩილი, ვახტანგი, თეიმურაზ II), მერმე დანარჩენი მწერლები ზოდიან. რაღა თქმა უნდა, VIII კარში მოქცეულ მწერლებს აღარ უძღვის ეპითეტი მამა, რადგანაც ისინი ერისკაცები არიან.

საერო მწერლობის მიმოხილვას ანტონი იწყებს თეიმურაზ პირველით. მაგრამ სანამ საკუთრივ თეიმურაზის დახასიათებას შეუდგებოდა ანტონი საზოგადოდ შეუნდინა — არც ერისკაცთა საქებულთა სამწერლობო საქმიანობა დავიდუმო, „რომელთა შორის თეიმურაზს არს“ ასეთი და ასეთიო („არცაღა მათი ხსენება დავიდუმო, რომელნი სიბრძნის ქვემდებარები. სოქმიდენ „ერისკაცთანი საქებულთა წერილთა, რომელთა შორის თეიმურაზ არს...“ წყობილიტყვაობის მეორე თავში მოხსენებულ მწერლებს ანტონ კათალიკოსი სრულიად გარკვევით უწოდებს ერისკაცებს. როგორც მოსალოდნელი იყო, მეფე-მწიგნობრების შემდეგ პირველ ადგილზეა დასახელებული შოთა რუსთველი („თვის შოთა რუსთაველისა“). ამას მოჰყვება სარგის თხოველი,

1 ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960, გვ. 17; შტრ. იგივე, II, თბილისი, 1958, გვ. 17—18.

1 გამოცემულია მლ. იოსელიანის მიერ 1853 წელს. გამოცემის ტექსტი საქირო შემთხვევებში შედარებულია გვაქვს საეკლესიო ხელნაწერ დედანთან (ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის № 1).



ჩაბრუნებენ...<sup>1</sup> ამრიგად, ანტონ კათალიკოსი, ისე როგორც იოვანე ბატონიშვილი, შოთა რუსთველის სახელიად უცილობლად! თეოდოსი ერისკაცად. ამით გაბათილებულია პრატიანის კატეგორიული განცხადება: „აღორძინების პერიოდის აკე ერთ მწერალს ან მოღვაწეს არ უთქვამს, რუსთველი ერისკაცი იყო“ (მნათობი, 2, გვ. 170). შესაფერისად ნიადაგი გამოცალაა პრატიანის მიერ შეთხზულ თეორიას თეიმურაზ ბაგრატიონის ისტორიულ-კულტურულ კონცეფციებზე. ახლა შეითხველმა განსაჯოს, თუ ვინ აყალბებს ისტორიულ სინამდვილას.

ფრად მნიშვნელოვანი გარემოება ისიცაა, რომ ანტონ კათალიკოსი ხმარობს „ფორმის რუსთველი“. ერთ საგანზეთ წერტილში ა. შანიძე და ალ. ბარამიძე აღნიშნავენ, რომ ფორმა რუსთველი შემოიღო ანტონ კათალიკოსმა<sup>2</sup> ამ საკითხს ა. შანიძე შემდეგ რამდენიმეჯერ დაუბრუნდა — „რუსთველი თუ რუსთველი“<sup>3</sup>, „რუსთველი ილი რუსთველი“<sup>4</sup>. ანტონ პირველის გავლენა სალიტერატურო ქართულზე<sup>5</sup> ა. შანიძეს დასაბუთებული აქვს, ანტონი

იმით ხმარობს ფორმას რუსთველი, რომ იგი, როგორც გრამატიკოსი, საერთოდ გავრცელდა ფაქტების შექმნაზე. „არა მხოლოდ შოთას, არამედ ნიკოლაის მიტროპოლიტისაც იგი რუსთველობით ასწავლებს“, შენიშნავს ა. შანიძე<sup>2</sup>, ალბათ, ყოველივე ეს არ იცოდა პ. რატიანმა. თუ იცოდა, რად არ შემუშავებდა მკითხველს, რომ „თეიმურაზისა და მის მიმდევართა წყალობით განდა საერო ელფერის დაწერილობა რუსთველი“<sup>6</sup> იმეორებთ, ფორმა რუსთველი შემოიღო ანტონ კათალიკოსმა, თეიმურაზზე ერთი საუკუნით ადრე. ამ ფორმას ხმარობს დავით რეპტორიცი. ეს ფორმა სწორედ ანტონისა და დავით რეპტორის (და არა თეიმურაზის) წყალობით გავრცელდა.

მის დასაბუთებულად, რომ შოთა რუსთველი იყო სასულიერო პირი, პ. რატიანს მოჰყავს აშკარად აბსურდული საბუთი ცხოვრება ვიხდით ამ გამოთქმისათვის, მაგრამ სხვა შესაფერისი სიტყვა ვერ მოვიგონეთ, თითქო ანტონის დროს და ადრეც გამოიყენებოდა რიტორიკა, ბრძენი, ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი იხმარებოდა განათლებული სასულიერო პირის აღსანიშნავად (მნათობი, 2, გვ. 170, 173, 174 და სხვ.). გვჯერებს დამოწმებული აქვს შოთა რუსთველი ანტონისეული ცნობილი დახასიათება — „შოთა ბრძენი იყო, კიბრანისმოყვარე ფრად, ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა ენის, თუ საშ სწავლოდა, ღვთისმეტყველი იცოდა მადალ, უცხო საყვირველ პირთა კონსტანტინე, მურა ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე“. მოყვანილი ტექსტის გამო პ. რატიანი შენიშნავს: „განსაკუთრებით საყურადღებოა ანტონ პირველის ცნობილი სიტყვები, სადაც რუსთველის ერთგვარ განქიქებასთან ერთად, პირდაპირ აღიარებულია, რომ რუსთველი ბრძენი იყო, ფილოსოფოსიცა და ღვთისმეტყველიც... ანტონ კათალიკოსის სიტყვებში უკლდე ბევრ გარეშე მოწმობენ, რომ საქართველოს ეკლესიის გამოჩენილ საქმობსკობელს რუსთველი წარმოდგენილი მყუფა, როგორც უმადლესი რანგის სასულიერო პირი და ფრად განათლებული ღვთისმეტყველი“ (იქვე, გვ. 174).

ჯერ პატარა შენიშვნა: პ. რატიანი მთლად ზუსტად არ გადმოსცემს ანტონის სიტყვების შინაარსს. ანტონი პირდაპირ არ ამბობს, რომ რუსთველი იყო ღვთისმეტყველი, არამედ — რომ

<sup>1</sup> საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ საერო მწერალთა შორის მოთავსებულია ანტონის სულხან-საბა ორბელიანი. ეს იმიტომ გამოწვეული, რომ საბამ აღიარა კათოლიკობა და დაწერა კათოლიკური აღმსარებლობის გამოხატველი „სამოთხის კარი“. ანტონი ამბობს, საბას არ ვაქვებ, რადგანაც ვანუღა წმიდა ეკლესიას, შეთხზა სულის წარმწეველი „სამოთხის კარნი, გარნი ჭოჯობეთის ბქე“, „თვითცა წარწმდაო“. სამაგიეროდ, ანტონი დიდად აფასებს სულხან-საბას საერო შემოქმედებას: „შირნი მისნი საქმებობენ;“ „უცხო არს იგი საქმებელ პირთა, რაცა სოფლიო გამოთქვა სულხან-საბა“; ანტონი ცნობს და აფასებს მხოლოდ იმას, რაც „სოფლიოთ“, ე. ი. საეროდ, გამოთქვა სულხან-საბამო. კრიტიკოსი იმხაც უსვამს ხაზს, რომ საერო ხასიათის ნაწერებში საბას არ ჩაქმის სიტყვა „ლათინთა განხეთქილება“ და „წყალებოა“. ერთი სიტყვით, ანტონის საბას აღიარებს ღირსეულ საერო მწერლად, შესაფერისად საერო მწერალთა შორის ათავსებს მას და ახასიათებს მის შემოქმედებას. ანტონის საბა რომ საეკლესიო მწერალთა შორის ჩაერცხა, უნდა ეხმარა ეპიტოტი მამა. მაშად კი ანტონი საბას ვერ მოიხიბებდა უკე აღნიშნული გარემოების გამო.

<sup>2</sup> რუსთველი თუ რუსთველი? (გაზ. „კომუნისტი“, 10. 1. 61).

<sup>3</sup> ევფოსიკაოსის საკითხები, 1, 1966, გვ. 260—268.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 282 — 283.

<sup>5</sup> თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1964.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 78.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 34.  
<sup>3</sup> ალ. ცაგარელი, Сведения, III, გვ. 257. როგორც რუსთველი გამოარქვია, 1810 წლის კატალოგი, სადაც დამოწმებულია ფორმა რუსთველი, შეუდგენია დავით რეპტორის (ვინ არის 1810 წლის ძველი ქართული მწერლობის კატალოგის ავტორი? „ლიტერატურული საქართველო“, 1940, № 3).

მოქალაქეობა, იქნებოდა დიდი ღვთისმეტყვე-  
ლიცო (ა. შინდის რუსული თარგმანით —  
«В случае желания он мог бы быть и  
великим богословом»).

ეს სხვათა შორის. სიბრძნის მოყვარეს, ფილო-  
სოფოს გამოამოქმეღს, მშვენიერ რიტორსა და  
პოეტოს უწოდებს ანტონი სარგის თმოგველს  
(რომელიც არის „შოთაბერი კაცი“); საღმრთო  
ბრძენი, მაღალ პოეტოსი, უცხო რიტორი და  
ღვთისმეტყველი ყოფილა თეიმურაზ პირველი;  
ქრისტესმოყვარე, „ღვთისად ტრფილი“ ყო-  
ფილა თეიმურაზ მეორე; ვახტანგ ორბელიანი—  
სიბრძნისა მკვებდებარე, ფილოსოფოსი, პოეტი-  
კოსი უცხო. ფილოსოფოსი უწოდებს ანტონი  
დამირტი ციციშვილსაც. როგორც, სასულიერო  
პატრიარქი იყვნენ თეიმურაზ I და II, სარგის  
თმოგველი, ვახტანგ ორბელიანი, დამირტი ცი-  
ციშვილი და ძმანი შანი? თუ პ. რატიანს და-  
ვეუქვრებთ, ქართველობას ძველად აღარ ჰყოლია  
გამსწავლელი საერო მწერალი და მოღვაწე.  
ყველა განათლებული და გამსწავლული პირი  
სწავლდებოდა შორის ყოფილა საბიუბელი, ეს  
დამცირებია ძველი ქართული დიდებული საე-  
რო მწერლობისა: ეს არის, მართლაც, ძველი ქა-  
რთული კულტურის ყალბი გაგების შედეგი!

ერთგვ. პ. რატიანი სერიოზულად წერს:  
„შოთა რომ ერისკაცო ყოფილიყო, სხადი,  
ვერ შესძებდა მიედო ასეთი ბრწყინვალე გა-  
ნათლება“ (მნათობი, № 5, გვ. 133). სწორედ  
რომ უცნაურია, ყველაფერს რომ თავი დაანე-  
ბოთ, ბრწყინვალე განათლება ჰქონია მიღებულ  
შოთას თანამედროვე მესობებზე პოეტ ჩახრუ-  
შეს. დღესაც გვაკვივრებს მისი ფართო გან-  
სწავლულობა და ლიტერატურული ერთდროეა.  
ნ. შანი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ჩახრუ-  
შაძის ოცნებით «мы имеем единственный в  
своем роде источник для изучения свое-  
образной грузинской культуры XII ве-  
на. В культурно-историческом отношении  
источник этот важен не только сведени-  
ями о литературных фактах, в нем од-  
ном имеющимся, но и общим впечат-  
лением, получаемым от его чтения в поль-  
зу изысканной и разносторонней образо-  
ванности грузинского общества XII века,  
для развлечения которого писались эти  
оды»<sup>1</sup>.

თუმცა ნი იტყვიო, ერისკაცებს სად ჰქონ-  
დათ ღრთ სწავლა-განათლებლისა და კოხებისა-  
თვის, მათი „ღრთი და ენერგია, უმოთვრესად,  
სამხედრო წიგნთნას, ნაღობობასა და ომებზე  
ხმარდებოდა“ (მნათობი, 5, გვ. 133).

ზვენ იძულებული ვხვდებით შევახსენოთ  
მკვლევარ-ისტორიკოსთა დავით აღმაშენებლის  
მაგალითი მათთვისათად ცნობილია დავითის

ომებისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების  
მშენებლობის ამბები. მაგრამ იმ მუხებშივე  
მოღვაწეს ისე ჰყვარებია წიგნების წიგნთნა რომ  
მთელი მიბლიოთეკა დაქონდა თურმე თან  
ლაშქრობისა და ნადირობის ღრთს, ზვერს კი-  
თხულობდა დავითი როგორც სასულიერო, ისე  
საერო და სამეცნიერო წიგნებს. მის ისტორი-  
კოს საგანგებოდ დაუთვლია, რომ მარტო ერთი  
წლის განმავლობაში დავითს „ოცდაათზეარ წი-  
გნთნა“<sup>2</sup> წიგნისა საშობო კულტო.  
ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ექვთიმო,  
„განსაკაცია ეს არის, რომ დავით აღმაშენებელს  
საუცხოოდ შესწავლილი ჰქონია მარტო ქა-  
რთული მწერლობა კი არა, არამედ მაჰმადიან  
მეცნიერთა და პოეტების თხზულებებიც. მუა-  
შმედ აღ-მაშავი ამბობს, რომ მეფე დავით ის-  
ლამის დიდი მეცოდნე იყო და განჯის ყადის  
ზირად იმაზეც კი ეკავებოდა, თუ ყურანი  
როგორ და სითვან წარმოადგაო“. დიახ, დავით  
აღმაშენებელი „ბრძენი და განათლებული“ ადა-  
მიანი ყოფილა. ვეკითხებით პ. რატიანს, შოთა  
ერაზმესკობის ხომ არ იყო ის დალოცვილი?

რად ავიწყდება პ. რატიანს, რომ შოთა რუს-  
თველის მოძღვრების თანხმად, სანქციო რაინ-  
დის საკადლებელთ თვისებად (სხვა თვისებებ-  
თან ერთად) ითვლებოდა განსწავლულობა,  
სი ბრძნე და გონიერება. ამისათ-  
ვის რაინდს საჭირო „მოცილებაც“ უნდა ჰქო-  
ნოდა (სტროფი 23). გონიერ, ბრძენ რაინდ-  
ებად გვიხატავს შოთა რუსთველი თავის საყვა-  
რულ ვიზებს — ტატიელსა და ავთანდილს  
(ისინი ფილოსოფიურადაც გაბრძნობილი იყე-  
ნენ). რას გვეტყვიდა მკვლევარი ისტორიკოსი,  
ტარიელი და ავთანდილი მღვდელ-მონაზვნები  
ხომ არ იყენენ, ანდა მაღალი რანგის იერარ-  
ქები?

სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნევს პ. რატიანი  
თავის მოკავშირეებად არჩილ მეორეს და მის  
ინტერპრეტატორ სიმონ ჯანაშიას, არჩილს  
ვეუთვნის ზნეთსწავლის თავისებური სახელმძღ-  
ვანელო „საქართველოს ზნეობანი“. იქ დახასია-  
თებულია „სამღეთი“ და „სამხედრო“ (საერო)  
ზნეობათა სხვადასხვა სახეობანი. ყველა „ზნე-  
ობაზე“ მაღლა ავტოროს იყენებს განათლებას,  
განსწავლულობას ანუ სიბრძნეს („სიბრძნეს  
ვერ სწორავს ვერა რა“). სწორია ს. ჯანაშიას  
განმარტება, რომ სიტყვა სი ბ რ ძ ნ ე ს არჩილი  
„მართობს ეფრო მნიშვნელობით, ღვთისმეტყ-  
ველობისა, თუ სასულიერო განათლების აღსა-  
ნიშნავად“. პ. რატიანი იმოწმებს ს. ჯანაშიას  
მონაზვნებს და უდავლოდ ადვილს სწვევტს  
მეცნიერის მსჯელობას (მნათობი, 2, გვ. 173).

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ს. ყიფნაშვილის  
რედაქციით, I, თბ., 1955, გვ. 348—349.

<sup>2</sup> ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ.  
211.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 210, 212.

ს. ჯანაშია კი განაცხობს: „თავისი დროის ზნეობრივ დაცემას, ყველა ამ „ერთ ფეოდალს“, ზეცა-უნამუსობას, ლიქნასა და „ღეთის შიშის გულოთ განვარდნას“ არილი სწორედ „სამღეთო საქმის“ უმეცრებას მიაწერს. ამიტომ არის, რომ ასეთ დიდს ყურადღებას აქცევს იგი ამ „ზნეობას“ და ასეთ ადგილს უთმობს მას იმდროინდელ ფეოდალისათვის საყალღებულო თვისებებში.“

ს. ჯანაშიას დავიკრებების თანახმად, არილი საყალღებულოდ უთვლის „იმდროინდელ ფეოდალებს“ სასულიერო განაოლებს მიღებას, სამღეთო სიბრძნის დაუფლებას. ცხადზე უცხადესია, რომ „იმდროინდელ ფეოდალებად“ ს. ჯანაშია ფელისქიმბს თავდაზნაურობას, უწინარეს ყოვლისა, საერო დიდკაცობას, როგორ, შესაფერისად განაწილებულ და საღეთო სიბრძნეს დაუფლებული ყველა იმდროინდელი ფეოდალი სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო? აი, ამას ვერ ამჩნევს, ან და ამჩნევს, მაგრამ განზრახ ზუჭავს თვალს მკვლევარი პ. რატიანი. პ. რატიანი ამბობს: ს. ჯანაშიას შეხედლებას აღმრულ საკითხზე.

ახლა თვითონ არილზე. ჩვენ მთელი პასუხისმგებლობით უნდა აგანებავებოდეთ, რომ, სამწუხაროდ, პ. რატიანს სრულად და პირველი წყაროებით არ შეუძლავლია XIV—XVIII საუკუნეების ქართული მწერლობა. ის დაკმაყოფილებულია მარტოოდენ იმ ქრტილობათი თვისებების მასალით, რომელიც მოთავსებულია კრებულში „ქართველი მწერლები შოთა რუსთაველს“ (თბილისი, 1937). ამ კრებულის მასალებშია კი პირდაპირ სკანდალური ბასიათის შეცდომები და მშვებინა ჩვენს მკვლევარს. ამისი საბუთია ანტონ კათალიკოსის წვობილიტყვაობის დამოწმებული ტექსტი და რუსთველობის პირობების არჩილისეული გაგების რატიანისეული ინტერპრეტაცია.

ზემთო ჩვენ უკვე ვიკენეთ, რომ პ. რატიანის „თორისი“ თანახმად, თითქო ფორმა რუსთაველი შემოიღო თეიმურაზ ბაგრატიონმა, ახლა ვიცით, რომ ეს ფორმა გამოყენებული ჰქონათ იოვანე ბატონიშვილს, დეათ რექტორს და თვითონ ანტონ კათალიკოსს. მაგრამ არც იოვანე ბატონიშვილის და არც დეათ რექტორის ცნობები დამახლებულ კრებულში შეტანილი არ არის, ხოლო ანტონის ტექსტი იმ უზენადა არის დამაბინებელი: კრებულის როგორც საკუთრივ ტექსტში, ისე საარჩევნო დაბეჭდილია „თვის რუსთველისა“ (გვ. 111). ნამდვილად კ

ანტონს უწერია „თვის შოთა რუსთაველისა“ ტრესტომათის ეს უხეში შეცდომა დაედა საფუძვლად პ. რატიანის შორს განწყვილდ „ახსნა თვალსაზრისს“ რუსთველის „წინაობას“ სისიბაზე საზოგადოდ, კერძოდ ამ საკითხის ანტონისეულ გაგებაზე.

მეფხისტი მდგომარეობაა არჩილის შესახებაც, არჩილის ნაწერები გამოცემულია ორ ტომად (არჩილიანი „ალ. ბარამიძისა და ნ. ბერქენიშვილის რედაციით, ტ. 1, თბ., 1936; ტ. II, 1937). პ. რატიანის ცოდნა ამოწურება ტრესტომათით. მკვლევარს რომ „თეიმურაზისა და რუსთველის ვახაისების“ მიუღი ტექსტი შეესწავლა, ვაიგებდა: არჩილს რუსთველი წარმოადგენილი ჰყავს სახელგანთ მესხ მეთრირად, მოყვე-რანინად, რომელსაც მონაწილეობა მიუღია თამარ მეფის დროინდელ ყველა ღირსშესანიშნავ ომში, გარდა ბასიანის ომისა. არჩილის პოემის მიხედვით, თეიმურაზი დასცილნს რუსთველს, ბასიანის ომის დროს ჭალეზით ან დედნეძო დიო, ამა, საღ მოყვე-რანინი და ამივი პოეტი, დასად დიდი მღვდელ-მთავარი? ისიც საგულესსა, რომ არჩილის მიხედვით, რუსთველი ყოფილა მესხეთის რუსთაველიან, მესხი მოყვე, რომელსაც არაფერი საერო არ შეიძლებადა ჰქონოდა თბილისის მახლობლად მდებარე ჭყოსთავის ეპისკოპოსთან.

თორმე ვახტანგ მეექვსეც სასულიერო პირად თელის შოთას. საბუთო? საბუთი შემოკითხვის ფორმითაა ფაქსირებული. ვახტანგი ვეფხისტყაოსანს თელისო „საღეთო ნაწარმოებად“, ხოლო როგორ შექმნო ვახტანგს „ეფიქრა და დაწვეწარი ვეფხისტყაოსანში“ ყველაფერი საღეთოაო. მთე-თოთაო, მას რომ რუსთველი ერისკაცად ჰყავდეს წარმოადგენილი“ (მნათობი, 2, გვ. 172). შემოკითხვა მკვლევარს უკანე უნდა დაუბზრონოთ. ვახტანგი არსად არ ამბობს, რომ ვეფხისტყაოსანში „ყველაფერი საღეთოაო“. მთე-თისი თავისი „თარგმანის“ მანძილზე ვახტანგი ბეჭათად ამტკიცებს, რომ ვეფხისტყაოსანი „საღმთოც არის და საეროც, სამღვდელთოც კარგა ითარგმნება და საეროთაც უთქვამს“<sup>1</sup>. ვეფხისტყაოსნის ავტორი ვახტანგს მანიად შე-

1. იხ. წყობილიტყვაობა, პლ. იოსელიანის გამოცემა, სტროფი 802; ხელნაწერი S 1, გვ. 99; როგორც ცნობილია (ცნობილია ჩვენთვის, თმცა პ. რატიანისათვის უცნობი დარჩენილა), ფორმა რუსთაველი დამოწმებულია ანტონის დრამატიაში (ილ. ამულაძე, ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიულ თხზულების შესახებ, ენიშქის შოთაზე, III, 1938, გვ. 203).

2 ვრცლად ამის თაობაზე იხ. ალ. ბარამიძე, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი (ლიტერატურული მიგბანი, XV, 1963, გვ. 166—167; მისივე, შოთა რუსთველი და მისი პოემა, 1966, გვ. 414—415.

